114
979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-599X

# მნათობი

4 1979

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 56-ე № 4 აპრილი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

მოსკოვურ-თბილისური საღამოები . . . . . . . . . . . 3
მაკა ჯოხაძე — გადარჩენილი პეიზაჟი. მოთხრობა . . . . . . . 7
ლადო სულაბერიძე — ერთი დღის სიყვარული. ლექსი . . . . . . 44
თედო ბექიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 48
რაულ ჩილაჩავა — ლექსები . . . . . . . . . . . 51
ჯემალ მეხრიშვილი — შუმერული მითოლოგია. მოთხრობა . . . . . 54
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 85
ბალათერ არაბული — ლექსები . . . . . . . . . . . 87
კარლო ტაბატაძე — ანთება. მოთხრობა . . . . . . . . . 89
ბონდო კეშელავა — ორი ლექსი . . . . . . . . . . . 108
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. გაგრძელება . . . 110

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ილია რურუა — მთის რაიონების პრობლემები . . . . . . . 139

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გრიგოლ ბრეგაძე — ვ. ი. ლენინი და ნაციონალიზმთან ბრძოლის საკითხები . 150
ალექსანდრე კალანდაძე — გვჭირდება თუ არა კვლევა-ძიება? . . . . 161
ვლადიმერ ჯაფარიძე — კეთილად მოსაგონარი . . . . . . . 173
ვლადიმერ ჯიბუტი — მკვლევარის ღვაწლი . . . . . . . . 185
ლეონ მელიქსეთ-ბეგი — ი. გრიშაშვილი, როგორც მთარგმნელი . . . 189
ლავროსი კალანდაძე — ზოგიერთი თავისებურება პოეტისა . . . . 190

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **გიორგი ნატროშვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, თ. გიგინეიშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ხ. ჟანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, თ. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 12/III-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-79 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08102. ტირაჟი 15.280. შეკვ. 763.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1979.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოსკოვურ-თბილისური საღამოები

მიმდინარე წლის მარტის ბოლოს და აპრილის პირველ რიცხვებში მოსკოვში მოეწყო ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა შეხვედრები ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელებთან. ეს იყო ჭეშმარიტად ისტორიული დღეები; სალიტერატურო საღამოს, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი საბჭოთა მწერლების, საქართველოს დაუვიწყარი მეგობრებისა და მისი კულტურის მგზნებარე პროპაგანდისტების, ნიკოლოზ ტიხონოვისა და პავლე ანტოკოლსკის ხსოვნას — უდიდესი ყურადღებით უსმენდა მთელი საქართველო.

ამ სალიტერატურო საღამოს დაწყებისას სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ, გამოჩენილმა პოეტმა და პროზაიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა კონსტანტინე სიმონოვმა აღნიშნა:

— ძვირფასო მეგობრებო! ნება მიბოძეთ, როგორც ლიტერატორთა ცენტრალური სახლის გამგეობის თავმჯდომარემ და ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ, მოგახსენოთ, რომ ყველას დიდად ახარებს ეს შეხვედრა. გვახარებს, რომ მოსკოვში კვლავ ჩამოვიდნენ ჩვენი ქართველი მეგობრები, რომ ჩვენ კვლავ ერთად გამოვალთ, წავიკითხავთ ლექსებს, ვისაუბრებთ ჩვენს საქმეზე.

დღევანდელ საღამოს ვუძღვნით ნიკოლოზ ტიხონოვსა და პავლე ანტოკოლსკის, რომლებიც, სხვა რუს საბჭოთა პოეტებთან ერთად, საფუძველს უყრიდნენ რუსულ ენაზე ქართული პოეზიის თარგმნის საქმეს, საფუძველს უყრიდნენ ჩვენს პროფესიულ და ადამიანურ ურთიერთობას, ჩვენს მეგობრობას.

ამ საღამოს ვუძღვნით მათ შემოქმედებას და მას კინოს ჩვენებით დავიწყებთ. კვლავ დავინახავთ ტიხონოვსა და ანტოკოლსკის, რომლებიც მოგვითხრობენ, როგორ გახდნენ პოეტები. ასე დავიწყებთ ჩვენს რუსულ-ქართულ, ჩვენს მოსკოვურ-თბილისურ საღამოებს.

შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, გამოჩენილმა პოეტმა და პროზაიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ თქვა:

— თუ ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ლიტერატურებიდან რომელიმეს შეუძლია ასეთი საღამოს პრეტენზია ჰქონდეს, ქართულ ლიტერატურას უფლება აქვს ერთ-ერთი პირველი იყოს, რადგან ამ ორი შესანიშნავი რუსი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან.

ტიხონოვი და ანტოკოლსკი შესანიშნავი პოეტები იყვნენ და მათი გულწრფელი პატრიოტიზმი ბუნებრივად ერწყმოდა ინტერნაციონალიზმს. ეს თვისება მათ დიდ პოეტებად ხდიდა.

რუსული სიტყვის ამ ორივე დიდოსტატს, ისევე როგორც მათ წინამორბედებს, განუზომელი სიყვარულით უყვარდათ საქართველო და საქართველოშიც დიდსა და პატარასაც ასეთივე სიყვარულით უყვარს ეს შესანიშნავი პოეტები და ადამიანები. ტიხონოვიც და ანტოკოლსკიც რაღაც უნაზესი გატაცებით იყვნენ შეყვარებული ჩვენს ალაზანსა და საგურამოზე, ჩვენს თბილისზე და წინანდალზე, ჩვენს ჭალადიდზე და ბათუმზე. ეს სახელები მათს ლექსებში

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოითქმოდა რაღაც გულის თრთოლვით, შინაგანი მღელვარებით. ამიტომ ამბობდა ტიხონოვი თავის ლექსში „გომბორი“: „აქ ყველაფერი ჩემთვის ნაცნობია, თითქოს აქ დავიბადეო“. მთელი ეს ლექსები გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის უკვდავი გრძნობით.

ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით ნიკოლოზ ტიხონოვს და პავლე ანტოკოლსკის ქართული მწერლობის წინაშე. მათ, როგორც მთარგმნელებმა, გააცნეს რუს მკითხველს ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, ასინი დაუღალავად, მთელი სიყვარულით ზრუნავდნენ ქართული კულტურის წინსვლის და აყვავებისათვის. აი რას ამბობდა ნიკოლოზ ტიხონოვი ქართული საბჭოთა პოეზიის შესახებ:

„ქართული საბჭოთა ლიტერატურა, მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურასთან ერთად, ვითარდება ერთი მთლიანი პროცესის, მთლიანი მდინარების სახით. ქართულ მწერლობას, კერძოდ პოეზიას დიდი ძალა აქვს. მე თვითონ პოეტი ვარ და შემიძლია გითხრათ, რომ ქართული პოეზია თავის გავლენას ახდენდა რუსულ საბჭოთა პოეზიაზე, შესაძლებელია სხვა ერის პოეზიაზეც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენ ერთი-მეორისაგან ვსწავლობთ და ერთი საერთო ცხოვრებით ვცოცხლობთ“.

ასე შესანიშნავად განსაზღვრა რუსმა პოეტმა ურთიერთ ზეგავლენის, შემოქმედებითი თანმეგობრობის, ერთიანი მისწრაფების, საერთო ოჯახის ის ტრადიცია, რომელიც მუდამ ცოცხლობდა და ცოცხლობს ჩვენი დიდი ლიტერატურის ისტორიაში.

ნ. ტიხონოვის ეს ბრძნული სიტყვები დიდად გამოადგება როგორც ქართულ, ისე რუსულ ლიტერატურის ისტორიკოსს.

ყოველი ქართველი კაცის გული მუდამ ალსავსე იქნება ტიხონოვისა და ანტოკოლსკისადმი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით. ამ სიყვარულის ნათელი დემონსტრაცია იყო ეს საღამო, რომელიც ალ. ფადეევის სახელობის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა.

ასევე განუზომელი ინტერესი გამოიწვია გამოჩენილი ქართველი პოეტების — კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის საღამოებმა; ქართული სიტყვის ამ თვალსაჩინო ოსტატებმა, სამი სხვადასხვა თაობის პოეტების ღირსეულმა წარმომადგენლებმა თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობით მართლაც მოიპოვეს უფლება წარადგინონ ქართული პოეზია ესოდენ მომთხოვნი მკითხველის და მსმენელის წინაშე, უჩვენონ მას ქართული საბჭოთა პოეზიის მაღალი დონე და ახალი წარმატებანი.

ასეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული პრესკონფერენციები, შეხვედრები მკითხველებთან და მრგვალი მაგიდის ირგვლივ, შეხვედრები პოლონელ მეგობრებთან, რომელთა ჩამოსვლა მოსკოვში დაემთხვა ქართული ლიტერატურის საღამოებს.

ამ სალიტერატურო საღამოებში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რუსული, ქართული და სხვა მოძმე ლიტერატურათა საუკეთესო ოსტატები, საბჭოთა ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ჩვენი პერიოდული პრესის — „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“, „თბილისის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ვრცლად იყო გაშუქებული მთელი ამ მოსკოვური შეხვედრების მიმდინარეობა. საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ არ დაიშურა არც დრო და არც ენერგია, რათა ცოცხლად წარმოედგინა ქართველი მაყურებლისათვის ის დაუვიწყარი შეხვედრები, ის მგზნებარე გამოსვლები, ის პოეტური ცეცხლით ალსავსე სიტყვები, რომლებიც ჰქმნიდნენ საოცრად გულთბილ ატმოსფეროს და სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებდნენ მსმენელისა და მაყურებლის გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ცნობილმა პოეტმა და მთარგმნელმა ლევ ოზეროვმა, ქართული პოეზიის საღამოს რომ ხსნიდა საკავშირო თეატრალური საზოგადოების მსახიობის ცენტრალური სახლის დარბაზში, წარმოსთქვა ერთი ასეთი შესანიშნავი ფრაზა: „ფანჯრები დარბაზისა, სადაც ჩვენ ყველანი ვსხედვართ, გასცქერის პუშკინის მოედანს. საქართველო და პუშკინი კვლავ შეხვდნენ ერთი-მეორეს“.

დიახ, კვლავ შეხვდნენ, ვინ მოსთვლის მერამდენედ... მეორე საუკუნეა გრძელდება ეს შეხვედრები და ყოველთვის აღსავსეა იმ დიდი სიხარულით, აღტაცებით, მუდამ თან რომ სდევს პოეზიას; საქართველოში პუშკინის ჩამოსვლიდან წლევანდელ მაისში სრულდება 150 წელი და ეს თარიღი კვლავ ჭეშმარიტი პოეზიისა და ხალხთა მეგობრობის ზეიმი იქნება, ვინაიდან პუშკინი არის სრულყოფილი, ცოცხალი და უმშვენიერესი განსახიერება ყოველივე იმისა, რასაც პოეზია ჰქვია.

ეს შესანიშნავი ამოხსნა პუშკინის უკვდავების საიდუმლოებისა ბელინსკის ეკუთვნის. „პუშკინის ლექსის საიდუმლოება, — წერდა იგი, — იყო არა იმის ხელოვნება, რომ „მორჩილი სიტყვები მწყობრ ზომებად შეერწყა და ისინი წკრიალა რითმით დაემთავრებინა“, არამედ პუშკინის სულის დამახასიათებელი, უწინარეს ყოვლისა, იყო ის პოეზია, რომელიც წიგნებში კი არა, ბუნებაში და ცხოვრებაშია... მისი გონება — ეს ცხოვრების სულია, მისი არსებაა; პოეზია —ეს ცხოვრების ღიმილია, მისი ნათელი გამოხედვაა. ბუნებაც და ცხოვრებაც მხოლოდ გულცივ გაკვირვებას გამოიწვევდნენ, ისინი მთლიანად პოეზიით გამსჭვალულნი რომ არ ყოფილიყვნენ. მათი დამახასიათებელი იქნებოდა არა სიყვარული — ეს სიცოცხლის ციური ცეცხლი, არამედ სამარის ცივი სინესტე... ბუნება აღსავსეა არა მარტო ორგანული ძალებით, იგი აღსავსეა პოეზიითაც, რომელიც ყველაზე მეტად მოწმობს მის სიცოცხლეს; მის მარადიულ მოძრაობაში, მისი ტყეების შრიალში, მოვერცხლილი ფოთლის თრთოლვაში, რომელზეც სიყვარულით კრთის მზის სხივი, ნაკადულის ჩხრიალში, ნიავის ქროლვაში, ჯეჯილს რომ აბიბინებს, ადამიანისთვის ჩაქსოვილია იდუმალი მომხიბვლელობა და მას ესმის ცოცხალი ხმები, ხან სევდიანი და განმარტოებული, როგორც ეოლოსის ქნარის გმინვა, ხანაც მხიარული და სასიხარულო, როგორც ცაში აჭრილი ტოროლას გალობა.. ადამიანი კიდევ უფრო მეტად აღსავსეა პოეზიით“.

კარგად არის აქ ახსნილი ის, რასაც ჰქვია პოეზია და რასაც ჰქვია პუშკინის ლექსი — აქ ისიც მინიშნებულია, თუ რატომ არის პუშკინის პოეზია უკვდავი და მარადიული, რატომ არის პუშკინი თანამედროვე ჩვენთვის და ასევე ახალი, ასევე ცოცხალი იქნება მომდევნო თაობებისათვის. ის ადამიანური ყოფის სიხარულს, სიცოცხლის სილამაზეს, მის სულიერ ლტოლვას, მის სიკეთეს, კეთილშობილური გულის სანუკვარ ოცნებებს გამოხატავს. ეს მძაფრი განცდა სიცოცხლის მშვენიერებისა არის საფუძველი და სათავე ჭეშმარიტი პოეზიისა; ასეთი ჯადოქრული არტისტიზმი, ასე ლაღად და თავისუფლად მოდის პუშკინის ლექსის სტრიქონებიდან; ამიტომ პუშკინის ლექსი მოიცავს ბუნებასაც, სოციალურ სფეროსაც, წარსულსაც, აწმყოსა და მომავალსაც; სამყაროს ეს პოეტური შეგრძნობა არის სათავე იმ ჰუმანიზმისა, ადამიანის გულში იმ წმიდათაწმიდის გაღვიძებისა, რომელიც პოეზიის მთავარი შინაარსი და უპირველესი დანიშნულებაა; სიკეთისა და სილამაზის დიდმა შეგრძნობამ წარმოშვა პუშკინის პოეზია, და ასე მოსდევს იგი ლიტერატურის ისტორიას, რათა ადამიანს სიცოცხლის სიხარული ჩაუნერგოს, რათა დაუპირისპირდეს სიკვდილსა და არყოფნას, კაცობრიობის ყველა ჭირსა და ტკივილებს.

პუშკინის მთელმა შემოქმედებამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ხალხთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში; განუზომელი იყო მისი სიყვარული დაჩაგრული, განაწამები, უბრალო ხალხისადმი; პუშკინი ეკუთვნის მოწინავე კაცობრიობის იმ დიდ სულიერ წინამძღვართა რიცხვს, ვინც ხალხთა მილიონებს შთააგონებდა ნათელი მომავლის იდეებით. ამ მებრძოლი ჰუმანიზმით არის გამსჭვალული მთელი მისი პოეზია. „თავისუფლებავ! ამ ქვეყნად მხოლოდ შენდა სწყუროდი, შენდა გნატრობდა“, ამბობს პუშკინი თავის ერთ გმირზე, და ეს ითქმის თვითონ პოეტზე, თავისუფლების ამ მგზნებარე მომღერალზე, რომელმაც ლიტერატურა აქცია ბრძოლის მაღალ ტრიბუნად, მრისხანე ძალად, რომელიც თავზარს სცემდა რეაქციის ბანაკს.

პუშკინმა კარგად იცოდა, და თავის „ძეგლში“ თქვა კიდეც, რომ ყველა ხალხები — ძმები არიან. მისი მთავარი თემა, რა თქმა უნდა, რუსეთი იყო, მისი ისტორია, მისი აწმყო, მაგრამ პოეტი ასეთივე სიყვარულით წერდა უკრაინელებსა და ქართველებზე, ჩერქეზებზე და ბაშკირებზე, ბოშებსა და მოლდაველებზე, პოლონელებსა და ფინელებზე...

დიდ რუს პოეტს მთელი გულით, მთელი გატაცებით უყვარდა საქართველო; ამას ადასტურებენ მისი უმშვენიერესი ლექსები „საქართველოს მთებზე“, „არა, ლამაზო, ნუ გამაგონებ“, „მონასტერი მყინვარზე“, ნარკვევი „არზრუმში გამგზავრება“ და მრავალი სხვა ნაწარმოები; პუშკინი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს სულში, როგორც ხალხთა ძმობის დიდი მოციქული, თავისუფლების უკვდავი პოეტი. რუსთაველთან, ნიზამისთან, შევჩენკოსთან ერთად პუშკინი მუდამ იქნება მასწავლებელი საბჭოთა პოეტების ახალი თაობებისა, რომლებიც უმღერიან კაცობრიობის ახალ ისტორიას, პუშკინმა რომ წინასწარ განჭვრიტა და მისნური თვალით წინასწარ დაინახა.

ლიტერატურის ისტორიის, უფრო მეტიც, ხალხთა ისტორიის ეს დიადი ჭეშმარიტებანი კიდევ ერთხელ უნდა შეგვახსენოს პუშკინის დღეებმა, რომელიც საქართველოში გაიმართება მისი ჩამოსვლის 150 წლისთავის აღსანიშნავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე

# გადარჩენილი პეიზაჟი

მოთხრობა

კაცს მეორე სართულზე მოზრდილი ოთახი ეჭირა. რის ვაივაგლახით დაიყოლიეს ანეტა ჩასულიყო ძირს; ცხოვრობდა ახლა ეს პატარა ტანის ქალი თორნიკეს გამონაცვალ ნესტიან, ბნელ ოთახში. შვილები არ უვარგოდა, თორემ მის რევმატიზმებიან სახსრებს რატომ უნდა გახდომოდა სიბერეში მზის სხივი სანატრელი. ჯანმრთელობისათვის ამ არასახარბიელო კომბინაციაში აღებული ფულით დაუყვედრებელ ლუკმას ჭამდა ქალი და ერჩია ალბათ.

ასე და ამგვარად ცხოვრობდა კაცი მეორე სართულზე მზიან ოთახში. ჰყავდა ორი ბიჭი — დათო და საბა, ცოლი — ცირა და დედა სოფიო.

სოფიო ხან ამათთან ათევდა ღამეს, ხან კიდევ ქალიშვილთან. შეძლებულად ცხოვრობდნენ სიძე-ქალიშვილი, ისე შეძლებულად, რომ ერიდებოდა რაღაცნაირად იმათთან დიდხანს დარჩენას. მერე კიდევ ჯარასავით ტრიალებდა მოსამსახურე მარუსია, ფრჩხილისოდენა გასაკეთებელს არ უტოვებდა არაფერს.

— სად იშოვნი ახლა მასეთ ერთგულ ქალს, — ამბობდა ნუნუ და რატომღაც გული სტკიოდა სოფიოს, არ უნდოდა არაფერი, ოღონდ მისი ქალიშვილი ყოფილიყო ასე კმაყოფილი და მოსვენებული.

სამაგიეროდ ვაჟიშვილთან მთელი ეზო ხედავდა ამ ქალის გასაოცარ შრომისმოყვარეობას. საუზმე იქნებოდა, ვახშამი, ბიჭების ბაღში მიყვანა, იატაკის ხეხვა, სარეცხის ხარშვა, — მის კისერზე გადადიოდა ყველაფერი.

ღიღინით რომ შემობარბაცდებოდა კაცი ეზოში, ათიოდე დარაბა მაინც მიიხურებოდა ერთდროულად.

— ა! ხალხია ახლა ესენი, ფუი, დედა ვატირე თქვენი... — გაიქცეოდა მაშინვე სოფიო სალომესთან და სასოწარკვეთილი იტყოდა ორ სიტყვას: მთვრალია თორნიკე!...

გამოფურფუცდებოდა საერთო აივანზე სალომე და ითვლიდა თორნიკე გადარეულის ბრაგაბრუგა ნაბიჯებს.

— ეეიტ!.. სალომე დეიდა, გენაცვალოს თორნიკეს თავი შენ. კაცი არაა ამხელა ეზოში, შენი თმის ღერად რომ ღირდეს. მიხარიხარ, სალომე დეიდა, და მიყვარხარ ძალიან. ჩემი ბიჭებიც შენი გაზრდილია, მაგრამ ამგენს რო უყურებ, არ შეგცდეს იცოდე, ხალხი არაა არცერთი. რომ შეძვრენ ახლა სოროებში, რატომ თუ იცი?.. შურით იხევიან და იმიტომ. ტელეფონი, კაცო?.. პლასტმასის აპარატზე რომ კაცი ანონიმკას დაწერ, არ ეკუთვნოდა და ისე დაიდგაო...

ხალხია ახლა ამის მერე ესენი. კოშკებსაც დაიდგამს აწი თორნიკე, მიჩივლეთ მერე საცა გინდა, თქვენი...

— აჰ!.. შენ შემოგევლე. დამიჯერე, შვილო! წამო, შევიდეთ ახლა თქვენსას. ვილაპარაკოთ, ვიჭუკჭუკოთ. ე, ბიჭო, ეცი ახლა პატივი ჩემს ჭალარას, დამიჯერე, რომ გეუბნები.

მტრისას, თუ გაჯინდებოდა კაცი. ჭალარას კი არა, ღმერთი რომ ღმერთია, იმის ხათრს არ დაიდებდა მერე. იღრიალებდა გულის გახეთქვამდე, იქშენდა, იქნევდა კასრისხელა მუშტებს.

— გამოდი გრიშაია, გლახის ჭირო, კარში. რას ერჩოდი ჩემს ბიჭებს შენ? ამათთან კაცობ ხომ, შენ მართლა მატლო! გამოდი, გამოიყვანე შენი აზატა და რობიკა, შენი ბრუტიანი ცოლიც გამოიყვანე თუ გინდა! დაჯექით მერე და უყურეთ, როგორ მიყეყონ ჩემებმა შენი შავყვითელა ნაბიჭვრები.

ახლა მესამე სართულზე ატყდებოდა წიოკობა და ვიშვიში. იქაჩებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გრიშა. გადაეფოფრებოდა ქალი კარს. — მომკალი, არ გაგიშობო! — კიოდა გამწარებული.

უხაროდა გრიშას გულში, სათოს თავი რომ შეახვედრა ღმერთმა; თორემ ხომ შეიძლებოდა, ადრე რომ უყვარდა, ის გოგო მოეყვანა ცოლად, მერე ხომ შეიძლებოდა ამ „გამიშვი-გამიშვიზე“ გაწყვეტოდა იმ გოგოს თმენის ძაფი და მართლა გაეშვა ქმარი კარში. ხომ შეჭამდა მაშინ ძვლებიანად ის აფთარი.

როდის-როდის ქლოშინით შევიდოდა დაღლილი კაცი ოთახში. ჩაწყნარდებოდა ორივე მხარე, ჩაჩუმდებოდა ირგვლივ ყველაფერი. კუთხის ბინაში ვილაცა ხმას აუწევდა მაგნიტოფონს, გამოვიდოდა მერე მთვარე და სახეგაბადრული უთვალთვალებდა „ბუტილკაშარვლიანი“ ჯემალს ჩუმად რომ მოაცილებდა ეზოს კარამდე მეზობლის კოკინებიან ლიანას.

ამასობაში კი გადიოდა შემოდგომა და იცვამდა სოფიო თავის გაკრიალებულ ბოტებს.

ქალიშვილს ცალკე ეგონა რძალთანაო და რძალს კიდევ ცალკე [illegible] ქალიშვილთან ურჩევნიაო.

უმალავდათ თურმე სოფიო, ნაქირავებში წოლილა მთელი წელი. ძვირფასი ხელი ჰქონდაო, — აქებდნენ იმ ეზოს ბინადარნი. საბნებს კერავდა თურმე და იმით ირჩენდა თავს. დანაზოგი ფული დატოვა ქალიშვილის ოჯახში და უჯრებს რომ ალაგებდა, იპოვა იმ ერთგულმა მარუსიამ ის ფული თეთრეულის ქვეშ ამოდებული.

შვილებმა მხოლოდ მესამე დღეს შეიტყვეს დედის დაკარგვის ამბავი. მთელი ორი კვირა გადაუღებლად წვიმდა. ჩაინისლა, დაინესტა ქალაქი. გალუმპული კაცი სანაპიროზე დააბიჯებდა, ბევრს ეწეოდა მწარე თუთუნს.

პროფესიული ინტუიციით ალღო აულეს მყვინთავებმა, გრძნობდნენ ჯიბეგაფხეკილი მუშტარივით ვაჭრობას რომ არ გამართავდა იგი, ერთ-ერთ იმ რანგის ჭირისუფალთან ჰქონდათ საქმე, საცხოვრებელს რომ გაჰყიდდა მიცვალებულის საფლავისათვის. ეძებდნენ ამიტომ ხალისით, გულიანად, ერთგვარი აზარტითაც.

ამასობაში ორ გვამსაც წააწყდნენ. ერთი ძველი იყო, ასე შუახნის კაცი ჩანდა. მეორე ბავშვი, ესეც კარგა ხნის ნატარები. ბიჭს იმ დღესვე გამოუჩნდა პატრონი.

იდგა ახლა შორიახლო კაცი და უსმენდა, როგორ მოთქვამდა ბიჭის გალეული ბებია. ბიჭს ნუგზარი ერქვა თურმე, დედამისს — ნონია, მოთქვამდა ბებია და წყევლიდა თან ამ ნონიას, ნონიას ქმარს, სასამართლოს და სიბერეს.

კაცმა უკვე მთელი ისტორია იცოდა უცხო ოჯახისა და დაკითხვისას ყურისმეზობელივით სხაპასხუპით შეეძლო შემდეგი ჩვენების მიცემა:

ნონიას ქმარი, ე. ი. ბიჭის მამა გამუდმებით ლოთობდა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა ოჯახის წევრებს. ქალმა ითმინა, ითმინა... მერე ველარ მოითმინა და აღძრა საქმე განქორწინების თაობაზე. სახალხო სასამართლომ დაწვრილებით განიხილა იგი; მოთხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ბავშვის ნორმალურ პირობებში აღზრდისათვის სამართლიანად სცნო და განქორწინება დაადასტურა; სასამართლოს ერთ პატარა, სადა ოთახში, საცა, კინოთეატრის მსგავსად, მაყურებელთათვის განკუთვნილი სკამები საგულდაგულოდ იყო ჩაწიკწიკებული, მთელი კვირა მიმდინარეობდა ჩვეულებრივი, ოჯახური დრამა. სწორედ ამ დროს იყო ბიჭი უპატრონოდ მიშვებული. მართალია, ბებია შინ რჩებოდა ხოლმე, მაგრამ იგი უკვე ძალიან მოხუცი იყო.

ამიტომ ახლა გამეტებით წყევლიდა ბიჭის მამას, ბიჭის დედას, სასამართლოს, სიბერესა და კიდევ რაღაც „საშუალებას"; საშუალებაში კი ალბათ იმას გულისხმობდა, პაპანაქება სიცხე რომ იდგა ქალაქში, სულის მოთქმა რომ უჭირდა კაცს და ნახევარზე მეტი თბილისელი ბავშვებისა აგარაკზე გაკრეფილიყვნენ. ყოფილიყო საშუალება... იქნებოდა ესეც იმ ბავშვებთან ერთად, დაიტყავებდა მუხლებს მაყვლიანში, ერთ თვეს ხომ მაინც ისუნთქებდა მისი პატარა ფილტვები უღრანი ტყის საოცრად ჩვილ ჰაერს... ხომ აღარ წავიდოდა მაშინ ნუგზარი ქალაქში დარჩენილ ბიჭებთან ერთად იმ დაწყევლილ მტკვარზე საბანაოდ...

ასე უსასრულოდ, თანდათან მძიმდებოდა გაზრდილი ჯაჭვი და კაცს ეჩვენებოდა, რომ ამ ჯაჭვის არცერთი რგოლთაგანი შემთხვევითობასთან არ იყო წილნაყარი...

ზევით კი მიჰქროდა მსუბუქი მანქანა და მიჰყავდა ბებია, კალთაზე გადაწვენილი პატარა სხეულით, სადღაც, ქალაქის რომელიღაც მტვრიან კვარტალში.

ლოთი რიყეზე იდგა და ოდნავ ირწეოდა. მუშტით მარჯვენა თვალს ისრესდა, ალბათ ტიროდა. ბიჭი სამი დღის ნაპოვნი ჰყავდათ. ლოთი შინ არ ჩერდებოდა.

თორნიკე შორიახლო უმზერდა და ეცოდებოდა. იმ დღეებში ერთადერთხელ მოინდომა წყალში შესვლა. მის გამხდარ, დაჩიავებულ სხეულში თითქოს ერთბაშად ადუღდა ნამდვილი სისხლი. ათი კაცი მაინც აკავებდა,.. უამრავ ხალხს მოეყარა თავი, სანაპიროზე ჩოჩქოლი იდგა. ეს ადამიანებისათვის ჩვეული ტრაგედია იყო, — შვილმკვდარი მამა თავს იხრჩობსო. ლოთს კი თავისი დიდი და ბავშვური მიზანი ქვეყანას ერჩია. ბილწად იგინებოდა, მთელი ხმით ღრიალებდა გამიშვით, — შვილი უნდა გადავარჩინოო. კაცებს უკვირდათ, ამ უბედურს რა ძალა ჰქონიაო,

სწორედ იმ საღამოს იპოვნეს ბიჭი.

ლოთი ერთბაშად მოეშვა. თითქოს ნაღვერდალს წყალი გადაასხესო, მისი სუსტი სხეული ცივი ოფლით დაინამა და დაიფერფლა. თორნიკემ უხერხულად დაადო მხარზე ხელი. ეს მისი უსიტყვო, კაცური თანაგრძნობა იყო.

— რამდენი ხანია აღარ მიტირია — ლოთის ღიმილს სიმწარე დაჰკრავდა.

ყრუდ, ძალიან ყრუდ ერეოდა თორნიკეს გული. მის ისედაც ნაგვემ სულს ახლა უკვე რიდისა თუ შიშის მაგვარი რაღაც მისძალებოდა, წეწავდა, აფორიაქებდა.

მწვავედ დაღოღავდნენ გადამწიფებულ თხემს მიღმა მსუსხავი ფიქრები. დანისლული გონებაც შემპარავად ახერხებდა უკვე გარკვეული, თითქმის შიშველი აზრის გამორჩევას და გარე სამსჯავროზე გამოტანას.

ამ ქვეყნად რისი დაწყევლის უფლება ექნებოდა საკუთარი დედის ცხედართან მდგარს... შეკითხვაზე შეიძრა სული, აქამდე მხოლოდ მთვლემარე და გამტკნარებული. თხემით ტერფამდე დაჰკრა ჟრუანტელმა ვეება, დონდლო სხეულს და გაჰქრა სადღაც, უკვალოდ გაჰქრა სული, რომელიც ძალღივით ერთგულად დაატარებდა ამდენხანს მიწაზე.

ფეხაკრეფით მოვიდა სევდა. ოღონდ ის არა, მწუხარების ჟამს სამძიმარივით რომ მოაკითხავს ადამიანებს, მერე კი მიდის ისევ ჩუმად, ისევე ფეხაკრეფით, თითქოს ავადმყოფის სასთუმალს სცილდებოდეს. ამ სევდას რა უჭირს, დრო წაიღებს, გადაიყოლიებს. დრო ხომ ვერ ასწრებს ერთი ღამის უბედურებას გადააყოლოს თავი, რადგან რიჟრაჟზე იბადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მეორე დღის ბედნიერება. მაშ, რა უშავს წუხილისა და სიხარულის ამ უცნაურ, კანონზომიერ მონაცვლეობას!

ფეხაკრეფით მოვიდა სევდა სულ სხვაგვარი. უფრო მძიმე და უფრო დამჩაგვრელი, აი ის, ერთ ღამეში რომ გაგათეთრებს, ერთ ღამეში რომ გაგწყვეტს წელში, ერთ ღამეში წერტილს რომ დაუსვამს შენს თარიღებით დახუნძლულ ბიოგრაფიას. მერე არსებობ, გგონია რომ არსებობ, გინდა იარსებო და აღარ შეგიძლია.

* * *

ქალი თეთრთმიანი იყო და ამიტომ სიმყუდროვის განცდას ჰბადებდა. ოთახს თითქმის მთლიანად ავსებდა მასიური, ოთხკუთხა მაგიდა. მაგიდაზე ქალს სუფრასავით გადაეფარებინა თხელი აბრეშუმის მინდვრის ფერი საბანი. მარჯვენა ხელის არათითზე შავად დაფერილი, არშიებიანი ვერცხლის სათითე ეკეთა, ვერცხლისფერი მოგრძო ნემსით მატყლის ქულებს აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად უყრიდა თავს, მერე აბრეშუმის საფარს მიღმა გადამძვრალი ნემსის ჯადოსნური წვერი მატყლის პატარა გუნდებს სამყურა ბალახის ოდენა წრეებად აერთებდა და უზარმაზარ გადატკეცილ საბანზე უცნაურად წვრილი ყვავილები იბურცებოდა.

წითელი ზონრით თმაშეკრული შავთმიანი გოგო გამოჩნდა... ბიჭმა თითქოს ახლაღა იგრძნო ახლადგამომცხვარი მჭადის სუნი რომ იდგა ოთახში და გაწითლდა.

— ღმერთო! რა ლამაზიააა! — ლოყაზე იტკიცა გოგომ ხელი, ისე ფრთხილად მიუახლოვდა მაგიდას, თითქოს შეეშინდა ახლოს მისულს საოცრება არ დამეკარგოსო.

კუთხეში ატუზულ ბიჭს მჭადის სუნი გადაავიწყდა.

— რა უცნაური ხარ სოფიო, რას წვალობდი ასე? — კმაყოფილმა თქვა გოგოს დედამ.

— სამზითვო საბანია, აბა რომბებით ყველა შეუკერავდა, შე კაი ქალო. მერე კიდევ ისე მიყვარს მე შენი ნინიკო!

ბედნიერი ნინიკო ჯერ ისევ საბნის წინ იდგა და ისეთი შუქიანი საიდუმლო ეფინა სახეზე, რომ საბამ ერთბაშად ფიცი დადო:

„ეს გოგო სხვისია. ნინიკოზე არ უნდა ვიფიქრო...“

არადა, ფიცს იმ წამიდან უღალატა, რა წამსაც ბებომ ოთხად აკეცილი და თეთრ მიტკალში ფაქიზად გახვეული საბანი ლოცვით გაატანა დედა-შვილს.

ახლა მაგიდაზე დატეხილ მჭადს სურნელოვანი ორთქლი ასდიოდა და ხნიერი ქალი ბიჭს ეხვეწებოდა:

— ნუ იტყვი, ბებო, აქ რომ ვიყავით დღეს... მირჩევნია მე ჩემთვის მქონდეს პატარა კუთხე... იოლია ასე უფრო...

დაპირება შეუსრულა, საიდუმლო შეუნახა ბიჭმა. იგი თავისი უტყუარი, ბავშვური თუ კაცური გუმანით მიხვდა ამ „იოლიას“ მნიშვნელობას და ნაპოვნი ლეკვივით გადაუმალა იგი სოფიოს.

თავს კი ვერ იქნა და ვერ მოერია. სულ ნინიკო ელანდებოდა. „ნინიკო სხვისია, აღარ უნდა ვიფიქრო მასზე!..“ ამ „აღარს“ ისე ჯიუტად და სასოწარკვეთით იმეორებდა საბა, თითქოს მუცლიდან შესჩვეოდა გოგოზე ფიქრს, თითქოს აკვანშივე დაენიშნათ ამხელა ქალზე. ამ ქალს კი თითქოს იმიტომ უნდა გაჰხარებოდა ვაშლის ყვავილი და დიდთოვლობა, რომ წელი წელს მიმატებოდა და მის დაკაცებას დალოდებოდა.

ბებიის სიკვდილმა ერთბაშად გაუნათა უცნაურ საიდუმლოთა კარავი საბას. ცივმა, ჭიატა სხივმა საგანგებოდ მიაბრუნა და შეახედა იგი მოწყენილი ქალის პატარა ოთახში და მისი მარტოობა შეანანა. რატომ იყო „ასე უფრო იოლი“. ან რა იყო. „ასე უფრო იოლი“... ამაზე ფიქრისათვის სად სცხელოდა მაშინ ბიჭს. ბებიაც, სათნო და კეთილი, განგებისად გულს არ უმძიმებდა, ანგელოსებს არ უფრთხობდა შვილიშვილს. მაშინ ყველაფერს ღვთიური ფერი ედო და ფიქრის მაგიერ ოცნებობდა საბაც.

მოკვდა ბებია. ფარდა აეხადა იმ საიდუმლოს, რომლის მიღმაც განაწყენე-

ბული და გულნატკენი მოხუცის დანახვა ასე შიშვლად შეეძლო ყველას. საბამ კი რა ხანია ეს საიდუმლო იცოდა, იცოდა ისევე უზადოდ და უმნიშვნელოდ, როგორც ეს ბავშვების ცოდნას სჩვევია. ამიტომაც არასოდეს დასცდენია, ერთხელაც არ უგრძნობინებია ვინმესთვის, რომ ამ საიდუმლოს ერთადერთი მცოდნე და ბატონპატრონი იყო.

და ახლა, როცა პირველად დაფიქრდა ამაზე საბა, კი არ აღეგზნო, კი არ აენთო, არამედ მკრთალი, ოდნავ შესამჩნევი სევდა ჩაუგუბდა მზერაში...

„რომ გამემხილა, იქნება გადარჩენილიყო...“ სინანულსა და განსჯას გამორჩეული ეს ულონო, უწყინარი ფრაზა საბას წუხილს ადასტურებდა. ამ წუხილში კი, შისი ღრმა რწმენით, მის ბავშვურ დანაშაულსაც ედო წილი.

ამის შეგნება თანდათან სულს უმღვრევდა და აფორიაქებდა.

ახლა აღარც ფიცი და მტკიცება აღარ სჭირდებოდა ნინიკოს დავიწყებას. პირიქით, გოგოს წყალობით არ გაამხილა ამ პატარა ოთახის არსებობა საბამ, რადგან ის თბილი, მყუდრო გარემო, დატეხილი მჭადის სურნელით რომ გაჟღენთილიყო, თავისი უსაზღვრო ოცნებებისათვის სჭირდებოდა ოდესღაც.

რა იყო „ასე უფრო იოლი,“ ან რატომ იყო „ასე უფრო იოლი“... გოგო მაცდურად ატუზულიყო კართან, სალოკი თითი ტუჩთან მიედო, თითქოს აფრთხილებდა: შენ ჩუმად იყავ, არავინ გეკითხება, მაგის ამოხსნას დრო სჭირდება. დრო კი არა, საბამ არ იცოდა, თორემ, მთელი სიცოცხლე, მთელი ცხოვრება დასჭირდებოდა ამაზე პასუხის გაცემას. ახლა კი მთავარი ის იყო, რომ მას დარჩენა აღარ უნდოდა ბავშვობისდროინდელ კარავში. ამ კარვის შტოთა ღობური წნულები ჯერაც აჩენდნენ ყურწაცლილ ფოთლებს. მათ დანახვაზე აღარ იღიმებოდა საბა; ჩახჩახა მზეს თვალმოცილებული კაცივით ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ უბრუნდებოდა ყველას და ყველაფერს თავისი ფერი. ამ რეალურ ფერს ნინიკოს შუბლზე გადაფენილი ბედნიერი საიდუმლოც ამოეხსნა: გოგო ბარე ათი წლით იყო მასზე უფროსი და უფლება ჰქონდა მინდვრისფერი საბნით სხვასთან ერთად შეჰგებებოდა ვნებიან ზამთარს.

* * *

„გოგი, ვახტანგი, ოტია...“

ამათი მარტო ჩამოთვლა ღირს მთელ თბილისად. ახლა შეხედვა, — გაგინათდება გული. ვაჟკაცობა — უწინდელი რომ გაგიგონია, ისეთი... ჰოდა, ასეთ მეგობრებში ტრიალი ზოგჯერ უარესია თავმოყვარე კაცისათვის. ამან მოუსწრაფა, თუ მოუსწრაფა თორნიკეს სიცოცხლე.

„რაღაა ჩემი ყოფნა ამის მერე. ჭიქის აწევა გამიჭირდეს უნდა აწი, სულ უნდა მეშინოდეს არ თქვან სადმე: რა კაცია ის კაცი, წყალში რომ გადუხტება დედა... ქარაგმადაც არ იკადროს იქნება ვინმემ, მაგრამ გულში ხომ ექნება მაინც შენახული...“

ეს ახლა, თორნიკეს სიკვდილის შემდეგ ფიქრობდა ცირა ქმრის მაგიერ, თორემ მაშინ, უბრად რომ იწვა ლოგინში მის გვერდით და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა დაჯავრიანებული კაცი, დანას ეხეოდა ქალი — მომისპო ამ შეჩვენებულმა ფერფლით თეთრეულიო. ცალკე იმაზე სკდებოდა გულზე, ველურივით რომ აღრჭიალებდა მისი დამთხვეული ქმარი კბილებს.

თუ ვარ ქალი, არც აწი შევარცხვენ შენს სახელს... (ათასი ქვრივივით ცხელ გულზე) ქმრის გადიდებულ სურათთან აღთქმა დადო ცოლმა. ისე როგორც არაერთგზის, ქართველი ქალის ამორძალურმა ბუნებამ ამჯერადაც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა ლაყბობის მადაზე მოსული ხალხი.

მერვე კლასიდან მონატაცებს საშუალოც არ ჰქონდა დამთავრებული. დედოფალივით უქმად ჯდომას იყო ნაჩვევი და მარჩენალი რომ მოუკვდა, — რა ეშველებათ აწი მაგენს, დაწყდებიან შიმშილითო — გამოჩნდნენ გულშემატკივრები.

რომ არ დაწყდნენ და სანაქებო დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გამოდგა ცირა, მერე ამას ამბობდნენ: თუ არ დაუტოვათ თორნიკემ კაი ბლომათ, რაფერაა რომ დაადგება მთელი ზაფხული და ბადრიჯნიან-კომპოტიანად გააპიპინებს იმ ხროვა ქილებს. თუ რამე გამოჩნდა ახალი, არიან სოვდაგრის შვილებივით მაგისი ბავშვები შემოსილები. ორიანით გატენილები კლასიდან კლასში მსუბუქად გადადიან და მათ დღეობებზეც იმდენი ღვინო ისმება, თორნიკობას რომ არ იწურებოდა მაგათ ოჯახში.

ყველაფერი ესმოდა ცირას. არ გამიგონიაო ვითომ. სად ეცალა საკამათოდ. სამ ადგილას მსახურობდა ქალი: პაპანაქება ზაფხულში მანგლისის ბაგაში აიყოლიებდა ბიჭებს. შუადღის მერე თბილისში გამორბოდა სამუშაოდ... და მაინც მთელი დღე ფეხზე გადამწყდარი ისე ამაყად შემოვიდოდა ეზოში, ვინ იფიქრებდა, საბაზრო ჩანთაში ჩაყრილი სანოვაგე მამასისხლად ჰქონდა ნაშოვნი.

რომ გაუჭირდა, ცხობაც ისწავლა. დადიოდა მდიდარ ნათესავებში ქალი და აცხობდა ნიგვზისგულიან ატმებს. ვერ გაარჩევდა კაცი ნამდვილისაგან, ისე იყო ნუგბარით დაფერილი. გაიტანდა ლანგარზე დაწყობილ ნამცხვარს დიასახლისი თავის სტუმრებთან და საშემოდგომო ხილით შუა იანვარში იწონებდა თავს.

სამზარეულოში კი ამ დროს გასუსული იდგა ცირა და დიასახლისის ფანტაზიით მოხიბლული სტუმრის დაშაქრულ ქათინაურს ისმენდა.

— წავალ ახლა მე, — ჩუმად რომ იტყოდა, თავს გამოიდებდა მაშინ მამიდაშვილი იქნებოდა ის, თუ მამიდაშვილისშვილი:

— ე გოგო, რა გეჩქარება, შეყევი ცოტა ხანს, გაგაცნო უნდა ჩემი მეგობრები... არ ვარგა ასე, ახალგაზრდა ქალი ხარ ჯერ... დაენახო უნდა ხანდახან შენც ვინმეს...

ამაზე ატმის კანივით დაესუსხებოდა ლამაზ ქვრივს ლოყები. რომ არ დაენახებოდა მაინც არავის და „თვალსაც რომ არ დაალევინებდა წყალს,“ მასპინძელი იფიქრებდა ფულს ვერ შევკადრებ, უხერხულიაო... ჩაუწყობდა ჩანთაში მჭადის ფქვილს, შაშხს, კვერცხებს, ლობიოს, ბრინჯს და ასეთებს, რაც ექნებოდა...

მორბოდა მერე ცირა სახლში და შოშიებივით პირდაფჩენილ ბიჭებს თავისი ხელით აჭმევდა. წლიდან წლობამდე დანაზოგი ნატურითა და წამატებული ფულით დიდ დღეობას უხდიდა ცირა შვილებს.

მერე ის გოგია, ვახტანგი, ოტია... მეასედ სვამდნენ თორნიკეს შესანდობარს და ამ გახსენებულზე დაკარგული მეგობრის თავმოყვარე ობლებს ძალისძალათ უტენიდნენ ჯიბეში ქაღალდის ფულს.

დიდი ფასი ედო სანოვაგეს ბაზარში და უკვირდათ მეზობლებს „რა ექეიფებათო“.

უკვირდათ, რადგან „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირისა“ არ იყოს, რა იცოდნენ სახადივით რომ შეჰყროდათ ამ ობოლ ბიჭებს დღეობა... არც იმას შესწრებოდნენ, მილიციის სამორიგეოში გამწარებული რომ ეჩურჩულებოდა მოაჯირს გადაღმა დედა შვილს:

— დათუნა მოსასპობო, რა მიქენი აგი... ხომ დავიღუპეთ ბიჭო, აწი... რალა ახლა აგიტყდა, შე სასიკვდილე, ცემა-ტყეპა, ჰა, რა ვქნათ ახლა, მითხარი... გამოგიშვან იქნება თოთხმეტამდე. არჩილს კი დავურეკავ ამაღამ მე, მარა რო არც მისი ხათრი დაიდონ, რას შობი მერე... რაცხა ორი კაპიკი შემოგვივიდა, ბიჭო, დღეობაზე და გემეტებოდა ხომ იგიც... ეგდე ახლა მა საყინულეში, შე გლახა! გალახე მაქანეც თუ გინდა ვინმე და იცოცხლე გარონიო მთელი ზამთარი იმ ძველი პალტოთი ჩამოტყაული. მინისტრის გოგო კი არა, თლათ მეფის ქალიშვილი გამოგეკიდოს იქნება რომ დაგინახავს, ცოლად წამიყვანეო.

ასე, ჯახირით, როგორც იქნა დაამთავრა უფროსმა სკოლა. არ დამეჩაგროსო შვილი დედამ, — ძლივძლივობით ჩამოხსნა ოცდაოთხსანთლიანი ბროლის უშველებელი ჭაღი. მიჰყიდა მერე ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალი მეფურნე ალიოშას ცოლს და მოხვდა დათუნა ინსტიტუტში.

წინა მოსვლაზე თვალმოკრული, ჩინური სერვიზისთვის რომ მოადგა ხელმეორედ ალიოშას ცოლი, გასივდა ქალი გულზე და უხეშად გასცა პასუხი:

— ღმერთო კი მომკალი, ქალბატონო გოგუცა, რავა გეკადრებათ! სამაგისო გაჭირვება რა დაგვატყეთ ნეტაი... ჭალი ისე, რომ აღარ მომწონდა, მიტომ მოგყიდეთ, თუარა ამ მოხატული თეფშებიდან ცხელი ღომის ჭამას არაფერი ურჩევნიათ ჩემს ბალნებს...

სადღაც წიგნში ამონაკითხი, თუ ბებიისდროინდელი სიბრძნე ახსოვდა ცირას: ერთჯერაც თუ წაგცდა კვნესა ხალხში, მშვიდობით მერე... კაცი არაა შენი ქომაგი და გამკითხავი. არ უნდა იტირო ამიტომ ქალმა დღისით, ისიც ქვრივი თუ ხარ მაშინ. დააჭირო უნდა თითი ყველაზე უწინ ათრთოლებულ ძარღვს და თუ მაინცდამაინც გეცრემლება, დიდია ღამე, ჩაწვე უნდა ლოგინში და გამოიტირო მერე შენი გაჭირვება შენთვის...

ამიტომ დილაობით წელში გამართული გადიოდა ეზოდან ცირა. მთელი დღე უპატრონოდ რჩებოდნენ ბიჭები. იშოვიდა უფროსი დროს, აღარ ჩერდებოდა სახლში.

უმცროსი კი საათობით იჯდა აივანზე. ათასნაირ ფიგურებს ხატავდა და ძერწავდა. რომ მოსწყინდებოდა, შევიდოდა შინ და მრგვალ ცისფერ აქვარიუმში ჩაყრილ ოქროს თევზებს ელაპარაკებოდა სევდიანად. ჭყაოდნენ ამ დროს გალიაში მისი ყვითელი თუთიყუშები. „დურაკ-დურაკ“... შეთქმულებივით ერთად აგინებდნენ უყურადღებო პატრონს. საბას კი ოცნებით ნამდვილი, ლურჯი „ტეხასური“ ეცვა ამ დროს და სამხრეთულ სტეპებში ქამანდით დასდევდა თეთრხალებიან მუსტანგებს... ისის იყო იჭერდა რომელიმეს, ღონიერ ფაფარზე წაატანდა ხელს და... უხეშად წყდებოდა აქვე მისი შეურყვნელი ბიჭობის სადავე.

წიხლით შემოაღებდა მთვრალი დათუნა კარს, შემოუძლვებოდა ძმაკაცებს; მიეყრებოდნენ მთელი დღის ყიალით არაქათგამოცლილი ბიჭები ტახტზე და ღვინისა და თამბაქოს მძიმე სუნი დგებოდა ოთახში. იქვე, კუთხეში ატუზული საბა ისმენდა მერე სად და როგორ უფათურებდნენ ბიჭები ხელებს საეჭვო ყოფაქცევის ქალებს...

ლაყბობით გალიზიანებული, მოთენთილი ბიჭი გადიოდა კარში და კარგა ხანს უაზროდ აშტერდებოდა ვარსკვლავებით მოქსოვილ სიჩუმეს.

წყდებოდა ცის კაბადონზე ყველაზე სულსწრაფი მნათობი, და ძლივსღა მბჟუტავი რომ ეცემოდა მიწაზე, ფხიზლდებოდა საბაც... მამია რუხაძეს კი სულ არ ჰქონდა ჩამქრალი ვარსკვლავის ჯავრი. ქურდივით ჩუმად, სწრაფად ისროდა ანთებული პაპიროსის ნამწვავებს ეზოში და მეზობლის ცინცხალ „ვოლგას“ სახურავს რომ უწვავდა, ალბათ ამით იქარვებდა თავის დასიებულ გულს.

ამ „შავბნელ ოპერციას“ რომ წაესწრო ერთ საღამოს საბა, გაუფართოვდა თვალები. ერთი ბეწო გულმაც უსაშველოდ ხმამაღლა გაიღო ბაგუნი. დაძაბულმა და ერთბაშად შემართულმა ვეღარ გაუძლო იაფფასიან ავკაცობას და მუშტებმოღერილმა ღრიალით შეიგინა პირველად თავის სიცოცხლეში.

დახუთულ, მრუმე ღამეში ისე მძიმედ, მართლად გაისმა თიკანივით უწყინარი ბიჭის ხმა, რომ წამით მაინც გამოაფხიზლა და დაჯაბნა ზრდილი ადამიანების დახვეწილი სიჩუმე...

ზღურბლზე გადაფითრებული ქალი იდგა.

„შემოდი საბა სახლში“... ეს სამი სიტყვა, ქალის სახეს რომ შეხედა, წინასწარმეტყველივით ამოიკითხა ბიჭმა. მერე ფიქრშივე სინანულით განაგრძო: „არც გაიკვირვებს, არც შეიცხადებს, — რა მოხდა, რა დაგემართაო?! — არაფერს ამდაგვარს არ იკითხავს“.

ქალმა, რომელსაც ვარდისფერსახელოიან ჟორსეს სალამურზე სიფრიფანა ხალათი სახელდახელოდ შემოეცვა, ჩამყუდროვებულ ეზოს მკვირცხლად, შო-

ნაურულად მოავლო თვალი და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უთხრა შვილს: „შემოდი საბა სახლში“...

საბას გაეღიმა და გული ეტკინა. ეს სამი სიტყვა, ასე შიშნეული, და ცოტათი გამომშრალი, დედას კი არა, ქალს ეკუთვნოდა, ქალს, რომელიც წლობით ისე მისჩვეოდა ქმრის უზნეო, ავყია სიმთვრალეს, რომ ახლა, ამდენი ხნის შემდეგ კაცის მყავე, დამსხვრეული ხმისაგან ველარ გაერჩია მოზარდი ვაჟიშვილის ჯერ ისევ ნორჩი, ათრთოლებული ხმის იოგები.

— შედი სახლში და დაწექი! — ისე მკაცრად და დაბეჯითებით დაუბრუნა ბიჭმა, რომ ცირა უხმოდ დამორჩილდა.

ნახევრად შებრუნებული ქალის მკერდს ჰკიდა თვალი შვილმა, კინაღამ აქვითინდა. ოთახის სიღრმიდან ახლა დედის ზურგილა მოსჩანდა; მიდიოდა ქალი და როგორც ბოლმით შესიებული, მძიმეზე მძიმე დარდი, ისე მიჰქონდა თავისი ლბილი და გადამწიფებული მკერდი.

* * *

— ვის არ მოჰკვდომია ბებო! — სასთუმალთან სალომე იჯდა, ნაღვლიანად უღიმოდა ბიჭს.

სალომე ერთადერთი ქალი იყო, ვისაც საბა მაინცდამაინც იმიტომ კი არ ეცოდებოდა, რომ მამა არ ჰყავდა, არამედ იმიტომ, რომ ასე „ულვთოდ მიატოვა ბებომ“.

ამიტომ საბა მოხუცი ქალის გვერდით თავისუფლად გრძნობდა თავს და მგონი, უყვარდა კიდეც იგი. სხვა რომ არა იყოს რა, მის „დაქარგულ ენას“ რამდენჯერ გადურჩენია მათი ოჯახი დარბევისაგან.

სოფიოს კი, მიუხედევად იმისა, რომ ყოველთვის სალომეს უხმობდა საშველად, მეგობრისადმი თანდათან განელებოდა სიყვარული. ეს გაუთხოვრად დარჩენილი ქალი, რომელიც საზოგადოდ სხვათა თვალში ყოველთვის დაჩაგრულისა და უბედურის სახელს ატარებს, სოფიოს აზრით, არაერთგზის ყოფილა მასზე ბედნიერი, რადგან არაერთგზის გამარჯვებული გამოსულა მათი ოჯახური დრამიდან...

თორნიკე სალომეს უჯერებდა და საკუთარ დედას სათოფეზე არ იკარებდა. „ბედის დაცინვა თუ გინდა, ესაა“, — გულშემოყრილი იტყოდა ხოლმე სოფიო. რას გულისხმობდა ამ ბედში ბებო, ღმერთმა უწყის. იქნებ სამდურავს ამბობდა და საკუთარ ბედს უჩიოდა, ულელი და გამრავლება რომ არგუნა წილად. იქნებ ამ სიმრავლეს ხნიერი ქალისათვის არასოდეს მოუტანია წლობით ნაფერები და ნაპატიები ნაშიერის სითბო. ამიტომაც ქალს არასოდეს დასტყობია ლვაწლმოსილი ბებიის ამაყი გამოხედვა.

პირიქით, ყოველთვის ისეთი რიდიანი, უხმო ნაბიჯებით შემოვიდოდა ბებო ოთახში, რომ მასთან შედარებით მიკიც კი უფრო თამამი და ლონიერი ჩანდა. ამის გახსენებაზე ბიჭს გული ეწურებოდა. მრგვალთვალება იაპონური ჯიშის გაცქვეტილი ძაღლი, თავდაპირველად მოდის ინერციით რომ შეეძინათ, ახლა ოჯახის სული და გული გამხდარიყო და ისე ნებიერად გაწოლილიყო ქიშმირის შალზე, უბატონოდ ხმას ვინ გასცემდა.

საბას ის დღე გაახსენდა, სტუმრად მოსულმა მამიდაშვილებმა, აქაოდა შენთან დამეგობრება გადავწყვიტეთო, საიდუმლოდ რომ გაანდეს: „მოხუცი ოჯახში ზედმეტი ბარგიაო“.

როგორ სძულდა ისინი ამ დროს, ეს სიტყვები კი როგორ ჰგავდა მამიდაშვილების ნაპატიებ ფერსა და ხორცს. და მაინც ამ გალიპულ, ვარდისფერ არსებებს საკადრისი პასუხი ვერ შეაგება საბამ. იქნებ იმიტომაც, რომ ოჯახისეულ „სიბრძნეში“ უფროსი ქალის, მამიდის ინტონაცია დაიჭირა.

ბარგის ხსენებაზე საბას მამიდამისის ქმარი ზეზვა წარმოუდგა, ერთთავად თავის სამუშაო კაბინეტში ჩაბუდებული. ამ უზარმაზარ სახლში კაცსაც ისე მძიმედ და ერთგულად აერჩია თავისი მუდმივი ადგილი, როგორც წიგნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტენილ ძველთაძველ კარადას ალმოსავლეთის კედელი.

საბას ყოველთვის ერთი სურვილი ჰკლავდა, — გაეგო რა ეცვა ამ კაცს ფეხებზე.

„ზედმეტი ბარგი — მამაშენია..." — ენაზე მომდგარი სიტყვა ძლივს შეიკავა.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, საბას ბრაზი მოსდიოდა ამ შეკავებულ სიტყვაზე, იმაზე რომ მოულოდნელი პასუხით არ დააფრთხო პატარა და-ძმა და მამიდამისის ისედაც ფერიანი სახე კიდევ უფრო არ გააწითლა. ამ ქალის სახეზე არასოდეს გადურბენია სიხარულს, არც მწუხარებას ჩაუმუხლავს და არც სიყვარული გარინდებულა თუნდაც წამით... თითქოს შუადღის ხვითქში გაწოლილ ამ ფართო, დაფერილ გზაზე შეჩერება კი არა, ჩავლაც ეკრძალვოდათ ადამიანურ ვნებებს. მაშ, საით მიდიოდნენ, სად იკარგებოდნენ?! საბას ისიც უკვირდა, მამამისს საკუთარ დად რომ ეკუთვნოდა გამაღიზიანებელი სიმშვიდის მქონე ეს უცნაური ქალი.

„ვის არ მოჰკვდომია ბებო" — რა შესაშური სიმშვიდე წვეთავდა ამ ოთხი სიტყვიდან... თითქოს ჩუმად მოსული წვიმა თავს ვერ მალავდა და მძიმე, მონოტონური წვეთებით ფანჯრის რაფას უვნებლად ეხეთქებოდა.

კაცის ვეება, მუქი ჩრდილი კი სანაპიროზე დააბოტებდა. საბას ეჩვენებოდა, რომ ნაცრისფერი ქვებით მოფენილი რიყე რკინის გისოსებით შეჭედილი გალია იყო, რომლიდანაც თავს ველარასოდეს დააღწევდა ეს ვეება ჩრდილი.

რას ფიქრობდა, ან რას გრძნობდა მაშინ მამაჩემი? — ეს შეკითხვა გამოცანად დალოდებოდა გალიის კართან ბიჭს. რამდენჯერ სცადა მისი მოცილება, ვერ იქნა და ვერ მოახერხა. ამაში მას აღარც სალომე დეიდას ასაკისეული შეგონება შველოდა და აღარც იმ გოგოს საგანგებო გამოხმობა. სულსწრაფი უფროსები კი გოგოზე ფიქრის დაწყებას გულუბრყვილოდ ჩაუთვლიან ბიჭს დაკაცებად. ბიჭი მაშინ კაცდება მხოლოდ, მოგონილი ქალის უარყოფას რომ შესძლებს პირველად.

„შობელძაღლები არიან ეგენი, იქვე ნაპირთან ეყოლებათ სადმე მიბმული"...

საბას ტანში გასცრა... ჭერისაკენ ტაატით მიმავალ პაპიროსის გამონაბოლქვს ძალის-ძალათ დაადევნა უმეტყველო მზერა... კვამლისფერ ბინდში ჩაძირული ველარ ხედავდა მამისა და მისი მეგობრის შეწითლებულ, სისხლმოწოლილ სახეებს, თბილ წყალში შესულივით შვებას გრძნობდა.

უცნაური თმა ჰქონდა ბებოს — ჭაღარა და მაინც ხვავრიელი, ქალიშვილივით მძიმე და მბზინავი თმა. თავდაბანილი, ყოველთვის მზისგულზე შრებოდა. ასე თმაგაშლილი, შუაგულ ეზოში მზესმიფიცხებული გასაოცრად ლამაზი იყო. რაღაც ღრმა, უძირო საიდუმლოს ინახავდა მის სუსტ მხრებზე ხორბალივით ჩამოშლილი თმა. ასევე მშვიდად, ოღონდ უმზეოდ და გრილად გაშლილიყო ახლა თმის მძიმე ტევრი წყალში. წყლის დინებით მასა თავის ნებაზე აბურთავებდა მას. მთელი სხეულით მოძრაობდა გვამი, თითქოს თმის მოცილებას ლამობდა. ამაზრზენი სიზანტე დაუფლებოდა წყალს.

„რა მხიარულად ცურავდა მამა" — წამიერი ჩაყვინთვები, რითაც ასე აფრთხობდა შვილს, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა კაცს.

„როგორ ვუყვარვარ მაიმუნს"...

ამ სიყვარულის მოსაპოვებლად მარგალიტის მაძიებელივით მეათასედ გარბოდა ზღვის ფსკერისაკენ კაცი.

„მამა!! მამა!!"... სამჯერ დაძახებას ვერც კი ასწრებდა დადარაჯებული ბიჭი. სადღაც ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა კაცის თავი, რა სწრაფ-სწრაფად მეორდებოდა ეს სიხარული, ეს გულისხეთქვა, ეს დაჯერება და სიყვარული.

რა მხიარულად ცურავდა კაცი, რა უდარდელი იყო ბიჭი!

* * *

„არა, მაინც რა მიქნა, ჰა... ჭამდა, სვამდა, ვაცმევდი, ვახურავდი..." საბას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ შესცივდა... ოღონდ მამამისის სიტყვები და ეს შეციება ახლა სირცხვილს უფრო ჰგავდა, ქარი რომ უდროო დროს დაუბერავს და მხურვალე სხეულიდან სულ ერთ წამში უზოდოშოდ გამოდევნის ადამიანურ სითბოს. რა შეურაცხმყოფელი და უნიათო რჩები ამ დროს.

საბა გრძნობდა, რომ ციებ-ცხელება გათენებამდე გასტანდა, რადგან დილამდე ფეხს არ მოიცვლიდა ოჯახის მეგობარი კაცი. მამას უსიამო ხმა ჰქონდა. ბახუსგამოვლილი ასეთი ხმით იგი ყოველთვის აუგად იხსენიებდა საკუთარ თავს. მტკიცედ და უანგაროდ იმეორებდა, რომ კაცი არაა, მოსაკლავია, ანგელოზივით ცოლ-შვილს რომ აწიოკებს... ეს უკვე მერამდენედ დებდა პიროზას, — დღეიდან ახლოს აღარ გავეკარები სასმელსო... „თუ გავეკარო... ვიყო“... სიმთვრალეს გამოყოლილი ეს სიტყვა თავისი სიგლუვითა და სიუხეშით საოცრად ჰგავდა ქანგიან ნაჯახს, რომლითაც ახლადტანაყრილი აკაციის ფაქიზ ყლორტებს კი არ სხეპავდა, ჯიჯგნიდა კაცი. ბიჭს უსაშველოდ სწყდებოდა გული, თავს ინუგეშებდა, როგორ შეიძლება ერთმა სიტყვამ საკუთარი მამა შეგაძულოსო.

„უუხ შენი!“ — უფროსი ვაჟიშვილი გამომწვევად იჯახუნებდა კარს და სადღაც გარბოდა.

გულხელდაკრეფილი ბებია კი ტახტზე იჯდა უდრტვინველი, ცრემლგამშრალი ჭირისუფალივით. ისეთი სახე ჰქონდა, ვინ გაუბედავდა დაიმედებას. იჯდა და სიზმარივით ისმენდა ვაჟიშვილის პირით საკუთარი ცოლ-შვილის უმიზეზო ლანძღვა-გინებას.

სანამ ძალა შესწევდა, თავგამოდებული იცავდა რძალსა და ბიჭებს. ცალკე შვილის დარდი ჰკლავდა, ეცოდებოდა — ასეთი უსუსური და უხასიათო რამ გაზარდაო. აკანკალებული ბავშვი კალთას ახევდა შეპასუხებულ ბებიას, — ბებო გაჩუმდი, გეხვეწები გაჩუმდიო. მისი პატარა პეშვი ჩასციებოდა ბებიას ხელში. ერთ დილას სოფიომ ერთბაშად შეუღო შვილს კარი. მძიმე, შედედებული ჰაერის ნაკადი უსიამოდ შეეფეთა ქალს სახეზე.

— უნამუსო ხარ შენ. ტყეში უნდა ეგდო სადმე უპატრონოდ და მგელი უნდა ჭამდეს შენს ხორცს.

თორნიკემ გაოცებისაგან ხმა ვერ ამოიღო. დილის სუსხი იდგა ქალის ხმაში... მის ფითრ სახეზე თანაგრძნობის ნიშანწყალს ამაოდ ეძებდა კაცი. ის დღე და ის დღე! რაღაცნაირი არამშობლიური რიდი ჩადგა მათ შორის. ამ რიდით წინასწარმეტყველს გასცილდება ხოლმე ცოდვააკიდებული კაცი. რამდენს არ ეცადა, ველარ მოიშინაურა საკუთარი სისხლი და ხორცი ქალმა.

— შენ არასოდეს გყვარებივარ, დედაჩემო!

ეს უაზრო, სიმთვრალის დროს აკვიატებული, თითქმის ლუღლუღით წამოსროლილი სიტყვები ქალის მთელ წარსულს ერთბაშად ანგრევდა და ერთი ხელის მოსმით ყრიდა ამხელა ამაგს ცილისწამების მღვრიე გუბეში. სოფიოს დედური თავმოყვარეობა ათმაგად შელახული რჩებოდა სალომეს გამოჩენისას. არადა, ყოველთვის თავისი ნებით ახედებდა არეულ ოჯახის საქმეებში მეგობარ ქალს.

— ვის ეუბნები ამას, ვის?!.. მთელი ჩემი ქალობა მაგათ შევალიე, თვალში აღარ გამოვიხედე, ყველაფერი დავივიწყე ქვეყანაზე და ა, ბატონო! ტკბილ სიტყვას ვინ ჩივის, მწარეთი ნუ მომიკლავენ გულს.

— სირცხვილია სოფიო, დაწყნარდი, რავა უცხოზე ჩიოდე თითქოს ისე ლაპარაკობ, არ იცი მაგის სიმთვრალის ამბავი. ღვინომორეული კაცი რაღაცას წაიბუტბუტებს...

ცალკე ამ „წაიბუტბუტებზე“ სკდებოდა სოფიო გულზე (ვინ ეკითხება სხვას ჩემი შვილის ლანძღვა-გინებასო), ცალკე „რავა უცხოზე ჩიოდე თითქოსო,“ რომ შეახსენეს.

ვერ ხვდებოდა სოფიო, თორემ შვილის უხასიათობამ მთელი მისი დარდიანი, მაგრამ მაინც მჩქეფარე ახალგაზრდობა გაუუცხოვა და გადაავიწყა. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ იყო, რომ მოსაგონარი აღარაფერი დარჩენოდა. დრო მისთვის ერთ მთლიან, უზარმაზარ ურჩხულად გაწოლილიყო ქვეყანაზე და მისი წილი ჰაერი და წყალი კი არა მარტო, მისი წილი სათნოებაც გადაეყლაპა.

სადღა იყო წარსული, ან რაღა იყო მომავალი, ვის ეცალა ან ერთისათვის, ან მეორისათვის. აწმყო ჭირვეულობდა აკვანში ჩაკრული უზნეო ბავშვივით. ამ უზნეობას ზღვარი არ ედო. ეს უსაზღვრობა პირველად მოსული თოვლივით უხარია ახალგაზრდობას, თოვლივით, რომელსაც სითეთრის გამო უცნაური სითბო აქვს გამჯდარი. მაგრამ ის წლები სხვათა შესახვედრად დაუკითხავად გაკრეფილიყვნენ მისი ეზოს ჭიშკრიდან. სოფიოს ასაკი საზღვრის დადებას ითხოვდა ყოველდღე... თოვლი მისთვის ყინული იყო და არა ოცნება, მისი შეციებული სახსარი ცეცხლს ეტანებოდა. გადაღლილი სული და სხეული ძალლივით ერთგულ მყუდროებას ეძებდნენ.

სულ ეს იყო და ეს. ნუთუ ბევრს ითხოვდა, ნუთუ აღუვსებელი საწყაული ერქვა მისი სურვილების პეშვისხელა ჯამს? სამაგიეროდ, სივრცეები და ლურჯი იები ხომ სხვებს დაუტოვა? ასაკი შეიფერა, ღია ფერს შეელია და ღამისფერი კაბით შეიმოსა.

შვილიშვილი უნდოდა ჰყოლოდა კარგად, ხელისხელჩაკიდებულს მასთან ერთად ევლო და ბიჭის სითბო ისევე მიეტანა გულთან, როგორც ერთ დროს სისხლისფერ ყვავილს იბნევდა მკერდზე.

ბიჭი კი დღითი-დღე ცივდებოდა და ფერმკრთალდებოდა. ბებიას ისიც აღიზიანებდა, რაც ასე უხარიათ და რაზეც დიდ იმედებს ამყარებენ სხვა ოჯახებში. საათობით იჯდა საბა და პლასტელინის რბილი მასიდან ათასნაირ ფიგურებს ძერწავდა. „ძალიან მგრძნობიარეა ეს ბავშვი, რა მეშველება!...“ ფიქრობდა სოფიო.

როცა ძერწავდა, სიმშვიდე ანათებდა საბას, პატარა სახის ყოველი ნაკვთი აფორიაქებულ იერს იცვლიდა. გადაფითრებულს ყვრიმალებიდან ქპარებოდა სიწითლე. ოჯახის ყოფას მოწყვეტილი, თბილი და ბედნიერი იყო ბიჭი.

მწვანე ავაზა ხელისგულზე დაესვა მამას. მარჯვენათი კეფაზე თმას უბურდავდა შვილს. ეს მისი უსიტყვო, მოუხერხული შექება იყო, თანაგრძნობისათვის ყველაფერს აპატიებდა ხოლმე ბავშვი.

ბებია ფიგურებს შორიშორს და რიდით უვლიდა. თითქოს ეშინოდა ამ პატარა, უცნაურ კაცუნებს ზმორება არ ასტეხოდათ და დიდი ხნის ძილიდან გამოშუშებულებს ენა არ აედგათ.

ვინ იცის, რამდენ საიდუმლოს აეხდებოდა მაშინ ჭრელი და მხიარული ფარდა.

• • •

საბა ფანჯარასთან იჯდა და ბადურასავით წვრილ-წვრილი უჯრედებით მოქსოვილი ფარდიდან სადღაც იცქირებოდა. ეს უჯრედები სამყაროს დანაწევრებაში შველოდა თითქოს. მისი ჯერ ისევ ბავშვური გონება თანდათან ივიწყებდა მთლიანობის განცდას... საგნებსა და მოვლენებს შესეული გონება გამუდმებით შლიდა და ანაწევრებდა რაღაცას. მან უკვე იცოდა, რომ მუდმივი სიხარული არ არსებობდა, ისევე როგორც არ არსებობდა მუდმივი მწუხარება. ამაში მას დღითიდღე არწმუნებდა დედის უცნაურად მკვირცხლი, ცვალებადი იერი. ქალი ბედნიერი და უბედური იყო ერთსა და იმავე დროს. მის გვერდით ყოფნა რაღაცნაირ წონასწორობასა და იმედს ზრდიდა ბიჭში. დედის სევდა სადღაც შორიდან იღებდა სათავეს, რწევა-რწევით მოჰყვებოდა მშვიდ ტალღებს, რომლებიც ნაპირამდე ძლივს მოღწეულნი სიცილითა და შრიალით იშლებოდნენ.

ამიტომ იყო, რომ ქალის სახეზე ზოგჯერ აშკარად აღბეჭდილ ტკივილს არასოდეს შეუშინებია საბა. პირიქით, იგი ისევე შეჩვეული და ოდნავ ნაწყენი აღიქვამდა ამ ტკივილს, როგორც მგზავრი უცაბედად არეულ ამინდს, რომელ-



კ. მარქსის სახ. საქ.
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაც იცის, რომ ეს სიმუხთლე დროებითია.

გზის გადაღმა შეყვითლებულ გვიმრას უმიზეზო ნაღველი გადაესხა მიდამოსათვის. ეს ის დრო იყო, სიცხის გამო ფუტკარიც რომ აღარ ეტანება ყვავილის ბუტკოს. შეგუბებული ჰაერივით იდგა შუადღე.

ხაბას თვალი გზისკენ ეჭირა. მისანივით შორიდან გრძნობდა მოტორის გუგუნს, გულისცემასავით რომ გადასდევბოდა გამომშრალ ნიადაგს. პარასკევ საღამოს ამოდიოდა კაცი და ორშაბათამდე რჩებოდა... ეს ორი დღე თვალისმომჭრელი მზისფერი რგოლებივით დაშვებულიყო დალმართზე და თავქუდმოგლეჯილი დასდევნებოდა ბიჭი. გზის ბოლოს ჩამუხლული დედა ხუსტ მაჯაზე ასხმულ რგოლებს აჟღარუნებდა. ამ ჟღარუნში ფერად-ფერადი არშიებით აჭრელებული კაბის ქობა და ახალგაზრდა ქალის უზრუნველი ხიცილი ერეოდა.

„რა ცოტა ყოფნიდა დედაჩემს...“ — მოგვიანებით ფიქრობდა ბიჭი.

ორშაბათ დილით აგარაკზე ამოხიზნულ ცოლ-შვილს თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებაო, ისე გადაეხვეოდა კაცი. გორაკზე მდგარი საბა დიდხანს უმზერდა ბიჭივით მსუბუქად მიმავალ კაცს, რომელიც შუაგულ შარაზე გამომხტარ კუნძს ისე კინწისკვრით მიაგორებდა წინ, თითქოს ძალისძალად გაეხადა თანამგზავრად. გაოცებული ბიჭი ვერაფრით ვერ უკავშირებდა ამ უწყინარი კაცის თვინიერად მოდრეკილ ქედსა და იმ შფოთვარე დღეებს, გავეშებული და უკეთური, დაუნდობლად რომ სრესდა ყველაფერს.

„ეშმა უსახლდება გვამში, თუ რა ემართება ამ შეჩვენებულს“ — წუხდა ხოლომე დეიდა.

„ეშმა ალბათ ეშმაკია“... ფიქრობდა საბა, ისე რომ წამითაც აღარ აეჭვებდა მიღებული დასკვნა (პირიქით, ფიქრში ერთგვარი აზარტითაც კი ახდენდა ამ აზრის მხატვრულ განვრცობას): ნამგალა მთვარე, რომლის უჩვეულოდ თხელი რკალი სიახლისა და სინორჩის განწყობილებას გვიბრუნებს ხოლმე, თანდათან ივსება და იმღვრევა სხვადასხვა ფორმის ლაქებით... ათასგვარ საიდუმლოს აღძრავს ძველი, დაფორაჯებული და ეშმაჩასახლებული მთვარე.

უწყინარი, პატარა მდინარე კი დაფერდილ ქვებს ზოგჯერ გვერდებსაც რომ ვერ უსველებს, ისე ადიდდება და გაგულისდება გაზაფხულზე, მორებსა და სახლისტოლა ლოდებს სიმძიმეს აცლის და აბუჩად იგდებს...

ამ ლოგიკური გადასვლებით საბა მარტო მამის გამართლებას კი არა, გაგებასაც ცდილობდა. ამიტომ აღრენილი დათუნასავით კი არ სძაგდა, ეცოდებოდა მამა.

• • •

ქოხებივით უწყინრად მიჯრილი გალიებიდან შინაური ცხოველებივით იმზირებოდნენ მხეცები. მამაშვილი იშვიათად თუ შეიხედავდა ზოოპარკში. უქმე დღეებშიც კი, როცა წითლად აბრიალებული და ჯოხზე შესკუპული შაქრის მამლები ხელიდან ხელში გადადიოდა, ბიჭი სევდას ვერ ელეოდა.

გალიასთან ახლოს მოსულ მხეცებს, ბავშვებისაგან განსხვავებით, ქვეყანაზე აღარაფერი უკვირდათ. ზოგიერთ მათგანს ზედ ცივ გისოსზე მიედო ოდნავ დაცვარული დრუნჩი და სწრაფად სუნთქავდა. ამ სუნთქვას ამოყოლილი თბილი სურნელი საბამდე აღწევდა და აბრუებდა.

გულუბრყვილოდ გადაეშალათ იალაღი ქორბუდასათვის. აქლემის ფეხქვეშ გაბნეულ ქვიშას უდაბნოს სიცხე დაეკარგვოდა... ახალი ხორცის თიმთიმა ნაჭერი, როგორც დაკლული შეურაცხყოფა, ისე ეგდო მთვლემარე ხელმწიფის წინ. არ გალობდნენ იადონები, ფარშევანგი კუდს არ შლიდა, მის ჭაობისფერ ფრთაზე მიხატული თვალის გამოჩენას ამაოდ ელოდნენ ადამიანები...

მხოლოდ მგელი, ხმელი, გამოწურული და ნელი კადრიდან ამოვარდნილი, უცნაური სიმარდით მეათასედ კეცავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცრო გალიის გზას. ქედგამართული, დაჭორფლილი მწვანე თვალებით გამომწვევად იმზირებოდა, თითქოს ამ გიჟურ წრებრუნვაში თავგზა კი არ აბნეოდა, არამედ საგანგებოდ შემზადებული, ვერაგულ შურისგებას ამწიფებდა.

ხელოვნური ბორცვის გადაღმა უცხო ფრინველები დაყრანტალებდნენ. კაცი ლუდს სვამდა. პირველი კათხა ყოველთვის სასიამოვნოდ თენთავდა და მთელ სხეულს ღვთიური სიზანტე ეუფლებოდა.

„კიდევ ორი, სამი კათხა და... და... და..."

დაუმთავრებელ ფიქრს ისე ისროდა ბიჭი უკიდეგანო სამყაროში, როგორც კენჭს გუბეში. ფიქრის პატარ-პატარა წრეები უხმოდ იკვრებოდა და უხმოდვე ქრებოდა კენჭის გარშემო.

საბას ეშინოდა მამას ჩვეულებისამებრ არ ეკითხა, რიღა მაგასთან შეხვედრი ამდენხანს. ამ „მაგას" ისე მოულოდნელად და შინაურულად იტყოდა კაცი, თითქოს ძველთაძველი სისხლისმიერი ნათესაობა აკავშირებდა მგელთან. არადა, ქვეშეცნეულად სწორედ ფარული, მხოლოდ მისთვის გასაგები მსგავსების გამო, ყველაზე მეტად ეს მხეცი იზიდავდა. გვერდულად, ქეშად ახედავდა ალგზნებული თვალებით მამას და ერთი სული ჰქონდა გაემხილა ეს საიდუმლო. მაგრამ ჟინის დაოკებას უკვე ახერხებდა საბა, რომელსაც ბებიასეული გამოცდილება ღირსეულ მემკვიდრესავით ხიდად გაედო წარსულიდან მომავალში. დუმილი იყო ერთადერთი თავშესაფარი, რადგან გრძნობდა, — ამქვეყნად ვერავინ გაიზიარებდა მის ახირებას, სწორედ ამ მსგავსების გამო რომ ეცოდებოდა და თანაუგრძნობდა კაცს. თითქოს წყალთან ერთად ლიფსიტა თევზებად ქცეული სიტყვებიც უმწეოდ ასხმარტალებულნი ვერცხლისფერი ბადიდან თავის დაძვრენასა და ოკეანის სიღრმეში დაბრუნებას ცდილობდნენ.

ასაკოვანი კაცი ღარიბი ფარდულის შესასვლელში იდგა, რომლის მიღმაც ლითონის იხვები ამაყად დაცურავდნენ ცრუ გუბეებში.

სახელდახელოდ შეკოწიწებული ფიცრული თითქოს იმიტომ არსებობდა, რომ ისევ ტყის ბინადრად ეგრძნოთ თავი დატუსაღებულ ფრინველებსა და მხეცებს. მკვდარი სიმწვანე ფონად ედო მათს ჭრელა-ჭრულა ფრთებს.

„გინდა ვისროლოთ?!" — დაეჭვებული კითხულობდა კაცი. სწორედ ამ დაეჭვების გამო საგანგებო აღფრთოვანებით თანხმდებოდა საბა, თორემ ისე მისი თხევადი და ჰაერივით თავისუფალი წარმოდგენები მყიფე სხეულებს ველარაფრით ეგუებოდა. უსაგნობის განცდა ბავშვურ ხილვებს მირაჟებითა და სივრცეებით სავსე ქვეყანას ჰპირდებოდა.

წაბლისფერი ხის გაცვეთილ დახლზე გადაწოლილი კაცი თოფის დაჭერასა და მიზანში სროლას ასწავლიდა შვილს.

• • •

თედოს დაბადების დღეზე შემწვარი მწყერი ჩამოარიგეს. საბას თანაკლასელი გოგონები გაახსენდა, — უასაკო პატარა ქალებივით რომ მისჯდომოდნენ ქართულ სუფრას და შებრაწული ფრინველის უსუსურ ფრთებს ძვლებიანად კვნეტდნენ. უცნაური, ქალური ნეტარება გადაჰფენოდა თითოეულ მათგანს სახეზე. ამაყი და კმაყოფილი თედო კი ოჯახის მარჩენალი კაცივით შორიდან უყურებდა გოგონებს.

სასტუმრო ოთახს გამჭვირვალე მინის ვეებერთელა კვადრატში ჩამწყვდეული ჯიხვის ფიტული ამშვენებდა. კედლებიდან ხის სოკოებზე დაკრული ხოხბები ასაფრენად ემზადებოდნენ.

— რა ლამაზია! — აღტაცებას ველარ ჰფარავდნენ გოგონები.

თითქოს სილა გააწნესო, — ამ ნაცნობ სიტყვებს შემორჩენილმა სიმწარემ ახლაც ალმური წაუკიდა ბიჭის ფერმკრთალ სახეს. მამაკაცური პატივმოყვარეობის ჩანასახმა რა იოლად და უანგაროდ შეათრია ოდესღაც მაღლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გამომხატველი ეს ორი სიტყვა თავის ბუნაგში. ალტაცება კი... შვილიშვილს კი არა, ბებოს ეკუთვნოდა, ბებო-ხელოვანს, იმ მხატვრული ტილოს გამო, რომელსაც ოდნავ უხერხული, ყოფითი სიტყვა — საბანი ერქვა სახელად (ხოფით საბნებს კერავდა და იმით ირჩენდა თავს). რა გულდინჯად, რა გულდასმით და ჩუმი ვნებით შრომობდა ქალი. ეს სიჩუმე, აუმღვრევლობა იყო სწორედ იმ ხელოვნების საწინდარი, რომლის მისაღწევად უამრავი ომის გადატანაა საჭირო და რომელიც ამგვარ ხალხურ თანაგრძნობას წარმოშობს: „წისქვილი არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ...“ რა იცდიდა სამი წერტილის გადაღმა?! რა ევალებოდა ხელოვანი ქალის შვილს, რომელიც მარტო შვილი კი არა, უკვე მამაც იყო (ამაზე ფიქრობდა ახლა საბა).

არაფერი ისეთი. ოჯახური იდილიის სიმყუდროვეში ჩაფლულს, უცხო სუნელით შეკაზმულ სუფრასთან ხანდახან მაინც უნდა გამოეხატა თავისი ალტაცება (იმ გოგოსავით ანცად და უშუალოდ კი არა):

— რა გემრიელია დედაჩემო, შენი ამოზელილი ლობიო!

„რა ლამაზია!“ — ალტაცებას ველარ ჰფარავდნენ გოგონები, მაგრამ საბა აღარ თანაუგრძნობდა მათ, ცივად იშორებდა თითოეულს, რადგან მოგონილი იყო ეს ალტაცება, მოგონილი და დაუმსახურებელი.

ეს ორი სიტყვა, ორი თვალი იყო სამეჯლისო ნიღბისა, რომლის ხეშეშა, ალმაცერად აჭრილი ჭუჭრუტანიდან ხარბად იმზირებოდნენ პატარა ქალები. ერთი სული ჰქონდათ შუშხუნა ლიმონათით გაჭყეპილ გოგონებს მუყაოს ნიღაბი მრუმე ფერის ფორმის კაბასავით მოესროლათ, რადგან მის მიღმა მოვლილი და ვარდისფერი მშვენიერება იცდიდა... გამხელილ საიდუმლოს მძიმე ჰაერივით აევსო ოთახი.

ყრუდ, ძალიან ყრუდ და თბილად ეროდა საბას გული. გრძელცხვირა ხის კაცუნასავით ოქროს გასალები ეჭირა ხელში. ვილაც მოშიებულ მეოცნებეს კარზე ტილო აეფარებინა. ტილოზე ეხატა ჯაჭვით დაკიდებულ კარდალაში როგორ თლიფინებდა ბულიონი. მეოცნებეს ეგონა კარს მიღმა მტრედისფერი ცა გაილვიძებს და აღარ მომშივდებაო.

გასალებს ითხოვდნენ გოგონები. რა სასაცილოდ სევდიანი იყო მათი სურვილი, ოქროს გასალები სჭეროდათ ხელში. მათ ხომ ასე თავისუფლად გაეთქვათ საიდუმლო.

„ნუთუ ველარ ხვდებიან, ოქროთი სამყაროს კი არა, უბადრუკი ნალიის კარს რომ უპირებენ შეღებას“, ფიქრში წასული ბიჭი წამით ისევ რეალობას უბრუნდებოდა. თედოს მამა ისეთი მომცრო ტანისა იყო, ბიჭებს ეჭვი ეპარებოდათ, ამხელა დათვი როგორ მოკლაო. საბა კი ამ კაცის მშვიდზე მშვიდ და თხელ თითებს უნებლიედ მამამისის ვეება ტორებს ადარებდა.

მტკიცე, გულდაჯერებული გამოხედვა ჰქონდა თედოს მამას, თითქოს სადღაც, ჰორიზონტს გადაღმა უკაცრიელ ულრანში უკვე აერჩია მსხვერპლი. ოფლთან ერთად სისხლიც იქვე დაელვარა და ნაგაზივით აქელებული, სიმშვიდესაც იქვე დალოდებოდა. ასეთი ბრძოლის შემდეგ კი, ვითომც აქ არაფერიო, პატარ-პატარა, ჯერ ისევ თბილი და დაწინწკლული მწყრებით აცმული ტყავის სქელი ქამარი წელზე შემოერტყა და შინისაკენ მიმავალ გზას დასდგომოდა.

საზეიმოდ მორთულ ოთახში, საცა ბავშვები ძვირფას ნუგბარს შეექცეოდნენ და მათი ბედნიერი ჟივჟივი ჩახჩახა ჭაღის შტოებზე ჩამოკონწიალებულ ბროლის ლებნებს ოდნავ არხევდა, საბა ადგილს ვერ პოულობდა.

უდროო დროს მოსული სტუმარივით თვალსაწიერზე გამოჩენილი უბრალო ხის ყვითელი მაგიდა ჯერ ისევ დაუსრულებელი ფიგურებით იყო სავსე. შემცბარი და სახეალეწილი სიამაყის იმ იდუმალ, სასიამოვნო გრძნობას მოეცვა ბიჭი, რითაც თანდათან უნდა გამ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ქლავნებულიყო მისი ჩუმი, ძლიერი და მტკივნეული უპირატესობა სხვათა წინაშე.

თედოს მამასთან გაჯიბრების მწვავე სურვილი აღარ აძინებდა საბას. ჩამუქებულ, დატბორილ ჭალაში ხოხბის აფრენას ჩასაფრებულ კაცს სუნთქვა შეჰკვროდა.

მონადირის ეს დამუხტული გარინდება აფრენილ სიცოცხლეს ულამაზეს პოზაში ასე გულუბრყვილოდ და ვერაგულად უპირებდა დაჭერას. მკვდარი ფრინველი მოწყვეტილი მეტეორივით სწრაფად და ცივად ჩაიქროლებდა. ფრინველისა და კაცის სხეულიდან გამოდევნილ სითბოსა და ქინს მოლურჯო ფერის ბოლი ასდიოდა. შინ მობრუნებული კაცი დროსა და ფულს არ ზოგავდა და საკუთარი ხელით გამეტებულ სილამაზეს თივით გატენილი ფიტულით უპირებდა გაცოცხლებას.

საბას არაერთხელ უფიქრია გულისწყვეტით, ნეტა როდესმე მამაჩემი თედოს სახლში მიმეყვანაო. მას სჯეროდა, რომ გულდასმით მოხატული ოთახი ვერაფრით ვერ აუჩქროლებდა მგრძნობიარე კაცს სისხლს და მწვანე ხელოვნურ სამეფოში არცერთ საგანზე არ შეაჩერებდა იმ სევდიანი სიყვარულით აღსავსე მზერას, რომლითაც ერთ დროს ხელისგულზე დასმულ შვილის მიერ გამოძერწილ ავაზას ეფერებოდა.

„მამას ალბათ არასოდეს მოუკლავს ნადირი, ამიტომ თუ უყვარდა ტირში სროლა...“

კაცს კი მიამიტად ეგონა, ბიჭი თუ ფუნჯიანი ისრებით მუყაოს სამიზნეს დაცხრილავდა, ამით საკუთარი სიძლიერისა და შესაძლებლობების რწმენას განიმტკიცებდა.

* * *

ბუსუსა, ხაოიან მცენარეს (მარაოს ფორმა რომ მიეღო), ტროპიკული მხურვალება ველივით შემოესალტა და სხვა ჯიშის ყვავილებში მყუდროდ დაყურსულს ნოსტალგია დასტყობოდა.

„ამისი სამშობლო ბრაზილიაა, კაკაოსა და შოკოლადის სურნელოვანი ქვეყანა“, — გაწრიპული გოგო ბამბუკის წვრილ ჯოხს გადაწითლებული სკვერისაკენ იშვერდა და აღმართს აყოლილი, ახლა სხვა ზონისაკენ როგორც სამწყსოს ისე მიერეკებოდა ექსკურსანტებს.

პურის ყანაში ცისფერთვალა კაცები სწრაფად და იოლად თიბავდნენ. თორნიკე კი ისე მდორედ, ისე ფრთხილად იქნევდა ცელს, თითქოს საუკუნო იდუმალებით მოცულ რიტუალს ასრულებდა.

გულმოწყალედ ილიმებოდნენ გოლიათი გლეხები; ისინი მხოლოდ სიფრთხილეს ხედავდნენ, ბარიდან ამოსულ ძმას ნაკლივით რომ ამოეტანა თან. კაცის სხეულში მეყსეულად ჩასახლებული უჩინარი და უსახო რიდი კი, თითქოს უცხოთა მზერას გაურბისო, ისე უხერხულად იქნევდა ცელს. ამ მოუქნელ, გაუწაფავ მოძრაობას შორიახლოს წყვილი თვალი სდარაჯობდა. ერთადერთი ჭირისუფალი კი სხივივით გულწრფელად გაწოლილიყო ზვინზე.

— აი ეგეთი ძლიერი მუშა იყო ყოველთვის მამაშენი...

ვითომ ხუმრობა-ხუმრობით სიმართლის სასახლეში უპირებდნენ ბიჭს შეტყუებას. ეს სასახლე კი ისეთი მოსაწყენი და ნაცრისფერი ქვით იყო ნაგები, რომ ბიჭი შიგ შესვლას არც აპირებდა: უდარდელობის ნიღაბს შეფარებული ჩალის ღერს ღეჭავდა და ამთქნარებდა.

სამაგიეროდ კაცი ხვდებოდა ცოტათი გალიზიანებული და ცოტათი კმაყოფილი ხალხის ირონიას. წყაროს დაწაფებულ ძმებს ვერ გადაეწყვიტათ, — უნდა შესცოდებოდათ თუ შურით უნდა გამსკდარიყვნენ სტუმრად ამოსული ძმის მუხლებზე უქმად დაწყობილი ტორების დანახვისას.

„ამისი სამშობლო ბრაზილიაა...“ ახსენდებოდა კაცს. „უცოდველობის გამო არ დაუკარგავს უცხო მცენარეს წარმომავლობა...“

განცვიფრება მაშინ გენახათ, ყანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავე კაცებს წამით მაინც რომ დაელანდათ უმცროსი ძმის გონებაში შესეული ფიქრი.

რას გადაეგო ამ უცხო ჯიშის მცენარეს ნეტავ, რაღა დროს მაგის ყვავილებზე ფიქრია. თუ მაინცა და მაინც... სავსეა აქაობა კლდის ყაყაჩოთი და მეგმლდით.*

იმ უცხოს ჰქონდა სევდა და ხიბლი უცხოობის გამო, მარტოობის, მიუსაფრობისა და მოგონილი სიმხიარულის გამო... შუა ზაფხულში უსამშობლოდ მაინც ჰლუოდა მისი შინდისფერი ფოთოლი.

ძმებს კი არა, რომ გეკითხათ, ალბათ თავადაც ვერ გეტყოდათ, რას გაეჩინა ეს უცნაური, გვიანი თანაგრძნობა, რას ან რატომ შემოენახა იგი!

მთებს გადაღმა, საკუთარი ძმის თვალებივით არამშობლიური და ეჭვიანი ქალაქი იცდიდა. უხაროდა იქ დაბრუნება კაცს? ეზარებოდა? ...გაურკვევლობა და მერყეობა სამუდამო კატორღასავით მიესაჯა ვიღაცას მისთვის. ძმათა გულებსაც ნედლი მერქანივით არა და არ ეკიდებოდა ცეცხლი... უხერხული სიჩუმე ზანტად ბოლავდა ოთახში.

— რას დამუნჯებულხართ, მე კი არ მომიკლავს დედათქვენი!...

ჩვილი ჰაერივით ძლიერი და ვნებიანი ხმა, როგორც ნიშადურის მძაფრი სუნი ულონოდ გადამთვრალ კაცებს, ისე ეცათ ძმებს, მაგრამ სულის მაგიერ თითქოს ქვაბში ჩაგდებულ ხორცს მიეძალა დუღილი.

კაცს მოეჩვენა რომ აქ, ამ გაბოლილ ჭერქვეშ დატრიალებულ სიმთვრალესა და სიმარტივეს ცოტა რამ ჰქონდა საერთო ადამიანებთან. ეს სამყარო უფრო იმ დევების სამყოფელს ჰგავდა, რომელთა უსულო, ვეება ტორსი მარტივი საიდუმლოთი ოდითგან პირთამდეა სავსე.

დევებს ახლა ტრადიციული ჭაბუკივით ებრძოდა კაცი და მათ გამომშრალ, ღარიბი სულის ჯურღმულებში მშვენიერებასა და სიმართლეს ეძებდა. იქნებ ეს ძებნა იყო სწორედ ადამიანური სიბეცეც და შეცდომაც. მაგრამ თავისთავად მშვენიერი იყო ეს შეცდომა. მშვენიერი, რადგან კაცს ვერ წარმოედგინა უზარმაზარი სხეული, როგორც სხეული. გამოქვაბულს იმისთვის კი არ ქმნიდა ბუნება, რომ მის ცივ კედლებს არასოდეს ღირსებოდა თბილი ხელის შეხება; პირიქით, გრძნობამ და გონებამ მიანიჭა გამოქვაბულებს იდუმალებით აღსავსე პრიორიტეტი.

ნაცრისფერ გაქონილ თხის ტყაპუჭზე იჯდა საბა, მამის გრგვინვა რომ შემოესმა, თითქოს ბურანშიაო, კიდევ უფრო დაენისლა ცნობიერება. ვერა და ვერ გაჰყვა მისი ფიქრი სიტყვათა დინებას... საით მიდიოდა ეს მდინარე, რა მიჰქონდა, რას ტოვებდა, ან რას იმეტებდა დასახრჩობად...

...წვრილი ყვავილებით მოჩითული სატინის ლურჯ კაბაში გამოწყობილ სოფიოს ხედავდა საბა... ალუმინის ფაკანში ნარინჯისფერი გულ-ღვიძლი თიმთიმებდა.

მაშინაც ამ ტყაპუჭზე იჯდა საბა, მაშინაც აფორიაქებული და ამღვრეული რეცხავდა ბებია გულღვიძლს და ავი ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა გახურებული ღუმელის თხელ კედლებზე წყლის წვეთებს.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, მკბენარებისაგან დაჭმულია ეგ ტყავი... ნუ ჯდები მაგაზე!

მოულოდნელი იყო ეს შეყვირება. პირველად ამბობდა ქალი ამას, მაგრამ მის ზიზღიან და გამკაცრებულ ნაკვთებს რომ მოჰკრა თვალი, წყენა გადაყლაპა ბიჭმა. სხვის გულისცემას მიუგდო ყური და იმაზე მეტი აღმოაჩინა, რისი აღმოჩენაც მის აუმღრეველ ასაკს შეჰფეროდა.

სძულდა აქაურობა ბებიამისს... ფაკანში ჩაყრილ სისხლიან ხორცთან ერთად თავისი ნაჯაფარი და კაცივით გაუ-

---

* მეგმლდი — მაღალღეროიანი მცენარე, რომელიც იზრდება მთაში, კერძოდ სვანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეშებული ხელები კი არ ენანებოდა, სძულდა.

სამი რძლის ანთებული თვალი თალხი ლეჩაქიდან ქეშად უმზერდა კერიის პირას სახეალეწილ და თავშიშველს დედამთილს.

— დაიქცეს ჩემი დაბადების დღე! — ნანადირევი ხორცის უკანასკნელი ნაჭერი დააგდო სოფიომ ლუმელზე.

— არ დაწვათ ახლა... — გამოხრული ძვალივით მიუგდო გაფრთხილება სოფიომ რძლებს და კარში გავიდა.

„მე კი არ მომიკლავს დედათქვენი!“ თითქოს ახლაღა მიხვდა ამ განწირულ ვედრებას ბიჭი. კაცს ეშინოდა უნებლიე ცოდვა მარტო მას არ დასდებოდა ვალად კისერზე.

ამ ვალს ველარასოდეს და ველარაფრით გადაიხდიდა იგი.

არ გაჰყოლია ნაწყენ სოფიოს შვილიშვილი მაშინ კარში; რომ გაჰყოლოდა, ვინ იცის, იქნებ ახლა ნაკლებადაც სტენოდა გული და წლების მერე იქნებ ნაკლებ გარკვეულიყო ახალგაზრდა ქალის ვნებებში.

დახუთული, გამჭვარტლული მაჩუბის ტალახიდან სპეტაკ თოვლზე გადასვლა ირონიული მონაცვლეობა იყო მარტო მისი ქალური ტერფებისათვის კი არა, არამედ მთელი მისი ცხოვრებისა. სანატრელი გახდომოდა სიმშვიდე, ლუკმის შერგება და წყლის დალევა გახდომოდა სანატრელი...

ბარდნიდა თუ მზე ჭიატობდა, ცას მუდამ ციური ელფერი ედო. ეს სიშორე და ადამიანური სიჩაუქე გულს უქლავდა სოფიოს. ზაფხულს რა უჭირდა, თიბათვეს მოიყოლიებდა, სათიბებიდან თავდალმა დაკიდებულ სამარხილო გზებზე თაფლივით მდორედ მოიზლაზნებოდნენ ხარები. ქალის ვნებითა და ფანტაზიით კონა-კონა შეკრულ თივას აბრიალებული სურათებივით ეზიდებოდნენ ქვევით...

ქვემოთ კი, საგამოფენო დარბაზის ნაცვლად... ბოსელი, მაჩუბი, არყის სახდელი ვეება ქვაბი და გამჭვარტლული ჭერი იცდიდა.

ამ ჭერისა ეშინოდა ყველაზე მეტად სოფიოს, ამ ოთხი კედლისა და პურისათვის დანთებული ცეცხლისა.

ოთხი კაცი და ოთხი ქალი, მისი სიყვარულის უხვი ჯალაბი არასოდეს მჯდარა გულხელდაკრეფილი. მაგრამ მოწმეებივით დამოწმება თუ შეეძლოთ მხოლოდ სოფიოს სიავისა და უხასიეთობისა. ვერ ეხმარებოდნენ, ვერაფერს შველოდნენ. უცხო იყო ეს ქალი მათთვის.

საჩიხეში წყლის გუბურები გროვდებოდა... იწყებოდა გაუთავებელი წვიმები. სურნელოვანი ფიჭის ფიცრულში შეყრილ თივას სიფრიფანა და წვრილ ღეროებში ნესტი უჩნდებოდა. ცეცხლი რომ წაგეკიდებინათ, ხეირიანად ვერც კი აბრიალდებოდა იქაურობა.

თბილ დარბაზში საქსოვი გაეშალათ ქალებს. ნაცრისფერი შალის გორგალი ნელ-ნელა ილეოდა და როგორც ძილთან ესეხაა გაყრილ სოფელს ფრთხილად ეპარებოდა აიხი, მათ სახეებსაც დედისა და ცოლის გამოუშუშებელი შუქი ეფინებოდა.

მადლიერი იყო ამ შუქისა სოფიო. იმიტომ კი არა, ოთხი კაცი ძნელი სალოლიავებელია, შემეხიდებიან და საქმეს სწრაფად მოათავებენო.. არა. ღვთის მადლიერი იყო სოფიო, — დედაკაცის სახსრებს სილბილე და ჯაფა რომ დაანათლა ყველაზე დიდ ჯილდოდ. ცოტათი შურდა კიდეც რძლების ყოველდღიური, გარკვეული საქმიანობა, მარად მოუწყენელი და მზრუნველობის ხალისდაუკარგავი კიდურები.

შურდა, რადგან ჯერ კიდევ ყმაწვილქალობაში, როცა ჯანლონით სავსე ქმარშვილს ცივ ნიავსაც არ აკარებდა, ყოფით შრომას არასოდეს მოუტანია მისთვის ის იდილიური სიხარული, ოჯახის შექმნას რომ თანა სდევს.

სხვა ფერისა იყო მისი უმუშტრო ფარდაგები. გარეშენი კი არა, თვით შვილებიც კი ერთგვარი კრძალვით შორი-შორს უმზერდნენ ხალიჩებს, ზედმეტად ლამაზი და ჭრელი იყო სოფიოს მოქარგული ჩაფხუტები და პე-

რანგები, ზედმეტად ჰეროიკული და ძველმოდური...

ელიმებოდა სოფიოს იმ გულუბრყვილო ქსოვაზე, წალმა-უკულმა თვალის ამოყვანას რომ ეყრდნობოდა მხოლოდ. სამაგიეროდ სწორედ ამგვარი ნაქსოვი წინდებით იმოსებოდნენ შვილიშვილები. სწორედ ამ წალმა-უკულმა თვლებით ძვლებს უთბებოდათ კაცებს. ფარდაგები კი მხოლოდ კედლებს ამშვენებდა და ფეხსაც ათბობდა.

და მაინც ის მტკივნეული უპირატესობა, შემდგომ მის გენშიც რომ ჩასახლდება, კი არ აახლოვებდა სოფიოს ადამიანებთან. პირიქით, აშორებდა, უუცხოებდა მათ. ამიტომ იყო, რომ მეზობლის ბერწი და გაფხეკილი კარმიდამო გაცილებით მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე ის მსუყე სიმწვანე, ათასგვარი ტონებითა და ნაყოფიერებით რომ იყო სავსე. ამ სიმწვანის გადაღმა ნაბიჯების ხმა ისმოდა, დროებით იცრემლებოდა და იცინოდა ხალხი. მერე რა, რომ სატირალში სხვებივით მოსთქვამდა სხვის მკვდარს სოფიო. მარტო დარჩენილი არასოდეს თანაუგძნობდა მათ, არ ეცოდებოდა ისინი, რადგან ყველაფრისთვის იცლიდნენ ადამიანები, ოცნების გარდა. ხე რომ ხე არის, ოცნების თხევადი ნაყური გაზაფხულზე მერქანსაც უჩნდება და გვიან შემოდგომამდე იბრძვის ხე სილამაზის შესანარჩუნებლად.

ესენი კი არად დაგიდევენ ამ სილამაზეს. ბეცად ცხოვრობენ უსაზღვრო დედამიწაზე და ცასაც მხოლოდ მზის ჩასვლისას თუ ახედავენ. მზე მათი ოცნება კი არა, მყარი საათია.

როდის დაიწყო ფარდაგების ქსოვა და ხატვა ქალმა? ნუთუ მაშინ, ერთადერთი სალამურივით რომ შემოადნა ტანზე ქმრის სიყვარული? არა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. კაცი.

ქორწინებიდან ხუთი წლის თავზე, როცა მძიმედ დაიხუნძლა მათი ოჯახური ბაქანი, როცა სიუხვითა და ადამიანური ბედნიერებით აივსო კუთხე-კუნჭული, სწორედ მაშინ იგრძნო სოფიომ, რომ ზიარს კი არა, საკუთარ ბედნიერებას ჰკარგავდა. მისი სიყვარული ისე პატიოსნად იდგამდა წელზე ფეხს, ლონემიხდილი ძილის წინლა ახერხებდა ღიმილს. ცილისწამება იქნებოდა ერთგულებაში ეჭვის შეტანა. ამ ერთგულებით ივსებოდა ბეღელი ხორბლით. კიდობანში პური პურს ემატებოდა. ვეება ქვაბის შავი ხორთუმიდან სანთლის არაყი მორაკრაკებდა. ჩაძირულიყო წათხში სულგუნის ბოყვა თავები და ფიჭის წახნაგა ჩარჩოებიდან წვეთავდა თაფლი. მძიმედ, ზარმაცად შემოაბოტებდა საჩიხეში საქონელი. მკლავებაკაპიწებული სოფიო როგორც აკვანთან, ისე მიდგამდა სამფეხა სკამს თვინიერი პირუტყვის ფერდთან და თითებშუა მოქცეულ ლბილ ცურს სევდიანი მოთმინებით სრესდა.

ფიფქცვენასავით წუთი-წუთს, დღედღეს ემატებოდა, გადაპენტილი ერთფეროვნება სულს უწეწავდა ქალს.

მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე სულ ტყუილად ტრიალებდა ციბრუტივით, სულ ტყუილად ცდილობდა საგნებსა და მაჩუბში ჩალეულიყო მისი უსაზღვრო ენერგია. ტყუილად შლიდა მეუღლისათვის შეწირული „ლავანის“ მდიდრულ სუფრას და ხალხში გარეული ცუდუბრალოდ ილვრებოდა ცრემლად.

შინაურებში რომ გაემხილა მეზობელი ალათიას ბედი მშურსო, შეშლილად გამოაცხადებდნენ. ალათი და ბედი ვინ გაიგონა ერთადო!

უპატრონოდ გადაგებულ მეზობელს ერთთავად წინაპრის ყალიონი გაეჩარა პირში და მის კაბის კალთასაც ერთთავად აბწლის არყის სუნი ასდიოდა... იჯდა ასე თავის ნახევრად წაფერდილი სახლის კეჩოზე ალათი და ჰვრეტდა სამყაროს.

ჰვრეტით მოგვრილი ნეტარების ფასი იცოდა სოფიომ. ამიტომ სხვისთვის თუ ბერწი ერქვა ალათის სიბერეს, სოფიოსათვის ძველთაძველი კიდობანი იყო იგი, უამრავ ფერსა და მოგონებას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად მარადიულ საიდუმლოს რომ ინახავს...

რაც უფრო სწრაფად მიედინებოდა დრო, მით უფრო მსახვრელობდა წარმავლობის უჩინარი ხელი.

რაც უფრო ფითრდებოდა ეზოს გადაღმა დარგული ხეხილი, მით უფრო მუქდებოდა საკუთარი უმწეობის შეგრძნებით მოგვრილი ნაღველი.

ალათის კიდობანში ჩამარხული საიდუმლო კი ნელ-ნელა იხდიდა ყოფით სამოსს და ბებერ, ცვილისფერ კიდურებს აჩენდა. შიშვლდებოდა საიდუმლო: „ქვითკირის ჭერი მარტო შენ კი არა, მთელ სოფელს ახურავს თავზე“...

ალათის კი ვერას აკლებდა ჭერი. არც საგნები ეხირებოდა თვალში. ბავშვობაში ცისკენ გატყორცნილი შურდულის დაბრუნებას ელოდა თითქოს.

ზამთარ-ზაფხულ იჯდა ბებერი მოგვი ქართული ოდის გადახდილ თავანზე. თვალს ადევნებდა ადამიანთა გაუთავებელ ფუსფუსს.

მის ეზოში გადახვლის ჟინი ხანდახან ისე მოუვლიდა სოფიოს, წამოჩიტულ გოგოს სახლის მიტოვება და უმისამართოდ გაფრენა რომ მოესურვება.

ახლად დამცხვარი ცხელი პურით გადააკითხავდა მეზობელს, შეუთავაზებლად ჩამოჯდებოდა ხის დაბალ სკამზე და დიდხანს შესცქეროდა მოხუცს, ეგებ მისი ბაგის მორღვეულ კუთხეებში ერთხელ მაინც დავლანდო ირონიაო.

ღრუბელთა ფარას მწყემსავდა მოხუცი, სამოთხისეული სიმშვიდე ეფინა სახეზე.

ეს სიმშვიდე ახლა აღიზიანებდა ქალს, რადგან მართლა მეზობლის მოსაკითხად კი არ გადასულიყო ეზოში ამ უცნაური დედაბრისაგან მისნობას მოითხოვდა სოფიო.

სალამ-ქალამისა და მოკითხვის მერე, რატომ ვერ გრძნობდა მოხუცი სოფიოს ჩვეულებრივ სიტყვებში უჩვეულო დარდი რომ გაწოლილიყო. ნუთუ ასე იოლად მოელოდნენ სოფიოსაგან წლობით ნატარები ბოლმის გადმონთხევას. ნუთუ ასე წელგამართული და პირდაპირი უნდა ყოფილიყო ეს დარდი — მაშინ ხომ დარდიც არ ეთქმოდა. ასე იოლად გასამხელი რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ბოლმაც აღარ ერქმეოდა სახელად.

ამ დალოცვილს ეკითხა მაინც: რას შვრები გოგო, როგორა ხარ, ამოდენა საქმეს როგორ აუდიხარო;

აი, მაშინ კი წამოითრევდა წელს სოფიოს საწუხარი. მაშინ კი გაამხელდა, საკუთარ თავთან დარჩენა როგორ ენატრებოდა ქალს, როგორ უყვარდა თავისი საქმე და როგორ მუდამჟამს მოუცლელი იყო ამ საქმისათვის. კაკლის ხისაგან შეჭედილ კიდობანში როგორ უპატრონოდ ეყარა ათასი ფერის თექა და შალი. მაინც რა ვნება ჰქონდათ ამ ძაფებს!

რა ძალა და ანდამატი ჰქონდა ასეთი, რომ შვილიშვილის აკვანთან ჩამუხლული ბებიის სული და გული ცივ კიდობანში დაბორიალობდა.

ვარდისფრად ჰღუოდა ჩითის არტახებში ჩაკრული სიცოცხლე, აკვნის რიკულზე ჩამოკონწიალებულ გიშრის ავგაროზს შესციცინებდა ბავშვი.

ამ სიცოცხლეს იმხელა ძალა ედგა სხეულში, რაღა სულის ბერვა და ჭირისუფლობა უნდოდა. მის შემხედვარე მეოცნებე ბებიას შავი, უსულო თექის გაცოცხლება სურდა. პირისფერი ლაქის ზორბა ნაფლეთი თანდათან იხვეწებოდა და ოვალის ფორმას იღებდა. ვარდისფერ წრეში შავი ფთილები წვეთებად ეცემოდა და ბიჭის თვალების სითბოს ასხივებდა.

ვინ დაუჯერებდა აკვანში ნინას სიზმარს საბას;! ვის შეშურდებოდა, ციცქნა კრავებით მოფენილი მინდვრისფერი თექა საბნის მაგივრობას რომ უწევდა ჩვილს. ვის ახსოვდა ერთი მტკავლა ჯაჭვის პერანგი მეომარი ბიჭისათვის საგულდაგულოდ ერთ ღამეში რომ მოქსოვა ბებომ... (გამთენიის ხანს ეზოში ბრძოლას იწყებდნენ ბიჭები). პერანგის მარცხენა მხარეს ჩალის ოქროსფერი ღეროებით ამოტვიფრული მზე ბრდღვიალებდა.

მესამე სართულის ვიწრო საკანში

სტუმრად მოსული გოგოს ჭორფლიანი სახე ილანდებოდა...

რაღა ქაჯეთის ციხის და რაღა ამ საკნის აღების სურვილი. გოგო არ იყო ლამაზი. სამაგიეროდ უცხო იყო, შეუჩვეველი და მიუწვდომელი. ეს კი ყველაფერს ნიშნავდა ბიჭებისთვის...

რის ბრძოლა, რა ბრძოლა, ჭრიალით გაიღო ვიწრო საკანი და ჭორფლიანმა გოგომ შინაურულად გადმოსძახათ: „გინდათ, ვისი სული გსურს, ვითამაშოთ?“

ეზო გოგონებით აივსო. ჩამოდიოდა რკინის ხმაურიან კიბეზე სტუმარი გოგო და ბიჭის მკერდზე ამოქარგულ მზეს თვალს არ აცილებდა... პირველსავე დაძახებაზე გოგომ საბა ისურვა. ბიჭმა ადვილად გაწყვიტა ჯაჭვი და ჭორფლიანი გოგო გაიტაცა. რა იოლად მოხდა ყველაფერი, როგორ გაწბილდა ბრძოლის დიდი სურვილი!

საღამოს, როცა მთელი დღის თამაშით დაღლილი საბა შინ დაბრუნდა, სოფიომ ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— რა ქენი, ბებო, იომეთ?

— გავიმარჯვე! — ცოტა არ იყოს გაბრაზებით მიუგო ბიჭმა და გახდილი პერანგი ტახტზე მოისროლა. იისფერ ბინდში პერანგზე ამოქარგული მზე ჭიატობდა... საბა მიხვდა, ეს მან კი არა, ბებიის ხელით დახატულმა მზემ გაიმარჯვა.

* * *

დედაშვილის უცნაურმა, უდროო დაღუპვამ ტკივილი და სინანული დაუტოვა საბას, რომელმაც ცხოვრებანანახი კაცის გულივით მიიღო მძიმე დანაკლისი. მიიღო, აღიარა და შეეგუა...

ახლობელი ადამიანების სიკვდილის ამ ქვეშეცნეულ მიღებასა და შეგუებაზე პირველად იმ საღამოს დაფიქრდა საბა, როცა ვახშმობისას ცირამ ფარული მოწიწებით დაიწყო:

„სალაპარაკოდ თქვენ ხომ ერთად ვერ გნახავთ კაცი და... ისევ შენ გეტყვი...“

და საბამ უკვე იცოდა, რომ დედა იტყოდა: „მე ვთხოვდები.“

ცირამ ცოტა სხვაგვარად თქვა:

„მე მეგობარი ვიპოვნე.“

საბას მეხსიერებაში ერთბაშად ამოტივტივდა შორეული საღამო... ახალი წლის წინაღამე ამ ნაპოვნი სიხარულით მიულოცა დედამ შვილებს. „კარგი სამუშაო ვიპოვნეო“.

მაშინ ბიჭებს ამ სიხარულისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, პირიქით, ზედმეტად ატაცებულიც კი ეჩვენათ დედა. ახლა კი, ამდენი წლის მერე, როცა უკვე მოზარდმა და სუფრასთან დედის პირისპირ მჯდარმა ნაცნობი სიტყვები გაიგონა, გული შეეკუმშა. მან იცოდა, რომ ეს ნაპოვნი ლუკმა მართლა შემთხვევითი კი არ იყო, ზღაპრებში ხეტიალისას უშრომელად და უცაბედად რომ წააწყდება ლატაკი და ერთბაშად მეფისტოლა კაცად იქცევა. ამ პოვნას, ვინ იცის,რამდენი დრო, რამხელა ძალა და ენერგია შეალია კარიკარ მოხეტიალე ახალგაზრდა ქალმა... რას არ გაიღებდა საბა, ოღონდ პირდაპირ, გაუფრთხილებლად ეთქვა დედას „ვთხოვდებიო“. მან კი თქვა: „მე მეგობარი ვიპოვნე“.

უცნაურმა, აუხსნელმა ჟინმა გაიღვიძა ამ დროს საბას არსებაში. ყველაფრისათვის გაიმეტებდა იგი დედას... ცრემლისათვის, ყინვისათვის, ქარბუქში მარტოდმარტო მოხეტიალეს, სამსახურის საშოვნელად გასულს, ათასგზის დამცირებულსა და ხელმოცარულს ხედავდა იგი დედის ხატებას, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოიდგინა მეგობრის საპოვნელად ქუჩაში გასული ქალი. ვერ წარმოიდგინა, თუ ვერ გაიმეტა. ხელოვნური, შენიღბული ეჩვენა სიტყვა „მეგობარი“ ბიჭს და ერთბაშად გამოერკვა.

საგანგებო სიმტკიცე და სიჯიუტე ისმოდა ქალის ხმაში, თითქოს ეშინოდა შვილს მაშინდელივით (ზაფხულის მოქუფრულ ღამეში პირველად რომ შეეფეთა ბიჭის ბაგიდან გადმოსროლილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუგ სიტყვებს) ისევ მკაცრად არ ეთქვა მისთვის: „შედი სახლში!“.

ამ „სახლში“ ქმრის სიკვდილის მერე მთელი ათი წელი შედიოდა ქალი. ეს სახლი იყო მისი მუდმივი ჯავშანი, რომელიც ყოველთვის იცავდა მტერ-მოყვრის შემოტევისაგან. ჭირსა თუ ლხინში მუდამ დედალი კუს სიჯიუტით დაატარებდა ამ სახლს... ბიჭს შეეცოდა ჯავშანმოკიდებული ქალი, რომლის ლამაზ, ჯერ ისევ ახალგაზრდა კანსა და სხეულს ჯავშანივით გარქოვანება ემუქრებოდა.

„მშიშარა გამოდგა დედაჩემიც“... გამოუთქმელმა სევდამ დაბადა ეს აზრი... თითქმის იმავე წამში სევდა მრისხანებამ შეცვალა. მრისხანება და სევდა უზადო იალაღზე გასული წყვილი ვერძივით დაეჯახა ერთმანეთს მის არსებაში. რა ტოლფასი, რა სწორფერი და ბუნებრივი იყო ამ ორი გრძნობის შერკინება. ვერცერთი ვერ გადასწონიდა, ვერცერთი ვერ დაიჩემებდა იოლ გამარჯვებას, რადგან ორივე მათგანი მარადიული სასწორის სიფრიფანა თეფშებზე ეწყო თვალსაჩინოდ. ორივე მათგანს ნოყიერი ნიადაგი უმაგრებდა წელს. წინაპართა სისხლს გამოყოლილი მამისეული არტერიიდან გადმოსულიყო ბიჭში ეს მამაკაცური მრისხანება, სევდა კი მისივე ადამიანური არსების ულრმესი შრიდან იღებდა სათავეს, არსებობის იმ უსაშველო სიღრმეში, რომლის შლამიან ფსკერზე მარგალიტივით მარხია თანდაყოლილი სიკეთე.

უცნაური, შიშისმაგვარი რამ დაუფლებოდა საბას, რადგან ასე კარგად ესმოდა დედის კი არა, არამედ ერთდროულად ამ უცხო და ახლობელი ქალის გულისთქმა.

სულ ერთ წამს გაგრძელდა ეს ჭიდილი. და სწორედ მაშინ, როდესაც ის-ის იყო სევდამ გადასძალა, საბამ ერთბაშად მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და მოჩვენებითი გულგრილობით უპასუხა ქალს:

— დათოსთვის გეთქვა, უფროსი ვაჟიშვილია, რაც უნდა იყოს...

ცირამ სული მოითქვა.

რამხელა სიმწარე ახლდა ამ სიტყვებს, შეგინებული და უარყოფილი კაცის სიმწარე, რამხელა პატიება და დაყვედრება. ქალმა მიიღო საყვედური და მადლიერი დარჩა უმცროსი ვაჟიშვილის. რა იცოდა ცირამ, დედას კი არა, პატიებას საკუთარ თავს რომ აყვედრიდა ბიჭი.

ყოველთვის ასე იყო, — ერთს ფიქრობდა და მეორეს ამბობდა საბა. ეს მერამდენედ ისევ და ისევ გამოუთქმელი რჩებოდა ნამდვილი ფიქრი. როგორც კი აზრის შესატყვის სიტყვას დაუწყებდა ძებნას, საკუთარი უმწეობით და უნიათობით გაოცებული რჩებოდა. რა შორეულნი და უილაჯონი ხდებოდნენ სიტყვები, სწორედ ის სიტყვები, რომელთაც ასე კარგად იცნობდა ბიჭი და სულ რაღაც წამის წინ სუნთქვაც კი ესმოდა მათი. მაგრამ როგორც კი აზრს მოეგებოდნენ და ფიქრს აედევნებოდნენ, ბიჭის ბაგეებზე ფეხმოკიდებულებს ერთბაშად ეცემოდათ ყოფითობის მსუსხავი სიო, გაფიქრებულებს და ნირშეცვლილებს ერთბაშად ეჩუტებოდათ აზრისაგან შეშუპებული ლაბუა სხეულები, ერთბაშად დნებოდნენ, გრილდებოდნენ და ვნებადამცხრალნი გათოშილი ბეღურებივით ცვიოდნენ მიწაზე.

ახლაც, ამ წუთებშიც, როცა საბოლოოდ დაჰკარგა დედა, ტკივილის გამომხატველმა სიტყვების ტალღამ ჯერ გულთან შემოუტია, შემდეგ ყელში მოებჯინა და კინაღამ დაახრჩო. საბა მიხვდა, — ამიერიდან ველარასოდეს მოახერხებდა სიტყვებით ეგრძნობინებინა ვინმესთვის საკუთარი სატკივარი და წუხილი. ანდა რა საჭირო იყო განდობა, ნუთუ ასე უმწეო უნდა დარჩენილიყო ბოლომდე, ნუთუ ასე მუდამჟამს მომლოდინე უნდა ყოფილიყო თანაგრძნობისა და მოზიარისა.

მამის ცხედართან მდგარს კარგად ახსოვს, იმაზე ფიქრობდა — „ნეტა მომესწრო და მამაჩემი თედოს სახლში ერთხელ მაინც ამეყვანაო“. სხვისთვის

ალბათ რა დროს ამაზე ფიქრი იყო, მაგრამ საბა ამ ფიქრით თითქოს კიდევ ერთხელ ეძებდა დასტურს, კიდევ ერთხელ ეპოტინებოდა ადამიანთა უთქმელ სულიერ სიახლოვეს. სამძიმარზე მოსული უფროსები კი შეწუხებულნი და გულაჩვილებულნი სუსტ მხარზე ხელს უთათუნებდნენ, ზოგიერთი დახაცხულ ლოყებსაც უგრილებდა კოცნით. ისინი მწუხარებით მოსილი წამით ზომავდნენ და აფასებდნენ ირგვლივ ყველაფერს, ამიტომაც ასე გულწრფელად ცრემლებოდნენ და ცოდებდნენ ამიერიდან ქვრივ-ობლებს. საბა იქვე იდგა, მწუხარების შუაგულში სიუკეთის სურათივით მიეჩინათ მისთვის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი. თითქოს სწორედ ამ ადგილას და არა სხვაგან მდგარს უფრო ხანგრძლივად და უფრო ნათლად შეეძლო დაეფიქრებინა მოზიარენი მათი ოჯახის მომავალზე.

ბიჭისთვის კი ეს მძიმე, სულის შემხუთველი წუთები, ეს მამის ცხედარივით გაყინული აწმყო იმდენად არსებობდა, რამდენადაც აწმყო წარსულთან იყო დაკავშირებული. წარსული იყო ქათაიფერითი მშვიდი და ნათელი სამართალი.

დაბალ ტახტზე დასვენებულ სასახლეს რაღაც ხუთ დღეში იმდენად შეეჩვია, რომ გაოცებული და ნაწყენი დარჩა, როდესაც მაღალმა, ძლიერმა კაცებმა სასახლე მხარზე შეიდგეს, მისი ძგიდე ფანჯრის ჩარჩოებს დაჰკრეს და თორნივეს მაგიერ უკანასკნელად ჩამოლეწეს ოთახის წყლისფერი მინები.

საბა მანქანაში არ ჩამჯდარა, მამის მეგობრებთან ერთად ფეხით აუყვა სასაფლაოსაკენ მიმავალ გზას. პროცესიისათვის ჩვეული სვლის სიმდოვრემ უცნაური, ნეტარების მომგვრელი სიზანტით აუვსო სხეული. ამავე ნეტარებითა და სიზანტით ამოტივტივდა მის მეხსიერებაში მაგნოლიების გამძაფრებული სურნელი; სალამოობით ზღვის გადაღმა მოდარაჯე ნაცრისფერი ქვიშის გორაკებიდან თავგამოდებით გარბოდნენ ნაპირისაკენ. მთელი დღის მზეზე წოლით გადაღლილ ქვიშას ცხოველივით უნელდებოდა სიცხე. წყლიდან ამოსულები ახლა გორაკებისაკენ გამორბოდნენ, ქვიშის სითბოში იმუშებდნენ ოდნავ შემცივნულ, შეჟრჟოლებულ კანს. როგორ ჩქარობდნენ, როგორ ესწრაფვოდნენ ამ ორმაგ ნეტარებას. წყალი და ქვიშა იყო ერთადერთი დასაბამი მათი უსაზღვრო ოცნებებისა და სიხარულის. სანაპიროზე ორი, სამი კაცი თუ ილანდებოდა. მთელი ზღვა და ზღვაზე დამხობილი ზეცა მხოლოდ მათ ეკუთვნოდათ. მხოლოდ მათ, ასეთ ერთბაშად გამდიდრებულებს, ბედნიერებს და ერთმანეთზე შეყვარებულებს.

* * *

დარცხვენილი და შვილის უყურადღებობით შეწუხებული ცირა სუფრის ალაგებას შეუდგა.

როცა გამოერკვა, დედის აწითლებულ სახეს თვალი აარიდა საბამ, უკანასკნელი ჭურჭლის აღებას დაელოდა და სამზარეულოსაკენ მიმავალ ქალს ტყვიასავით წამოაწია საქმიანი შეკითხვა:

— როდისა გაქვს წასვლა გადაწყვეტილი?

ქალს მოეჩვენა, რომ რაც უფრო სწრაფად მოხდებოდა ეს, რაც უფრო ჩქარა მიატოვებდა აქაურობას, მით უფრო იოლად და მშვიდობიანად დასრულდებოდა ყველაფერი; ქალს ისიც მოეჩვენა, რომ წამოზრდილები და თითქმის დაკაცებული ვაჟიშვილები რა ხანია ელოდნენ კიდეც მის წასვლას; ელოდნენ, რადგან თითოეულს საკუთარი ცხოვრება ჰქონდა შესაქმნელი. სადღაც, ქვეყნიერების რომელიღაც წერტილში სულწასული ორი გოგო წრიდან გასვლასა და გზაზე დადგომას ესწრაფოდა. ეს გზა მათი სახლის ჭიშკართან წყდებოდა და დღეს თუ ხვალ მოუკაკუნებლად, დაურიდებლად გადმოაბიჯებდნენ გოგონები ზღურბლს. კარს გადაღმა ახალი სამოსივით რჩებოდა მათი გულუბრყვილო ხასიათები. შინ კი, თახკედელშუა იწყებოდა ათას-

ეროვნული

გვარი საზრუნავითა და წვრილმანებით დამძიმებული კერკეტა ქალობა.

თავით რომ მარილი ენაყა და მათ მოვლა-პატრონობას გადაჰყოლოდა, ერთ მშვენიერ დღეს სწორედ იმ ათას წვრილმანში მობორიალე გოგო ძველი ნივთივით ფეხს წამოჰკრავდა დედამთილის მუყაითობას და ჯანდაბას შენს თავსო, თუ ხმამაღლა არა, გულში მაინც შეუკურთხებდა. იცოდა ეს ცირამ, ისე კარგად და ზედმიწევნით, როგორც ძველი სიბრძნე, — სხვის დასანახად რომ არ უნდა ეტირა ქვრივს. ერთიც და მეორეც საუკუნო გამოცდილებით იყო ნაკარნახევი, ერთსაც და მეორესაც მილეთი ხალხი ადასტურებდა.

„რა მალე გასულა ბედნიერი დედობის განცდა. რა შორეულ და მონატრებულ პერიოდად ქცეულა იგი. როცა ძილო და მაინც სავსე, კვებიდან კვებამდე გულისფანცქალით ელოდები ჩვილის უცაბედ გამოფხიზლებას. მამოლსავით გრილად ეფონება დასიცხულ მკერდს სველი ტირილი. გეძახის და მოგელის იგი. უსუსური, შენს სხეულს შეყუყული ბგერები: „ლატაკი ვარ და მიუსაფარი“... წყალი, ჰაერი, პური და სითბო, ერთადერთი შენა ხარ მისთვის.

ცირას კერტუკები საბას მზეებია, ცირას კერტუკები საბას ვარსკვლავები...

თორნიკეს ღიღინი, ჩვენი უცნაური და ფორიაქა, ალალმართალი სიყვარული. ამ სიყვარულის წინაშე დედიშობილა წარსდგები და ისე მხურვალეა შენი სხეული, სულიც სიყვარულით ისე პირთამდეა სავსე, რომ რა დროს სამოსზე და სხვის თვალზე ფიქრია. წლები კი მირბიან, გვძარცვავენ წლები, რაც შეიძლება თბილად ვიმოსებით, მირბიან წლები და ღარიბი ნათლიებივით ოქროს კი არა, სახელებს გვიტოვებენ. ღვთიურს არა, მდაბიურ სახელებს და დედობის გარდა ტვირთად დავატარებთ არაბუნებრივ და ნაძალადევ სიტყვებს: რძალი, დედამთილი, მული და ცოლი...

თითქოს დანაშაულზე მიუსწრესო, — უცებ გამოერკვა ცირა.

— თქვენ როცა იტყვით, მაშინ წავალ... ნებართვის მომლოდინე მათხოვარივით ატუზულიყო კედელთან...

რა უტიფარი ზარი აქვთ მათხოვრებს, — ბრაზობდა ხოლმე ცირა, როცა საგანგაშო გაბმულ ზარზე კარს გულისხეთქვით გამოაღებდა და ჭუჭყიანი, ფეხშიშველა ბოშა ქალი შერჩებოდა ხელში.

— Помоги, сестра, помоги дорогая...

— შემოდი. — განელებული სიბრაზით იტყოდა ცირა და მათხოვარს სასტუმრო ოთახში შეუძღვებოდა.

სიჩუმეში დიდხანს და გულდასმით არჩევდა ცირა ტანსაცმელს. ჭრელაჭრულა, ლამაზად შეკერილ და მისთვის გამეტებულ კაბებს რომ შეხედევდა მათხოვარი, უცნაური, ღიმილისმაგვარი ხაზებით დაესერებოდა შეშუპებული ბაგეები და წასასვლელად მოემზადებოდა.

— რა, არ მოგწონს?! — გაოცებული ეკითხებოდა ცირა.

— კაბები რა ჯანდაბად უნდა მაგას, ვერ ხედავ არყის სუნით რომ ყარს?

— Вот она понимaaaeт!

საგანგებოდ გააგრძელებდა ქალი. და ისე შესცინებდა სოფიოს სახეში, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს ქუჩაში გადააწყდაო.

გაწბილებული ცირა შემცბარი და დაბნეული ისმენდა რა გულიანად ლოცავდა ლოთი სამზარეულოში ჭიქა არაყისთვის გასულ დედამთილს; კმაყოფილი და ბედნიერი იყო დედაკაცი. მარტო არყით, მარტო იისფერი სითხით კი არა, მის გაყინულ ძარღვებს რომ მოეფონა და გაათბო. ლოთი ქალის დაბინდულ, სახელდახელო ნეტარებით მოწკურულ მზერაში იმ პატივმოყვარეობის სხივიც კიაფობდა, რომლითაც იცოდა, რომ წასვლის შემდეგ მის ნატუჩარ ლამბაქს სანაგვეში კი არ ჩაუძახებდნენ, არამედ გულდასმით გამორეცხავდნენ და ძველებურად გაკრიალებული ღირსეულად შეუერთდებოდა საპატიო

ეროვნული

სტუმრებისათვის განკუთვნილი ბროლის ნათებას.

— «Вот она понимает»...

კიდევ ერთი საზსოვარი ბავშვური სამყაროდან. ეს მერამდენედ მარცხდებოდნენ გულთმისანი ბებიის წინაშე, ეს მერამდენე კაცს ათბობდა მისი უცნაური მოწყალება. იცოდა სოფიომ, ქიშმირის შალი რომ ველარ გაათბობდა გაყინულ სულს. ველარც ცისფერი აბრეშუმი გაანაზებდა გაუხეშებულ, დაშაშრულ პირის კანს. ხეტიალით დაღლილი ლოთის ტყავნაცვალ ქუსლებს ქრონიკული დაბუქება შეჰყროდა და ხასაცილოც იყო ტერფის გათბობაზე ლაპარაკი; ისეთივე სევდიანად სასაცილო, როგორც ამ მათხოვარი ქალის ფეხებზე დედის მაღალქუსლიანი ძვირფასი ფეხსაცმელები.

ღამღამობით, ნადირობიდან დაბრუნებულ კაცებს მიწისფერი სპილენძის ძველთაძველ ტაშტში ფეხს ჩააყოფინებდა სოფიო და რიგ-რიგობით ბანდა. ვაჟიშვილების კუნთმაგარ დაძარღვულ კიდურებთან დედისეული უანგარობით ჩაჩოქილი ქალი მუხლებიდან ტერფებისაკენ მიერეკებოდა უვიცობით ჩადენილ ცოდვებსა და სისხლს. მათ უგუნურ სახეებს კი თანდათან ეცლებოდა ფიზიკური დაღლილობა. ბალღურად თვითკმაყოფილებსა და ხალისიანებს მათი მოდგმისათვის ჩვეული ხთამაყე უგუბდებოდათ მზერაში.

„ქალს ფეხი არ უნდა გაუცივდეს“... ამდენი ხალხიდან და იმდენი სიტყვებიდან მხოლოდ ეს ფრაზა ახსოვდა საბას... რადგან საპასუხოდ ისევ საიდუმლო ღიმილს ხედავდა, ნინიკოს სახეზე გადაფენილ ქალის საიდუმლოს.

ჯვრისწერიდან დაბრუნებული ნინიკო სიფრიფანა კაბით დაქიაქობდა. მერე ძვირფას ქურქში გახვეული და სადგურზე გასული მხრებამდე ძლივს წვდებოდა ვეება კაცს, რომელიც დღეიდან მისი ქმარი იყო და რომელსაც სადღაც მიჰყავდა ნინიკო, და საბას უკვირდა ბებიამისი ასე გულდასმით რატომ აფრთხილებდა პატარძალს — „ფეხი არ უნდა შეუცივდეს ქალს“...

მარადიული სიბრძნე ფეთქავდა ამ დარიგებაში, გამოცდილებით რომ ჩნდება, ის სიბრძნე.

ბავშვობისეულ მოგონებებს ნელ-ნელა ფქვავდა მეხსიერების სამკუთხა ძაბრი, მტვრად ქცეული და განიავებული აღარც კი მოელოდა თავმოყრასა და პატრონს. აწმყო კი აქვე იდგა, მისი ფერმკრთალი და ლამაზფეხება აწმყო: სანამ აქვე იყო დედა, სანამ მის თვალწინ ალაგებდა და რეცხავდა, სანამ მის გვერდით ჯდებოდა და აუთოებდა, სანამ მზრუნველი და ხალისიანი დილიდან დაღამებამდე ოთახიდან ოთახში დაფუსფუსებდა, წარსული თავისი სიბრძნით არ არსებობდა. როგორც კი სურვილი გაამხილა აწმყომ, როგორც კი წასვლა მოინდომა და მომავლისაკენ გადიზნიქა, წარსულსაც ნელ-ნელა დაუბრუნდა დაკარგული ფერი. ნელ-ნელა შეთბა და მოეგო გონს.

ჩემო ძვირფასო და საოცარო დედა, ჩემო ლამაზო და საცოდავო! თურმე რა ხანია მარტოდმარტო, უმეგობრო და მიუსაფარი დააბიჯებ ცივი ქალაქის ქუჩებში. არასოდეს გაგიმხელია, მციავო. გველეშაპივით წაგრძელებულ რიგებში მდგარს, რამდენჯერ ფეხზე დაგძინებია, შენს მუტრუკ ვაჟიშვილებს ცხელი სადილი რომ არ მოჰკლებოდათ. ერთს, ამ დროს, რომელიმე კახპას ბუნაგში შემძვრალს, ნეტარებისა და ერთგვარობისაგან თბილად ეროდა გული. მეორე კი საათობით იჯდა ოთახში და სოფიოს პორტრეტს ხატავდა.

სოფიო და თორნიკე! ერთი წარსულის ორი მოწმე. რა ხანია შემიყოლიეს და შენი არსებობა დამავიწყეს. მაინც რატომ ვფიქრობ ამდენს წარსულზე, ნუთუ იმიტომ, თვალხელშუა რომ დავკარგო აწმყო.

მეზობელი მთის გადაღმა ჩამუხლული კაცი სხვის მარტოობას შეჰხაროდა, რადგან იცოდა, იოლად მოიგებდა მიტოვებული ქალის გულს. არც არავინ შესცილებიათ, არც არავის გაუმხელია, თქვენი დედა ჩემი უნდა იქნესო. იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ გულდინჯად, მშვიდად და ამის გარდა ქვეყნად ყველაფერზე ფიქრობდნენ.

„ბავშვები აღარა ხართ"... იმედს ეპოტინებოდა და ვიღაცის წინაშე თავს იმართლებდა ქალი.

„ბავშვობაში გაცილებით იოლი იქნებოდა შენი დაკარგვა" — ფიქრობდა საბა; დაკარგვა თუ შეჩვევა იმ უცხო, მოდარაჯე კაცთან, რომელიც ასე წააგავდა თედოს მამას. წააგავდა კი არა, თედოს მამა იყო. ერთიც და მეორეც მტაცებლის გეშით გრძნობდა მსხვერპლის სიახლოვეს. ერთსაც და მეორესაც სხვისი დაობლება და ქინის დაოკება სურდა. ხვიარებითა და მუხნარით დაბინდული ულრანი ტყე მძიმედ სუნთქავდა და გულდახურული ხვდებოდა კაცის გამოჩენას. ტყიურ სიჩუმეში დამფრთხალი ნადირი სუნთქვას ძაბავდა, ხიშტიანი მოსული კაცის შიშით სხეული გაქრობას ლამობდა.

ტყის მომლოდინე სიჩუმესა და შიშს ნიშნით ფიქვივით გამოეყო საბას ნატკენი სული. ისეთი ნედლი და ხასხასა სიმწვანე ქონავდა მისი თვალებიდან, დროსა და ბოლმას ვინ დაუჯერებდა. ამიტომ არც არავის ახვევდა თავს მარტოობას და არც არავინ ელოლიავებოდა. მხოლოდ წარსული იყო მისი ნამდვილი მეგობარი და საპატიო სტუმარი. ყოველდღე სტუმარს მოკრძალებისა და რიდის ყავლი მალე გაუდის და ოჯახისათვის ისეთივე ჩვეულებრივ მოსაწყენ მოვლენად იქცევა ხოლმე, როგორც მზის ანდა მთვარის გამოჩენა. მნათობებს მხოლოდ პოეტები ხატავენ ალმაფრენით. საბა კი წარსულს ისე გაოცებული და მოხიბლული გაჰყურებდა, როგორც მზის ჩასვლის ჟამს გადაწითლებულ ჰორიზონტს. მთელი დღის ხვატით გაჯერებული ბუნების შედედებული სისხლი ნება-ნება თხიერდებოდა, უჩინარ გზას დამდგარი და ათასგზის განტოტვილი ფეხაკრებით ეპარებოდა გახევებულ საგნებს და მეწამული ფერით მოსავდა მდუმარე მთებს. აი ეს მთები, მიწაში ფესვგამდგარი და მაინც ცისმომლოდინე ხეები იდუმალებით აგვებდნენ ადამიანური ყოფის ამაო ხმაურს.

თავგზააბნეული საბა მთვარეულივით დაიარებოდა ხმაურიან ქუჩებში, დღის მყიფე შუქი ზედმიწევნით აჩენდა უწყინარ საგანთა ხორკლიან ზედაპირს, გამჭვირვალე ამებასავით აღიზიანებდა მათი შეხება.

სანაპიროზე თავშეყრილი ბიჭები მედუზას შეპყრობას ზეიმობდნენ. უცნაური გრძნობა დაეუფლა მაშინ საბას. ერთადერთ მას არ გასჩენია სურვილი ხელით შეხებოდა ჟელესავით ბლანტ უფორმო მასას. მსუბუქი ზიზღით წარმოიდგინა ხელისგულზე მისი თიმთიმი, დაბნეულმა თვალი აარიდა რიგში ჩამდგარი ბიჭების სულწასულ სახეებს.

* * *

„მოუთმინე დედა, მოუთმინე, ნერვებმოშლილია ეგ უბედური..." ჩურჩულით ემუდარებოდა უკანა ოთახში შეკეტილ შვილს ცირა.

„რა უნდა ჩემგან, მე კი არ მომიკლავს დედამისი", — რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღრიალებდა დათუნა.

სიტყვები ეცნო საბას. ოღონდ სულ სხვა ძალა და მიზანი ჰქონდა ახლა ამ სიტყვებს. ეს ბრალდება კაცის გასაღიზიანებლად და გულმოსაკლავად უფრო იყო ნათქვამი. იქ კი, მთაში, ძმების წინაშე, იმავე სიტყვებით თორნიკემ აღსარებასავით აღიარა ის უნებლიე დანაშაული, რომელიც მარადიულ ცოდვას ადევს მშობლის წინაშე შვილს... შვილის ზოგადი და ერთიანი სამყარო მშობლისათვის ყოველთვის კონკრეტული მოვლენებითა და ხიფათებითაა აღსავსე. ცნობიერებაში გადაზრდილი ბუნების წყალობა — თანდაყოლილი ინსტიქტი ყოველთვის ფრთხილობს, ყოველთვის ფხიზლად დარაჯობს შვილის სულიერ წონასწორობას, გუმანით შეიგრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს და ამიტომ უფრო მეტად იტანჯება. იქნებ ამ გუმანით იგრძნო სიფიომ, თორნიკეს უზადო ნიჭს განხორციელება რომ არ ეწერა, იქნება ამ გუმანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაანათა რეალური ვითარება და მიახვედრა ქალი, რომ ვერც სახელდახელო სითბო, ვერც სისუფთავე და სიმყუდროვე ვერ უშველიდა მისი ფორიაქა ვაჟიშვილის მდუღარე სისხლს. ველური ყვავილივით მთაში უნდა გაზრდილიყო და იქვე გამქრალიყო მისი ძლიერი სურნელი. თუმცა გაქრობა არც ეთქმოდა, ჩამოივლიდა ვინმე მწუხარე მგზავრი და ეს გამქრალი სურნელი გულზე ჯავრს გადაჰყრიდა.

მტვრიან და ხმაურიან ქალაქს კი უჭირდი სურნელით გულიდან ჯავრის გადაყრა. იგი ბომბორა სისხლისფერ მიხაკებს შესჩვეოდა და ავადმყოფი ბებერი ნაგაზივით ყნოსვა დაჰკარგვოდა...

* * *

— თათ!.. მობრძანდით, საბა ბატონო!..

დედის წასვლის მერე პირველად შეაღო მამიდამისის ოჯახის კარი. ზეზვას საგანგებო შეპატიჟებამ გუნება-განწყობილება გაუფუჭა და უნებურად იკითხა:

— ნუნუკა შინ არის?

კაცი გაკვირვებით მიაჩერდა საბას და აღმოაჩინა, რომ მის წინ გაზრდილი საბა იდგა და არა ბიჭუნა, რომელიც, მისივე ხუმრობით რომ ვთქვათ, ოდესღაც „ტოლს არ უდებდა ბიძამისს ხელოვნებაში".

საბას თვითონვე ეხამუშა მამიდის სახელით მოხსენიება; უკან გამობრუნება დააპირა.

— რა, საქმე გქონდა რამე? — თანაგრძნობით იკითხა ზეზვამ და სკამი შესთავაზა.

— არაფერი, ისეთი... რამდენი ხანია აღარ მინახავს...

კაცმა ეს „რამდენი ხანია" რატომღაც საყვედურად მიიღო და ცოლის გამართლებას მოჰყვა.

— ისე, მართალია, ყველაზე მეტად ახლო გჭირდებათ თქვენ ქალის ხელი, მამიდაშენი ისეთი დაკავებულია... ხომ იცი, ჩვენი ოჯახის ამბავი, დღეში ასი კაცი მაინც შემოაღებს კარს.

ზეზვა რეცხვას და სადილს გულისხმობდა. კი არ მომკვდარა — დედაჩემიო, — ენაზე მომდგარი პასუხი ძლივს შეიკავა. საბამ წარმოიდგინა, რომ ეს კაცი ისე შესჩვეოდა „ქალის ხელად" წოდებულ ცოლის ზრუნვასა და ფუსფუსს, როგორც ამ ბინის ვეება დარბაზები — ცენტრალურ გათბობას.

საგულდაგულოდ გამოჭრილი ძვირფასი ხის ნიშებში მახინჯი ნათესავივით შეემალათ თუნუქის წახნაგა რადიატორები. საკმარისი იყო ერთმანეთზე მიჯრილი მილების რომელიმე მუხლიდან წყალს გაეჟონა, ან უარი ეთქვა მუშაობაზე, საყინულედ იქცეოდა თბილი დარბაზები. შემპარავი სიცივე თანდათან აიტანდა ზარმაცად მოშვებულ კიდურებს და გამოფხიზლებულ გონებაშიც მაშინვე განათდებოდა მარტივი პრაქტიკული აზრი: „რადიატორების მოვლაა საჭირო".

„ნეტა, თუ უბრაზდება ხოლმე მამიდაჩემი?".. საბამ წარმოიდგინა, დაქანცული ზეზვა როგორი ერთნაირი ზრუნვითა და მოვალეობით შეუდგებოდა თუნუქისა და ქალის მოვლას.

— დარჩენილიყავი ცოტა ხანს კიდევ!..

მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, რომ აიძულა იმ ოჯახში მისვლა, რომლის არცერთი წევრიც არ უყვარდა. ნუთუ ასე ძლიერი იყო მარტოობის შემოტევა, — მოთვინიერებული მხეცივით რომ შეეჩვია. დგებოდა წამები, როდესაც მხეცი თავისუფალ ჯილაგს იხსენებდა და მათთან ყოფნას ნატრობდა. მაგრამ არა, რაც უფრო იშვიათი იყო მონატრება, მით უფრო მძაფრი და ვნებიანი ხდებოდა მარტოობის განცდა. ერთგვარი ნეტარი სიტკბოებით იბურებოდა იგი. იქნებ მამიდამისის სახით მამის ხატება სურდა აღედგინა? რაღაც ხომ მაინც ექნებოდა და-ძმას საერთო?! თუ ნაკვთი არა, კანის ფერი ხომ მაინც აღადგენდა საყვარელი ადამიანის სახეს. წლებს თითქოს მზისგულზე გაეფინათ ახლობელ ადამიანთა პორტრეტები. ნელ-ნელა შრებოდა, ხუნდებოდა პირველყოფილი საღებავი. ყველაზე მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად მამის პორტრეტი ენანებოდა ბიჭს. ყველაზე მეტად მასთან განშორება და მისი დაკარგვა აფრთხობდა. არადა, მრავლდებოდა წამები, როცა ხედვითი მეხსიერება ველარაფრით ველარ იბრუნებდა ასე შეჩვეულ და საყვარელ ნაკვთებს. შემზარავი ხდებოდა იმის წარმოდგენა, რომ ამიერიდან ალბომში ჯვარცმულ სურათებს მიაშურებდა დასახმარებლად. იქნება სხვისთვის ნუგეშიც იყო ეს სურათები. ნუგეში, რადგან ქაღალდის პრიალა ზედაპირზე არეკლილი სხივი უბრალოდ, მარტივად აცოცხლებდა ახლობელი ადამიანის მზერას. ეს სხივი ზღაპრული აბედისა და კვესის მოვალეობას ასრულებდა და სურათზე აღბეჭდილი შენობის ინტერიერიც კი ამ მიზანს ემსახურებოდა, ჭირისუფლის მოთხოვნილება რომ დაეკმაყოფილებინა: ერთხელ კიდევ შეევლოთ თვალი მოჩვენებითი სიცხადისათვის.

საბასათვის ეს სიცხადე არ არსებობდა. ისევე, როგორც არ არსებობდა თვალის შევლების მოთხოვნილება, პირიქით, გამჟღავნებული ნეგატივი იმ შეურაცხმყოფელ გრძნობას აღძრავდა, რომელიც ახლობლის მიერ უმიზეზოდ მიტოვებულ ადამიანებს ეუფლებათ ხოლმე. საბა კი არ ჭირისუფლობდა, არამედ დღემდე იმ წარსულით ცოცხლობდა. წარსულში ჩაკირულ ფრაზებსა და სიტყვებს წვეთობით ეცემოდა მოზარდის გამოფხიზლებული ცნობისმოყვარეობა და ღვინოში ჩაწობილი პურივით ალბობდა გამყინავ ზღვარს, რომლის გავლებასაც ასე ჯიუტად ცდილობდა ცხოვრება აწმყოსა და გარდასულ დღეთა შორის.

ქუჩაში გამოსულს რატომღაც გვიან გაახსენდა, რომ ზეზვა მხატვარი იყო. ახლაღა მიხვდა ვითომ სხვათა შორის ნათქვამი სიტყვების აზრს: „ასი კაცი მაინც შემოაღებსო კარს…“

კარის შეღებით თორნიკეს ოჯახს ვერავინ გააკვირვებდა, მაგრამ ზეზვას სტუმარი ღარიბი ნათესავივით შეელას და დახმარებას კი არ ითხოვდა, ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელ ოთახში ნეტარებით წრუპავდა შავ ყავას და იმპრესიონისტული მანერით შესრულებულ სურათებს მზერამოწკურული ათვალიერებდა.

ბავშვობაში უმცროსმა მამიდაშვილმა დარცხვენილი საბა ხელჩაკიდებული შეიყვანა ზეზვას სამუშაო ოთახში და რიხიანად აუხსნა: ნახე, მამაჩემი მხატვარია!..

ჯუჯა პალმების უსიერ ტყეში ნახევრად შიშველი ფეხმორთხმული ქალი ჩვილს ძუძუს აწოვებდა, ბუერას ვეება ფოთოლი მზის სხივებს აკავებდა, მაგრამ მკრთალი დაძარღვული სიმწვანე შუქად ილვრებოდა და მშვიდად აჩენდა დედა-შვილის ღვთიურ ჩამყუდროებულ ნეტარებას. სურათი დღემდე ოჯახის მშვენებას წარმოადგენდა, თუმცა იგი ჭაბუკობისდროინდელ პერიოდში შეექმნა მხატვარს. იქნებ ეს სურათი იყო, გაუცნობიერებლად რომ ეწეოდა საბას თავისკენ. იქნებ ამ ჯუჯა პალმების შუქ-ჩრდილებში კიდევ ერთხელ უხმობდა ზღვებსა და მთებიდან გადმოხვეწილი მღელვარე, უსამშობლო ექო იმ პირველყოფილი ხმისა, შემართული და ცისკენ აღერილი ბუკივით რომ ამცნობდა ქვეყანას ოპტიმისტურ ჭეშმარიტებას — ყველაფერი არ იკარგებაო ქვეყნად.

პატივმოყვარე და დინჯ ზეზვასაც დარდიმანდ, ფორიაქა მამასავით ერთ უწყინარ დღეს სიკვდილად წოდებული უდაბნოსფერი აქლემი მოაკითხავდა, ბუერას გაქსუებული სიმწვანე კი საბას შვილთა-შვილსაც წინაპარივით მოხიბლავდა.

ამის გაფიქრებამ შეაკრთო ბიჭი. რა გულწრფელად და მოულოდნელად გამოიქვეთა დაოჯახებაზე ფიქრი. იქნებ შვილთა-შვილის ხსენება პირობითი მცნება იყო სიცოცხლის გაგრძელებისა. იქნებ ეს ისე, მარადიულ არსებობაზე ფიქრმა მოიყოლია და ისევე უჩუმრად აშრობდა გონება, როგორც მოწაფე ფურცლის უადგილო ადგილას დაცემულ მელნის წვეთს. მაგრამ ნაც-

რისფერი საშრობი წვეთს მხოლოდ ფერს უკარგავდა.

ბიჭის არსებაში კი დაუკითხავად ციმციმებდა სიყვარულის კეთილშობილი სურვილი.

წელში წყდებოდა ორი ბომონის მსახური კაცი. ამიტომ კასრში ჯდომა არჩია. კასრით განერიდა ადამიანური ყოფის გონისწამღებ გაწამაწიას. კასრით მოიზღუდა მეზობლის ღობე-ყორისაგან და ჭეშმარიტების პოვნის სურვილმა აქვე დატოვა ბერძენი გენიოსი.

სოფიო კი ქალი იყო და ვერცერთს ვერ ელეოდა, თუმცა ცხოვრებას შემოქმედება ერჩია მუდამ. აქედან იღებდა სათავეს მისი საარაკო შრომა და აღიარებული სიავე. ერთი მაინც ხომ უნდა გადამერჩინა თოხს და ბარსო, — შვილს აბრალებდა მთიდან აყრას. საკუთარ თავსაც არ უმხელდა ნამდვილ მიზეზს. საბა ხვდებოდა, რომ სადაც არ უნდა წასულიყო, სულსა და სხეულს შორის გამართულ ბრძოლას ბედისწერასავით ვერსად გაექცეოდა სოფიო. ეს გაქცევა ზესხმა წვიმაში თავის შეშვერას ჰგავდა მხოლოდ, სხეულს რომ აგრილებს, სულს კი ვერაფერს უხერხებს, სულს, რომელშიაც ქარივით დაბობოქრობს შემოქმედების აჯანყებული ხანძარი.

საბუხრე მილიდან ზანტად ბოლავდა ოჯახის ვარამი. სასთუმალთან ბებო იჯდა და ბიჭის გახურებულ შუბლს საფენით აგრილებდა . ქვემო სოფლიდან ამოსული ექიმი სოფიოს გამოხდილ არაყს ყლუპავდა, თან ქალს ამშვიდებდა: ნუ გეშინია, ანგინამ იცის ამხელა სიცხე, თხის რძე ასვი, თბილად გყავდეს და გაუვლისო.

ბუხრის ცეცხლს ჩაშტერებული სოფიო თვალს ადევნებდა ხმელი შტოების სისხლისფერ კრუნჩხვას და მთელი ღამე ყურს უგდებდა სიცხისაგან შეღონებული შვილიშვილის აწშირებულ სუთქვას.

მერე ბიჭი მაჩუბიდან გამოსულ სოფიოს ხედავდა ალუმინის ვედროთი ხელში. ხვავრიელად ბარდნიდა. შორეულ მაღლობზე ყავრით გადახურულ საყდარში უქმად ეკიდა ძველთაძველი ზარი.

— შენ მანდ დარჩი, მე უნდა ავიდე და ზარი დავრეკო, — ემუდარებოდა დადევნებულ საბას სოფიო. მარტო დარჩენისა ეშინოდა, თუ ბებიის მარტო გაშვება არ უნდოდა, გარკვევით ვერ გაერჩია ბიჭს, რაღაც აუხსნელი ძალით ჯიუტად ექაჩებოდა კაბის კალთაზე. მუხლამდე თოვლში გზას მიიკვლევდა, უკან აღარ იყურებოდა სოფიო. სიარულისას ვედროდან ამოსხმული რძე თბილად იღვრებოდა დედამიწაზე და თოვლს ადნობდა. გადათეთრებულ მიდამოზე საცალფეხო ბილიკივით მოჩანდა რძის კვალი. მთიდან ნელ-ნელა დაშვებულ ნისლს იმ ხეობისკენ აელო გეზი, რომლის თხემზედაც გზას დასდგომოდნენ ქალი და ბიჭი. რაც უფრო სწრაფად მიიწევდნენ წინ, სქელი, ფენოვანი ბურუსი მით უფრო მძიმედ წვებოდა გზაზე.

გათოშილი და მოშიებული ბიჭი არ ამხელდა თავის გასაჭირს, ნაღვლიანად უცქეროდა თოვლზე დაღვრილი რძის ყვითელ ნაკადს, მერე ეს ნაკადიც ძაფივით შეწყდა და ალუმინის ვედრო ყრუ ხმაურით დაგორდა სოფლისაკენ დაშვებულ ფერდობზე. აღმართი კი არ ილეოდა. როგორც იქნა გამოჩნდა საყდარი. საყდრის ეზოში ჩაცუცქული ადამიანები უცნაურ ვახშამს მიირთმევდნენ. თოვლის ფაფუკ ფთილებს პეშვით იღებდნენ და გახევებული სახეებით შეექცეოდნენ.

მათ შემხედვარე სოფიოს ახლაღა გაახსენდა რძიანი ვედრო. მერე ნაღვლიანად გახედა სოფელს და ზუსტად ისევე ჩაცუცქულმა თოვლის ჭამა დაიწყო.

„ნუ ჭამ სოფიო მაგას, ანგინა დაგემართება და დარჩება ბიჭი უპატრონოდ“...

სოფიომ იქვე, მის მახლობლად ედგომ ექიმს საიდუმლო თანაგრძნობით უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენც ქვეყნის გაოცება გინდოდა, შე საცოდავო?!“

გამთენიისას საბანში გახვეულმა ბიჭმა ცივი სიზმარი მიატოვა, ცოტათი მოიხედა და ასეთი უცნაური შეკითხვით მიმართა ქალს:

— სოფი, შენ რატომ არ გახდი ავად!

დაბნეულმა ბებიამ ბიჭს შუბლზე ხელი გადაუსვა და სიყვარულით უპასუხა:

— შენს მაგიერ, ნეტა მართლა შენი ბებია გამხდარიყო, შვილო, ავად.

ბავშვობიდან ახსოვდა, მისი ავადმყოფობის დროს, დიდი ქალის ნაცვლად კუთხეში მიდგმული პატარა ბრა ინთებოდა; წითელი აბრეშუმი შუქს იჭერდა, ანახევრებდა და აბაჟურის მკრთალი ნათება სიმყუდროვეს მატებდა ოთახს. ამ მშვიდ შუქზე საგანგებოდ გამოკვეთილ და ჩამყუდროებულ საგნებს თითქოს ჯადოსნური ხელი შეხებოდა, ერთგული დიასახლისივით გადაეწმინდა მათი ზედაპირიდან მთელი დღის მტვერი და ნაშუადღევს გადახრილ მზესავით ჩამოერიგებინა საგნებისათვის თავთავიანთი ჩრდილი. დია ფერის შპალერი ოთახში მოფენილი საგნებითა და ნივთებით ივსებოდა. თითოეულს თავისი ფორმის შესატყვისი ანარეკლი დასცქეროდა. კედლებზე გაწოლილ ჩრდილებს საგნებთან შედარებით ზედმიწევნით გამოკვეთილი და შემოსაზღვრული კონტურები გააჩნდათ და მაინც თავიანთი სიმუქითა და დრეკადობით მარადიული უძრაობის შეგრძნებას ბადებდნენ.

ბიჭს ახსენდებოდა შუადღის ხვატში ქუჩაში მიმავალთ როგორ უსწრებდნენ საკუთარი ჩრდილები წინ. მათი სიგრძითა და დახვეწილი კიდურებით მოხიბლულს არ უჭირდა თაკარა მზეში ხეტიალი. პირიქით, ცოტა ხანს კიდევ ვიაროთო, ემუდარებოდა მამას. თორნიკე შვილისაკენ იწევდა და ასფალტზე გაწოლილი ორი ჩრდილი ერთ ზომაზე აჭრილი ტოლი თარგივით ერთმანეთს ეფინებოდა. ამ ილი შერწყმით გაოცებული და დამფრთხალი საბა ოჩანხარივით განზე იწევდა, საკუთარი ჩრდილის გამოყოფით გაუცნობიერებლად საკუთარ დამოუკიდებლობას იცავდა. მერე მთელი ღამე ნინიკოს კი არა, ნინიკოს აჩრდილს ნატრობდა ბიჭი, სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯი რომ აცილებდა. გადაადგამდა ამ ნაბიჯს, დაედევნებოდა გაქცეულ გოგოს და ორი სხეული მოულოდნელად ერთმანეთს უერთდებოდა, ისევე უბრალოდ და მოულოდნელად, როგორც ჯერ ისევ თოვლით დაფარულ მიწაში სიცოცხლის უცაბედი გამოღვიძება.

ბიჭის ავადმყოფობით გასკეცებული ზრუნვა უფრო რბილსა და უფრო მოქნილს ხდიდა ქალების ყოველდღიურ საქმიანობას. ქვეყნიერების მზე დუღდებოდა მათ აფორიაქებულ სხეულებში, დედისა და ბებიის ხელს სანუკვარი სითბო და სინაზე მოჰქონდა. როგორ უყვარდა მათი ოდნავ დამფრთხალი, თანაგრძნობით აღსავსე მზერის გამოჩენა. ასეთ წუთებში არსებობის ბედნიერი შეგრძნება ერთბაშად აცლიდა მგრძნობიარე ბუნებას თანდაყოლილი ობლობის ობობასეულ ქსელს და სიცხის გასაზომად შუბლზე დაფენილ თითებს ისევე ვერ ელეოდა, როგორც სიმწიფეში შესული მტევანი მცხუნვარე მზეს. რა იდუმალი სევდა ახლდა ავადმყოფობით მოგვრილ ბედნიერებას!

ახლა, ამდენი წლის მერე თორნიკეს სადარბაზოდან გამოსულ საბას ტანში რომ შეაცივა და შეაჟრჟოლა, მიხვდა: მონატრებული ავადმყოფობის დაბრუნებამ შეახვევინა მამიდის ოჯახში... ამ შემთხვევამ საბოლოოდ გააცნობიერა წინა ღამის ძილიდან ნახევრად გამოუშუშებელი სახსრების ლტოლვა სითბოსა და ქალისაკენ. ამ ლტოლვამ მონადირე ძაღლივით დაუზარებლად არბენინა ცივი ქალაქის ქუჩებში და ისევ სისხლი და ხორცი მოაძებნინა.

სანახავად მოსული თედო დიდხანს იჯდა ხოლმე სიცხიანი საბას ფერხთით და მდუმარედ გასცქეროდა ფანჯრის გადაღმა აყვავებულ აკაციებს. მეგობრის სახიდან რა ხანია გამქრალიყო ის

ამპარტავნული უზრუნველობა, რომელიც ასე უყვარდა და რომელიც ასე აღიზიანებდა ერთსა და იმავე დროს საბას...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თედო დაბადების დღეებს აღარ იხდიდა და წამოჩიტული გოგონები ქალური გუმანით ცდილობდნენ ჭეშმარიტებისათვის მახის დაგებას. ბიჭი კი აღთქმულივით მტკიცედ ინახავდა საიდუმლოს, კარგახანს საბასაც არაფერს უმხელდა.

ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ ბალბის მკავე ფოთოლს მღრღნელებივით შესჩვეოდნენ კლასში. ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად გაწიწმატებული მასწავლებლის წინაშე რატომღაც თედო იბრალებდა დანაშაულს.

ბრძოლა სიმართლისათვის! ასე ერქვა თედოს წამოწყებას, რომელიც ერთბაშად აიტაცეს დანარჩენებმა. ამ ბრძოლამ სახელდახელოდ შეჭედილი მახვილისა და აწ რომანტიკად ქცეული დუელის ფორმა მიიღო. ეს ყველაფერი კი მოწონებული გოგოს მოსატაცებლად იყო გამიზნული, საბა განზე გადგა. თედო აღშფოთდა, ქვეყანა მხარში ამომიდგა, მეგობრის გარდაო.

— შენ ქალისთვის იბრძვი...

— მერე?

— მერე ის რომ, ქალი არ არის სიმართლე...

მერე ბიჭები ყველაფერს ამ დღეს აბრალებდნენ. სინამდვილეში კი მშობლების ახალმა ქორწინებამ მათი მთლიანი და აქამდე ბავშვური ურთიერთობა ისე შეარყია, პირველი ბზარი რომ შეარყევს ხოლმე ძველთაძველი ძვირფასი ჭურჭლის ფასს.

ორივე მათგანი ცდილობდა ბზარის დაფარვას, მაგრამ გამოცდილება არ გააჩნდათ, ამიტომ მღელვარედ განიცდიდნენ ერთმანეთის დაკარგვას.

საკუთარ თავზე გაბრაზებული საბა ხშირად ფიქრობდა — უმამობას შევეჩვიე, ეს თედო რა გახდა ასეთიო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო საშინელ, უცნაურ ჭეშმარიტებებს აწყდებოდა. გაცილებით ნორმალური, ბუნებრივი ჩანდა ამ ამბის მიჩვევა, რომ თორნიკე მოკვდა. ამიტომ იგი უკვე მოგონებაა, ამდენად ნაკლებ მტკივნეულიც. თედო კი, აქვე, მის გვერდით რომ სუნთქავს და ცხოვრობს, ის მკაცრი რეალობაა, პირშეუკრავ ჭრილობასავით რომ დარჩება მუდამ... საბას ვერ წარმოედგინა ამ რეალობის წარსულად ქცევა. ვერ წარმოედგინა ამ წყლულის მოშუშება, თუმცა აღარც ისეთი ბავშვი იყო, მე დავკარგე და თედომ შეიძინაო, ასე ეფიქრა. მაშ საიდან გაჩენილიყო, როდის გამოღვიძებულიყო მის თავისუფალ, კეთილშობილ ბუნებაში მამაკაცური პატივმოყვარეობა, უფლებას რომ არ აძლევდა მეგობრის მხარზე ძველებურად დაედო ხელი და სადმე განმარტოებით, მოფარებულში, ნახევრად ხუმრობის კილოთი ეთქვა მისთვის: „ერთ ბედქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ...“

არადა, რა ძლიერი თავშესაფარი იყო ოდესღაც იგი თედოსთვის. მთელი ღამის უძილობით თვალამოღამებული ბიჭი სკოლის ეზოში გამოუტყდა: დედაჩემი სახლიდან წავიდაო...

მერე ბიჭები ჩუმად შეექცეოდნენ ცირას დამზადებულ სადილს. რა მხიარულად ბარდნიდა და როგორი მოწყენილი იყო თედო. ცალკე ბუნება, ცალკე მეგობარი ისეთი გადამდები გამხდარიყო, საბას უჭირდა ხმის ამოღება, ეშინოდა ბუნებას არ გაეცა მისი სიხარული და კმაყოფილება იმის გამო, რომ ასე მსუბუქად ბარდნიდა, ასეთი მშვიდი ბურუსით დაორთქლილიყო ფანჯრები და, რაც მთავარია, ასე თბილი და კეთილი ცირა თედოს დედასავით სახლიდან კი არ წასულიყო, არამედ იქვე, მათ გვერდით დაფუსფუსებდა...

მერე ცირა თედოს სახლში ტრიალებდა და ახალ ქმარ-შვილს ჩვეული მზრუნველობით ცივ ნიავს არ აკარებდა.

ყავის მძაფრი, კეთილშობილი სითხით გაჟღენთილ კედლებს სასოწარკვეთაში მოჰყავდა სკოლიდან დაბრუნებული ბიჭი. საათობით იდგა კედელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ცხვირმიბჯენილი თედო და დედის სურნელს ასე იბრუნებდა. ახალ დიასახლისს კი ბიჭის საქციელი პროტესტის მაუწყებელი ნიშანი ეგონა. ნაწყენი და შემცბარი ქალი მთელი დღე მის გადაბირებას ცდილობდა. საღამოობით შინ მობრუნებულ კაცს ენატანია დედინაცვალივით კი არ ახელებდა, არამედ თბილი, დამტკბარი ხმით ბიჭის ბეჯითობაზე ჰყვებოდა. თავის ოთახში შეკეტილ თედოს ეს უფრო აღიზიანებდა და მზად იყო პირში მიეხალა მამისთვის სიმართლე, ამ ქალის მობრძანების შემდეგ უფრო ძვირფასი და უფრო ახლობელი რომ გამხდარიყო გაქცეული დედის ხატება. თედოს ამ ცრუ, გამიზნული სიკეთის ჭაობში ჩაძირვა არ უნდოდა და როგორც ხავსს, ისე ეკიდებოდა „უზნეო“ დედის სახელს...

ყავის მძაფრი სურნელი თანდათან ჰკარგავდა კეთილშობილებას. დედის წინასწარმეტყველება კი, ასე რომ აოცებდა და დღითიდღე ზრდიდა ნაცნობ მეგობართა წრეს, სულ უფრო და უფრო გულგრილსა და ურწმუნოს ხდიდა ბიჭს.

ხანში შესული მასწავლებელი იშვიათი მგზნებარებით ჰყვებოდა ოქროს ხანაზე, პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებდა მოშვებულ გოგო-ბიჭებში. თედო ისეთივე ეჭვიანი გულგრილობით ისმენდა ჭაბუკი მეფის ლეგენდარულ ცხოვრებას, როგორც ციცქნა ფინჯანში დალექილი ცხოვრების საიდუმლოს...

მოგვიანებით საბა იხსენებდა მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე ზანტად მოპასუხე ბიჭის ამღვრეულ თვალებს და ფიქრობდა, რომ ქალმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს ბურუსისეული საფარველი, რომლის ახდასაც ჯერ კიდევ ჩვილობიდან მიელტვის ადამიანი. იქნება დედის რძე გარკვეულ ხანამდე მისთვის მარტო საკვები კი არა, დიდი საიდუმლოცაა. იქნება სწორედ მაშინ ანებებს ჩვილი ძუძუს წოვას თავს, როცა მის დანიშნულებას შეიცნობს და საბოლოოდ გადალახავს იმ ბორცვის სიმაღლეს, რომელსაც ასე დიდხანს აკვირდებოდა, სწავლობდა და უმწეო თითებით ეჭიდებოდა. იქნება ვაშლის, ანდა ბროწეულის გაცნობა მარტო „პირის გემო“ კი არაა, როგორც ეს გარგანტუას და პანტაგრუელის მოდგმას ესმოდა, არამედ მთელი სამყაროა. ამიტომ ვაშლის ხე სამოთხისეული ხე აღარაა მხოლოდ. ერთი შტოს ერთ ტოტზე დაკიდებული სამი ვაშლი კი უკვე მთელი ოჯახია...

მთვრალი დათუნა მათ წინ იდგა და ღვარძლიანი ირონიით ხუმრობდა: — ვახ, ძმებს გაუმარჯოს! საერთო დედიკოზე საუბრობთ, ბიჭებო?!

მთელი სხეულით დაძაბული და აკანკალებული საბა მიხვდა: დღეიდან შორეული, უცხო ძმის წყალობით ერთადერთ მეგობარსაც ჰკარგავდა.

გაფითრებული თედო წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ დათუნას ძლიერი მუშტი რომ მოხვდა სახეში, არ წაქცეულა, წაბარბაცებულმა სახეზე სისველე იგრძნო, უცებ მოეგო გონს და ლოგინიდან წამომხტარ საბას ეცა. მაგრამ ველარ მოასწრო, გააფთრებული საბა დაუზოგავად ურტყამდა ძმას. რაღაც წამები გაგრძელდა ხმამოგუდული, ფიზიკური ბრძოლა, თითქოს ბიჭები სხეულში ჩაბუდებულ საუკუნე სისუსტესა და ბოღმას ერეკებოდნენ გარეთ. გაუცხოებულ ძმათა სულებს იმდენად სურდათ შეერთება და შეხება, რომ გამეტებითა და უგონო აზარტით წიხლავდნენ ერთმანეთის სხეულებს.

თედომ კაცური გუმანით იგრძნო — გაცლა სჯობდა, რადგან გარეშე თვალის წინ ძმებს შეიძლება ერთმანეთი დაეკლათ კიდეც.

პირველად უფროსმა დაუთმო. მხრებჩამოყრილ დათუნას ცოტახანს კიდევ ურტყამდა საბა. მერე, დაღლილი და განადგურებული, მოცელილივით მოეშვა და ყრუ ქვითინი სისხლივით შეგუბდა ოთახში. ცრემლთან ერთად უცხო, აქამდე არარსებულმა სურვილმა მოულოდნელად გააცნო თავი და ბიჭმა სიცოცხლეში პირველად ინატრა და. შე-

დედებულ სისხლს ყინულივით. გალღო-
ბა და გზის ჩვენება სჭირდებოდა...

* * *

ყოველღამე სკოლიდან დაბრუნებუ-
ლი გოგო-ბიჭები „ღვთის ჩასახვევში“
ჩერდებოდნენ. ფურნიდან ამოსული
თედო უბნის გულუხვი მასპინძელივით
დაუდევრად ხევდა ცხელცხელ ლავა-
შებს და მეგობრებს ურიგებდა.

მერე ეს გოგო-ბიჭები უმაღლესი
სასამართლოს მძიმე კარებთან ატუზუ-
ლიყვნენ და უკანასკნელად ცდილობ-
დნენ მეგობრისათვის თვალი მოეკრათ.
მთელი ქალაქი იმ სამარცხვინო მკვლე-
ლობაზე ლაპარაკობდა, თედომ რომ
ჩაიდინა. ლაპარაკობდა და მსჯელობდა...

სასამართლო პროცესზე თედომ
გულწრფელად აღიარა, მოკლულს არ
ვიცნობ და საერთოდ, ვერაფრით ვერ
ვხსნი ამ საშინელ შემთხვევასო. ხალხს
მოეჩვენა, რომ ბრალდებულს გამომ-
წვევად ეჭირა თავი. გაღიზიანებული
პროკურორიც კი არაპროფესიონალი-
ვით გულახდილად იმუქრებოდა...

განაჩენივით მკაცრი და უმწეო ქალი
დარბაზის კუთხეში იჯდა და საბა ფიქ-
რობდა, რომ დედამიწაზე ერთადერთი
ეს ქალი არ უჭვრეტდა სახეზე ჩამოფა-
რებული შავი ვუალიდან მკვლელს ინ-
ტერესით, რადგან ერთადერთი ამ ქა-
ლისათვის არ იყო თედო ხორციელი
და ბოროტმოქმედი. იგი მისთვის უჩი-
ნო და უსახო იყო, უსახო როგორც
ბედისწერა.

ტელევიზორის ღლისფერი ნათება კი
არ აფხიზლებდა, აძინებდა დაგროვილ
ვნებებს. იისფერ ნისლში ნება-ნება
მისრიალებდა ნახევრად მთვლემარე
ოჯახის გონება.

გამუდმებით ამ შუქზე ხედავდა მა-
მის ხელებსა და დედის პროფილს ბი-
ჭი. ამ შუქს წყვდიადივით გაურბოდა
თედო. რა ხანია, მხიარულად აღარ
ანათებდა ბროლის ლამაზი ჭალი და ბი-
ჭი გრძნობდა, რომ იისფერ შუქში მომ-
წყვდეული ოჯახი რაღაცას მალავდა.

ერთ საღამოს გვიანდაბრუნებულმა
და მონატრებულმა მოულოდნელად
გაანათა სასტუმრო ოთახი და თითქმის
მაშინვე გადააწყდა გაღიზიანებული მა-
მის გამაფრთხილებელ ტონს: — ჩააქ-
რე, ბიჭო, შუქი!

სანამ ჩააქრობდა, დედის შესიებულ
ქუთუთოებს მოჰკრა თვალი. მერე გამ-
ნათებელივით ისევე ოსტატურად გააქ-
რო სცენიდან საიდუმლო, როგორც
მოულოდნელად ამხილა იგი.

სულ სხვა შინაარსი და ძალა განა-
გებდა პროჟექტორის ნათებას თეატ-
რში. თვით ყველაზე ღრმა და გადამ-
დებ ტრაგედიასაც კი, მთელი არსებით
რომ ეძლეოდა ბიჭი, თითქმის განუწ-
ყვეტლივ თან სდევდა სპექტაკლისათ-
ვის ჩვეული ზეიმურობა. ათასობით
ადამიანის თვალწინ ფარდა ეხდებოდა
ცხოვრებისეულ საიდუმლოს და თვით
ყველაზე ბანალურ, ინტრიგულ ისტო-
რიასაც კი თავისი მოზიარე და გამგები
უჩნდებოდა მაყურებელში.

საკუთარ ოჯახში გაჩენილ ჭირს კი
ქალი და კაცი გულდასმით უმალავდნენ
ბიჭს, ამიტომ თედო ნელნელა ჰკარგავ-
და იმ ძლიერი უპირატესობის გრძნო-
ბას, რომელსაც ბავშვობიდან შესჩვეო-
და. წამით გამომეტებული მშობლების
გამოხედვა ბიჭში თითქოს იმ საყ-
რდენსაც ეძებდა, რომელსაც შვილის
არსებობა განაპირობებს ოჯახში. თედო
გრძნობდა, მისი ფუნქცია ამ მხრივაც
დაკარგულიყო. მოღალატე ცოლქმრის
უაზრო და უსხივო მზერა ბავშვის არ-
სებაში ყოველდღე კლავდა იმ უსაზ-
ღვრო ნებელობის თითო უჯრედს, რომ-
ლითაც ასე უხვად აჯილდოებს განგება
ადამიანს. კეთილშობილ და მცხუნვარე
ენერგიას, ასე ბუნებრივად რომ განა-
გებს და უვლის ნორმალური ოჯახური
გარემო, ბიჭი უაზროდ, უმისამართოდ
ხარჯავდა. ამიტომ მისი აღგზნებულობა
გულგრილობისა და ფუყე მეთოდიკის
წყალობით საშიში პიროვნების ბორო-
ტებად მოინათლა სკოლაში. ამ ტიტულ-
მა კი არ გააღიზიანა, პირიქით, ერთგვა-
რი უპირატესობის შეგრძნება მიანიჭა
ბიჭს და მისი არსებობისათვის თუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ამგვარმა უხეშმა ანგარიშგაწევამ ნაწილობრივ მაინც აღადგინა მის მიმართ მშობლების დაკარგული ინტერესი.

სკოლიდან მობრუნებული შეურაცხყოფილი კაცი საკუთარ თავს სტანდარტული შინაარსის მომცველ შეკითხვებს უსვამდა: ვისთვის ვშრომობ?! ვისთვის ვწვალობ?! ვისთვის მინდა ეს ყველაფერი?! თედო თავისთვის იმეორებდა ამ სამი სიტყვის საწყის ფორმას და რთული ამოცანის მოულოდნელად ამოხსნილი პასუხივით აოცებდა მათი ტევადი შინაარსი... შრომა, წვალება და ნდომა. ეს სამი რამ განსაზღვრავდა და განაპირობებდა მამამისის კაცურ არსებობას. მართალი იყო მამა, მაგრამ „ყველაფერი“ და „ვისთვის“ — ეს სიტყვები ზედმეტი ტვირთივით ეგდო სასტუმრო ოთახში და მისი თრევა კი არ ეზარებოდათ, არამედ აღარ ახსოვდათ.

ყოველ წელიწადს ნადირობის ჟამს სხეულიდან გამოდევნილ ვნებასა და ჟინს კაცისათვის შვება მოჰქონდა. ცივ სარდაფში ჩაყრილი ფრთოსნებისაგან აღარაფრით განსხვავდებოდა ფრინველთა მეფე. ის ძლიერება და სისხლი, დაჭრილ არწივზე ნათქვამი ლექსიდან რომ ჟონავდა, სადღაც იკარგებოდა, ნანადირევის პირისპირ დარჩენილ ბავშვში თანდათან კვდებოდა რწმენა და ფანტაზია. ცამდე აზიდული მთების კალთებიდან ტყვიისფერ კლდეთა წვეროებზე უთენია გადაფრენილი არწივის წარმოდგენა უკვე შეუძლებელი იყო.

განაჩენის მომლოდინე ხალხი სულგანაბული ელოდა უმაღლეს მსაჯულთა გადაწყვეტილებას. მსაჯულთაგან არცერთს არ ამშვენებდა მხარზემოსხმული ღამისფერი მანტია. მართლმსაჯულების ქალღმერთს, სამართლის სასწორით ხელში, დიდხანს ეძებდა საბა. მის ნაცვლად იაფფასიანი პარფიუმერიით შენიღბულ მდივანს ცისფერყდიან დავთარში ოქმი შეჰქონდა.

რიკულებიან ტიხარს კვადრატული ზომის სადგომი ჩამოეჭრა დარბაზისათვის. ამ სადგომში დროებით ჩამჯდარი პატიმრის მზერას ამაოდ ელოდა საბა.

ფეხზე წამოდგომა, მოაჯირზე ოდნავი გადაწევა და, ძველებურად იგრძნობდა თედოს თბილი ხელის შეხებას. მაგრამ ახლა, ამ ხელსა და მხურვალე სუნთქვას ხაკისფერ ფორმაში ჩასმული ორი წვევამდელი დარაჯობდა. უმეტყველო სახის ყვრიმალებს გულგრილი სიყვითლე დაჰკრავდა და საბას ეშინოდა ჩემს გამო თედოს არაფერი ავნონო.

სახეშეფაკლული ახალბედა ვექილი ფსიქოლოგიურ მომენტებზე დაყრდნობით ზედმიწევნით დეტალურად აღწერდა საქმის ვითარებას და განსაკუთრებით იმ ფაქტზე ამახვილებდა ყურადღებას, რომელიც მარტო თედოს კი არა, მთელ მის თაობას ეხებოდა. შუახნის ბრალმდებელი ამ განზოგადების გამო უკმაყოფილო მასწავლებელივით ათამაშებდა თითებს მაგიდაზე და ახალგაზრდა ვექილს დელიკატურად შეახსენებდა საქმეს დავუბრუნდეთო.

ვექილის თქმით კი ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით სამოცდაათი პროცენტი ახალი განაშენიანების უბნებში ცხოვრობს. ნაცრისფერი კვარტლის ნაცრისფერ შენობებს ბავშვობიდან ეჩვევა მოზარდის თვალი და ფერთან ერთად. სილამაზის ელემენტალური შეგრძნება იმთავითვე ჩლუნგდება მასში. რკინის გისოსებით დასერილი აივნები არა მარტო თვალს, არამედ სულსაც ამძიმებს, ამიტომ ვაჟებს რომ თავი დავანებოთ, იშვიათად შეხვდებით ქალაქის ქუჩებში ყვავილებით მოარულ ქალიშვილებსაც...

ამ ტყვიას არ მოუკლავს პირადი მტერი. გასროლას უფრო დიდი მისია ედო საფუძვლად. იგი მეოცე საუკუნის მყიფე სულმა შვა, რათა კიდევ ერთხელ შეენჯღრია და გამოეფხიზლებინა ნარკოტიკით გაბრუებული გონება. მერვე სართულის ღია სარკმლიდან უმისამართოდ გასროლილი ტყვიის ხმა შესაძლოა კარის მეზობელსაც კი არ გაუგონია, მაგრამ ამ ხმამ კიდევ ერთხელ შეძრა ჩვენი მთვლემარე არსებობა და კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ერთხელ დაგვაფიქრა ადამიანის ბედმა. შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ მკვლელობა ისეთი უწყინარი ბუნების მქონე მოზარდისაგან როგორიც თედოა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა.

თედოსკენ შებრუნებული ახალგაზრდა ვექილი შეცბა. ბიჭის ზედმეტი ყურადღებისაგან დაძაბულმა და თითქმის დამახინჯებულმა სახემ წყალი გადაასხა მის ანთებულ მსჯელობას. რამხელა გაოცება და ვედრება ფეთქავდა თედოს თვალებში. ამ მზერამ ის წამიერი კონტაქტი აღადგინა, რომელიც სამყაროს შექმნასთან ერთად ყველაზე დიდ ჯილდოდ ებოძა ადამიანებს.

ახალგაზრდა ვექილისათვის ელვასავით გაიხსნა ბიჭის უბოროტო და კეთილი არსება, რომელსაც სულ არ ახსოვდა, რომ ჟილაცა სასჯელს უმსუბუქებდა, არამედ შვებას ეძებდა ბიჭი, შვებას, რომელიც მეგზურივით ჩაუძღვებოდა წყვდიადით მოცული ქვეცნობიერების ჩალუსკუმებულ ჯურღმულებში და სასჯელის მომლოდინე სხეულს კი არა, განაწამებ სულს დაუამებდა, სულს, რომელსაც ბრალი არ ედო იმ უსახურ და საშინელ ცოდვაში, უსუსურმა სხეულმა რომ იტვირთა.

და ყველაფერი ტანით იგრძნო ახალგაზრდა ვექილმა. ისეთი ძლიერი, უტყუარი საბუთი იყო ამ წუთებში მისთვის ინტუიცია, რომ ერთბაშად გაცამტვერდა პროფესიული მოვალეობის შეგრძნებით წინასწარ დაგეგმილი და ნააზრევი ადამიანთა ფორმალური გამართლება. არასოდეს ასე ძლიერად და ვნებიანად არ გასჩენია პიროვნების დაცვის სურვილი და არასოდეს ასე დამთრგუნველი არ ყოფილა საკუთარი უსუსურობის შეგრძნება. ლოგიკის მთავარ არხს გამალებით მისდევდა ვექილის დაქსაქსული გონება და გადამლილი კარტივით ველარცერთს ველარ ენდობოდა. ვერცერთი ველარ ამოერჩია. ყოველგვარ ახსნასა თუ პასუხს ღრმად შეჰყავდა სიმართლის მაცდურ ლაბირინთში, რომლის ერთი ბოლო სააღდგომო კრავივით ყელზე ება ჭეშმარიტებას.

ახალგაზრდა ვექილის მხურვალე გამოსვლამ დააბნია ტენდენციურად განწყობილი აუდიტორია, რომელიც ნებისმიერ მოვლენას ყოველთვის იოლად არქმევს სახელს; ხალხი ახლა ბრალმდებლის ოდნავ მოგუდულ და ძლიერ ხმას უსმენდა, კოლეგის მხურვალე გამოსვლას ირონიაშეპარული ღიმილით ლირიზმი რომ უწოდა.

დინჯად, მდორედ მოედინებოდა სიტყვათა ჯერი ზღაპრის ჯვარედინა გზებიდან ნაცადი მიმართულება რომ აერჩია. ანტურაჟის იგივე დეტალური აღწერა, იგივე დეტალური თვალის გადევნება დღეებისათვის, საათებისა და წამებისათვის. იგივე ყურადღება, — რა ეცვა, რას სვამდა, რას ჭამდა ბრალდებული. და იურისპრუდენციის ისტორიაში ათასგზის განმეორებული ყბადაღებული, საშიში მზადება მკვლელობისათვის.

პასუხად ახალგაზრდა ვექილის ისტერიული ყვირილი: ყველაფერი, ბატონო პროკურორო, ყველაფერი! ოღონდ არა განზრახ მკვლელობა... ამ ისტერიას იგივე მდორე, დამჯდარი და ზედმიწევნით გამოკვეთილი შეკითხვა მოსდევს:

— ძვირფასო კოლეგა, თქვენ არაერთგზის ახსენეთ „უმიზნო ტყვია“. სამწუხაროდ, ხალხური სიბრძნის ეს მოსწრებული ნაყოფი — ანდაზა თქვენ არასწორად გაიგეთ და ტყვიის სიბრმავე გონების სიბრმავეს გადააბრალეთ. მაშინ იქნება აგვიხსნათ, რაღა განსხვავებაა თავისთავად აღებულ ამ უსულო, პატარა, უწყინარ ნივთს, სამყაროში არსებულ მოვლენებსა და ადამიანს შორის, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხს პირველყოვლისა სწორედ გონება წარმართავს და ამართლებს. არა, კოლეგა, ასე არაფერი გამოვა. მართალია, მაგ სასწაულმოქმედი ლირიზმით ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მგოსნები აბრუებდნენ ადამიანებს, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ კანონმდებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთივე ძველთაძველია, როგორც ეგ თქვენი ლირიკა, რადგან გაჩნდა თუ არა დედამიწაზე პირველი ყვავილი, მაშინვე გაჩნდა თაიგულიც, რომელიც კაცის ხელმა დაჰკრიფა, მიჯნურისათვის რომ მიერთმია. თქვენი ლირიზმით ეგ თაიგული სიყვარულისა და სინაზის სიმბოლოა, მაგრამ ობიექტურად ეს აქტი დანაშაულია, რადგან ყვავილიც ღმერთის მიერ ბოძებული დღეებით ცოცხლობს. მითუმეტეს, როცა საქმე ეხება არა ყვავილს, არამედ ადამიანს. თქვენ გავიწყდებათ, რომ უძველესი ჩვეულების თანახმად მარჯვენა ბიბლიის წიგნზე გიდევთ. გულმავიწყობის გამო კი თქვენი მომხიბლავი ლოგიკა მუზის ვარდისფერ წარმოსახვას ემორჩილება და არა ჭეშმარიტების უძველეს და კლასიკურ ფერებს — შავსა და თეთრს, ე. ი. სიმართლეს. პირველი ჩვენების თანახმად ოქმში სწორედ ამ შავით თეთრზე სწერია ბრალდებულის აღიარება, რომ ტყვია შემთხვევით არ გავარდნილა, არამედ დაუმიზნა, დიახ, მიზანში ამოიღო თეთრი კვერნა, ქვეითად მიმავალ გოგონას საყელოდ რომ ეკეთა. დაუკვირდით ამ ფრაზას: „მიზანში ამოვიღე თეთრი კვერნა"... რა საგანგაშო საზღვრებს აღწევს ბრალდებულის გულგრილი ცინიზმი, დიახ, ბრალდებულისა, რომლის მიმართაც მე მიჭირს ვთქვა სიტყვა — ადამიანი, რადგან ეს სიტყვა ისეთივე დასანანია მისთვის, როგორც გლახაკისათვის გვირგვინი.

სასამართლოს სადა და პროზაულ ოთახში ერთმანეთს შეჭიდებული კოლეგები სიმართლეს ამტკიცებდნენ და საკუთარი მჭევრმეტყველების აირწინაღებით ასე ღრმად რომ მიიწევდნენ სამართლის ფსკერისაკენ, ველარ ამჩნევდნენ ნაკადულის ანკარა ზედაპირს რა მშვიდი ტაატით მიჰქონდა ნაფოტი. წყაროს სათავესთან მდგარი ბიჭი დაჩეხილი ხიდან ასხლეტილ ნაფოტს წყალში გადაგდებით უპირებდა გადარჩენას. კარგა მანძილზე სევდიანად გასცქეროდა მდინარეს, მერე კი სირბილით მისდევდა გაჩქარებულ, უცნაური სილბილის სასაცილოდ ამობურცულ პატარა ტალღებს და ნაფოტთან ერთად საკუთარ სულსაც ატანდა მათ.

ვერავინ ამჩნევდა ნაკადულის დაფარულ სიმკაცრეს, ფეხშიშველა ბიჭის აუმღვრეველ და მინდობილ სულს ფერად-ფერადი ლამაზი კენჭებიდან ქვაღორღზე რომ მიეხეთქებოდა, რათა ხევის ბოლოში ჩაბოღმილ მორევში ჩაეხრჩო. გადარჩენილს კი ტბის შლამსა და ხვიარებს უმზადებდა გამოსაცდელად.

მთელი დღე მზეს მიფიცხებული მოხუცივით ჯერ მუხლებზე დაიწყო ხელები, მერე მთელი სიმძიმით დაეყრდნო შეციებული სახსრების ყავარჯნებს და ისე ზანტად, მძიმედ გადადგა ნაბიჯი, თითქოს სხეული სულის მოცილებას ლამობსო. მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაიყარნენ. მიდიოდა თედო და თან მიჰქონდა ყველაზე დიდი სასჯელი — გონება, რომელიც ამიერიდან არასოდეს აპატიებდა იმ წამიერ უგუნობასა და თავდავიწყებას, ლამპიონებით მოხმობილი ულიმღამო დღე და ნაცრისფერი ქუჩა, ბნელი ულრანი ტყე რომ ეგონა; ქუჩაში მიმავალი გოგონა კი თავისი მკვირცხლი და ხალისიანი ნაბიჯების გამო — თეთრი კვერნა.

დარბაზიდან გასვლამდე უკანასკნელად აილო თავი. მძიმე, თითქმის უაზრო მზერა ერთხელ კიდევ მოავლო ირგვლივ და მწარე ღიმილით გაპობილ ბაგეს ისევე შეუმჩნევლად მოსწყდა რაღაცა, ბაბუაწვერას გამჭვირვალე უფაქიზეს სფეროს რომ უკანასკნელი ღინღლი მოსწყდება. კარგა ხანს იფარფატა შეხუთული დარბაზის თაღში, მერე მსუბუქი, ნელი ტაატით გადაუარა ადამიანებს და ქუთუთოს გარშემო მორკალულ ნაოჭს ფიფქივით დაადნა.

დეეედაააა....

.....რა იყო ეს? მოულოდნელად ჩამოვარდნილი ეული ფანტელი? თუ მზის ჩასვლის ჟამს გადაწურული მნათობის შუქზე მოხვედრილი მწვანე კუნძული, შიშველი სული რომ შეიფარა? ან იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებ უხსოვარი წიაღიდან ქვას მიჩვეული მზერის გადანაცვლება უმწეო და ძლიერ იაზე, თავისი სილურჯით ღამეს რომ წაავავს, მსუბუქი სიმძიმის გამოსაჩენად კი მშობიარე ქალივით რიჟრაჟს ელოდება.

სასჯელდადებული მეგობრის გამოხედვამ სოფლის ბინდისფერ საიდუმლოს აზიარა საბა. წყვილი ხმოვნისა და თანხმოვნისაგან შედედებული სიტყვა „დედა“ ისე ეკიდა ქვეყნიერების თაკარა სფეროს, როგორც ქალის კერტს ჩვილის სუსტი და ჯერ უცოდველი ბაგე. საბას მოეჩვენა, რომ უკიდეგანო სამყაროში ისევე შემთხვევით გადაჰყროდა დედის ხატებას, როგორც გზადაკარგული მგზავრი უდაბნოს გამომშრალ ქვიშაში ეკალზე ამოსული ბუსუსა ხაოიანი მცენარის გაწეწილ თავს, ამ ერთადერთ და უანგარო საჩრდილობელს ყოფიერების თაკარა ხვატში.

მთაწმინდაზე ჩამოწოლილი გრილი საღამო დამწვარი ქალაქის გადახსნილ მაჯას მალამოდ ეფინა. ღამის დემონმა უზარმაზარ სამყაროში ამობურცული კიდევ ერთი დღე გადაასწორა. ჩაქრა სანთელი. მიჯნურთათვის დიდი წყალობა, პოეტთა და ავაზაკთა თავშესაფარი, ღამე მოვიდა. ყველა ჭრილობამ და ყველა სიმართლემ უფრო მეტად იჩინა თავი. ათასი წვრილმანი მიზეზად იქცა, მიზეზი კიდევ დანაშაულად.

მაგრამ... განა იმისთვის არსებობდა ზღვა და მდინარე, კაცი და გემი რომ ჩაეძირა?! განა იმისთვის არსებობდნენ ყრუ ქარაფები, გზაარეული მონადირე უფსკრულებში გადაეჩეხათ?! ნუთუ იმიტომ ბობოქრობდნენ დიდი ვნებები, სამშობლოს ფერი ფარდაგები საბნად ექციათ?! მერე კი დიდი და მწარე ღამეები ეთიათ ამ საბნის ქვეშ გალურსულ ბავშვებს.

საბა მძიმედ მიუყვებოდა შინისაკენ მიმავალ აღმართს, მძიმედ, რადგან ათასი ფიქრი მიჰქონდა თან. ერთ სიმაღლეზე გადაპარსული ბზის ბუჩქები დაყურსული ტუსაღებივით დარაჯობდნენ აფორაჯებულ ღამეულ ზეცას. ბავშვობის მერე ეს პირველად იწყებოდა ფუ-ლაპრო ღამე. მის არსებაში ზვავივით იწვა მოგონებების თეთრი ნამქერი. უფსკრულის პირისპირ დარჩენილმა თვალი უსწორა უცნაურ წყვდიადს. მადლივით განათდა მარტოობის დიადი აზრი.

მოგონებების ათასი სარკმლიდან შეშინებული წყვილი თვალი იმზირებოდა. ყველას ამ მარტოობის საკუთარ თავთან დარჩენისა ეშინოდა, თვით იმ სოფიოსაც — „ჩემთვის ყოფნა მირჩევნიაო“ — ოდესღაც რომ გამოუტყდა შვილიშვილს.

თავისთვის იდგნენ უბოროტო, ძლიერი მთები. მეწამული ცა მზის სიახლოვეს ადასტურებდა. შეწირული ზვარაკივით სისხლისაგან დაცლილ ქალაქს ისევ ჰქონდა მატებისა და ხელახალი ავსების იმედი. წარმოსახვის ძლიერმა ნებამ რიგ-რიგობით ჩამოატარა დაკარგული ადამიანების გამტკნარებული სახეები. ხელისგულზე დატეული მკაცრი სიმართლე — მათი ცხოვრება, ქვებივით ეყარა ძველი ქალაქის ცრუ სამოთხეში, რადგან თითოეული საკუთარ ვნებებსა და ბედისწერას დამონებოდა.

თავისთვის იდგნენ უბოროტო, მდუმარე მთები. წიაღებში დუღდებოდნენ საშიში ვულკანები. ყველა ჩიტი და ყველა კენჭი თავის თავს ეკუთვნოდა. ღრუბელთა ფარას კი ცრემლივით მოსდევდა მარადიული ტკივილი — „რატომ არ მოველ წვიმადა...“ რადგან ყველაფერს, რაც კი არსებობდა უკიდეგანო სამყაროში, ყველა გალობას და ყველა მოთქმას, ყველა უფსკრულსა და ყველა მწვერვალს, ყველა არწივსა და ყველა კურდღელს, ყველა მეფესა და ყველა გლახაკს, — ყველას, ყველაფერს ერთ ადამიანში მოეყარა თავი. ამიტომ ჯერაც სადად იდგნენ საუკუნე ნანახი სალი კლდეები და ასე მალე ცვიდებოდა სხეული. სწამდა თუ არ სწამდა, ყველა ილვწოდა და სამსხვერპლოზე ყველას მიჰქონდა თავისი ზვარაკი. თანაც ზოგი მეფედ რჩებოდა, ზოგი კი გლახაკად. მეფობის ძებნაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ადვილად შეიძლება მოკვდე გლახაკად, რადგან ასე ახლოა და ასე მაცდურია გვირგვინი.

დიდი დარბაზის ხელოვნურ სიმწვანეში მიტოვებული თედოს მამა თავის სიცოცხლეში პირველად ფიქრობდა მოკლულ შურთხზე.

შინისკენ მიმავალ საბას მოეჩვენა, რომ ახლა განსაკუთრებით სწრაფად ილეოდა გზა, რადგან მხოლოდ ირეალური ფერის სიზმრებში იზმორებოდნენ ზანტი, უსასრულო ალმართები, თითოეულზე წყალობასავით რომ იდგა ცოდვის შესაფარი საყდარი.

გათოშილი ქუჩის ბოლოში კი კირით შეფეთქილი სახლი იცდიდა. ირგვლივ ჩაწოლილი სიჩუმე კიდევ უფრო ძლიერი ვნებით ეწეოდა შინისაკენ. მანქანების საბურავებზე ჯაჭვების მონოტონური წკარუნი მოტივივით სუსტად აღწევდა საბამდე და არსებობის სევდიანი სიამისაკენ ეწეოდა.

შემოდგომის წითელ ფოთლებს მელანქოლიურ პეიზაჟად გაჰყოლოდა ბავშვობისეული ხილვები. მოგონების ცივი გორგალი ვეება გუნდასავით მოემწყვდია საბას მუჭში და გრძნობდა, რომ დროზე უნდა ესროლა იგივინმესთვის. დროზე, რადგან ხელის მტევანში ჩაწურული სხეულის სითბო ამ ხილვებსაც ისევე უკვალოდ გააქრობდა, როგორც გაზაფხული შარშანდელ ზამთარს. მოულოდნელი უვნებლობით ზურგზე ჩამოშლილი თოვლი წამით მაინც შეაჩერებდა ყველაზე მგრძნობიარე და ყველაზე ჭკვიან კაცს, რათა მის ასაკოვან, გადაფითრებულ სახეს სისხლივით მოსწოლოდა ბრაზი კი არა, — სიკეთე, ბავშვივით ჩუმად რომ დაატარებდა მთელი სიცოცხლე.

სადღაც გამქრალიყო სახლი და საყდარი. ალარცერთი ალარ იცდიდა ქუჩის ბოლოში. საბა ახლა ღია ცის ქვეშ მიმავალ იმ უცნობ მგზავრს დასდევნებოდა, რათა დასწეოდა, ხელით შეხებოდა, სახეში ჩაეხედა და მადლობა ეთქვა ბავშვობაში გადარჩენილი სიკეთისათვის, რომელიც სასიცოცხლო ნერვივით ფეთქავს ჭრილობებით დასერილ დედამიწაზე.

ლადო სულაბერიძე

# ერთი დღის სიყვარული

1.

თელაველი გოგოს კვალი
დამრჩა სანატრ-საგოდებლად,
ბავშვობაში რასაც ვკარგავთ,
სიბერეში გვაგონდება.
სულ ერთი დღის სიყვარულის
სამლოცველოს კართან ვქრები,
სულ ერთი დღის სიყვარულის
ვარ მჭრეთელი ქანდაკების.
მე არ მინდა საფლავის ქვა,
ლალადი და ქადაგება, —
სულ ერთი დღის სიყვარულის
მკერდს დამადეთ ქანდაკება.
მეხმა კაწრა, ტყვიამაცა,
დრო კორტნიდა ჭილყვავურად,
მაინც გაძლო, იმამაცა
იმ ერთი დღის სიყვარულმა.
ძვლები შემრჩა დაკბენილი
ქარიშხლებით მთელავითა,
სულ პატარა გოგომ საგზლად
გამატანა თელავიდან.
მე საფლავის ქვა რად მინდა,
ლალადი და ქადაგება,—
სულ ერთი დღის სიყვარულის
მკერდს დამადეთ ქანდაკება.

2

ერეკლეს ჭადართან
რვაასწლის ჭადართან
იდგა, ღრუბლიანი
დღე, უცებ გადარდა.
„ერეკლე, მომგები
ასი ომისო...
მღეროდა, სიმღერის
ბილიკით მომისწრო.
ჭადარს აეკრა
გოგონა — ფრესკა.
მეჩვენა, მკლავებზე
ფოთლები ესხა.
— სხვაგან თუ არისო
ამგვარი ჭადარი?!
თუ ხედავ ფესვს, მიწის
გულამდე ჩატანილს?!
მე ვიცი იმ ფესვში
რა წვენი გალღვრილა,
ერთხელ შევეყარე
და აღარ გავყრილვარ.
ამ ყვითელ ფოთლებში
სისხლია ნოემბრის,
შენ იქნებ გზა გელის
შორ უდაბნოების.
ჩემი გზა ამ ჭადრის
ფესვს მისკვნილია,
რტოზე რომ ნისლია,
ის ჩემი წილია.
თუ გინდა, ჰა, შენი
ნაწილადარიც...
სხვაგან თუ არის
ამგვარი ჭადარი?!

3

ამ ეზოში ხოხბუნები
გოგმანობდნენ ერეკლესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანადიროდ არ ვხლებივარ
მეფეს მარეკ-მერეკებში.
ლეკის ცხენზე არა ვმჯდარვარ,
იმ მთებს გაღმა ლეკებია,
იქ ღრუბლები ჩაწვებიან,
ნისლნი ჩაილექებიან.
ალაზნიდან ამოტყორცნილ
ცისარტყელას ამოვყევი,
ვარ ნუშების ნაფერები,
ნაალერსალ-ნამოყვრევი.
გაზაფხულის ღრუბლის ჯიქნებს
რძესა ვწოვდი აკვნიდანვე,
მზეო, შენი ოქრო კიბით
ვარსკვლავებთან ალვვიტანე.
ძალა მოეცეს ახი ომის
მომგებ მეფე ერეკლესი,
მერე სანადიროდ მიხმე
შენსა მარეკ-მერეკებში.

4

ერთი თელაველი გოგო
შემხვდა უცებ კურსანტს,
მე სამარ გზაზე ვიდექ,
ვჭამდი სიმწრის პურსა.
უკან დარჩა სტუდენტობის
ვარდფურცლობის წლები,
ახლაც ვცოცხლობ ნისლიანი
იმ კვირა დღის გზნებით.

ცხრამეტი წლის ბიჭი ვიყავ,
დედის კალთით ნაზარდი,
რა ვიცოდი სიყვარულის
ცეცხლიანი აზარტი.
მე საომარ გზაზე ვიდექ,
ვჭამდი სიმწრის პურსა,
მაგრამ თელაველი გოგო
შემხვდა უცებ კურსანტს.

უკან მოგდევთ, ჩემო გზებო,
ნამეხარო, ნაქარო,
გაუმარჯოს, იმ ერთი დღის
სიყვარულის ავგაროზს!

5

ამგვარი ჭადარი
არსადაც არა დგას,
შენს მზეს შევაბამ
მაგ საყდარს ზარადა.
ქარები დარეკენ
ყოველი ნოემბრის,
მე ქვიშა დამღლის
შორ უდაბნოების.
აწ შენს გზას წავები
ჩემი გზა ჭადართან,
შინ კერა დავტოვე,
გადამილადარდა.
აქ ცეცხლი დამრჩება,
აქ, შენს ნიავთან,
ფიჩხი მიაყარე,
თუ შემაგვიანდა.
უდაბნოს ქვიშაში
თუ სადმე დავრჩი,
ამ ჭადრის ფესვები
მომწვდება გარჯილს.
შენსა ხატს ჭადარზე
ვერ აშლის დრონი,
უწყალოდ მცრეცელნი,
უწყალოდ მქროლნი.
მე გზებს მოვლახავ
ღორღიანთ, ქვიანთა,
ნისლი შემინახე,
თუ შემაგვიანდა.
მე მოვალ, კვლავ მოვალ,
ამ ღვთიურ კარავთან...
ამგვარი ჭადარი
არსადაც არა დგას.

6

მერე სანადიროდ წამყე,
გაგრევ მარეკ-მერეკებში.
იმ მთას გაღმა არ გახვიდე,
ვერ მოგძებნი მე ლეკებში.
ამა ცისარტყელას ენდე,
ფოთრებს სდიე ალაზანთან,
მაგ ღიმილის ხორბლით ზრდიდე
ხოხბებს შენთა თანამგზავრთა.
ბიჭებს თვალს ნუ შეაფეთებ
ნურც ყანაში, ნურც შარაში,
თვით ღვთაება თავის პერანგს
შენ ჩაგაცმევს ნუშნარაში.
შენთა თვალთა ეშმაკუნებს
სხვას ნურავის უწილადებ,

ჩემი დარდის სამსხვერპლოზე
ღმერთებს ნისლებს უწირავდე.
ლექსით დამხვდი ასი ომის
მომგებ მეფე ერეკლესი..
მერე სანადიროდ წამყე
გაგრევ მარეკ-მერეკებში.

7

ჩემი ღრუბლით აივსება
იმა მთების კარადანი.
— არჩევანი!
— არადანი!
— არჩევანი!
— არადანი!
მე პატარ გოგო ვარ და
მე რა ვიცი ქვეყნის განი,
მო, ჭადართან ვითამაშოთ:
— არჩევანი!
— არადანი!
ჯერ სამოთხის ჩიტებს დავდევ,
ვარ იმათი ალამდარი.
არც რა ვიცი არჩევანის,
არც რა ვიცი არადანის.
შენ რად ამბობ, გოგო ხარო
ჩემი სიზმრის დანადარი?!
— არჩევანი! —
კი ბატონო,
ჰო, ბატონო,
— არადანი!
მფრინავ ხალიჩებზე წნული
ხელთ მაქვს ვარდთა კალათანი.
— არჩევანი!
— არადანი!
— არჩევანი!
— არადანი!

8

— კურსანტო! — უეცრად
ზღაპრიდან, მითიდან
ხმამ გამომიხმო,
გზა გადამიხიდა.

— კურსანტო!.. —
ბრძანება,
ბრძანება,
ბრძანება...

და ჭადარს ფოთლები
ქარდაქარ განებნა.

ჭადარს კი ეკრა
ხატი უზადო.
— კურსანტო! — ზარები
გიხმობენ, კურსანტო!
და სამლოცველოში
უშანდლოდ, უსანთლოდ
შენ გრჩება ერთი დღის
ლეგენდა, კურსანტო!

გათავდა ბავშვობა,
ურჩი და თავნება,
გეძახის, გეძახის
საქვეყნო ბრძანება.

ბრძანება მამულის,
ბრძანება ვალის,
ბრძანება ხმალზე
გაჩინჩხლულ რვალის.

აწ თავი მარტოდენ
შენ არ გეყუდვნის,
ერთი დღის კოცონთან
ველარ შეყოვნდი.

— კურსანტო!... — გაწკრია
ამ ხმამ ნაზარმა.
ჭადარი კი არა,
ყაზარმა,
ყაზარმა.

ფრესკა კი არა,
ბრძანების რისხვა.
ხომ ხედავ მტრის ელვას,
ხომ გესმის მტრის ხმა?!

— ნუ შიმატოვებ!
ნუ წახვალ ნურსადო!... —
შენ კი ბრძანების
გზას გაჰყევ, კურსანტო!

— მე მოვალ, კვლავ მოვალ
ამ ღვთიურ კარავთან.
ამგვარი ჭადარი
არსადაც არა დგას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9

ცხრამეტი წლის ბიჭი ვიყავ,
დღეს ვარ სამოცისა,
იმა ცისკრის მსგავსი მერე
აღარ ამოცისკრდა.

ბრაზიანი ქარბუქები
გზებზე ულვთოდ მტანჯავდა,
სიყვარული დამხვდა, ხატი
აღარ დამხვდა ქადართან.

იმ ერთი დღის სიყვარულის
ფრთებით მოვიწუთისოფლე,
თითქოს დღემდე ვეზიდები
მე სიყვარულს უფლისოდენს.

სულ ერთი დღის სიყვარულის
სამლოცველოს კართან ვქრები,
სულ ერთი დღის სიყვარულის
ვარ მჭრეთელი ქანდაკების.

მე საფლავის ქვა რად მინდა,
ლალადი და ქადაგება, —
იმ ერთი დღის სიყვარულის
მკერდს დამადეთ ქანდაკება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

## მთები თბილისის ირგვლივ

ირგვლივ:
მახათა, შავნაბადა, მამადავითი,
თაბორის ქედი...
ქალაქისკენ დაქანებული
აურაცხელი გორაკები...

საოცარია!
ამათ რომ ვუმზერ —
მთები არც კი გამახსენდება.

სხვა მწვერვალებზე ნალესია
ქართული მზერა.
აქ მაღალი —
უმაღლესს ჰქვია.
აქ მარტოოდენ
აღმატებულს მიელტვის თვალი
და ჩვეულებრივს —
ჩვეულებრივ ვერავინ ამჩნევს.

## გაზაფხულის ეტიუდი

ბიჭი და გოგო
სანერგეში გამოზრდილ ნამყენს
გაფუებული ბაღის პირას
სათუთად რგავენ...

და თავბრუდამხვევ
სურნელებით დამუხტულ ჰაერს
შეუცნობელი მოლოდინის ჟინი
ათრთოლებს.

## ფერი იელის და ფერი მთვარის

მწვანეა მოლი.
შორს, ვით კოცონი,
ელავს იელი.
მეწამულდება დასალიერი,
დაისს მოჰყვება ფერი ძლიერი —
შავი — მძლეველი ყოვლის.

ფერი იელის,
ციალის მთვარის
უკაცრიელი ღამე —
სავსე ყვითელი ფერით...

ფერი ძლიერი და ფერი მჭკნარი,
ფერი ლაჟისა და ფერი მთვარის
გრძნეულ სიმღერას მღერის.

მაგრამ დარბაზში
არვინ შემოდის,
ძილით გათანგულ გარემოში
არსით გაისმის ჩქამი...
აიკრეფს მთვარე ყვითელ დალალებს,
დაბლა იელი ჩუმად ვალალებს
და მიდის დრამა ღამის..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

თქვენ ახლა გძინავთ
დღით დამაშვრალნო,
თქვენს ბუდეებში დაბუდებულნო...

ჩამოქცეული შუაღამეა,
ხეზე ჩიტები გატრუნულან,
სძინავს ნიავსაც
და შორეულ მდინარის ჩქამი
ღამის სიჩუმეს ამძაფრებს უფრო.

ეს სიჩუმე რომ სიმშვიდე იყოს,
არც ვინატრებდი გათენებას,
მეც ალბათ ძილად მივიქცეოდი
და სხივი ლამაზ, ფერადი სიზმრის
ბაგეებზე გამოჟონავდა.

ეს სიჩუმე რომ,
ეს სიჩუმე რომ,
ეს სიჩუმე რომ სიმშვიდე იყოს —
ყურს მივუგდებდი ფიქრდაწმენდილი,
ჩაძინებული ქალაქის სუნთქვას...

ამ ჩამოქცეულ შუაღამეში
ქალაქის დუმილს ისე დარაჯობს
ჩემი სტრიქონის ყრუ მელოდია, —
თითქოს ავადმყოფს ვუთევ საწოლთან...

## საით მიდიხარ, მგზავრო...

საით მიდიხარ, მგზავრო, ნეტავი,
უთავბოლოდ და უნიშანკვალოდ?
ჩიტმაც კი იცის თავისი გეზი —
ხელს თუ აუქნევ —
სხვა მხარეს გასწევს
და ეს სხვა მხარეც
მაგნიტივით იზიდავს თითქოს...
შენ კი, სულ გზებზე მობორიალევ,
რად ირკალები უხილავი ქარის ქროლაზე?
თუ სიარული აღარ ძალგიძს —
შეჩერდი მაინც,
დაელოდე
იმ ღვთისნიერ მეგზურის მოსვლას,
ვინც ხელს ჩაგჭიდებს,
ვინც შინისკენ გზას მიგასწავლის.

## შენ ჩაიარე

შენ ჩაიარე.
უეცრად ვიგრძენ,
რომ მე ამ გზაზე კაცი კი არა —
გზისპირს დარგული ვიყავ ჭადარი.

ხესაც კი სტკივა, ალბათ, ფესვები,
როცა ნაჯახით ტოტებს აჭრიან...

შენ ჩაიარე.
სიბნელეში შენი გონების
ჩემს დანახვაზე
ნაპერწკალიც არ ანთებულა.

გიყურე ერთხანს,
სანამ ქუჩას შეერეოდი.
გხედავდი მერეც...
შენი სახე ჩემს ხსოვნაში
ახლაც ისეა,
როგორც კუნძი ალმოდებული,
ნელა, თანდათან რომ იწვება
და ნახშირდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აქ ბედნიერი ფრინველი სტვენდა

შენით სავსეა
ეს ბეტონის ვიწრო გალია,
შენი კეთილი მზერითაა ნაალერსები,
ყველაფერი ამ კედლებს შიგნით,
ფანჯრების წინ დაყუდებული
ხრიოკი მთებიც
და ზეცაც,
მთებზე ნაღვლიანად ჩამომხობილი.

ახლა ამ სახლში
მოგონებათა ლანდებილა დაწრიალებენ.
ვინ გახსნის ფანჯრებს?
რა პირქარი გაანიავებს შენს სურნელებას?
ამ ძველ ლარნაკშიც
აღარ ყვავიან ახლა ვარდები,
მაგრამ შენი თითების სითბო
შერჩენილია მის გლუვ კედლებზე,
მოჩითულია, სიყვარულის მხურვალე ტვიფრით.

აქ ბედნიერი ფრინველი სტვენდა.
მისი გალობის თვითეულ ბგერას,
როგორც ნიჟარა ზღვების შრიალს —
ისე ვაგროვებ
ამქვეყნიური ყაყანისაგან დაოსებული.

შენით სავსეა,
შენით სავსეა, შენით სავსეა
ეს ბეტონის ვიწრო გალია.

## ვინ არის ქვეყნად?..

ბორბლების სტვენამ
გადასერა სიჩუმე ღამის....

სად მიჰქრის ნეტა,
ის მანქანა თავაწყვეტილი?
სატრფოსთან?

მტერთან?
სად მიიჩქარის?

ვინ არის ქვეყნად,
უჩვენოდ რომ გაძლება უჭირს
და იმისაკენ გიჟურ ლტოლვას
ვართ აყოლილნი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაულ ჩილაჩავა

# დავით გურამიშვილი ეთხოვება საწუთროს

ჩემი ცოდვამც მოსცემია
ჩემს ამამთხრელს, ამამზარავს.

დ. გურამიშვილი

მქონდა უფლება... ახლა უკვე გარდასულ დროში
იგულისხმება უნაზესი წამების წყება.
არ არის ხივრცე იმედისთვის, არ არის ნება
წარგვუძღვე ლაშქარს ლაშქრობებში დაფლეთილ დროშით.

მე მეჩქარება, მარტოსული ვუცდი არავის,
მე ყველაფერი ახლა მინდა, ცოცხალვარ სანამ, —
ზედაზნის კალთა, ლამისყანის მზისფერი ყანა
და სიხხლი ჩემი ამამთხრელის, ამამზარავის.

რას მიმანიშნებს მეწამული კვალი მნათობა,
ან რას მაუწყებს შორეული ექო ზარბაზნის?
სევდამ ჩემმან დაუტევა სულის დარბაზნი,
ვიცოდე მაინც თუ ოდესმე ჰპოვებ ნათესავს.

ბედო მაცდურო, დაკეცილი ფრთები გაშალე,
შენ გეაჯები, შენ გენუკვი, შენ გევედრები!..
კიაფობს ხიბლი მიწიერი, ხმობენ ქედნები
და ცის და მიწის გასაყართან ვდგავარ მაშვრალი.

■ ■ ■

ჩაქრა წაბლების თეთრი ჭაღები,
ცივი ქარების ქღერს ანტრაქტი და
ცამ სივრცე თრთვილის ყაისნაღებით
მოაქათქათა, ვით ანტარქტიდა.
უკვე მზადაა ზამთრის მაკეტი,
მაგრამ გაგთოშავს თუ შეეხები,

მოდის საკუთარ თავში ჩაკეტვის
ჟამი ყინულის ოჩოფეხებით.
მე ხშირად ვამჩნევ, როცა მზე ჩადის
ქალაქი ფიქრებს როგორ ახიზნავს
სახლებს და თითქმის დაცლილ ხრეშჩატიკს
ეცემა ჩრდილი მონომახისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალთვალი

სახურავახდილ საყდარში ვდგავარ,
ტელესკოპია გუმბათის ყელი
და ვუთვალთვალებ ყველაზე მთავარ
ვარსკვლავს, გამგებელს ნათლის და ბნელის.
ცის ბევრი რამე არ გამეგება,
მიწაზეც ვივლი მე რიდიანი,
თუ ის ცთომილი არ გამეგება,
არ მამცნო ჩემი მერიდიანი.

თითქოს მნათობთა წიგნი დახურეს,
გაიწკრიალა წყვდიადის ზარმა
და ღამე სივრცეს ისე გაყურებს,
როგორც წარმართი დამსხვრეულ არმაზს.
აქ მის კვალდაკვალ მოვა ზარნაში
და შემზარავად მოჰყვება კივილს
და ახდილ გუმბათს მოაზარნიშებს
ამომავალი მთოვარის სხივი.

* * *

ჩემი წუხილი შტორმების შემდეგ
რეიდზე დადგა, ვით კრეისერი,
მაგრამ ნაჯაფი, შავი კისერი
არ მომცემს ნებას გულმშვიდად ვთვლემდე.
მძიმეა ტვირთი.
თითქოს უნარი
ამკიდეს ზურგზე და ვეზიდები
და მე სიფხიზლეს მთხოვენ თითები,
როდესაც თვალებს უტევს ბურანი.

გავხედავ ხაფრცეს, ორზი უხიერ
ტყეების თავზე გადაიქროლებს
და მე დავითვლი ძვირფას ხტრიქონებს,
ვით პროპორციებს კორბიუზიე.
ვილოცებ: „ერთ კარგად მიმყოფე,
აუვსე მამულს თაფლით ფიჭები!..“
მომეწევიან ამ დროს ბიჭები
და მამის ტვირთს და ვალს გაიყოფენ.

## ნარიყალადან

მტკვრის პირზე არღანს თუმც არ ვატირებ,
არც ტივზე გაშლილ სუფრასთან ვთვრები,
მე მაინც მიხმობს ეს ფარვატერი
და ყალყზე შემდგარ ტალღების ხმები,
როგორც შორს წასულ ძაღლს მონადირე.

ჩემო თბილისო, შენს ტანჯულ მკერდზე
ისევ ყვავილობს ხე სიკეთისა,
ისევ შეგხარი ქედუხრელს, დღეგრძელს
და ვგრძნობ დღითი-დღე ხულ უკეთესად,
სად გადის ჩემი სამყაროს ღერძი.

აქ უნდა ვიყო... ბებერ ციტადელს
სჭირდება ჩემი ზრუნვა და გარჯა,
აქ ტკივილს ისე უნდა ვიტანდე,
თითქოს შვებამდე ნაბიჯი დამრჩა
და ველი დღეებს უგულითადესს.

ზრიალებს, გრგვინავს მაჩაბლის ჩანგი,
ვით ლეწა შუბმა და ფარმა მტერი,
მაგრამ უეცრად ნელდება ბანგი
და მე მაფხიზლებს მტკვრის ფარვატერი
არაგველების სისხლიან ბაგით.

## ჩვენ ვცხოვრობთ ფსკერზე

ჩვენ ვცხოვრობთ ფსკერზე, ფეხისგულით დატკეპნილ ფსკერზე
და უხილავი ტალღა გვარხევს წყალმცენარეებს...

ანგელოსები, როგორც განძის მაძიებლები,
მოჰქრიან ჩვენკენ სკაფანდრებით, მფრინავ თეფშებით,
გვიღებენ სურათს, გვიმიზნებენ ტელეკამერებს
და შენიშვნებით აჭრელებენ საბორტო ჟურნალს.
მათ ნიჟარებად მიაჩნიათ ჩვენი სახლები
და ნამდვილ მარჯანს დაეძებენ ბინადართ შორის.
თვალს დაადგამენ, მარტოდმარტო დაიგულებენ
დაბრუნდებიან ცათა შინა ნაალაფარით.
ასე გვაკლდება მეგობრები, შვილები, და-ძმა,
რომლებიც ახალ ვარსკვლავებად უნდა გაბრწყინდნენ...
ჩვენ კი — მოკვდავნი, ფსკერზე ვრჩებით სამარადისოდ,
ჰაერის წყნარი ოკეანის დატკეპნილ ფსკერზე.

## ბუნების მიბაძვა

თოვლი კი დნება და ეს სინათლე
მიჰყვება ლანქერს და ვეღარ მითქვამს:
„ო, ზამთრის დღეო, შენ მომინათლე
ყელში სათქმელად მომდგარი სიტყვა!“
ჩიტები უკვე სხვა ხმით გალობენ,
რუმაც რაკრაკით დაიწყო დენა,
რათა პლანეტის მცველს და მწყალობელს
გაუხალისდეს დახშული სმენა.

ჰაუ, კარებთან მომდგარა მარტი
თოვლს წაუღია მთელი წლის დარდი
და გაფურჩქვნილა იდუმალება,
როგორც მკითხავის თითებში კარტი.
და კვლავ იღვიძებს ჩემში ცთუნება,
დავთმო თანამდევ ფიქრთა ბნელიცა,
რადან ცხოვრებას თვითონ ბუნებაც
თავიდან იწყებს ყოველ წელიწადს.

* * *

არქიჯინსები, არქიპერანგი,
გული კი, გული — არქიპელაგი,
ყინულოვანი სამყარო ოდენ.
ჰა, სინანული, ვით ბუმერანგი,
მოიქცა შენკენ, რამეთუ სცოდე.

უკვე დაშლილად, მტვრად გეგულება
რწმენა, იმედი და ერთგულება,
ეს უწმინდესი ტრიუმვირატი
და მარტოობა გედიდგულება,
თვალს არ გაშორებს, როგორც პირატი.

რაო, დაჭკნენო ტრფობის კვირტები!
მის კვლავ გაფურჩქვნას ვერ დაგპირდები,
რაც ჰყვავის ერთხელ, როგორც აგავა.

ეს კია, მწარედ აგიტირდები,
არ მემეტები დასაკარგავად.

ბავშვობა მორჩა, სიყრმეც გავიდა
და სიჭაბუკის თვითმფრინავიდან
ვარ ასროლილი ცად კატაპულტით,
მე ჯოჯოხეთის ცეცხლსაც ავიტან
და არ დამცდება მაინც: „დაბრუნდი!“

არა, არ არის ადვილი სულაც,
როგორც მხატვარი გაყიდულ სურათს,
უმზერდე წარსულს, ხმაურით ჩავლილს,
როცა იმსხვრევა ძვირფასი სურა,
სიძვირფასესაც გაუდის ყავლი.

ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

# შუმერული მითოლოგია

## მოთხრობა

სამგზავრო მატარებელი „თბილისი-წითელწყარო" უხალისო ჯაყჯაყით გავიდა დედაქალაქიდან. ლოდინისაგან გაბეზრებული მგზავრები მაშინ კი დაშოშმინდნენ, და ყველამ საქმე გამონახა. ვინ კარტი გაახურა, ვინ დომინო, ვინ გაზეთი გაშალა. ზოგიერთმა, უქმად ყოფნას მიუჩვეველმა ქალმა ხელსაქმე ამოიღო. ხოლო ვისაც საუზმე ვერ მოესწრო, ჭამა-სმას შეუდგა.

სოფლის დედაკაცები ჰაიჰარად გამოენაცნაურნენ ერთმანეთს და მხურვალე ბაასი გააბეს ძალზე მოსაწყენ და უმნიშვნელო ამბებზე, რასაც მეტისმეტად დიდი ფასი ადევს ერთობ უბირი ადამიანების თვალში.

ყველაზე მეტად პირველი ვაგონი იყო გადატვირთული, ვინაიდან უმრავლესობა სწორედ მას ეტანება — სხვებზე ნაკლებად ქანაობსო. მგზავრები საიმედოდ მოკალათებულიყვნენ, ბარგიც თვალქვეშ ეწყოთ და ყველას მგზავრობას შეგუებული ჩლუნგი გამომეტყველება მიეღო. ისეთი ზანტი მიხრა-მოხრა და სიტყვა ჰქონდათ, გეგონება რაღაც ხუთიოდე საათი კი არა, ერთი თვე მაინც უნდა გაატარონ გზაშიო.

ვაგონში სიცილ-ფრუტუნი და დაუსრულებელი, მოსაბეზრებელი ყატყატი სუფევდა.

მხოლოდ ერთი სანდომიანი, თმაშეღებილი ქალიშვილი იჯდა ობლად. ოცდაორიოდე წლისა თუ იქნებოდა. ძალზე გახეტებული ჩანდა, ეტყობა, გონებით სულ სხვაგან იყო და არცთუ სასურველ გარემოში. ვაგონში ამოსვლისთანავე ისეთი გაცბუნებული მზერა მოავლო იქაურობას, რომ ძნელი მისახვედრი არ იყო: მატარებლით იშვიათად მგზავრობდა, ხოლო ჭრელი ხალხით და ოფლის სუნით გაჟღენთილ საერთო ვაგონში, ვინ იცის, იქნება სულაც პირველად იჯდა.

მებარგულს სამი ნაჭერი ამოატანინა: ოქროსფერაბზინდიანი ქამრებით და ლაპლაპა საკეტებით დამშვენებული უზარმაზარი ძვირფასი ჩემოდანი და ორი ერთნაირი ლვიძლისფერი ჩანთა.

ხელში საკმაოდ მოზრდილი წიგნი ეჭირა. ავტორი და სახელწოდება ოქროსფერი, თოქმა ასოებით ეწერა მკვრივ, შავ ყდაზე, რაც წიგნს ძალზე ლაზათიანს და თვალშისაცემს ხდიდა. ყდაზე, სახელწოდების ქვეშ, ასევე ოქროსფერი, მაგრამ მეტისმეტად წმინდა, სახსრებთან წყვეტილი ხაზებით გამოსახული იყო ტორაწეული ლომკაცი, ქალთევზი, დრაკონი, დევქაჯი, ლომტახი, ქალსფინქსი თუ რაღაც ამის მსგავსი ზღაპრული არსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალთახალ წიგნში, რომელსაც ჯერ კიდევ სტამბის სუნი გამოჰყოლოდა, ქალიშვილი ისე უაზროდ ჩაიყურებოდა და წამდაუწუმ ისე დაუფიქრებლად ფურცლავდა წალმა-უკუღმა, რომ ცხადი იყო: იგი გართობის იმედით ეყიდა სადგურის ფარდულში მატარებლის გამოსვლამდე ორიოდე წუთით ადრე, თანაც ალალბედზე. რაღაც მტანჯველური ფიქრებისაგან შეპყრობილი, აბზაცებს და გვერდებს ისე ჩაიკითხავდა, არც ესმოდა რაზე იყო ლაპარაკი. ამიტომ გულს ვერ უდებდა და მალ-მალ ხურავდა. თვალიც ხშირად უშტერდებოდა. ზოგჯერ, როცა გამოერკვეოდა, სარკმლიდან ისეთი სახით უყურებდა მიდამოს, ზედვე ეწერა — თავის სიცოცხლეში პირველად მიემგზავრებოდა თბილისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

რაკი კითხვასა და სარკმელში ცქერას გული ვერა და ვერ გადააყოლა, უფრო ჩასევდიანდა და ახლა მუხაითვის სურვილმა წამოუარა. მაგრამ ნახევარი გზა გაილია, ერთი სიტყვა კი არავის ულირსებია! ან ვინ ეტყოდა: გვერდზე ორმოცდაათიოდე წლის ცოლ-ქმარი უჯდა. ქალს შუბლი უშნოდ წაეკრა ჩითის თავსახვევით და წინდას ქსოვდა პირმოკუმული. ფართოჩანება, „ბოქსის“ ფასონზე ახლადთავმოკრეჭილი ქმარი კი იაფფასიან ძეხვს ნერვებისმომშლელად აჭლაპუნებდა, თან ბოთლიდან ლუდს ყლურჭავდა.

წინა სკამზე ოთხი თათარი გამოჭიმულიყო: თეთრწვერა, კრიალოსნიან ბერიკაცს, აგვისტოს ხვატის მიუხედავად, ვედროსხელა კარაკულის ქუდი მაგრად ჩამოეფხუტა; ჭრელაჭრულა შალებში გამოკვანძული დედაკაცები კი ომნაირად ყაყანებდნენ თავიანთ ენაზე, თითქო ვაგონში ჩვენს მეტი არავინ არისო.

ქალიშვილი იდაყვით დაეყრდნო კალთაში გადაშლილ წიგნს და უხმოდ ამოიოხრა.

* * *

საგარეჯოში ბლომა ხალხი ჩავიდა. ქალიშვილის მეზობელმა თათრებმაც გნიასით აიკრეს გუდა-ნაბადი და ვაგონი შესამჩნევად შეთხელდა. ამოსვლით კი ძალზე ცოტანი ამოვიდნენ.

მატარებელი აიძრა და სიჩქარეს გვარიანად რომ უმატა, ორი ბიჭი ხორხოცითა და ბრაგუნით შემოვარდა ვაგონში. ზედვე ეტყობოდათ: ერთი ფეხითლა მოესწროთ და გაქანებულ მატარებელს რის ვაივაგლახით, ერთმანეთის ჯობნების ცდაში შეხტომოდნენ.

ღელვისა და სირბილისაგან სულს ძლივს იბრუნებდნენ. დოყლაპიობას ერთმანეთს აბრალებდნენ და ვითომ ძმაკაცურადო, მაგრამ გემოზე უბასტუნებდნენ.

ბავშვობიდანვე შეზრდილი მეგობრები ჩანდნენ.

— ხურდა მაინც გამოართვი? — გასაოცარი გულწრფელობით ხარხარებდა ქერა.

— ხადლა მოვასწარ! — განზრახ დაღვრემით პასუხობდა ჩასკვნილი, რათა მეგობარს უფრო გულიანად ეცინა, — მწვადიც ხელუხლებელი დაგვრჩა...

ბიჭები ერთგან შედგნენ.

— დავსხდეთ აქ!

ქერამ უცებ თვალი მოჰკრა სარკმელთან მოწყენით მიყუჟულ ფოროთოხლისფერთმიანს. მან ისიც შენიშნა, ქალიშვილის წინ ადგილი თავისუფალი რომ იყო და იქით ისეთი ყოფით გავარდა, დასწრებაზე რომ იციან ხოლმე.

ჩასკვნილიც კუდში გაჰყვა, თუმცა ჯერ ვერა გუმანობდა რა ემცხვეთა მეგობარს.

ბიჭები ქალიშვილისა და ცოლ-ქმრის წინ დაბარებულებივით გამოიჭიმნენ.

ჩასკვნილმა ქურდულად, მაგრამ დაუფარავი აღტაცებით აათვალიერ-ჩაათვალიერა გოგო და მეგობარს ხელების ფშვნეტით ჩაუჩურჩულა.

— ბედი გვქონია!

— ეგ მერე გაირკვევა ვის ჰქონია! — განზრახ ხმამაღლა და სერიოზულად იხუმრა ქერამ, ფოროთოხლისფერთმიანისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილმა ღიმილი ძლივს შეიკავა. მერე კაბა გაისწორა.

ჭამით გართულ კაცს ახალი მგზავრებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მის მეუღლეს კი უსიამო ჩრდილმა გაურბინა ბალნიან სახეზე. ესენი სახეიროდ არ მოუსხდნენ ამ გოგოსო (თვითონაც ორი ქალიშვილის პატრონი იყო!!!) და გადაწყვიტა უმალ გამოსარჩლებოდა, როგორც კი ამის საჭიროება შეიქმნებოდა. მან ერთი პირქუშად გადახედა ქალიშვილს მიჩერებულ ბიჭებს და რკინის ლაპლაპა ჩხირები ისე ბრაზიანად აამოძრავა, თითქო წინდას კი არა ქსოვს, არამედ თვითგვემის რაღაც რიტუალს ასრულებს და სამურაბე კაკლისაგან გაშავებულ თითებს იჩხვლეტსო.

— წამო, მოვწიოთ, — ხმა ამოიღო ჩასკვნილმა.

— სიგარეტი არ ვაბოლო და ბარემ!... — მიუგო ქერამ და დანარჩენი წარბითა და თვალებით უთხრა: ბარემ გოგოს ვუყუროთ.

ჩასკვნილმა ჩაიხითხითა და თვითონაც გადაიფიქრა მოწევა.

ოცდაოთხიოდე წლის ძმაბიჭები ერთმანეთისაგან განსხვავებულ და საინტერესო ტიპებს წარმოადგენდნენ.

ქერა იყო მაღალი, ერთობ ძვალმსხვილი, გამხდარი და ძარღვიანი. ლამაზი, მკვეთრად მოხაზული ტუჩები მოლაყბისა ჰქონდა. ხშირ, დატალღულ, ქერა თმას უკანასკნელი მოდის გავლენა არ ეტყობოდა: გვერდზე ისე უპატრონოდ გადახრილიყო, თითქო ქარს წაუქცევიაო. ოქროსფერი, ჯერჯერობით თხელი, სამიოდე დღის გაუპარსავი წვერი მხოლოდ საულვაშეზე, მსახიობურ ნიკაპსა და ნატიფ ჩანებზე უბიბინებდა. თვალშისაცემი იყო შეუპოვარი, ვნებიანი ყვრიმალები. სიჯანსაღით და ცდუნების წყურვილით გასხივოსნებული თაფლისფერი თვალები ეშმაკურად, ხან სასაცილოდ სერიოზულობით, ხან კი მიამიტურად ციმციმებდნენ და უცხოში ქერასთან გამოლაპარაკების, დაამხანაგების ანდა ლაზღანდარობის დაუოკებელ სურვილს აღძრავდნენ.

ბიჭს პირდაპირ შუბლზე ეწერა, რომ ძალზე ენაკვიმატი, ერთობ მეტიჩარა, თავდაჯერებული, გულკეთილი, დაუზარელი, გონებასხარტი, ბავშვივით გულუბრყვილო, ზოგჯერ დაუფიქრებელი და საშინლად რისკიანი იყო! არ ვიცი, მე მეჩვენება თუ ცხოვრებაშიც მართლა ასეა: ქერასნაირ ტიპებს ვერ შეხვდებით მდიდრულ, მოყირჭებულ ოჯახებში. ასეთი ცინცხალი, ოქროს თვითნაბადივით ნაღდი ბიჭები მხოლოდ ღარიბი, უბირი ხალხის წიაღიდან გამოდიან. ასეთები არცთუ ძალზე ბევრნი, მაგრამ მაინც საკმაოდ მოიძებნებიან კახეთში და მათ სოფლის შესაფერი სასწაულების მოხდენა შეუძლიათ: გაგიჟებამდე თავი შეაყვარონ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ანდა რაიონის პროკურორის ქალიშვილს, გახდნენ პირველი მდივნის უცვლელი შოფრები, ოცდახუთ წლამდე სამი ცოლის გამოცვლა მოასწრონ, ერთ სეზონში რაღაც ოინებით „ჟიგულის“ ფული გააკეთონ, ანდა სულელური წვრილმანისათვის ვირის აბანოში ამოყონ თავი რამდენიმე წლით. და ეს მაშინ, როცა იმავე გარემოში სოფლის უკანასკნელი აბუეტი ბიჭიც კი არამც და არამც თავს არ გაიხდიდა საცინზედ!

მეორე, ჩასკვნილი? ისეთი ლიპი წამოსიებოდა, ეტყობა, უზომო ჭამა-სმის მოტრფიალე იყო. სქელი ულვაში შორიდან ისე მოუჩანდა, თითქო გამდნარი კუპრი წაუსვამთო. გოგრათავი და სახის ნაკვთები საოცრად დასრულებული და კაცური ჰქონდა. სწორედ ასეთებზე იტყვიან ხოლმე — გადამღერებული მამააო. ჯილა თვალები და შეკრული კოპები უნაკლოდ ხატავდნენ სოფლელ ეგოისტს. წამხედურობა და ცხოვრებისეული ჯიბრიანობა მათი განუყრელი თვისებაა. და ისინიც, ამხანაგების წაბაძვით, სადღა არ აბარებენ გამოცდებს: უნივერსიტეტში — სავაჭროეკონომიურზე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — ავტოსაინჟინროზე, სასოფლოში — მებაღეობა-მემცენარეობაზე. მაგრამ არსად არაფერი გამოსდით ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან და არაა გასაკვირი, რომ ამნაირი ტიპები შვიდიოდე წელიწადში ნახოთ მეხინკლის თეთრი ჩაჩით, საველე კალოს გამგედ, კირის ქარხანაში მწონავად, მელორეობის ბრიგადირად, ტრაქტორისტებთან აღმრიცხველად, დამზადების კანტორაში ტყავების ჩამბარებლად, შოფრად, მედოლედ და ღმერთმა უწყის, კიდევ სად!

— ეე, თუ არ მოვწიე. — ჯიბეები მოიქექა ჩასკვნილმა.

— ნუ გავიწყდება აქ ქალიშვილიც ზის! — სასაცილო სერიოზულობით გააფრთხილა ქერამ.

— მერე აქ ვინ ეწევა, ვირო!

— ვირო და ცხენო! — არ დაუთმო ქერამ, — თუ არადა სადაც გინდა მოსწიო, არ შეიძლება რაღაც სუნი მაინც არ შემოგყვეს და ქალიშვილს...

— ვახ! ვახ! ვახ!

გოგომ სახეზე ხელი ჩამოისვა, რომ ბიჭებს ღიმილი არ შეენიშნათ.

ჩასკვნილი ტამბურისკენ გაემართა სიგარეტის სრესით.

ქერა შინაგან წრიალს აეტანა. ქალიშვილზე დანახვისთანავე შეუვარდა გული, თითქო შეუყვარდა კიდეც. მაგრამ წუთი წუთს მისდევდა, გამოლაპარაკების საბაბს კი ვერა და ვერ იგონებდა. სოფლის გოგოებთან ლაილაის მიჩვეული იყო და ახლა უკვირდა — რა ჭირი მემართებაო. თუმცა, იმასაც ხვდებოდა, რომ ფორთოხლისფერთმიანი იმათ რანგს არ განეკუთვნებოდა და მასთან ცოტა სხვანაირი მიდგომა იყო საჭირო. ჰოდა, სწორედ ეს ბოჭავდა და აფრთხობდა. თუმცა ფარ-ხმალის დაყრას როდი აპირებდა: გუნებაში ათასნაირ კითხვებს იგონებდა — ქალიშვილო, საათი ხომ არა გაქვს, საიდან მოდიხარ, საით მიდიხარ, ეს ჩემოდანი ვისი ნაწარმია, კარტი ხომ არ გექნება, რა გქვია და სხვა — მაგრამ ყველა გაცვეთილი და უიმედო ეჩვენებოდა. ამიტომ გონებას უმოწყალოდ აწვალებდა და ისეთი კითხვის მიგნებას ცდილობდა, რომელიც ბუნებრივიც იქნებოდა და ხანგრძლივი საუბრის საშუალებასაც მისცემდა.

ჩასკვნილი დაბრუნდა. რაკი დაინახა საუბარი არ გაბმულიყო, მეგობრის მისამართით ჩაიქირქილა და სიგარეტის კოლოფი მათხოვარივით გაუწოდა.

— წადი, მოწიე მაინც!

— შტერო, აქ ვინმეს კი არა ვდარაჯობთ, ჯერჯერობით ვიაროთ! — ორაზროვნად მიუგო ქერამ.

ტუჩებზე გადამდნარი ღიმილი ქალიშვილმა ენის წვერით მოილოკა. მერე ველარ გაუძლო ბიჭების ჩაჟინებულ მზერას და ისევ წიგნი გადაშალა.

ქერამ ახლაღა შენიშნა წიგნი და დაკვირვებით მიაჩერდა ყდაზე გამოხატულ მითიურ არსებას. მერე სახელწოდების ამოკითხვაც სცადა, მაგრამ ვერა და ვერ შესძლო. უცებ თვალები ისე გაუბრწყინდა, თითქო დაკარგული ოქროს ბეჭედი იპოვაო. რაღაცით გამხნევებული გასწორდა და შეიმართა, ხოლო როცა გოგომ წიგნი დახურა (ეს მერამდენედ!), მისკენ გადაიხარა და ჯარში ნასწავლი რუსულით ყინჩად მიმართა.

— მუდამაუზელ, რაზრეშიტე ა-აბრატიტსია!

ჩასკვნილმა თვალები დააჭყიტა. ქალიშვილს გაეცინა.

— რა მაქვს დასაცინი? — თავი მოისაცოდავა ქერამ და ზედ ყასიდად დაიხედა.

— არაფერი, — შორს დაიჭირა ქალიშვილმა, — მე სხვა რამეზე გამეცინა. ჯერ ერთი, მე რუსი არა ვარ და შეგიძლიათ ქართულად მომმართოთ; მეორეც, თქვენ შეცდომით გამოთქვით პირველი სიტყვა: მუდამაუზელ კი არა, მადმუაზელ-თქო.

— გვეცოდინება. — ქერამ შეგირდივით დაუხარა ლამაზი თავი და საოცარი სისწრაფით იცრუა, — გიყურებ და ისეთი გატაცებით კითხულობთ, ისეთი გატაცებით. რომ ველარ მოვითმინე და... თუ საიდუმლო არ არის, რა წიგნია? ალბათ...

— ესა? — ქალიშვილმა თითჩატანე-

ეროვნული

ბული წიგნი შეატრიალა, — „შუმერული მითოლოგია!“

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— შუმერულით? — გაოცდა ჩასკვნილა, — შუმერი რაღაა?

— როგორ გითხრათ, — არაბუნებრივად გაიღიმა ქალიშვილმა და თვალები აუწრიალდა, — შუმერი უძველესი სახელმწიფო იყო... იქ.. რა ქვია... მესოპოტამიაში....

— ალბათ, სულ სიყვარულზე წერია, არა? — გააწყვეტინა ქერამ.

გოგოს გაეცინა, დაიბნა და არ იცოდა, რა ეპასუხა. ახლაღა მიხვდა, რომ ამდენი აქა-იქა, ამოკრული და უგულისყურო კითხვის შემდეგ დაახლოებით მაინც არ იყო აზრზე, რას ეხებოდა წიგნი.

— სიყვარულზე, არა? — არ ცხრებოდა ქერა.

და თუმცა წიგნში გაშუქებული იყო ძველი შუამდინარული, შუმერული მითოლოგიის ძირითადი საკითხები: სამყაროს წარმოშობა, ადამიანის შექმნა, ცივილიზაციის დაფუძნება, კოსმოსის სტრუქტურა, მეფის ღვთაებრიობის იდეა, წარღვნის მითოსი და სხვა, ქალიშვილი ენის ბორძიკით სულ სხვა რამეზე ალაპარაკდა.

— რაზე და... ეხე იგი.. ვაჟკაცობაზე... რაინდობაზე...

— და სიყვარულზე? — თავისას ითხოვდა ქერა.

— კიდევ: ისა... კეთილშობილობაზე... პატიოსნებაზე...

— და სიყვარულზე! — არ იშლიდა ქერა.

— დიახ, და სიყვარულზეც! — ღიმილით დაამთავრა ქალიშვილმა და შვებით ამოისუნთქა.

— შენი გულისა, რა! — მედოლესავით აათამაშა კოტიტა ხელები ჩასკვნილმა, — ვაჟკაცობა! რაინდობა! პატიოსნება! კეთილშობილება! სიყვარული!... წიგნიც ესა ყოფილა, არა, ტარიელ?..

საუბარი გაიბა. ერთმანეთი გაიცნეს. ძეხვნაჭამი და ლუდნასვამი კაცი თვლემდა. ქალი კი თანდათან [illegible]ლებოდა. ერთი სული ჰქონდა, ბიჭებს სვავივით დასცემოდა, მაგრამ ფორთოხლისფერთმიანი ისე გულღიად ემასლაათებოდა ახალგაცნობილებს, რომ ვისიმე გამოქომაგება და დაცვა სულაც არა სჭირდებოდა.

ქალი ახლა უკვე გოგოს უბღვერდა.

— მემრე კიდევ ბიჭებს გაამტყუნებენ ხოლმე! — ესლა ჩაიტუტუნა და ბაჯაჯღანა მუხლებზე ქმრის კოსტუმი დიდის ამბით გადაიფარა, თუმცა აზრად არავის მოსდიოდა მისი ყურება.

— ლედი, რაკი სიყვარულზეც ყოფილა, ვენდობი თქვენს გემოვნებას და უეჭველად წავიკითხავ, — სხაპასხუპით ლაპარაკობდა ტარიელი, — არ დამავიწყდეს — „შუ-მე-რუ-ლი. მი-თო-ლო-გია!“ ვახო, ექნებათ ჩვენს ბიბლიოთეკაში?

— ექნებათ, როგო არ ექნებათ!

* * *

მატარებელი თავისთვის მიჯაყჯაყებდა. ახლადგაცნობილებმა სასაუბრო თითქო ამოწურეს და სიჩუმე ჩამოვარდა. ლედიმ ფანჯრიდან როგორც კი გაჰხედა ხრიოკ ბორცვებს, ისევ პირვანდელი სევდა მოერია.

— თეთრწყაროში რომელ საათზე ვიქნებით?

— თეთრწყაროში?! — ერთხმად ამოიძახეს ბიჭებმა, — შეგშლიათ და ეგ არის — ეს წითელწყაროში მიდის!

—ოი... თუმცა.. კი, კი. .. — აილეწა ლედი, — თეთრწყარო და წითელწყარო სულ ერთმანეთში მერევა... სწორია — წითელწყაროში.

— პირველის ნახევარზე. — აუწყეს დამშვიდებულმა ბიჭებმა და გაწყვეტილი საუბარი ახალი ძალით გაჩაღდა.

— ეტყობა, პირველად მოდიხართ წითელწყაროში.

— კი.

— სტუმრად?

— არა, განაწილებით.

— სად?

— სკოლაში, მასწავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა ასწავლოთ?

— ინგლისური.

— ვააა! როდის დაამთავრეთ?

— წელს.

— თავად სადაური ბრძანდებით?

— თბილისელი.

— მერე იქ ვერ იშოვეთ ადგილი?

— ეჰ, თუკი ვიშოვიდი...

— ასე რომ, მაინცდამაინც არ უნდა გეხალისებოდეთ რაიონში წამოსვლა, არა?

— ჰმ!.. რაიონიდან ჩამოსულებს აღარ ეხალისებათ უკან დაბრუნება და მე რატომ...

— მერე, ვინ გატანთ ძალას?

—ვინ? ისე დიპლომს არ იძლევიან, თუ...

— ააა! რამდენი გაქვთ მოსჯილი?

— ორი წელი. — ამოიოხრა ლედიმ და გაიცინა.

ძმაბიჭებს ძალზე შეეცოდათ ეს თვალ-წამწამშელებილი, მტრედივით უწყინარი გოგო. განსაკუთრებით ტარიელს აუჩუყდა გული.

— არ შეშინდე, ლედი, წითელწყაროა კარგი, დიდი რაიონია. სამი საშუალო სკოლა...

— მე სოფელში მაგზავნიან.

— სოფელში? რომელია?

ლედიმ შუბლი შეიკრა და ჩაფიქრდა, მაგრამ ვერ გაიხსენა სოფლის სახელი და როდეოსსურათიანი ცელოფანის ხელჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო.

— ოზაანი.

— აუუუ! — ისეთი ხმით იყმუვლეს ბიჭებმა, ძეხვნაჭამმა შიშისაგან თვალები წამოაჭყიტა, ხალხმა კი მათკენ დაიწყო ყურება, — ჩვენც ოზაანელები ვართ!

— მართლა? — რაღაც არაბუნებრივად და თითქო დამცინავადაც კი გაიღიმა ლედიმ და წიგნაკი უკანვე ჩააბრუნა.

— აბა, რა! — შეაგება ვახომ, — რაიონში ყველაზე ლამაზი სოფელია!

— რაიონშიო? — გაშრა ტარიელი, მეგობარს შუბლზე ორი თითი მიადო— სიცხე ხომ არ მიუციაო და ისევ ლედის მიუბრუნდა, — რაიონში კი არა, მსოფლიოში არ იქნება ოზაანისთანა ლამაზი სოფელი: ადგილი, .ჰაერი, მთები, ტყე, კლდე, წყალი, ვენახები, ბაღები, ბოსტნები. ბავშვები კალმით ნახატი, კაცები მშრომელნი და მოჩხუბარნი, ქალები ულამაზესნი, მაგრამ..

აქ ტარიელმა წამით ტრაგიკული პაუზა გააკეთა.

— მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვთ ჩვენებურ ქალებს.

— რა ნაკლი? — სერიოზულად იკითხა ტარიელის ლაყბობით გაშტერებულმა ლედიმ.

— თავისზე ლამაზს ვერ იტანენ და უმალ მტრად გაუხდებიან ხოლმე. — მიუგო ტარიელმა და ესეც დააყოლა,— ასე რომ აქედანვე იცოდეთ, ყველა თქვენი მტერი გახდება!

— რას მელაპარაკებით!

— ყველა! უკლებლივ!

— ყველა? უკლებლივ?

— ყველა! უკლებლივ!

— ნუთუ?

— კი!

— რაღაც არ მჯერა!

— გეფიცები!

— საინტერესოა!

— მერწმუნეთ!

— ვნახოთ, ვნახოთ!

— ფიქრი ნუ გაქვთ! — თავი გაახსენათ ვახომ — და ლედის შავი თვალები სიყვარულით შეანათა, — მოგვენდეთ მე და ტარიელს და...

— მართალს ბრძანებს ჩვენი მამაცი თანამგზავრი, — მხარი აუბა ტარიელმაც და მეგობარს გრძნობით მოუტყაპუნა, — უნდა მოგვენდოთ!... ამეირიდან ვახო შენი ძმა იქნება, მე კი... მე...

— შენც ძმა იყავ, შენც! — ვახომ მუჯლუგუნი უთავაზა ქერას.

—მოიცა, ვახო, ნუ ჩქარობ, — დამრიგებლურად შენიშნა ტარიელმა, — იქნებ უფრო უკეთესი ვარიანტი მოვიფიქროთ!

ლედიმ ისე გადაიკისკისა. ეტყობა, იცოდა ხუმრობის ფასი.

— იშ! — ჩაიბურტყუნა მქსოველმა და ქმარს იდაყვი გაჰკრა.

— რა იყო, კაცო! — დაფეთდა ნამძინარევი კაცი.

— ჭირი იყო და ნაცილი... გაძღები ხოლმე პივითა და...

— ჯო, მე რას გიშლი...

მატარებელი წითელწყაროს მიუახლოვდა. მგზავრები აიშალნენ.

ბიჭებმა ლედის ჩანთები და ჩემოდანი გამოაცურეს.

— სოფელშიც ჩვენ წაგიყვანთ!

— ნუ შეწუხდებით.. მშობლები დამხვდებიან მანქანით.

—მშობლები? — გახევდნენ მეგობრები, — აქ საიდან?

— გუშინწინ წამოვიდნენ სოფელში ბინის დასაჭერად. — განმარტა ლედიმ.

„ნეტა, ვისთან გაჩერდებოდნენ?“ — გაუელვა ტარიელს.

* * *

ლედის მშობლები — ვერიკო და აპოლონი ალერსიანად მიიღო განათლების განყოფილების გამგემ. დიდხანს ემასპინძლა და აღუთქვა, რომ მათ ქალიშვილს ყოველნაირად ხელს შეუწყობდა. გამოთხოვებისას კი წერილიც მიუწერა თავის ძველ მეგობართან, ოზაანის კოლმეურნეობის ბუღალტერ დიმიტრი ოზაშვილთან.

— არ ვიცი, შეიძლება თვითონაც დაგყენონ, არადა რიგიან ოჯახს მაინც შეგარჩევენ.

დიმიტრი ოზაშვილს ათოთახიანი სახლი სოფლის თავში, ვენახებს შორის ედგა. ეს უბანი ჯერ ახალი იყო და ირგვლივ თითო-ოროლა, მხოლოდ ახალი სახლები მოჩანდა. მართალია, ზოგი გლეხი კვლავ ჯიუტობდა და ვენახს სასახლედ არავის ანებებდა, მაგრამ მთელმა სოფელმა კარგად იცოდა: ადრე თუ გვიან, სულ ერთია, იქ ყველაზე მჭიდრო და ლამაზი უბანი გაშენდებოდა.

დიმიტრის სამი შვილი ჰყავდა. თამაზი ჯარში იყო, ელზა მეექვსე კლასში დადიოდა, აჩიკო — მეორეში. მეუღლე, მანია, სოფლურ კვალობაზე ლამაზი, წარმოსადეგი და ჯანიანი ქალი იყო, ოღონდ ეგაა, ცოტა ტინგიცობა სჭირდა. რვა კლასის განათლება ჰქონდა, მაგრამ დიმიტრის ხათრით სოფლის ბაგა-ბაღში მასწავლებლად ამუშავებდნენ. მართალია, ქმარი და დედამთილი ამის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ თვითონ დაიჟინა —მეც მინდა „ხალხსა და ქვეყანაში“ ვერიოო და ველარ ჩატეხეს. ამიტომ შინასაქმე დიმიტრის ქვრივ დედას — სტამბოლის კაჟივით ჰავერას, დაუღალავ, ანჩხლსა და სამართლიანს — სირაქლემასავით აწვა მხრებზე.

დიმიტრიმ დინჯად წაიკითხა წერილი და მოზაიკური მარმარილოს ფართო კიბით ცოლ-ქმარს მაღლა აუძღვა.

— წერილი რა... წერილი რათ მინდა... თუკი ჩვენი თავი ჭკუაში დაგიჯდებათ, იცხოვრონ. ეგე!

სტუმრებმა ოთახებს და მიდამოს თვალიერება დაუწყეს.

— რომელ ოთახს გაქირავებთ? — იკითხეს ბოლოს.

— რომელი რა, — მიუგო დიმიტრიმ, — რომელსაც ხელს დაადებთ!.. თუკი მოისურვებს, გინდა მთელი სართული დაიჭიროს: ხან იგრე გაივლის წელიწადი, ჩვენ მაღლა ამომსვლელები არა ვართ.

— კეთილი — ნასიამოვნებმა აპოლონმა პაპიროსის კოლოფი გახსნა, — ახლა ფასზე შევთანხმდეთ.

— ფასი! — ჩაეცინა დიმიტრის, — მასწავლებელ გოგოს რა ფასი უნდა გამოვართვა...

— არა, თქვენ ჩემთან გქონდეთ ანგარიში! — ჩაუჭრა აპოლონმა.

— კაცო, ჯერ დადგეს, იცხოვროს და აქ არ ვიქნებით!

— ფასიო?! — უცებ შეიცხადა მანიამ, რომელიც აქამდე გახევებული მისჩერებოდა ვერიკოს მოდურ კაბას და გულმკერდთან ნაოჭების რაოდენობას ითვლიდა გუნებაში, — ფასი, რაღასა ჰქვიან.. ელზა უცხო ენებზე გიყდება და ხანდახან თუ წაამეცადინებს, ფასს იქით გადავუხდით... ფასი რასა ჰქვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან — უნდა დავნათესავდეთ: არჩილი მოსანათლი გვყავს!

სუფრა გაიწყო და სტუმარ-მასპინძლები ერთ საათში დამეგობრდნენ.

„რა დინჯია, რა მოზომილი სიტყვა-პასუხი აქვს, — ფიქრობდა აღტაცებული ვერიკო და დიმიტრის თვალს არ აშორებდა, — აი ნამდვილი ქართველი მამაკაცი!“

„რა ყურადღებიანი და კულტურულია, — ფიქრობდა მოხიბლული მანია და აპოლონს ცხელ-ცხელ კერძებს დიდის მოწიწებით თავაზობდა, — ცოლს როგორ აღნება: ვერიკო, გენაცვალე, ვერიკო, შენი ჭირიმე... ჩვენებს კი არა ჰგავს!“

„ასეთი მარდი, დაუღალავი და ყოჩაღი ცოლი რომ მყავდეს, რაღა დამაბერებდა!“ — სევდა აწვებოდა შეღვინიანებულ აპოლონს და მანიას ფაციფუცზე თვალი რჩებოდა.

დიმიტრი რაღას ფიქრობდა? დიმიტრის ავიცა და კარგიც საკმაოზე მეტიცა ჰქონდა ნაგემი, ყველაფრის აწონ-დამწონი კაცი იყო და მიაჩნდა, რომ ბოლოსდაბოლოს, ყველა ქალი ერთნაირია. მასზე ვერიკოს მოჩვენებითი ბრწყინვალება არ მოქმედებდა და ამიტომ არაფერს არა ფიქრობდა. ის მხოლოდ ერთის ცდაში იყო — ქალაქელ სტუმრებს საკადრისად დახვედროდა.

— ძალიან ჩუმი და მორიდებულია,— ვერიკო ქალიშვილს აბრალებდა მანიას, — ისეც გამხდარია და ყურადღება მიმიქციე, შენი ჭირიმე, მშიერი არ...

— ნუ გეშინია, — ამშვიდებდა მანია, — ორ თვეში ხაშლამაზე იგეთ გავხდი, რო ბიჭები სულ ტუჩების ლოკვით უყურებდნენ! — ღვინო მოსვა და ესეც მიუყოლა, — ლედას ხინკლის გაკეთებაც უნდა ვასწავლო, მაშ!...

კაცები უფრო გაუტკბნენ ერთმანეთს და აშლას აღარ აპირებდნენ.

მანიამ ვერიკო ხელახლა აიყვანა მაღლა და ყველაფერი — ოთახები, ავეჯი, ჭურჭელი, ხალიჩები, პიანინო, საკერავი მანქანა, თავისი კაბები, ორი კვირისწინ ქმრის მიერ სამარყანდაში ნაყიდი კარაკულის პალტო სოფლელი ქალის გულღიაობით აჩვენა.

ვერიკო ყველაფერს ფარული მთქნარებით ათვალიერებდა და ყალბი პათოსით უქებდა. ერთადერთი, რამაც მასში გულწრფელი აღტაცება და შური გამოიწვია, ეს იყო ოცდაორი ხელი მატყლის ლოგინი!

— დედა, რამ სისქე ლეიბები — ორ-ორი გამოვა!... დოშაქები!... ბალიშები!.. ყურთბალიშები!.. ნუთუ სულ მატყლია?... დედა, დედა!..

— სუ მატყლია, სუ! — იღიმებოდა დოინჯშემოყრილი მანია.

— კახეთი მაინც კახეთია! — ეალერსებოდა ვერიკო ძველებურ, მოჩუქურთმებულ კაკლის კარადაში მჭიდროდ ჩალაგებულ ლოგინს, — ქალაქში სად ნახავ... რას ამბობ.., ეს„,

— ოღონდ ლედიმ ხანდახან წაამეცადინოს ხოლმე ელზა და რა გინდა, ხუთი ხელი ჩემზე იყოს!

ვერიკომ ყურებს არ დაუჯერა.

— უი, ეგ არ გამაგონო!... განა... რაკი... ვეტყვი და ლედი ისე ამეცადინებს.

— ჰოდა გათავდა!.. შვილები უკვე დავიფიცე! ხუთი ხელი!

— ჩემი სიკვდილი!.. მანია, გმადლობთ!.. ფული ბევრიც რომ გქონდეს, თბილისში მატყლს სად იშოვი?! ან ასე ვინ შეკერავს?! ხუთი ხელი!.. ლედის მზითევში... — ცრემლები გადმოსცვივდა ვერიკოს.

— მა ჩვენი სიცოცხლე რაღაა, თუკი არავის რას ვასიამოვნებთ, — თვალები აუწყლიანდა მანიასაც, — ბიჭმა ვერ ჩააბარა და ჯარშია — ციმბირში... ოღონდ ელზას სტუდენტობის ღირსი მაინც გავხდე და... ხუთი ხელი რა არი, არაფერი!

— მანია!

— ვერო!

და ქალები ერთმანეთს სლუკუნით ჩაეხვივნენ.

ეროვნული

* * *

ოცდაათ აგვისტოს ვერიკო და აპოლონი მანქანით წავიდნენ წითელწყაროში ქალიშვილის დასახვედრად. შუადღე გადასული იქნებოდა, სოფელში რომ დაბრუნდნენ.

შინ არავინ დახვდათ: დიმიტრი კანტორაში იყო, მანია — ბაგა-ბაღში, ელზა — ამხანაგებში, სიჯანა და აჩიკო — ბოსტანში.

იმ ორ-სამ დღეში ცოლ-ქმარი ისე გაშინაურებულიყო, სახლის პატრონებივით იქცეოდა. ვერიკომ მანიას ყვავილებიანი გულსაფარი აიფარა და გაზი აანთო.

— გემშიება, შევაცხელებ.

— არა მშია, დედა.

მშობლებმა ქალიშვილი მაღლა აიყვანეს და აჩვენეს მისი ოთახი, რომელიც უკვე მოეწყოთ.

— როგორი მოგწონს?

— კარგია.

ისევ აივანზე გამოიშალნენ.

— შეხე რა ბუნებაა, შვილო, — ალაპარაკდა ვერიკო, — რა ჰაერი!.. ნამდვილი კურორტია!... ეს ვენახი და ბაღჩა ახლა... ხედავ ატამს, ქლიავს, ლეღვს, მწვანილს... იცი, რა კიტრები უსხიათ?! ყველაფერი ქორფა და ნატურალური გექნება, გენაცვალე... აგერ, შორს სიღნაღია, გაღმით კი ნიკო ფიროსმანის სოფელია, თურმე მაქ ყოფილა დაბადებული... რა სოფელია, აპო?

— მირზაანი.

— ჰო, მირზაანი!... ეს კი ოზაანია... ჰო, დედა... ორი წელი რაია? არაფერი! ხელად გეირბენს!.. ხშირად ვივლით, შენც ჩამოხვალ... ახე რომ... ძალიან კარგი ხალხია! გადასარევი! ქირასაც კი არ იღებენ!.. მანია დეიდამ ხუთი ხელი ლოგინი გაჩუქა: ოღონდ ელზას წამეცადინებდეს ხოლმეო. შენც რა... გაგიჟდები, რა ლოგინია — მატყლის! წამო, გაჩვენო!

— დაღლილი ვარ. დედა.

— კაი, შვილო, კაი, გამოიცვალე და მოისვენე.. წამო, კაცო!

აპოლონი და ვერიკო სამ დღეს კიდევ დარჩნენ, ლედი გააშინაურეს და რაკი შვებულების დარჩენილი დღეები უთავდებოდათ (აპოლონი ავეჯის სახლის დირექტორი იყო, ვერიკო ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ასისტენტი), ორ სექტემბერს, დილით, წავიდნენ.

წინა საღამოს კი, ელზა და ლედი ლეღვზე რომ დაიგულეს, სტუმარ-მასპინძლები საიდუმლო თათბირისთვის განცალკევდნენ.

— ეგ ერთადერთი ქალიშვილი გვყავს და ვინმემ... — ხმა აუთრთოლდა ვერიკოს, — რამე რომ მოხდეს, ბარემ...

აპოლონი პაპიროსის სრესას მოჰყვა.

— რა არის დასამალი, ვიცით სოფლელებს რანაირი წარმოდგენაცა გაქვთ ქალაქელ გოგოებზე...

— ვიშ ქა, მამიკვდა თავი! — წამოიყვირა მანიამ.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, — შორს დაიჭირა დიმიტრიმაც, — აპალონ, არაფერი მაწყენინო!

— მაგრამ როგორც სოფელში არ არის ყველა ერთნაირი, ისეა ქალაქშიც. — დაფიქრებით შენიშნა აპოლონმა.

— ამას ჯერ ბიჭთან არ გაუვლია,— დაიწყო ვერიკომ, — სკოლა და წიგნები. სკოლა და წიგნები.

— სახლი და ინსტიტუტი, სახლი და ინსტიტუტი, — განაგრძო აპოლონმა.

— სულ არ იცის ბიჭთან როგორ უნდა მოიქცეს და რა უთხრას, — მოიღრუბლა ვერიკო და ფანჯარაში გაიხედა, გოგოები ისევ ლეღვზე არიან თუ არაო; — ეხლა კი ვნანობ, ასე მკაცრად რად გავზარდე-მეთქი, მაგრამ...

— მაგას რათ ამბობთ! — უთანაგრძნო მანიამ.

— იმიტომ, ჩემო მანია, რომ თამამსა და ბიჭებში გათქვეფილ გოგოებს უფრო ბედი აქვთ, ლედისთანა საცოდავი და გამოუცდელი კი მაშინვე კისერს წაიტეხს ხოლმე. ჰოდა, თქვენი ჭირიმე,

თვალყური გეჭიროთ, არავინ რა.. ან ვინცხა ღვთის გლახა არ აეკიდოს.. ხომ იცით, მშობლის გული...

— ოჰ, ნუ გეშინიათ. — ალალბედზე ამოიძახა მანიამ, — ჩვენ...

— მანი! — წყრომით წარმოსთქვა დიმიტრიმ და სტუმრებს მიუბრუნდა,— გოგოს, მე თქვენზე არ ვამბობ, საერთოდ ვიძახი — თუ ღმერთი გამწყრალი აქვს და ეშმაკის გზაზეა შემდგარი, ჩვენ კი არა, თქვენ კი არა, ყარაულად ჯარები რომ დაუყენონ, მაინც თავისას გაიტანს...

— ეგ... მართალია... რა თქმა უნდა. — ყოყმანით შენიშნა ვერიკომ.

— დანარჩენი, — განაგრძო დიმიტრიმ, — თუ თქვენს ქალიშვილს არ უნდა და ვინმე ძალათ გადაეკიდა, არ ასვენებს და მკლავზე ყურება დაიწყო — მაშინ მე ვიცი, იმას მე მოვუვლი!

— აი, სწორედ მაგას ვამბობთ! — დამშვიდდა ცოლ-ქმარი.

• • •

ახალი ამბავი — თბილისიდან ინგლისური ენის მასწავლებელი მოგვივიდაო, მთელ სოფელს მოედო. მისი ავანჩავანი ჯერ მანიას, მერე კი ბაგა-ბაღის ხალხის წყალობით სულ წვრილად შეიტყვეს.

სკოლის პედკოლექტივმა ლედი სიყვარულით და ალერსით მიიღო.

მხოლოდ ანატომიის ხანშიშესულმა მასწავლებელმა ევგენია ბალარჯიშვილმა აიბზუა ტუჩი.

— ლედი! — იძახდა დიდრონსახიანი ევგენია, რომლისთვისაც შესაბამისი ულვაშებიც რომ მიგეწებებინათ, გამოცხადებული ფრიდრიხ დიდი იქნებოდა, — ლედი თორემ ეგეც ჰამილტონი იქნება! კარგად ვიცნობ მაგნაირ ლედებსა და კაროლინებს! ის კი არ იყო, ოთხ თვეში გაიქცა. თან როგორ დაგვცინოდა ის საზიზღარი: ყველანი ხეპრეები ხართო!.. ესეც მალე მოუსვამს!

პედაგოგებმა ლედის პირველი დღიდანვე დაკვირვება დაუწყეს, მაგრამ ვერ გაუგეს მოსწონდა სოფელში ცხოვრება და მუშაობა თუ ბედსშერიგებულივით სასჯელს იხდიდა. გასაოც[illegible] სი საქციელი: არც ქედმაღლობდა, არც თავდაბლობდა, კოლეგებს არც გაურბოდა, მაგრამ არც დაახლოებას ცდილობდა რომელიმესთან. ყველაფერს აკეთებდა წესის მიხედვით და თავისებურად: ყოველგვარი ძალდატანების ანდა რაიმე შთაგონების გარეშე. სალამს აძლევდა მხოლოდ პედაგოგებს და ორიოდე ახალგაცნობილს. დანარჩენებს ისე გაუვლიდა ხოლმე, როგორც დიდ ქალაქებში უცნობები უვლიან ერთმანეთს.

ლედიმ განსაკუთრებით ბიჭები ააფორიაქა. მის მეტი სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ ბირჟაზე შეყრილ დასანიშნ მამლაყინწებს.

— აი, წარბები! აი, ტუჩები, აი...

— მაგას ისე მოვჩანგლავ, როგორც ინდაურის ბარკალს!

— მე რაღა უნდა ვაკეთო?

— ცხვირ-პირი თუ გქავა, შენ ეგ მითხარი!

— ნეხვავ!

ვახომ ყველას წყალი გადაუწურა.

— უკვე დაბმულია!

— რას ამბობ!... ვინ?

— ტარიელმა!

— გიჟია, ეგ... როდის?

— მატარებელშივე!

• • •

ტარიელი, ანუ ტარო, როგორც შინაურები ეძახდნენ, ბებიასთან ცხოვრობდა. ოთხი წლისაც არ იქნებოდა, მამისაგან გამოყრილი დედა-შვილი ძველი ანაგიდან ისევ ოზაანში რომ დაბრუნდა. დედა მეორედ გათხოვდა, მაგრამ ტარიელი მამინაცვალთან არ წაიყვანა — დამიჩაგრავსო. თუმცა არც ტაროს გაუწია გულმა და ნატალია ბებიასთან ყოფნა ირჩია ბავშვური ჭკუით. ჰოდა, ასე დარჩა და დარჩა ბებიასთან ოზაანში. უდედმამობას მაინცდამაინც არა გრძნობდა, ბოლოს კი ისე შეეჩვია, ეგონა, ეს ასეც უნდა იყოსო. ბებია გახდა მისთვის ყველაფერი. უყვარდა არაჩვეულებრივად, გაგიჟებით, ნაზად. მართალია, ზოგჯერ აჯავრებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ გაჯავრებაშიაც სიყვარულის რაღაც უჩვეულო, თავისებურ გამოხატულებას ხედავდა.

ბებიასაც უსაშველოდ უყვარდა სვეგამწყრალი შვილიშვილი, თუმცა ამას არ იმჩნევდა და ხშირად ტუქსავდა კიდეც. ის კი არადა, ზოგჯერ ყავარჯენსაც დაუვლებდა ხელს. თვალმოშორებით კი ხშირად დასტიროდა მის უიღბლობას.

— ტყვით მოხვდეს მამაშენს შენი გაუბედურებისთვის! — წაიტყოდა ხოლმე.

ნიჭი მოსდგამდა, მაგრამ მოავარაო ძმაბიჭებს გადაჰყვა და მეცხრე კლასიდან გამოვარდა. ფოტოგრაფი უნდა გამოვიდეო, დაიჩემა და წითელწყაროს ფოტოატელიეში ერთ რუსის კაცს დაემოწაფა.

— ე, ძმაო, შენგან ფოტოგრაფი არ გამოვა, — დინჯად აუწყა თვის თავზე რუსმა, — აქ რამდენი ლამაზი გოგონა მოვა, ყველა რომ გააჩერო და თითო საათი ჩაჰყურო ერთმანეთს თვალებში, საქმეს ვიღა გააკეთებს? როგორი უნდა იყოს ფოტოგრაფი? დასვი, გაასწორე, ჩხაკ — შემდეგი! დასვი, გაასწორე, ჩხაკ — შემდეგი! შენ კი? სხვა საქმე მოინახე!

ერთ ხანს კოლმეურნეობის საზამთროს ბაღში დაიწყო მუშაობა. მაგრამ ვერც იქ მოიკიდა ფეხი. საზამთროს ქურდობაში მონაწილეობა იუკადრისა და არც სხვას მისცა ამის ნება. ბრიგადირი აუშარდა, მაგრამ შემოელახა. თავგატეხილმა ბრიგადირმა თავმჯდომარესთან უჩივლა — მკლავდაო. ცოტა გაწყდა, ციხეში არ ჩააყუდეს.

— ჯარში ასწავლიან ჭკუას, — ამშვიდებდნენ შეშფოთებულ ნატალიას მეზობლები, — იქ მოამტვრევენ რქებსა!

ჯარიდან მართლაც ერთობ დასერიოზულებული დაბრუნდა. თან მანდოლინა და ვიღაც ქალიშვილის ფოტოსურათი ჩამოიტანა, რომლისგანაც ხშირად იღებდა ფერად-ფერად ლია ბარათებს და ათფურცლიან წერილებს. თვითონაც სულ წერილების წერად იჯდა.

მალე გაუთავებელი მიწერ-მოწერაც მობეზრდა და სათავგადასავლო წიგნებს ჩაუჯდა. ერთ ზამთარს მეცხვარეებთან წავიდა, დოლში დასახმარებლად. გაზაფხულზე ცხვარი მთისკენ რომ დაიძრა, თითქო დაენანა ივრისპირეთის მიტოვება და მირზაანის ნავთის სარეწაოებზე მორიგე ოპერატორად დაიწყო მუშაობა. მაგრამ იქაც მალე აიცრუა გული, — ექვს თვეში მენავთობეებსაც მოუბრუნა ქუდი და ისევ ოზაანში დაბრუნდა.

ბოლოს გადაწყვიტა მუშა-ახალგაზრდობის სალამოს საშუალო სკოლა დაემთავრებინა და უმაღლესში შესულიყო, მაგრამ ესეც გადაიფიქრა, რადგან კოლმეურნეობიდან მოულოდნელად ლიმიტი იგდო ხელთ და საგარეჯოს მექანიზაციის ტექნიკუმში ამოჰყო თავი. ჯარში ტანკისტი იყო; ტოლს არავის უდებდა სწავლაში, ისე დაამთავრა ტექნიკუმი, წარჩინებულთა დაფიდან მისი სურათი არ ჩამოუხსნიათ.

და აი, ახლა, ლედი რომ გაიცნო, სწორედ საგარეჯოდან მოდიოდა — დიპლომი მოჰქონდა. ვახო კი ისე წაეყვანა, ლაზათისათვის.

ტარიელი კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადაში მექანიკოსად იყო გამწესებული. მაგრამ რაკი ლედი სოფელში ეგულებოდა, გული აღარსად მისწევდა. არადა, სანაწვერალო ხვნა უკვე ჩაღდებოდა და დღეს-ხვალ დაუძახებდნენ. ამ ლედის მშობლებმაც მოიკეცეს და ქალაქში დაბრუნებას აღარ აპირებდნენ.

სევდამორეულმა აილო პაპისეული თოფი და ვენახის თავებში შაშვებს დაუწყო დევნა. ორი დღის მოგვიანებით შეიტყო ლედის მშობლების გამგზავრება. უთვალთვალა და ერთხელ, როცა მარტოკა დაიგულა, გულისკანკალით, მაგრამ თამამად აახაკუნა ბუღალტრის სახლის კიბეზე.

ლედი აივანზე დაუხვდა: ფარდაგგადაფარებულ ტახტზე მოწყენით იჯდა და მირზაანის გორებს უაზროდ გაჰყურებდა. გვერდზე ხილით თავმობმული ვაზა ედგა. კოჭებამდე დაშვებული ჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის წვრილყვავილა, ლამაზი კაბა ეცვა.

ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქო შინაპატიმრობა მიუსჯიათო.

ტარიელის დანახვაზე შეკრთა და გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა. ეტყობა, არ იცოდა სოფლური ადათის მიხედვით ასეთ დაუპატიჟებელ სტუმარს რა ეკუთვნოდა — გაკიცხვა თუ წესიერი დახვედრა.

და სანამ ის რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ტარიელი ძველი, სასურველი ნაცნობივით ჩამოუჯდა ტახტზე.

— ვერ შეგირჩევიათ კარგი ბინა,— ცულლუტურად ჩაუცინა, — ჩვენი სახლი უფრო ახლო არის სკოლასთან!

— მერე რა.

დუმილი.

— ლედი, ერთი რამე უნდა გითხრა და არ გეწყინოს.. გამიგე ადამიანურად.

— ბრძანეთ.

— იცი რა... გემდურებიან: სალამს არა კადრულობსო. ჰოდა...

ლედის უსიამო ჩრდილმა ღამურასავით გადაუფრინა სახეზე.

— ეგ რომელმა პედაგოგმა თქვა?

— პედაგოგმა კი არა, ხალხმა: გლეხკაცებმა, ქალებმა, დედაკაცებმა....

— კი მაგრამ, თუ კი არ ვიცნობ?

— მერე რა! შენ მაინც...

— გასაოცარია! თქვენ ქალაქში უცხოს ესალმებით?

— ქალაქი სხვაა. აქ სოფელია! მასწავლებლის კარგი „გამარჯობა“ ერთ რამედ ულირთ, თანაც..

— საინტერესოა!

— თანაც ასეთი ლამაზი მასწავლებლის.

— პირდაპირ!

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. მზე ჩასასვლელად გადაიხარა. ბიჭს საშინელი სევდა შემოაწვა. ლედიმ ხელუხლებელ ვაზას გადახედა.

— ხილი მიირთვით.

— დიდი მადლობა, არ მინდა.. ლედი, ნუთუ ორი წლის მერე წახვალ აქედან?

— თუ მოვახერხე, მანამდეც!

ბიჭს გულში ხანჯალივით მოხვდა ეს სიტყვები.

— გასაკვირია, — წამოიძახა სინანულით და მსხლის წაყვითალო ფოთლებზე აცეკვებულ მზის უკანასკნელ სხივებს უაზროდ გაუშტერა თვალი, — მე კი როგორ... შემიყვარდი!

ლედიმ გაკვირვებით და ყურადღებით შეანათა დიდრონი თვალები.

— ასეთი სწრაფი შეყვარება ჯარში ხომ არ ისწავლეთ?

ტარიელს გულუბრყვილოდ ჩაეცინა.

— კი.

— საინტერესოა! ბევრები გყავდათ?

— არა, — მიუგო ბიჭმა და ოცნებამ წაილო, — ერთი იყო, პოლკოვნიკის გოგო, სულ ბერიოზას წვენს მასმევდა! დაგილევია? იცი, რა კარგია!

ლედის თვალებში სევდამ და შურმა გაიელვა.

— ჰოდა, უნდა წამოგეყვანათ.

— ბავშვური გატაცება იყო... ისიც თვენახევრით... ქართულ სიტყვებს მაწერინებდა ბლოკნოტში.. მერე მამამისი გერმანიაში გადაიყვანეს და...

კვლავ დადუმდნენ.

— დიმიტრი ბიძია რომ მოვიდეს, რა უნდა უთხრათ? — მოულოდნელად იკითხა ლედიმ.

— აზრზე არა ვარ. — მხრები აათამაშა ტარიელმა და უმწეოდ მიმოიხედა. ფანჯრის რაფაზე თვალი შეასწრო ნაცნობ ყდას და დაუკითხავად აიღო წიგნი.

— „შუმერული მითოლოგია!“... ესეც კი მიყვარს!

— მაგან რალა „დააშავა?“ — მალალფარდოვნად იკითხა ქალიშვილმა.

— ჯერ ერთი, შენ ლამაზ ხელებს ეჭირათ, — უპასუხა ბიჭმა და წელანდელზე უფრო ახლოს მიუჯდა, — მეორეც, სწორედ ეს წიგნი გახდა გამოლაპარაკების საბაბი. ხომ მათხოვებ?

— როცა დავამთავრებ, კი.. ოღონდ ერთსა გთხოვთ.

— მიბრძანე.

— ეს ბრძანება არ არის — უბრალოდ თხოვნაა.

ეროვნული

— გისმენ.

— აქ აღარ მოხვიდეთ!

— აბა, სად შევხვდეთ? — გულუბრყვილოდ იკითხა ბიჭმა.

ლედის გაეცინა, მაგრამ ისევ შეყარა კოპები.

— აღარსად!... არ არის საჭირო. გესმით?

რკინის ჭიშკარი დარახუნდა.

— მესმის, — წასჩურჩულა ბიჭმა და ხელზე ხელი მაგრა მოუჭირა, — მესმის და შენი გულისთვის ყველაფერს...

— ჩემი გულისთვის კი არა... გამიშვი ხელი... — გაფითრდა ლედი, — გამიშვი... ვიღაცა მოვიდა...

— ვინც უნდა მოვიდეს... ლედი, მიყვარხარ, გინდა მომკალ... მიყვარხარ და...

ტარიელმა გახურებული ხელი შეუშვა ლედის, წიგნი ჩაკეცნა, მოწიწებით ჩაუდო კალთაში და მარდად დაეშვა კიბეზე.

— რა კარგი პამიდორი გსხმია, სირანა ბაბო! — შეეხმიანა ბოსტნიდან დაბრუნებულ დედაბერს.

— შენ ე წნელი არ გამამტყუო! — შეუღრინა დედაბერმა და აივანზე აიხედა, — ლედისთან იყავი? ვნახო შენი ბებია, შე საწყალო!

— თქვენ იცით, აბა!

* * *

მეორე დღეს ტარიელი ქუჩაში რომ გავიდა, ყველა — ვისაც შეჰფეროდა და არ შეჰფეროდა, აჩერებდა და ეკითხებოდა: როგორ არის საქმეო. ჯერ თავის მოკატუნება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. მთელ სოფელს უკვე გაეგო. გუშინ ბულალტრის აივანზე რომ ბრძანდებოდა!

შუადღისას, სადალაქოს გვერდზე ბიჭებში რომ იდგა, შესვენებიდან მომავალმა დიმიტრიმ დაუძახა და ცალკე გაიყვანა.

— ე გოგო ის კი არ არი.. მშობლებმა ერთი ამბით ჩაგვაბარეს. ან ცოტა ჩემი ხათრი რატო არა გაქვს: ცოლი მყავს... გოგო წამოჩიტებულია, შენ როგორ იცი, მე მოვიწონებ, რომ [illegible]ხში რია-რია გამიმართონ? რას იტყვის ხალხი? ცოტა შენც ხომ უნდა დაუფიქრდე, რას აკეთებ! კაცი ჯარს რომ გაივლის, იმას უკვე, შეიძლება ითქვას რომ.. ერთი სიტყვით, იქ ფეხი აღარ დადგა!

ტარიელს არაფერი უთქვამს. ან რა ეთქმოდა — ბულალტერი მართალი იყო. მაინც საძაგლად მოეშხამა გუნება-განწყობილება. აილო თავი და ვახოსკენ გასწია.

დედამისს ეზოში წააწყდა: ჩაცუცქულიყო და ორი კვირის ინდაურის ჭუკებს მოხარშული ჭინჭრის გუნდას აჭმევდა.

— ქეთო ძალო, ვახო სად არი?

— სიკვდილში!

წელს ვახო პირველ გამოცდაზევე ჩაიჭრა, მომზადებაში მიცემული 2.300 მანეთი წყალში გადაეყარათ და დედამისი ამიტომ იყო გაალმასებული.

— დილას თავისმა მამამ... პით, პით, პით... შირაქში წაიყვანა ქერის გადაწონაზე — ტომრების ზიდვით წელი უნდა მოგწყვიტოო.

— როდის ჩამოვა?

— ვინ იცის, შვილო!

ტარიელი უსიტყვოდ გამობრუნდა. ახლა კლუბისკენ წაეხეტა. ძველი მეგობრები — ჩიტია და კარლო იქ დახვდნენ. ერთად წავიდნენ სახინკლეში.

— რას მილაპარაკებ ა ყორანაანებს, — შეუტია ბებიამ სახინკლიდან დაბრუნებულ შვილიშვილს, — ახლა მაგათი ჯიმჯიმის თავი და გული მაქვს?

— ოჰ, ერთი!

ბებია ჩაფიქრდა.

— შენ შენი ტოლი და ცალი მონახე, შვილო... დედისერთა ყოფილა... მდიდარი. აბა... შენ.... თუ არადა ქალაქელი გოგო რა ხელს მოგცემს: ვენახში ვერ იმუშავებს, ლორს სალაფავს ვერ გაუკეთებს, ძროხას ვერ მოგიწველის და...

— ოჰ, ოჰ...

ბებია უხმოდ ატირდა.

— ნუ ტირი, ჩემო ტკბილო ბებია, ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირი, თორემ მეც ავღრიალდები. მოდი, გაკოცო და გადაგივლის... კარგი რა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!... ბებია, ბებუსია! — შესძახა ტარიელმა და ხელში აყვანილი ბებია ისე დაატრიალა, თითქო ვალსს ცეკვავენო.

— რას მიშვრები, შე პირშაო... არ დამაგდო. ბიჭო!...

— ნუ გეშინია. — ტარიელმა ბებია დასვა და ძველი კოსტუმი აიღო, — ეხლა ცოტახანს თივაზე წამოვწვები, თუ ბიჭებმა დამიძახონ, გამაღვიძე.

ბებიამ სიყვარულით სავსე მზერა გააყოლა სათივისკენ მიმავალ კოსტუმწამოსხმულ შვილიშვილს.

— ტყვია მოხვდეს მამაშენს შენი გაუზრდელობისთვის, — ჩაიჩიფჩიფა და პიტნის შეკონვა განაგრძო.

ტარიელი აუკვირტავ თივაზე მიწვა და ლედიზე ფიქრმა წაიღო. ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, ვიღაცა ხაფის ხმით რომ აყვირდა.

— ტარიელ! ჰაი-ჰაი ტარიელ!

„ზაჰრუმალა! — წამოხტა ტარიელი, რომელმაც უკვე იგრძნო ვინა და რისთვის ეძახოდა, — რა დღეს მოგინდათ სუყველას!“

ჭიშკარში კოლმეურნეობის ინჟინერი თარიმან ზარამაშვილი იდგა.

— ე, ჯეილო, ჯეილო, — შორიდან დაიწყო თარიმანმა, — ვისაც ლიმიტით გავგზავნით ტექნიკუმში, მერე ყველამ რო ეგრე შინ მაიკეცოს, რაღა დახლი დაგვიდგება?

— რათა? — უაზროდ იკითხა ტარიელმა.

— რა „რათა?“ ბრიგადაში ათასი საქმეა, შენ კი... ნუ გეშინიან, ი თმაშალებილი გოგო არსად წაგივა — სუ აქ იქნება.

— ეგ რა შუაშია! — აილეწა ტარიელი.

— გეემზადე, გეემზადე, დილაადრიან გამოგივლით და წავიდეთ.

— რა წამოვიღო?

— ნაბადი, სხვა რა უნდა წამაიღო?! პური იქ არი და წყალი!

* * *

სატრაქტორო ბრიგადა ძირითადად ტარიბანაში იდგა, თუმცა მიწის სამუშაები ტარიბნის გარდა მიმდინარეობდა თელასთან, მლაშეში, მწარეწყალზე თოროლაში.

ტარიელს ბრიგადაში დიდი გაუგებრობა და არეულობა დახვდა. როგორც რაიონის ყველა კოლმეურნეობაში, ისე აქაც იწყებდნენ ბოგოდუხოველ მექანიზატორთა რაციონალიზატორული მეთოდის დანერგვას.

ახალი მეთოდის არსი შემდეგი იყო: მინდვრის სამუშაოები შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში რომ ჩატარებულიყო, ნაკვეთში გასული ტრაქტორი არ უნდა მოეცდინათ — ახლა ავტოცისტერნა მივიდოდა ტრაქტორთან და პირდაპირ კვალში გააწყობდა საწვავით. ტრაქტორისტს თითის სიგრძე დეტალის გამოსაჩარხავად ანდა საშოვნელად წინანდებურად თვითონ კი არ უნდა ერბინა „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებაში, არამედ ადგილზე ჩამოყალიბებულ მექანიკურ საამქროს უზრუნველეყო. კაპიტალური რემონტის გარდა აღარც ტრაქტორები და სხვადასხვა სახის მანქანა-იარაღები უნდა ეთრიათ რაიონის გრძელ გზებზე: აქაც ადგილობრივ საამქროს ეკუთვნოდა სიტყვა, რომლის აღჭურვილობაში ათასობით მანეთი იყო გადახდილი.

და როგორც ყოველგვარ სიახლეს ახლავს თავიდან, ამჯერადაც საქმე ნაკლები იყო, განმარტება, გაუგებრობა და ყვირილი — ბევრი.

— კარგი, — არ ცხრებოდა აყლაყუდა შოფერი, — აქ ოთხი ტრაქტორია, თითოს დღეში ჰა და ჰა —სამჯერ მოუნდეს საწვავით გაწყობა. ეს სულ საათნახევრის საქმეა. დანარჩენ დროს რა ვაკეთო, წამოვწვე და ბუზები ვთვალო? რამდენი მანეთი მამიწევს დღეში?

— რათ უნდა წამოწვე, — პასუხობდა ინჟინერი, — არ კი უნდა წამოწვე, უნდა გაიქცე თოროლაში და იქაც იგივე საქმე გააკეთო!

ეროვნული

— ეგ არი! — პირში ეცა აყლაყუდა და გვერდზე გადააწიტა, — ლაპარაკობ, რა!

— აბა, არ კი მისმენ და!

— არა, თარიმან, ბესა მართალია,— შეეპასუხა საჩვენებელ თითმოწყვეტილი ტრაქტორისტი, — გაუშვი, ჩვენ დაგვაზაპრავკა და ახლა თოროლაში წავიდა. ეგრე არ იძახი შენ?

— მერე?

— არა, ხო ეგრე ამბობ?

— ჰო.

— ჰო, არა?! მაგრამ დაუშვათ და გზაში გაუტყდა — მანქანა არ არი, კაცო!? მე მაშინ რაღა ვქნა: დავალო პირი და ველოდო ბესა როდის მოვა? ის არ მირჩევნია ავხსნა გუთანი, გამოვიდე ჩემი ტრაქტორით და ავიღო საწვავი?

— ივერ, — ამოიოხრა თარიმანმა, — ი დათვისა და იმის არაკისა არ იყოს, რატო ვერ გაგიგია: ბოგოდუხოველთა მეთოდის მთავარი არსიც სწორედ ეგ არის, რომ შენ ტრაქტორი არ უნდა გამოიყვანო ნაკვეთიდან! თუკი დღეში სამჯერ-ოთხჯერ გუთანს ახსნი და ისევ მოუბამ, გამოხვალ, საწვავს აიღებ, იზონინებ და ლობე-ყორეს მოედები, რაღა ეფექტიანობა გამოვა? არაფერი! თუ არადა ჯერჯერობითა გვაქვს მარტო ერთი ავტოცისტერნა: რაიკომმა ამ კვარტალში სამი გამოგვიყო... ეს მეთოდი მე და ნიკუშამ კი არ მოვიგონეთ, ჩვენზე ჭკვიანმა ხალხმა და მეცნიერებმა იანგარიშეს! გაიგე?

— გავიგე, მაგრამ... არაფერი გამოვა!

— გამოვა თუ არ გამოვა, ეგ შენ არ იცი, არც გეკითხებიან და აქ პანიკას ნუ აგდებ! — ცივად მოუჭრა ინჟინერმა და დანარჩენებს მიუბრუნდა, — სულ პატარა რაღაცაზე ბავშვებივით კი ნუ დაგიჟდებით ხოლმე! რა იყო, რა მოგივიდათ? ნორმატივები იგივეა, არაფერი არ შეცვლილა, ძველებურად განაგრძეთ მუშაობა და ადგილზევე მოგემსახურებიან. მა ვერ გაგიგიათ რა არის კარგი და რა — არა?

— რატო ვერ გავგიგია, კაცო, — წყენით წამოიძახა ყველაზე ხნიერმა, ვასომ, — თუკი ყველაფერს ადგილზე მომიტანენ, მაგას რა სჯობია! — მერე მზეს ახედა, — ამ ლაპარაკში აგვიშუადღევდა კიდეც, გეყოფათ ყაყანი, გეყოფათ — წავიდეთ!

მექანიზატორები ზანტად დაიძრნენ. ყველამ თავის ტრაქტორს დაუწყო ჩხიკინი და ხუთიოდე წუთში ირგვლივ ისეთი ყურთასმენის წამღები კაკან-ტრახტრახი ატყდა, ადამიანები ერთმანეთს ყვირილითაც ველარაფერს აგებინებდნენ.

როგორც ყველა ახალგაზრდას და თანაც უზომოდ შეყვარებულს, ისე ტარიელსაც მთელი ეს დავიდარაბა, კამათი და ტრაქტორების გუგუნ-გრიალი ეჩვენებოდა გასართობად, რაღაც დღესასწაულად. მას, სიმართლე რომ ითქვას, ნაკლებად, ანდა სულაც არ აინტერესებდა ინჟინერი იყო მართალი, თუ ბესა და ივერი, ბოგოდუხოველთა მეთოდი უცებ დაინერგებოდა, თუ გაჭიანურებით, რაიკომის შეპირებულ ავტოცისტერნებს დანიშნულ დროს მიიღებდნენ თუ ცოტა მოგვიანებით. მისთვის მთავარი იყო რაც შეიძლება მალე ჩაებათ და გაერკვიათ თავის საქმეში, გაეხარჯა მოზღვავებული ენერგია, პირწმინდათ გადაეხნათ მინდვრები და ლედიზე უსასრულოდ ეფიქრა.

ჭაბუკი ყველას და ყველაფერს შეყვარებულის თვალით უყურებდა.

განსაკუთრებით ხვნის ცქერა გვრიდა სიამოვნებას: ლაპლაპა წინმხვნელები ძალუმად ესობოდნენ შავ მიწას, გუთნის ფრთაზე შეცოცებული ბელტები სულიერებივით ტოკავდნენ, მერე გულალმა იშოტებოდნენ და მინდორს სიცოცხლის ნიშატით ავსებდნენ.

საკვეთელი, რომელიც ტრაქტორის ყოველ შემობრუნებაზე მიწას შეუპოვრად დაეძგერებოდა ხოლმე, ბიჭში კაცურ საწყისს, რაღაც თბილ ინსტინქტს აღვიძებდა. და ისიც, მიწაში საკვეთელის რბოლას მიჩერებული, ტანით გუმანობდა რომ თვითონაც ამ რკინასავით მარტივად, შეუპოვრად და ვაჟკაცურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დასძგერებოდა ცხოვრებას. თავისი ნატანჯი, რკინებთან ჭიდილისაგან გაკაჟებული მარჯვენაც საკვეთელივით თამამად უნდა აემოქმედებინა.

ხანდახან ისე ტკბილად და მორცხვად ეღიმებოდა, რომ თუ ვინმე თვალს შეასწრებდა, გამამხნევებლად უბაგუნებდა ბეჭებში.

— რა იყო, ტარო, თმაშეღებილი ქალაქელი ხო არ გაგახსენდა?! აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინო!

ასეთ შემთხვევაში ტარიელი ყველას ბანზე უგდებდა სიტყვას, გუნებაში კი უკვირდა: ნეტა, საიდან ხვდებიან ლედიზე რომ ვფიქრობო და თანდათან უფრო მოსწონდა მექანიზატორები, რადგან ატყობდა რომ ერთი ფესვისა და ჯიშისანი იყვნენ.

* * *

მართალია, ტარიელს დიპლომში „მექანიკოსი“ ეწერა და საკოლმეურნეო დავთრებშიც „მექანიკოსად“ იყო მონათლული, მაგრამ ტარიბანაში გატარებულმა დღეებმა ცხადყვეს, რომ მას რაიმე კონკრეტული, მკაცრად განსაზღვრული მოვალეობა არა ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. და ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან მინდორი თავისი კანონებით აცხოვრებდა ყველას.

ღვიძლი საქმის — სამექანიკოსოს გარდა, გარემოების მიხედვით, თითქმის ყველაფრის შესრულება უხდებოდა. ხან ავტოცისტერნას დააგელვებდა ნაკვეთებში, ხან ტრაქტორს მიუჯდებოდა და მთელი დღე ხნავდა. ერთხელ კი, მიუხედავად იმისა, მართვის უფლება არა ჰქონდა, „ტექდახმარების“ მანქანით წითელწყაროში მარტოკა გააგზავნეს ანკერული ჩამთესების ჩამოსატანად.

ერთი-ორჯერ ისეთი ტრაქტორი მომართა ორ-სამ საათში, რომ მისი იმედი ვასოსაც კი აღარ ჰქონდა და სულ ნაწილ-ნაწილ დაშლას უპირებდნენ.

— ერთი უყურე, ამ ღმერთძაღლს, — იძახოდნენ აღტაცებული ტრაქტორისტები და „პრიმას“ დამნაშავეებივით სუტავდნენ, — ყველას არ გვაჯობა!

— ძველი ნატანკისტარია!

ტარიელს სიამოვნებდა ქების მოსმენა. დღითიდღე ბეჯითდებოდა.

ხვნა, თესვა, სასუქების შეტანა, ფარცხვა ერთმანეთს ისე გადაება, რომ ყოველგვარი იმედი გადაუწყდა მათ მოთავებამდე სოფელში ჩასულიყო რამდენიმე დღით და ლედისთან შეხვედრის შესაძლებლობისათვის ეცადა.

თუ ჯიბრზე მოიქცეოდა, მთელი კვირითაც გამოიქცეოდა თვითნებურად, მაგრამ არ უნდოდა ხალხის წყენინება, რადგან შვილივით შეითვისეს.

კარგი დარები იდგა, ყველა ამინდს ეშურებოდა და ახლა ნამდვილი ღალატი იქნებოდა ბრიგადის მიტოვება. ეგეც არ იყოს, „ტექდახმარების“ მანქანის შოფერს სიდედრი მოუკვდა და ერთი კვირით საჭეს ის მიუსვეს.

* * *

ოთხშაბათს ტარიელი, „ტექდახმარების“ მანქანით წითელწყაროში გაგზავნეს ნაწილების ჩამოსატანად.

„საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებაში აილო ზედნადებები და ბაზისკენ გასწია. ავტოსადგურის მოედანს რომ სჭრიდა, ბილეთების სალაროს წინ ლედის შეასწრო თვალი. ალვის ხეებთან იდგა, ხელში ჩანთა და ვატმანის ქაღალდის გრაგნილი ეჭირა.

ტარიელმა მარცხნივ ჩაუხვია, გზაჯვარედინზე წრეს ხელახლა შემოუარა და ლედის ხელისგაწვდაზე წაუყენა მანქანა. მოტორი არ გამოურთავს.

— ჰელოუ, მადმუაზელ ლედი!

ლედი შეკრთა, ახლაღა იცნო კაბინიდან თავგამოყოფილი ტარიელი და ფერი მოინაცვლა.

— გამარჯობათ.

— რა იყო, გოგო, იმ დღეს ი ხალხი რომ მომისიე?

— ვინ ხალხი?

— რა ვიცი: დიმიტრი, სირანა ბებია...

— მე არავინ მომისევია.

— აარა!.. სად ყოფილხარ?

— განათლებაში.

— ვის ელოდები?

— ავტობუსს.

— ო, ერთი ეხლა ავტობუსად მაქცია!

ლედიმ ვერ შეიკავა ღიმილი.

— ლედი, ზედა კლასებში ცოტა რქიანი ბიჭები დადიან, ხო არ გაბრაზებენ?

— არა.

— თუ აგირიონ, ჩემი სახელი ახსენე.

— კეთილი.

— აბა შეხედე რა აწერია მანქანას!

ქალიშვილმა უნდოდ შეხედა მანქანის კაპოტს, მაგრამ რაკი იქ ვერაფერი შენიშნა, თვალი გააყოლა ფრთას, კაბინას და გვერდზე ცარცით წარწერილი „შუმერული მითოლოგია“ რომ ამოიკითხა, ჩაეცინა.

— ეგ რამ გაფიქრებინა!

ლედის გაცინებამ და შენობით მიმართვამ ჭაბუკი წაათამამა.

— დრო თუ გაქვს, წამო მინდორში გავასეირნო. იცი რა სანახავია!

— მინდორში რა უნდა იყოს სანახავი? — გაიოცა ლედიმ.

— ეე! ჯერ ყოფილხარ?

— არა.

— ჰოდა, აბა... წამოხვალ?

— არა, გმადლობთ.

ისევ ჩამოიარეს სიჩუმის ანგელოზებმა. სადგურში რომელიღაც ავტობუსი შემოვიდა.

— ლედი, არა თხოვდები?

ქალიშვილს ხმა არ ამოუღია. მხოლოდ გვერდზე გაიხედა.

თბილისის ავტობუსი ზედ მოადგა ტარიელს და სიგნალი ავტომატის ჯერივით დააყარა — მანდ ჩემი სადგომია, დამიცალეო.

— ახლავე, რა იყო, — წაილაპარაკა ტარიელმა, სიჩქარე ჩართო და პაეროვანი კოცნის გამოსახატავად მოკუმული თითები ტუჩებისკენ წაიღო. ლედი მიხვდა ბიჭის მკლავის მოძრაობას და ანაზდად შეტრიალდა ალვებისკენ.

— მიყვარხარ, იცოდე!... არავისიც არ მეშინიან!... — მიაძახა ტარიელმა ზურგშექცეულ გოგოს და მანქანა ისეთი ყოფით გააქანა, ცოტა გაწყდა ვილაცის ლურჯ „ვოლგას“ არ წააქექა.

ბაზაში საქმე რომ მოითავა, დაბარებული სიგარეტების საყიდლად შეიარა. საჩუქრების მაღაზიასთან თანაკლასელები მიმოზა და ელისო შეეფეთა. მიმოზა ქიმიას ასწავლიდა, ელისო — პიონერხელმძღვანელი იყო.

— ათ ოქტომბერს დაბადების დღეს ვიხდი! — შესძახა შეხვედრით გახარებულმა მიმოზამ. — უეჭველად ჩამოდი, ლედიც იქ მეყოლება.

— ვეცდები! — მიუგო ტარიელმა და სიგარეტის კოლოფებით სავსე ბადურა ხალისიანად მოიგდო ზურგზე.

* * *

მიმოზამ დანაპირები შეასრულა — დაბადების დღეზე ლედიც ესწრებოდა, რომელსაც, მანიას რჩევით, ელზაც გამოეყოლებინა.

ოციოდე ახალგაზრდა იქნებოდა თავშეყრილი. სულ შინაურები და თითქმის ერთი ხნისანი. გოგოები ჭარბობდნენ. ძალიან არეული სუფრა ჰქონდათ.

სუფრაზე ყველანაირი სასმელი იყო: არაყი, შამპანური, კონიაკი, ლიქიორი, შინაური ღვინო — რა გინდა სულო და გულო!

კუთხეში მიდგმულ მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა საჩუქრები.

ტარიელი მინდვრიდანვე მოკიდებული ჩქარობდა და ჩქარობდა, მაგრამ მაინც დააგვიანდა — ქეიფი კარგა ხნის უკან დაწყებულიყო, კარი რომ შეაღო.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — დაიყვირეს შეზარხოშებულმა მეგობრებმა და ალტაცებით მიაჩერდნენ გახევებულ ტარიელს, რომელსაც უხერხულად ეჭირა მაკარონის ყუთი.

— კარგ დროს მოხველ! — მიაძახა რომელიღაც გოგომ, — სიდედრს ყვარებიხარ!

— სიდედრებს-თქო! — ორაზროვნად შეუსწორა ტარიელმა.

გადაიხარხარეს.

— ბიჭო, მახხრობაში უნდა ამოგძვრეს ეგ ოხერი სული, — მატრაკვეცულად მიეჭრა ზემფირა და ყუთს წაეპოტინა, — დაბადების დღეზე მაკარონის საჩუქრად მიტანა სად გაგონილა!

— ვაა, ეს ვინ არის! — ამოიოხრა ტარიელმა, — რატო არ იცდი?

მერე ოდნავ დაიხარა, ყუთს თავი ახადა და გადმოაპირქვავა.

ყუთიდან ორი კაკაბი გადმოფართხალდა. მათ საოცარი სისწრაფით გადიკვეს იატაკი და სხვადასხვა კუთხეს შეაფარეს თავი: დედალი კარადის ქვეშ შეძვრა, მამალი პიანინოს პედალთან გაიძგნაბა.

მოქეიფეთა აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: აირივ-დაირივნენ, ყველა კაკბების დაჭერას ლამობდა.

— რა ლამაზებია!... დიდი მადლობა!.. როგორ დაიჭირე? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა მიმოზა და ტარიელს ლოყას უშვერდა საკოცნელად, — ფრთხილად, არ გასრისოთ!.. შეეშვით, ბავშვებო, დასხედით!

ისევ დალაგდნენ. ჩიტიამ იმდენი იმარჯვა, რომ ტარიელი ლედის მარჯვენა მხრიდან მოუსვა.

— როგორ ბრძანდები, ლედი? — შეეკითხა ტარიელი და პურის ნაჭერი დაიდო თეფშზე.

— არა მიშავს რა.

— კარგია!

ლედიმ ალმაცერად გადახედა ტარიელს.

— რას ერჩოდით საცოდავ ფრინველებს?

ტარიელს მწარედ ჩაეცინა და ჩაფიქრდა.

— ეს შენი გულისთვის... თავი ობლად რომ არ გეგრძნო, — მიუგო ბიჭმა და რაკი მოეჩვენა სათქმელს ვერ მიმიხვდაო, დაამატა, — შენც ქალაქიდან ჩამოყვანილ ლამაზ, ტყვე კაკაბს გევხარ.

ლედი აილეწა.

თამადა რაღაცას ლაპარაკობდა. სუფრის ბოლოდან ელზა გაფართოებული თვალებით მოსჩერებოდა ტარიელს. [illegible]ყობა, გაოცებას იყო — ლედის [illegible]დით რანაირად ამოყო თავით.

თამადამ სადღეგრძელო მოათავა და ისევ აყაყანდა სუფრა.

ტარიელმა ლედის მარცხნივ შამპანურის ჩანაკლულებული ბოთლი შენიშნა და თავაზიანად გაუწოდა ჭიქა.

— უკაცრავად, ლედი, თუ შეიძლება შამპანური დამისხით.

— ვინც არყის ხის წვენს გასმევდათ, შამპანურიც იმან დაგისხათ!

ტარიელს ჩაეცინა.

— მაშინ იქნებ მომაწოდოთ?

— ინებეთ.

მოუსვენრობაშეყრილმა ქალიშვილებმა ისევ რადიოლას მიმართეს.

— არაბული ტანგო!

ფანჯარასთან ატუზულ ლედისთან განზრახ არავინ მისულა. ტარიელი მოწიწებით მიეახლა და მომაკვდავივით ჩაიჩურჩულა:

— შეიძლება?

ლედი ორიოდე წამით შეყოყმანდა და უსიტყვოდ გაჰყვა. მარცხენა ისე ნაზად შემოადო მხარზე, თითქო გახურებულ ღუმელზე თითებს ითბობსო. მარჯვენა კი საოცარი სისწრაფით სტაცა მისკენ წამოსულ ვაჟის მარცხენას, რათა ესეც წელზე არ შემომხვიოს და, სხვების ბაძვით, მეც არ ჩამბღუჯოსო. ცდილობდა ტანიც საკმაო მანძილზე სჭეროდა, თუმცა ბიჭის მხრიდან არ იგრძნობოდა რაიმე ძალადობა.

ტარიელს ლაპარაკის წყურვილი ჰკლავდა. მაგრამ არაბული ტანგოს ჯადოსნურმა ჰანგებმა მის სხარტ გონებას და მოუსვენარ ენას კლიტე დაადეს. ბიჭმა იგრძნო, რომ ასეთი მუსიკისქვეშ ლედისთან წელზე ხელშემოხვეული ტოკვა ლაპარაკიც იყო, სიყვარულის ახსნაც, თანხმობაც.

ჭაბუკი იმასღა ცდილობდა თვალებში ჩაეხედა. მაგრამ ვერ ახერხებდა: წამწამებდახრილი ქალიშვილი ერთთავად სადღაც ალმაცერად იყურებოდა. მაშინ ტარიელმა ეშმაკობა იხმარა: ცეკვა-ცეკვით, ზურგით შიფონერისკენ წაიყვანა

და როცა გოგომ თავი ურჩად მიაბრუნა, სარკეში მათი თვალები ერთმანეთს შეეჩეხნენ.

ლედის უპეებში მსუბუქი ცრემლი უბრწყინავდა.

კუთხეში, რადიოლასთან მიყუჟული ელზა ღელვა-სირცხვილისაგან ფითრდებოდა და წითლდებოდა. ვერ გაეგო ამ მოავარაო ტაროს რა უფლებით ჰყავდა ჩახუტებული მისი ინგლისური ენის მასწავლებელი. თანაც ცალი ხელი რად ედო — წელზე, ზედ ქამართან. და ეს მოდარაჯე ფინიასავით თვალანთებული გოგო სირცხვილით იწვოდა, თუმცა აწკრეცილ სახეზე ხან ცნობისმოყვარეობის ალმურიც აურბენდა ხოლმე. ლედის ნატიფ წელზე გაწოლილ ტარიელის მარჯვენას ისეთი გულისფანცქალით უთვალთვალებდა, თითქო ეშინია, სადმე სხვაგან არ გადაინაცვლოსო.

ერთი სიტყვით, ელზა ძალიან ფხიზლობდა, ცეკვის შემდეგ კი შეუმჩნევლად გასხლტა მეორე ოთახში და დედას დაურეკა: ტარიელი მოვიდა, ლედი აცეკვა, უკვე იშლებიან და მოდი, წაგვიყვანეო.

მანია ათ წუთში იქ გაჩნდა. მაშინვე ტარიელი ამოიღო მიზანში.

— აქა ბრძანდებით, ვაჟბატონო?!

— როგორც მხედავთ, ქალბატონო! გაიცინეს.

ტარიელი ელვისებურად გარდაისახა.

— სხვა... თამაზი რას იწერება, მანია ძალო?

— გაიხარე, შვილო, იცოცხლე... ცხრა თვეში ჩამოვალო.

— ვინმე დუნიაშკა თუ არ ჩამოგიყვანა!

— ეჰ, ოღონდ მშვიდობით დამიბრუნდეს და ვინც უნდა ჩამოიყვანოს.

ყველანი აივანზე გამოიშალნენ. შუაღამე გადასული იქნებოდა. ცა ვარსკვლავებით იყო დაწინწკლული.

მიმოზამ ჩიტიას სახელოზე მოქაჩა და უჩურჩულა.

— ამ გოგოების ხელში აბა რა იქეფეთ... ჯერ ადრეა, ბიჭებს [illegible] შემობრუნე.

ბნელ ორღობეში გოგოები ჯგუფჯგუფად, სიცილ-კისკისით და ყაყანით რომ გაიფანტნენ, ჩიტიამ ბიჭები ისევ მაღლა აიყვანა.

— გოგოები! — ხელების ფშვნეტით გაიძახოდა თამადა თუ ნათამადარი, — ეგენი მარტო ალაყბე!.. მიმ, ერთი ესენი დალუპე აქედან და ქვევრის ღვინო შემოგვიტანე!

— ეხლავე, გენაცვალე! — დატრიალდა მიმოზა.

ბიჭები სმას შეჰყვნენ.

— მეც ზოგიერთივით ყვითლად უნდა შევიღებო თმა! — ტარიელის გასაგონად ტიკტიკებდა ბიჭებში ჩამჯდარი მიმოზა.

ჩიტიამ ტარიელს უჩურჩულა:

— ელაპარაკე რამე?

— ვინ დამაცალა? ვერ დაინახე, მანია აქ მოგვადგა!

ჩიტიამ მთვრალი თვალები უაზროდ ააბლატუნა.

— უკვე მისულები იქნებიან... მიდი, დაურეკე!..

ტარიელი გამოცოცხლდა.

— აქვთ ტელეფონი? რა ნომერია?

— იმ ოთახში... მგონი 3-6... არა — 6-3... ნახე...

მიმოზა მწვადისთვის რომ ჩავიდა დაბლა, ტარიელი მეორე ოთახში შეიკეტა. ჩაათვალიერა სუფთა ფურცელზე რემინგტონით გადაბეჭდილი ტელეფონის ნომრები. „დიმიტრი ოზაშვილი — 2=36“.

ხელისკანკალით აიღო ყურმილი და აკრიფა ნომრები.

— ლედი ხარ?

— კი.

— წელან რაზე ტიროდი?

დუმილი. ტარიელი ნაზმა სიშმაგემ მოიცვა.

— ლედი, მიყვარხარ!.. გაგიჟებით!.. უაზროდ!... გენაცვალე თითებში, ყელში, თმებში...

— რა თავქვას ახლი მანდ! — მოისმა გაკვირვებული ბღავილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელი უცებ გამოფხიზლდა და ახლაღა მიხვდა, რომ ეს მანიას ხმა იყო. ისე დარეტიანდა, ცოტა გაწყდა თავით ფანჯარა არ გაამტვრია და მეორე სართულიდან არ ისკუპა.

* * *

დადგა შემოდგომა — ბარაქიანი, მსუყე, მშრალი, თბილი და ამაზრზენამდე მარტივი. საგნებსა და მოვლენებს რაიმე ორაზროვანი, დამატებითი, გამაბრუებელი და გაურკვეველი მნიშვნელობა კი არა ჰქონდათ, როგორც ეს ადრე გაზაფხულობით ან პირველი თოვლის იცის, არამედ ერთადერთი, უემაყო და ყველასათვის გასაგები: ყურძენი უნდა დაიწურის, კაკალი დაიბერტყოს, სიმინდი დაიკალოს, მჭადარი დაიმარხოს, შეშა მომარაგდეს, გასათხოვარი გაითხოვდეს, დაღლილმა დაისვენოს, მშიერმა ჭამოს, ადამიანებმა ერთმანეთს სიკეთე უყონ, იცხოვრონ...

გამჭვირვალე ჰაერი გაიბილდა, გალურჯდა და რაღაცნაირად ჩატკბა. ლამლამობით შესამჩნევად ცივოდა. ფოთოლს ნარინჯისფერი სნებასავით შეუმჩნევლად წაეპარა. მაჭარი ჩამწარდა. გაიმართა საარყეები. სოფელში ჭაჭის, კომშის, წენგოს, ნივრის, ქონდრის, პიტნის, შემწვარი ლელვისა და ატმის სუნმა იმძლავრა. თბილ ნიავს საიდანაც უნდა წამოებერა, ნაკვერჩხლებზე შემწვარი ხორცის სუნი მოჰქონდა. ტყის პირებსა და ვენახის თავებში უამრავი ნაცეცხლური გაჩნდა, რომელთა სიახლოვეს წვერწამწვარი შვინდის შამფურები და გამოწურული ბროწეულებიღა ეყარა.

ადამიანები უფრო ჩათქვირდნენ, ფერხორცი დაიწმინდეს. მეცხრე-მეათე კლასელი გოგოები გაკვეთილების შემდეგ სულ ორღობეებში დასეირნობდნენ ჯგუფ-ჯგუფად. შავი, მოდური საშემოდგომო პალტოები ეცვათ. და როცა საჭირო იყო პალტოს გრძელ კალთებს ისე არტისტულად გადაიყრიდნენ ხოლმე, რათა მოკლე კაბებიდან ქორფა მუხლისთავები გამოეჩინათ, რომ კაცი შეიშლებოდა: ამ ცხვირმოუხოცავ ცუგრუმელებს ვინ ასწავლათ ასეთი ეშმაკობაო.

ქალწულების ცქერისაგან უსაშველო სევდითა და ჯავრით შეპყრობილი ბიჭები დასიცხულ ზაქებივით დაზლაყუნობდნენ. მათ ჯერ არ იცოდნენ საიდან და როგორ მოევლოთ გოგოებისთვის, ან მოზღვავებული ენერგია რაში დაეხარჯათ და ხსნას მხოლოდ ერთმანეთის გვერდების ზელაშიღა ხედავდნენ. და იყო ერთი აყალმაყალი, ცხვირ-პირის მტვრევა და დაკა-დაკა. ერთმანეთს მართლა მოსისხლეებივით ემუქრებოდნენ, მაგრამ მეორე დღეს კვლავ ძმურად სვამდნენ და საარყიდან გამოშლილები ისევ იმ ბრიყვული გახეტებით მისჩერებოდნენ ფერად-ფერად კაბებსა და ჟაკეტებში გამოწყობილ ქალიშვილებს.

ბდღვრიალა ქალაღაიებით შემოსილი „ვოლგები" და „ჟიგულები" ცეცხლმოდებულ ალქაჯებივით დაქროდნენ უბანუბან და სიგნალით, იმედით, ვნებით, სინანულით და მოუსვენრობით ავსებდნენ ადამიანებს.

ტარიელს იმ შემოდგომით ოცდათოხი წელი შეუსრულდა. ხასიათი სულ გამოეცვალა. ჩაფიქრებული და სევდიანი გახდა. ადრე ფიქრადაც რომ არ მოსდიოდა, ახლა მოსვენებას უკარგავდა კითხვები: „რათ მიგვატოვეს მე და დედა? რით იმსახურებს მამაჩემი ბებიისა და ნათესავების გაბოროტებულ წყევლას? როგორი ვარ მე — კარგი თუ ცუდი? რას ფიქრობს სოფელი დედაზე, მამაზე, ჩემზე? ქორწილი რომ მექნება, მამაჩემი მოვა თუ არა? რომ მოვიდეს, როგორ უნდა მოვექცე? დედა, დედა ხომ მოვა, მაგრამ მამინაცვალიც გამოჰყვება? თუ გამოჰყვა, იმასთან რაღანაირი თავდაჭერა მმართებს?"

ასეთი კითხვებისაგან გატანჯულ ჭაბუკს ბებია უფრო ნაზად და მზრუნველად შეუყვარდა. თუმცა გრძნობდა, რომ რაც ლედი გაიცნო, ეს სიყვარული ველარ აკმაყოფილებდა ძველებურად. მან თავი პირველად იგრძნო ობლად და საეჭვო წარმოშობის თუ რაღაც ამგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დამამცირებელი მდგომარეობის მქონე ადამიანად.

ლედისადმი სიყვარული დღითიდღე უღრმავდებოდა, სიყვარულთან ერთად კი სევდაც უმძიმდებოდა. სწორედ ისე, მხოლოდ სოფლელ ყმაწვილებს რომ ემართებათ ხოლმე.

ერთხელ კინოდან რომ გამოიშალნენ, ძმაკაცებმა უთხრეს, ლედი სკოლაშიაო (კლუბი და სკოლა ერთ ეზოში იდგა).

— ეხლა იქ რაღას აკეთებს? — გაუკვირდა ტარიელს.

— მგონი მორიგეები არიან თუ რაღაცა. — უპასუხა კარლომ.

ტარიელი აღარც დაფიქრებულა — სიგარეტი გადააგდო და აუყვა სკოლის კიბეს.

გაჩახჩახებულ სამასწავლებლოში ოთხნი ისხდნენ: დირექტორი, ლედი, საქმეთამმართველი ანიკო და ფიზიკის მასწავლებელი ოლია.

— ოო! — გაკვირვებულმა დირექტორმა სათვალე მოიხსნა, — როცა დრო იყო, სკოლა გძულდა და არა სწავლობდი, ეხლა რამ...

— ვინ არა სწავლობდა, სულიკო მასწავლებელო, — ითაკილა ტარიელმა და გაკვეთილის მომყოლი მოსწავლის პოზა მიიღო, — სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არის რომ არ ჰმონებდეს!... ვინ არის რომ...

სუყველა, ლედის გარდა, გულიანად ახარხარდა.

ლედის გაუცინრობამ ძალზე უხერხული ვითარება შექმნა. ისე გამოდიოდა, თითქოს ტარიელის ქცევასა და ნათქვამზე მხოლოდ სულელებს და ჭკუათხელებს თუ გაეცინებოდათ, თორემ მანდ რა იყო სახარხაროო.

ეს ყველამ იგრძნო.

— ეხ, ტარიელ, ტარიელ! — ესღა ჩაილაპარაკა დირექტორმა და რაღაც გრაფიკს ჩააცქერდა, — დაჯექი, მოგვიყევი რამე.

ანიკომ და ოლიამ მოიწმინდეს სიცილის ცრემლი და ამრეზით გადახედეს ლედის, რომელსაც „სკოლა და ცხოვრება“ გადაეშალა და შიგ ისე უაზროდ ჩაიყურებოდა, როგორც ერთხელ „შუმერულ მითოლოგიაში“.

ფიქრის შეშით სავსე, ახლადდადგმული ღუმელი მტრედივით ღუღუნებდა. ოთახში დამწვარი თუნუქისა და ფისის სუნი იდგა.

დირექტორმა საათზე დაიხედა და წასასვლელად მოემზადა.

— სანამ ათი არ გახდება, არ წახვიდეთ!

— არა, სულიკო მასწავლებელო, — მიუგო ოლიამ, — ეხლა რომელია?

— ჯერ ათის ოცია.

შვიდი ნოემბრის წინა დღეები იდგა. იქნებ პარტრაიკომიდან და განათლების განყოფილებიდან შეგვამოწმონო, ეფიქრა დირექტორს და ეს უცნაური მორიგეობა თავისით შემოეღო.

დირექტორი რომ წავიდა, ოლიამ და ანიკომ ტკბილი მასლაათი გაუბეს ტარიელს (ლედის ზედაც არ უყურებდნენ). კეთილი, ოცდაათ წელს გადაცილებული ქმარშვილიანი ქალები იყვნენ და ებრალებოდათ ტარიელი, ბებიის ამარა რომ იზრდებოდა.

— ტარო, ტარო, — რაღაც დედური მზრუნველობით ალაპარაკდა ოლია,— გახსოვს ანიკო, ამან ერთხელ გაკვეთილზე ფანჯრიდან გოჭი რომ შემომიგდო... სულ ახალი ვიყავ და როგორ ავნერვიულდი, დედა!

— როგორ არ მახსოვს, — მიუგო გლობუსის ტრიალით გართულმა ანიკომ, — ატყობ, ოლია, როგორ უცებ დამშვენდა, დავაჟკაცდა, — გაწითლდა და მორცხვად გაეღიმა, — ტარიელ, ჩემს წარმოსახვაში... იცი, სულ ნიკოლოზ ბარათაშვილს გევხარ.

— ჟილბლო სიყვარულით, კი. — დინჯად შენიშნა ტარიელმა.

ოლიამ და ანიკომ გულიანად გაიცინეს, ლედის სახეზე ძარღვი არ გატოკებულა.

— ო, რა ენა გაქვს! — კვნესოდა ჩაბჟირებული ოლია.

ერთხანს უსიტყვოდ ისხდნენ.

— რა კარგი შარვალ-კოსტუმი გაც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვია, — ისევ ოლიამ დაიწყო, — სად იყიდე?

— მექანიზატორებს მინდორში მოგვიტანეს.

— ეს ქვეყანა თქვენია, ძმაო, — ჩაერთო ანიკო, — სიამოვნებით ავუღებდი გოგიას, რა მიეცი?

— ას ორმოცდათორმეტი მანეთი.

— სადაურია? — დაინტერესდა ოლია, მართლა რა კარგია!

— აზრზე არა ვარ.

— აბა, მაჩვენე, — ანიკო სკამიდან გადაეწოდა, კოსტუმს ლაცკანში სწვდა და გულის ჯიბეზე მიგვირისტებულ იარლიყს შუბლშეკრული დააცქერდა, — მე რას გავიგებ, მგონი ინგლისურია... რა აწერია, ლედი?

ლედი გრძელი, ვიწრო მაგიდის მეორე მხრიდან ლერწამივით გადმოიხარა.

— „ფასონ „მისტერ“ — „დე“ — ამოიკითხა და ისევ დაჯდა, — ფეერგესია.

— ო, გამისტერებულხარ და ეგ არის!. — შესძახა ოლიამ.

— ბლარა დამიკლდება რა. — თავი მოისაწყლა ტარიელმა.

ათი საათიც შესრულდა. ჩანელებული ლუძელი შეამოწმეს, გამოკეტეს სამასწავლებლო, გასაღები კუზიან დარაჯს დაუკიდეს და კიბეზე ფრთხილად დაეშვნენ.

* * *

ირგვლივ ბნელი, ვნებიანი, იდუმალი ღამე ჩამოწოლილიყო.

— ო, რა ღამეა! — შეყვარებულივით ამოიოხრა ოლიამ.

— თუ გაგიგო რეზომ, ღამეს მოგცემს ხელში! — სიცილი წასკდა ანიკოს.

— ვერაფერსაც ვერ მიზამს! — არ შეეპუა მუქარას ოლია, — თუ არადა ნეტა შინ იყოს და!... ეს სამი დღე წასულია და რამაზი სულ „მამას“ გაიძახის.

— სადა გყავს?

— ჯანდაბაში!.. მიხოს პერმში გაჰყვა მანქანის ჩამოსატანად.

ოთხივენი ფეხშეწყობით მიაბაკუნებდნენ სიბნელეში.

წყალთან ოლია და ანიკო შედგნენ.

— აბა, კარგად, ახალგაზრდებო, ჩვენ...

— არ გამაცილებთ? — შეკრთა ლედი.

— რაღა ჩვენი გაცილება გინდა, გოგო, — გაიცინა ოლიამ და ტარიელს სიბნელეში იდაყვი გაჰკრა — მიდი, ნუ გეშინიანო, — ტარიელზე უკეთ ვინ გაგაცილებს!... ბავშვები მეზობელს დავუტოვე და ვინ იცის... თან როგორ შემცივდა, უუუ! — წავიდეთ, ანიკო, წავიდეთ!

მათ ერთმანეთს ხელმკლავი გაუყარეს და თავიანთ ოროლობეში ორაზროვანი, გამამხნევებელი სიცილ-კისკისით გაუჩინარდნენ.

ლედი ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა.

ასე იდგნენ უხმოდ.

— მართლა... ის ხომ არა ვარ... — ხმა აუკანკალდა ტარიელს. — წავიდეთ.

ლედიმ ფრთხილად ამოიოხრა და ყოყმანით დაიძრა.

ერთხანს ასე მიაბიჯებდნენ.

ირგვლივ ხორციელის ჭაჭანება არა ჩანდა. ქუჩას და ლობეებს ფარდებჩამოფარებული სარკმლებიდან გამოჭრილი წყალწყალა შუქი ანათებდა. ღამეულ სიმყუდროვეს ძაღლების ღავღავი და გადაღმა უბანში მოქეიფეთა სიმღერის არეული ხმები არღვევდნენ.

— ლედი, ხომ გამართლდა ჩემი სიტყვები!

— რა სიტყვები?

— მატარებელში რომ გითხარი, — გაახსენა ბიჭმა, — ჩვენებური ქალები თავისზე ლამაზს ვერ იტანენ-მეთქი.

ლედის ხმა არ ამოუღია.

მთავარი ქუჩა რომ გადაჭრეს და ვენახებსა და ტყისკენ მიმავალ საურმეს აუყვნენ, უცებ მთელ სოფელში შუქი გამოირთო და ისეთი წყვდიადი გამეფდა, თვალთან მიტანილ მუშტს ვერ დაინახავდა კაცი.

— ჰმ! — ისეთი გულდაწყვეტით ჩაიცინა ლედიმ, თითქოს შუქი ვიღაცას

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზრახ გამოერთოს და დღეს საერთოდ მთელი ქვეყანა მის წინააღმდეგ ყოფილიყოს შეთქმული.

—არც მირზაანშია, არც წნორში, — ხმა ამოიღო ტარიელმა, — ეტყობა, მთავარ სადგურში რაღაცა მოხდა. ხომ არ გეშინიან?

ლედი იმდენად შიშს არ განიცდიდა, რამდენადაც დამცირებას. მიყრუებული სოფელი, წყვარამი ღამე, ნარვალებიანი გზა ეჩვენებოდა არაბუნებრივად, ველურად, აბუჩადამგდებად. მიაბიჯებდა ფრთხილად, მორჩილად, უსიცოცხლოდ, ტყვესავით. ამ ბნელ ღამეში უფრო მთელი სიცხადით შეიგრძნო თავისი უსუსური მდგომარეობა. როდის გავა ორი წელი!.. მისი ფიქრები გაჩახჩახებულ თბილისს და ბავშვობიდანვე თანაშეზრდილ გოგოებს დასტრიალებდა, რომლებმაც იმდენი იჭახრაკეს, რომ ლედისავით სოფლის ბნელსა და ოღროჩოღრო გზებზე სათრევად არ გაიხადეს საქმე. ვინ იცის ახლა სად არიან, რას აკეთებენ, საით მიიჩქარიან, ვისთან სეირნობენ და ვისგან ისმენენ სიყვარულის აღსარებას. თბილისში დარჩენილი დობილების ცხოვრების ყოველი წვრილმანიც კი უცებ ისეთ ბრწყინვალე, ლამაზ, შესაშურ და საოცნებო ფერებში წარმოუდგა, რომ ცრემლი ძლივს შეიკავა.

უხმოდ მიადგნენ რკინის ჭიშკარს.

— გმადლობთ. — გამოცილების გასამრჯელო მონეტასავით გადმოაგდო გოგომ ეს ერთადერთი სიტყვა.

— ლედი...

— მე წავედი. — ჩაილაპარაკა და შეაღო ჭიშკარი.

— ლედი. — მოღიათ კარში ბიჭიც შეიძურწა ძაღლივით და ქალიშვილი გულში ჩაიკრა, — ო, ლედი, ლედი...

ღელვისა და სიცივისაგან ბიჭი ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. ცრემლი წყალივით ჩამოსდიოდა. კოცნა და ტუჩების ძებნა არც აგონდებოდა. მხოლოდ გულში იხუტებდა ხარბად, ნაზად; გრძელ თითებს ვნებიანად უსვამდა თხელ პალტოში გამოკრულ მოხდენილ ბეჭებზე. უზომო სიამით ავსებდა ლედის ნაზი პირისკანი, სუნამონაპკური თმა, სიცივისაგან გაყინული პაწია ცხვირი.

— ო, ლედი, ლედი... — ჩურჩულებდა აქვითინებული ბიჭი და უფრო ხარბად იხუტებდა გოგოს.

ლედის თავი სიზმარში ეგონა. ხვევნა-ალერსით გაბრუებულს, ხანდახან უბრუნდებოდა წამიერი სიფხიზლე და უქვირდა, რომ წინააღმდეგობას არ უწევდა ან არ კიოდა. აოცებდა ბიჭის თავხედობამდე მისული სითამამე, მაგრამ ამ სითამამის ბუნებრიობა და უშუალობა უფრო მეტად აოცებდა.

ტარიელი თავდაჯერებული დამპყრობივით ლაღად, თამამად და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იქცეოდა: ლედი ციმციმ აიყვანა და შიფრით გადახურულ ლია ფარდულისკენ წაიღო.

— დამსვი... რას მიშვრები... ვიკივლებ...

— ნუ გეშინიან... დაილლებოდი... დავსხდეთ... — წასჩურჩულა ბიჭმა და ნამჯის პრესზე ფრთხილად დასვა, თვითონ კი ველოსიპედივით გადააჯდა პრესს და ისევ ჩაიხუტა გოგო.

— მიყვარხარ, ლედი, მიყვარხარ... შენ ჩემი ყველაფერი ხარ... შენ ჩემი შუმერული მიათოლოგია ხარ... ჩემი შუმერი ხარ. ჩემი მითოლოგია ხარ... ჩემი მითიცა ხარ და თოლიაც... ო, ლედი, ლედი, ლედი...

რაკი სიყვარულით დაბრმავებულ ბიჭს ნაზი ალერსისა და ვნებიანი ჩურჩულის მეტი არა ედო რა გულში, ლედის ფარდულში შეყვანით გამოწვეულმა შიშმა გაუარა და აზრის მოკრებაც შესძლო. მაინც არ სცილდებოდა რაღაცნაირი დამცირების და მოლოდინის გაწბილების განცდა.

მის ნატიფ წარმოსახვას სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი პირველი სიყვარულის გამჟღავნება და ხვევნა-ალერსი. ეს, მისი აზრით უნდა მომხდარიყო სადმე თეატრის ჩაბნელებულ ლოჟაში, ღამეულ პროსპექტზე — ჭადრების ქვეშ, ან სუფთად დაგვილ, ნახევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანათებულ პარკში, ოქროყანის გზაზე გადაყენებულ მანქანაში, ლიფტში, მეგობრის დაბადების დღეზე — ცალკე ოთახში ან ღია ვერანდაზე, ინსტიტუტის დაცარიელებულ აუდიტორიაში. საესტრადო კონცერტის შემდეგ — ჩაბნელებულ სადარბაზოში, ზანტი კარუსელის ჯაჭვით გადაღობილ რკინის სავარძელში, უკაცრიელი ნარიყალას ნანგრევის ძირას, ზღვის ნაპირზე — მაგნოლიების და პალმების ვნებიან შრიალში, ბეთანიაში გასეირნების დროს, ლისის ტბაზე, მთაწმინდაზე, ქაშუეთთან, მტკვრის სანაპიროზე, უნივერსიტეტის ხევში, თვითმფრინავში, ექსპრესში და არამცა და არამც აქ, ახლახან მოტანილი ახორილი შეშისა და მარგილებზე ჩამოცმული სირანას ნამზითვარი ქილების გვერდით, ამ უბადრუკ ფარდულში, სადაც ხელის გაწვდაზე ძროხა ფშვინავდა, ხოლო სალაფავნაჭამი ღორები ხამუშ-ხამუშ კვნესოდნენ.

ლედის ხაშინელმა ქრუოლვამ დაუარა: ვენახის თავში ჭოტის მონოტონურ კივილს და ტურების შორეულ ღნავილს რაღაც გამოუცნობ, ქვის ხანისდროინდელ სიბეჩავეში გადაჰყავდა.

ბიჭი გონდაკარგული ეწაფებოდა მის თითებს, თვალებს, ტუჩებს, ნიკაპს, შუბლს, ყელ-კისერს, ქალიშვილი კი გონებით ისევ სხვაგან იყო და როგორც არასდროს, რაღაც სიკვდილმისჯილის უკანასკნელი სურვილით ენატრებოდა თბილისი, ნეონის შუქი, ჭადრის წაყვითალო ფოთლები, ასფალტის სუნი, ნაპერწკლის მფრქვევი ბიგელები, ნაწვიმარ ტროტუარებზე ასხლეტილი სხივთა კონები, პარფიუმერიის ვიტრინების თვალთეირება, დობილებთან რუსთაველზე ამოსეირნება.

მაგრამ ეს იყო ოცნება, ნატვრა. ბიჭის მკლავებში მჭიდროდ გამომწყვდეული, თვალს არაბუნებრივად აცეცებდა სიბნელეში, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა. და სადღაც შორს, მირზაანის გორებზე ერთი-ორგან ობლად მოჭიატე შუქი სიმხნევესა და რწმენას კი არ მატებდა, არამედ, პირიქით, [illegible] შველო სევდით ავსებდა, რადგან ეს ორი ობოლი ლამფა კიდევ ერთ ასეთ მოსაწყენ და ამაზრზენ პროვინციული სამყაროს არსებობაზე მეტყველებდა.

უცებ შუქი მოვიდა, მაგრამ ისევ ჩაქრა. მერე ისევ აინთო. ისევ ჩაქრა. ბოლოს აინთო და აღარც გამოურთავთ.

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეტყობა, ლედის მოლოდინში ჩასძინებოდათ. მხოლოდ თაღრით შემობურულ აივნის კუთხეში ენთო ნათურა და ეზოს ჭრელი, სუსტი, ალმაცერი შუქი ანათებდა.

ტარიელს შუქისთვის ყურადღება არ მიუქცევია: სუნთქვაგაყინული, წურბელასავით დაწებებოდა ლედის ტუჩებს.

— ჩემი ხარ, ლედი... რასაც მიბრძანებ... გავიქცეთ... წავიდეთ, სადაც შენ იტყვი...

ლედიმ წონასწორობა დაკარგა. და უცებ ამდენი ხნის დარდი, სევდა, თავშეკავება, მტანჯველური ფიქრები, თვითგვემა, სერიოზულობა, თავის მოტყუება, ტარიელისადმი გრძნობების თრგუნვა, ლაგამამოდებული ვნება, კალენდარზე დღეების ხაზვა, აკვიატებული ფიქრი თბილისზე, ბიჭის ვნებიანი ხვევნაალერსი, სისხლის ყივილი, ცნობისმოყვარეობა, საიდანღაც მოვლენილი გაბედულება და აფეთქებული ქალწულური ვნება ერთმანეთში ჭიანჭველებივით აირია, აფუსფუსდა და ერთ საბედისწერო ფრაზად ჩამოყალიბდა.

— მიყვარხარ... სადაც გინდა წამიყვა... ოოო...

— ლედი... ლედი... — გმინავდა ბიჭი.

ლედი ხელიდან გაუსხლტა და წამოდგა.

— მცივა... წავედი.

— ჰო, გენაცვალე, ჰო... როგორც შენ გინდა. — უჩურჩულა ბიჭმა და კიდევ ერთხელ დააკვდა ტუჩებზე.

ლედი ისევ დაუსხლტა და სახლისკენ წავიდა. კედელთან შეიცადა და როცა გაბრუებულმა ტარიელმა ჭიშკარი უხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდ გაიხუტა, კიბეს ფეხაკრეფით აუყვა.

* * *

დილით ტარიელს რომ გაეღვიძა, იგრძნო — ბედნიერი ადამიანი იყო. თორმეტ საათამდე ინებივრა ლოგინში, მერე კი ადგა და ბირჟაზე გასწია.

ჩიტია და ვახო იქ დახვდნენ. ვახოს სუკები ეშოვნა და გადაწყვიტეს ვენახში, წალამზე შეეწვათ. ასეც მოიქცნენ.

თბილი, მზიანი დღე იდგა.

თითო-ოროლა ჭიქა რომ გადაჰკრეს, ტარიელი სათქმელმა არ მოასვენა და წუხანდელი ამბავი-სულ წვრილად უამბო მეგობრებს.

— შოკლეთ, მიყვარხარო, მითხრა, სადაც გინდა წამიყვა, წამოგყვებიო. — დაასრულა თხრობა.

— თუ მართლა მაგრე გითხრა, მოვიტაცოთ! — დაბეჭდა ჩიტიამ.

— მოტაცება რაღა საჭიროა? — გაოცდა ვახო.

— რა და, თბილისელი გოგო თავისი ფეხით არ გამოჰყვება, — განუმარტა ჩიტიამ და მწვადს ბროწეული დააწურა, — ხო იცი: მშობლები, ხალხი, სკოლა... მაგრამ ყველას ფაქტის წინაშე რომ დავაყენებთ, რაღას უზამენ!

— მართალია! — შესძახა ტარიელმა, — დღესვე!

— აბა, რა! — დაუდასტურა ჩიტიამ და ჭიქები შეავსო, მე შენთანა ვარ! შენ, ვახო?

— მე?... მე... ჩვენ ხვალე არაყსა ვხდით და ჭაჭა უნდა ამოვილო დღეს.

— განზე გადექი? — გაეცინა ჩიტიას, — დაიცა, განა შენ არაფერი დაგჭირდება ცხოვრებაში... თუ არადა, ჩვენც ვეყოფით: კარლო საჭეს მიუჯდება, ჩვენ კი ერთ გოგოს როგორ ვერ ჩავსვამთ.

ქეიფი მოათავეს. ვახო შინ წავიდა, ტარიელი და ჩიტია კარლოს ესტუმრნენ და ჭიშკართან დიდხანს ეჩურჩულნენ...

— გოგო თანახმაა? — მხოლოდ ეს აინტერესებდა კარლოს.

— თანახმა რომ არ იყოს, ორი თავი კის აბია? — მოუჭრა ტარიელმა.

საღამოს რვა საათისთვის ძმაკაცები კარლოს „პობედაში" ჩასხდნენ და კლუბისკენ გასწიეს. მანქანაში ხორაგით სავსე ორი ჩანთა და ნაბადი ედოთ. ჩიტიას ყოველ შემთხვევისთვის თოფიც ჩაეგდო.

მანქანა კლუბის გვერდით გააჩერეს. ჩიტია ლედის ავანჩავანის გასაგებად წავიდა.

ტარიელი და კარლო უსიტყვოდ ისხდნენ კაბინაში და სიგარეტს აბოლებდნენ.

ტაროსთვის სიმთვრალეს გაევლო, მაგრამ მთლიანად არა. უკანა სავარძელზე მიწოლილიყო და ებრძოდა იმ ტკბილსა და მტანჯველურ შიშს, ახალბედა რომ განიცდის ხოლმე დამოუკიდებლად მოტოციკლის გაქროლების წინ.

მას ლედის გატაცების ყოველი წვრილმანი და მომავალი ისე ეხატებოდა, როგორც დიდი ხნის წინათ ნახული საყვარელი კინოფილმის ოდნავ მივიწყებული კადრები, რომლებიც ორიოდე საათში კიდევ უნდა ეჩვენებინათ: ლედის მანქანაში ძალით ჩასმა... თვალთმაქცური კივილი.. ხალხის ჩოჩქოლი... მანია.. დიმიტრი... მდევრები... ნაბადი... თოფი... ლედისთან მარტო დარჩენა... ფიცი... ხვევნა-კოცნა... ლედის მშობლები... ვალმოსახდელი გაწყრომა, ჩხუბი... მერე შერიგება... ვერიკოსა და სირანა ბებიას ტკბილი მუსაიფი... ტარიელი— სოფლის გმირი... ქორწილი... მექანიზატორების მხიარულება... დედა... მამა... მამინაცვალიც?

ჩიტიას გამოჩენამ ფიქრებიდან გამოიყვანა.

— ყველაფერი რიგზეა! ლედი იზოლდა მასწავლებელთან ყოფილა!

— იქ რა უნდა? — შეკრთა ტარიელი.

— ხინკალი უკეთებიათ!

— ფუჰ?!

— რა „ფუჰ!" იყოს, ტარიელ, იქ ხო არ გაათენებს, — დაამშვიდა ჩიტიამ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიან კილოზე იკითხა, — ის კი არა, სად უნდა წავიყვანოთ?

— სადა? — ანგარიშმიუცემლად იკითხა ტარიელმა, — ჯაფარიძეში დეიდაშვილი მყავს!

— კარგია!

მეგობრებმა თითო სიგარეტი კიდევ მოწიეს, მერე ერთმანეთი ვინ იცის მერამდენედ გააფრთხილეს: როგორც უნდა იკივლოს, ყურადღება არ მიაქციოთ — კივილი გოგოს მოვალეობააო, და იზოლდა მასწავლებლის სახლის სიახლოვეს, კაკალქვეშ გადაინაცვლეს.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო და მიდამოს უკვე მგლისფერი ეპარებოდა, ორღობეში ლედი რომ გამოჩნდა — იზოლდა მასწავლებელი და მისი თერთმეტი წლის გია მოაცილებდნენ.

მანქანას რომ გაუსწორდნენ, ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა: ტარიელმა და ჩიტიამ დედა-შვილს ხელი ჰკრეს, აკივლებული ლედი კაბინაში შეტენეს და აქეთ-იქიდან მიუსხდნენ.

მაყუჩმოშლილმა „პობედამ“ ლომივით დაიღმუვლა და მოსწყდა ადგილს. იზოლდას კაბინის სახელურზე ჩაბღაუჭება მოესწრო და მანქანამ საკმაო მანძილზე გაათრია. მერე ხელი გაეშვა და პირქვე დაეცა. მუხლები და ხელისგულები გადაეყვლიფა. ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა.

შეიქმნა წივილ-კივილი.

იზოლდას ქმარი თოფით გამოვარდა, მაგრამ გვიანღა იყო. ქალაქელი მასწავლებელი მოიტაცესო, სოფელი იძრა.

* * *

ლედიმ საშინელი კივილი დაიწყო, თავგამეტებით იბრძოდა, მაგრამ ამაოდ: ბიჭებს მაგრად ეჭირათ. ტარიელს გული ეთუთქებოდა სიბრალულისგან, მაგრამ ითმენდა, რადგან ფიქრობდა, ალბათ ეს სცენები ჯერჯერობით საჭიროაო.

ჩიტია საერთოდ არაფერსა ფიქრობდა. კარლოს კი გული ეწურებოდა ეჭვებისაგან: აბა, ეს რანაირი თანხმააო, მაგრამ კრინტს არ სძრავდა და მანქანას მთელი სისწრაფით მიაქროლებდა.

სწორედ იმ დღეს რაიმილიციას საიდუმლო სიგნალი მიეღო ერთ-ერთ სოფელში ბინის გაქურდვის თაობაზე და სოფელ გამარჯვების წყალთან სახელდახელო პოსტი მოეწყოთ.

თავგანწირვით მომავალი „პობედა“ რომ დაინახეს, მილიციის ლეიტენანტმა კვერთხი ასწია — გააჩერეთო.

— მოუნელავე, ვითომ აჩერებ და მერე მოუსვი! — ბრძანა ჩიტიამ.

ლედიმ გაიბრძოლა და იკივლა. ოთხივე მილიციელმა მოიხედა.

— აზრი აღარა აქვს — დაგაზე!

„პობედა“ ისეთი ყოფით გავარდა ასფალტზე, რომ შემხვედრი მანქანები სვლას ანელებდნენ და მოწიწებით უთმობდნენ გზას.

— უეჭველად გამოგვეკიდებიან, — დაასკვნა ტარიელმა, — მინდვრებისკენ გადაუხვიე!

თავწყაროსთან ჩაუხვიეს, რკინიგზა გადაჭრეს და ნახნავებს შუა, დიდქვისკენ გაუტიეს. მერე გზა დააგდეს, ცერად ჩაუყვნენ ნაიონჯარს და თოროლაში გავიდნენ.

მოსახვევში, ფარების შუქზე გზაზე გადახარიხებული მილიციის სირენიანი, შუქებანთებული, ყვითელი „ვოლგა“ გამოჩნდა. ორი მილიციელიც იქვე იდგა და გაჩერებას ანიშნებდა.

— აქ საიდან გაჩნდნენ! — შეიგინა ჩიტიამ, — უკან, კარლო!

ტყიანი წარაფი და ნახნავის პირი ძლიერმა, მხტუნავმა და მოახლოებულმა შუქმა გაანათა.

— გზა გადაგვიჭრეს, — შეჰყვირა ტარიელმა, — უკანიდან „კოლხოზნიკი“ გვიახლოვდება!

— ისევ წინ გადი, კარლო, იქნებ აუარო გვერდი! — შეაგულიანა ჩიტიამ.

კარლო თან იმას შიშობდა, მილიციელები არ დავსრისოო, თან იმის ცდაში იყო, იქნებ „ვოლგასა“ და ვეება ლოდს შუა როგორმე გავძვრეო და დაუჯერებელი ვირტუოზულობით ათამაშებდა მკლავებსაც, საჭესაც, მანქანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც. მაგრამ ღელვისაგან აბნეულმა ვერ მოზომა, ოღროჩოღრო გზაზე ვერც საჭე დაიმორჩილა და გარდიგარდმო მდგარ ცარიელ „ვოლგას“ ცხვირით ისე დაეჯახა, რომ კარგა მანძილზე გაასრიალა და კარები შეუნგრია.

„პობედამ“ დაიხროტინა და ჩაქრა. „კოლხოზნიკიც“ ზედ მიადგათ.

მეტი რა ჩარა ჰქონდათ — დაყარეს ფარ-ხმალი.

სანამ მილიციელები ლედის მოასულიერებდნენ და საქმის ასავალ-დასავალს გაარკვევდნენ, მილიციის ორი მანქანა კიდევ მოვიდა.

გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს: ლედი ისევ სოფელში გაამგზავრეს, ბიჭები კი დაჩხრიკეს და თავის მანქანიანად წითელწყაროს გზას გაუყენეს. რაიმილიციაში „პობედა“ დალუქეს, ბიჭები კი ცალ-ცალკე კამერაში შეყარეს.

* * *

მანიამ როგორც კი შეიტყო მდგმურის გატაცება, უაზროდ აკივლდა, მერე მაზლიშვილს ჩქარა-ჩქარა დააქოქინა „ჟიგული“ და წითელწყაროში გაფრინდნენ. მან ლედის მშობლებს სიტყვა-სიტყვით შემდეგი შინაარსის ელვა-დეპეშა გაუშანშალა: „ლედი ბიჭებმა გაიტაცეს ტყეში დიმიტრი საჩხერეშია ელზა სიცხიანი წევს მარტო ვარ მომეშველენით მანო კონიაშვილი“.

ტელეგრამა ღამე, ათის ოც წუთზე გაიგზავნა, გაგიჟებული მშობლები კი დილის რვა საათზე უკვე ოზაანში იყვნენ. ქალიშვილი ადგილზე რომ დახვდათ, ცოტათი დაშოშმინდნენ, მაგრამ ტირილს, წყევლასა და მუქარას მაინც განაგრძობდნენ.

ვერიკოს ლედი ცალკე ოთახში შეეყვანა და გულდასმით სინჯავდა, თან ძალზე საჩოთირო კითხვებს აძლევდა.

აპოლონი გრძელ აივანზე ბოლთას სცემდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა.

— დაიცათ, ციხეს კიდევ აქვს ადგილი!

ათ საათზე რაიმილიციაში წავიდნენ.

მართალია, უფროსმა ცოლ-ქმარი ანუგეშა — დამნაშავენი დამსახურებისამებრ დაისჯებიანო, მაგრამ აღელვებულმა ვერიკომ მაინც დაატანა: რესპუბლიკურ პროკურატურაში სულ ჩემი მეგობრები სხედან და იცოდეთ, ამ საქმეს არავინ ემსხვერპლოსო.

უკან გამობრუნებულ ცოლ-ქმარს მილიციის გამომძიებელიც გამოჰყვა და ლედის ჩვენება ჩამოართვა.

საღამოს ბულალტრის სახლს ჩიტიასა და კარლოს მშობლები მიადგნენ, მაგრამ ლედის მშობლებმა მათთან გამოლაპარაკებაც კი არ იკადრეს.

* * *

დაძმარებულ ნატალიას როცა მეზობლებმა ლედის მშობლების ჩამოსვლა აუწყეს, დედაბერმა, მათივე რჩევით, გადაწყვიტა, ხლებოდა, სამთავეს ფეხებში ჩავარდნოდა და საქმის კეთილად დაგვირგვინება ეთხოვა. მაგრამ მერე თავში ახლა სხვა აზრმა გაჰკრა: თუკი კარლოსა და ჩიტოს მშობლები არ გაიკარეს, მე რაღაზე მიკადრებენო. ანდა გინდაც შემიშვან, ეგეთ „დიდსა და ნასწავლ ხალხთან“ მე რა გამოსაჩენი ვარ, ჩემ გლეხურ სიტყვას რა ბაქი ექნებაო, და გადაიფიქრა.

ბოლოს დაასკვნა, რომ გაკერპებულ ქალაქელებთან ვინმე „დიდი კაცის“ მიგზავნა უფრო უპრიანი იქნებოდა.

— მაგრამ აბა, ვინ? ვინ? — საკუთარ თავს ელაპარაკებოდა სასოწარკვეთილი დედაბერი და ნათესავებს იხსენებდა გუნებაში, — გამიქრა თავი! — შესძახა უცებ, — ჩვენი ვანტერა, ქა, ჩვენი ვანტერა! დათებას ბიჭი!

ვალტერ ბაცაცაშვილი ანუ ვანტერა, როგორც დედაბერი გამოსთქვამდა, მისი ძმისწული იყო, ორმოციოდე წლის კაცი.

ვალტერი მუშაობდა რაიკოოპერატივის სამშენებლო მასალათა საწყობის გამგედ და რაიონში იცნობდნენ როგორც მოუხელთებელ კომბინატორს, ზომიერ ლოთს, და კულტსახლის დრამწრეში პრისტავის, მებატონის, ჩაფრის, ბოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულის და მისთანების უცვლელ და უბადლო შემსრულებელს.

ნატალია კითხვა-კითხვით რომ მივიდა უზარმაზარ საწყობში, სწორედ შიფერით დატვირთული ვაგონი იყო ჩამომდგარი და ყვირილით, შეცილებითა და ლანძღვით ცლიდნენ: ეტყობა, ყველა სხვაზე მეტის წაღებას ცდილობდა.

ვალტერმა თითქმის ორი წლის უნახავ მამიდას რომ მოჰკრა თვალი, ცოტა არ იყოს შეცბა. მერე ვილაც წვერებიან ყმაწვილს შეაჩეჩა აღრიცხვის დავთარი და მამიდას ალერსით შეუძღვა თავის კაბინეტში — გატეხილ, ტოკმარიკა ვაგონში.

— ვერა ყოფილა კარგი საქმე, — ფიქრიანად შენიშნა, როცა ყველაფერი გაიგო, — ეგრე ძალაზე ვის გაუგია?!

ვალტერი გრძელ საწყობში შეძვრა და გემოზე გამოიპრანჭა. მერე თავისიანებს განკარგულებები დაუტოვა და ჩასხდნენ ადამისყამინდელ, ჟანგისაგან შეჭმულ „მოსკვიჩში“.

ვალტერი ამ ჯაბახანას ხალხის გასაბრიყვებლად დაარახრახებდა, თორემ, ნება რომ მიეცათ, ცინცხალ „ვოლგას“ კი არა, თუგინდ ტანკერს იყიდდა.

ოზაანში რომ ჩავიდნენ, ვალტერმა მანქანა ეზოში შეაგორა და, მამიდის დარიგებისამებრ, ბულალტრის სახლში დაბანაკებულ ქალაქელებთან წასვლა დააპირა. მაგრამ ნატალიამ გააჩერა და სკივრს დაუწყო ქექვა.

— დაიცა... იქნება ახლავე დაგჭირდეს... გქონდეს, — ალაპარაკდა დედაბერი და ძმისწულს ძველებური, ალუბლის სიმსხო ბაჯაღლოს საყურეები, დუმბარჩა და ბეჭედი ჩაუდო ხელში, — უთხარი შევრიგდეთ-თქო... არ შეგარცხვენთ — ეგეთ ქორწილს გადავიხდით, ხელმწიფის საკადრისა-თქო... ნუ დაგვღუპავთ... არც ჩვენა ვართ უჯიშო ხალხი... ყმაწვილია, თავისი სიჯეელით მოუვიდა... ხო არ ეჯავრება, ჰყვარებია და მა რა ქნას-თქო... ბებია შავი დღითა ზრდის-თქო...

ვალტერმა სამკაულები მზესუმზირასავით ჩაიყარა კოსტუმის ჯიბეში და გზას გაუდგა.

ბულალტერს კარგად იცნობდა და მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ დიმიტრის შინ არყოფნა რომ შეიტყო (კოლმეურნეობას საჩხერის სანერგე მეურნეობაში გაეგზავნა ვაზის ნერგის გადარიცხვასთან ატეხილი დავის გასარკვევად), გუნება გაუფუჭდა.

ლედის მშობლები ტარიელზე ისე იყვნენ გამწარებულები, რომ მანიას ეუბნებოდნენ, მისი მხრიდან შუამავალმა მოსვლა თუ გაბედა, თავს გავუტეხთო, მაგრამ ვალტერის ფარისევლურმა მწუხარებამ, თანაგრძნობამ, დათმობამ და მარილიანმა სიტყვა-პასუხმა გასჭრა: სკამიც დაუდგეს და მეტ-ნაკლებად საქმიანი კამათი გაიბა. მაგრამ როგორც კი შერიგებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ვერიკომ დენთივით იფეთქა.

— შეინახეთ მაი სამკაულები!.. ჰმ!.. ერთადერთი ქალიშვილი იმიტომ გავზარდე, რომ ვინცლა უდედმამო. სოფლელ ტეტიკელას მივათხოვო!...

— ქალბატონო...

— პრინციც რომ იყოს!.. — უფრო გაცხარდა ვერიკო, — პრინციც-მეთქი, მე ქალიშვილს სოფელში არ გადავაგდებ! მორჩა!

— რა უნდა ვქნათ? — ბუხუნებდა აპოლონი, — ჩვენ საქნელი რა გვაქვს? ჩემი ქალიშვილი ოზაანში კეთილშობილური ზრახვით ჩამოვიდა, რომ პატარა რაღაცა ესწავლებინა, მაგრამ აქ თურმე დამთხვეულებსა და განგსტერებს უცხოვრიათ და! მოვაკვლევინო გოგო? ნურას უკაცრავად! ნურას უკაცრავად! მე განათლების სამინისტროში დავსვამ საკითხს: ლედი გაიწვიონ აქედან და დედაქალაქში მოუნახონ ადგილი! ვერ მოუნახავენ? კეთილი! მისცენ დიპლომი და მორჩა!..

ვალტერმა დაატყო, მშობლებთან კამათი წყლის ნაყვა იყო.

— თუ შეიძლება, გოგოსთან მალაპარაკეთ ცალკე... იმასაც ხომ უნდა ვკითხოთ როგორ სურს, არა?

ამაზეც აუყაყანდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საჭიროა ცალკე? რას ნიშნავს ეს „ცალკე?“ — გაწიწმატდა ვერიკო, — ესე იგი, ჩვენ რა გამოვდივართ?... ა, ბატონო, დავუძახებ და რაც გნებავთ, ისა ჰკითხეთ — ჩვენ კრინტს არ დავძრავთ!.. ლედი, ლედი!.. გამოდი, შვილო, ცოტა ხანს!

ლედი, რომელიც თავის ოთახში იყო შეკეტილი და ყველაფერი ესმოდა, მორცხვად გამოიძურწა აივანზე.

„გემო კი კაი ჰქონია ჩვენს ვირგლის“, — გაიფიქრა ვალტერმა და იმ იმედით, იქნებ რაიმე ხელჩასაჭიდი წამოვაცდევინოო, მშობლებსაც აღარ მოერიდა და რაღას არ ეკითხებოდა: ერთმანეთი როდის შეგიყვარდათ, პირობა როდის მიეცით, როდის აკოცეთ... საურათი... პაემანი... წერილი.., დარეკვა... თანხმობა.,, გატაცების საათი, მაგრამ თავჩაღუნული თბილისელი ასული ყველაფერზე ერთავად „არას“ ჩურჩულებდა.

* * *

ძმისწულს ჭიშკარშივე მიეგება ლოდინით გადაღლილი ნატალია.

— როგორაა საქმე?

— ეჰ, გაგონებაც არ უნდათ, — მიუგო ვალტერმა და სამკაულები უხალისოდ დაუბრუნა, — ეგრე უხეშად ვის გაუგონია... გოგო ამბობს, ჩვენს შორის სიტყვაც კი არა თქმულა — მეცნენ და გამიტაცესო... ციხეში ამოვალპობთ სამივესაო, ამუქრებიან მშობლები.

— ვა-იმე, ვა-იმე...

ვალტერი ჩაფიქრდა.

— სხვა გზას უნდა დავადგეთ.

— აბა, რასა?

— ტარო ჰკუაზე უნდა დავარიგოთ, — ხმადაბლა ჩაულაპარაკა ვალტერმა, — ჩვენებაში ისე თქვას, ვითომ გოგო თანახმა იყო, მერე კი მშობლებმა...

— ო, ეგ კარგი მოიფიქრე, — მუხლზე მუშტი დაიკრა დედაბერმა, მაგრამ უცებ შეკრთა, — ბიჭო, ტაროს ვინ გვაჩვენებს, ცხრაკლიტულში უზით და ერთი ბოლუქი მილიცია ახვევია. გუშინ მოხარშული ქათამი და კვერცხები არ შემაგზავნინეს...

— შენ ნუ გეშინიან, — გაამხნევა ვალტერმა, — ეხლა მე წავალ.

— მეც წამოვალ!

— შენ ნულა ეწვალები.

— არა, არა, წამოვალ!

— კარგი, აბა,

ნატალიამ კომოდის ქვევითა უჯრის კუნჭულიდან ამოღებული ფულის დასტა კაბის ჯიბეში ჩაიდო და თრი ქინძისთავით შეიკრა.

— ოღონდ მაგ საცოდავს ეშველოს და სუ დავხარჯამ.

— რამდენია?

ნატალიამ ისეთი ჩურჩულით და თვალების ბავშვური ხამხამით წარმოსთქვა, თითქო ეშინია სხვამაც არ გაიგოსო:

— ექვსასი მანეთი.

ვალტერს გუნებაში ჩაეცინა.

დედაბერი ჩითილის, ხახვის თესლის, სანთლის, ხარაზული ჩუსტების ყიდვას შაურობით, აბაზობით, მანეთნახევრობით იყო მიჩვეული და წლების მანძილზე კაპიკ-კაპიკობით ნაგროვები ეს ექვსასი მანეთი ახლა ისეთ თანხად წარმოედგინა, რომლითაც მოისყიდდა მილიციას, სასამართლოს და პროკურორსაც ზედ მიაყოლებდა. აბა, ამ უბირმა სოფლის დედაკაცმა რა იცოდა, რომ ეს თანხა სასაცილოდ არავის ეყოფოდა.

ვალტერს შეეცოდა მამიდა და გული აღარ გაუტეხა.

— მაგდენი იქნება არც კი დაგვჭირდეს. მაგრამ გვქონდეს მაინც. ვინ იცის...

ნატალიამ სახლ-კარი და ჭუკები მეზობელს ჩააბარა: იქნებ ხვალემდე ვერ ჩამოვიდეო და გაუდგნენ წითელწყაროს გზას.

ვალტერმა ისევ საწყობში შეუხვია და მამიდა იქ დატოვა.

— მეც წამოვალ, — გაჯიუტდა დედაბერი, — შევეხვეწები მოსამართლეს...

— ჯერ მოსამართლესთან რა გვინდა, — მოუჭრა მოთმინებადაკარგულმა ძმისწულმა, — თანაც შენ უკვე გიცნობენ და ერთად რომ დაგვინახავენ, უფრო დაეჭვდებიან... აქ დამიცადე.

— კარგი. მაშინ ფულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა დამჭირდება, მე თითონ გეტყვი... ემანდ არ დაკარგო, მაგრა შეინახე.

— არა, ნუ გეშინიან, — დედაბერმა ჯიბეზე ხელი დაიკრა, — აქ მიდევს.

ვალტერი წამით ჩაფიქრდა.

— ვერხვებქვეშ იჯექი და ფეხი არ მოიცვალო. არავის არ შესჩივლო შენებურად. თუ ვინმემ გკითხა, უთხარი: ერთი ოცი ცალი შიფერი მინდოდა და სოწყობის გამგეს ველოდები-თქო, გამიგე?

— გავიგე, გავიგე... აბა შენი გულის ჭირიმე, რაღა ჩემი დარიგება გინდა: შეეხვეწე, უთხარი...

— ჰო, ჰო.

* * *

საღამოვდებოდა, ვალტერმა მილიციის ეზოში რომ შეალაჯა. ბედად, ანდრო მორიგეობდა.

— არა ხარ კაი კაცი! — მიაგება ანდრომ.

— შენ მე გადამრევ, — არ დაუთმო ვალტერმა, — არ მოგაქვს, ძმაო, და ზურგზე ხო ვერ ავიკიდებ და მოგიტან...

— მაშ, ისევა გაქვს? — არ დაიჯერა ალტაცებულმა ანდრომ, — მე ვიფიქრე აქამდე სხვას გაატანდა-მეთქი!

— მაგრე მიცნობ?! გაწყრა ვალტერი და შვილები დაიფიცა, — ისევ ისე, როგორც გადავარჩიეთ, ცალკე მიწყვია. მე შენზე ძალიან მინდა დროზე გამაშორო: ვინც მოვა და —ვისია? ვისია?

— კარგი, ხვალ წავიღებ. — შეპირდა ნასიამოვნები ანდრო და ღიმილით შეათვალიერა, — რაშია საქმე, მილიციაში შენი ფეხით რამ მოგიყვანა?

— მომენატრე!

— არა, შენ...

ვალტერი უცებ დასერიოზულდა, მაგრამ ძალზე უდარდელად და სხვათაშორის შენიშნა.

— კაცო, ი ძაღლის ლეკვს — ჩემს მამიდაშვილიშვილს გოგო გაუსეირნებია ამხანაგის მანქანით... ხო იცი ეხლანდელი ახალგაზრდობა: გაარშიყებია რაღაცა, იმას კიდევ კივილი აუტეხია, მილიციას კი ჰგონებია... ჰოდა, ერთი გავიგომეთქი... დილას...

— ეგ რომელი? ოზაანელები?... თბილისელი მასწავლებელი, არა? — ალაპარაკდა ანდრო, — oო, მაგარი ამბავია!

— თქვენ თუ არ გააზვიადეთ, ისე ხო...

— ჩვენი გაზვიადება რათ უნდა, — ანდრომ ვალტერი მილიციის უკანა ეზოში გაიყვანა და კარებშელეწილი, ბუქსირით მოთრეული მილიციის ყვითელი „ვოლგა“ უჩვენა, — ამასაც ჩვენ ვაზვიადებთ, ვალტერ?!

— იმათ უყვეს?

— არა, მე უყავი! — მოუჭრა ანდრომ, — რო გეუბნები მაგრად არიან გაჭედილები-მეთქი, შენი ჯინი კი არა მჭირს, — მორიგემ თითები მოიშველია, — ძალდატანებით გატაცება — ერთი, გრუპავოი — ორი! გაუფორმებელი თოფი — სამი! უპასპორტო მანქანა — ოთხი! დალეწილი „ვოლგა“ — ხუთი! მილიციისადმი დაუმორჩილებლობა — ექვსი! მეტი რაღა გინდა? პროტაკოლში ყველაფერი ტოჩ-ტოჩ სწერია: 1972 წლის ამა და ამ დროს, ამა და ამ ხალხმა... შვიდიდან ათამდე უდგებათ!

ვალტერი ჩაფიქრდა.

— ტარიელი უნდა მაჩვენო — სათქმელი მაქვს.

— სხვა რაღა იყო!

— თუ ავილე ე რკინა, ეგეთი გაგხადო, რომ...

— ეს რისთვის მკიდია?!

ძველი მეგობრები ხუმრობით წაეთამაშებოდნენ... ძველი მეგობრები ხუმრობით წაიძგილავდნენ, მაგრამ მალევე დაშოშმინდნენ და ორივემ სერიოზული სახე მიიღო.

— უფროსები ჯერ აქ არიან, — ქამარი და რევოლვერის ბუდე გაისწორა ანდრომ, — რვისკენ ამოიარე.

— კარგი.

* * *

ცხრის ოცი წუთი იყო, ვალტერი სამწვადიდან (მთელი დღის მშიერი იყო)

ეროვნული

მილიციაში რომ დაბრუნდა. სამორიგეოში ოთხნი ისხდნენ: ანდრო, ერთი ჭაღარა ზემდეგი და ორი სუფთასამხრეებიანი ახალბედა მილიციელი.

ანდრო თამამად გაუძლვა ჩაბნელებულ დერეფანში და გაუღო საკნის კარი.

— ილონდ მალე ქენით! — ჩაულაპარაკა და თვითონ დერეფნის ბოლოში განცალკევდა.

ვიწრო ფიცრისნარიან საკანს ნათურა თვალისმომჭრელად ანათებდა.

ჩამომხმარი, დაბნეული ტარიელი ნათურის მოულოდნელი დანახვით უარესად დაიბნა.

— ივაქკალეთ? ირაინდეთ? ყოჩაღ! — შეუძახა ვალტერმა და ნარის კიდეზე ზანტად დაჯდა, — დაჯექი!

— ლედი ხომ არ გინახავს?.. სადაა?.. როგორაა? მითხარი ჩქარა!

— ლედიც ვნახე და იმისი მშობლებიც.

— სად?.. მშობლებიც? აქ რა უნდა... თუმცა კი... რა თქმა უნდა... ლედი...

— ლედი...

— ლედი როგორაა? რატომ არ მეუბნები?

— ლედი! ლედის რა უჭირს — ზის ოზაანში და მშობლები თავს...

— რას ამბობ, თანახმაა? ჰოლანდიაზეა?

— აბა, ბიჭო!.. თანახმა კი არა. გოგო იძახის არც მყვარებია, არც დავლაპარაკებივარ, არც თითი დაუდვია ჩემთვის და საერთოდ არც რაიმეს შევპირებივარო.

— არაო?! მატყუებ... ვერ დავიჯერებ! მაგას არ იტყოდა!

— დიდაც, რა გაყვირებს, — გაწყრა ვალტერი და საქმიან კილოზე გადავიდა, — ჰოდა, შენ ეხლა ისე უნდა თქვა ჩვენებაში, ვითომ ლედიმ გითხრა: მეც მიყვარხარ, თანახმა ვარ ყველაფერზე და სადაც გინდა წამიყვანეო, თორემ...

— რაა?.. ჰო... არაფერსაც არ ვიტყვი... გაუშვი დამხვრიტონ!.. ამქეპონ!.. ჩამომახრჩონ!..

— ვაა! პატარძალი ტყუოდა და ისევ თვითონა ბუოდაო!.. ამხანაგებს მაინც რაღას ერჩი, ისინი მაინც არ გებრალებიან? მე იმ პირველ ჩვენებას დავარღვევინებ და მეორეზე რომ გამოგიძახებენ...

უცებ ტარიელს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და დახეთქილი ტუჩები ეჭვიანმა ღიმილმა აუგრიხა.

— ვალტერა ძიავ, ხო არ მეხუმრები...

— ბიჭო...

— როგორც ერთხელ დამტყუე — თოფი... მართლა მაგრე თქვა?

— ოჰ, ხუმრობის დროა, თქვე უტვინოებო, შვიდიდან ათ წლამდე გიდგებათ... შვილებს გეფიცები, მაგრე მითხრა.. ოზაანში ვიყავ...

— გეყოფათ, გეყოფათ! — მოისმა ანდროს ხმა.

— ეხლავე, — მიუგო ვალტერმა და ისევ ტარიელს მიუტრიალდა, — ოზაანიდან მოვდივარ... ყველანი პირადად ვნახე... რაღა არ ვუთხე, იქნებ..., მაგრამ ეგე რაც გითხარი, მაგრე უთხრა: ყველაფერზე არის გაიძახოდა!..

ტარიელი უცებ დაწყნარდა, მხრები ჩამოუცვივდა და ვალტერს თვალი მოაშორა.

— კეთილშობილება! ვაჟკაცობა!.. რაინდობა!.. პატიოსნება!.. სიყვარული!.. ჰმ, „შუმერული მითოლოგია!“... ეგეც შენი შუმერი!.. ოოო!... — ზიზღითა და სინანულით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიტირა და ვალტერის ბარაქიან მხარს უმწეოდ დაემხო.

— შუმერაა?! შუმერი ვინღაა?.. ხიდაურია.. .მითხარი !— ყურნაცქვეტი ვალტერი გახელებით ანჯღრევდა მამიდაშვილიშვილს, იქნება რაიმე სიახლე გავიგო და საქმე სულ სხვანაირად შევატრიალოო, — ქალია თუ კაცი? ვინ არის?.. სად ცხოვრობს? რა კავშირი აქვს...

მაგრამ ტარიელი ყურადღებას აღარაფერს აქცევდა, ბიძას უფრო და უფრო მხურვალედ ეხუტებოდა და მოურიდებლად ზლუქუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თენგიზ კაკუშაძე

* * *

ამომავალ მზით განათებულო, ნელა ირხევი, ნელა
ჩინარო,
დაფენილი ხართ დილის ჩრდილებო, ხაჩურჩულევ
და საშიშინარო.
უკან ეზოში ლანდია სრული, არ დახატულა
თარგი რიკულის,
ცისკრის ვარსკვლავის მაგიერად ვარ
უძილობისგან გამორიყული.
მინდა ვიყვირო, გამოიღვიძეთ, ჩამოყრდნობილმა
ფანჯრის რაფაზე,
რა მოვუხერხო ამ დალბობილ გულს,
ამ გაოცებას და სილამაზეს.
საკვირველი ხარ დილის ნიავო, როგორ
ქრიხარ და როგორ რინდდები,
მზე ამოვიდა, მზე ამავსებს და
სახოებისგან დავიწრიტები.

* * *

ერთი ხიცოცხლე კიდევ მომეცით,
იხე ნუ მკითხავთ თუ მსურს აგრე რად,
როგორ გავშლიდი ამ ფრთებს მოკეცილს
საქართველოს ცის შემოსაფრენად.
გადაწურული წლების წუხილში,
რამდენ უეცარ სურათებს ვნახავ,
თუ ვით ყიჟინა, სისხლი და შიში,
ციხეებთან და ტაძრებთან გახმა.
მდინარეები როგორ ეშვება,
მტკვრის და რიონის გამიჯნულ ძარღვში,
ღრუბლებს მოხრილებს სპილოს ეშვებად,
ფერდობებზე და ველებზე გავშლი.
გადავაფარებ თავშლად და რიდედ,
ტყეების ხავერდს, გუმბათთა თასებს,
ერთი სიცოცხლე მომეცით კიდევ,
მხოლოდ ნუ მკითხავთ თუ რად მსურს ასე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უნდა იქიდან კვლავ ჩამოვიდე,
რომ ძველებურად სათნო გნახო კვლავ,
ვუთხრა შენს ქუჩებს, მთებს და შენს ხიდებს,
რომ თქვენ მაცოცხლებთ და ან თქვენ მომკლავთ.
გზების სურნელი წამოვიძღვანო,
შენს სივრცეებში მოსაზნეველად,
დამწვარი გულის ძველო მიზანო,
მომაცილებდა შენსკენ მზე ველად.
მომაცილებდა მტკვარის ჩქერები,
ოღონდ შენ შემხვდი ძველი, იმგვარი,
მეც ძველებურად მოგეფერები,
ჩამოვარდნილი შენი იკარი.

* * *

ცა, მოგონება, შენ, სინანული,
სხვა რით ვავსებდი ლექსებს და რითმებს
და ასე ვფიქრობ თვალდახუჭული,
სიცოცხლე რამდენს ითხოვს და ითმენს.
დღეს ვარ დაღლილი და რას მოვიძევ,
რამეს სალექსოს ანდა სარითმოს,
ხვალ შეუცნობო ღმერთთა შორის მზევ,
ახალი ხილვა უნდა დამითმო.

* * *

სიმწვანე, ფარა, მწყემსი, სულები,
მუშთარი ალბათ თანამგზავრებით,
სასიყვარულოდ ამოსულები
რა საოცრების ხლართში გავებით.
ჰორიზონტის ხაზს ბინდი მოება,
ნიავის ფრთები წყალში დასველდა,
უსასრულობის უსათნოებავ,
ვერა ,ვერ ვიპყრობ რაც გამახსენდა.
გადმომნერგვია ვიღაცა სულში,
ხელი მომკიდე ძუძუ გამთბარო,
დაბლა წავიდეთ, აქ ღმერთს ხელს ვუშლით,
შევაკოწიწოთ ჩვენი სამყარო!

* * *

გახსენით ყველა ძველი ვიტრინა,
ძველი ხეები დარგეთ ისევე,
იქ, სადაც გულმა კუნთი იტკინა,
ის ადგილები ფიქრებს მისევენ.
მოგონებების ხმალს და ფარსა ვხრი
ჩრდილია შუქთან გადაჭდობილი,
ჩამოიარე წითელ თავსაფრით,
თანაზიარი შენი დობილით.
და აღარც ვიცი თუ რა ვისია,
სად სიკეთეა და სად შურია,
დღეს გაზაფხულის დასაწყისია,
დღესაც იმგვარი ბაიბურია!

* * *

მალე ინათებს, მალე ინათებს,
ბალახს ჩურჩულით უთხრა ნიავმა,
უსასრულობის კვირით კვირამდე,
მზირალს, საყდრების ლანდი მიამა.
გადარჩენილი ხომალდის წევრი,
ვდგავარ იქ, სადაც შუა ქართლია,
აქ ჩვენნაირი დადგება ბევრი,
მაგრამ საწუთროს ვერ გადათვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალათერ არაბული

## ბერმუდის სამკუთხედი

ვუძღვნი „მობი დიკის“ მთარგმნელებს —
ტარიელ ჭანტურიას და გივი გეგეჭკორს.

ვერ გადურჩები მეზღვაურო,
ბოროტ გრიგალებს...
ნუ შეხვალ წითელ ოკეანეთა
მოჩვენებით მდუმარებაში;
სად ტალღათა ველურ კივილს,
უცხო ხივრციდან,
მოაფრიალებს შენსკენ ზღვაური...
ნუ გაგიტაცებს მოხეტიალის,
ნურც მეკობრის ყალბი დიდება...
მანდ „მობი დიკიც“
ვერ გაბედავს გაჭაჭანებას

თავის თეთრი შადრევნის რხევით,
ვერ ინავარდებს სიღრმეთა წიაღ...
არ დაეცემა მზის ციაგი
ალესილ ტალღებს,
არც მთვარის შუქი გადაყავრავს
ღამეულ უკუნს
და თოლიაც არ დაეთოვება მეწამულ
ხივრცეს...

ნუ შეხვალ წითელ ოკეანეთა
მოჩვენებით მდუმარებაში,
ახალი დროის მეზღვაურო!

## სიმღერა ხოლიგაზე

(ხევსურული მოტივი)

კაი ვაჟი ხარ, ხოლიგავ,
კაი გულით და მკლავითა;
ნეტავ ერეკლეს ჰყოლიყავ
ამა ლურჯაით მალითა,

ამა ფარ-შუბით, აბჯარით,
ამა უხმარი ხმალითა, —
ვერსაით გაგექცეოდა
მტერი ცოცხალის თავითა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხევსურეთი

სოფლის სევდიანი სურათებიდან

დაშლილ ლობეზე იჯდა მამალი,
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!)
ამალა ყველა მსხვილ-მსხვილ
წვრილ-წვრილით
ყველა დუდღით და
ყველა წიწილით...
ბევრის მომსწრე და
ბევრის მომთმენი
იქვე ლობესთან იჯდა თოთელიც.
თოთელს გულ-ღვიძლში ეჯდა მაცილი,
თოთელს შვილ-ბოლო
ჰყავდა გაცლილი...

დაშლილ ლობეზე იჯდა მამალი
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით).

* * *

„მე თოვლს ველოდი"...
ი. ჭილაძე

მე თოვლს ველოდი
და ამ ლოდინში
შემოსასვლელად ფანჯრებს ვაღებდი
და მის ფეხის ხმას ვუსმენდი შიშით
სად გაძარცული იდგნენ ბაღები...
და ვგრძნობდი სუნთქვას
სადღაც ახლოდან,
ვგრძნობდი მთებს რთავდა
თეთრი თითებით,
მაგრამ დათრთვილულ სოფლის ახოდან
ქარს შემოჰქონდა ცრემლი წვეთების
მზად მქონდა მისთვის სევდა არეთა,
თეთრი ლოგინი და სასთუმალი
და თვლემდა ღამე ღია ფანჯრებთან,
ოცნებობდა ჩემი სტუმარი...
შენ კი გეძინა
ბალიშზე დაყრილს,
დილის ნამივით ბრწყინავდა ძილში,
ალბათ ნისლისფერ ცხენებით მარხილს
მიაქროლებდი ქალური შიშით...
ანდა იდექი ყელამდე თოვლში
და ყელსაბამებს გისხამდა თოვლი
და მე მიხმობდი თეთრ სამეფოში
შენი ხელების ნათელი თრთოლვით...
მე თოვლს ველოდი
და ამ ლოდინში
შემოსასვლელად ფანჯრებს ვაღებდი
და მის ფეხის ხმას ვუსმენდი შიშით
სად გაძარცული იდგნენ ბაღები.

* * *

ისევ მარტო ხარ,
ცრემლიან თბილისს
ჰკიდია შენი ცრემლების მძივიც;
დღეს შეიყვარებს ვინ იცის, ვინ ვის
მრავალი გულის მრავალი სხივი
აკიაფდება ახალი განცდით,
შენ კი კვლავ სევდის ღამეებს სწყევლი
და მარტოობის ერთგული განძი —
თვალში ციმციმებს იმედის ცრემლი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო ტაბატაძე

# ანთება

მოთხრობა

ბექან შეყილაძე ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცი იყო, პირხმელი, საშუალოზე მაღალი, ბურძგლა წარბებით, ოდნავ კეხიანი ცხვირითა და დატეტკილი ტუჩებით. ბექანს გაგიჟებით უყვარდა თავისი ცოლ-შვილი, ამათი გულისათვის შეიძლება კაცმა თავი გაწიროო, იტყოდა ხოლმე. მაგრამ თავისი ოჯახის ცხოვრება მაინც ერთი კალაპოტით მიჰყავდა და უპრეტენზიოდ ცხოვრობდა. დილით ადრე დგებოდა, ბადურას ხელს წამოავლებდა ხოლმე და მაღაზიაში გარბოდა. რვის ნახევარზე მოჰქონდათ რძის ნაწარმი და რიგში ბექანს ყოველთვის ერთი და იგივე ქალის წინ ან უკან უხდებოდა ხოლმე დგომა. გამოთვლილი ჰქონდა, რამდენიმე ურიგოდ ამლებიც რომ წავიდოდა, უსათუოდ დადგებოდა მისი რიგი და რძის ნაწარმიც შეხვდებოდა, ამიტომ უხმოდ იდგა და მოთმინებით იცდიდა.

შინისაკენ მიმავალი, გზად პარკს ჩაუვლიდა ხოლმე, გაზონებს შორის წითლად მოხვინჭკულ ბილიკზე ვილაც-ვილაცეები დარბოდნენ, ვარჯიშობდნენ. ბექანი ერთხელაც არ შეჩერებულა და ამ ჩაკურატებული კაცების ვინაობით არ დაინტერესებულა, მისთვის ისინი ისეთივე საგნები იყვნენ, როგორც პარკში მდგარი ხეები, ან მერხები თუ საჩრდილობლები.

შინ დაბრუნებულს, ცოლ-შვილი უკვე ლოგინიდან წამოფრენილი ხვდებოდა და ცოლი საუზმისთვის აწყობდა მაგიდას, ხოლო ბავშვები გაკვეთილებს იმეორებდნენ.

დღე ხომ რეგლამენტირებული და პუნქტუალურად განაწილებული ჰქონდა ბექანს, ასევე ჰქონდა მთელი კვირა აწონილ-განსაზღვრული, თუ რომელ დღეს რა უნდა მოემოქმედა; ცხოვრების თავისეულ რიტმს არასოდეს არღვევდა.

ბექოო, ასე ეძახდა მოფერებით ცოლი, იქნებ ახალი ფეხსაცმელები მიყიდოო და ძველს უჩვენებდა — ნახე, როგორ გაცვდაო. ბექანი ყველაფერზე თანახმა იყო, გულით უხაროდა, როცა ცოლ-შვილი სუფთად ჩაცმულ-დახურული, დაბანილ-დავარცხნილი გვერდით ამოუდგებოდა ხოლმე. საკუთარ თავზე იმდენს არ ფიქრობდა, ზაფხულობით ორიოდ მოკლესახელოებიანი პერანგი ჰყოფნიდა, ხოლო შემოდგომა-ზამთრობით ერთი ხელი შარვალ-პიჯაკი. ჰალსტუხის ტარება არ უყვარდა, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რისთვის იყო

საჭირო ჰალსტუხი. ყელს არ ათბობს, ამბობდა ხოლმე ბეჟანი. სხვა დანიშნულება არა აქვს, პირიქით, ისე გიჭერს, სუნთქვას გიშლის, მაშ რა საჭიროაო?!

არაფერი არ აკლდა ბეჟანს — ოროთახიანი ბინა ჰქონდა, უცხოური ავეჯით გაწყობილი, ბინა და ავეჯი სამსახურიდან მიიღო. თვითონ სამამულო ავეჯსაც დასჯერდებოდა, მაგრამ ცოლმა იძალა; მერე ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზედაც ავიდა. მოკლედ, ბეჟანი არც ისე ურიგოდ ცხოვრობდა. ყველაზე ძალიან ბეჟანს საკუთარი ჯანმრთელობისა ეშინოდა, ბავშვობიდან დასჩემდა ყელის ტკივილი, საკმარისი იყო ნიავს ოდნავ დაეკრა, რომ სახსა დასწითლებოდა, გლანდები დაებერებოდა და სიცხეს მისცემდა. ამ თავის სატკივარს ბეჟანი მალე შეეჩვია, წინასწარ გრძნობდა, ყელი როდის ასტკივდებოდა — ლამით ესიზმრებოდა, რომ ყელი ვიღაცამ გამოღადრა, ან შანთით ამოწვა; შეშინებულს რომ გამოეღვიძებოდა, ხვდებოდა, გლანდების ანთება ეწყებოდა და თვითმკურნალობას იწყებდა, ხახაში ივლებდა სოდიან წყალს, სტრეპტოციდის აბებს ყლაპავდა. ორმოც წელს რომ გადააბიჯა, გულმა დაუწყო დროდადრო თავის შეხსენება. გლანდების ბრალიაო, უთხრეს ექიმებმა და ურჩიეს ამოეჭრა, მაგრამ იმას რომ წარმოიდგენდა, პირი უნდა დაეღო და ხახაში მაკრატელი ჩაეყოთ, ტანთ შიშის ჟრუანტელი უვლიდა, ცივ ოფლს ასხამდა. ისევ თვითმკურნალობას არჩევდა, ყელშეხვეული დაიარებოდა, ცივს არაფერს ეკარებოდა, წყალსაც კი საგანგებოდ ათბობდა. ორმოცდაათ წელს რომ მიუკაკუნა, ყელის ტკივილი თავისთავად გაუნელდა, ხშირად დადგებოდა ხოლმე სარკესთან, პირს დააღებდა და „აა-აა" ძახილით ხახაში იხედებოდა. ფისო, მგონი გლანდები გამიქრაო, ეუბნებოდა ხოლმე ცოლს.

— ბეჟო, გენაცვალე, რაღა დროს ჩვენი გლანდებია, — აიმედებდა ცოლი, — გაგიქრება, აბა რა იქნება!

ბეჟოს, სამსახურში, ბეჟან ბეგლაროვიჩს ეძახდნენ. მთელი გაერთიანება მის კისერზე იყო, მთავარ სპეციალისტად ითვლებოდა და გაერთიანებაში არაფერი ხდებოდა ბეჟან ბეგლაროვიჩის დიდი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე.

გაერთიანებაში ბეჟანი მმართველმა მოიყვანა, იმხანად ისიც ახალი დანიშნული იყო და მუშა-კაცი სჭირდებოდა; ვიღაცეებმა ურჩიეს, ბეჟანი გამოგადგებაო და ჯამაგირზე ოცი მანეთის წამატებით „წყალკანალტრესტიდან" გადმოიბირა.

ბეჟანი მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, უცოლშვილო გახლდათ და დღედაღამ მუშაობდა, გაერთიანების საქმეები მალე წესრიგში მოიყვანა, ყველაფერი საათის მექანიზმივითააწყო. მმართველი თავისი სიტყვის კაცი გამოდგა — როცა ბეჟანი დაოჯახდა, ოროთახიანი ბინა მისცა, მეცამეტე ხელფასსაც აძლევდა და ჯამაგირი რომ მომატებოდა, მთავარი სპეციალისტი გახადა. ბეჟანი დიდად მადლიერი იყო, მმართველი რამდენჯერმე დაპატიჟა ოჯახში, საგანგებოდ მოწყობილ პურ-მარილზე. მმართველს რომ ეთქვა, ბეჟან, ამაღამ მთელი ღამე უნდა გაათენო და პროექტი მოამზადოო, დაჯდებოდა და გაათენებდა. ყველა ხედავდა ბეჟანის ამ თავდადებულ შრომას, იცოდნენ, რომ ეს აუცილებელიც იყო, მაგრამ გამქირდავებმა მაინც შეარქვეს ზედმეტი სახელი — „მმართველის ლურჯა", ან უბრალოდ „ლურჯა". პირში აბა ვინ ეტყოდა და ზურგსუკან კი ყველა „ლურჯად" იხსენიებდა. ეს ამბავი, მეგობრებმა უთხრეს ერთხელ სუფრაზე და ბევრი იცინეს. მერე მმართველის ერთ-ერთმა ძმაკაცმა იქვე პურ-მარილზე წინადადება შემოიტანა, „ლურჯა სახედრების" საამქრო გაეხსნათ და პლასტმასის პატარა სათამაშო სახედრები გამოეშვათ. ასე გაიხსნა „ლურჯა სახედრების" საამქრო, რომელმაც ძალიან გაამართლა. ერთ-ერთ მოხსენებაში, ბეჟანმა მმართველს რომ მოუმზადა, ეწერა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლურჯა სახედრებმა“ დიდი მოგება მისცა გაერთიანებას და გეგმა 120 პროცენტით შესრულდაო“.

ბექანი დილით ადრე მიდიოდა სამსახურში, წამოიცვამდა შავ სამკლავეებს და ვიდრე მმართველი მოვიდოდა და დაუძახებდა, ყველა საქმეს მოაწესრიგებდა, შემოსულ წერილებსაც კითხულობდა, გამომგზავნელის რანგის, და შინაარსის მიხედვით აწყობდა, პასუხის ტექსტს ამზადებდა რუსულად ან ქართულად. მართალია, რუსულად წერა არც ისე კარგად იცოდა, მაგრამ მდივან-მემანქანის იმედი ჰქონდა და სიტყვებს ბოლოში აფუჩეჩებდა, ვითომ სწრაფი ნაწერიაო და ფონს იოლად გადიოდა.

დაწესებულება და მითუმეტეს ამხელა გაერთიანება უჭოროდ ვის გაუგია, ოთახში სხვა განყოფილების ქალები შემოდიოდნენ და ქალბატონ ქსენიასთან და ლუბასთან ჭორაობდნენ. ბექანს უყვარდა ყურის მიგდება, ისინიც განგებ მის გასაგონად ჩურჩულებდნენ.

— არ მჯერაო, — იტყოდა ხოლმე ბექანი, როცა რაიმეს ისეთს მოჰკრავდა ყურს, და მართლაც არ სჯეროდა მმართველის განუსაზღვრელი ძალისა და სახელის მქონე პიროვნების ავკაცობა. ბოლო დროს მმართველზე და მის მეგობრებზე ათას რამეს ამბობდნენ: თითქოს მმართველი არაობიექტურად უდგებოდა თანამშრომლებს, ბინები წესიერად არ გაანაწილა, თითქოს დარღვევებია თვით გაერთიანების საწარმოო-ფინანსურ საკითხებშიც.

— არ არის სწორიო, — იძახოდა ბექანი, — ყველაფერი ჩემს ხელში გადის, მე ხომ უნდა ვიცოდეო!

— თქვენ ვინ გაგაგებინებთ, ბატონო ბექან! — ეუბნებოდნენ ქალები.

მართლაც, ჭორები მალე გამართლდა. მართალია, მმართველს ფინანსური მაქინაციები ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ როგორც შეუფერებელი, მასას მოწყვეტილი ხელმძღვანელი, გაანთავისუფლეს და თავისი ამფსონებიც მიაყოლეს.

საოცარიაო, იძახდა ამის შემდეგ ბექანი, ეს ყველაფერი როგორ [illegible] პარესო, რაღაც-რაღაცეებს კი ვხვდებოდი, მაგრამ... — იმართლებდა ხოლმე თავს მთავარი სპეციალისტი, ვფიქრობდი, ალბათ ასეა საჭირო-მეთქი. ყველაზე ძალიან ის უკვირდა და აოცებდა ბექანს, რომ იგი არავინ დაიბარა. წარმოიდგინეთ, დაიბარეს ის ქალებიც კი, გაუთავებლად რომ ჭორაობდნენ, ხოლო ბექან ბეგლაროვიჩი, გაერთიანების მთავარი სპეციალისტი, რომელსაც მეტსახელად „მმართველის ლურჯაც“ კი ჰქონდა შერქმეული, არ გამოჰკითხეს. ერთი-ორჯერ მოვიდნენ, საქმეები გადაათვალ-გადმოათვალიერეს და წავიდნენ. მხოლოდ ეს იყო, როცა პარტიულ კრებაზე მმართველის პერსონალური საკითხი ირჩეოდა, ბექანმა თავისივე სურვილით კამათში მიიღო მონაწილეობა. ის ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ მმართველს, ამხელა გავლენიან კაცს, გაანადგურებდნენ; ბექანმა შორიდან დაიწყო, ილაპარაკა მმართველზე, როგორც ენერგიულ, საქმიან კაცზე, რომ მას უნდა უმადლოდეს გაერთიანებაში შემავალი ბევრი საწარმო რეორგანიზაციას და ფეხზე დაყენებას. მაგრამ ბექან ბეგლაროვიჩს სიტყვა შეაწყვეტინეს, რაიკომის წარმომადგენელი ფეხზე წამოდგა და გაგულისებულმა ჰკითხა: „იმ დანაშაულებრივ მოქმედებაზე რას გვეტყვით, რაც ბრალად ედება მმართველს“. მაგის შესახებ მე არაფერი ვიციო, აიჩეჩა მხრები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბექანმა. „მაშინ დაბრძანდითო“.

დარჩა გაერთიანება უმმართველოდ, საქმე კი უამრავი იყო. მმართველის მოვალეობას მისი ახლადდანიშნული მოადგილე ასრულებდა; ის ახალგაზრდა კაცი იყო და გამოუცდელი. მიუხედავად ამისა, ბექან ბეგლაროვიჩს არაფერს ეკითხებოდა. დრო გადიოდა; საწარმოები, დამკვეთი და მომხმარებლები რეორგანიზაციას და პროდუქციის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ, საქმე კი წინ არ მიდიოდა, მმართველი იყო საჭირო,

ხელმძღვანელი, რომელიც ყველაფრის კოორდინაციას მოახდენდა და გადამჭრელ სიტყვას იტყოდა. გაერთიანებაში უდისციპლინობამ და თავმინებებულობამ იჩინა თავი, თანამშრომლები თავთავიანთ ოჯახურ საქმეებზე დარბოდნენ, ხანაც ერთად იკრიბებოდნენ, ჭორაობდნენ და ლაზღანდარობდნენ.

ძალიან გაუჭირდა ბეჟანს; მართალია, დისციპლინის დამყარება მას არ ეხებოდა, მაგრამ უსაქმურობასაც ვერ შეეგუა, მმართველის მოადგილესთან შედიოდა და ამა თუ იმ საქმის მოგვარებას შესთავაზებდა ხოლმე.

— მოვითმინოთ, ბეჟან ბეგლაროვიჩ, მმართველი ასე ადვილად მოსაძებნი კი არ არის, წესიერ, მცოდნე და პატიოსან კაცს ეძებენ!

ერთხელ, ბეჟანი თავის საანგარიშო მანქანას ჩვეულებისამებრ რომ დასჩერებოდა, ოთახში ქალები შემოვიდნენ საჭორაოდ, მათ პროფორგანიზაციის თავმჯდომარე გურამი შემოჰყვათ, ახალგაზრდა, ენერგიული და საქმიანი კაცი. ბეჟანს ხელი ჩამოართვა და მის გვერდით სკამზე ჩამოჯდა. თან ხელში გასაღებებს ატრიალებდა. ქალებმა მმართველის დანიშვნის გარშემო გააბეს საუბარი, რამდენიმე ჰიპოთეზა წამოაყენეს კიდეც — შეიძლება ეს დანიშნონ, შეიძლება ისაო. მერე გურამმაც გამოთქვა თავისი მოსაზრება, ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს დირექტორი დაასახელა, იმას დანიშნავენ უეჭველადო. ბეჟანს არცერთი არ დაუჯდა ჭკუაში, მაგათი დანიშვნა როგორ იქნებაო.

— აბა, რას უყურებენ, ვილაც ხომ უნდა დანიშნონ! — აღელდა ქალბატონი ქსენია, — ხალხი ნერვიულობს, ყველა კალაპოტიდანაა ამოვარდნილი.

— ცოტა კიდევ მოვითმინოთ, — გაიმეორა მოადგილის სიტყვები ბეჟანმა, — კადრები ადვილი მოსაძებნი კი არ არის, წესიერ, მცოდნე და პატიოსან კაცს ეძებენ!

გურამმა ცალი თვალი მოჭუტა, ვითომ და გასაღებების ასხმა ჯიბეში ჩაიდო, ხელები გაშალა და ბეჟანს მიმართა:

— მაშინ თქვენ დაგნიშნონ, ბატონო ბეჟან, თქვენზე უკეთ ჩვენი გაერთიანების საქმეები არავინ არ იცის, პატიოსანი კაციც ბრძანდებით და წესიერიც.

ქალები ღიმილით მიაჩერდნენ ყოფილი მმართველის „ლურჯას“. ბეჟანმა შორს დაიჭირა, არა, მე რა შუაში ვარო.

— რატომ, რატომ?! — არ დაიშალა გურამმა, — რა გაკლია, რა? რატომ არ შეიძლება დაგნიშნონ მმართველად?!

ეს იყო და ეს, ბეჟანს მმართველად თავისი დანიშვნის შესაძლებლობა ტვინში ჩაუჯდა და მოსვენება აღარ მისცა, ღამე აღარ დასძინებია, ათას გეგმას აწყობდა, როგორ მოახდენდა საწარმოების რეორგანიზაციას, როგორ გახდიდა ეფექტურ-მომგებიან საწარმოებად. ამასთან დაკავშირებით, რომელ დირექტორს მოხსნიდა და რომელს არა. აქამდე რაც მას დაუჯერებელ მონაჭორად მიაჩნდა, ახლა სრულ ჭეშმარიტებად ეჩვენებოდა: ამა თუ იმ საწარმოს დირექტორი, საამქროს გამგე თუ ბუღალტერი ნამდვილად მოსახსნელია, უქნარა და მფლანგველია, მის ადგილას დავნიშნავდი... და ბეჟანი ნაცნობთა წრეში ეძებდა შესაფერ კანდიდატურებს.

გაერთიანებაში იმ დღესაც ჩვეულებრივი უპატრონობა დახვდა. მმართველის მოადგილე საერთოდ არ მოვიდა, თათბირზეა დაბარებულიო. ხმაც კი გაავრცელეს, ახალ მმართველს ნიშნავენო, მაგრამ ბეჟანმა გურამის მეშვეობით სარწმუნო წყაროებიდან გაიგო, თათბირი საწარმოო საკითხებზეაო. ბეჟანსა და გურამს ხელს არავინ უშლიდათ; მმართველის კაბინეტში ისხდნენ და მმართველის დანიშვნის შესახებ საუბრობდნენ.

ადგებიან და ვინმეს დანიშნავენ, ისეთს, რომელსაც ჩვენ საერთოდ არ ვიცნობთო, ამტკიცებდა გურამი.

— რას ამბობ? — ედავებოდა ბეჟანი, — როგორ შეიძლება, უჩვენოდ ვერავის დანიშნავენ, შეგვეკითხებიან, ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი ავტორიტეტი კი გვაქვს! — წარმოთქვა თავისთავი პირველად სიცოცხლეში ბექანმა, — დიახ, დიახ, ანგარიშს გაგვიწევენ!

— აი, ვნახოთ, — თავისას არ იშლიდა გურამი, — შეიძლება მოხვიდე ხვალ და კაბინეტში ახალი მმართველი დაგხვდეს.

ახალი მმართველი... გავაღებ კარს და კაბინეტში დამხვდება! ამაზე ფიქრმა ბექანს თავი რუმბივით გაუსია. გურამის წასვლის შემდეგ ბექანი მთელი დღე იჯდა მმართველის კაბინეტში და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გაეგორას აპირებდნენ ზევით. არა, ვიღაცა უნდა გყავდეს, ვიღაცამ უნდა წარგადგინოს, რეკომენდაცია უნდა გაგიწიოს. ვინ გამიწევს რეკომენდაციას, არსად არავის ვიცნობ... ბექანი კაბინეტში მიმოდიოდა და, ღრმად ჩაფიქრებული, გამოსავალს ეძებდა. ბოლოს, ერთმა მეტად გაბედულმა აზრმა შეურხია ტვინის რომელიღაც უჯრედი და გონება დაძაბა — რა იქნება, სამინისტროში რომ გავაგზავნო მეგობრული წერილი? ჩვენი გაერთიანების ახლანდელი მდგომარეობა გავაანალიზო, მოვიხსენიო საქმისათვის გამოსადეგი ხალხი და ვამხილო გამოუსადეგარნი. როცა შინ მობრუნდა, უკვე ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა, თავი დაიმარტოხელა და საწერ მაგიდას მიუჯდა, გონებაში ჩამოყალიბებული წინადადებების ქაღალდზე გადმოლაგებას შეუდგა, სიტყვები ბუტბუტით გამოჰყავდა; სათაურზე ერთხანს იფიქრა, მერე გადაწყვიტა, „მეგობრული წერილი“, სჯობიაო. ამის შემდეგ შეუდგა წერას:

„თოთხმეტი წელია გაერთიანებაში ვმუშაობ, დავიწყე რიგით ეკონომისტ-ინჟინრის თანამდებობიდან და დღეს გაერთიანების მთავარი სპეციალისტი ვარ...“

ბექანი დიდხანს წერდა, წინადადებებს გულდასმით აყალიბებდა, ხელწერა კარგი ჰქონდა და ასოებს სულ აგვირისტებდა. ჯერ თავის უმწიკვლო მოღვაწეობას შეეხო, მერე გაერთიანების საერთოდ არსებობის აუცილებლობის დასაბუთებაზე გაისარჯა. შემდეგ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება და ბოლოს ის დიდი შესაძლებლობები ჩამოაყალიბა, რომლის პერსპექტივასაც იძლეოდა გაერთიანება, თუ საქმე მოგვარდებოდა. ეს კი, ბექანის აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებაში დანიშნავდნენ მცოდნე, პატიოსან და უნარიან ხელმძღვანელს. აქ თავისი გვარი უნდოდა ეხსენებინა, მაგრამ კალამი ვერაფრით ვერ დაიყოლია, თანაც ისე შეახურა და აუძგერდა გული, რომ ამ განზრახვაზე ხელი აიღო. ხუთი ფურცელი მიუძღვნა გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა გამსხვილება-რეორგანიზაციის საკითხს, ძველი დანადგარების ახლით შეცვლას და მეცნიერულ მიღწევების დანერგვას. აქვე მოიყვანა ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ეფექტიანობის გადიდების ციფრები, მაგალითად ,სწერდა:

„ლურჯა სახედრების“ გამოშვება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ასეთ სათამაშოებზე მოთხოვნილება შემცირდა, გაუსაღებელი სახედრები საწყობებში ერთმანეთზე აწყვია და ცხადია გაერთიანებას მძიმე ტვირთად აწევს. სამაგიეროდ, კარგად საღდებიან „ნაცარქექიები“ და „ქოსატყუილები“, ჩვენ გადავსინჯეთ შესაძლებლობები და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „ნაცარქექიების“ და „ქოსატყუილების“ მეტი რაოდენობით გამოშვება შესაძლებელია „ლურჯა სახედრების“ საამქროს რეორგანიზაციის ხარჯზე“.

ღამის ოთხ საათამდე წერდა და კითხულობდა, მეორე დღეს ალმართი აირბინა და სამინისტროს მისაღებში წერილი თვითონ ჩააბარა.

ორმა დღემ ლოდინში სწრაფად გაირბინა, სამსახურში ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, ყველას როგორც უნდოდა ისე მიდი-მოდიოდა, წარმოიდგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთ, ქალბატონი ქსენიაც აღარ იჯდა თავის ადგილზე. მმართველის მოადგილე მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერ ღონისძიებას არ იღებდა. რამდენადაც ბექანი ხვდებოდა, მოადგილეც რაღაცას ელოდებოდა. სარწმუნო წყაროებიდან კი ახალი არაფერი ისმოდა. წინა დღეს მოადგილემ დაიბარა ბექანი და დაავალა, №2 და №5 საამქროების საქმეები მოძებნეო, მათ მიერ გამოშვებულ საქონელზე რეკლამაცია მივიღეთ, ბრძანების ტექსტი უნდა მოვამზადოთ და გამოვაქვეყნოთო. ბექანი უხმოდ გამობრუნდა, გულში ეღიმებოდა, მე მამაცხონებულო, თუ საქმეები მე მოვძებნე, ტექსტი მოვამზადე, ხელის მოწერას რაღა დიდი ვაჟკაცობა უნდა. ბარემ მე თვითონ მოვაწეროთ; ამ ამბის მეორე დღეს, ესე იგი წერილის ჩაბარების მესამე დღეს, ბექანმა გამოძახების ბარათი მიიღო.

აფორიაქდა. მართალია გამოძახებას ელოდა, მაგრამ ასე თუ მოხვდებოდა გულს, არ ეგონა. დილით ძალიან ადრე ადგა, ცხელი წყლის აბაზანა მიიღო, ახალთახალი თეთრი პერანგი ჩაიცვა, შავი პიჯაკიც გაამზადა, მაგრამ ჰალსტუხი?! ბექანი ასეთ უბრალო რამეზე პირველად ჩავარდა საგონებელში; წვერი რომ გაიპარსა, რამდენიმეჯერ დადგა სარკესთან, პიჯაკიც ჩაიცვა, პერანგის საყელო ხან გაიხსნა, ხანაც — შეიკრა და ბექან ბეგლაროვიჩი ღრმად დარწმუნდა, რომ მის მორთულობას რაღაც ნაღდად აკლდა. ეს რაღაც ჰალსტუხი გახლდათ.

— ბექო, რად გინდა პიჯაკი? — გაუკვირდა ცოლს, — გარეთ ისეთი მზიანი დილაა, დაიწვება დღეს ქვეყანა.

ბექანმა ხმა არ გასცა, არ უნდოდა მეუღლისათვის გაემხილა დაბარებული რომ იყო, დაცდილი ჰქონდა, წინასწარ რაიმეს რომ იტყოდა, არ უსრულდებოდა, ახლაც მოულოდნელად უნდოდა გაეხარებინა ცხოვრების მეგობარი.

სხვა გამოსავალი არ იყო, ბექანი ყურის მეზობლის კარს მიადგა. მეზობელი გულღია და მხიარული კაცი იყო, გაეხარდა კიდეც, ბექანმა ჰალსტუხი რომ სთხოვა. ადრე, ჰალსტუხის გულისათვის წაკამათდნენ კიდეც, ბექანი უმტკიცებდა — ჰალსტუხი არაფერი საჭიროა, ჩემს სიცოცხლეში არ გავიკეთებო. ახლა, გახარებულმა მეზობელმა რამდენიმე ჰალსტუხი გამოუტანა, ამოირჩიეო. თან ერთსა და იმავეს იმეორებდა: „დაგჭირდა, ხო, ჰალსტუხი, დაგჭირდა, ხო!“ არც უკითხავს, რისთვის გჭირდებაო, იგი რესტორნების სამმართველოში მუშაობდა და კარგად იცოდა ჰალსტუხის ფასი.

მშვენიერი დილა იდგა; მართალია, მზე ჯერ არ აცხუნებდა, მაგრამ უკვე თბილოდა, შავ პიჯაკსა და ჰალსტუხში უჩვეულოდ გამოწყობილ ბექანს დასცხა. საყელო უნდოდა მოეხალვათებინა, ხელით შეეხო კიდეც ჰალსტუხს, მაგრამ გადაიფიქრა — უნდა მივეჩვიოო. კისერი გაშეშებულივით ჰქონდა, ჰალსტუხი ყელზე უჭერდა და სულს უხუთავდა. პარკს რომ გაუთანასწორდა, შორიდანვე შეავლო თვალი ღიპიანებს, მათ სპორტული რეიტუზები და მაისურები ეცვათ, თავგამოდებით დარბოდნენ. ბექანი შეჩერებას არ აპირებდა, მაგრამ უცბათ წარმოიდგინა, რომ თვითონაც აქ მოვიდოდა და ივარჯიშებდა, შეჩერდა, სიამოვნებით ჩაიღიმილა და ჰალსტუხი უნებურად მოიხალვათა. მოულოდნელად ვიღაცამ დაუძახა: „ბეგლაროვიჩ, ბეგლაროვიჩ!“ ბექანმა იქით გაიხედა, წითლად მოხვინჭკულ ბილიკზე მაისურისამარა გამორბოდა ღიპიანი და ხელს უქნევდა, გაერთიანების ყოფილი მმართველი იყო. ბექანი შეიშმუშნა, არ ესიამოვნა განადგურებულ კაცთან შეხვედრა, მკვახე პასუხისთვის მოემზადა. მმართველმა მოირბინა, ღიმილით ჯიქურ გამოუწოდა ხელი და შინაურულად მოიკითხა: როგორა ხარ, ბეგლაროვიჩო. ბექანი დაიბნა, მარჯვენა ხელში ბადურა ეჭირა და მარცხენა ხელში გადატანისას თითები გაებლანდა, რძისა და არაყანის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქილები ერთმანეთს შეეჯახნენ და აწკარუნდნენ.

— ბეგლაროვიჩ! — წაავლო ხელი ყოფილმა მმართველმა ჰალსტუხში და გაუსწორა, — კაცური კაცი ხარ, შენს პატივისცემას მე არ დავივიწყებ.

რა პატივისცემასო, გაოცდა ბექანი და კისერი უფრო გაუშეშდა.

— რამდენისათვის კეთილი საქმე გამიკეთებია, არავინ არ დამიცვა, ხომ გახსოვს? — განაგრძობდა ყოფილი მმართველი, — მართალია, კრების დროს ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შენი ვაჟკაცური მოქცევა არასოდეს არ დამავიწყდება. — მიიხედმოიხედა და განაგრძო, — ერთ საიდუმლოს გაგანდობ, მხოლოდ ჯერ ნურავის ეტყვი, ათასი ბოროტი კაცია, შურიანებითაა ავსებული ეს ქვეყანა. მეურნეობის დირექტორად მნიშნავენ, ამ ორ დღეში გადაწყდება საკითხი, ჰოდა, კაცური კაცი მჭირდება, შენისთანა ერთგული და საქმისმოყვარული. თუ დამთანხმდები...

გაოცებისაგან ბექანს თავგზა აებნა, აღარ იცოდა ბადურა საით წაეღო, გაჩუმებული შესცქეროდა ყოფილ მმართველს და მხრებს იშმუშნიდა, დახვეულ ჭიანჭველებს იგერიებდა.

— დამჩაგრეს ჩემო ბექან, დამჩაგრეს! მაგრამ რას იზამ, — განაგრძობდა ყოფილი მმართველი, — გვქონდა შეცდომები, ვინ უარყოფს, საერთო სიტუაცია იყო ასეთი, ბოროტება არაფერი ჩამიდენია, არავისი აი, ამდენი არ მიმითვისებია! — ყოფილმა ფრჩხილი უჩვენა ბექანს და დასძინა: — გამოვისყიდი ყველაფერს, ჩვენისთანა წესიერი, მცოდნე და პატიოსანი კაცის მოძებნა ასე ადვილი კი არ არის, კადრების აღზრდა ძნელია, მით უმეტეს ძნელია გამოცდილი ხელმძღვანელის პოვნა.

ბექანი უცბათ აენთო, უნდოდა პირში მიეხალა ყოფილი მმართველისათვის, პატიოსნებაში მე ნუ მიტოლდებიო, ვიცი რა კაციც ხარო, მაგრამ მხოლოდ იმის თქმა შესძლო, ზევით ვა[illegible]ბული და ვნახოთო.

— რისთვის? — გაუკვირდა ყოფილს, — რა უნდათ შენგან, შეეშვი ყველაფერს, ბეგლაროვიჩ, ჩემთან წამოდი, არაფერს არ წააგებ!

ბექანი ფრიად გაკვირვებული და აღელვებული გაშორდა ყოფილ მმართველს.

მაღაზიიდან მიბრუნდა თუ არა, უმალ სამსახურში გაეშურა. გაჩერებაზე ჩვეულებრივზე მეტი ხალხი ირეოდა, ტროლეიბუსი კი არსად ჩანდა, ფიქრის დრო არ იყო, ბექანი გვერდზე გადგა და მსუბუქ მანქანებს ხელის ქნევით ევედრებოდა გაჩერდითო. საბედნიეროდ, შავი „ვოლგა“ შეჩერდა.

„რა ნიშანდობლივია!“ — ფიქრობდა ბექან ბეგლაროვიჩი, სამსახურისკენ რომ მიჰქროდა „ვოლგით“. რა საუცხოოა, ასეთი ცხოვრებისათვის კაცმა ცოტა თავი კი უნდა შეიწუხო. მანქანა გაერთიანების შენობის წინ, კიბესთან შეაჩერა, ფული მალულად გადაიხადა, გადმოვიდა და კიბე გაჯგიმულმა აიარა. თანამშრომლებს მაინცდამაინც არ გაჰკვირვებიათ ბეგლაროვიჩის მანქანით მოსვლა, მხოლოდ ეს იყო, ქალბატონი ქსენია არ აშორებდა თვალს ბექანს, უკვირდა, ბეგლაროვიჩს ასეთნაირად გამოწყობილს რომ ხედავდა; არც შავი სამკლაურები გაუკეთებია ბექანს იმ დილით, იჯდა საქმიანად და ხან წერდა და ხანაც სხვადასხვა ბრძანებებს თუ განკარგულებებს კითხულობდა, ისე, სხვათაშორის; მთელი არსებით ზევით წასვლის დროს ელოდებოდა, გულში კი იმას ფიქრობდა, მართლაც რომ გამიმართლოს და მმართველად დამნიშნონ, ქსენია ალბათ გადაირევაო და ელიმებოდა.

გარეთ, მართალია, მზიანი დღე იდგა, მაგრამ ოთახი ჩრდილოეთ მხარეს იყო მიქცეული და საგრძნობლად გრილოდა, ბექანი სველმა პერანგმა შეაწუხა. დრო ნელა გადიოდა, მმართველის მოადგილე იგვიანებდა, რომელიღაც სამქროს სანახავად წავიდაო... არადა ბექანს მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის უნდოდა ეთქვა, ზემდგომ ორგანოებში ვარ დაბარებულიო.

ბოლოს, ლოდინმა მაინც თავისი გაიტანა და ბექანის წასვლის ჟამმაც დარეკა. ბეგლაროვიჩი მშვიდად წამოდგა, ქალბატონ ქსენიას თავმომწონედ უთხრა, თან თითით მიანიშნა, ზევით ვარ დაბარებულიო, დამაგვიანდებაო და ოთახიდან გავიდა. დერეფანში გურამს გადაეყარა, ის არხეინად მოაბიჯებდა და ხელში გასაღებებს ათამაშებდა, როგორც კი ბექანი დაინახა, ხელები გაშალა — დაგინახეთ, ბეგლაროვიჩ, სამინისტროს მანქანით რომ მოხვედითო, შესძახა და ტკბილი ღიმილით დასძინა: — თქვენთან მოვდიოდი, თქვენ საით?

ბექანს ესიამოვნა და ტუჩებს ძლივს მოუყარა თავი, რომ არ გაღიმებოდა. თითი გაიშვირა შეფიქრიანებულმა, მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა, გამოძახებული ვარ და არ ვიცი რაზე მიბარებენო.

— ყველაფერი გასაგებია, ბატონო ბექან, — გაუღიმა გურამმა, ხელი გაშალა და დასძინა: — რატომ ჩვენ არ დავდივართ სამინისტროს შავი „ვოლგით...“ ელით მანქანას თუ აგიყვანოთ?

ბექანს თავი არ გამოუდვია, თუკი პატივს დამდებო — შეიფერა შეთავაზებული სამსახური და მართლაც, მალე გურამის „ჟიგულით“ სამინისტროსაკენ მიჰქროდა.

სამინისტროს მოსაცდელში ხალხი ირეოდა, ბექანი პირველად გახლდათ აქ და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ბოლოს მიუთითეს და ისიც სარკმელს მიადგა, გამოძახების ბარათი გაუწოდა. გული მომეტებულად უძგერდა, სულს ძლივს ითქვამდა და მოულოდნელად სახტად დარჩა, თქვენი გვარი სიაში არ არისო, უთხრეს, სამდივნოში დაურეკეთო. ბექანი გაოგნებული მოშორდა სარკმელს და ტელეფონის ჯიხურში შევიდა, მოსაცდელში საიდანღაც გრილი ნიავი უბერავდა, მაგრამ მას მაინც ძალიან დასცხა, გრძნობდა, ოფლი წურწურით მისდევდა ზურგის ღარს და ბეგლაროვიჩმა პირველად ინატრა, ნეტა წერილი არ დამეწერაო.

ახალგაზრდა ქალის ხმამ ყურმილში გაოცებულმა იკითხა, რომელი შეყილაძეო. „ბექან ბეგლაროვიჩი“, წარმოსთქვა ბექანმა და შუბლი მოიწმინდა.

— ბეგლაროვიჩი, ბეგლაროვიჩი? — იმეორებდა ყურმილი. და ეტყობოდა იქ, ხაზის ბოლოში მდივანი ქალი წერილს ეძებდა.

— გუშინწინ, რომ ჩავაბარე მეგობრული წერილი, — მიეშველა თავისი ჰკუით ბექანი.

— ასეთი წერილი ასობით შემოდის ყოველდღიურად, — უპასუხა ქალის გაჯავრებულმა ხმამ, — რას ეხებოდა თქვენი წერილი კონკრეტულად?

— კონკრეტულად?! — დაიბნა ბექანი და წერილის მოკლე შინაარსის მოყოლას შეუდგა, მაგრამ ქალმა არ დააცადა:

— კონკრეტულად რას მოითხოვდით, რა გინდოდათ, ვის ეხებოდა?

ბექანმა ჰალსტუხი მოიხალვათა, ერთხელ კიდევ მოიწმინდა ოფლი და ჯიხურის კედელს თვალი უიმედოდ შეავლო, პერანგი მეორედ გაუხდა გასაწური. გამოუვალი მდგომარეობიდან ისევ ქალის იმედიანმა ხმამ გამოიყვანა:

— მივაგენი, ბექან ბეგლარის-ძე შეყილაძე, წერილი ეხებოდა გაერთიანების ეკონომიური სტიმულირების მეცნიერული გზების გამოძებნას, არა?

ბექანმა შვებით ამოისუნთქა, დიახ, დიახო და ცხვირსახოცი ხელის მოჭერით გაწურა.

— თქვენი წერილი გადაეცა სამეცნიერო განყოფილებას, ხვალ მოაკითხეთ, გნებავთ ახლა დაურეკეთ, — დაამთავრა ქალმა საუბარი.

ბექანმა ყურმილი დაკიდა, სველი სხეული პიჯაკით დაინიავა, გონებაში ერთი გაელვება კი გაურბინა, შევეშვები და შინ წავალო, მაგრამ უმალ გურამის და ქსენიას ცნობისმოყვარეობით ავსებული თვალები წარმოუდგა და ისევ ტელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონს მისწვდა, ნომერი აკრიფა. წერილი ჯერ ჩვენთან არ მოსულაო, ხვალ დილით დარეკეთო. კიდევ კარგი, — გაეხარდა რატომღაც ბექანს და ჯიხურიდან გაღიმებული გამოვიდა.

შუადღე იდგა; ისე ცხელოდა, ასფალტს ბული ასდიოდა. ბექანი მზად იყო ჰალსტუხიც მოეხსნა, პიჯაკიც გაეხადა და სველი პერანგი მკლავზე გადაეფინა. მაგრამ გვიან იყო, რადგან შეცურა, უნდა გადაეცურა კიდეც, თუ არ უნდოდა საბოლოოდ შერცხვენილიყო თანამშრომლებთან, ამდენი კი ესმოდა ბეგლაროვიჩს. მთავარ ქუჩაზე რომ გამოვიდა, მოულოდნელად ისე უცნაურად და ხმაურით დაიცემინა, კინაღამ გულმკერდი შეენგრა, სული შეეკრა და მკერდის ფიცარი საოცრად, არაადამიანურად ეტკინა, გულზე ხელი მიიდო და შეჩერდა, გზად მიმავალ მგზავრებს, რომლებიც გაოცებულები შემოაჩერდნენ, საწყალობლად მიაპყრო თვალი და საკუთარ მაჯისცემას გულისყური მიუგდო.

იმ დილით რძეზე არ იყო წასასვლელი და ტროლეიბუსის გაჩერებასთან ადრე გამოიყვანა ბავშვები, ყველაფერი რიგზე მიდიოდა, გაერთიანებაშიც ახალი არაფერი ისმოდა. მხოლოდ ეს იყო, ბექანმა იგრძნო, რომ თანამშრომლები მას უფრო გულისხმიერად და მოწიწებით ეპყრობოდნენ. მაგალითად, ქალბატონი ქსენია სულ თვალებში შესციცინებდა და წარმოიდგინეთ, ოხრავდა კიდეც. დაახლოებით ათი საათისთვის ბეგლაროვიჩი დინჯად წამოდგა და სამინისტროში გასწია. განყოფილების უფროსი ადგილზე დახვდა, როგორც კი ბექანმა თავისი გვარი ახსენა, უფროსს თითქოს რაღაც ძალიან გაეხარდაო, შესძახა:

— ამხანაგო შეყილაძე, თქვენი წერილი მე არ მეხება!

ბექანი უცებ ვერც კი მიხვდა რომელ წერილზე იყო ლაპარაკი, მაგრამ დასტურს მიჩვეულმა, დიახ, დიახო, წარმოსთქვა.

— მერე, მე რატომ გადმომეცა? — გაიკვირვა ხმამ, — თუმცა, თქვენ რა შუაში ხართ?! — თითქოს წაიმღერაო და საქმიანად დასძინა: — მისმენთ, ამხანაგო შეყილაძე?..

ბექან შეყილაძე, რა თქმა უნდა, უსმენდა, მაგრამ ოფლში უკვე ისე იყო გაწურული, რომ ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და თვალებს უაზროდ ატრიალებდა.

— თქვენს მამხილებელ წერილს, — გაიგონა ბექანმა, „მამხილებელი“ უფროსმა რატომღაც ხაზგასმით წარმოსთქვა, — გადავცემ კონტროლის განყოფილებას, რა თქმა უნდა, ეს წერილი მათ ეხებათ და არა მე!

ბექანი სამსახურში აღარ დაბრუნებულა, აფთიაქში შეიარა, სურდოს საწინააღმდეგო წამალი შეიძინა და შინ რომ მივიდა, ლოგინში ჩაწვა, ახლა ერთადერთი საზრუნავიღა ჰქონდა, როგორმე სურდო მოეშორებინა. საოცარია, უკვირდა ცოლს, ამ გაგანია სიცხეში სურდო როგორ უნდა შეგეყაროს კაცს, ასეთი უსუსური როგორ ხარო. ბექანს ხმა არ ამოუღია. როცა გრძნობდა დამნაშავე იყო, გაყუჩდებოდა ხოლმე. ფოსო კი, ირონიით შეზავებული წყრომით ამკობდა ბექოს, თუმცა პირველადი დახმარება დიდი გულისხმიერებით და მონდომებით აღმოუჩინა — კალცექსი და ასპირინის აბები გადააყლაპა, მერე კარგად შეფუთნა, ლოგინზე წამოჯექიო, უთხრა, ცხელი წყლით სავსე ვედრო მოუტანა და ფეხები ჩააყრევინა.

საბანში გახვეული, პირსახოცით თავწაკრული ბექანი დიდხანს იჯდა, გაბანჯგვლული ფეხები ვედროში ჰქონდა ჩაყოფილი, იდაყვებით მუხლებზე იყო დაყრდნობილი და, გაჩუმებული გულში ჯავრობდა: — მისი გონებიდან არაფრით არ გამოდიოდა იმაზე ფიქრი, რომ დიდი შეცდომა და სისულელე მოუვიდა, არ უნდა დაეწერა ეს დაწყევლილი წერილი.

დილით, ბექანს ჩვეულებრივად ადრე გამოეღვიძა, მართალია სხეულის სისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეს გრძნობდა, მაგრამ ცხვირში აღარ უჭერდა და ლოგინზე წამოჯდა, ცხვირი ხელით მოისინჯა, ერთი-ორჯერ დააქშუტუნა კიდეც, ყველაფერი რიგზე იყო. ბექანს გაეხარდა, გაეღიმა და სწრაფად დაიწყო ჩაცმა, რძეზე უნდა გაქცეულიყო.

— რატომ დგები ბექო? — თვალი გაახილა ცოლმა და გაოცებული შეაჩერდა, — დაწექი, მე წავალ რძეზე.

— კარგად ვარ, ფისო, გენაცვალე, კარგად! — შესცინა ბექომ, — შენ ბავშვებს მიხედე, რძეს მე მოვიტან, — და პიჯაკი აღარ ჩაუცვამს, ქილებით სავსე ბადიას დაავლო ხელი და მაღაზიას მიაშურა; როცა რძის ნაწარმით დატვირთული უკან ბრუნდებოდა, წინანდებურად პარკისაკენ აღარ გაუხედავს, რა ჩემი საქმეა, რაც უნდათ ის ქნან, ვინც უნდა იმან ივარჯიშოსო. ის იყო ჩავლას აპირებდა, რომ მოულოდნელად ძახილი შემოესმა, ბეგლაროვიჩ, ბეგლაროვიჩო!

ყოფილი მმართველის შოფერი იყო, „ვოლგასთან“ იდგა და ხელს გამალებით უქნევდა, ბექანი ჯერ ვერ გაერკვა, მართლა მას უქნევდა ხელს თუ არა, მიიხედ-მოიხედა, მერე გულზე მიიდო ხელი, მეო? — და მანქანისაკენ გაუბედავად გაემართა.

„ვოლგაში“ ყოფილი მმართველი იჯდა, ის სპორტულ ფორმაში იყო გამოწყობილი. ბექანი როგორც კი მიუახლოვდა, მიხვდა, რომ ყოფილი მმართველი, ყოფილი აღარ იყო — მას ძველი მხნეობა, დიდრაჯობა დაბრუნებოდა, ხმაც ძველებურად ფოლადისებური ჰქონდა და გამოხედვაც. ბექანი მორიდებულად აიტუზა კართან და აბურდულ წარბებქვეშ მოციმციმე თვალები უფროსს მიაპყრო.

— გამარჯობა, ბეგლაროვიჩ! — მანქანიდან გამოსძახა უფროსმა და ხელი გამოუწვდინა ისე, სავარძლიდან არ წამოწეულა: — რა ჰქენი, რა გადაწყვიტე, მოდიხარ თუ არა ჩემთან!

— თქვენთან?! — დაიბნა ბექანი და გაოცებული დააშტერდა უფროსს, მერე შოფერს მიაპყრო თვალი, იქნებ შენ მაინც გამომიყვანო მდგომარეობიდანო.

— ოო, არ მითქვამს, არა?! — ჩაიბუბუნა ყოფილმა მმართველმა, — დამნიშნეს მეურნეობის დირექტორად. მართალია მდიდარი მეურნეობა არაა, მაგრამ რას იზამ, თუ ბიჭი ვყოფილვარ, ორ წელიწადში ფეხზე დავაყენებ!

ბექან ბეგლაროვიჩს ცივმა ჟრუანტელმა დაუარა მთელს ტანში, ენა გაუშრა და თვალები გადმოეკარკლა, ხელს მძიმე ტვირთად ჩამოეკიდა მაწვნისა და რძის ქილები. „დაგნიშნეს, დაგნიშნეს!“ — ლუღლუღებდა გაოგნებული და ადგილიდან ვერ იძვროდა. დირექტორი კი ბუბუნებდა, ვიღაც-ვიღაცეებს კაცუნებად იხსენებდა, ვიღაც-ვიღაცეებს კი გუნდრუკს უკმევდა და თავს იქებდა. ბექანს სმენით კი ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ანალიზს ვერაფერს უკეთებდა, გონება მიღებულ ინფორმაციას ვერ ამუშავებდა და სათანადო გადაწყვეტილებასაც ვერ ღებულობდა.

ბოლოს მანქანა დაიძრა, მსუბუქად გასრიალდა, პარკის ჭიშკართან მოუხვია და მთავარ ქუჩაზე გავიდა, ნაკადად მომავალ მანქანებს შეერია და დიდი სისწრაფით გავარდა.

წელში მოხრილმა, დაპატარავებულმა და დაკნინებულმა ბექანმა მიმავალ „ვოლგას“ მზერა გააყოლა, მერე თვალი მოხუჭა, რადგან თავბრუ ესხმოდა და ფეხი გაუბედავად გადადგა.

ბექანი შეეგუა თავის მდგომარეობას, თითქოს კალაპოტშიაც ჩადგაო, მაგრამ ეს იყო, სამსახურში უსაქმურობით იტანჯებოდა, კვლავ არავინ არაფერს ავალებდა, არადა კვარტლის ბოლო ახლოვდებოდა და უამრავი საქმე იყო გასაკეთებელი. მმართველის კაბინეტს აღარ ეკარებოდა, ყველაფერი შეძაგდა თვალის დასანახავად. მთელი დღე ტყუილა ჯდომა კი ისეთი მომქანცველი და ნერვების ამშლელი იყო, რომ ბეგლაროვიჩს ძალაუნებურად ათას სისულელეზე უხდებოდა ფიქრი. ოთახშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლარავინ შემოდიოდა; ამრიგად, ბექან ბეგლაროვიჩი, გაერთიანების მთავარი სპეციალისტი, სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა; ყველა გაურბოდა, მისი თანდასწრებით ყველას პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული. საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა, მხოლოდ მაშინ ერთობოდა საქმით და ყველაფერი დროებით ავიწყდებოდა. ასე გადიოდა დრო, ბექანს თავისი წერილი გადაავიწყდა კიდეც, რომ მოულოდნელად, მეოთხე დღეს საფოსტო ყუთიდან გაზეთების ამოღებისას ბარათი ამოფრიალდა. ბექანმა გაოცებულმა გააყოლა თვალი, ბარათმა იფარფატა და იატაკს დაეფინა, ბეგლაროვიჩი მიხვდა რა ბარათიც იყო და შემკრთალმა მიმოიხედა, მერე ბარათს გულისფანცქალით დასწვდა და აფორიაქებულმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა — კვლავ სამინისტროში იბარებდნენ.

იმ ღამეს ვეღარ მოისვენა, ვეღარც ბავშვი ამეცადინა რიგიანად და ვეღარც ტელევიზორს უყურა დამშვიდებით.

„მე მოვრჩი, დავამთავრე, რა უნდათო“ — შლიდა ხელებს ბექანი და ოთახში მიმოდიოდა. სამსახურში ისე წავიდა, პიჯაკიც კი არ ჩაუცვამს, არც ჰალსტუხი გაუკეთებია. გრილი, ღრუბლიანი ამინდი იდგა და პიჯაკი აუცილებელი გახლდათ, მხოლოდ ეს იყო, ყელი გულდახშით შეიხვია. გამოძახების ბარათის ჯერ დახევა უნდოდა, მერე გადაგდება, მაგრამ ვერ გაბედა, ჯიბეში ჩაიდო და მოწყენილი თუ მოტეხილი წავიდა. თავის სამუშაო ოთახში როგორც კი შევიდა, მმართველის მოადგილემ დაიბარა, კვარტლის ბოლო ახლოვდებაო, გეგმების შესრულება უნდა დავაჯამოთ და მომავალი წლის გეგმები უნდა დავსახოთო, გაერთიანების ფინანსური მდგომარეობაც გადასასინჯიაო. მოკლედ, ბექანს საქმე გაუჩნდა, გახარებული გამობრუნდა მოადგილიდან, არქივში შეიარა, საქმეები გადმოქექა და თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა. ქალბატონ ქსენიას და ლუბასაც დაუნაწილა საქმე. ხელებზე ჩვეულებრივად წამოიცვა სავი სამკლაურები და მუშაობას შეუდგა. ბექან ბეგლაროვიჩმა კვლავ ჩართო საანგარიშო მანქანა და გაბრწყინებული სახით ციფერბლატზე აციმციმებულ ციფრებს დააცქერდა.

ქალბატონი ქსენია ერთხანს უხმოდ მუშაობდა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა ბატონ ბექანისთვის ეკითხა, როგორ იყო საქმე, ნიშნავდნენ თუ არა მას მმართველად. ვერ ისვენებდა, ხშირად გახედავდა ხოლმე ბექანს, ბოლოს მორიდება თუ გაუბედაობა დასძლია და უადგილოდ იკითხა:

— როგორაა ბატონო, ბექან საქმე მმართველს არ ნიშნავენ?

ბექანი ისე იყო საქმეში გართული, რომ ეს შეკითხვა არაფრად ეპიტნავა და ქალბატონ ქსენიას უხეშად უპასუხა: არ ვიცი, რა ჩემი საქმეაო.. ქსენია თითქოს ამ პასუხს ელოდებოდა, უცბად იფეთქა და დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია:

— რატომ უნდა გავიგო მე ყველაფერი ბოლოს, ათი წელია ერთად ვმუშაობთ და ნუთუ იმდენი პატივისცემა ერთმანეთში არა გვაქვს, რომ ნდობა გვქონდეს და საიდუმლო გამანდოთ! თუმცა რა საიდუმლოა, მთელი გაერთიანება ამაზე ლაპარაკობს...

რაზეო, გადმოკარკლა ჩაქუფრული თვალები ბექანმა. ამან უფრო აალელვა ქალბატონი ქსენია:

— მე რატომ მიმალავთ, რატომ, ვერაფერი გამიგია, რატომ უნდა მეუბნებოდნენ სხვები იმას, რაც მე პირველმა უნდა ვიცოდე!

რაო, იკითხა ისევ ბექანმა და ჯიბეები მოიქექა, ბარათი გაახსენდა, სამინისტროში რომ იბარებდნენ. ქალბატონმა ქსენიამ წუთით იყუჩა, ბექანს გამომცდელი მზერა მიაპყრო და მერე პირდაპირ ახალა:

— ხომ გნიშნავენ მმართველად!

ბექანმა გულწრფელად შეიცხადა, გაელიმა კიდეც და ალბათ საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ქალბატონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსენიას ამის დამადასტურებელი ნაღდი არგუმენტები არ გაეხსენებინა:

— სამინისტროში ხომ დადიოდით, ამ ბოლო დროს ჰალსტუხის გაკეთებაც დაიწყეთ. ადრე ყველაფერს რომ გვიკაკლავდი, ახლა, ბატონო, ორ სიტყვას ვერ დაგაცდევინებს კაცი, არადა მთელი გაერთიანება შენზე ლაპარაკობს...

ბოლოს ბექანი მოლბა, ქალბატონ ქსენიას გამოუტყდა, რომ საქმე ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, დღეს ვარ დაბარებული და ვნახოთო. ჯიბიდან ბარათიც ამოიღო და გამარჯვებული სახით ზევით შემართა. ამან ქალბატონ ქსენიას ისე აუჩუყა გული, რომ ცრემლები გადმოღვარა, ლამის იყო ბეგლაროვიჩიც აატირა:

— არ გინდათ, ბატონო ბექან, არ გირჩევთ, — ლუღლუღებდა ქსენია, — რა თქვენი საქმეა?! ნუთუ აქ ცუდად გრძნობთ თავს, თქვენთვის ხართ მოსვენებული! ვერაფრით ვერ წარმომიდგენია თქვენ და მმართველი? ათას ოხერთან საქმე უნდა გქონდეთ, ამ გაფუჭებულ ხალხს თქვენ მოუვლით?!

მართალია, ბექანი გულის სიღრმეში ეთანხმებოდა ქალბატონ ქსენიას, მაგრამ აწი უკვე გვიანიაო, იმეორებდა დაჟინებით, საქმე საცაა გადაწყდებაო. და წასვლას რომ აღარ აპირებდა, ახლა ის ინატრა ნეტა ჰალსტუხი გამეკეთებინაო. ავალ, გავიგებ, ასე დაჟინებით თუ ლაპარაკობენ ჩემს მმართველად დანიშვნის შესახებ, იქნებ ზევით მართლაც რამეს ფიქრობენო, კვამლი უცეცხლოდ სად გაგონილაო.

ბექან ბეგლაროვიჩმა შეხვეული ყელი მოიშიშვლა და სადაც ჯერ იყო იქით გაემართა.

კონტროლის განყოფილების გამგე კაბინეტში დახვდა, ის ახალგაზრდა სიმპატიური კაცი გახლდათ; როგორც კი ბექანმა თავისი გვარი წარმოსთქვა, ის ფეხზე წამოდგა, ბეგლაროვიჩს ხელი დიდის ამბით ჩამოართვა და დაბრძანდითო, სკამზე მიუთითა, მერე თვითონაც დაჯდა, საქაღალდე გახსნა, ბექანის წერილი ამოიღო და წინ დაიდო.

ბექანს რატომღაც წერილის დანახვისას ტანში გააჟრჟოლა, ყელი აეწვა და გულში ისეთნაირად გაჰკრა რაღაცამ, კინაღამ სული შეეკრა, ერთხანს ოთახი ირწეოდა და ბეგლაროვიჩი გრძნობდა არტერიებში სისხლის მომატებულ ჩქეფვას.

— მეტად საინტერესო წერილია, — დაიწყო ახალგაზრდა კაცმა და წერილის ფურცლები გადაშალა, — საქმიანი, კრიტიკულიც, ოდნავ იუმორითაც შეზავებული, არა, ბატონო ბექან? — გაიღიმა და დასძინა: — განსაკუთრებით აი, ეს... „ლურჯა სახედრების“ საამქროს შესახებ.

ბექანი ღიმილითვე დაეთანხმა, გრძნობდა, რომ ახალგაზრდა კაცი სათქმელს ვერ ამბობდა, წერილზე პასუხის გაცემა უჭირდა. ერთხანს წერილის გარშემო ტრიალებდა, ბოლოს თბილისის „დინამო“ ახსენა, ეკონომიურ სტიმულირებას დაუკავშირა, წლევანდელი სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარესო...

— თქვენ ხომ გიყვართ ფეხბურთი?— ჰკითხა ბოლოს და თვითნოვე გასცა პასუხი: — ალბათ გიჟდებით, არა, ბატონო ბექან?! ფეხბურთი კაცობრიობის შესანიშნავი მონაპოვარია, ფენომენია, ფეხბურთი რომ არ იყოს, რით უნდა გაერთოს კაცი?

ბექანი იჯდა და უსმენდა, ხშირად გაუღიმებდა ხოლმე.

ახალგაზრდა კაცი ერთ ხანს ფეხბურთზე ლაპარაკობდა, ბოლოს სათქმელს დაუბრუნდა, ბექანს მეგობრულად შეავლო თვალი და რამდენადმე თხოვნით, რამდენადმე რჩევით, რამდენადმე ბრძანებით, რამდენადმე საკუთარი გამოცდილების კარნახით უთხრა, რომ ეს თქვენი მეტად საინტერესო მეგობრული წერილი ტრესტს გადავცეთო და განმარტების მიზნით დასძინა:

— ბატონო ბექან, ეს თქვენი მეტად საქმიანი და დროული წერილი დიდ სამსახურს გაუწევს ტრესტს, რამდენადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის კურსში ვარ, ახლა იქ არჩევენ თქვენი გაერთიანების მმართველის კანდიდატურას, ეს წერილი სახელმძღვანელოდ გამოადგებათ, ასე არ არის ბატონო ბექან?

ასეა, ასეო, დაუქიცინა თავი ბექან ბეგლაროვიჩმა ღიმილით, ის ნასიამოვნები იყო ახალგაზრდა კაცის ასეთი მეგობრული, კეთილი დამოკიდებულებით.

— თქვენ რაიმე კონკრეტული თხოვნა ხომ არა გაქვთ? — გამოკრთა წუთით მომნუსხველი სხივი ახალგაზრდა კაცის თვალში.

ბექანმა თავი გააქნია, ნერწყვი ჩაყლაპა, რადგან ყელი ისევ აწუხებდა და სანდომიანად გაუღიმა.

ამით საუბარი დამთავრდა, ახალგაზრდა კაცი ფეხზე წამოდგა, ბექანი კარამდე მიაცილა, კარგად ბრძანდებოდეთო და ხელი დიდი მოკრძალებით ჩამოართვა.

ბექანი კმაყოფილი იყო, დაწესებულებისაკენ მიმავალი თავისთავს ეკამათებოდა, ლანძღავდა კიდეც — მეტი ფხა რომ ვერ გამოიჩინა, ამისთანა კარგი მომენტი ხელიდან გაუშვა და მეგობრულად განწყობილ კაცს სათქმელი პირდაპირ არ უთხრა. „თუმცა, — ფიქრობდა ბექანი, — შეიძლება ასე სჯობდეს, მთავარი საქმე გაკეთებულია, ტრესტში სამინისტროდან რომ მივა ქაღალდი, უფრო დაინტერესდებიან და საქმეს გულისყურით მოეკიდებიან. იქ კი, ნამდვილად მეტი მმართებს, ჩემი ძალა თუ არ იგრძნეს, ისე არაფერი გამოვა“.

ბექან ბეგლაროვიჩმა აღარ იცოდა საით წასულიყო, იდგა იმ ადგილას, ერთხელ რომ დააცემინა და აქეთ-იქით უაზროდ იყურებოდა. შინ წასვლა ჯერ ადრე იყო, სამსახურში მისვლაც აღარ უნდოდა, იცოდა, იქ ქალბატონი ქსენია სულმოუთქმელად ელოდებოდა, ისიც იცოდა, რომ ქსენიას უკვე მთელი გაერთიანებისათვის ექნებოდა მოდებული, ბექან ბეგლაროვიჩი ზევით დაიბარეს, მმართველად ნიშნავენო. „როგორც ჩანს, მართლა ვერ იშოვნეს კაცი მმართველად რომ დანიშნონ, თორემ ამდენხანს არ გააჭიანურებდნენ“, გაუელვა ბექანს.

შინ რომ მივიდა, ბექანი ფეხზე ძლივს იდგა, დივანზე მიწვა და ოხვრა-კვნესით ჭერს მიაპყრო თვალი. ბავშვები დაფაცურდნენ, ცუნცულა შვილიკომ ტაშტი მოურბენინა, სოდიანი თბილი წყალი მოუმზადა და ხახაში გამოავლებინა. ბექანს ოდნავ მოეშვა, ახლა გრძნობდა, რომ სიცხე ჰქონდა, შუბლი უხურდა და ოფლს ასხამდა, გულიც აწუხებდა.

დაცდილი ჰქონდა ბექანს, როცა ძალიან უჭირდა, ან საქმის გამო სამსახურში უნდა დარჩენილიყო, ცოლიც ზუსტად მაშინ იგვიანებდა; ახლაც ასე მოხდა, ბექანს გაახსენდა, დილით ცოლმა რომ გააფრთხილა, დღეს პოეტებთან გვაქვს შეხვედრა, დამაგვიანდებაო. არადა ბექან ბეგლაროვიჩს ოცდათვრამეტნახევარი გრადუსი სიცხე ჰქონდა. ტახტზე გაშოტილი იწვა, ხელი მკერდზე მიედო და ღრმად სუნთქავდა. მას ახლა სამსახურის საქმეები აწუხებდა: მე თუ ლოგინში ჩავწექი, ვინ დააჯამებს გეგმებს, ვინ მოაბამს საქმეს თავსო.

ბავშვები სამზარეულოში ფუსფუსებდნენ, მამას ხელს არ უშლიდნენ, მაგრამ ბექანის თვალებს რული არ ეკარებოდა, ხან მმართველის მოადგილე ედგა თვალწინ, ხან ქალბატონი ქსენია და ხანაც ის ახალგაზრდა კაცი, დღეს რომ შეხვდა და კარგად მიიღო.

ცოლი აღტაცებული, მხიარული და ბედნიერი დაბრუნდა, მხიარული საღამო იყოო, პოეტებმა ბევრი კარგი ლექსი წაგვიკითხესო. ბექანს, მართალია, ყელი და გული ისევ აწუხებდა, მაგრამ ცოლის მხიარულმა განწყობილებამ მასაც მოუბრუნა გუნება, საკუთარი ტკივილები გადაავიწყა და ცოლს გული გადაუშალა, გაერთიანების მმართველად მნიშნავენო და არ ვიცი როგორ მოვიქცეო. ეს მაშინ უთხრა, როცა ფისომ, ოდნავ ნაწყენმა, ოდნავ გაბრაზებულმა, ოდნავ მხიარულმა და ოდნავ მზრუნ-

ველმა შუბლზე ხელი რომ დაადო, ხახა დაალებინა და უთხრა:

— რატომ მყავხარ ასე სუსტი და უხერხემლო, რა დროს გაციება იყო?!

ბექომ თვალები მილულა, ესიამოვნა ცოლის გრილი ხელი და წაიდუდუნა, იცი ფისო, მმართველად მნიშნავენო და მთელ თავის თავგადასავალს შეუღამაზებლად მოუყვა, რა თქმა უნდა, წერილი არ უხსენებია, იმაზე კი გაამახვილა ყურადღება, მთელი გაერთიანება ჩემს მმართველად დანიშვნაზე ლაპარაკობსო.

ქალები უმთავრესად ალღოიანები არიან, არც ბექანის ცოლს აკლდა გრძნობიერება და გეშის აღება, ბექოს ნათქვამი სასაცილოდ არ ეყო, რატომ მყავხარ ასეთი ბრიყვი, ასეთი მიამიტიო, ვინ დაგნიშნავს ბექო შენ მმართველად, ვინ!

ბექო შინაგანად ეთანხმებოდა ცოლს, ისიც კარგად იცოდა, რომ მმართველის სკამზე ჯდომა მისი საქმე არ იყო, ცოლშვილს მიჯაჭვული კაცისთვის ძნელი იყო რაიმე გაბედული ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ თავისი ცხოვრების ამ აგორებულ ბედისტრიალს ის უკვე ველარ შეაჩერებდა, ველარ დაუჭერდა მუხრუჭებს, უნდა მიჰყოლოდა, უნდა ემარჯვა, უნდა გადაელახა ცხოვრების მიერ აღმართული, რიდის, პატიოსნების, კარჩაკეტილობის, მცირედი კმაყოფილების ხელშეუხებელი ბარიერი.

დილით ბექანი კარგად გრძნობდა თავს. ავადმყოფობისათვის ან კი სად ეცალა — ბავშვები ჰყავდა სკოლაში წასაყვანი, სამსახურშიაც უამრავი საქმე დაუგროვდა და რაც მთავარი იყო, ვინ იცის, რა დროს დაუძახებდნენ, რა დროს დასჭირდებოდათ ბექან ბეგლაროვიჩის დიდი გამოცდილება და ცოდნა. ყელი კარგად შეიხვია, სტრეპტოციდის ერთი აბი ჩაყლაპა და სამსახურს მიაშურა.

მთელს გაერთიანებაში უკვე აღარავინ მალავდა, რომ ახალ მმართველს ნიშნავენ. ბევრი დაჟინებით ამტკიცებდა, მმართველი ბეგლაროვიჩი იქნებაო, მეორენი ეჭვიანობდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ ეს ამბავი. ხოლო თვით მმართველის მოადგილე გაოცებული შლიდა ხელებს, საიდან მოდის ეს სულელური ჭორებიო. იმ დღეს მოადგილემ რამდენიმეჯერ დაიბარა ბექან ბეგლაროვიჩი, იქნებ თვითონ გამარკვიოს რაშია საქმეო, მაგრამ ვერაფერს გახდა, ბექანს სიტყვაც არ დასცდენია მმართველად მნიშნავენო, ის ისეთივე მორიდებით და კრძალვით შედიოდა კაბინეტში, როგორც ყოველთვის, შორიახლო დგებოდა, მორჩილად ეთანხმებოდა მოადგილეს. იყო ასეთი შემთხვევაც, ბექანთან პენსიონერი თანამშრომელი მივიდა და მმართველობა წინასწარ მოულოცა, ბექანმა შეიფერა, ჯერ ადრეა შე კაცო, დაიცადეო, მაგრამ მმართველის მოადგილემ რომ დაუძახა, ჩვეულებრივად დაფაცურდა და კაბინეტის კარი მორიდებულად შეაღო.

ბექანი ადრე თუ თავისუფლად შედიოდა მმართველის ცარიელ კაბინეტში, საჭირო საქმეების მოსაძებნად, ახლა მორიდებულად იქცეოდა, არავინ იფიქროს კაბინეტს უკვე დაეპატრონაო. მაგრამ ერთხელ მაინც მოუხდა მმართველის გამოკეტილ კაბინეტში შესვლა. ახლა სხვა თვალი მოავლო ვრცელ კაბინეტს და უცბად ძრწოლვამ აიტანა, კედელს აეკრა და თვალი მოხუჭა, ასე იყო ერთხანს; ნერვები რომ დაიმორჩილა და დაწყნარდა, თვალები ისევ გაახილა, ყველაფერი ძველებურად, თავის ადგილზე იყო, საწერი მაგიდა, მასზე მიდგმული გრძელი მაგიდა, კარადები, მმართველის სავარძელი, რომელშიაც არაერთხელ ჩამჯდარა ბექანი, მაგრამ არასოდეს არაფერი უფიქრია, ახლა კი ფეხები არ ემორჩილება სავარძელთან მისასვლელად. ბექანი ერთხანს სურვილით ანთებული თვალით მიჩერებოდა სავარძელს, მერე ფეხი მძიმედ გადადგა და მიუახლოვდა, სავარძელში ფრთხილად ჩაეშვა, გახედა კაბინეტს, გაეღიმა, რატომ ეღიმებოდა თვითონაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მიხვდა, რაღაც ნეტარი განწყობილება დაეუფლა, სიგარეტის მოწევა-გაბოლება მოუნდა, როგორც ამას ყოფილი მმართველი აკეთებდა ხოლმე, სავარძელში უფრო მოხერხებულად ჩაჯდა, მერე მაგიდას სახელო გადაუსვა, მტვერი გადაწმინდა და ჩაფიქრდა — არაერთხელ ყოფილა აქ თათბირის დროს, გრძელ მაგიდასთან კოლეგიის წევრები: ქარხნის უფროსები, მთავარი ინჟინრები, საამქროს უფროსები ისხდნენ ხოლმე. მმართველის მარჯვნივ ბექანი იჯდა, წინ სქელი საქაღალდე ედო, მმართველს თვალებში შესცქეროდა, საჭიროების შემთხვევაში საქაღალდეს ხსნიდა და ესა თუ ის საქმე ამოჰქონდა, მმართველს მარტო ხელის გამოწვდენა სჭირდებოდა, ბექან ბეგლაროვიჩი უშეცდომოდ აწვდიდა საჭირო ფურცლებს...

იმ საღამოს ბექან ბეგლაროვიჩი კვლავ მიადგა ყურის მეზობლის მუხის კარებს, ამჯერად ვალიდოლი სთხოვა. მეზობელი ამან უფრო გაამხიარულა, ვიდრე ერთხელ ჰალსტუხის სათხოვნელად რომ მივიდა ბექანი. „დაგჭირდა ხომ, დაგჭირდა ხომ?!“ გაიმეორა რამდენიმეჯერ მეზობელმა და პიჯაკის გულის ჯიბიდან ვალიდოლის შუშა ამოიღო, ერთი აბი გაუწოდა ბექანს, ენის ქვეშ მოიმწყვდიე და წუწნეო. ვალიდოლი კარგია, ამით მიდგია სულიო, მუდამ ჯიბეში იქონიე, ნუ გეშინია, არაფერს არ გავნებსო და ბოლოს ისევ მიაყოლა: — დაგჭირდა ხომ, დაგჭირდა ხომ?!

სამმა დღემ მოლოდინსა და ოხვრა-წუწუნში გაიარა, ბექანს თვალი სამინისტროსაკენ ეჭირა, აი ახლა გამომიძახებენ, აი, ახლაო. მაგრამ გამოძახების ბარათი არსად ჩანდა, ამაოდ იჭვრიტებოდა ბექო საფოსტო ყუთშიაც. არადა ლოდინისაგან კალაპოტიდან იყო ამოვარდნილი, საქმეს გულს ვერ უდებდა, ავად იყო და ლოგინში ვერ წვებოდა. ისეთ გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა კაცმა აღარ იცი რა მოიმოქმედო, საით წახვიდე. ამ გამოუვალ მდგომარეობიდან ბექან ბეგლაროვიჩმა ყველაზე გონივრული გზა აირჩია — გამოძახებას აღარ დაელოდა და სამინისტროსაკენ მიმავალ გზას დაადგა. ფეხებს კი მიჰყავდა ბეგლაროვიჩი, მაგრამ გული უკან ეწეოდა, რამოდენიმეჯერ შეჩერდა კიდეც, უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, გონება ერთსა და იმავეს დაჟინებით კარნახობდა — უკან დასახევი გზა არა გაქვსო და ფეხები კვლავ სამინისტროსაკენ მიაქანებდნენ. ვისთან მიდიოდა, ან ვინ უნდა ენახა და რა უნდა ეთქვა, არ იცოდა.

სამინისტროს დერეფანში მყუდროება სუფევდა, გამოხურული კარები პირქუშად გამოიყურებოდნენ, ბექანი ფეხაკრეფით უახლოვდებოდა თვითეულ კარს და იქვე მიკრულ აბრებს კითხულობდა, იქნებ ვინმე ნაცნობი აღმოვაჩინოო. ამოიკითხავდა რომელიმე გვარს, მერე ერთხანს იდგა და ფიქრობდა, ნეტა ვინაა, რა ნაცნობი გვარიაო. ამასობაში კანცელარიას მიადგა. მართალია, კანცელარიაში შესვლას და კითხვას არ აპირებდა, ჯერ ნაცნობი ვინმე უნდოდა მოენახა, მაგრამ ფეხებმა იმარჯვეს და ბექანი კანცელარიაში შეალასლასეს.

თქვენი წერილი ამჯერად ერისთავს დააწერესო, უთხრეს კანცელარიაში და ის იყო კვლავ დერეფანში აპირებდა გამოსვლას, რომ გურამის ხმა შემოესმა, ბეგლაროვიჩი შემკრთალი ამოეფარა კარს და გაიტრუნა. ეს ისე თავისთავად და დაუფიქრებლად მოხდა, რომ ბექანს თვითონვე გაუკვირდა, რატომ ვიმალებიო. მაგრამ ჰქონდა ამას თავისებური გამართლება, მას ყელში ამოუვიდა გურამის გაუთავებელი ძახილი „ბატონო ბექან, დავიტანჯეთ ბატონო ბექან“. მართალია, ბექანი ირონიას და თვალთმაქცობას ვერ გრძნობდა, ნათქვამს პირდაპირი გაგებით იღებდა, მაგრამ ახლა, სამინისტროში გურამთან შეხვედრა ნამდვილად არ უნდოდა. იცოდა, მისი კეთილისმყოფელი გურამი ჰკითხავდა, ვისთანა ხარ, როგორ არის საქმეებიო. ბექანი კი ვერაფერს უპასუხებდა, ამი-

ტომ ამოეფარა კარს, გონებამ ყველაფერი თვალისდახამხამებაში განსაზღვრა. გურამი კი მხიარულად ხითხითებდა, ხელში ჩვეულებისამებრ გასაღებებს ატრიალებდა და ვილაცას დიდი ამბით ემშვიდობებოდა, მერე კანცელარიაშიც შემოიხედა, როგორა ხართ გოგოებოო? — დაიძახა შინაურულად და მალე მისი ფეხის ხმა დერეფნის სიღრმეში მიილია. ბეგლაროვიჩმა შუბლზე გამოჟონილი ოფლი მოიწმინდა, საფარიდან გამოვიდა და ერისთავის კაბინეტს მიაშურა.

ერისთავი შუბლშეკრული დახვდა ბექანს, ეს რა დაგიწერიაო, მიახალა. ბექანი დაიბნა, აქ არ მოელოდა პანტელეიმონ ერისთავთან შეხვედრას, ერთ დროს ისინი ერთად მუშაობდნენ „კანალტრესტში“, მაშინ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და ახალგაზრდობის საუკეთესო დროს ერთად ატარებდნენ, კინოფილმებით იყვნენ გატაცებულები, ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს ახალ-ახალ კინოფილმებს ერთად ნახულობდნენ. ერთხელ მივლინებაშიც იყვნენ ქალაქ ცხაკაიაში. პანტელეიმონი კარგი ოჯახიშვილი გახლდათ, თავისუფალი და ლაღი ბუნებისა იყო, უცბად უახლოვდებოდა ადამიანებს და სათქმელსაც ყოველგვარი მორიდების გარეშე ამბობდა. პანტელეიმონი მალე დაოჯახდა, მერე სხვა დაწესებულებაში გადავიდა. ერთხანს ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მერე და მერე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბექანმა გაერთიანებაში დაიწყო მუშაობა, ერთმანეთს თვალთახედვიდან დაეკარგნენ. პანტელეიმონი რამდენიმე წლით საზღვარგარეთაც იყო სამუშაოდ. მოკლედ, დიდი ხნის შემდეგ ბეგლაროვიჩი დღეს პირველად შეხვდა პანტელეიმონს. მართალია, ბექანმა რამოდენიმეჯერ დააპირა მოეძებნა, ძველი ნაცნობობა აღედგინა, მაგრამ ამისთვის ვერც დრო გამოძებნა და ვერც ის ბარიერი გადალახა, რომელიც დრომ და ცხოვრებამ მათ შორის აღმართა. იჯდა ახლა ბექან ბეგლაროვიჩი პანტელეიმონ ერისთავის კაბინეტში იჯდა, სიცხისაგან წითლად აპრიალებული სახით შესცქეროდა ყმაწვილკაცობის ამხანაგსა თუ მეგობარს.

პანტელეიმონი გაოცებული ატრიალებდა ხელში ბექანის წერილს და ერსა და იმავეს კითხულობდა:

— ეს წერილი რამ დაგაწერინა, რად გინდოდა, რა საჭირო იყო?

ბექანი იჯდა და ხმას არ იღებდა, შუბლზე ცივ ოფლს ასხამდა, ყელს საერთოდ ვერ გრძნობდა და გულის არეში კი გამჭოლად ჩხვლეტდა რაღაც.

პანტელეიმონი ფეხზე წამოდგა, ფრიად აღშფოთებული გახლდათ. ჩვენ მეგობრები რომ ვართ და შენი ხასიათი ვიცი, ამიტომ გეუბნები პირდაპირო, ეს წერილი არაფრის მაქნისია, რა გინდოდა, ვის ებრძვი, რას თხოულობ, კაცი ვერ გაიგებსო:

— აი, აქ რომ წერ, „ლურჯა სახედრები“ აღარ საღდება და ამ საამქროს ხარჯზე უნდა გადიდდეს „ნაცარქექიების“ და „ქოსატყუილების“ გამოშვება, კი ბატონო, ვინ გიშლით, გაერთიანება თქვენ გაბარიათ, მთავარი სპეციალისტი შენა ხარ! რამდენჯერ დასვი ეს საკითხი ყოფილი მმართველის წინაშე? აუცილებლად ზემდგომ ორგანოებიდან უნდა მიიღოთ ნებართვა?! გაქვს აქ საქმიანი წინადადებებიც, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ, დასვი ეს საკითხები კოლეგიაზე, თუ არ მიიღებენ მხედველობაში, მერე კი... მერე უკვე ნამდვილად ჩავერევით!

ბექანი უსმენდა და არც უსმენდა, თავბრუ ესხმოდა და თვალებში ჭრელაჭრულები უციმციმებდნენ. პანტელეიმონი კი შთამბეჭდავად განაგრძობდა:

— რაც შეეხება მმართველის დანიშვნას, მართალია, რომ ცოტა დააგვიანდა, მაგრამ იცი, რამდენ რამესთანაა ეს დამოკიდებული? ხომ არ შეიძლება ასე ერთბაშად ვინმეს დანიშვნა, მარტო ის ხომ არ არის მმართველის სავარძელში ჩაჯდე, შეიძლება კაცი პატიოსანიც იყოს, კარგი სპეციალისტიც, მაგრამ მმართველად არ გამოდგეს! აი, მაგალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად შენ, ძალიან კარგი სპეციალისტი ხარ, ზედმიწევნით პატიოსანი, მაგრამ შეიძლება შენი მმართველად დანიშვნა? — ეს ისეთნაირად იკითხა პანტელეიმონმა, რომ ბეჟანს არც სწყენია და არც გაჰკვირვებია, — არ შეიძლება, თუგინდ ერთი მიზეზის გამო: შენ იმდენად კეთილი კაცი ხარ, რომ ვერ დაავალებ თანამშრომლებს, ვერ მოსთხოვ, ვერ დასჯი! ამის გარეშე კი საქმე წინ არ წავა, ხომ ასეა, ვიყოთ გულახდილები?!

ასეა, ასეო, წარმოსთქვა ბეჟანმა და ყოფილი მეგობრისა თუ ამხანაგის დაქინებულ მზერას თვალი მოარიდა. მე არც მითხოვია მმართველის თანამდებობით, გაიმართლა მერე თითქოს თავი ბეჟანმა და გამშრალი ტუჩები გაილოკა.

— არა! — შესძახა პანტელეიმონმა რამდენადმე ალტაცებულმა, რამდენადმე გამარჯვებულმა და თავდაჯერებულმა, რამდენადმე თანაგრძნობით, — არც მიფიქრიაო! ვიცი, შენ ამის კაცი არა ხარ და არც მოითხოვ... — განაგრძობდა ბეჟანის დასტურით ალტაცებული პანტელეიმონი და უცბად იმდენი რამე თქვა, ბეჟანისთვის იმდენი ახალი ამბავი, რომ ბეგლაროვიჩმა ვეღარც კი მოასწრო რომელიმეზე გონება გაემახვილებინა და სათანადო აზრი გამოეტანა. მაგრამ ბოლო წინადადებამ კი ნამდვილად შესძრა ბეჟან ბეგლაროვიჩის სული და გონება, გულმა ისეთნაირად გაჰკრა და ისეთი მწვავე ტკივილი იგრძნო, რომ ერთხანს ხმას ვერ იღებდა. ბოლოს ძალლონე მოიკრიფა, სული მოითქვა და ლაპარაკის სალერღელაშლილი პანტელეიმონი კითხვით შეაჩერა: — ვის, ვის ნიშნავენ მმართველად?!

— ქუტიძეს, აბიბო ქუტიძეს! — გაიმეორა პანტელეიმონმა და ბეჟანს გაკვირვებული მიაჩერდა, არ მისმენ თუ რა გემართებაო. მერე თითქოს მიხვდა ბეჟანის შეკითხვის აზრს, მარჯვენა ხელი ზევით შემართა და მენტორული ტონით დასძინა: — ნუ უჯერებ შენ ხალხის ლაპარაკს, ენას ძვალი არა აქვს, რასაც უნდა იმას იტყვის! რა თქმა უნდა, ჰქონდა შეცდომები, მაგრამ შეცდომა ვის არ მოსვლია?! დავეხმარებით, კონტროლს გავუწევთ, თქვენც მხარში ამოუდექით, ინტრიგანობას და შეჭმას ნუ კი დაუწყებთ... აბიბო ავთანდილოვიჩი ბრწყინვალე ხელმძღვანელია! სწორედ ასეთი კაცი სჭირდება თქვენს გაერთიანებას...

— უკვე დანიშნეს?—იკითხა ათრთოლებული ხმით ბეჟანმა და თვითონაც მიხვდა ამ კითხვის უაზრობას. პასუხისთვის ყური აღარ უგდია. ფეხზე წამოდგა და კარს მიაშურა. აღარაფრის მოსმენა აღარ უნდოდა. ახლა მას შინ მისვლა ეჩქარებოდა, ცოლ-შვილის ნახვა მოუნდა ძლიერ, თვალებში ცრემლი ჩაუდგა და გული დაუმძიმდა. აღარაფერზე ფიქრობდა, უხმოდ, ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი და ქუჩაში მიმავალ ხალხის ნაკადს შეუერთდა. მალე სახლის კარიც შეაღო, ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა, როგორც კი ქმარს თვალი შეავლო, შესძახა:

— ბეჟო, რა კარგია რომ მოხვედი! ბავშვებს შიათ, პურია მოსატანი!

ახლავე, ახლავე ფისო, ცოტას დავისვენებო, შეეხმიანა ბეჟანი და საერთო ოთახში შევიდა. ბავშვები ტელევიზორის წინ ისხდნენ და დიდრონი თვალებით მულტფილმს შესცქეროდნენ.

ბეჟანი უხმოდ წალასლასდა, სავარძელში ჩაესვენა და ეკრანს უაზროდ მიაჩერდა.

მულტფილმი მალე დამთავრდა, დიქტორმა, გადაცემა „ჯანმრთელობა“ მოისმინეთო და ეკრანზე თეთრხალათიანები გამოჩნდნენ, საოპერაციო მაგიდის გარშემო ტრიალებდნენ, მერე მფეთქავი გული გამოჩნდა...

— ბეჟანს თვალყებზე თეთრი ლიბრი გადაეფარა, პირი დააღო — რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა ვერ გამოსცა, უკანასკნელად ღრმად ამოისუნთქა და მორბილად მიესვენა სავარძელზე.

— ბეჟო, ბეჟო, ჩქარა, მოიტანე პური! — დაიძახა სამზარეულოდან ცო-

ბიბლიოთეკა

ლმა, მაგრამ ბექან ბეგლაროვიჩს უკვე აღარაფერი ესმოდა.

მეორე დღეს ორი ახალი ამბავი უცბად მოედო მთელს გაერთიანებას: ბექან ბეგლაროვიჩი გარდაიცვალაო და ახალი მმართველი დანიშნესო. გაოცებული თანამშრომლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ ეს როგორ მოხდაო. ბექანის მომხრეები აღშფოთებულებიც კი იყვნენ, დაეცლიათ იმ კაცისთვის გაციება, მერე დაენიშნათო.

— მაინც რამ მოკლა ის უბედური?— კითხულობდნენ სხვები.

— ხომ იცით ჩვენი ტელეგადაცემების ამბავი, — უკვე მერამდენედ ჰყვებოდა ქალბატონი ქსენია,—მივიდა თურმე ის უბედური შინ დაღლილ-დაქანცული და ტელევიზორი ჩართო, ცოტას დავისვენებო. ტელევიზორში თურმე ეს მოსასპობი გულის ოპერაციას უჩვენებდნენ: გაჭრეს გულისფიცარი, ამოიღეს, ასეა, აა, აფართქალებული გული და დაუწყეს ქლვლიმა... ამის შემყურეს გული გაგისკდება, აბა, რა მოგივა?!

ბექან ბეგლაროვიჩის სიკვდილზე უფრო მეტს ილაპარაკებდნენ, რომ მისი გარდაცვალება უფრო დიდ ამბავს არ დაეჩრდილა — გაერთიანებაში ახალი მმართველი მოვიდა. მოლოდინით დაღლილ ხალხს ბექანი მალე გადაავიწყდა და ახალ მმართველზე იწყეს საუბარი. კარგი კაციაო, ამბობდნენ ერთნი ხმამაღლა, კარგიაო, ეთანხმებოდნენ მეორენი, მაგრამ გულში დასძენდნენ, კარგი მოუვა მაგის პატრონსაო, ძველ ადგილას ხომ გამოძლა, არც ჩვენს გაერთიანებას დააკლებს ხელსო.

ახალ მმართველს გურამმა მოახსენა: ბექან ბეგლაროვიჩი გარდაიცვალა, ჩვენი მთავარი სპეციალისტი, კარგი კაცი იყო საწყალიო.

— უჰ, — შეიცხადა ახალმა მმართველმა, — რამ მოკლა, ხომ არ სვამდაო?

არა ბატონო, მაგის სმა არავის გაუგონიათ.

— ბევრს ეწეოდა ალბათო?!

— თამბაქოს საერთოდ არ ეკარებოდა ის უბედურიო, — გაასავსავა ხელები ქალბატონმა ქსენიამ.

ახალი მმართველი შეცბა, უნდოდა ეთქვა, მაგას მოუკლავს რომ სვამდა და სწევდაო, ახლა აღარ იცოდა რა ეთქვა, ერთხანს გაოცებული შესცქეროდა თვალცრემლიან ქალბატონ ქსენიას, მერე მოადგილეს შეხედა და იკითხა: — აბა, რამ მოკლაო?

ქალბატონი ქსენია თითქოს ამას ელოდებოდა, პასუხი არ დააყოვნა: — ტელევიზორთან იჯდა დაღლილ-დაქანცული, გაჭრეს გულისფიცარი, ამოიღეს აფართქალებული გული, ასე, აა, და ქლვლემა დაუწყეს, ინფარქტი დაარტყამდა, აბა, რა იქნებოდა!!

ახალმა მმართველმა გულთან ახლოს მიიტანა ბექან ბეგლაროვიჩის უდროოდ იმ ქვეყნად წასვლის ამბავი, ის გამოცდილი კაცი გახლდათ და იცოდა, ჭირში გაწეული დახმარება მას საკეთილდღეოდ წაუძღვებოდა წინ — თანამშრომლების სიყვარულს და პატივისცემას დაიმსახურებდა. გურამს გასვენების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაავალა, ქსენიას — ფინანსური საკითხების მოგვარება, მეც არ მომერიდოთ, ყველაფერში გამომიყენეთო.

ბექან ბეგლაროვიჩი შაბათ დღეს მიაბარეს მიწას, გასვენებაზე მთელი გაერთიანების ხალხი მოვიდა, ახალი მმართველის გარშემო ტრიალებდნენ, უჭვრიტინებდნენ და ჭორაობდნენ:

— ეს გურამი, ასე უცებ, როგორ დაუძმაკაცდა? — კითხულობდნენ ერთნი.

— ალბათ ძველი ნაცნობები არიან,— ამბობდნენ მეორენი.

— ქსენიას რაღა უნდა, მმართველს რომ არ შორდება?! — ქირქილობდნენ ქალები.

გასვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე კიდევ ერთხელ გადაევლო გამოცოცხლების ტალღა გაერთიანების თანამშრომლებს—„ვოლგით“ ყოფილი მმართველი მოსრიალდა. ის გაჯგიმული შევიდა სადარბაზოში; როცა უკან გამობრუნდა, ახალ მმართველს მიუახლოვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარადულად ჩამოართვა ხელი და გულმხურვალედ შეიცხადა: — ეს რა მოსვლია ამ უბედურს!

ქალბატონი ქსენია ერთხელ კიდევ აცრემლდა, გურამმა ხელები გაშალა. შორიახლოს შემოკრებილი გაერთიანების თანამშრომლები კი გახევებულპირდაღებულები შესცქეროდნენ ახალ და ძველ მმართველებს.

ბექანი გაასვენეს. მერე ხალხი საბანკეტო დარბაზში ქელეხზე მიიწვიეს, ახალიც და ძველი მმართველიც დაჰყვნენ მასების სურვილს, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობიაო, დიდხანს არ დარჩენილან ქელეხზე, თითო ჭიქა ღვინო წაუქციეს უდროოდ წასულ ბეგლაროვიჩს და წავიდნენ. თუმცა, ეს რომ ასე მოხდებოდა წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა გურამს და სულ სხვა რესტორანში სამარქაფო სუფრა იყო გაშლილი, იქ რამდენიმე შინაური კაცი ელოდებოდა მმართველს.

—ეს ვინ ყოფილა, ეს ვინ ყოფილა!— იძახოდა ახლა გურამის მარიფათით აღტაცებული ახალი მმართველი.

— ვცდილობთ ავთანდილოვიჩ! — მოისაწყლა თავი გურამმა, — ძვირფასი კაცი იყო ბექანი, ჩემი დიდი მეგობარი, ამის მეტ პატივს ველარა ვცემთ.

— მართლაც კარგი კაცი იყო! — დაუდასტურა ყოფილმა მმართველმა, — დაუღალავი მუშაკი, მცოდნე, პატიოსანი!..

— მერე, მოავლო ყველას თვალი ახალმა მმართველმა, — მოსაკლავები ხართ, ნეკროლოგს რომ ვწერდით, გამოირკვა: — ერთი ჯილდოც არ ჰქონდა მიღებული, რა გაგიჭირდათ ასეთი?!

— აბა, აბა! — გულწრფელად შეიცხადა ყოფილმა მმართველმა.

— ასეთ კაცო, — გატეხა პური ახალმა მმართველმა, — ხშირად ეღირსებს უფრო მეტ პატივს ვცემთ, ვიდრე ღირსეულებს!

გურამმა ღვინო ჩამოასხა. დიდხანს ისხდნენ და საუბრობდნენ, ბექან ბეგლაროვიჩის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა წამოატივტივა და მათი სულიერი სამყარო შესძრა, ღვინოს მიეძალნენ.

— რა ვართ ადამიანები! — ამბობდა ერთი.

— წვალობ, წვალობ და... — აქნევდა თავს მეორე, — სანამ ცოცხლები ვართ ვჭამთ და ვძიძგნით ერთმანეთს!

— მაინც ძალიან უცნაური კაცი იყო ბეგლაროვიჩი, — შემოაპარა სუფრას გურამმა, — კაცი ვერ გაუგებდა რა უნდოდა, ამ ბოლო დროს მაინც სულ გამოიცვალა!!

ერთი ამბის გახსენებას, მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მერე ვილაცამ „ლურჯა სახედრების“ საამქრო ახსენა და თანამეინახეები ახითხითა.

— თუ ძმა ხარ, მაგ საამქროს ნუ გააუქმებ!—თქვა ბოლოს ყოფილმა მმართველმა და სიცილისაგან გადმოცვენილი ცრემლები მოიწმინდა, — ამაზე უკეთეს ძეგლს ჩვენ ვერ დავუდგამთ ბეგლაროვიჩს.

— ხანდახან „ლურჯა სახედრებიც“ საჭიროა, სალდება კიდეც! — დასძინა გურამმა.

— არა, ძმაო, მე არაფრის გაუქმებას არ ვაპირებ! — გაშალა ხელები ახალმა მმართველმა.

სუფრაზე მხიარულმა განწყობილებამ დაისადგურა, გურამი ენად გაიკრიფა და მალე გაერთიანების ყოფილი მთავარი სპეციალისტი ბექან ბეგლაროვიჩი გადაავიწყდათ კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო კეშელავა

# დედა

შენ აივანზე ჭიკჭიკებენ ისევ მერცხლები,
შენ აღარა ხარ, შენ არ გესმის მათი გალობა...
მთვარიან ღამით დიდი ეზო დაივერცხლება,
მოწყენილია ჯერაც შენი შთამომავლობა...

ულვთოს ვერ ვარქმევ იმა სოფლად შენს გამგზავრებას,
(ცხრა ათეული წელიწადი აქ გაატარე),
შენი წარსულის გახსენება არ მეზარება,
მაძლევ უფლებას ვესაუბრო დიდს და პატარებს...

საჯაროდ ყველა იმ ღირსების თქმა მეძნელება,
რაც შენ გაგაჩნდა, რაც გამკობდა, რაც შენი იყო,
შენი დედობის და ქალობის მიმბაძველებმა,
მინდა ეს ლექსი გულდადებით რომ წაიკითხონ...

ზოგ-ზოგს სჩვევია მცირე ღვაწლის გაზვიადება,
ეგ მე არ მიყვარს... ერთი კარგი დედა იყავი..
და თუ ვისურვე თქვენი შრომის აფრიალება,
შენ მათ შორის ხარ, ვინც არ არის დასავიწყარი...

შრომით ებრძოდი ყოველდღიურ ჭირ-ვარამს, სევდას,
მხრებს უმაგრებდი თქვენს მეუღლეს, უბანში პირველს,
პირველ ხმის მიმცემ კოლმეურნეს... ბევრს ეცა ელდა,
დარჩა სხვათათვის გულსაწყვეტი და საკვირველი...

მასწავლებლის დიდი როლის რწმენა ასხურე, —
შვილებს და ბავშვებს წვრთნიდნენ შენი ქალიშვილები...
წინდახედული, მართალი ხმით ბევრს ემსახურე,
და დადუმებულს დაგაყარეს ვარდ-ყვავილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭროლათვალება ვაჟი შენი ომიდან არ ჩანს,
არ გაგიმხილეს გულჩვილს დედას დაცემა მისი...
ის უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში დარჩა,
არ იქნებოდა შენი შვილი ძაგების ღირსი;

თქვენს გახსენებას ამშვენებდა ცრემლი, ცახცახიც...
ვალდებული ვარ თქვენს წინაშე თავი დავხარო...
შვილიშვილებს კი ვთხოვ სახალხოდ, წმინდა ხე ცაცხვი
თქვენი საფლავის, თქვენი შუბლის ახლოს ახარონ...

* * *

ამ ორწოხებში, ამ კლდეებში მზე დიდებული
როგორ ჩაღვრილა, დააკვირდი როგორ ლაღანობს.
როგორ უხდება მთა ხეობას დაყუდებული,
ნუ შევჩერდებით, აქ როგორმე არ დავაღამოთ.

მშვენიერებით შემკობილი წმინდა ადგილი,
ღამის ბინდბუნდის ტყვეობაში არ მინდა ვნახო.
როგორმე ჩქარა გავიაროთ, ა, ეს გზაწვრილი,
როგორმე ჩქარა წინდამხვდური კლდე გადავლახოთ.

შიში ნუ გიპყრობს, მეგობარო, მუხლის ღალატის ,
გამაგრდი, გვმართებს არ გვაფრთხობდეს სიმკაცრე გზისა,
ორწოხებიდან შინ დავბრუნდეთ ფერთა ღალადით,
ისე, რომ მხრებზე გვეფრქვეოდეს ნათელი მზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი პირველი

თეკლას დაახლოებით ასე ახსოვდა მამის პასუხი. დედა კი არასოდეს არ იძლეოდა ამნაირ შეკითხვებზე პასუხს, მას ქმრისა ისე სჯეროდა, ყველაფერში ბრმად ენდობოდა, თუ რაიმეს იტყოდა, მის ნათქვამს გაიმეორებდა, ან — მამაშენს ჰკითხე, ის გეტყვისო. მამის შემდეგ თვითონ თეკლა ერიდებოდა გულგასიებულ დედასთან ისეთ რაიმეზე არ წამოეწყო საუბარი, რაც მამის ამბავს ან ნათქვამს მოაგონებდა, ან უიმისობას აგრძნობინებდა, ეგონა, დედას ამით სატანჯველს უმსუბუქებდა.

ბებიას ყველაფერი, რასაც მისი გონება ვერ წვდებოდა, „განგების ნებად" მიაჩნდა და ღვთის საიდუმლოს გაგება — ცოდვად.

V

ალბათ ცოდვილიცა ვარ, — ფიქრობდა გულისტკივილით თეკლა, — როცა მჯიჯგნიდნენ, მჩქმეტდნენ და მსრესდნენ, კი არ ვიწივლე და ვიკივლე, კი არ დავკაწრე და დავკბინე, თითქოს გონება დავკარგე და დავანებე თავი. უმწეო გავხდი. ჩემი სურვილის წინააღმდეგ ჩემს სხეულში ცხელი, მოჰთენთავი და დამთრგუნველი რაღაც გაჩნდა, რომელიც ჩემზე და ჩემს ზურგზე მოწებებულ მოძალადეზე ძლიერი იყო და რამდენადაც მძულდა, მძაგდა და მტანჯავდა ვიღაცის მტკივნეული ხელები და კისერთან მოჭყლეტილი ცხვირის ცხელის სუნთქვა, საყელოში რომ მიმიძვრებოდა და მთელ ხერხემალს დიმდუღრულივით მიწვავდა, იმდენად მბოჭავდა და ჩემს სხეულს ჩემს წინააღმდეგ ამბოხებდა, თუ ჩემი თავისადმი ღალატს მიპირებდა..."

მან ვერ შეძლო მაშინდელი რთული, გაორებული, მძიმე, უჩვეულო განცდის სიტყვით გამოხატვა, მაგრამ გრძნობდა მეტს, ერთმანეთის საპირისპიროს, ქაოსურს, გამოუტანელ სიზმარივით მაჯლაჯუნად აწვა გულზე, რაკი მთელი ძალით ვერ შეძლო თავის დაცვა. აგონდებოდა, მასში რომ გაჩნდა საძაგელი რაღაც, იქნებ ცოდვა, „ეშმაკეული",

გაგრძელება, იხ. „მნათობი", № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც აპირებდა ისედაც ძლიერ ძალადეს მიმხრობოდა.

მას შემდეგ იგი ლამლამობით მოაკითხავდა ხოლმე და კოშმარულ სიზმრად თუ ცხადად მთელი ღამე გულზე აწვა. თეკლა უხმობდა მამუკას და ეხვეოდა, ეხუტებოდა, ეალერსებოდა, რომ როგორმე მოეგერიებინა ის, ვინც აპირებდა მისი მაგივრობა გაეწია.

ღმერთო, როგორ არ უნდოდა, რა თავგანწირვით იშორებდა იმ საძაგელს. ეკვროდა მამუკას, ეფერებოდა, ეფიცებოდა, ერთგულებდა და ზოგჯერ ხელიდან მაინც უქრებოდა, უდნებოდა და ზურგზე ცხლად ეწებებოდა მაჯლაჯუნა, მთელ ტანს უწვავდა და თავდალმა დამხობილს მკერდს მტკივნეულად უჭყლეტდა, გულს უწურავდა და საზარელ, საძულველ, საშიშ რაღაცასთან ერთად იმის მსგავსს ჰპირდებოდა, რაც მხოლოდ მამუკასთან განუცდია.

„თავს მოვიკლავ, — ფიქრობდა მარტოხელა, აზვავებული გრძნობებით გასრესილი უმწეო გოგო, — თავს მოვიკლავ, თუ ვერაფრით ვერ მოვახერხე მოვიცილო ზურგზე მოწებებული ცოდვა“.

მთელი ღამე ბორგავდა და ტრიალებდა, საბანს ძირს აგდებდა, თხელი პერანგის ამარა აპირებდა დაძინებას, მაგრამ იმის შიშით, შიშველს უფრო იოლად დაეპატრონებოდა ეშმაკეული, იატაკიდან აიტაცებდა, შიგ ისე გაეხვეოდა, ცხვირის მეტი არაფერი უჩანდა და შეფუთნული, სიცხეში ოფლად ილვრებოდა. საბნიდან ფეხს რომ გამოჰყოფდა, ეგონა ტერფში გრილი ხელი წამავლესო და შიშით შეაცახცახებდა, მაგრამ ამ შიშს და ცახცახს ისევ ახლდა რაღაც, „თავისივე მოღალატე“, ვინც ფეხის „„ხელიდან“ გამოგლეჯას უშლიდა და ერთხანს ვერ ახერხებდა. მერე ბრძოლით და წვალებით თავს როგორღამე დაიხსნიდა და ფეხს „დაიბრუნებდა“: გრილ კედელს ზურგით აეკვრებოდა, რომ ადგილი არ დარჩენილიყო „ცოდვესათვის“ და ისევ ზურგში ვერ მოქცეოდა, პატარა ვერცხლისფერ კუნძულს, ლურჯ სილას და ცხელ მზეს თვალწარმოიდგენდა, ან წასვლამდე ამ ლოგინში ლამეგათეულ მამუკას მაგრად, „მოეხვეოდა“...

როდის-როდის დილის სიგრილეც დაჰკრავდა და ჩაეძინებოდა.

ბებიამ ყველა დარდი და ტკივილი, მარტოობა და უსიყვარულობა უფრო იოლად გადაიტანა. დედამ ვერა. როგორც კი ქმარი ხელიდან გამოეცალა, რწმენა დაკარგა და წყალდაშრეტილ მდინარესავით ცარიელ კალაპოტში უხმაუროდ და უსიცოცხლოდ იწყო დენა დასასრულისაკენ. იგი არც დასასრულში ელოდება რაიმეს. მამამ მას ისეთ დროს გამოუწოდა ხელი და სიყვარულით შემოსა, როცა დედა ისტორიის ბობოქარ ტალღას უნდა წაელეკა და მათი შეუღლება ჩვეულებრივ მოწონება-შეყვარება და თხოვა-გათხოვება არ იყო, ისინი ერთმანეთისაგან დავალებულნი იყვნენ მთელი სიცოცხლით. როცა რევოლუციამდე დევნილ ქადაგიძეს გაუღეს სხვენის და გულის კარები, მანაც, როცა ძალაუფლება ხელთ იგდო, ზურგი კი არ შეაქცია უკვე საეჭვო წარმოშობის, ნაცდუნებ ქალს. მართალია, იმის მტკიცებაც ეუხერხულა, ჩემი ცოლიც ისაა, რაც მეო, რასაც მაშინ ბევრი იბრალებდა, რაღაც ორი საიდუმლო ბარათის ან გადამალული პროკლამაციის წყალობით. მით უმეტეს, დედას არც ეს ებადა, გარდა იმისა, რომ უყვარდა ეს ადამიანი, ენდობოდა მას. და რაც მას წმინდად მიაჩნდა, მისთვისაც რწმენა იყო. ბებია კი ამ მხრივ „ბედნიერი“ იყო. მას ქმარი არც უყვარდა და არც რაიმე სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ ერთმანეთისათვის. მოხუცმა მდიდარმა კაცმა შეირთო სოფლის ღარიბი დიაკვნის ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი, როგორც გახართობი თოჯინა. თოჯინას კი არავინ ეკითხებოდა, თვითონაც ერთობოდა თუ არა და თუ მას ძვირფასი ყელსაბამი და ოქროს საყურეები შეკიდეს, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მომხიბვლელი ყოფილიყო. ბებიას არაფერი არ გააჩნდა ისეთი, რისი დაკარგვაც ვერ გადაეტა-

ნა და ეს უქონლობა უბედურებაც იყო და ბედნიერებაც. დედა უბედურია, რაკი ერთ დროს ბედნიერი იყო.

მაგრამ ბებიამ რატომ არ გაიჩინა „ქონება“, რატომ დარჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე უპოვარი, მდიდარი ქმრის ოჯახში ხომ როგორც თაფლს ბუზი არ დაელევა, ისე მტერი და მოყვარე უამრავი ირეოდა. ბებიასაც ხომ ჰყავდა თაყვანისმცემლები და „მალმერთებლები“. ვინ, — „ყურძნის სიყვარულით“, ვინ — სილამაზის, ვინ ვნების და შურისძიების, რომ ახალგაზრდა ქალი მოხუცი კაცის ხელში იტანჯებოდა. რამ იხსნა ბებია „ბედნიერებისაგან?“ ყოველ დილით რომ იმეორებს ერთსა და იმავეს, რომლის მნიშვნელობა ხეირიანად არ ესმის, „გმადლობ შენ წმინდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერისა და სულგრძელობისა შენისათვის არა განრისხენ ჩემ უძლებსა და ცოდვილსა ზედა“...

ეს ხომ არ იფარვიდა „უძლებსა“ და „ცოდვილს“ ბებიას „ბედნიერებისაგან?“ ამიტომ ხომ არ ლალადებს ჩიფჩიფით „...და არა თანაწამწყმიდე მე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩვეულებისამებრ კაცთმოყვარე მექმენ მე. და უფსკრულსა შინა სასოწარკვეთილებისასა მდებარე აღმადგინე“...

ეს არ სჭირდებოდა მამას. მას შესწევდა ძალა მის თავზე დატეხილ უსამართლობას შებრძოლებოდა და დევნისა და შევიწროების დროს ეკლესიას კი არა, იმისი სახლის ჭერს შეფარებოდა, ვინც დევნიდა და ჰქონდა რწმენა, მტრის სახლში ბედნიერება ეძებნა, მოძულეთა შორის სიყვარული, ხალხის მოღალატეთა შორის ერთგული. ბებიაკი ბორკილადქცეულ ლოგინს ვერ განშორდა და ძილის წინ შიშველ მუხლებზე დაცემული მოზღვავებულ ქალურ ვნებებს ლოცვით ებრძოდა.

„ღმერთო საუკუნეთაო და მეუფე ყოვლისა არსებისაო, რომელმან ღირს მყავ მე მოწევნად ჟამისა ამისა, მომიტევენ მე ცოდვანი ჩემნი, რომელნიცა ვიქმენ დღეინდელისა დღესა, საქმით, სიტყვით და გულისხმის ყოფით; და განწმინდე, უფალო, მდაბალი სული ჩემი ყოვლისა ბიწისაგან, ხორცისა და სულისა, და მომეც მე უფალო, ღამესა ამას შინა ძილად მისვლა მშვიდობით“..

მამას უთუოდ ამიტომ არ შეეძლო ბებიასათვის ულმერთოება ექადაგა. მორალური უფლება არ ჰქონდა მისთვის „ბედნიერება“ წაერთმია და ხელის გულისტოლა ელპიტეს დედისეული ღვთისმშობლის ხატისათვის, რომელიც კამოდზე საწოლის თავთან ახლაც უსვენია, ღიმილით შეეხედა. ან იქვე, ხატის წინ, გაცრეცილი, გამდნარი ლოცვანი, რომელიც ბებიას თავის სახლიდან მზითვად, იმედად და ნუგეშად ჩამოჰყვა. ღამით, თუ მოხუცის ძილად მისვლისას, ლოცვის ჟამს დაბრუნდებოდა, ოთახში ფეხაკრეფით გაივლიდა, ან კართან შედგებოდა და ისმენდა.

„უფალო შემიწყალე და შემინდვე მე ულირსსა და უხმარსა მონასა შენსა, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან, რათა მშვიდობით დავსწვე და დავიძინო მე უძლებმან. ამინ“.

მოხუცს ალბათ ახალგაზრდობიდან შემორჩა მრავალთა შორის მაინცდამაინც ეს ლოცვა, როცა „უძლებს“, „მშვიდობით დავსწვე და დავიძინო“, არ შეეძლო.

და დილით თვალი „ბედნიერებისაკენ“ რომ არ გაქცეოდა, თავისთავს მოძღვრავდა:

„და განგვწმინდენ ჩვენ ყოვლისაგან შეგონებისა ხორცთასა და სულისა და მოგვმადლე ჩვენ მღვიძარე გონება, გულს — სიტყვა კეთილი, და ყოვლისაგან ღამისა აჟაოსა სოფლისაგან ჩვენ — ზედა მომავლისა საცთურისაგან მიხსენ...“

მამას ნასწავლი ჰქონდა სალვთო სჯული და ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია. დედას ზეპირად უკითხავდა თვით ამავე მოძღვრებაში ერთმანეთის გამაბათილებელ მოსაზრებებს ისე, რომ თავის კომენტარებს არც ურთავდა. ბებიას, პირიქით — როცა ანბანის ძლივს მცოდნე მოხუცს უჭირდა ამოკითხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან არ ესმოდა ძველი საეკლესიო ქართული, უხსნიდა სასაუბრო ხალხური ენით, თანაც პატივისცემით და ღირსებით.

თეკლა უთენია ისევ ფეხზე იდგა. სისხამზე მთელი ღამის ნაბორგები, დაღლილი, აძიგძიგებული და „პური ჩვენი არსობისას“ გზაზე დამდგარი უმწეო და უნუგეშო, იმეორებდა არა მანუგეშებელ, არა იმედის მომცემ, მაგრამ მაინც სიტყვებს, თვით სიტყვის ძალისა და სიტყვის იმედად შთენილი:

„— და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან....“ მაგრამ „ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“, მაინც ვერ აიცდინა, როცა ერთ დილით ბაზარში, ხორცის რიგში გასრესილი, მოთუთიებულ, თუნუქგადაკრულ დახლამდე, ელამი, ლოყებლაქლაქა ყასაბის წინ მიაღწია, ხორცი მის ცხვირწინ გათავდა. თეკლა „განსაცდელის“ წინ დადგა, ჭლექიან დედას და ნამარხულევ ბებიას კვირაში ერთხელ ხორცის წვნიანი როგორმე უნდა გაესინჯათ. ამისთვის დღეს ლექციებიც გააცდინა. თვალი ცრემლებით აევსო და ზონზროხა ყასაბს ისე სასოწარკვეთილი შეაცქერდა, სისხლჭარბი დახლიდარის ალმა-დალმა გაქცეულ თვალებსაც არ გამოჰპარვია, ეს პატარა ვნებიანი „ცოდვილი“ ყველაფერს მისცემდა ერთ კილო მძორში. ქალს, გულისპირზე ჩასობილი ცალი თვალით ანიშნა, ხალხი რომ გაიკრიფება, საყასბოს უკანიდან მოუარეო.

„ნუთუ არსებობს რაიმე ძალა, რამაც ამ ყასაბს ჩააგონა, რომ თავისი მსუქანი მუცლისათვის გადანახული ჩემთვის, ჩემი ფილტვებდაღრღნილი დედისა და ძლივს მოლასლასე ბებიისათვის უფრო აუცილებელია?“ „კურთხეულ არს ღმერთი, რომელი გვწყალობს, და გვზრდის სიყრმით ჩვენიდგან, მისცემს საზრდელსა ყოველსა ხორციელსა“...

თეკლა ღია კარში ფეხის შედგმას არ აპირებდა, თუ „სიკეთეს“ აპირებ, აგერ მომეციო. მაგრამ დარაბაჩამოშვებულ, ბნელ, სისხლითა და ლეშით აყროლებულ საყასბოში, გაზეთში შეხვეული მსუქანი ნაჭერი თაროზე მაცდუნებლად ტყუილად კი არ იდო, ან ხორცის საჩეხი მორიდან მოშორებით ბნელ კუთხეში სისხლიან ხალათს ტყუილა კი არ იხსნიდა, თან აცაბაცა თვალებით რომ ანიშნებდა, მანდ რას უდგეხარ, ვინმე დაგინახავსო.

თეკლამ: შთაგონებული კიი, მაგრამ სადაც კეთილია, იქ ბოროტ თვალსაც ღვიძავსო; როცა დახლიდარი წყლიან სათლზე ხელის დასაბანად დაიხარა, საყასბოში თითის წვერებზე შევიდა, ფული დახლზე დადო და თაროსკენ წაიწია, რომ იქაურობა ჩამობნელდა და საკეტი გაჩხაკუნდა. ყასაბს დაკაპიწებული სველი ხელები გაეშალა და წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა, დედის ცურზე მიშვებული, შვლისთვალებიანი, ჭრელი ხბოს დაჭერისას რომ იცოდა. ღიმილი ჰქონდა ამ „ცოდვილს“, ერთი კვირის მშიერ-მწყურვალს ცხვირთან მიტანილი ცვრიანი მწვადის სუნი რომ დამართებს-ხოლმე. თეკლას ზიზღისაგან ნერწყვიც გაუშრა, როგორც ალბათ გველებით სავსე გომურში თავის შეყოფისას დაემართებოდა და ცივად მიტრიალდა.

— გოგონი, გოგნი გოგონი! — ამოიღმუვლა და საალერსო სიტყვებთან ერთად ქვედა ტუჩზე გადმოღვრილი დორბლი დიდი, წითელი ენით მოილოკა. ხამსხვერპლო, მუხის ვეება, სისხლითა და ტვინით გალიპულ მორს მოადგა, თეკლამ წამით უკან დაიხია, ყასაბიც მკვირცხლად შეტოკდა და როცა „გოგონი“ კარისაკენ გაიჭრა, ხელებგაწვდილმა, ძველი, მივიწყებული სიმკვირცხლით მოინდომა დადევნება, დაკვეთილ სისხლზე თუ ლიპ, გაქონილ ცემენტის იატაკზე მძიმე ფეხი დაუცდა და ჯირკს განიერი მკერდი ჩამოჰკრა, იქიდან ძირს ცალი ბეჭით დაენარცხა.

— გოგონი, გოგონი! — მოესმა ზურგს უკან, როცა თეკლამ თავი კარში გაჰყო და ეს ბოხი, ბრიხინა ხმა მაინც უხსენებლის სისინად მოსდევდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სამშვიდობის გააღწია, მერელა შეზარა.

ბაზრიდან რომ ამოუხვია და ტრამვაის ხაზის გვერდით ტროტუარს დადგა, მუხლები მაშინ მოეკვეთა, ფეხის ხმაც გაიგონა. მძიმე, აჩქარებული, მაგრამ ჩლუნგი და მაინც ქვეწარმავალი მოხოხავსო, ეგონა.

— აგერ, გოგონი... აგერ მშვენიერო! წაიღე, ლამაზო! განა მართლა... განა იმიტომ... ან ამიტომ.... შენი ჭირის სანაცვლო იყოს!...

და თეკლემ იგრძნო, მკლავზე ლორწოიანი გრილი რაღაც შეეხო და ილლიაში ასევე გრილი სიმყრალე ამოუჩარა...

— ვაა, ეს ვინა ყოფილა კაცო! განა მართლა რო... განა ის გითხარი... ან იქა საყასბოში ვინა თქვა!... ან საერთოდა... შენი ღიმილისა იყოს!.. შენი გულისად..

თეკლა კედელს მიეყუდა.

ზიზლი, ზიზლი, ზიზლი ყველაფრისადმი, ყველასადმი, ქუჩაში მოსიარულეთა, განურჩევლად ქალისა და კაცისა, დიდისა და პატარისა; ცისა, მიწისა, ხისა, სახლისა, არაფერი, არაფერი, ყველაფერი, თვით ჰაერიც მხამად და გესლად იქცა.

— დედა შვილო, შეუძლოდ ხარ? — მოესმა შორიდან, — ადამიანის ფერი აღარა აქვს... — წუხდა ვიღაცა და თეკლას არ სჯეროდა, არაფრით არ წარმოედგინა, რომ ქვეყნად იყო კიდევ ვინმე, ვისაც მართლა წუხილი შეეძლო, მართლა შებრალება და გულისტკივილი, და ამას მაინც ამბობდა, ამბობდა, რომ მიეტყუებინა, მიენდო კეთილი სიტყვით და დაეჯიჯგნა, დაესრისა, შეეჭამა, ჩვრად, ნეხვის გასატანებლად გაეხადა. თვითონ მასში, თეკლაში გაეჩინა მოლალატე, მიემხრო და მერე ორივეს გაექელათ და გაერყვნათ.

— დედა, მართლა დაგიკარგავს გონი? — უკვირდა ვიღაცას, თეკლამ კი იცოდა, ვინც გარეგნულად ასე შფოთავდა და წუხდა, მას გუნებაში უხაროდა, უხაროდა, რომ გონწართმეულს და თვალებზე ბინდაკრულს უფრო იოლად დაიმორჩილებდა და უფრო ადვილად გაათახსირებდა. ამის შიშმა უფრო დაუბრუნა აზრი, ვინემ იმის დარდმა, ქუჩაში არ დავეცე, ნატკენი თავი არაფერს დავკრა და არაფერი მომეწიოსო.

მის წინ ჭაღარა, შავოსანი დაბალი ქალი იდგა და თვითონაც გაფითრებულს, ცოდვით ატირებას არაფერი უკლდა.

— დედა შვილო, შვილო დედა! — იმეორებდა და ვერ გაეგო, თუ გოგო გულწასული იყო, ფეხზე რატომ იდგა და თუ ფეხზე იდგა, რატომ პასუხს არ იძლეოდა. ვიღაცეები კიდევ შეჩერდნენ, თუ ეს ქალი გაორდა, გაოთხდა...

— დამანებეთ თავი! — ესლა უთხრა თეკლამ ყველას და მათ თავზემოთ ცარიელ ცას ახედა, სადაც არც ღმერთი იყო და არც კაცი.

— წადით, დაანებეთ თავი! ნუ შემოესევით! — გაკაპასდა შავოსანი, — ადამიანი არ გინახავთ? გული არ შეგღონებიათ? თუ გულის ტკივილი არ იცით, არ გქონიათ და ისაა!..

„ხალხს იშორებს, უნდა დამიმარტოხელოს, სადმე შემათრიოს და კარი ჩამიკეტოს“... ძალგამოცლილი შეედრმერთა:

— წადი, შენც წადი... დამანებე თავი.

— დედა! — შეიცხადა ქალმა, — რავა დავანებო, რა ვუთხრა ღმერთს და კაცს?!

— არავინ, არავინ არ მოგკითხავს პასუხს...

— ღმერთო კი მომკალი! ვისი პასუხის მოკითხვა მინდა შვილო?!

— არ შემიძლია, დამანებეთ... წადით.

— სად? სად ჯანდაბაში წავიდე, ადამიანი უგონოდ მივატოვო, ცოდვა-ბრალი აღარაა?

— აღარაა...

— როგორ არაა დედა... როგორ არაა შვილო, ქვეყანა კი იქცევა, მაგრამ როგორ არაა...

— დასაქცევია და იქცევა...

— რამ გაგიტეხა ასე ახალგაზრდას

ბიბლიოთეკა

გული? ვინ მოიკიდა შენი ცოდვა?.,

— ყველამ... დედაჩემმა, მამაჩემმა, ბებიაჩემმა, მამუკამ...

— რაო, სახლში არ გიშვებენ? დედმამა? ბებია? ბებია ასე ულმერთო შეიძლება? წამოდი ჩემთან, ჩემთან წამოდი შვილო, შენისთანა ანგელოზს შენიანი კი არა, მე რომ ვიგინდარა და უცხო ვარ, მე ჩაგიკრავ გულში. წამოდი შემოგევლე, წამოდი შვილო... წამოდი, დედა-შვილობას! — ქალი დაიხარა, იქვე მიდებულ თავის ჩანთაში რაღაცა ჩაჩურთა. ცალ ხელში მკვირცხლად დაიჭირა, თეკლას მხარში ამოუდგა და ისე წაიჩიქჩიქა, ქორი რომ წიწილას მოიტაცებს.

— მაგათ მე ვასწავლი, მაგათ მე მაცალონ, ივლიტა დაშნიანის ქალს!... ჩემთან დეიდა, ჩემთან ცისიერო, ჩემთან თვალის სინათლევ! ბაღში ხომ არ ჩამოჯდებოდი ივლიტა შემოგევლოს, ხომ არ დაისვენებდი, აგერ, ქუჩის გადაღმა... რა ბაღია, მაგრამ წყალი დაგელია, რამე გეთქვა, გული მოგეოხებია, თუ გინდა, იტირე დეიდა, არ მოგერიდოს, ტირილი შვებაა, ცრემლი ნუგეშია. ჰა, არ გინდა შენს თავს შემოვევლე? კარგი, ნუ გინდა, როგორც გაგიხარდეს, როგორც გეამოს. გინდა ჩემთან, აგერ ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ, ჩემთან წამოდი, წამოწექი, დაისვენე, დაიამე... ცეცხლს დაუწვია ის სახლი და კარი, შენ რომ საკუთრებად არ გერგოს, ნაცარტუტად ქცეულა ის ლეიბი და საბანი, შენ რომ ბუმბულად არ გექცეს, შხამად ქცევია ჩემს შვილს და შვილიშვილს ის ლუკმა, შენ რომ არ გიწილადონ...

თეკლა გონს მოვიდა და რაკი ახლა გაარჩია დედაკაცს შავი კი არა, მუქი ლურჯი, წვრილ თეთრკოპლებიანი კაბა ეცვა, შესახვევში ფეხი არ შედგა.

— წამოდი შვილო, წამოდი, შემოგევლოს ივლიტა დეიდა. დაისვენე, დაივანე, დაწყნარდი, დამშვიდობდი...

— არა დეიდა. სახლში მეჩქარება...

— ვერა დეიდა, შენზე არ გავმწარდე, ასე ქუჩაში ვერ მიგატოვებ!

— ალარაფერი მიჭირს, გამიარა...

— რა გჭირდა, დეიდა?

— არ ვიცი, ალბათ... ავი ზნე, ბნედა, სიკვდილი და არ გადარჩენა.

— შენს მტერს და ორგულს! — კონალამ პირზე ხელი დააფარა დაშნიანმა და ალერსით განაგრძო — ხშირად გემართება, თუ ახლა მოხდა რაიმე უცნაური? მე მითხარი, სიყვარულო, მე მითხარი სიხარულო, მე, ენაგასახმობმა რომ შენი ძვირი მოვინდომო, ვის ვუთხრა, ვინ უნდა იყოს ამის ღირსი?

— ახლა... არა, ამას წინათ, პურის რიგშიც...

— არა, არა, ასე ვერ გაგიშვებ თუ პატრონს არ ჩაგაბარე! თუ ჩემზე მოსიყვარულესთან და ჩემზე ერთგულთან არ მეგულები, არა დეიდა, ივლიტას ეტკინა შენი სატკივარი. არა, დეიდა ივლიტა შეეგება შენს მტერს და ორგულს!..

— ნუ, ნუ შეწუხდებით...

— არა, შვილო, შენ შეწუხებულს გხედავდე და მე სული მედგას? არა დეიდა, წამიყოლე, მიქენი სიკეთე, მეც ადამიანი ვარ, მეც ცოდვა-ბრალის შვილი ვარ!...

თეკლას აღარც იმის თავი ჰქონდა, დაერწმუნებინა ეს კეთილისმყოფელი, რომ მარტოდმარტო სახლამდე როგორმე მიაღწევდა და სახლამდე კი არა, სიცოცხლის დასასრულამდე მარტო უნდა ევლო, რაკი მამუკასი აღარაფერი ისმოდა, რაკი დედა დღედღეზე დაარბლებდა და ძვალტყავად ქცეული ბებიაცას ვერ გამოეკერებოდა.

ქალი სახლის კარამდე არ მოსცილებია და არც მკლავში ხელი გაუშვია, არც სანუგეშო და საალერსო სიტყვა გამოლევია. იქაც, სანამ ბებია არ გამოეგება და დედა ლოგინზე არ წამოჯდა, შიშით სანთლისფერ სახეზე ლოყები რომ წამოუწითლდა და ხველა აუვარდა, ქალი მერეც არ დატოვებდა იქაურობას, მასპინძლებს რომ მისთვის მოეცალათ.

იმ დღეს ელპიტემ წვნიანი, მსუყე შეჭამანდი გააკეთა და უთუოდ დილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭმელი რომ იყავი, გული იმიტომ შეგიღონდაო, არაფრით საშველს არ აძლევდა, ჭამე, ჭამეო, კრიჭამეკრულ შვილიშვილს.

## თავი მეოთხე

I

— ხაზეინჯან, ღმერთი არ არის კაცთ? საქმეც ხომ ადამიანთა... შავი ძაღლი ვერ აიტანს ამდენ თრევას... პაკარინი მოფერი ვარ? ვარ. აი, ივდითსა ჰკითხე, შენს გახარებას. მამიდამენს... ვაჰ, რა ქალია! თავი როგორ უჭირავს! ჯგვონებზ მილიონი ზედა აქვს. ხომ არა გჯერა ხაზეინ, ადექი და ჰკითხე... — მიუბრუნდა ქვაფენილზე მოჯაყჯაყე ტონანახევრიანის კაბინაში დილის ძილგამფრთხალ, უქმურ გუნებაზე დამდგარ ვატუტის საქმო და მანქანა მოსახვევთან შეანელა, — ივდითის ქმარსა ვანოხა... ვანო დურმიშიძეს, მთელი კამბოდის უფროსია, კაცია, ხაზეინჯან! კაცი მინახავს, აგეთი არაფერი, ურტყი, ურტყი, მადლობას გეტყვის, იქნება შაყარიჩიც დაგილევინოს... ერთ დღეს ადექი და ჰკითხე. დღის დექურნობას ღამისაზე ვცვლი, გაგონილა? დღის დექურნობა ღამისაზე გაცვალო? კონკის ცხენივით ფეხზედა მძინავს, დრუნჩზე მეშოკე კი არა მკვდრი, თორე ფეხზე ვიცოხნები, რომ თქვენთან ვიმუშაო, ცხრაზე ჰოსპიტალთან ვარ? ვარ. ეხა კიდევ მომდვთმით და პატრონი მოგიკვდა, ადე საქმო!

— ვინაა? — ამოღერღა „ხაზეინმა“ და პირი უამურად გაამწლაკუნა.

— ჩვენი სტოროჟი — ვაზგენა. ვეუბნები: სიკვდილო, თავი დამანებე.... საქო ხარო, მეუბნება. არა ვარ საქო, ვეუბნები. „საქო ხარ ვიცი, მოხარჩულს და ქინძ-ძმარში ჩაწყობილს გიცნობო..“

— ქინძმარში ლოქო თუ ზუთხი? — ისევ გაამწლაკუნა პირი პირამყავებულმა ვატუტიმ.

— ლოქო, თართი და ზუთხი კიწვი მოგვეცა... შენაო, მეუბნება...

— შენზე ვეუბნება?

— მაშ... კაცო...

— მერე?

— მერე და საქო ხარ პირშავი, მეუბნება. „რათა პირშავი“ ვეუბნები.

— მართლაც რათაო?

— რათათ და იმ ძაღლისკბილა ბებერმა, ადეო. „ჯერ ხომ ისევ ბნელა? — ვეუბნები. „შენს გულში ბნელა, ადე, მაშინას დააჯექიო. „მითომ შენი ჭკუისა ვიყო“, — ვეუბნები; „ჩემი ჭკუისაო,— თავზე ფაშისტივით დამმღერის, — ვიწრო ბამბა გაქვს, ფეხზე მიგიჭერს. ადე, მთელი ღამე ეშელონი სტანციაში დგა, შენამც სიკვდილისთვის მოგიცდიათ“. „ვაჰ, დაჭრილება, ვაზგენჯან?“ — ვეუბნები. „ზურნა“ — მეუბნება, თანაც ძველი მეზურნეა, ხაზეინჯან.

— ჩვენი დირიჟი.

— მაშ, ძველი ნიკოლოზის მაუჩხიანია. მე კიდევ: ვაზგენჯან, მე საქო ვარ. „შენაც ეთიმ გურჯი მყევხარო... ეთიმ გურჯის დოსტია, — „წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდიაო“. ვეუბნები: მე საქო ვარ, ხაზეინი ხაზეინია, შენზე ვეუბნები ხაზეინჯან! „პოეზდი სისხლში დგას, ცეცხლი უკიდია, შენა და ხაზეინი პატრონი აზრანა ხართო“... — ბებერია ხაზეინ, ბებერია, კაკლის ხიმსხო მტკვრის ქვას კბილით გატეხამ, ვაზგენის ძვრას ვერ უზამ!

— ეშელონი გვიან ჩამოსულა?

— ვიცი? სისხლში დგასო, მეუბნება. გამოვიქეცი, არ იცი, რა გული მაქვს ეს ოხრად დასარჩენი, ჰოსპიტლამდე სული ძლივს მოვიტანე.

— ბებერი იქ დაგხვდა?

— ვაზგენა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, დირექტორი.

— დირექტორი? მაშ.

— მე მიკითხა?

— ტელეფონი დაულეწია.

— ტელეფონი ღამით არ მუშაობს, ვერ გაიგო ამ გამოყრუებულმა?

— ჰეი, ჰეი, გიჟია ოხერი! — შეჰყვირა საქომ, მანქანა დაამუხრუჭა, და სარე ტროტუარისკენ მიღრიცა. მანქანის მარცხენა ფართან ქალიშვილი იდგა, მთლად თვალებად ქცეული, ხელიც კი კაპოტზე ედო.

— ხაზეინჯან, ჰამაც მე რომ მიყურებს! ვერ მიცანი?... — მძღოლმა თავი კარის ჩარჩოში გადაკიდა, — საქო ვარ, პოლოსიანი. შენ ვინა მყევხარ? თავი რო აგილია ყეენის დოსტივითა...

ქოშებში ფეხწადგმულ ქალიშვილს დიდად არც უნაღვლია, კინაღამ თავი რომ წააგო და ლოგინიდან ახლად გამომძვრალმა, დილის სიცივით მობუზულმა ქუჩა გადაჭრა.

ვატუტი გამოფხიზლდა, თვალები გაუფართოვდა და ქვედა ტუჩი კბილებით დაიჭირა. საქომ მანქანას დაახევინა, ტროტუარს ააცილა და გზას ნელა დაადგა, რომ ხაზეინს ქალიშვილისათვის მანამ ეცქირა, სანამ ის გზის კიდეს მიჰყვებოდა. მაშინვე გადაავიწყდა, რომ ერთი წუთის წინ ფათერაკს ძლივს გადარჩა და ტაატით მიმავალმა, გოგოს თვალი დაადევნა.

— ვაა, კუკლა ვინმეა, არა? პატარაა, მაგრამ აწონილი ოქროა, თვალები, ხაზეინჯან, რა თვალებით შამომხედა, მე კი არა, ბებერ, ქვა ვაზგვნასაც საკატლეტე მანქანაში გააძვრენდა. აფსუსი არ იყო, მაგას მაშინა დაჯახებოდა და საქოს მზისთვის ეცქირა... ნეტავ რა დედის გაუვარდა კალთიდან, იმ დალოცვილს ერთი ჩვენს ქუჩაზე გამოევლო, — გულით ინატრა მძღოლმა.

,— ვის? — ჰკითხა ვატუტიმ ისე, ქალიშვილისათვის წამით თვალი არ მოუცილებია.

—დედამისსა, ხაზეინ, ალბათ კალთიდან სულ მარგალიტები სცვივა...

— ისაა! — იცნო ვატუტიმ და საქოს ხელის ოდნავი დაქნევით ანიშნა, არ გაესწრო.

— ერთი ეგ ოქრო ჩემი ხელით დამაბანინა და მერე ის ნაბანი წყალი მასვა, — მოუწონა ხაზეინს ნაცნობი ქალიშვილი, — თმაც არ დაუვარცხნია, შიშველ ფეხებს დამიხედე ხაზეინ... ეს ოხერი კარბულატორი ბენზინს აქცევს და მე მაგ ლამაზის ლოგინის სუნი კი მომდის.

— სარძლოა ჩემი. — გააწყვეტინა ენაზე თაფლის მდინარე მოვარდნილ საქოს ხაზეინმა.

— ვაა! — აღმოხდა ნიორწყალ გადასხმულ ოქროპირს, მაგრამ არც ნიორის წყალში დაძირულა, — მთლად უკეთესი, ეგ შირაზის ვარდი ჩვენმა ძმამ მოკრიფოს ჰალალი არაა?...

თეკლა ტროტუარის პირა პურის მაღაზიის წინ, რიგში ჩადგა. საქომ მანქანა ზედ მიაყენა, ჩამოხტა და ვატუტის კარი გაუღო. ერთბაშად ყველამ აქეთ მოიხედა, ალბათ პურის მანქანა ეგონათ, მხოლოდ თეკლას არ აუღია თავი და როცა თავისი სახელი მოესმა, ყურებს მაშინაც არ დაუჯერა, თუ საერთოდ არაფრის გაგონება არ უნდოდა.

„ჰმ, დამინახა და თვალს მარიდებს, — ბენთო ვატუტი, — მამაჩემის, მამაჩემის ნატეხები!...“ გატკიცინებულ უჯრედებიან შარვალზე დაიხედა, შუბლზე ჩამოვარდნილი საპოხწასმული თმის კონა ხელის გულით მაღლა აიწია და ორჯერ-სამჯერ მოსინჯა, ვარცხნილობა ხომ არ დამენგრაო.

„მაწანწალასავით ქუჩაში ხელპირდაუბანელი დარბის, პურის რიგში მათხოვარივით ატუზულა და სიამაყე თუ რაღაც სისულელე კი თავიდან ვერ მოუცილებია. მამაჩემმა ეს მიიღო სახლში და ჩემს ქორწილში კი ფეხი არ შემოდგა: ქვეყანა იქცევა, მე რა მექორწილებაო. მარტო ამიტომ არა, ვიცი, მშვიდობის დროც რომ ყოფილიყო და ასეთი მიზეზი არ ჰქონოდა, შეიძლება მოსულიყო, მაგრამ მექი არდაძის მარტო ერთი ვერცხლის კულა რომ დაენახა, ყველას მოგვაფურთხებდა...“

— ვატუტი! — მოესმა იმ დროს, როცა შებრუნდა და გამრუდებული ფეხი ოსტატურად გადადგა. მისი სახელის სიხარულით წამოძახილს ქოშების მკვეთრი, ჩქარი კახა-კუხი მოჰყვა, აფოფინებული თეკლა რომ მიწვდენოდა, ალბათ კისერზეც ჩამოეკიდებოდა, — ვატუტი, შენი ჭირიმე ვატუტი! — სიხარულით ცრემლებიც კი მოერია. მეგობრებისა და ნათესავების ალერსსა და მოფერებას უჩვევმა აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი აღტაცება.

თეკლასთვის ის იყო ყველაზე ახლობელი ადამიანი, მამუკას ძმა. ამ წუთას მან არ იცოდა, როგორი იყო ის. ძმა, სისხლი და ხორცი, რაღაცით თითქოს კიდეც რომ ჰგავდა ცხვირით, თუ ყურის ბიბილოებით, ყელითაც, ორივეს ისეთი პატარა ხვანჩი ჰქონდათ, მხოლოდ თეკლას რომ შეეძლო დაენახა. ორივე ამაღლობელი, ორივე ფარნაოზის-ძე, ორივე ერთი დედის შვილი, ერთ სახლში და ეზოში აღზრდილი, ერთი ბებიისა და ბაბუის შვილიშვილი... ღმერთო, რამდენი რამ იყო საერთო და ის, რომ ვატუტიმ არდაძის ქალი შეირთო, ფეხმტკივანი ომში რომ არ წაიყვანეს, ან კაპწიაობა და თავის გამოჩენა რომ უყვარს, მაშინ უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. მას არ შეეძლო ლექსის და ქალის ერთგულება, არ იყო ასეთი ნიჭით დაჯილდოებული, რისთვისაც ბრალს დებდნენ, მაგრამ იქნებ არც იყო მისი ბრალი...

— როგორა ხარ თეკლა? ბინა გამოიცვალეთ თუ აქეთ ასე უთენია რა გინდოდა?

— რა ვიცი... როგორა ხარ... ბინა?.. ბინა არა... რა ხანია არ მინახიხარ... აქეთ, პური... შენ თვითონ საით, მართლა, ასე უთენია?..

— სამსახურში, საქმე... ზოგიერთებს ჰგონიათ, ომი მარტო იქაა. აქაც, აქაც ომში ვართ, მე, შენ, ყველა...

— მუშაობ? ნეტავ მაცოდინა, იქაც, იქაც ასე უჭირთ?.. მე მგონია, ჩვენ უარეს დღეში ვართ.

— ასე ვამბობ მეც. სხვა, როგორ ხარ? მამის რა ისმის? ბებია? ქალბატონი ელპიტე...

თეკლას რატომღაც გაუელვა, ბებიაჩემის მამის, დიაკვნის სახელიც არ იცოდესო და შეეშინდა, ამ სიხარულს გამინახევრებსო, მაგრამ ეტყობოდა, ვატუტიმ იცოდა, ვისი მამის და ბაბუის სახელები უნდა დაემახსოვრებინა.

— მამუკასი რომ არაფერი ისმის... — ესლა შეჩივლა ერთგვარად, უმიზეზოდ, მაგრამ მაინც მთლად უიმედოდ არა, — ჰო; მართლა მამუკას... ნოშრევანის... თუ ჰო, შენი ცოლისძმის, ნოშრევანის ხომ არაფერია?.. იყო ჩემთან ქალბატონი მარგალიტა, მაგრამ მას შემდეგ...

— ჯერჯერობით ისევ არაფერი...

— ვითომ... ვითომ არის იმედი? — ნოშრევანზე უფრო გაუადვილდა ასეთი კითხვის მიცემა.

— რა გითხრა ჩემო თეკლა, ჩვენთან, ჰოსპიტალში...

— შენ ჰოსპიტალში მუშაობ?

— კი... უფროსი ვარ, — დირექტორიო ვერა თქვა, დირექტორი ჰყავდა ჰოსპიტალს, ძველი, ცნობილი დასტაქარი საშა ლაშხი. მოადგილეობა ჭირის დღესავით სძულდა და არაფერი ისე არ სტანჯავდა, როცა ახსენდებოდა, პირველი კაცი რომ არ იყო.

— დაამთავრე? — გაუკვირდა თეკლას.

— მე ხომ... ერთი წლით ადრე... ჩვენ, ყველამ... ჩვენი კურსი ერთი წლით ადრე გამოუშვეს.

— ციცოც?.. როგორაა ციცო?.. მე ვერ მოგილოცეთ...

— ციცოც ჩემთან მუშაობს.

— ესე იგი დაჭრილები?..

— აქაც ვჭირდებით ქვეყანას, ქვეყანა ერთია...

— კი, რა თქმა უნდა, მაგრამ დაჭრილები... ჯარისკაცები... არა, მე ვიცი, ფრონტი დიდია, უკიდეგანო, იქ ერთი კაცი წვეთია ზღვაში, მაგრამ დაჭრილებიც ხომ ერთი და ორი არაა...

— ჰმ, — გაეღიმა ვატუტის, — ასი და ათასი, აგერ, ამ დილით უთენია მოვარდა მანქანა, — კაბინაში ჩათვლემილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქოს მიხედა, — წუხელ მთელი გუშელონი ჩამოუყვანიათ.

— ვაიმე! — აწრიალდა თეკლა, პურის რიგს მიხედა, მის ადგილს, სადაც წელან იდგა, უშველებელი კუდი რომ მობმოდა, — იქნება რაიმე... დიდია ფრონტი, მაგრამ უკიდეგანო ხომ არაფერია...

— ხდება, ყველაფერი ხდება. — უფრო ჩვეულებისამებრ წამოცდა ვატუტის, თან ამ გოგოს დიდი ყურადღებით ღირსებაშეულახავმა იმედის მიცემა მოინდომა: მე თუ მოვისურვებ, ესეც შემიძლიაო. ამ დროს მანქანა მოაწყდათ და ვატუტიმ ისევ მკვირცხლად ისკუპა და ტროტუარზე გაჩნდა, თეკლა სახტად დარჩა, ამ ბიჭს ფეხის ტკივილს ვინ აბრალებსო.

თეკლა წყნარად მიჰყვა და დუქანთან აზრიალებულმა ხალხმა მოაგონა, რომ მანქანა პურისა იყო. რიგს დავკარგავო და ვატუტის ხელი ფაცა-ფუცით ჩამოართვა.

ვატუტიმ თვალი გააყოლა, როგორ გადაირბინა თეკლამ ქვაფენილი ქოშების კახა-კუხით და თავის რიგს დაუწყო ძებნა, მაგრამ იქ უკვე ძალლი პატრონს ვეღარ იცნობდა. ნემსის ყუნწში უფრო იოლად გაძვრებოდით, ვინემ ამ ერთმანეთზე მისრესილ ბრბოში.

მანქანა დუქნის უკანა კარს რომ მიადგა, ვატუტი დინჯად, თავაწეული, მსხვილი ჰალსტუხის სწორებით და საშემოდგომო პიჯაკზე არ არსებულ ბეწვზე წკიპურტის გაკვრით მიუახლოვდა პურის ჩამოცლით გართულ დახლიდარს და მის მოხალისე დამხმარეთ ისე ჩაუარა, ზედაც არ შეხედა. დუქნის ბნელ, საწყობივით მიშენებულში თავაღერილი შევიდა, ცხვირი აიბზუა და სანამ ჰკითხავდნენ ვინა ხარო, რა გნებავთო, მანამდე ნოქარს უსუფთაობა და უთაურობა, წყნარად, ნერვების აუშლელად უსაყვედურა. არ დაუმალავს, რომ ჰოსპიტალის უფროსია, ექიმი. ხელი ჯიბისკენ უდანაშაულოდ ეჭვმიტანილივით უამურად წაიღო. ნოქარს მწვანე ყდიან წიგნაკში არ ჩაუხედავს, ყველაფერი ირწმუნა და უკან, უკან დაიხია, გადაუყრელი ნაგვით სავსე ტარგადატეხილ ცოცხმიყუდებულ ყუთს აეფარა, ჭუჭყიანი ხალათის გულისპირზე ხელები აიფათურა, აღარ იცოდა რომელი ადგილი უფრო არ გამოიჩინებოდა.

დუქანს მისეულ ხალხს გარედან მიტმასნილი თეკლა საქომ გაიხმო: ვატუტიმ კაბინაში ჩასვა და სახლამდე მიიყვანეს. ორი გოგორა პურიც აქეთ-იქეთ იღლიებში ამოუჩარეს და ჰოსპიტალშიც დაპატიჟეს; ყოველ შემთხვევაში, შაქარი, ბრინჯი, ბურღული და პური იქაც მოგვეძევებაო... ჩაილაპარაკა ვატუტიმ. „ყოველ შემთხვევაში“, ვითომ არაფერ შუაში იყო, მაგრამ ეს „მამამისის ნატეხის ნატეხი“ იღლიებში ამოჩრილ პურებს ისე რომ დაჩერებოდა, როგორც სასწაულს, გონზე რომ მოვიდოდა, თუ რაიმე ეუცხოებოდა, ეს „ყოველ შემთხვევაში“ ნათქვამი ადვილი მისაფუჩეჩებელი იქნებოდა.

## II

თეკლამ მამუკაზე ძლივს რაღაც საზრუნავი გაიჩინა.

„ხდება, ყველაფერი ხდება... ერთი, ორი, სამი... ასი, ათასი ჯარისკაცი... თვითეულის ასი ნაცნობი, თანამებრძოლი, ძმადნაფიცი... მამუკა ჩუმია, არ შეუძლია ქვეყანას თავის გულის ნადები გაუზიაროს, ყურადღებას ვერ მიიქცევდა... იქნებ ნოშრევანს შეხვდა ვინმე... ნოშრევანი კიდევ უარესი — უსახური.. მაგრამ ბოკერია ან ცინცაძე! „ბოკერიას ამ ორ კვირაში უკვე მთელი პოლკი იცნობსო“ — იწერებოდა მამუკა. პოლკი კი არა, იმ უშველებელი მდინარის გაღმაც იციან ვინაა ავთანდილი და მოფერებით „ავთოს“ ეძახიან. იქ კიდევ ვიშნევსკი, სიცხიანი ჩეჩენი ბიჭი, მოსკოველი მწითური კუდრიავცევი, ბუზღუნა ლენიაკოვი, იუდინი და შტაბის გადამწერი საშკა, ნაკითხი, ღამით რომ ვერაფერს ხედავს. გადამწერმა ხომ მთელი პოლკის ასავალ-დასავალი იცის, ყოველი ჯარისკაცი აღნუსხული ჰყავს...

და თუ ესენიც არა — მათი მნახველი, მათი სახელისა ან გვარის გამგონე... ვილაცა, ძველი დაჭრილებიდან, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილმდებარეობიდან ჩამოყვანილნი, დღევანდელი ეშელონიდან, ან ამ დღეებში რომ ჩამოიყვანენ...

„მე ხომ უბირი დედაბერივით გულუბრყვილოდ არ ვფიქრობ... სადმე ფრონტიდან დაჭრილის დაბრუნებას რომ გაიგონებენ და ჯოხდაბიჯგებული გასწევენ, ჩემი ჯარისკაცის არაფერი ისმის და თუ იქ იყავი გეცოდინებაო“...

თეკლა ჭკუას იჭყლეტდა, ფიქრობდა, ვარაუდობდა, ვითომ ულრმავდებოდა, უამრავი გამონაკლისიდან ცოტას იტოვებდა და რაღაც გაუბედავ, თავისი თავისთვისაც გაუმხელელ იმედს იტოვებდა. ახლა რაც მას ანუგეშებდა და აცოცხლებდა, ახლა, რაც მას შეეძლო ექეთებია, იყო ჰოსპიტალში დაჭრილების სასთუმალთან ჯდომა და ერთსა და ორს კი არა, ათსა და ასს კი არა, ათასი დაეკითხა, ეკითხა მამუკაზე, ნოშრევანზე, ავთანდილზე, ლადოზე და ყველა მათ მეგობარსა და ნაცნობზე, მათ ათეულზე, ოცეულზე, ასეულზე და თვით პოლკზე, პოლკის მეთაურ ბოჟენკოზე, „ბოკერია-ბაკერიას“ რომ ერთმანეთში ურევს და გენერალ ნასლედნიკოვზეც კი, მამუკა რომ იწერებოდა, ერთხელ მწყობრის წინ გაიარა და მერე თვალით არავის უნახავსო.

დედას და ბებიას ჰქონდათ პური, დღეისთვის, ხვალისთვის, ზეგისთვის... და ახლა არ იყო იმის განსჯის დრო, ეს პური რიგით იყო აღებული თუ ურიგოდ, ციდან ჩამოცვივდა თუ სასწაულით გაჩნდა.... მთავარი იყო, რომ თეკლას ეს დღეები შეეძლო ექეთებინა ისეთი საქმე, თუ ისეთი რაღაცა, რასაც შეეძლო მამუკას კვალთან მიეყვანა.

თუ... თუ დღეს და ხვალ არა, ზეგ ან მაზეგ... ყოველ შემთხვევაში, გულხელდაკრეფილი არ ყოფილიყო და არ ეთვალთვალა ელამ, კისერმოღრეცილ ფოსტალიონნისათვის და საწყალი, ისიც არ ეწამებინა...

ეს იყო მთავარი... მთავარი და აუცილებელი, გადაუდებელი... და ვინ იცის, ვინ გაიგებს, რომ არ დააგვიანა, აწ ვინ დაეწევა იმ, უკვე განკურნებულ ჯარისკაცს, რომელიც გუშინდლამდე იწვა ჰოსპიტალში და იცოდა მამუკას ამბავი... მამუკასი იქნებ არა, რაკი ეცოდინებოდა მამუკა ამაღლობელია და ჰოსპიტალის უფროსიც ამაღლობელიაო, იფიქრებდა ახლობლები იქნებიანო და ვატუტის ძმაზე რაიმეს ეტყოდა. ჰო, მამუკას თანამებრძოლი ვინმე რომ აქ ყოფილიყო, რაიმეს ამდენ ხანს გაიგებდნენ, მაგრამ ნუთუ ისეთი ვინმე არ მოხვდა, რომელმაც იცოდა მისი მეგობრების, ან პოლკის თაობაზე რაიმე, პოლკი ხომ ერთი კაცი არაა, თუნდაც ამ უზარმაზარ ომში, უძაფო ნემსივით დაგვეკარგოს.

ახლა არც საზიზღარი ბაზარი, არც ინსტიტუტი, არც მტერი და არც მოყვარე, ჰოსპიტალი, ჰოსპიტალი!...

თეკლამ კაბა გადაიცვა, ახლა ბებიას და დედას ამას ვერავუხსნი. უმჯობესია ეგონოთ ლექციებზე ვარო. ხელში გაკეცილი რვეული და ფანქარი დაიჭირა და ელპიტეს ძახილ-ძახილში: საით, ბებია, საით, ასე ულუკმაპუროთო, კიბეზე ჩაირბინა, გზას დაადგა.

III

ძველი, წითელი აგურის, უზარმაზარი შენობის წინ მანქანების ტევა არ იყო. საბარგო, ბრეზენტით გადახურული ავტობუსი, სამედიცინო, სამოქალაქო, სამხედრო, მათ შორის ჰოსპიტლისაც, თეკლამ მაშინვე იცნო საქო, ფარდაჩამოხსნილ ძარასთან რომ იდგა, სადარბაზოსგან მოშორებით.

— ვაჰ, კაცი არა ხარ? მოიტა, აქეთ მოიტა! ეგ ოხრად დასარჩენი! — ყვიროდა საქო, როგორც კი კარში ცარიელა საკაცით მედდები, გადიები, დარაჯი თუ ექიმი გამოჩნდებოდა. მაგრამ ვინმე თუ საქოს მანქანასთან დააპირებდა წამოსვლას და სადარბაზოსთან მიეყენე-

ბული ავტობუსის და სამტონიანი ღია საბარგოს გვერდის ავლას, დაჭრილები ისეთ ლანძღვა-გინებას ატეხდნენ, საწყალ, გასავათებულ მედდებს პირდაპირ ზეზეურად აუპატიურებდნენ. აქეთ კიდევ ფარდაჩამოხსნილ ძარაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მიწყობილი საძრაობაწართმეული მძიმე დაჭრილები, ვისაც ენის კლიტე კიდევ არ გადაკეტოდა, საქოს დედას, ცოლსა და ახლობელს, ცოცხალს და მკვდარს უგინებდნენ.

ერთი თავშეხვეული და ფეხწაჭრილი, ზედ ღია ძარის კიდეზე გულაღმა გაშხლართულ დაჭრილზე გადმოფორთხებას აპირებდა. ხელებზე დაყრდნობილს ქვედა წელი მწოლიარის მილმა დარჩენოდა და საძრაობაწართმეული მუცელქვეშ მოექცია, წაგლეჯილი ფეხი კი მაღლა აეფშიკა, იქით, იდაყვზე წამოწეულ წელმოწყვეტილისათვის ცხვირთან მიეტანა, იდაყვზე დაყრდნობილი წაკვეთილი ფეხის სისხლიანი სახვევების სიმყრალეს თავის არიდებას ვერ ახერხებდა და ისიც საქოს, ჰოსპიტლის ექიმებს, უფროსობას და მთელ პერსონალს დედას უტრიალებდა, რომ ეს „სამფეხა ძაღლი“ მანქანიდან ვერ იქნა და ვერ გადაათრიეს.

— ახლავე დაჭრილ-ჯან, ახლავე ჯიგარო „ოჩერედია“, რაღა!

— მე თქვენი რიგი და წესი... მე თქვენი ცოლი და შვილი...! — ყვიროდა „სამფეხა ძაღლის“ ქვევით მოქცეული საძრაობაწართმეულიც, რაკი თავის გადმობრუნება არ შეეძლო, აღმა აფურთხებდა და ფურთხი სახეზე ეცემოდა იქვე, ხელებ და მკერდდაბინტულს, ძარის კუთხეში მიმჯდარი ცალხელა თავის პაპიროსს აწევინებდა, და ისიც კი, პირიდან გამოშვებულ ბოლს, კარგა ლაზათიან გინებას აყოლებდა.

თეკლა მარტო ლანძღვა-გინებას კი არ ისმენდა, ხედავდა კიდეც და სახეზე ცეცხლი ედებოდა. ის იყო გაქცევა დააპირა, სადღაც, ჯოჯოხეთის კარებთან მოვხვდიო, ეგონა, რომ ამ დროს იმავე ძარიდან, საიდანაც ამდენი სიბილწე ილვრებოდა, სიცილი და ხარხარი მოესმა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამ დაჭრილებში, ჩირქის, სისხლისა და თამბაქოს სიმყრალეში გინება, კვნესა, ოხვრა და გაცოფება ამაზრზენი იყო, მაგრამ ალბათ შესაფერისი. სიცილ-ხარხარი კი წარმოუდგენელი და ჭაუაზე შემშლელი. არა და, ორი ჯარისკაცი, ერთი სულ კუნჭულში რომ ჩაკვეტებული იყო და ძარის კუთხის ორივე ფარდზე იდაყვები შემოეწყო, მისკენ პირმიქცეული, თავ და ილლიაახვეული ულვაშა სიცილით აწყდებოდა, თან შიგადაშიგ ამოიძახებდა:

— ოი, დედა მშობელო!

— ჰო, ჰო, ვფიცავარ, სრულ სიმართლეს გეუბნები... — იცინოდა თვითონაც მოამბე და ჭროლა თვალებში, გადახვეული ხელის გარეთ დარჩენილ, თითებს ისვამდა.

— ოი, დედა ჩემო, არ მჯერა! — ხითხითებდა მისკენ პირმიქცეული ულვაშა. — სანგარში?..

— წინა ხაზზე სანგრის ფსკერზე.

— მომკალი, არ დავიჯერებ...

კედელზე ზურგით მისრესილ თეკლას ახლა აღარც კვნესა და ოხვრა ესმოდა, არც ლანძღვა-გინება. ამ სიცილით დაოსებულ დაჭრილებს მიშტერებული ბუტბუტებდა: „ღმერთო, მამაზეციერო, ნუთუ შეშლილებია?“ და იმის შიშით, იქვე, მათ გვერდით სასომიხდილ დაჭრილებს არაფერი მოსწვიონო, სული კინაღამ კოჭებში გაეპარა.

— ვფიცავ დედას, სანგარში...

— არ იცნობდი... — კი არ ეკითხება ახარხარებული ულვაშა, ხვდება, რომ არ იცნობდა და ახსენებს, არ გამოგრჩესო.

— საიდან?! — უკვირს, სიცილით ფერმკრთალ სახეზე ლაწვებშეწითლებულს, — პირველად ვხედავ. „მესერებმა“ რომ ცა დაფარეს, საიდანღაც, სანგარში კისრით ჩამოვარდა. ფეხებზე — კოხტა ჩექმები ეცვა, ტყავის უნდა ყოფილიყო...

— მაღლა აქვს ფეხები!.. — ხითხითებს მხარ-თავახვეული ულვაშა.

— წამოდგა... არა, გადაბრუნდა. დაეცა ბომბი ჩვენს ქვევით სანგრის კიდეს და ჩამოანგრია, წინ კიდევ ადრე საარტილერიო ჭურვმა გადათხარა. დაჭრილი ათმეთაური იქით გადაათრიეს ბიჭებმა. ახლა მე და „ის“ ვართ კოხტად გამოჭყეტილი... ვიცი, შეტევა ჯერ არ დაიწყება. საჰაერო დაბომბვა ერთხანს გასტანს...

— კი, კი! შეტევამდე დროა... შენ ეს თქვა, როგორია?

— რა ვიცი... კვამლით, მტვერით და ტალახით აქვს სახე, კაბა და გიმნასტურა დათითხნილი.

— ძუძუებთან იქნებოდა ყველაზე მეტად ლაფით გალესილი.

— კი, მაგენი რომ ხოხავენ, მიწას ძუძუებით არღვევენ... და ვეუბნები, სანამ დაბომბვა არ დამთავრებულა, უნდა მიქნა სიკეთე-მეთქი.

— სიკეთე უნდა მიქნაო, ეუბნები?...

— ხორხოცებს ულვაშა.

— რა გიჭირთ, დაჭრილი ხართო? — მეკითხება.

— არ იცის, რა გინდა...

— რა იცის, ქვეყანა იქცევა.

— ვინ იყო მაინც?

— აგერ გითხრა, დაჭრილი ვარ-მეთქი. მე მეკავშირე ვარო, მაგრამ რომ არაფერი გეტყობათო? ამათვალიერე-ჩამათვალიერა. მე ხელი გულზე დავიდე.

— ანიშნე, გულში ვარ დაჭრილით...

— ახითხითდა ისევ კისერ-ილლიაახვეული.

— მერე, მე რა გიყოო? — მართლა ძალიან შეწუხდა.

— მართალი ეგონებოდა და იმიტომ...

— არც ტყუილი იყო, რომ იცოდე შენ.

— მართალი იყავი. მართალი.... ოი, დედა მშობელო... — დაემოწმა მოსაუბრე, — ახლა რას ეუბნები?

— ვეუბნები, მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი გადარჩენა-მეთქი.

— მისგან ხარ დაჭრილი და მანვე უნდა მოგარჩინოს! — უკრავს კვერს.

— მე მეკავშირე ვარ, ხომ გითხარიო, ვერაფერს ვერ მიხვდა. [illegible] ამ მტვერსა და ტალახში ამოგანგლულს იქნებ მართლა გაუარა ნეკის ტოლა ტყვიამ, აქ რას გაიგებო. თან შიშით თვალები ცისკენ აქვს მიქცეული. „მესერები“ ცას კორტნიან.

— ეშინია...

— ეშინია წინა ხაზზე პირველადაა, ეტყობა. „მტერს ნუ კი უყურებ, მე შემომხედე, მოყვარეს-მეთქი“, მუზარადიან თავზე ხელი გადავუსვი და გამტვერიანებულ კულულებზე მივუალერსე. იმისთანა რბილი და ფაფუკი თმამდეც არაფერი მინახავს. რა გინდა, რა გიშველოთ... ჩემსკენ არ მოუხედავს, თვითმფრინავმა რომ გადაგვიქროლა, იმას მიადევნა მზერა.

— ჩამოყარა ბომბები?

— არა, ტყვიამფრქვევს ატკაცუნებს.

— იმას მაინც ეშინია...

— რა ვიცი, მე უფრო მაცახცახებს...

— აბა, რა მოგივიდ!

— რას იზამ, მიშველი-მეთქი, ვეკითხები. რა გიშველოთ, ახლა თავდაყირა წამოსულ „მესერს“ მიშტერებია. ავიღე და თმებში, მუზარადს ქვევით თითები შევაპარე. ფაშისტებს კი არა, მე მიყურე-მეთქი, „გავუჯავრდი“. ჰა, გაუყურებო, შემომხედა. შევცდი, თვალებში რომ შემომხედა, ვეღარაფერი ვთქვი, მაგრამ ბომბები რომ აფეთქდნენ და თვალები ისევ გაექცა, შევეხვეწე: კავშირი დაამყარე ჩემთან-მეთქი.

— რაკი მეკავშირე იყო! — შეიცხადა სიხარულით ულვაშამ.

— პასუხი არ გამიგონია... რას გაიგონებ, დაფხრიწა დედამიწა აფეთქების ხმამ. იქვე, სულ ახლოს დაეცა. ის სანგრის ძირას ჩაჯდა და მოიკუნტა. მივუჯექი და მოვხვიე ხელები. გაიტრუნა, ეგონა, გადამეფარაო. კოცნა დავუპირე, იქნებ ამით მაინც მივახვედრო, რა წამალს ვთხოვ-მეთქი, მაგრამ მივაჭირე შუბლი იმ ოხერ მუზარადს, ენის წვერით ცხვირზე. მტვერი ძლივს ავლოკე.

— რა გინდაო! — იკივლა. კივილს კი არა, ზარბაზნის ქუხილს კაცი არ აგდებს არაფრად.

— შენ კი კავშირი გინდა დაამყარო... — კვდება სიცილით ულვაშა.

— კავშირი დავამყაროთ-მეთქი, ვეხვეწები და გულისპირი მინდა შევუხსნა, მაგრამ აშურმები და ჩანთის ღვედები აქვს გადაჭერილი, მხოლოდ ორი ღილი შევუხსენი. თეთრად რომ ამოანათა, გეგონებოდა ჯარისკაცის გიმნასტურაში მზეთუნახავი ჩაუმწყვდევიათ და ჯარისკაცის თავი მიუბამთო...

თეკლას თვალებზე წუთით, საქოს სადღაციდან მოტაცებული, ბრეზენტის საკაცე აეფარა და ტროტუარზე რომ დადგა ძარაზე, დათხრილი დაჭრილი გადმოაფოფხდა საძრაობაწართმეულს და ჩამოხსნილ ფარდს თავდაყირა ჩამოეკიდა. ეცა მხრებში საქო და საკაცეზე დააწვინა, მაგრამ დასახიჩრებულმა დაჭრილი ფეხი ფარდს წამოჰკრა და იყვირა:

— თითი, ცერა თითი წავახიეთ!... — და შეიგინა.

— ჯიგარო, თითები სადღა გაქვს, ფეხი მუხლს ზევით მოუჩეხიათ! — დაამშვიდა საქომ.

საკაცეს რომ დაწვდა, მაშინ მოაგონდა, მეწყვილე რომ არ ჰყავდა და დაუშვა. დაჭრილმა, ისევ აქ მიპირებენ დატოვებასო, კედელზე აკრული თეკლა შენიშნა და შეუკურთხა. თეკლამ ვერც ამ უწმაწური გინების ნამდვილი აზრი გაიგო და ვერც ის, თუ მას „აბედნიერებდნენ“. საქო ძლივს მიხვდა, რა აყვირებდა დასახიჩრებულს და თეკლაც შეიცნო.

— ვა, ეს ჩვენი ძმის საპატარძლო?..

თეკლა კედელს გვერდულად გაჰყვა.

— სად მიდიხარ, შენი!... — დასახიჩრებულმა წაჭრილი ფეხი მაღლა აისროლა. — მე შენს დაცვასა და სიმშვიდეს შევწირე ფეხი და სიცოცხლე, შენ ხელი არ გინდა მომაშველო?! შენი დედა.. შენი მამა... შენ თვითონ...

თეკლა გაშეშდა. ველარც გაქცევა და თავის შველა შეძლო.

— „კუკლაჯან“ — გაუღიმა საქომ, — ეგ აგრეა, ყური არ ათხოვო, ცოდო ვინმეა... შენმა მზემ, მომეშველე, კარებამდე, ფეხებისკენ ისედაც მჭ[illegible] ამას კიდევ ცალილა შერჩენია...

თეკლა, როგორც კი მიხვდა, მისგან რას მოითხოვდნენ, საკაცეს მაშინვე დაწვდა და არც კი გაუგია, მძიმე იყო თუ მსუბუქი, რას ნიშნავდა კარებამდე, ან პალატამდე, მხოლოდ ესღა უნდოდა, ჩქარა გაცლოდა აქაურობას. საქოს ზომიერი, აუჩქარებელი ნაბიჯი აბრაზებდა და წინ აწყდებოდა. დაჭრილი კი იწვა გულაღმა და ცას მიშტერებოდა. თითქოს ომით, დაჭრით, მგზავრობით და ახლა კიდევ ძარაზე ყურყუტით, როცა, როგორც იქნა და თავი სამშვიდობოს დაიგულა, ერთბაშად მოწყდა და დაიღალა. ხელები საკაცის კიდეებზე გადმოყარა და გზადაგზა ისე უსიცოცხლოდ მიაქანავებდა, თითქოს არცერთში ძვალი არ ჰქონოდეს.

## IV

— ეი შენ, საით?! — მოაძახა განიერი დერეფნის დასაწყისში, თაღის ქვეშ მიდგმულ ფიცრულ მაგიდასთან მიმჯდარმა, ზურგზე დაჭმუჭნულ ხალათმოგდებულმა სათვალიანმა, შუახნის კაცმა.

საქო შეჩერდა.

— პალატაში არა, ხაზეინჯან? — იკითხა და მხარმარჯვნივ მიბრუნება დააპირა, რომ ლოყებანთებულმა მედდებმა გვერდით დაჭრილი ჩაატარეს და საკაცე საკაცეს მიაწყვიტეს.

— ოხ, თქვენი... — ამოიგმინა რომელიღაც დაჭრილმა, თეკლა ველარც კი მიხვდა, „თავისი“ იყო, თუ „ამათი“.

— საქო ხარ? — სათვალეებს ზემოთ გადმოხედა მაგიდასთან მიმჯდარმა.

— აბა სხვა ვინა, ვინცა ვარ, ბარემ ესეც არ ვიყო...

— მერე და თავი რომ დაგიდვია და მილაყუნობ!..

— ვა, ისევ ფრონტზე წავიყვანო!

— გაიგე ყრუ, პალატაში ადგილი სადღაა, აქეთ მაიყვა... — დერეფნის ბოლოსკენ კალმისტრიანი ხელი გაიშვირა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე რომ იქით არ მიუხედავს და წინ დაყრილ ქალალდებიდან თავის ალებას არ აპირებდა, რომ უხალათო თეკლა არ მოჩვენებოდა, ყვავებში რომ თეთრი გაერევა.

— ეს ვილაა, გარეშე?! საიდან?!

— ეს ხაზეინთან... — დააპირა ახსნა საქომ, რომ სათვალიანმა სადარბაზოსკენ ფრთხილად მიმავალი, მხრებზე თალხხალათმოგდებული, ნიფხავ-პერანგისამარა ავადმყოფი შენიშნა და დაიყვირა:

— საით, აბა საით! უკან, უკან! ახლავე უკან! წყალი აირიათ და გაძრომას აპირებს!..

საკაცე დერეფნის ბოლოში, სახელდახელოდ გამართულ ზამბარებჩაწყვეტილ საწოლთან დადგეს. დაჭრილმა იატაკზე ათრეული მკლავები აკრიფა და თეკლას რომ ეგონა, ახლა გინებით აგვიკლებს, აქ დერეფანში როგორ მაპირებთ მოთავსებასო, კრინტიც არ დაუძრავს, პირიქით, თითქოს ამაზე უარესს ელოდაო, თუ ზეცას რომ ვერ ხედავდა ამითაც კმაყოფილი იყო. საქომ იქვე დაზვინული ლეიბებიდან ერთი გადმოილო, რკინის ჟანგიან საწოლზე უზუწროდ დააგდო, ზედ გადაიყვანა და დაჭრილს არც სასთუმალი დაჭირვებია, არც საბანი, სალი ფეხის მხარეზე გადაბრუნდა, მოჭრილი ზევიდან დაიდო. ჰოსპიტლის მძაფრი წამლების, თამბაქოს, ჩირქის, სისხლის სიმყრალე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს მაშინვე ჩათვლიმაო, გაილურსა.

— ეგრეა... — ახსნა საქომ, რისგანაც თეკლამ ვერაფერი გაიგო, მაგრამ, როგორც კი საქომ საკაცე აქეცა და გაბრუნდა, უკან გაჰყვა. თან ფეხები უკან რჩებოდა, რაკი უფეხო ასე დაცხრა და დაშოშმინდა, მამუკაზე ხომ არაფერი მეკითხაო. გამობრუნება ვერ მოასწრეს, რომ საკაცეზე უძრავად გაჭიმული შემოიყვანეს, ალბათ ის, ამ უფეხოს მუცელქვეშ რომ იგინებოდა და ალმა აფუთხებდა.

— მანქანა კარებთან დააყენე! — შეუღრინა საქოს ჭაღარა ულვაშა, სქელმა ხანში შესულმა, საკაცე [illegible] ვი დაჭრილის თავის მხარეზე [illegible] და კი არ ხვნეშოდა, პირდაპირ სტვენდა.

— ეე, ნიკოჯან! შენ ფლავს არა ხარშამ?

— ფლავი კი არა... — ამოისტვინა სქელ-სქელმა და ჩაიარა.

— პოვარია, რაღა... — აუხსნა საქომ თეკლას.

— ეგ ლამაზი, შენ და შენმა ხაზეინმა კიდევ საიდან გამოჩეკეთ?... — დაინტერესდა თალქვეშ მაგიდასთან მიმჯდარი, ქალალდებში ცხვირწაყოფილი სათვალიანი და ახლად შემოყვანილ დაჭრილზე კალმისტარიანი ხელით დერეფნის ბოლოსაკენ მიასწავლა.

— ეგ იგრე, დურსუნჯან, სტუმარია, რაღა...

— მერე, სტუმარი და აგრე იქნება?

— მე ხომ არა, თვითონ, ხაზეინ, თავისი გუნებითა, ვა, რა გული ჰქონია. მირონის ვინმეა, რაღა...

— ცავ, სტუმრად ბათუმში გვეწვიე, თუ ამ უბედურებას გადავურჩით... — მოიბოდიშა, თუ ჰოსპიტლიდან დაითხოვა თეკლა დურსუნმა და საქომაც, ეგრე იქნება მეკურტნედ გავიხადეო, სტუმარს კიბეებზე ანიშნა: ვატუტის კაბინეტი მეორე სართულზეაო.

კართან, რომელზეც „დირექტორის მოადგილე“ უფრო მორჩილი ასოებით ეწერა, ვინემ ვ. ფ. ამალლობელი, სქელ, ჩათქვირებულ, თეთრი ხალათიდან მკერდი რომ საფუარით ამოსული პურის ცომივით გადმოდიოდა, ქალი იყო წანრილი. გასაღების ჭუჭრუტანას ხან თვალს უმიზნებდა, ხან ყურს უმარჯვებდა და ზოგჯერ ცხვირის შეყოფასაც კი აპირებდა: თეკლას ისიც კი მოეჩვენა, ეს ქალი ასე ხორცსავსე რომ არ იყოს, ჭუჭრუტანაში გაძრომასაც ეცდებოდაო.

თეკლა რომ კარს მიადგა, ქალმა სახელურს ხელი ჩაავლო და მოსულს ისეთი ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა, თეკლა წამისწამზე მოელოდა, მეცემა ეს სისხლითა და ღონით სავსე დედაკაცი და გამბდღვნისო, მაგრამ მადლობა

ღმერთს, კიბემდე უკან-უკან დაიხია და მიგეზებული თვალი არ მოუცილებია, სანამ კიბეს რა ჩაუყვა, თეკლას ფეხის გადადგმის უფლება არ მისცა.

კაბინეტში ძველი, ხარატულებიანი, განიერი საწერი მაგიდის წინ, სავარძელში ციცო იჯდა, ხელებში თავჩარგული. ვატუტი მაღალი ფანჯრისკენ პირმიქცეული, ქუჩას გადაჰყურებდა და ვეება ოთახის კარში შემოსული პატარა გოგო არცერთს არ შეუნიშნავს.

ქუჩიდან ისევ ისმოდა მანქანების ზრიალი, ყაყანი, გინება: „მოიცა", „ახლავე, ახლავე", „რას ზოზინობთ თქვე პარაზიტებო", „ძუკნას გაგდებულო", „დედა ნათრევო"...

— თავი , თავი აუწიე, გადუვარდება! — ყვიროდა წვრილი ხმა.

— მოესწრებით, როგორმე ყველას მოგათავსებთ! — იმედს იძლეოდა ხმაჩახლეჩილი.

— ვიღაცა გოგოს წიწკინა ხმა: — ექიმო, ვერ ვზიდე, გასიებულია ალბათ, თუ არა, ფრონტზე ასე რა გაასუქებდა!

— ვიღაცის ცრემლიანი ამოკვნესა:— საკაცეს სანამ არ მოიტანენ, ამოდენა კაცს ახუტებულს ხომ ვერ წავიყვან!

— დეზერტირები, ზიან აქ სამოთხეში! თქვენი დედა...

— ახლავე, გენაცვალე!..

— ახლავე, გენაცვალე... გენაცვალე... — კიდევ უფრო აბრაზებს ნერვებდაგლეჯილს მოფერება-დაყვავება და ღრიალებს:

— ყველა დასახვრეტი ხართ!

— გოგონი, აკოცე, აკოცე! — ხითხითებს ვიღაც, — ვიცნობთ მაგას, კოცნის გიჟია!..

— ეი, ყეყეჩ, მანქანა გასწიე!

— კიდევ მოჰყავთ? ჩვენს გარდა ჰოსპიტალი არაა?!

— რომაა, დაჭრილები უფრო მეტია. ისევ ახალი ეშელონი ჩამოდგა!

ვიღაცას სიმღერისთვისაც მოუცლია:

მარუსია მღალატობდა,
მშვიდობის დროს მღალატობდა,
ომი ატყდა შეიცვალა,
ახლა გამიერთგულდა...

ეს სიმღერა თითქოს სხვა მხრიდან მოისმოდა, სადღაც, ქვედა სართულის ღია ფანჯრებიდან, მაგრამ ახლა ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ყველაფერი: ოხვრა, გინება, დაყვავება, სიცილი, ყვირილი, სიმღერა ირეოდა და ითქვიფებოდა, ზრიალებდა და ოთახის ოთხივე კედელს აწყდებოდა, მაგრამ როგორც ციხე-სიმაგრის კედლებში ტყვია ვერ ატანს, აქაც თითქოს ყველაფერი კედლის გარეთ რჩებოდა.

— ამოიღე ხმა.. გამეცი პასუხი!.. — დაღლილი, მოთენთილი ხმით, მაგრამ აგდებული პრეტენზიით, უფლებაშელახული, თავმოჭრილი რომ თმის ღერს ვერ შელევია, ისე ჩასძახოდა ციცო მაგიდის გამოღებულ უჯრას.

ვატუტი გარეთ, რაღაცას თუ ვიღაცას თვალს არ აშორებდა და ქალის ნათქვამს კედელზე შეყრილი ცერცვივით ახლოს არ იკარებდა.

— არ შეიძლება ჩემი ნერვების აშლა, არ შეიძლება, ჩემს მდგომარეობაში მყოფი ქალი... — თავს ხომ არ ვაცოდებთ, ისე იუკადრისა, ერთხანს ხმაც კი ჩაუწყდა, მერე მბრძანებლები გაუხდა, თუმცა თავი ისევ არ აუღია. — რა უნდა აქ, მოაშორე აქედან!..

ვატუტის ბეჭები ისე შეუთრთოლდა, თეკლას მოეჩვენა, გაცინება უნდოდა და თავი ძლივს შეიკავაო.

— რა მედიცინის მუშაკი მაგი მყავს, რა უნდა ჰოსპიტალში...

— ჩვენთან ექიმად არ მუშაობს, არც ექთნად... — ვიღაცას, თითქოს ფანჯრის იქით. უთხრა ვატუტიმ და თეკლას მაინც ეგონა, ღიმილით თქვაო.

— რა დიასახლისობა გამოუგონე...

— მე არ გამომიგონებია, არსებობს ასეთი შტატი და არც რაიმე პროფესია სჭირდება, ვინც თავს გაართმევს?..

— მეტი ვერავინ ნახე თავის გამრთმევი,

— შენ ექიმი ხარ, მეც... დირექტორი ქირურგია, დურსუნი ფერშალი, საქო მძღოლი.

— ეს საქოც საიდან მოათრიე, ფეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ხძინავს და „ხაზეინჯან, ხაზეინჯან“...

— აბა მარტო მამაშენია „ხაზეინი“?.. ადეიშვილის და მამაშენის მანქანები წავიდა, გაფრინდა, მამაშენის მძღოლიც იქაა, საიდანაც ეს დაჩეხილ-დაკოდილები მოჰყავთ. მანქანას შენ მომართავ? — სხაპასხუპით მიაყარა ვატუტიმ მიწას, როცა საუბარი საქონზე გადმოვიდა და ციცომაც იგრძნო რომ თვითონვე გაცდა მთავარს. შუბლზე ხელები მიიჭირა.

— თუ საყვარლები გყავდა და უშინობა არ შეგეძლო, ჩემთან რა გინდოდა? ჩვენს ოჯახში რას დაეთრეოდი?..

— კარგი, კარგი, კარგი ახლა... — ვატუტი დაგესლილივით მოტრიალდა, უთუოდ „დაეთრეოდიო“ ეშწვავა და ციცოს მხრებში ხელები წაავლო, — ადექი, ადექი და იქით გადაჯექი, ეს ჩემი ხამუშით მაგიდაა...

— შენი ხამუშით მაგიდა! შენი კი არა ჩემია... მამაჩემის...

— თო! — წამოიყვირა პასუხად ვატუტიმ და ხელები გაშალა, — ციცო, საყვარელო!

ციცომ მიიხედ-მოიხედა, მიხვდა ვიღაცა შემოსულა ვერ შევნიშნეო. მაშინვე თავი ასწია და კისერი მოიღერა.

— ვინ მოსულა! როგორ გაგახარო! აბა თუ მიხვდები, აბა თუ იცნობ!

ციცომ კართან აწურულ თეკლას თვალი შეავლო და მართლა ვერ იცნო, თუ ახე უცებ ამის აღიარება ეჩოთირა თვალები მოწკურა, დააჩერდა.

— აბა, ციცო, სიურპრიზი!.. როგორ, მართლა ვერ იცანი? ვინ არის ეს ლამაზი გოგონა?

ციცომ თავი დააქნია, მეცნობაო, მაგრამ ვატუტიმ იტკიცა:

— როგორ, შენს მშვენიერ თვალებს... ციცო! შენს ლამაზ თვალებს ეკადრება?! შენი ძმის, ჩემი ძმის... ციცო!

— აჰა!... — თქვა ბოლოს ქალმა და თეკლას თავი დაუქნია.

— დიახ, დიახ, ეს გახლავს ის კოხტა თეკლა!.. სად, სად გაჩერებულხარ! — ცოლი სავარძელთან დატოვა და კოჭლი ფეხის ხაზგასმული სიმარდით, თითქოს მოცეკვავსო, ვატუტი კაბინეტის შელანძღულ პარკეტზე ჭრიალით წამოვიდა, — მოდი, აქეთ მოდი, აგერ, სკამებია, დივანი, აგერ...

— მადლობთ... — ძლივს ამოილაპარაკა თეკლამ და ფეხი არ მოიცვალა.

— ციცო, საყვარელო, რომ იცოდე, რა გოგოა, როგორი მორცხვი და მორიდებული. დღეს შევხვდი, მე ვიცანი, თორემ თვითონ... აი, ხომ ხედავ, დგას კართან და ფეხის გადმოდგმას არ აპირებს... შენ რა გითხარი, მე შენ! აბა, ვისი გერიდება, მითხარი. მე ხომ ძმა ვარ შენი, ციცოა და ამაზე ახლობელი და კეთილი გულის... ციცო, უთხარი რაიმე...

— მე ხომ.. დაჭრილებთან... — თეკლამ ვითომ მოაგონა, რისთვის მოვიდა და აქ დასაჯდომად, ან მათი „არტისტობის“ საყურებლად არ ეცალა.

— დაჭრილები... აქ ასეა ყოველთვის. მოდიან — მიდიან, ასეთია ჩვენი საქმე. აჰ, ციცო... არ გაგეწბილება პირველადაა... აბა, დაჯექი და გვიამბე... ციცო, გზაში შემთხვევით... მიკაკუნობს ვიღაც კარგი გოგო. — ცოლს გადახედა, თეკლას ქება ხომ არ გადავაჭარბეო, — საქო ხომ იცი... საქოს ამბავი, „ეს რა კუკლა ვინმეაო“... ვხედავ, ჩვენი თეკლაა... „ტუტუც, ვეუბნები, ეგ ხომ ჩვენი სარძლოა-მეთქი“... მაშინვე ისიც ვთქვი, ციცოს როგორ გაუხარდება-მეთქი...

— მამუკას ისმის რაიმე?.. — ციცომაც, ეს „როგორ გაუხარდება“, ამით გამოხატა, რომ ქმარი არ გაეწბილებინა.

თეკლამ თავი გააქნია.

— იცი ციცო, რა გოგოა? რა თქვა, იცი?

ციცომ თავი გააქნია, არ ვიციო.

— თქვენთან იმდენი დაჭრილია, იქნებ ვინმემ მამუკაზე რამე იცოდესო...

ციცომ მხრები აიჩეჩა.

— იქ რომ მეთქვა, აქ ძაღლი პატრონს ვერ ცნობს-მეთქი, არ დაიჯერებ-

და... აი ციცო, რომ მოვისაუბრებთ და მოვისიყვარულებთ, მერე, შენც ხომ უნდა მიხედო საქმეს? გაიყოლე თეკლა და ნახოს, იქნებ ვინმეს ესაუბროს კიდეც. მაგრამ... — ვატუტიმ თითი გააქნია, — შენისთანა... ციცოსთანა და შენისთანა გოგოებს რომ ერთად დაგინახავენ... დაჭრილები, ხომ იცი, თავზე ხელაღებული ხალხია, მაგათთვის ქალი და თოფისწამალი ერთია... მაგრამ, არა უშავს, ციცოსთან იქნები, ციცოს მზეს ფიცულობენ...

ციცო, „მზეს ფიცულობენო“ ქმარმა რომ შეაქო, აიმრიზა, სკამის საზურგეს მიაწვა და წელში გასწორდა, თეკლამ შენიშნა მისი წინ წამოწეული მუცელი, მანამდე ოსტატურად ფარავდა.

„ორსულად ყოფილა. ღმერთო, რა ბედნიერებაა, ნეტავ მეც“... — მაგრამ ფიქრი იმწამსვე გაუწყდა, როცა პურის რიგებში და ბაზრებში წოწიალი მოაგონდა, მიხვდა, უბრალოდ ნატვრის უფლებაც არ ჰქონდა, პირიქით, მადლობელიც უნდა ყოფილიყო, რომ გადარჩა და ბავშვი არ აჰყვა.

ციცო ისე უხალისოდ გაუძღვა თეკლას, ბარგს რომ პატიმარს ჩააბარებენ.

— ექიმო! — შემოეფეთათ დერეფანში ცოცხითა და ფაიფურის ღამის ქურჭლით ხელში გადია — მხრებში თავჩავარდნილი, გალეული, ხნიერი ქალი.

ექიმმა თავი გაიქნია, შენი მუსაიფის დრო არა მაქვსო.

— ციცო ექიმო, — მოსდევდა ქალი, — რა წყალში გადავვარდე! მეთორმეტე პალატაში ოთხი ზეწარი აკლია...

— მე რა ვიცი! — ისე გაუკვირდა ექიმს, თითქოს სიტყვა „ზეწარი“ პირველად გაეგონოს.

— თქვენი პალატაა... — სცადა მომვლელმა აეხსნა: თქვენც გეხებათო.

—ზეწრები არაა ჩემი!

— ზეწრები არა, მაგრამ მე რა ბრალში ვარ...

— არ ვიცი...

— გაუყიდიათ და არყით გამომთვრალან, მე უბედურს რა შემიძლია!..

— არაფერი, არაფერი არ შე[illegible]

— „დაამშვიდა“ ციცომ, პა[illegible] ვიდა, თეკლა შეიყოლა და მომვლელს კარი ცხვირწინ მიუხურა.

[illegible] ბიბლიოთეკა

პალატაში ათიოდე საწოლი იდგა გვერდი-გვერდ მიჯრილი. ერთი მტკაველი ადგილი თუ იყო მათ შორის დატოვებული, სადაც ექიმი და მომვლელი გვერდულად თუ გაივლიდნენ. ოთახში ისეთი დახუთული, სკიპიდარივით მძაფრი სუნი იდგა, თითქოს ორი, ყურთამდე მოლებული ფანჯრიდანაც ამ მყრალ სუნს მოდენიანო. საერთო ხორხოცში, მუშტის კედელზე ბრაგუნი და კვნესა მოისმა.

— დედა, დედიკო! მიშველე, მომეხმარე!..

— დედიკო რას გიშველის. აი, ექიმი მოვიდა და თავისუფალი ხარ... — გაიცინა აკვნესებულის გვერდით, კედელზე მიგდებულ ბალიშზე მისვენებულმა, მავთულებზე დაკრული ხელი რომ ცემენტის ძეგლივით უძრავად გამოეშვირა.

ღია ფანჯრის რაფაზე ორი, წელზევით ტიტველი, შეყვითლებულ საცვლის ამარა დაჭრილი იჯდა. მესამე აქედან მიდგომოდა და ცალ ხელში მარაოსავით გაშლილ კარტს ისე ჩაჩერებოდა, ზედ იეროგლიფები დაუხატავთ და ამოკითხვას აპირებსო. წელსქვევით თაბაშირში ჩასმული გულაღმა ეგდო, სახეზე ოფლდაცვარული და ყუაშემოხეულ, გაშლილ წიგნს ისე უაზროდ ჩასცქეროდა, თუ ბოლომდე ჩავიკითხე, ჩემს ტანჯვასაც ბოლო მოეღებაო. იდლიასთან მკლავწაკვეთილს ეძინა. ისე ხვრინავდა, ვითომ ახლო-მახლო ვინმე იყო კი არა, არც არასოდეს გაევლო. ფანჯრის მარცხენა კუთხეში პირტიტველა, კისრამდე ზეწარგადაფარებული თეთრი ბიჭი დაებათ. ბიჭს რუსული ცხვირი და ციყვის ყურები ჰქონდა, საწოლზე დაჭიმულ ფეხის, ბაწარზე სიმძიმედ კანალიზაციის, თუჯის მილის სახსრები ეკიდა, თეკლა რომ დაინახა ისე შემოსცინა, თითქოს მთელი ცხოვრება ამ გოგოს მოლოდინში გაეტარებინოს, ცისფერი თვალი კი ჩაუპაჭუნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცო საწოლებს შორის გვერდულად წავიდა და სანამ ბოლომდე მიაღწევდა, წინა ორ ლოგინს შუა რომ გაძვრა, გულალმა ჰერს მიშტერებულმა, მარჯვენა ფეხი ზეწრის ქვეშ ლოდივით უფორმოდ და ტლანქად რომ გაეშვირა და უსტვენდა, ხელი გადმოსწია და ექიმს მუხლებზე მოუთათუნა.

თეკლამ უკან დაიხია და ზურგს უკან კარის სახელურს ხელი მოავლო, გაცეცხლებული მკურნალი აქაურობას სირბილით გაეცლებაო, მაგრამ ციცოს, თითქოს ერთმანეთთან ახლო-მახლო დარგულ გაზონებში მიდის და მწვანე ფოთლები მუხლებზე ელამუნებაო, არაფრად ჩაუგდია. მეორე დაჭრილის ლოგინზეც ისე ჩამოჯდა, ათი წლის შეუღლებული ცოლი ავადმყოფი ქმრის საწოლზე უბოდიშოდ რომ მოიკალათებს და მოდელილ გულზე ხელს დაადებს...

თეკლას აქ ვისთვის, რა უნდა ეკითხა, როგორ უნდა მიახლოებოდა, როგორ უნდა დაეწყო, ვინ დაეკარგა, ვის ეძებდა...

ფანჯრის აქეთა კუნჭულში სახენაარევი წამოჯდა. ტუჩებში რომ ენას მოიქცევ, ისე ამოზრდოდა ლოყაზე ახალი ხორცი. წვივს ქვევით შეხვეული ფეხი საწოლიდან ხელით გადმოათრია და ყავარჯნებს წაეპოტინა. წამოდგომისას იატაკზე დაუცვივდა, დაბარბაცდა და ისეთი გინება მიაყოლა, ხმელ ხეს ქალად რომ აქცევდა და მერე გააუპატიურებდა. ამაზე ფანჯარაზე შემომჯდარმა თავშეხვეულმა ქალებს გადმოხედა და გადაიროხროხა; ცისფერთვალა ბიჭს, ისევ თვალის ჩაპაჭუნებას რომ აპირებდა, შერცხვა და კართან ატუზულ, დაზაფრულ გოგოს მზერა აარიდა. სახენაიარევმა, ყავარჯნებს რომ დაეყრდნო და ათრეული ფეხი საწოლებს შორის გვერდულად აითრია, ლოგინის ფეხს წამოსდო და ახლა ამ რკინის საწოლს შეუკურთხა, თითქოს მისი დამსახიჩრებელი გერმანელის ცოლი და დედა ფეხებში წამოსდებოდნენ.

კარს რომ მიაღწია და ზედ ატუზული თეკლა ახლა დაინახა, თუ აქამდე არ უნდოდა დაენახა, ყავარჯნებს დაეყრდნო და ნაცრისფერი, გაფხეკილი ხალათის შიგნით ხელი საცვალზე იტაცა: მოეცლები მაგ კარს, თუ აქვე მოვშარდოო...

თეკლა გარეთ თავქუდმოგლეჯილი გავარდა და კიბისაკენ გაიქცა. დერეფანში დაჭრილებს, თუ მომვლელებს, მედდებს და ექიმებს ლანდივით ხედავდა, მაგრამ კიბის მოსაბრუნთან წინ ისევ ვიღაც გადაეღობა და შეაჩერა. მის წინ ის ჩათქვირებული, ხალათში მკერდაუტევარი ქალი იდგა და რატომღაც წითლად შეღებილ ტუჩებს ენის წვერით ისველებდა.

— ვინა ხართ თქვენ, გენაცვალე, და რას დაეძებთ აქ?

— რა თქვენი საქმეა! — თეკლას, თითქოს ამ ქალს დაექციოს ქვეყანა, ბოლმა ერთბაშად კისერში მოაწვა.

— არ უყურებ, როგორ გაჯავრდა! — ქალმა ქვევით, კიბის ბოლოში ვიღაცას მიხედა. — მე გენაცვალეთ, ჰოსპიტლის დიასახლისი ვარ, აქ თუ ვის რა მოეპრიანება...

— არაფერი არ მეპრიანება მე... — თეკლამ გვერდის აქცევა მოინდომა, მაგრამ ამოდენა ქალის სურვილის წინააღმდეგ, პატარა გოგოს თვითნებობაც გაუჭირდა.

კიბეზე ვატუტი ამოდიოდა და იღიმებოდა, ალბათ, ქალის ეჭვიანობა თუ აცინებდა.

— ფისოსავით რომ იცინი... — მიაგება ქალმა, — ეს არის?..

— ეს არის. — თავი დაუქნია ვატუტიმ, — თეკლა ქადაგიძე, ჩემი ძმის საცოლე.

— ბოდიში, გენაცვალე! — ქალმა გზა გაანთავისუფლა, — მე რა ვიცი... ვიცი, უცხო ვინმეა... გარეშე პირი...

— რაა, შენ რომ არ იცი, ელიტა... ვინმეს ეგონება...

— ახლა, რამდენი ვინმე...

— კარგი!.. — ქალს სიტყვა გააწყვეტინა, — თეკლა ჩვენი სტუმარია, ჩაყევი ქვევით, ტრიფონთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწყობში? აჰ, არ შემიძლია ვატუტი!..

— რა არ შეგიძლია, ხომ არ შეგჭამს?..

— დამიწყებს ბლლაძუნს, არ იცი, ტრიფონ აფაქიძის ამბავი?.. — გაინაზა ელიტა და შეღებილ ლოყებზე კეკლუცური სიწითლეც წაიფარა.

— არაფერი... არაფერი, ვატუტი... — თეკლას აქედან თავის დაღწევა ახლა ყველაფერს ერჩია, თანაც ისეთი კაცის სახელი და გვარი მოესმა, მის ოჯახში უხსენებელს რომ ეძახდნენ.

— ჩაყევი, ჩაყევი! ტრიფონი შენ ვერაფერს დაგაკლებს, თუ...

— რანაირი ხარ, ვატუტი...

— არა, მე არაფერი.., —თეკლა ორივეს გაცდა და საფეხურებს დამდგარმა მოაძახა, — მადლობელი ვარ...

— მოიცა, თეკლა... ასე როგორ!..— ვატუტი კიბეს ჩამოჰყვა, თითქოს ხალისითაც, ალბათ საფეხურებზე კოჭლობა რომ არ ემჩნეოდა, ის თუ ახარებდა, წამოეწია, მკლავში ხელი გამოსდო და დაუყვავა, — როგორ არ გინდა... აბა ასე შეიძლება?.. შენც მამაჩემი გამომიჩნდი. დედა, დედა ხომ სუსტადაა, იქ კიდევ ბებია... გასავლელი არ უნდა დატოვოთ, რაა ბოლოს და ბოლოს! — გაუწყრა ფართო დერეფანში საწოლებს შორის, ნემსმომარჯვებულ, შხვართნაწნავებიან გოგოს.

—გრძნობა დაკარგა, ექიმო!... —თავი იმართლა მედდამ.

— მე „ექიმო“ არა ვარ, ექიმია ვარდენი, ერმალო, დარეჯანი... — დაარიგა ვატუტიმ გამოუცდელი ალბათ პირველივე სამედიცინო ტექნიკუმიდან გამომწესებული, სულ დიდი, თექვსმეტი წლის ქალიშვილი.

— დიახ, უფროსო ექიმო... — გაასწორა შეცდომა შხვართნაწნავებიანმა და ვერ გაიგო გონდაკარგულისათვის მიეხედა თუ უფროსი ექიმი კიდევ რაიმე მითითების მიცემას აპირებდა...

— მიხედე, მიხედე ავადმყოფს!.. — თავი დაუქნია უფროსმა და თეკლა წინ გაიძოლოლა, მხრებზე ორივე ხელი დაუადო, — ჩვენ აქ ყველაფერი გვაქვს, ჩვენიანს რატომ უნდა უჭირდეს...

— არა, არაფერი...

— მოიცა, ახლა ომია. ეგ მერე, ქვეყანა რომ დაწყნარდება, მამუკა რომ დაბრუნდება...

— მამუკა რომ დაბრუნდება!..

— დაბრუნდება! აბა, ასე როგორ... ყველაფერი ხდება, აქ, ხომ დაინახე, იმდენი დასახიჩრებულია, ბევრს წერაც არ შეუძლია... ბევრს კიდევ... ისე ველარაა, რომ სახლში სიმართლე მისწეროს. უფეხოა, უხელოა... მე აქ ერთი დაჭრილი მეწვა, ნიკაპი და ყური არც ერთი არ ჰქონდა. სახლში ვუშვებდი და ფრონტზე წასვლას მოითხოვდა... ათასი რამ ხდება... ჩავიდეთ აგერ, ტრიფონთან...

— არა, მაგ კაცთან არა! — წამოცდა თეკლას ისეთი შიშით, თითქოს ჯალათთან თავის მოსაკვეთად მიჰყავთო.

— მგონი, თქვენი მეზობელია, არა? ჰო, რაღაცას ამბობენ მაგაზე, მაგრამ არა მჯერა... ვითომ მამაშენზე... რაიმე... ხომ არა...

— არა, არ ვიცი, შენი ჭირიმე, ვატუტი გამიშვი!.. მერე მე თვითონ, ახლა არა, ახლა არ შემიძლია... — კართან მისულმა თეკლამ რაკი ქუჩა დაინახა, გარეთ გამოვარდა და დაღმართზე სირბილით დაეშვა.

„არა, ეს არაა მამუკა, შენი ძმა, შე მოღალატე ბიჭო, შე მატყუარა, შე ორპირო! სად წახვედი და სად დამტოვე, ვისთან დამტოვე... არაა ეს შენი ძმა!.. გეწყინოს თუ გინდა... გეწყინოს, შენ მაინც არა ხარ კარგი ბიჭი! მიმატოვე, გამეპარე... მერე ერთი თვეო, ერთადერთი თვეო, დღეები ითვალეო, საათები და წუთები ითვალეო და ერთი თვის მერე სულ, სულ გაჩუმდი, შეგრცხვა, რომ სიტყვა გატეხე, სინდისმა შეგაწუხა, რომ მე, შენი მოიმედე, შენზე შემოჩერებული და მლოცველი, ვერაგულად დამტოვე, ამათ ხელში!.. შენი ძმები, ნამდვილი ძმები კი თან წაიყვანე... ლეონი, ღმერთო რო-

გორი კაცია. იმ ღამეს, შენთან სოფელში რომ ვიყავი, მე იმაზე ბედნიერი დღე არ მქონია და, ვიცი, არც მექნება. — —მისკენ რომ გავიხედე, ლეონი თვალს მარიდებდა, ჩემს მაგივრად რცხვენოდა თუ ერიდებოდა. მე მაშინ ბედნიერებისგან არ ვიცოდი, არ ვიცოდი რა მექნა, უნდა მომრიდებოდა თუ თავი ამაყად მჭეროდა. შენ ხომ ისე უყვარდი ყველას, რომ მზად იყვნენ, მეც ხელის გულზე ვეტარებინეთ, მამაშენიც, მამაშენის ძმაც... სულ სხვა, მკაცრი და ავი კაცი მომეჩვენა. ისიც კი თვალს მარიდებდა, რომ უხერხულობაში არ ჩავეგდე... ეს კი, ეს, ვატუტი, მომკალი და არაა შენი ძმა. მაშინ, მაშინ ესეც მიყვარდა. მაშინ მეგონა, მამაშენმა, ჩემზე და შენზე ნაწყენმა მამაშენმა, ჯოხი ვატუტიზე გადატეხა... შენი ძმაა ბაკური. ღმერთო, მისი, თითქოს მაშინ ძალიან ცოტა მესმოდა. მას ხომ სიყვარული, სიწმინდე და ამისთანა რამ თითქოს არ სჯეროდა, ნაღვლიანი და გულგატეხილი მეჩვენებოდა. დედაც ჯანმრთელი ჰყავდა, მამაც შინ ეგულებოდა, ძმები გვერდში უდექით და თითქოს მაინც აწუხებდა რაღაც. მე კი სულელი, ჩერჩეტი გოგო, მამის დამკარგავი, დედაზე უიმედო, საცოდავი ბებიის ამარა, სიხარულით დავფრინავდი... დავფრინავდი... არ გახსოვს? დავფრინავდი შენით, შენს გამო, შენ იყავი ჩემი ფრთები და ყველა შენიანი. მეგონა ჩემს წამებას რაღაც ეშველა-მეთქი, ამდენი ხალხი ჩემთანაა, რა უბედურება უნდა დამატყდეს თავზე, რომ ამათ არ მიშველონ და არ გადამატანინონ-მეთქი. მე ლაღი ვიყავი, მობეზრებული მქონდა დარდი და იმდენად მწყუროდა სიხარული, ის მართლა რომ არ მწვეოდა, შენ ჩემთვის მართლა რომ არ გამოჩენილიყავი, მე შენ მაინც მასეთს გამოვიგონებდი... შენ, შე მოღალატე და მატყუარა, შენ, შე გაუტანელო, ორპირო... ნეტავ ახლა სადა ხარ... ორმოში აგდიხარ, თუ რომელიმე ჰოსპიტლის დერეფანში იტანჯები გონმიხდილი და წყლის მომწოდებელი და ნემსის გამკეთებელი არავინ გყავს. ვაითუ, მე რომ გვერდით ისე გამოვუარე, და გულწასულისთვის არც დამიხედავს, ვილაცა ჩემისთანა გაჭირვებული გოგოს იმედი და ნუგეში იყო, და ვაითუ ჩემისთანა ვინმემ შენც ისე გაგიარა, საწოლის თავთან და ზედაც არ დაგხედა..."

მზე ზენიტზე იდგა. თბილოდა. ჭადრის ხეებიდან დაცვენილი შეყვითლებული ფოთლები ნაცრისფერ ასფალტზე და ქვაფენილზე ყანგწაკრული ოქროს ფირფიტებივით ეყარა. თითოოროლა გამვლელის მეტი, მყუდროებას არავინ არღვევდა. მზით გაკაშკაშებულ ძველ შენობებს, სიახლის ელფერი გადაჰკრავდა. ცა იყო კაშკაშა და უფრო ცისფერი, ვიდრე თეკლას ახსოვდა და თვითონაც რომ სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქში და ასეთ ქუჩაში გაევლო, დაენახა ტროტუარზე ბაკა-ბუკით მომავალი პატარა, ლამაზი გოგონა და ისე, რომ მის სულში არ ჩაეხედა, ალბათ იფიქრებდა, აქაურობა სამოთხესავით ლამაზი და მყუდრო სავანე ყოფილაო,

## თავი მეხუთე

I

გერმანელების ხელში ჩატოვებული გაღმა ნაპირი, მტერმა გულზე ორივე ხელის დადებით მიიღო და მეორე დილით ხმელი თუთუნივით დაფშვნა ისე, რომ გამოღმა ნაპირზე ერთი ცალი ბომბი არ გადმოუგდია. რაც წინა დღეებში არ დაენგრია და დაეწვა, ახლა ხელი აღარ ახლო. იმ დღიდან, რაც ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ ამაღლობელის პოლკი გამოღმა ნაპირზე ჩასანგრებას შეუდგა, სიმაგრეების, ბლინდაჟების, ძოტებისა და საცეცხლე წერტილების მშენებლობას, მიწაში ღრმა თხრილებისა და ორმოების გაყვანას, მტერს თოფი არ გაუსვრია, თითქოს „შეწირულებს“ დაჯერდა და აქეთა მხარის დანგრეული ნაქალაქარი, კაცის სიმაღლე, პირღია, შავი ძაბრებით დათხრილი ნაყანევი და შედარებით ნაკლებად შერყვნილი ტყე და მინდორი მეტად აღარ შეუშფოთებია. კაცს ეგონებოდა, ნამუსიდან გარეცხილი, სინდისმა შეაწუხაო, „სტრატეგიული მოსაზრებით“ მირთმეულ ძღვენს დასჯერდა და დაშოშმინდაო.

მართალია, ერთი კვირის შემდეგ ხმა დაირხა, ფრიცები დინების ქვედა წელზე გადმოვიდნენ, დივიზიას მეოთხე პოლკი მოწყვიტეს და რაც ვერ გაჟლიტეს, წინ გაირეკესო, მაგრამ ეს დინების ქვედა წელზე მოხდა და არა აქ, სადაც ძირითადი ძალები, არტილერია, შტაბი, სანბატი, იარაღზე ხელმომჭირნე საზენიტო, სატანკო და ტანკსაწინაალმდეგო დივიზიონები, საინჟინრო და მეკავშირე ათეულები, საიდუმლო და ოპერატიული განყოფილებები, ლარიბი, მაგრამ მაინც მომარაგებისა და იარაღის საწყობები იყო განლაგებული.

და მტერი აქეთა ნაპირს დაუზავდა, თუ ვერ შემობედა, ორი დღის შემდეგ, სადღაც ზევით, მდინარის ზედა წელი გაარღვია და წინ გაიჭრა. აქ კი, მდინარის გაღმა რომ ჩასანგრდა — ჩასანგრდა. რა თქმა უნდა, თავიდან იქაურობა კარგად გაწმინდა, დახოცილები (თუ ვინმე კიდევ მომაკვდავი დახვდა, ხელი მოუთავა) მდინარეს გაატანა, რომ სუფთა ჰაერი ესუნთქა.

ბაკური, აქედან ბინდბუნდათ, მაგრამ მაინც ყველაფერს ხედავდა და ხანდახან გერმანულ მუზარადზე გაცინებულ მზეს თვალსაც რომ უწვდენდა, და ბესოია კინწურაშვილს დაანახებდა: უყურე, უყურეო. ბესო პასუხად კბილებს აღაწუნებდა, რაკი საქმე გაიჩინა, სანგარი რატომ ორჯერ ღრმა არ მოთხარა. ასმეთაურ კლიმოვს რომ აურზაური არ აეტეხა და დივიზიის ინჟინერი არ დაემოწმებინა, ვინ იცის, დაძაგრული კინწურაშვილი თავს ამ, დედამიწის ზედა ჯოჯოხეთიდან, ქვესკნელის, ალბათ არაფრით უარეს ჯოჯოხეთში ამოჰყოფდა.

დარჩა ბესო სანგრებსა და მიწურებში უტარო ნაჯახივით და ჟანგი მოეკიდა. აღარც წვრთნა, აღარც ომი, აღარც ბარი და ნიჩაბი, აგიტმეცადინეობებზე ვთქნარება, კლიმოვის აჩემებული ღიჯინი, უმცროსი მეთაურის სემიჩასტნის უფროსთან დუმილი და მერე „უენო“ კინწურაშვილის მხრებზე მორიდებული და ბოდიშიანი ხელის ტყაპუნი; ბესოიაც მადლობითა და სიყვარულით ტორს რომ დაკრავდა, საწყალ, უმცროს ლეიტენანტს მხარი ჩამოუვარდებოდა. მათ შორის მაინც ისეთი „უენო“ დიდი მეგობრობა დამყარდა, ბაკურის ხშირად დაუნახავს ისინი სანგრის ძირში, მიწაყრილზე, ხისა და ბუჩქის ძირას მიმჯდარი და ორ სხვადასხვა ენაზე ხელების ტყაპუნით მოსაუბრე. ბაკურს ბესო ასმეთაურის ყვირილზე თუ მოძებნიდა, მითხარი, რა უნდა, თუ არა ხელი თუ მოვკიდე, წყალგაღმა ძაღლებს გადავუგდებო. არასოდეს ანატოლი სემიჩასტნისთან „საუბრის“ დროს მთარგმნელი არ სჭირდებოდა და არც ეს გულდახურული გლეხი მასთან სიტყვაძუნწი არ იყო. უყვებოდა, ყანის, ხარის, ტყის და წისქვილის ამბავს, რომელიც ქალაქელი, ოდესის სამხედრო სასწავლებლის პირველ კურსდამთავრებულ, პირტიტველა ბიჭისათვის თავის ენაზეც კი გაუგებარი უნდა ყოფილიყო, ბესოიეს ქართული კი ესმოდა. ეს თავიდან ბაკურმა ვალია ჟიჟინასაც შენიშნა, მაგრამ მაშინ ეგონა, თვითონ ვალიამ ქალური გუმანით იგრძნოო. თუ ბესოს ახლდა მიწასავით უშუალობა და სიმართლე, რომ იგი სხვა ენაზეც გასაგები ყოფილა, ამას სემიჩასტნისთან მეგობრობამ მიახვედრა.

ათმეთაური ივანოვი იმღამინდელ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარეზე კასრებით ტყვია-წამლის გადატანის შემდეგ, ბესოს პატივისცემით ეპყრობოდა და წყლის, პურის და ფაფის მოსატანად არ გზავნიდა. როგორც მტრის ერთი ჯარისკაცისთვის მძიმე არტილერიას არავინ გაისვრის. ცხარე ომის მომლოდინე ათმეთაური „გაჭირვების“ დროისათვის ინახავდა, როგორც ძოტის დამანგრეველ ბომბს და ასმეთაურ კლიმოვს — ვინც კინწურაშვილის ფასი არ იცოდა, თვითონაც ამრეზით უყურებდა. მეთაური შენ მოგწონს თუ არა, მეთაურია. და რამდენად ასმეთაური უხეშ, „ყრუ“ ჯარისკაცს, თავის ჭკუაზე რომ ვერ გამოქნა და თვალებში თვალდაუხამხამებლად უყურებდა, ზლუდავდა და „ზრდიდა“, იმდენად ოცმეთაური და ათმეთაური ანებივრებდნენ, არც წასვლა-წამოსვლას უშლიდნენ და თუ რაიმე, ათეულის ულუფიდან „ზედმეტი“ ლუკმა დავარდებოდა, ბესოს მაგარი, მოლაწუნე კბილების მსხვერპლი ხდებოდა. კუჭის და სტომაქის ავკარგიანობის კარგმა მცოდნე ზახარ ვასილიჩ კონოვალოვმა და ჩია ტანის, დიდთავა, დაღესტნელმა მუსა სულეიმანოვმა დანგრეული ქალაქის ლუდის ქარხანაში არყის, თუ ღვინის საწყობებში სპირტს მიაგნეს და ღამით, წყურვილით რომ დამხრჩვალიყვნენ, მათ დატყლეჟილ მათარებში მას მერე წყალი არავის უნახავს. ათმეთაურ ივანოვს, მისი ჯარისკაცები რომ დანგრეულ ქალაქში დაძვრებოდნენ, უფროსების შიში იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ტყუპ შვილთან გამწარებულ გლაშას სადმე არ გადაჰყროდნენ, მაგრამ კარხანოვის წინდახედულების იმედი ჰქონდა. კასპიის ზღვაზე ზუთხებზე მონადირე სულეიმანოვს, რაკი ღორის ხორცი გულს ურევდა. ტყის გადაღმა (ბლინდაჟებისთვის მორებს რომ ეზიდებოდნენ) ხუტორთან „მკვდარი“ ბურვაკის სუნი ეკრა და მორების თრევით დაქანცულმა კონოვალოვმა, შებინდებისას სტვენა-სტვენით (მისებურად ქლოშინს რომ ნიშნავდა) მოათრია. „გაბრაზებულმა“ ათისთავმა, აქაურობა მძორით არ [illegible] თქვენი გულისთვის მე არ დავისაჯოო, მარილის საშოვნელადაც გულამოვარდნილი ზახარ ვასილიჩი გაგზავნა და კონოვალოვმაც, ძაღლი ვინც მოკლა, მან გადაათრიოსო, მზარეულ მიკირტიჩიანს, მშიერი ძაღლი რომ გახრულ ძვალს ვერ დატყუებდა, ასეულის ერთი კვირის სამყოფი მარილი ააწაპნა. სულეიმანოვის სანგრის ძირში, ხელყუმბარებისა და ჩანთის თარო გამოაღრმავეს, აქაოდა მუსა მაჰმადიანია — ღორს მის არემარეზე რა უნდა, ბურვაკი დაამარილეს, ტყავში შეხვიეს, აქედან ისევ მიწა მიაყარეს და ჩანთა, აირწინაღი და ხელყუმბარები მიაწყვეს. ათმეთაურმა ამის თაობაზე, რა თქმა უნდა „არაფერი იცოდა“.

ღარიბმა, ქალამნებში და ჯღანებში გაზრდილმა ბესოიამ, თადარიგიანს, ხარაზობა თავისთვის რომ არ დასჭირვებია, წივანა ჯარისკაცის ვიზგინის ქუსლამდე მორღვეული ბათინკის ლანჩა ლურსმნის სადგისით და ორად მოკეცილი ფოლადის წვრილი მავთულით საგულდაგულოდ შემოკერა. ამის მერე ვიზგინი ყოველ ნაავდრალზე წიოდა, ორი-სამი ადგილის მეტად ბათინკებში წყალიც კი არ შემდისო. ჩამოდგა რიგში, სულეიმანოვის და მძიმე კარხანოვის სხვებზე მეტად ჯაფადამდგარი ბათინკები. ბესოს ერთი-ორი ღამე მიწურში ღორის ქონის სანთელზე მუშაობაც კი დასჭირდა, რაკი სპირტის ასეთი საქმისათვის გამეტება გაჭირდა და, ამის გარდა, კლიმოვის ყნოსვასაც უნდა გაწეოდა ანგარიში.

მეორე ასეულის მეთაური ნიკოლაი სემიონიჩი, სემიონ სემიონიჩ ივანოვს თავიდან კინწურაშვილში რომ ორ ჯარის კაცს უცვლიდა, ბოლო დროს იმას გაიძახოდა, ბესო მომეცი თავისი სადგისმახათით, გალმა, გერმანელებს რომ გავანადგურებ, ნაალაფარი სულ შენი იყოსო. ივანოვმა: ბერლინი წამიმატე თავისი გარეუბნებიანად, თვით ჰიტლერიც და მერე დავფიქრდებიო. კარხანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოდენა ბერლინს თავისი გარეუბნებიანად ვერ ელეოდა ერთ უჩინმეჩლებო ჯარისკაცში და შეთანხმება არ ხერხდებოდა. ბოლო დროს კინწურაშვილმა „მედიცინის დოქტორის ხარისხიც მიიღო“; ციებიანი, სიკვდილზე მიმდგარი მესამე ათეულის ჯარისკაცი სენკა გორბატოვი განკურნა. მართალია, დამუნათებული გორბატოვი წამლის საიდუმლოებას ინახავდა, რომ ბესოიამ ავადმყოფს მისივე შარდი ძალით დაალევინა. თუ სიცხისაგან გათარანებულს, უაზროს, არ ახსოვდა, ეს არავინ იცის, სინამდვილე კი სინამდვილედ რჩებოდა, ავადმყოფმა მოიკეთა და უკვე „დოქტორ“ კინწურაშვილში, ივანოვმა იმის გარდა, რასაც კარხანოვი უკვე დათანხმდებოდა, გებელსის, გერინგის და რატომღაც ჩერჩილის დამატებაც მოითხოვა. კარხანოვმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა: გებელსი, გერინგი და მიულერი, კა ბატონო, მაგრამ ჩერჩილი საიდან გამოგიჭედოთ? ივანოვმა: ჩერჩილი გამოჭედილია და კარგა ზორბადაცაო.

ნიკოლოი სემიონიჩს ჩერჩილის ზორბა აღნაგობაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ საიდან სადაო, ჩერჩილი ინგლისის ამბებია და ეს ჩემს სამოქმედო ასპარეზს არ შეადგენსო. შენ თუ წეკომ პირი გამოგწვა და იუნსტონის სიგარა მოგინდა, მე ამისათვის კინწურაშვილს ლონდონსაც ხომ ავალებინებო.

სემიონ სემიონიჩმა უთუოდ იცოდა, რა მძევალიც მოთხოვა მეორე ათეულის მეთაურს, თუ ჰიტლერს ხელიდან გააგდებინებდა. „დოქტორ“ კინწურაშვილში გებელსს და გერინგს, რაღა თქმა უნდა არ დაიწუნებდა, მაგრამ ჩერჩილზე ცოტა თავი უნდა შეეკავებინა...

ასე რომ, ბესო რჩებოდა მის ათეულში და ჟანგმოკიდებული ზარბაზანივით ელოდა გასროლას, მტერი ცხვირწინ იყო, ბრძოლა კი არ ჩანდა.

II

ბაკურმა და ბესომ, რაც გამოღმა ნაპირზე ჩასანგრდნენ, ვალია ჟიჟინა და თამარ მირიანაშვილი იმ ღამით, მდინარეზე რომ ფარაჯაში ხმელი ჯირკივით უძრავი დაჭრილი გადმოიყვანეს, პირველად იმ ღამეს ნახეს...

ივანოვს უფროსებისათვის პატაკი უნდა ჩაებარებინა. კონოვალოვმა ქშენასტვენით სული „შინამდე“ ძლივს მიიტანა. კასრებზე ამხედრებულები აქეთა ნაპირს რომ უახლოვდებოდნენ და გერმანელებმა ცაზე ვეება შუშხუნა დაკიდეს, გორბატოვი წყალში ჩახტა, ნაპირზე გამოაღწია, მაგრამ მაშინვე შეაცივა, ტყეს რომ თავი შეაფარეს, საკაცეში შებმულ ბესოს და ბაკურს რეზინის ბურთივით ხტუნვა-ხტუნვით მისდევდა.

სანნაწილმა: იოდის, ბამბის და მარლის მეტი არაფერი გამაჩნიაო, ამ ტყვიითა და ნაღმებით დაგლეჯილ მკვდარს რა მოვუხერხო, ახლავე მედსანბატში გააქციეთო. მაშინვე ქერა, მსხვილფულვაშიანი მძღოლი წამოაგდეს, სასთუმლად მთვლემარე მედდის კალთა რომ რგებოდა და ისე ხვრინავდა, კაცს ეგონებოდა, თავი, ქალის სავსე ბარძაყებზე კი არა, რეზინის საბურავებზე უდევსო.

მშრალი გზა, მანქანებს, თუ ათასი ჯურის ტექნიკას და ფეხით მოსიარულეებს გაემტკიცათ და გაწვიმებამდე მიმოსვლა არ გაჭირვებოდა.

ბრეზენტის კარვებში მიძინებულ გოგოებს თმაზე ხელის გადასმაც კი დაავიწყდათ ბაკურის ხმა რომ გაიგონეს და კარვის ბრეზენტისავე მისაღებში ისე გამოცვივდნენ, ვალია სავსე გულისპირზე გიმნასტურის ღილებს ბესოს თანდასწრებით იბნევდა. ექიმმა დაჭრილს სანთელი რომ დაანათა, თავი გადააქნია, ამის წყლის გაღაღმიდან გამოყვანა რა საჭირო იყო, მდინარეშიც რომ ჩაგეგდოთ მაინც ვერაფერს გაიგებდაო.

ბაკურმა მხრები აიჩეჩა.

სისხლიანი მარლით თავ-პირგადახვეულ დაჭრილს გატრუსული, კალთებშემომწვარი მაზარის ქვეშ ასევე მტვერში და ტალახში შეზელილი სისხლის ლაქები შეხმობოდა. ბაკურმა დაჭრილს საღად გადარჩენილი ცხვირო-

ლა დაუნახა და თითქოს ეცნო, მაშინვე თვალი აარიდა, ახალი დრამა არ დაიწყოს, მართლა ნაცნობი ვინმე არ იყოსო და მზერა თამარზე გადაიტანა, მომაკვდავის უსიცოცხლო მაჯაზე პულსს რომ ეძებდა, და ვერ ეპოვნა.

„ჩემი მოყვანილი რომაა, ამიტომ ორჯერ მეტ ყურადღებას იჩენს, შეეძლო ხელიც არ ეხლო, აქ ჯერ ეს ერთი დაჭრილია და მიმხედავის მეტი რაა, ამას იმიტომ კი არ ჩადის, რომ მე პატივს მცემს, არა, ეს ასე ხდება, იმ ადამიანის ირგვლივ ყველაფერს მეტი გულისყურით ეკიდები, ვისაც იცნობ... ნაცნობობით რომ საქმე კეთდება, ყოველთვის ანგარება კი არაა, რაკი ნაცნობია, ყურადღებას იჩენ“.

„აი, მიხვდა, რომ ჩემს გამო აკეთებდა, შევნიშნე და ხელი უშვა. მაჯისცემა ვერ იპოვა და ალბათ არ მოეშვებოდა, მაგრამ ეგონა, მე აქ ანგარება დავინახე და ამიტომ დაანება იმ მორიგე, ცხვირგაბუშტულ ცქრიალა ექთანს.

— ო, ბესარიონ ესტატევიჩ, გამარჯობათ, საღამო მშვიდობისა! — მოესმა შემოსასვლელის გარეთ ბრეზენტის კარვის კალთასთან ვალიას ნასიამოვნები, მაგრამ ულიმღამო ხმა.

— გამარჯობა, თამარ! — ბაკურსაც მოაგონდა, რომ არ მისალმებია, მაგრამ რატომ, ვერ გაიხსენა, თითქოს დაჭრილის გამო... თუნდაც ნაცნობი ცხვირი რა შუაში უნდა ყოფილიყო, ხომ თქვეს იქ, საიდანაც წამოიყვანეს, ქართველიაო.

— რატომ მოხვედით! — თითქოს ფიქრი წამოცდაო, თამარმა საყვედური დააპირა, მაგრამ თავი გაიქნია, ბაკური ამას რომ საგანგებოდ არ ჩაიდენდა, მერე მიხვდა. დაჭრილისკენ არ მოუხედავს, თავით ანიშნა.

— ვინაა?

— არ ვიცი...

— ღმერთო ჩემო, ბრძოლა იყო? კიდევ არიან დაჭრილები?

— არა, ეს გაღმიდან...

— სადაა გაღმა, და იქ რა გინდოდა?

„თუ ამას ეს აწუხებს, რომ მე ბრძოლაში მოვხვდი, თუმცა სალსალ[illegible] რომ დამჭრან, ან უარესი, [illegible] დაიწყება თვალის სეირი... თუმცა მსიამოვნებს, რომ გულშემატკივარი მყავს. ვიცი, ეს უარესია, უარესია, რომ აქ, სადაც ყოველ წამს შეიძლება ბომბი დაგეცეს და დაგფლითოს, ვისაც შენზე გული შეტკივა, ნამსხვრევები იმასაც ხვდება და ორივეს გტკივათ... მისი ტკივილი უნდა გიმსუბუქებდეს ტანჯვას თუ პირიქით?...“

— რას ვდგავართ აქ, დაჭრილს მოუვლიან, თუ მოიხედა, დივიზიის ჰოსპიტალში გაგზავნიან...

— ჰო, ალბათ... — ბაკური გამობრუნდა, მაგრამ რატომღაც ერთხელ კიდევ მიიხედა, თითქოს არაფრის დანახვა არ უნდოდა ან რა საყურებელი იყო ულვთოდ დაგლეჯილი ადამიანი, მაგრამ ახსოვდა, რომ უთხრეს: „ღმერთს ძმასავით ესაუბრებაო“, თუ ისევ ის ცხვირი უნდოდა დაენახა, რომელიც თითქოს თავისას ჩამოჰგავდა.

დაჭრილი ფრონტის დათხვრილ, დალაქავებულ საკაციდან ისე ფრთხილად აეყვანათ, არც გაუგია და თვალში იმ ცარიელ საკაცეზე დარჩენილი ორი ჩანთა მოხვდა. უცნაურია, ერთი ჯარისკაცი და ორი ჩანთა, ვითომ ისევ იქით, უკან შებრუნება და დახედვა მოუნდა, მხოლოდ იმან შეაკავა, რომ ცოცხალმკვდარის ცხვირი თავისას მიამგვანა. ეს ნაცნობობა და ახლობლობა მეტად დასწყვეტდა გულს და გაირთულებდა, ისედაც კაცმა არ იცის, რა ტრაგედიით სავსე როლს, მით უმეტეს გაიდუკოვის სიკვდილის სცენა მოაგონა თამარმა და უმოძრაოდ გაშხვართულმა დაჭრილმა; გაიდუკოვიც ხომ საკაცეზე ესვენა, მაზარა ეხურა და მოჭმული ტუჩი გაღიმებულივით უჩანდა. ბაკურსა და თამარს შორის მოქცეულმა სიკვდილმა რაღაც უფრო მძიმე და მტკივნეული, წარუშლელი სიმწარე დატოვა. მათ შეხვედრას ის უუფლებო, თუ გაუმხელელი სიხარულიც დაუკარგა და მათ შორის დარჩენილ მანძილს მას შემდეგ თითქოს სიმწრისა-

გან ტუჩმოჭმული მკვდრის ღიმილი ავსებს.

— რას უდგეხარ, დაჭრილის რაიმე საბუთები ხომ არა გაქვთ?

— არა, ალბათ ყველაფერი თან ექნება...

— გინდა ნახო?

— რატომ?..

— რა ვიცი, იქნებ ვინ გადაარჩინე გინდა იცოდე...

— გადავარჩინე, მე რა გადავარჩინე!.. ისე, გადარჩება?

— რა ვიცი... თითქოს გული არ უნდა ჰქონდეს გაჩერებული, მაგრამ ამდენი სისხლის დაკარგვა... თუმცა ჯერჯერობით გვაქვს სისხლი... თუ გინდა, წამოდი და ნახე...

— არა, რად მინდა... — ბაკური გარეთ გამოვიდა უსიამო ფიქრით: არ ვარგა ამდენი რომ ილაპარაკეს იმ ვიღაც დაჭრილზე, ამით ის თითქოს დაიახლოვეს და რაღაც კიდევ „გაიდუკოვივით“ „გაიჩინეს“. უფრო იოლი იყო მზაზარეულის დაღუპვა, თუმცა ბაკური და ბესო მზარეულს იმ გაიდუკოვზე და ამ დაჭრილზე მეტად იცნობდნენ. მზარეულის დაღუპვა ეწყინათ როგორც ცუდი ამბავი, გულისსაწყვეტი, მაგრამ იგი ამათთვის მაინც არ მომკვდარა, ის თავისთვის მოკვდა. როცა სიკვდილი შენ თვალწინ დგება და მკვდრის თვალით შემოგცქერის, შენში სიცოცხლის რაღაც ნაწილს ჰკლავს; თუნდაც მარტო იმ წუთებში შენში გაღმოდის და ერთხანს მაინც თავის კლანჭებში ჰყავხარ. ალბათ ეს მანამაა, სანამ არ მიეჩვევი სიკვდილთან სიცოცხლეს.

გარეთ სიგრილე და მთვარიანი ღამე იყო. ეს ახლა შენიშნა ბაკურმა, როცა კარვების ახლოს ბესო და ვალია დაინახა.

— საუბრობენ... — თქვა თამარმა.

„უნდა დამავიწყოს, გონია დაჭრილში ჩემი თავი დავინახე“.

— აღარც ღამე უშლით ხელს...

„ეგონოს, რომ არაფერი მადარდებს, უფრო კარგად დაეძინება. სანამ სიმშვიდეა, მოასწროს დასვენება“. ბიბლიოთეკა

— ბაკურ, იცი, რა გამახსენდა?

— თითქოს არა...

— აი, ტალახში დაფლული მანქანები...

„ამასაც გაიდუკოვზე უფიქრია და ის აღარ თქვა, მაგრამ ვერც შორს წავიდა...“

— მახსოვს, მე რომ თითქოს სხვაგვარად ვთარგმნე ბესოს ნათქვამი...

— ჰო, ჰო, — თამარმა გაცინება სცადა, — ვალიასთვის ამის თაობაზე არაფერი მითქვამს...

— არც ბესომ იცის...

— მაშინ გამოდის, რომ ვალიას ჰგონია...

— მე მერეც ვიფიქრე ამაზე და მჯერა, რაც ვალიას ჰგონია, ის თქვა ბესომ.

— როგორ! — წამოცდა თამარს და ცოტა ხნის შემდეგ დაეთანხმა, — ალბათ, ჩვენ ხომ სხვას ვფიქრობთ და სხვას ვამბობთ...

— ეს ჩვენ, მაგრამ ბესომ ისე ვერ თქვა, როგორც მე, თორემ ისე იფიქრა და ისე უნდოდა ეთქვა...

— არც ჩვენ... ჩვენ მაინც იმას ვამბობთ, რასაც ვფიქრობთ.

— იმიტომ კი არა, რომ სხვაზე პატიოსნები ვართ, სხვაზე მამაძაღლები ვართ და იმიტომ.

— ჰო, ვიცი, თუ იმას არ ვიტყვით, რაც ვიფიქრეთ, სულ ერთია დაახლოებით მაინც ვიგრძნობთ და აზრი არა აქვს...

— და რაკი უაზრობაა... ვინც ამბობს ერთს და ფიქრობს მეორეს, ამას მისთვის აზრიცა აქვს, ჩვენთვის კი თითქოს არა...

მანქანის გვერდით, ხის ძირს მიყრდნობილ ვალიას ბესო მდინარეზე გადასვლის ამბავს უყვებოდა, ალბათ როგორც დაჭრილთან დაკავშირებულ ამბავს. ვალია სევდიანად შეჩერებოდა პირში ქართულად მოსაუბრეს. მისი ოქროსფერი თმა, სავსე სახე მთვარის შუქს გაეფერმკრთალებინა.

შოფერთან ვიღაც პაპიროსის მოსაკიდებლად მივიდა, თუ სამუსაიფოდ, ბამბებგამოჩურთულ სავარძელზე გაშხლართული გაალღვიძა. ქერაულვაშა შოფერმა რაღა აქ, სავარძელზე მოვიკლა თავი, უკან გავწევ, გოგოების თბილ კალთაში ძილი მირჩევნიაო, ძრავა ჩართო და მანქანა დაძრა: თუ მოდიხართ, თუ არა, მოვუსვიო.

ბაკურმა ორი სიტყვით აუხსნა, თითქოს რაღაცას მიხვედრილ ვალიას მომხდარი ამბის თაობაზე.

იმ ღამით ასე დაშორდნენ. დაშორდნენ, მაგრამ რაღაც გარდაუვალის, რაღაც საბედისწერო მიახლოების, ისევ შეხვედრის აუცილებლობაში კი ოთხივე დარწმუნდა. და ამ მოლოდინმა სიხარულისა და ალტაცების მაგიერ, შიშის, სინანულის, წყალში რომ იძირებოდე და ძვირფასი ნივთი გადააგდო, იქნებ თავი გადავირჩინოო, ამის მსგავსი რამ კი დაუტოვათ.

III

ნავსი მაინც გატყდა.

ღამით კარგა ლაზათიანი წვიმა წამოვიდა, ბრეზენტის ნაგლეჯთან მოდარაჯე სულეიმანოვმა თავი მიწურში შემოჰყო, ჩემი წილი სპირტი არ დამაკლოთ, ასეთ ამინდში ალაჰი მე დამიშლის კი არა, თვითონაც წყალგაურევლად გადაჰკრავდაო. ძილგატეხილი, თუ ამ ბოლო დროს ივანოვის ათეულის „კარგი გუნებით“ დაეჭვებული კლიმოვი ზურგიდან წამოეპარათ, მუსამ ის იყო დაცლილ ალუმინის ტოლჩაში თავისი შუშის მათარიდან თითის დადება პილატეს ცრემლები დაასხა და ბესოს მოწვეულ ოცმეთაურ სემიჩასტნის მიაწოდა. ანატოლი შავი, გამურული ვედროდან წყლის შერევას აპირებდა, რომ ასმეთაურმა „სდექო!“ დაიჭყივლა და ოცმეთაურმა ტოლჩას კი არა, და ვედროს კი მაშინვე ხელი უშვა.

ქონიან კონსერვის კოლოფში მხრჩოლავი მურიანი ალის ფერი გაუხდა შიშით სახე მორიდებულ, სა[illegible] სემიჩასტნის. აქ, სადაც წყალგალმა მტერი იყო ჩასაფრებული და როდის მოიგუნებებდა მდინარეზე გადმოსვლას, არავინ იცოდა, ამ დროს ჯარისკაცებთან სმა და ლრეობა, თუ ქვეყნის დაქცევა არ იყო, უმცროს ლეიტენანტს არ ეგონა. ივანოვი ამ ვიწრო მიწურიდან როგორ გაქრა, თვით ფხიზელ კლიმოვსაც არ შეუმჩნევია. ბაკური ორი ლერი ფიცრის ნარის თავში იჯდა, ბესოიას იქით და „მოსეირეს“ ფანტაზიით „მოხიბლული“ — აბა კიდევ რა მოხდებაო, „სული მისდიოდა“. მუსამ თავისი შავი მინის მათარიანად კლიმოვის ზურგსუკან გაძრომა დააპირა, მაგრამ ასმეთაურმა მკლავით გზა გადაუღობა. სულეიმანოვმა: გულში მინდოდა ჩაგხუტებოდიო, მკერდზე აეკრა და მეთაურის ზურგს უკან მათარა ბესოს გადააწოდა. კინწურაშვილმა, ჭირში ჩავარდნილს არ ეღალატებისო, ჩამოართვა და როცა კლიმოვმა მუსას ხელი ჰკრა და გულიდან მოიგლიჯა, თავის სიცოცხლეში პირველად დაელამდა: ცალი თვალი სემიჩასტნის ხელში შეყინულ ალუმინის ტოლჩას და მეორე ბესოს ტორში გაჩენილ შალითიან მათარას, სნაიპერივით დაუმიზნა.

კონოვალოვმა ბურვაკის ხორცით გაქონილი ხელები ჯერ გაილოკა და მერე მაღლა აიშვირა — გნებდებიო. მაიბოროდამ ბესოს მიერ ძირგამოკერებული ბათინკებიანი ფეხები ასწია. ამით ალბათ იმის თქმას აპირებდა, მე კინწურაშვილთან ფეხსაცმელების შეკეთების გარდა არაფერი ურთიერთობა არა მაქვსო. უზბეკი გაშიბულატ რახიმოვი ოცმეთაურის ფეხებთან გაგორებულ სათლს ეცა, ამ ცხელ გულზე ასმეთაურს რომ წყალი დასჭირდეს, იქნებ რაიმე გავახერხოო.

— სდექ! — უკივლა იმასაც კლიმოვმა და თუჯიდან ჩამოსხმული, სათლიანი ჯარისკაცის ძეგლივით ადგილზე გააქვავა.

ბესოიას ის ვერ დააბნევდა, რომ სმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე წაასწრეს. რაც ათეულს სპირტის მარაგი ჰქონდა, ყველა რომ მარტო მას დაელია, კლიმოვი სიმთვრალეს ვერ დაუმტკიცებდა, მაგრამ მის მოწვეულ ძმაკაცს სემიჩასტნის ხელში რომ ტოლჩა აუკანკალდა, გონს მაშინვე მოეგო და პრაქტიკულ გლეხს დაძაგრული კრიჭა გაეხსნა, ანატოლის ტოლჩა ხელიდან თითქოს ძალით გამოგლიჯა, რაკი თავის მხრივ მეგობრის გაწირვას არც ის აპირებდა და არ ანებებდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — თქვა მერიქიფემ ქართულად, შეზარხოშებული თამადა რომ დაგვიანებულ, სასურველი სტუმრის მოსვლით გაიხარებს და საჯარიმო გალიცლიცებულ ყანწს მიაწოდებს, ჯერ ეს დამილიე და დაგვიანების მიზეზზე მერე ვილაპარაკოთო.

კლიმოვს ცხვირთან მიტანილი, მშრალი სპირტის სუნი რომ ეცა, შეხტა და მიწურის თავზე არყის მორს თავი მტკივნეულად შეახალა.

— ეს შემოსწრებისაა, იცოდე! — გააფრთხილა „თამადამ“ და ბაკურს გადმოხედა, ამას ჩვენი სუფრის წევრები კი არა, ჩემი გათხრილი სანგარი არ მოსწონსო.

ბაკურმა ასმეთაურს აუხსნა: წესი გვაქვს ასეთი, ჩვენ ჩამორჩენილი ხალხი ვართ, ღვინის კულტს ვერაფრით თავი ვერ დავაღწიეთო.

— სდექ! — უჯლავლა ცოფმორეულმა უფროსმა ბაკურსაც და არყის ხის მორს თავით ერთხელ კიდევ შეასკდა.

— რავა, უარს ამბობს თუ?! — კინწურაშვილმა ბრაზით მოხედა ამაღლობელს, ვითომ „შემოსწრებულისთვის“ სასმისი ბაკურის არ დაენებებინოს.

— მგონი, თავპატიჟს იდებს! — თავი ეჭვით გადააქნია თარჯიმანმა.

— მაშინ ისიც უთხარი, ჩვენ ასეთ დროს რა ვიცით.

— ძალიან ცუდი წესი გვაქვს, ჩვენამდე ცივილიზაციამ ვერ იქნა და ვერ მოაღწია... — თავი მოისაწყლა ამაღლობელმა. კლიმოვმა ფეხი ფეხს შემოჰკრა და გასასვლელისაკენ მიტრიალდა. ბესომ ხელი წაუწია, მაზარის საყელოში წვდა და თავი რომ ძელებთან მიუტანა, კლიმოვი ფეხებს ჰაერში იქნევდა და გზას „განაგრძობდა“. „განაწყენებულმა თამადამ“ ფეხი ნარზე შემოდგა, „თავპატიჟმოდებული შემოსწრებული“ მუხლზე გადაიწვინა, „სტუმრის“ თავი მკერდზე მიიკრა, თითქოს გაჭანჭყლებულ ბავშვს პირში ძუძუ უნდა ჩაჩაროსო, კისერზე მოხვეული მარცხენა ხელით ღრანჭი გაუხსნა და მარჯვენათი სასმელი იმდენი ჩაასხა, ყელში ერთ ყლუპზე რომ ჩაეტეოდა. „გაჭინჭყლებულს“ ხველა აუტყდა და სასულეში გადაცდენილი სპირტი ჭერს შეასხა, მაგრამ მეორედ რომ ჩაასხა, მაშინვე თავისი დაკოჟრილი, ნიჩაბივით ხელისგული ტუჩზე წააფარა და ახლა კლიმოვმა ცხვირიდან რომ ამოახველა, მესამედ ამის საშუალებაც მოესპო. მოგვიანებით, ნარზე გაშხლართულმა ასმეთაურმა ხმამაღლა ისეთი უწმაწური „ჩასტუშკები“ წამოიწყო, ბესოს კიდევ დასჭირდა მისთვის პირზე ხელის დაფარება, რომ ამ ნაბახუსევ „მგალობელს“ კიდევ ვინმე დაუპატიჟებელი სტუმარი არ მოეწვია. სიმღერაზე რომ ხელი აალებინეს, „თამადას“ გულაჩუყებული მოეხვია და იმდენი კოცნა ბესოს გაუპარსავ, ქაცვის ეკლებივით შავ წვერზე, სანამ ტუჩები არ დაისისხლიანა.

ამის შემდეგ კინწურაშვილს გარს იმდენი მეგობარი ეხვია, გაღმა ნაპირს ფეხმისობილ მტერს რომ ღმერთი გაწყრომოდა და მდინარე გადმოელახა, მთელი სატანკო დივიზიითაც ვერაფერს დააკლებდა.

IV

ამ ამბავს ომის საქმეში ჩახედული კაციც არ უნდოდა, საქმე კარგად ვერ იყო. სამხრეთით და ჩრდილოეთით საომარი გრუხუნი, რომელიც თანდათან აღმოსავლეთით ინაცვლებდა, ცხვირწინ, წყალგაღმა გატრუნული მტერი რაღაც იმაზე დიდ უბედურებას მოასწავებდა,

ეროვნული

რაც ხელჩართულ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში იყო მოსალოდნელი. მძიმედ დატვირთული გერმანული ბომბდამშენები, ყრუ ზუზუნ-გუგუნით გადმოდიოდნენ მდინარის გამოღმა განლაგებულ თავდაცვის პოზიციებზე, და ხელცარიელნიც უკან ისევ მაღლა გადაივლიდნენ, ვითომ თქვენი მყუდროების დარღვევას რაც გვიხერხდება, არ ვაპირებთო. არც აქედან იღებდა ხმას საზენიტო არტილერია.

ზაფხულის მიწურულში წერილები შეწყდა, თუმცა ბაკურს ისედაც ვერაფერს სანუგეშოს ატყობინებდნენ. ლეონის, საერთოდ, არაფერი ისმოდა. მამუკას ერთი ოვის შემდეგ დაშრეტია თავისი უამრავი ბარათების მდინარე: „ჩვენ კარგად ვართ, ძალიან კარგად, ჩვენზე არ იდარდოთ. ბიძაშენმა ლუკამაც კი მოიკეთა. ყოველ შემთხვევაში იმაზე უკეთესადაა, ომამდე რომ იყოო". იწერებოდა დედა.

მამა თავშეკავებულად, მაგრამ მაინც იმედიანად გამოიყურებოდა თავის მონაწერში. თუმცა ფარნას მთავარი სათქმელი მაინც სხვა იყო. იგი ბაკურის აჩემებულ უიმედობას, თუ (მამა, თვით სიტყვა „უიმედოს" არსად არ ახსენებდა) შვილის ცალმხრივად შეცნობილ სამყაროს მხარეზე ახედებდა. უნდოდა ბაკურს ისიც დაენახა, რისთვისაც ადამიანი ცოცხლობდა, შრომობდა, უყვარდა და იბრძოდა...

ფოთოლა იწერებოდა იმას, რაც მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა და რაკი გუგუტას ნააზრევი აკლდა, ოთხგვერდიან, ლამაზ ხელნაწერიდან მხოლოდ ერთნაირი ქოთქოთის ამოკითხვას მოახერხებდი: ჩემო ძმაო, ჩემო ბაკურ, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალოს შენმა ფოთოლა, ბესო შენთან რომაა, სახლში მეგულება. მოსპეთ მაგ ჭირის გასაწყვეტი გერმანელები. თქვენი თავი დამანახეთ და ჯანდაბას ყველაფერი. მე რატომ გავუჩნდი დედაჩემს, ლექსოსიც არაფერი ისმის. შენ და ბესოიამ მიიკითხ-მოიკითხეთ... შავ დღეზე დაბადებული დედაჩემი თქვენი ჯავრით ზეზეურად ჩამოხმა. მამაჩემს რაღაცა ორი კბილი აქვს შერჩენილი და ღეჭავს ყალიონის ტარებს, ჩვენს ტყეებში ქორნისკარტა გადააშენა (ასკილის ღერს ხმარობს მამაჩემი ყალიონის ტარად, შენც იცი). იასონ ლაცაბიძის მესამე, უმცროსი ანდროც გაიწვიეს. კი მიხვდები, რა დღეშიაც იქნება. რას ვტლიკინებ, ვინ აღარ გაიწვიეს, მაგრამ იასონზე იმიტომ გეუბნები, ფინეთის ომში რომ დაეღუპა უფროსი შვილი...

იწერებოდა თითქმის ყველაფერს ყველაზე და არაფერს გუგუტაზე... გუგუტა უთუოდ ბევრ რაღაცას მიხვდა იმ დღეს... ბაკური გრძნობდა, რომ ბევრი ბოლომა გადმოანთხია იმ გაწვევის დღეს... არ უნდა ექნა, რა შუაში იყო გუგუტა. მაგრამ უბედურებაა, რომ არ უნდა ჩაედინა, და ჩაიდინა. იმ აყალმაყალს, ახლა კი არა, მაშინაც, იცოდა მისი ნება რომ ყოფილიყო, არ ატეხდა. უთუოდ არ იყო მისი ნება, არ იყო მის სურვილზე დამოკიდებული, ვიღაცა უჭერდა ტვინზე ხელს და აყვირებდა, აბღავლებდა, ალაპარაკებდა იმას, რაც მთქმელს კი არა, იმ „ვიღაცას" სჭირდებოდა. სჭირდებოდა, თუ ასეთი სურვილი ჰქონდა... არა, იქნებ სწორედ რომ სჭირდებოდა. რაკი ყველაფერი ისე უნდა იყოს „მოწყობილი", „მის" მეტმა თავი და ბოლო ვერ გაუგოს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ილია რუხაძე

# მთის რაიონების პრობლემები

1.

ბათუმიდან ხულომდე მანქანით თითქმის სამი საათის გზაა. ეს დრო საკმაოზე მეტია საფუძვლიანი საუბრისათვის; მით უმეტეს, როცა თანამოსაუბრედ გყავთ საქმეში კარგად ჩახედული კაცი. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ხოზრევანიძე წლების მანძილზე მუშაობდა პარტიის ხულოს რაიკომის მდივნად და ზედმიწევნით იცნობს აჭარის მთის რაიონების ცხოვრებას, იცის რა უხარია და რა აწუხებს აქაურ კაცს. ჩვენი სჯა-ბაასი, ფაქტიურად, არის გაგრძელება იმ საქმიანი ლაპარაკისა, რომელიც წინა დღით დაიწყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვახტანგ პაპუნიძის კაბინეტში.

საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის მშრომელებს დიდად ახარებთ ის, რომ ბოლოსდაბოლოს ფართოდ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით დაისვა ამ რეგიონის ეკონომიკისა და კულტურის დღემდე მოუგვარებელი პრობლემების არსებითად გადაჭრის საკითხი.

აჭარის თვალწარმტაცი ხეობის გასწვრივ განლაგებული რაიონების დაბებსა და სოფლებში მოგზაურობისას ჩვენ საშუალება გვქონდა შევხვედროდით ხალხს და გულახდილად გვესჯელა მასთან ერთად. ყველას, ვინც კი ამ კუთხეს იცნობს, კარგად მოეხსენება რაოდენ სასიამოვნოა აჭარელ გლეხკაცებთან, მით უფრო მოხუცებთან საუბარი. აქაურ კაცს გამომუშავებული აქვს სოცარი ალღო კარგისა და ავის, მოჩვენებითისა და ნამდვილის გარჩევისა; უნარი სხარტად, მიუკ-მოუკიბავად გამოხატოს თავისი შეხედულება და აზრი.

განსაკუთრებით სამახსოვრო იყო ტბეთელ შრომის ვეტერან მიხეილ წულუკიძესთან შეხვედრა. ამ ახოვანი, მრავალნანახი კაცის სიტყვას განსაკუთრებული ფასი აქვს. იგი ხომ ერთი პირველთაგანია, ვისაც სოფლად საბჭოების ხელისუფლების ორგანოს გაძღოლა ანდეს, შემდეგ კი მთის ულამაზესი სოფლის საკოლმეურნეო ცხოვრებას აშენებდა.

— განა ეგეთი დიდი ქვეყანა გვიბოძა გამჩენმა, რომ რომელიმე კუთხე ბედის ანაბარა მივაგდოთ?- — ამბობს მოხუცი და რამდენიმე ისტორიულ მომენტს იხსენებს, როცა ვაიმოკეთეები და ცრუ მრჩევლები აჭარლობისათვის გზა-კვალის აბნევას ცდილობდნენ, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა გამჭრიახობას, მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერას და ურთიერთგაგებას უჯობნია.

და ეს დროული, ცხოვრების გამოცდილებით დაყურსული კაცი დღეს სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს თავის მრავალრიცხოვან ნაშიერებზე, რომელთაც საქმით თუ რძალ-სიძეობით მთელ საქართველოში გაუდგამთ ფესვი და ხალხის საერთო, განუყოფელი ინტერესებით ცხოვრობენ!

მართლაც, სასწაულებრივად იცვალა ფერი აჭარისწყლის ხეობამ.

— დრო იყო, ბატონო, მთელ სოფელს სამი გირვანქა ნავთითა და ერთი კოლოფი ასანთით გაგვქონდა თავი! — გაიხსენა მეორე მოხუცმა გელაძეების გვარიდან, რომელსაც ბეშუმში ვესაუბრეთ. — ახლა!.. აბა სამდურავი და საწუწუნო რაი უნდა გვქონდეს... რაც რომ დუნია გაჩენილა, კაცის ცხოვრება წინ მიდის...

ეროვნული

აქამდე მოვედით... აწი რაღაი დაგვზიდავს უკან, რა დაგვაყოვნებს.

ჩინებულად არის ნათქვამი!

ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავამდე გაფართოებულ გზას თითქოს უფრო ფართო ფანჯარა გაუჭრია ხეობის სიღრმისაკენ. აჭარისწყლის კალაპოტის ორივე მხარეზე წამომართულ მთებს უფრო მოხშირებია დაბურული, იდუმალებით სავსე ტყეები... კლდის გულიდან ყოველ ნაბიჯზე გადმოჩქეფს ჩანჩქერი, ნაკადული და წყარო...

სილამაზე, სალი ჰაერი და წყალი ამ მხარეს არასოდეს ჰკლებია, მაგრამ საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა ისიც იცოდნენ, რომ ხეობას მრავალი გასაჭირი ადგა, აქაურ კაცს [illegible]ლგამართულად ცხოვრება უჭირდა. ჯერ კიდევ ომისშემდგომ წლებში ყოველ საქმიან შეკრებაზე იყო დაუსრულებელი ლაპარაკი იმაზე, რომ ზემოაჭარის მეტწილ სოფლებში შრომადღეზე კაპიკები რიგდებოდა და ნატურანაზღაურებაც უმნიშვნელო იყო. ეს ყველას აფიქრებდა. თავის დროზე არაერთი დადგენილება ყოფილა მიღებული, მაგრამ გარდატეხა, არსებითად, უკანასკნელ წლებში დაიწყო. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად აჭარის მთის სოფლებში შრომადღის ღირებულება საშუალოდ 3-4 მანეთამდე ავიდა და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ბარის, ეკონომიურად ძლიერ, მეჩაიეობა-მეციტრუსეობის მეურნეობების მაჩვენებლებთან შედარებით ეს მაღალი არ არის, მაგრამ აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ მთის სოფლებიც აღმავლობის გზაზე დგანან.

ეს მაინც დასაწყისია. თანამედროვე ეტაპზე ცხოვრება გადასაჭრელად აყენებს მთელ რიგ ახალ, დიდმნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებს. სწორედ მათზე გვექნება ლაპარაკი ქვემოთ.

2.

ერთი შეხედვით, მეცხოველეობა მთის რაიონებისათვის მაღალპროდუქტიული და შემოსავლიანი დარგი უნდა იყოს. სინამდვილეში კი მისი ზარალიანობა მძიმე ტვირთად აწევს კოლმეურნეობებს. როგორც მეცხოველეობის განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, ზარალი ამ დარგში თანდათან მცირდება, მაგრამ მომგებიანობის მისაღწევად ყველაზე მოწინავე ფერმებსაც კი კარგა ხანი დასჭირდებათ. მაშასადამე, საჭიროა საგანგებო ღონისძიებების გატარება.

ამ მხრივ ნომერ პირველ პრობლემად საკვები ბაზის საკითხი რჩება. კულტურული სათიბ-საძოვრების მოწყობას მრავალი რამ უშლის ხელს, არ ხერხდება სათიბ-საძოვრების გეგმაზომიერი, კულტურული ექსპლოატაცია. დღემდე გადაუჭრელია მორწყვის, მინერალური და ორგანული სასუქების ფართოდ გამოყენების საკითხი.

აჭარის მთიანი რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების, სოფლის მეურნეობის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ საკუთარი ძალებით უკვე სცადეს მცირე მელიორაციის დანერგვა. იქ, სადაც მოხერხდა პორტატული სატუმბი სადგურების დახმარებით მდინარის წყლის აყვანა ფერდობებზე და მორწყვა, ეფექტიც მალე გამოჩნდა. მარტო ხულოს რაიონში ამგვარად მორწყულ 8 ათას ჰექტარზე თივის საშუალო საჰექტარო მოსავალი 35-40 ცენტნერამდე ავიდა. მაგრამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი წარმატების მისაღწევად საჭირო იქნება უფრო ფართო მასშტაბის სამუშაოების გატარება.

მეცხოველეობის აღმავლობა დიდად იქნება დამოკიდებული იმაზეც, თუ რამდენად ადრე შემუშავდება პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მყარი სისტემა. პირველ რიგში საქმე ეხება ადგილობრივი ჯიშების გადარჩევისა და სხვა ჯიშების შემოყვანის იმგვარ კოორდინირებას, რომ მიღებულ იქნას მაქსიმალური ეფექტი. ადგილობრივი პრაქტიკოსები თვლიან, რომ აჭარის მთიანეთის პირობებში ყველაზე გამართლებულია აქაური პირუტყვის თანდათანობითი შეცვლა კავკასიური წაბლა ჯიშის საქონლით, სხვა ჯიში, როგორც ეტყობა, არ ამართლებს. საამისოდ პარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ თამაზაშვილმა ერთი ფაქტი დაიმოწმა: ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობას ხულოს რაიონის ერთ-ერთი სოფლისათვის რამდენიმე სული ველის წითელი ჯიშის საქონელი უჩუქებია, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მათ თურმე ველარ იცნობდით. ადგილობრივ პირობებს ვერ შეგუებიან, დაჩიავებულან.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას დღემდე დიდ ზიანს აყენებს ფართოდ გავრცელებული ინვაზიური და ინფექციური დაავადებები, ვერ იქნა და ვერა, არ აღმოიფხვრა ჰემატური დაავადება, რის გამოც ყოველწლიურად ათასობით სული ძროხა სამეურნეო ღირებულებას ჰკარგავს.

საქმეს საგრძნობლად წევს უკან საკოლმეურნეო პირუტყვის კერძო პირებზე გაბარების პრაქტიკაც, რაც გამოწვეულია პირუტყვის საზოგადოებრივი სადგომების არასაკმარისი ტევადობით. სხალთაში, მაგალითად, მოსახლეობაში გაბარებული ერთი დეკეულის საბალანსო ღირებულება კოლმეურნეობას უჯდება 608 მანეთი, როცა იგივე დეკეული ცხოველდამზადებას ბარდება 103 მანეთად. ცხადია, ასეთი გზით ვერცერთი კოლმეურნეობა ვერ იხეირებს, წელში ვერ გაიმართება.

ათეული წლების გამოცდილებამ ცხადჰყო,

რომ მეცხოველეობის განვითარებასა და რენტაბელობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება ფართო კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გარეშე. ამიტომაც ახლა კურსი აღებულია მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების ორგანიზაციის — „რაიცხოველმრეწვის“ გაძლიერება-განმტკიცებისაკენ.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა მეცხოველეობის სპეციალიზირებული კომპლექსები, ზოგი დამთავრებული, ზოგიც მშენებლობის პროცესში მყოფი. ნანახმა, შეიძლება ითქვას, მოლოდინს გადააჭარბა. თქვენს თვალწინ გადაიშლება ინდუსტრიული მეთოდებით, თანამედროვე სამშენებლო მასალებით აგებული, ასევე თანამედროვე საექსპლოატაციო ტექნიკით აღჭურვილი, მექანიზებული ნაგებობები მეცხოველეობის კომპლექსებისა. აქ ბევრი რამ თავიდანვე გათვალისწინებულია ფერმის მუშაკთა შრომის შესამსუბუქებლად, პირუტყვის ჯანსაღად და ნორმალურად შენახვისათვის. პირველი შედეგებიც უკვე ჩანს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 1976 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ლორჯომის მეცხოველეობის კომპლექსის ერთი რიგი. და როგორ ფიქრობთ! ნახევარ წელიწადში ერთ ფურზე წველადობის მატებამ 116 ლიტრა შეადგინა, ხოლო მატების მაჩვენებელს თუ მთელი ხულოს რაიონის მასშტაბით ავიღებთ, 167 ტონა რძიდან 57 ტონა მარტო ამ ერთ ფერმაზე მოდის. კიდევ სხვაა პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობი შემცირება, რაც ხელით სამუშაოს მექანიზირებას მოჰყვა. ლორჯომისა და ტბეთის კომპლექსების სრული დამთავრებით მერძეული პირუტყვი ორივე რაიონში ძლიერ ბაზას იღებს.

პარალელურად დიდი ყურადღება ექცევა მოზარდი პირუტყვის ინტენსიური სუქებისათვის განკუთვნილი კომპლექსების მშენებლობას. მათში კოლმეურნეობებიდან თავს მოუყრიან 20 დღის ხბორებს. გასუქებული პირუტყვიდან შემდეგ იმავე კოლმეურნეობებისათვის გამოარჩევენ სანაშენე ჯგუფებს, დანარჩენს კი დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარებენ. გარდა ამისა, მოეწყობა პირუტყვის საიალალო სუქება ღია მოედნებზე, რისთვისაც გამოყოფილია მაღალპროდუქტიული საძოვრები. შედეგად, ცალკეულ ადგილებში ერთი სული მოზარდეულის სადღეღამისო მატებამ, უკვე 700-800 გრამს მიაღწია.

ასეთი ფერმების ერთ ნაწილს კოლმეურნეობები საკუთარი ძალებითა და სახსრებით აშენებენ, მაგრამ სახელმწიფოს დახმარების გარეშე, ალბათ, კუსტარულობას ვერ გავცილდებით, ჩვენ, მაგალითად, ვნახეთ ამ წესით აგებული სასუქი ფერმა ზოძაურში. იგი არსებითად არაფრით განსხვავდება მამა-პაპური ფერმებისაგან. რეზო ხოზრევანიძის მსგავს ენთუზიასტებს, რომელიც აქ საშუალო სკოლიდან მოსულა, ნამდვილად გაუჭირდებათ.

როცა ასეთი ფერმების მშენებლობისადმი დახმარებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება განსაკუთრებით არ მივესალმოთ შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თაოსნობას, რომელიც უსასყიდლოდ, საკუთარი მოგების სახსრებიდან აშენებს ხუთკორპუსიან, ყოველმხრივ თანამედროვედ გამართულ სასუქ ფერმას ჩირუხისწყლის პირას. ამ თაოსნობას სხვა მძლავრმა სამეურნეო ორგანიზაციებმაც უნდა მიბაძონ.

ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ ტბეთსა და ლორჯომში ჩინებული კომპლექსები გვაქვს. მაგრამ ამ სოფლების თავკაცებს და თვით მშენებლებს იმის შიშიც აქვთ, რომ მათი წესიერი ექსპლუატაცია შეიძლება გაჭირდეს. მექანიზაციის მხრივ აჭარის მთიან რაიონებს ვერა აქვთ საქმე კარგად. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის — ბულდოზერების, ექსკავატორების, ტრაქტორების, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების სიმცირეს ისიც ემატება, რომ ცუდ საგზაო პირობებში ისინი ადრე გამოდიან მწყობრიდან; სათადარიგო ნაწილებით მომარაგებული, კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სარემონტო სახელოსნოები კი არ გააჩნიათ.

ასეთ ვითარებაში, ტექნიკის უფრო ეფექტიანად გამოყენების ინტერესებისათვის, იქნებ მიზანშეწონილი იყოს რაიონების ცენტრებში შეიქმნას საკოლმეურნეობათაშორისო ავტომომსახურების საწარმო, საკოლმეურნეო მომსახურების უფლებით, სადაც თავმოყრილი იქნება კოლმეურნეობის ტექნიკა და კოლმეურნეობები აყვანილ იქნებიან სრულ საწარმოო მომსახურებაზე. საამისოდ საჭირო იქნება კადრები, რომელთა მომზადებაც, გარკვეული ლიმიტით, ამ რაიონებისათვის უნდა იკისრონ რესპუბლიკის უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა.

როცა მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ორი გადაუდებელი საკითხიც.

თავად გახლდით მოწმე იმისა, თუ რაიონების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების თავკაცები და დამამზადებლები როგორ იმტვრევდნენ თავს გამოსავლის ძებნაში, რათა სახელმწიფოსათვის ხორცი ჩაებარებინათ. საამისოდ საჭირო ტრანსპორტი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს გახურებული. სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დროს. 120-150 კილომეტრზე 4-5 დღის მანძილზე პირუტყვის გადარეკვა კი ნიშნავს დაკარგო მთელი 10-15 პროცენტი საერთო წონისა. ზარალობს ჩამბარებელიც და მომხმარებელიც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ

მეცხოველეობის განვითარებას აჭარის მთის რაიონებში კარგი პირი უჩანს, იქნებ მიზანშეწონილიც იყოს ყველა ამ რაიონისათვის მოხერხებულ ერთ ადგილას თანამედროვე დონეზე მოეწყოს სარაიონთაშორისო სასაკლაო და მაცივარი. ეს მრავალ დანაკარგს აგვაცილებდა თავიდან.

ასევე დიდი დანაკარგები ახლავს ზემო აჭარაში რძის დამზადებას. ფაქტიურად რძისაგან აქ მხოლოდ ერთი სახის პროდუქტს — კარაქს ამზადებენ, ისიც საკმაოდ პრიმიტიული საშუალებებით, რძე კი, მოგეხსენებათ, მარტო კარაქი არ გახლავთ. შედეგად, მარტო ხულოს რაიონის კოლმეურნეობები, წლიურად კარგავენ 100 ათას მანეთს. როგორც ეტყობა, დროა იალაღებზე გაიმართოს გაუმჯობესებული სახის რძის გადამამუშავებელი სეზონური საამქროები, სადმე ცენტრში კი აიგოს რძის ქარხანა. ეს მით უმეტეს აუცილებელი ჩანს, რომ დაშორებული იალაღებიდან და კოლმეურნეობებიდან რძის ბათუმში გადატანა ძალიან გაძნელებულია. თუ ასეთი ქარხანა ოდესმე შეიქმნა, იქნებ ღირდეს ვიფიქროთ აჭარისათვის ტრადიციული და დამახასიათებელი პროდუქციის შექმნაზე. ხალხური ტექნოლოგიით დამზადებული აჭარული ყველი, თვეობით არ ფუჭდება, ამ ყველს ვახუშტიც იხსენიებს ქებით. ან კიდევ, რამდენი მომხმარებელი ეულოდება ქილებში დაფასოებულ, შიგ ახალყველჩაჭრილ ნადებს, რომელიც აქ კაიმაღის სახელით არის ცნობილი.

8.

შეზღუდული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, აჭარის მთიანეთში სოფლის მეურნეობა საკმაოდ მრავალდარგოვანია. შუახევის რაიონში, მაგალითად, 1.700 ჰექტარ სავარგულზე 18 სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურა მოჰყავთ! მცირემიწიანობის, სავარგულების დაქუცმაცებულობისა და დაბალნაყოფიერების პირობებში ეს გაუმართლებელი ჩანს. ამ შემთხვევაში ბევრი რამ, ეტყობა, ინერციით წარსულიდან მოდის. აჭარელ გლეხკაცს, რომელიც ადრე წლის მეტ დროს გარესამყაროს იყო მოწყვეტილი, თავის კუთვნილ მიწის პატარა ნაკვეთზე უნდა მოეყვანა ყველაფერი, რაც ოჯახის სარჩოდ ჭირდებოდა.

დღეს ზემო აჭარის პირობებში, ვთქვათ, სიმინდი და კარტოფილი მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის. ეს კარგად იცის აქაურმა გლეხკაცმაც, მაგრამ სიმინდსა და „კარტოფას" მაინც ვერ ეშვება, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ ერთსა და მეორესაც გარედან გარანტირებულად მიიღებს. ეს საკითხი და პირუტყვის საკვების პრობლემა რომ გადაიჭრებოდეს, აქ სულაც არ გა[illegible] მიწას სიმინდისა და კარტოფილისათვის. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ისედაც ხარბად ფიტავს მიწას და დაქანებულ ფერდობებზე აჩქარებს ეროზიის პროცესს. სამაგიეროდ, რამდენად ხელსაყრელი და ეკონომიურად ეფექტური იქნება, თუ გამონთავისუფლებულ ფართობს თამბაქო და ვაზი დაიჭერდა. თამბაქო ზედგამოჭრილი გახლავთ ამ რაიონებისათვის. მთელი შემოსავლის თითქმის ნახევარი მეურნეობებს აქ სწორედ თამბაქოზე მოდის. მაგალითად, 395 ათასი მანეთიდან, რომელიც სხალთის კოლმეურნეობას შემოუვიდა შარშანწინ, 328 ათასი თამბაქოდან გახლავთ მიღებული.

მაღალშემოსავლიანი დარგია მევენახეობაც, თუმცა ზვრების ფართობითა და მოსავლიანობით აჭარა კახეთის რაიონებს ვერ შეედრება. მიუხედავად ამისა, აქაური ვაზით ამაყობს აჭარელი. ბევრს კარგად ახსოვს, რა ენთუზიაზმი და პატრიოტული აღტკინება ახლდა ზვრების აღორძინებას აჭარის მრავალტანჯულ მიწაზე, როცა თითქმის ყოველი ძირი ვაზის გახარება და საუკუნეების მანძილზე ძილმიცემული ყოველი ძველი ქვევრის მიწიდან ამოხედვა განსაკუთრებული სიხარულის მომგვრელი იყო. ახლაც, ისტორიული სოფლის დანდალოს ზვრებში რომ დადიხართ, სიამაყის გრძნობა გეუფლებათ, ნათლად გესმით თუ რას ნიშნავს მიწის განახლება. ამ მიწა-წყალზე ძველი მხოლოდ ნაფუძარი და აჭარისწყალზე ცისარტყელასავით გადაკიდული ქვის ხიდია, მაგრამ ერთიცა და მეორეც შვენის დღევანდელობას, როგორც სახე რაღაც საოცრად მშობლიურისა.

აჭარელი გლეხკაცის მადლიანი ხელი დღეს კვლავ სიყვარულით ელოლიავება ქართულ ვაზს. თვით განსაჯეთ: ჰექტარზე 140-160 ცენტნერი ყურძენი მოჰყავთ!

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მევენახეობისა და მეთამბაქოობის დარგებში ბევრი საზრუნავი, ბევრი გადაუჭრელი საკითხია კიდევ.

ცნობილი ამბავია, რომ თამბაქოს მოყვანაწარმოება მთლიანად ხელის შრომასთან არის დაკავშირებული და მექანიზაციას ნაკლებად ემორჩილება. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ ზოგიერთი ნაბიჯის გადადგმა მაინც მოხერხდა.

ახლა, როცა ლაპარაკია მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკის ამაღლების პრობლემაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობაში ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს. მეჩხერიანობის მოსპობის გზით ჰექტარზე 4.000-4.500 ძირი ვაზის გახარებას რომ მიაღწიონ, აჭარელი მევენახეები ხუთწლედის ბოლოსათვის ყოველი ჰექტარის მოსავლია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობას 20-25 პროცენტით გაზრდიდნენ. ეს კი 400-500 ტონა ყურძენია.

მიმდინარე ხუთწლედში აჭარაში უნდა გაშენდეს 200 ჰექტარი ახალი ზვარი. ასე რომ, 1981 წლისათვის ვენახების ფართობი თითქმის 600 ჰექტარს მიაღწევს.

მევენახეობის შემდგომი წარმატებები დიდად იქნება დამოკიდებული ვაზისათვის გამოსადეგი მიწების შერჩევა-მომზადებაზე, თვით ფერდობების დატერასებამდეც კი. საჭირო იქნება ასეულ ათასობით ნამყენი ნერგი, რომელთა ჯიშობრივ შერჩევას მთის რაიონებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ჰირდება. ასე რომ აჭარელ მევენახეებს 1990 წლისათვის შეეძლებათ წელიწადში დაამზადონ 8 ათას ტონამდე ყურძენი, ორჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ახლა ამზადებენ. ეს კი ნამდვილად დიდი რეზერვია მთის რაიონების ეკონომიკის ამაღლებისათვის.

არის კიდევ ორი დარგი, რომელთა განვითარებას აჭარის მთიანეთში დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა და რომლებიც დიდძალ რეზერვებს შეიცავს ეკონომიკისათვის. ეს დარგი მეხილეობა გახლავთ. მარტო ხულოს რაიონში ამჟამად წელიწადში 3 ათას ტონამდე ხილი მზადდება, რაც საკმაო შემოსავალს იძლევა, მაგრამ თუ ხეხილის გაშენებისადმი ნამდვილ სახელმწიფოებრივ მიდგომას გამოიჩენენ, რამდენიმე წელიწადში ორჯერ და უფრო მეტი ხილის დამზადება შეიძლება.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი ხალხის ტრადიციულ რაციონში კაკალს. მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ კაკალი თითქმის ფუფუნების პროდუქტი გახდა, სულ უფრო-დაუფრო ძვირად ფასობს იგი. ეს კი ჩვენი დაუდევრობის, უყურადღებობის შედეგი უფროა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეიძლება კაკლის მასობრივად გახარება. ყველაზე უფრო კი აჭარაში. აქაური კაკალი ოდითგანვე იყო ცნობილი თხელი ნაჭუჭითა და სავსე, ცხიმიანი გულით. ეს ძვირფასი კულტურა აქაც გადაშენების გზას დაადგა. შემორჩენილი კორომები ადგილობრივ მოსახლეობასაც არ ჰყოფნის. განა საჭიროა იმის მტკიცება, თუ რა სასარგებლოა კაკლის ხე?!

ხულოელმა ამხანაგებმა ისიც გვითხრეს, რომ ერთერთ პედაგოგს ყაზანლიყის ვარდის მოშენება უცდია და კარგი შედეგებიც აქვსო. ცხადია, საბოლოო დასკვნის გამოტანა სპეციალისტებზეა. მაგრამ ობიექტური მსჯავრის გამოტანას ხელი არ უნდა შეუშალოს წინასწარ აკვიატებულმა სკეპტიციზმმა. ხომ იყო დრო, როცა ზოგიერთებს არ სჯეროდათ, თუ ჩაი ოდესმე ფეხს მოიკიდებდა ამ მხარეში. მაგრამ დღეს ქედის რაიონი წელიწადში 900-მდე ტონა ჩაის ფოთოლს იძლევა და მის გადასამუშავებლად ფაბრიკაც აქვთ გამართული.

4.

ზემო აჭარის რაიონების ეკონომიკის აღმავლობის რეალური პერსპექტივები ახლებურად, უფრო ფართოდ აყენებს ამ რაიონებში ადგილობრივი მრეწველობის დარგების განვითარების საკითხს. პირველ რიგში საქმე ეხება ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ნედლეულის რაციონალურად ათვისება-გამოყენებას, პროდუქციის მოცულობისა და ასორტიმენტის გაფართოებას, ხარისხის ამაღლებას მოწინავე ტექნიკური მიღწევების ბაზაზე.

ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდის პირობებში შეიძლება წესრიგში დადგეს სასაკლაო-მაცივრის ქარხნის მშენებლობის საკითხი. მაგრამ ეს როდია საკმარისი.

აჭარელ მეთამბაქოეებს და ადგილობრივ ხელმძღვანელებს დიდად აწუხებთ ის გარემოება, რომ ათასობით ტონა თამბაქოს ნედლეული, რომელიც ამ რაიონებში მზადდება, ხშირად უხარისხო ხდება გადატანის ნორმალური საშუალებების უქონლობის გამო, ზოგჯერ ფუჭდება კიდეც. ასეთ ვითარებაში სავსებით სამართლიანია იმის მოთხოვნა, რომ ერთ რომელიმე ადგილას მოეწყოს ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკის სარაიონთაშორისო ფილიალი.

ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის, როგორც ამაში დაგვარწმუნა პარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივანთან — არჩილ თავდგირიძესთან საუბარმა, განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ქედის რაიონში. კერძოდ, აქ შეიძლება შეიქმნას ღვინის ქარხანა, ამჟამად არსებული ღვინის პირველადი გადამუშავების მარანის ბაზაზე. ეს მოთხოვნა მარტოდენ ეკონომიკური სარგებლიანობის მოტივით როდია ნაკარნახევი. განა აჭარელი მევენახე კაცისათვის საამაყო არ იქნება ქართულ ღვინოებს შორის იხილოს სამასი წლის შემდეგ აღორძინებული ვაზის წვენი ადგილობრივი მარკით?! თანაც ეს ხომ აამაღლებს ამ მარკის ღირსებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

ამჟამად ზემოაჭარის რაიონებში წლიურად საშუალოდ მზადდება 5 ათას ტონამდე ხილი, რომელთაგან ადგილზე მხოლოდ 1200-1300 ტონის გადამუშავება ხერხდება. მთელი დანარჩენი ხილი იგზავნება რაიონის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ცუდი საგზაო პირობებისა და ტრანსპორტირების გამო პროდუქცია ხარისხს ჰკარგავს, ან ფუჭდება. ეს დანაკარგები, რითაც უპირველესად კოლმეურნეობები ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალობენ, თავიდან იქნებოდა აცილებული, რომ ადგილზე მოწყობილიყო ხილის გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმო. თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ასეთი საწარმო გამოუშვებდა ფართო ასორტიმენტის მილიონობით მანეთის პროდუქციას — მაღულარა წვენებს, ექსტრატებს, მურაბებს, ხილის კონსერვებს, გამაგრილებელ წყლებს. ასეულ ათასობით მანეთის მოგება კი ხელს შეუწყობდა რაიონების ეკონომიკის ამაღლებას, დაასაქმებდა საკმაო რაოდენობის მუშახელს.

გაბედულად უნდა დაისვას აჭარის მთის რაიონებში ხე-ტყისა და საშენი მასალების დამუშავების საკითხი. როცა აჭარისწყლის ხეობას მიჰყვებით, შეუძლებელია პატივისცემის გრძნობით არ აღივსოთ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, რომელიც, მრავალი ისტორიული ძნელბედობის მიუხედავად, ასე საგულდაგულოდ გაფრთხილებია ტყეს. მისი სიხშირე და მდგომარეობა სამივე რაიონს საშუალებას აძლევს ყოველწლიურად, ტყის მასივებისათვის ზიანის მიუყენებლად, დაამზადოს ათასობით კუბმეტრი ხე-ტყე. მაგრამ დღეს-დღეობით ამდენი მასალა თითქმის მთლიანად გადააქვთ სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატში და იქ იხერხება. ადგილზე მძლავრი სახერხი ქარხნის აშენების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა კომბინატში გაგზავნილიყო მხოლოდ მაღალსტანდარტული, ავეჯისათვის გამოსადეგი მასალა, დანარჩენი კი მოხმარდებოდა რაიონებს. ამასთან, ანარჩენებისაგან შეიძლებოდა პარკეტის და სხვა სახის პროდუქციის გამოშვება. იქნებ მოწყობილიყო ხის ჯამ-ჭურჭლისა და სუვენირების გამოშვებაც, რომლის შესანიშნავი ხალხური ტრადიცია თანდათან დავიწყებას ეძლევა. ყველაფერი ეს საგრძნობლად გაზრდიდა ხალხის დასაქმების შესაძლებლობას, დამატებით შემოსავალს გაუჩენდა რაიონების ბიუჯეტს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაძვის ხის ლაფანჭამიას აჭარის ტყეებშიც შემოუღწევია და მის წინააღმდეგ ბრძოლას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს სათბობად ხე-ტყის გამოყენება, გაზი მისაწვდომი უნდა გავხადოთ ყველა სოფლისათვის.

როგორც ჩატარებული გეოლოგიური ძიებები ადასტურებს, აჭარის მთიანეთი მდიდარია მშენებლობისათვის გამოსაყენებელი ქვის საბადოებით. ერთ-ერთი ასეთი საბადო პორფირიტისა გასდევს აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირს და გაშიშვლებული კლდეების სახით გაწოლილა დოლოგნიდან მახუნცეთამდე. პროგნოზების თანახმად, პორფირიტის მარაგი აქ ექვს მილიონ კუბომეტრს შეადგენს და იკმარებს სამრეწველო ექსპლოატაციისათვის მთელი 40 წლის მანძილზე. აღმოჩენილია დაახლოებით 5,5 მილიონი კუბომეტრი მოცულობის თიხის საბადო აგურ-კრამიტისათვის. მაგრამ ამ სიმდიდრეების სამრეწველო დამუშავება და გამოყენება დღემდე არ არის მოგვარებული. საქმე, ჯერჯერობით, ადგილობრივი მნიშვნელობის წამოწყებებს არ გასცილებია. ჩვენ, მაგალითად, ხულოს რაიონის სოფ. რიყეთში ვნახეთ ფარდულქვეშ გამართული ქვის სახერხი, რომელსაც დიდი მონდომება და ენერგია შეალია ამ საქმის ენთუზიასტმა, ადგილობრივმა მკვიდრმა ახმედ ანთაძემ. მაგრამ ყველაზე დიდი ენთუზიასტები თვით რაიონების ხელმძღვანელები გახლავთ. პარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდივნის ნ. თამაზაშვილის კაბინეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას არის დაწყობილი აქაური ბუნებრივი სიმდიდრის ნიმუშები. როგორც ეტყობა, დადგა დრო სამრეწველო მასშტაბით დაიწყოს ამ სიმდიდრის დამუშავება; მით უმეტეს, რომ იაფფასიან ქვის ბილიკებზე, აგურ-კრამიტისა და ინერტულ მასალაზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. სხვა რომ არაფერი, თვით მოსახლეობის მოთხოვნილების მესამედიც კი ვერ კმაყოფილდება ამ მხრივ.

მშენებლობის მასშტაბები, როგორც ყველგან, აქაც ყოველ დღე მატულობს. შენდება სამრეწველო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალი ობიექტები, რომელთაც აგებენ სამინისტროები, დაინტერესებული ორგანოები. მაგრამ იმის გამო, რომ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, სიშორის მიზეზით, უძნელდება ამ ობიექტებზე სისტემატური მეთვალყურეობის გაწევა, ზოგიერთი მშენებლობა წლობით ჭიანურდება. აჭარის მთის რაიონების ხელმძღვანელებს საქმისათვის უფრო სასარგებლოდ მიაჩნიათ, თუ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით ამ რაიონებისათვის შეიქმნება მოძრავი მექანიზებული კოლონა ან სამშენებლო სამმართველო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი, მობილური და სიცოცხლისუნარიანი ბაზების გარეშე საქმე წინ ვერ წაიწევს სწრაფად. ამ მხრივ ნამდვილად სანიმუშოდ გვეჩვენა შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენელლო ორგანიზაციის ბაზა. მრავალი სხვა ბაზისაგან განსხვავებით, რომელთაც აბრა შთამბეჭდავი აქვთ, დონე კი მცირე, აქ ყველაფერი დონეზე გამოიყურება: თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხე-ტყის დამმუშავებელი და სადურგლო სახელოსნო, ინერტული მასალების წარმოების გაერთიანება, ავტოსარემონტო სახელოსნო, თავისი საწვავ-საცხი მასალების საწყობით, ასფალტის ქარხანა. ბაზის მუშა-მოსამსახურეებისათვის კეთილმოწყობილი, ცენტრალური გათბობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტემიანი საერთო საცხოვრებლის აგებაც არ დავიწყნიათ, არც მუშათა სასადილოსა და თევზის დამხმარე მეურნეობის მოწყობა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ წარმოებისა და მშენებლობის დარგების ცენტრალიზებისა და კონცენტრაციის ვითარებაში შეიძლება რამდენიმედ უცნაურად ჟღერდეს მოთხოვნები, რომლებზედაც ცოტა ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგრამ ასეთი მოთხოვნები განპირობებულია განსაკუთრებული პირობებით და უნდა განვიხილოთ, როგორც გამონაკლისი. სხვანაირად აჭარის მთის რაიონებისათვის შემჭიდროებული დროის ფარგლებში ქმედითი და ეფექტური დახმარების გაწევა, ალბათ, გაჭირდება.

5.

საბჭოთა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის დედაარსს შეადგენს ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, მატერიალური და სულიერი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის შეუნელებელი ზრუნვა. სწორედ ამგვარმა ზრუნვამ გამოიყვანა დამთრგუნავი კარჩაკეტილობიდან ცხოვრების ფართო გზაზე აჭარელი კაციც, აზიარა იგი ახალი ცხოვრების ყველა სიკეთეს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და არც ახალი რჩქნებოდა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ამდენი ობიექტის გახსნა-აშენებას და მოვლას ვერცერთი სხვა სახელმწიფოებრივი სისტემა ვერ აიღებდა საკუთარ თავზე ესოდენ პატარა, ერთმანეთისაგან ესოდენ დაცილებული, ზოგჯერ ძნელად მისადგომი სოფლების პირობებში. და თუ დღემდე ყველაფერი ისე და იმგვარად არ არის მოგვარებული, როგორც საჭიროა, ძირითადად ისევ და ისევ ამ განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობებით გამოწვეული სიძნელეების გამო.

დავიწყოთ სკოლებით. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მთის რაიონებში ყოველწლიურად იგება თანამედროვე კაპიტალური შენობები, მთელ რიგ სოფლებში სკოლები დღემდე ძველ, შეუფერებელ, თითქმის ავარიულ, ხის სახლებშია მოთავსებული. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ათობით ახალი სასკოლო შენობის აგებას დროც ბევრი ჭირდება და სახსრებიც. ამიტომ უფრო მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ პატარ-პატარა სოფლებში დაფანტული სკოლების კონცენტრაცია ტიპიური პროექტებით აგებულ თანამედროვე კაპიტალურ შენობებში. მაგალითისათვის ავიღოთ შუახევის რაიონის შუბნის სასოფლო საბჭო. მის ცენტრში რომ მოგვარდებოდეს 900-ადგილიანი სკოლის და 300-ადგილიანი სასკოლო ინტერნატის აშენება, მაშინ სასოფლო საბჭოში 7 სკოლის ნაცვლად იმუშავებდა ერთი, მაგრამ ნამდვილად კარგი სკოლა, ყველა თანამედროვე მოთხოვნას რომ დააკმაყოფილებდა. რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, პროფესიით პედაგოგმა, ნოდარ ცეცხლაძემ დამაჯერებლად დაგვისაბუთა. რომ აღარაფერი ვთქვათ ეკონომიურ ხელსაყრელობაზე, ასეთ სკოლაში გაცილებით მაღალი იქნება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, უფრო დამაგრდებოდა და მეტი გულდადებით იმუშავებდა სტაბილური პედაგოგიური კოლექტივი. ერთი სიტყვით, ამ გზით მარტო შუახევის რაიონში 79 სკოლის ნაცვლად გვექნებოდა 18. საქმისთვის დიდად სასარგებლო იქნებოდა მსხვილ სოფლებში ტიპიური პროექტებით აგვეგო ბაგა-ბაღების ისეთი შენობები, როგორიც აღმართულია მაგალითად, ტბეთში; ცხადია, აქაური მცირეძალოვანი კოლმეურნეობები ჯერჯერობით ასეთ საქმეს ვერ გაწვდებიან, მაგრამ შეიძლებოდა მათ შეფობის წესით მიშველებოდნენ მსხვილი სამრეწველო საწარმოები.

თუ გავითვალისწინებთ რეგიონში ადგილობრივი სამრეწველო-სამეურნეო განვითარების რეალურ პერსპექტივებს, ალბათ დროა ვიფიქროთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომპლექსზეც, სამივე რაიონის ახალგაზრდობის კონტინგენტის ბაზაზე.

დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტების საკითხი. მაგალითად, ხულოს რაიონში 55 ექიმის ნაცვლად მუშაობდა 22, შუახევის რაიონში 48-ის ნაცვლად — 16. დაუკომპლექტებლობას ისიც განაპირობებს, რომ სასოფლო საავადმყოფოების მეტი ნაწილი დღემდე მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, არ არის აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით. როგორც ჩანს, აქაც საჭირო იქნება მცირე სამედიცინო დაწესებულებების გამსხვილება და კონცენტრაცია სასოფლო საბჭოების ცენტრებში, სპეციალურად საამისოდ აგებულ შენობებში.

ყოველმხრივ გაუმართლებელი ჩანს, რომ ზემოაჭარის ტერიტორიულად ყველაზე ვრცელი რაიონის ცენტრში — ხულოში საავადმყოფო დღემდე მოთავსებულია ძველ, ამორტიზირებულ შენობაში. 50 საწოლზე გაანგარიშებულ ამ საავადმყოფოში ახამდე საწოლია დადგმული. საავადმყოფო რომ მართლაც რაიონულ საავადმყოფოს დაემსგავსოს, საჭიროა 250-300 ადგილიანი ახალი კორპუსის აგება. საავადმყოფოს კაპიტალურ შენობებს საჭიროებენ სხალთა და ღორჯომიც.

საგრძნობ განახლება-განმტკიცებას მოითხოვს მთის რაიონების კულტურის სახლების, კლუ-

ბების და ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზა. ტბეთის შესანიშნავი, სავსებით თანამედროვე კულტურის სახლის ნახვის შემდეგ. ძალიან მოძველებულად და ულიმღამოდ გეჩვენებათ რამდენიმე ათეული წლის წინათ აგებული შენობები სოფლის კულტურის კერებისა. კიდევ მეტი, რაიონულ ცენტრებს, ხულოს, სადაც ადრე ადგილობრივი სახალხო თეატრიც კი მუშაობდა, და ქედას დღემდე არა აქვთ ისეთი თანამედროვე კულტურის სახლები, სადაც ნორმალურ პირობებში შეიძლებოდეს სრულფასოვანი სპექტაკლებისა და კონცერტების გამართვა. საერთოდ, უნდა დაჩქარდეს რაიონული ცენტრებისა და სოფლების განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა, რომელიც თავის ადგილს დაიკავებს აჭარის მთის რაიონების ეკონომიკისა და კულტურის ახალ, მისთვის შემუშავებულ ერთიან პროგრამაში. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ დღევანდელი რაიონული ცენტრი უნდა გამოიყურებოდეს ყოველნაირად თანამედროვედ და ერთგვარი მოდელი, მისაბაძი ნიმუში უნდა იყოს სასოფლო საბჭოების ცენტრებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრია გასაკეთებელი ხულოში. რაიაღმასკომის თავმჯდომარე, გურამ შაინიძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე რაიონის ცენტრში არ აგებულა არცერთი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. კომუნალურ ფონდში ჩარიცხული სახლების მეტი ნაწილი ხისაა და ამორტიზირებული. აქამდე ვერ გადაწყდა ახალი ხიდის მშენებლობა ქედის რაიონში, რომლის ძველი, ჯერ კიდევ 1924 წელს აგებული ხიდი ველარ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. იგივე შეიძლება ითქვას ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემებზე, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობისათვის დიდი სიხარულის მომტანი იყო ის, რომ ბოლოსდაბოლოს აქაურ სახლებშიც აკიაფდა ცისფერი ეკრანი. კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ, აქაური რთული რელიეფის პირობებში, რაც შეიძლება მეტი სოფლები მოექციათ ტელეხილვადობის ზონაში. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წელიწადის თითქმის ნახევარზე მეტ დროს ყოველდღიური ცხოვრების მთავარ მაგისტრალებს მოწყდარი ადამიანებისათვის განსაკუთრებით ბევრს ნიშნავს ტელეეკრანის მეშვეობით გრძნობდეს მთელი გარესამყაროს სუნთქვას და მაჯისცემას. სამწუხაროდ, დღემდე არის მრავალი სოფელი, რომელიც არა თუ ტელეგადაცემას ვერ უყურებს, რადიოსაც ვერ ისმენს. ხულოს რაიონში, მაგალითად, დღემდე არ არის რადიოფიცირებული 19 დასახლებული პუნქტი.

არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს სატელეფონო კავშირი, პირველ რიგში მათი გადაყვანით ავტომატურ სისტემაზე, არსებული სადგურების სრული დატვირთვით. ეს კი ხშირად ვერ ხერხდება. იმავე ხულოში, მაგალითად, დგას ავტომატური სატელეფონო სადგური 1700 ნომერზე, მაგრამ ასობით ნომერი, ხაზების უქონლობის გამო, დღემდე გამოუყენებელია. კავშირგაბმულობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას ალბათ ისიც უშლის ხელს რომ მთის რაიონებში ამ დარგის სპეციალისტები სანთლით საძებნელია.

აშკარად მოძველდა და განახლება-განვრცობას მოითხოვს ელექტროქსელი, რომლის თითქმის ნახევარი ტექნიკურად გაუმართავია, რადგან ელექტროსადენთა საყრდენი ბოძები იმდროინდელია, როცა სოფლებში ელექტრონს მხოლოდ უბრალო განათების დანიშნულება ჰქონდა. თანამედროვე პირობებში მცირესიმძლავრიანი ტრანსფორმატორები ველარ უზრუნველყოფენ დღევანდელი სოფლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მართლაც, რა ელექტროობაა ისეთი ელექტროობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ტელეგადაცემის ნორმალურად მიღებას და ელექტროსაპარსის ამუშავებას, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ერთი სიტყვით, აჭარის მაღალმთიანი რაიონების სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

6.

აჭარაში ბეშუმი ისეთივე პოპულარული მაღალმთიანი კურორტია, როგორც, მაგალითად, ბახმარო — გურიაში, ლებარდე — სამეგრელოში. დიდი ხნით ადრე, ვიდრე ავტორიტეტული კურორტოლოგები ბეშუმს „მთის კლიმატური და ბალნეოლოგიური მკურნალობის ფაქტორთა კომბინატად" გამოაცხადებენ, ხალხს კარგად ჰქონდა დადგენილი და დაცდილი მისი საოცრად გამაჯანსაღებელი თვისებები. აქაური ჰაერი, წყალი და მზე განსაკუთრებით რგებს ბავშვებს. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 1934 წელს საზაფხულო პიონერული ბანაკისათვის აქ აიგო რამდენიმე ხის კორპუსი, რომლებიც მაშინ აქა-იქ მიმოფანტულ რამდენიმე ინდივიდუალური ნაგებობის გარემოცვაში სასახლეებად გამოიყურებოდა.

ომმა შეაფერხა კურორტის განვითარება. პირველი დასასვენებელი სახლი აქ მხოლოდ 1947 წელს დაიდგა, რასაც მალე მოჰყვა ბავშვთა ასადგილიანი სახლი, სასტუმრო, გაფართოვდა პიონერული ბანაკიც. გაჩნდნენ საზოგადოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი მომსახურების ობიექტები, მომრავლდნენ ინდივიდუალური სახლები. ბეშუმმა თანამედროვე კურორტის გარეგნული იერი უფრო მას შემდეგ შეიძინა, რაც აქ აიტანეს და ააწყვეს ათი ხის კოტეჯი. ყოველ მათგანში არის 2-3 ადგილიანი რამდენიმე ოთახი ლიავნით, სათავსოებით, პირსაბანითა და ტუალეტით, რაც ადრინდელ ნაგებობებს საერთოდ არ ჰქონდა. გაჩნდა შესაფერი ინვენტარი და ავეჯიც. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაზრდა მოსახლეობის მისწრაფება ბეშუმისაკენ. როგორც ამბობენ, მარტო გასულ წელს აქ 20 ათასამდე კაცმა დაისვენა. დღევანდელი ბეშუმი საკმაოდ დიდი დასახლებაა და ნაკლებად ჰგავს ოცდაათიანი წლებისას.

პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭო, ყველაფრიდან ჩანს, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ყურადღებას არ აკლებს ბეშუმს. საგზურებზე გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით, აქ კიდევ ათი კოტეჯი დაიდგა.

კურორტზე შენდება აბანო, რომელსაც სამრეცხაოც ექნება და ნებისმიერ დამსვენებლებს მოემსახურება. კურორტის მესვეურები, ალბათ, გაითვალისწინებენ ინდივიდუალურად დამსვენებელ ოჯახთა დიასახლისების ტრადიციულ გასაჭირს და გახსნიან დიდი გამტარიანობის სასადილოს, მათ შორის დიეტურსაც, გაზრდიან პურის ცენტრალიზებულ ცხობასაც, რადგან არსებული ფურნე თითქმის სანახევროდ ვერ უზრუნველყოფს კურორტზე თავმოყრილი მთელ იბალხახ პურით მომარაგებას.

პირველ რიგში, ალბათ, იმისთვის უნდა ვიზრუნოთ, რომ ამოდენა საკურორტო დასახლებას ჰქონდეს ნორმალური განათება. ამ საკითხს ერთი და ორი დიზელი არ უშველის. საჭიროა ელექტროგადამცემი ხაზის შემოყვანა, რათა კურორტის მომსახურების ყველა უბანი შეუფერხებლად მუშაობდეს, ყველა სახლში იყოს ელექტროგანათება და შეიძლებოდეს ტელეპროგრამების ნახვა. როგორც რაიონის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა რესპუბლიკის ენერგეტიკის მესვეურებს გეგმით 1977 წელს უნდა დაეწყოთ და მომდევნო წელს დაემთავრებინათ, მაგრამ რატომღაც გეგმიდან ამოღებული აღმოჩნდარო. ეს საქმე ახლა სწორდება.

ძველი წყალსადენი კარგა ხანია აღარ აკმაყოფილებს უკვე ფართოდ მხრებგაშლილ ბეშუმს. კურორტის შესანიშნავი გამაჯანსაღებელი ღირსებები საგრძნობლად იზარალებს, თუ დროზე არ მოგვარდა საკანალიზაციო სისტემის გაყვანა. იგი დღესდღეობით მხოლოდ დასასვენებელ სახლს აქვს.

აუცილებელია კურორტის ტერიტორიის შემოკავება, რადგან საზაფხულო იალაღებზე ამორეკილი პირუტყვი თავისუფლად და თავის ნებაზე შემოდის აქ და აწუხებს დამსვენებლებს.

ვისაც ბეშუმის ნაძვნარი ოცდაათიან წლებში უნახავს, არ შეიძლება არ შეშფოთდეს იმით, რომ ნაძვნარი საგრძნობლად შეთხელებული და გაკაფულია. აჭარის სატყეო მეურნეობის მუშაკებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა გაშიშვლებულ ადგილებზე ნაძვმა ისევ კარგად მოიკიდოს ფეხი და მოსალოდნელი ავადმყოფობაც აიცილონ თავიდან. ყურადღებას იმსახურებს ბეშუმის რკინის სულფატური წყალი, რომლის სადღეღამისო დებეტი 85 ათასი ლიტრია. ყოველმხრივ მიზანშეწონილია მისი ცენტრში გამოყვანა, ჩამოსხმა და აბაზანებში მიშვება, რადგან დადგენილია მისი მაღალი ეფექტურობა ქრონიკული გასტრიტისა და კოლიტის, აგრეთვე კანისა და ქალთა სნეულებების სამკურნალოდ.

ბეშუმის განაშენიანება-კეთილმოწყობის საქმეში თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლიათ მსხვილ საწარმოებსა და უწყებებსაც, მაგრამ იმისთვის, რომ კურორტი განვითარდეს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, იქნებ ღირდეს მისი გამოცხადება რესპუბლიკური მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერად.

აჭარის მთიანეთში არის კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც თავისი გამაჯანსაღებელი თვისებებით ბეშუმზე ნაკლებად არ მიიჩნევს ადგილობრივი მოსახლეობა. ეს გახლავთ დაბა შუახევიდან 40 კილომეტრზე, შესანიშნავ და წარმტაც ხეობაში მდებარე ჩირუხის მთა. ადამიანები, რომელთაც დაეჯერებათ, თვლიან, რომ ნამდვილად ღირს ამ მთის კლიმატური პირობების მეცნიერული შესწავლა და მომავალში აქ საკურორტო მშენებლობის ფართოდ გაშლა. მაშინ აჭარის მოსახლეობა მიიღებს მეორე შესანიშნავ სამთო კურორტს. ამჟამად აქ გახსნილია პიონერთა ბანაკი 120 ბავშვისათვის.

7.

ყველა სადღეისო პრობლემა აჭარის მთის რაიონების სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული განვითარებისა, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, მჭიდროდ და განუყრელად უკავშირდება გზას, საგზაო მშენებლობას, მის გარეშე ვერ გადაწყდება.

რთული მთაგორიანი რელიეფის გამო ზემო აჭარის რაიონებში გაძნელებულია შიდა გზების გაყვანა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელმძღვანელობა და მოსახლეობა გულხელდაკრეფილი როდია, საკუთარი ძალებით ახერხებს ბევრი რამის გაკეთებას. მაგრამ საქმის წინ წაწევას ხშირად ხელს უშლის საგზაო ტექნიკის სიმცირე, სამარშრუტო ტრანსპორტის უქმარობა. გზაზე ფოსტალიონს დავეწიეთ.

ეროვნული

თვი ნოდარ ცეცხლაძემ მანქანაში მოიპატიჟა. გამოველაპარაკეთ, ხუსეინ გოგიტიძე აღმოჩნდა. თურმე ოცდაათი წელია ამ გზაზე დაატარებს ფოსტას. ადვილი ხათქმელია — დაატარებს. როგორი საქმეა ყოველდღე გაიარო 20 კილომეტრი იქით, 20 აქეთ, ფეხით. რაიკომის მდივანი გულს უმაგრებს: ცოტა კიდევ გაუძელ, ხუსეინ, და მალე სამარშრუტო ავტობუსით ივლით.

— მშვიდობა იყოს და ყველაფერს ეშველებაl — პასუხობს ხუსეინი.

მაინც რა დიდებული ხალხია — ფუტკარივით მშრომელი, გამძლე, დაუჩივლებელი! რომელ სოფელშიც არ შეხვალთ, გული განათდებათ, რწმენა გემატებათ, ამ უბრალო ადამიანებთან შეხვედრის შემდეგ.

სოფელ ჯაბნიძეების ცენტრში ხალხმრავლობა იყო. სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები მიელოთ და ბავშვები გამყიდველს შემოხვეოდნენ. თვალი მოგვკრეს თუ არა, დაშოშმინდნენ, თავაზიანად გვერდზე მიდგნენ, გამყიდველი კი დახლიდან გამოვიდა, ხელი ჩამოგვართვა და მოედანზე გამოგვყვა მუხაიფით. ეტყობოდა, არ აწუხებდა, რომ მაღაზიაში საქონელი უმეთვალყურეოდ დატოვა და რომ ნავაჭრი ფული დახლზე მუყაოს კოლოფში ეყარა. აბაშიძე აღმოჩნდა. ჩვენც გავიხსენეთ ამ გვარის სახელოვანი შვილები, რომელთაც აჭარის გამოღვიძებას საშვილიშვილო ამაგი დასდეს.

— არც ჩვენ ვყოფილვართ ჭაბანნი, გოგოტიძეებო! — ჩაილაპარაკა ერთმა მოხეთქილმა ვაჟკაცმა და სახე ბავშვური ღიმილით გაუნათდა.

— ჩვენ რომ ფუტკარაძეები ვართ, იმიტომ დავიწუნებით, აი! — ნიშნის მოგებით ჩამოართვა სხვამ. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ბევრი გვარის ხალხი აღმოჩნდა დასახლებული სოფელში.

— ზოგი სამართალს გამოქცევია, ბატონო, ზოგიც უსამართლობას! — პასუხობს ერთი შუახნის კაცი სიცილით.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ რა მოქნილად, სხარტადაა ნათქვამი.

შიდა გზების მოწყობაშიც უნდა მივეშველოთ აჭარის მთების მკვიდრთ, ტრანსპორტის პარკიც უფრო ხშირად განვუახლოთ, თორემ ასეთ გზებს რა რკინა გაუძლებს. თანაც სულ უბრალო „კავზ“-ის ტიპის პატარა ავტობუსზეა ლაპარაკი. დროა „უაზ“-ის ტიპის ტაქსებიც დავაყენოთ ამ გზებზე, „ჟიგულებიც“ მეტი გამოვუყოთ ხალხს პირადი სარგებლობისათვის.

გასათვალისწინებელია ის ამბავიც, რომ ზამთრობით, დიდთოვლობის პერიოდში, ზოგიერთი სოფელი კვირაობით და თვეობით მოწყვეტილი რჩება ცენტრს. საჭირო იქნება თოვლსაწმენდი ტრაქტორების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების ავტომანქანების [illegible] მატებით გამოყოფა, რათა მოსახლეობას გაზის ბალონები შეუფერხებლად მიუვიდეს.

რაიონების მესვეურნი საბაგირო გზებისა და ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნების გამართვაზედაც ფიქრობენ, მაგრამ ამას ნუ ჩავუთვლით ზედმეტ მეოცნებობაში.

ცხოვრება ოცნებას მიჰყავს წინ!

## გ.

მრავალი მოსაგვარებელი საკითხი და საფიქრალი გაღმოგვცეს ამ ხეობის მკვიდრთ თავიანთი ქვეყნის, მთელი ხალხის, მისი ხელმძღვანელობისათვის გასაზიარებლად.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს ტვირთია, მაგრამ სიხარულიც არის, რადგან მიგვანიშნებს ძალუმად დაძრული სიცოცხლის, განახლების, აღორძინების უნარსა და წყურვილზე. ყველაზე დიდი გრძნობა, რომელიც ამ ხეობიდან მოჰყვება ადამიანს, გახლავთ გრძნობა სულიერი სიხალისისა.

ეს შთაბეჭდილება, ცხადია, პირველ რიგში უკავშირდება ამ ხეობის ხალხს, მის აქტივს, ხელმძღვანელობას,

ნებით თუ უნებლიედ, ჩვენ ხანდახან უმადურებას ვიჩენთ ამ კატეგორიის ადამიანებისადმი, რომელთაც ხელმძღვანელებს ეძახიან. თუ რამ გაკეთდა, ჩვენი გაკეთებულია, თუ რამ გაფუჭდა, ხელმძღვანელის გაფუჭებულია. ხალი მოაზროვნე ხალხი ნხვანაირად მსჯელობს, აფასებს, რადგან ხალხის მეხსიერება ყველაზე ნაღდი ფილტრი გახლავთ.

სოფელ რიყეთის წყაროსთან სოფლელებს ვესაუბრებოდით პარტიის ხულოს რაიკომის მეორე მდივანთან რევაზ ქონიაძესთან ერთად. საუბარს რომ მოვრჩით და მანქანას მივაშურეთ, ერთმა მოხუცმა, აქამდე სხვებს დინჯად რომ უსმენდა, რეზო შეაჩერა და ჰკითხა:

— შვილო, ალექსანდრე ქონიაძე რა იყო თქვენი?

— მამა!

მოხუცმა თვალი თვალში გაუყარა ახალგაზრდა პარტიულ მუშაკს და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კარგი კაცი იყო. ცოდვა იქნებოდა, სხვანაირი შვილი დარჩენოდა.

რეზო უხერხულად შეიშმუშნა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ რა გრძნობა უტრიალებდა გულში.

ეს არის კაიკაცობის ყველაზე ძვირფასი ჯილდო — ხალხის პატივისცემა.

არის სხვა მიდგომა, სხვა გაგებაც, ხალხის მორალს რომ ღალატობს. მიხეილ ხოზრევანიძემ გზაში მითხრა: როცა რევაზ ქონიაძის კანდიდატურა რაიკომის მდივნად წავაყენეთ, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც-ვილაცეებმა ანონიმური წერილები აფრინეს: რა, რაიკომის მდივნობა მემკვიდრეობით გადადისო?!

ცხადია, ამ წერილების ავტორებს პირადი ინტერესი ამოძრავებდათ და ამიტომ კარგი კაცისა და პარტიული მუშაკის ხსოვნასაც არ მოერიდნენ. ალექსანდრე ქონიაძე — წლების მანძილზე ხულოს რაიკომის მდივანი — ხომ პირდაპირ სამუშაოზე დაიფერფლა!

ხალხს ძველთაგანვე უთქვამს — სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. ხალხმა იცის, რომ კარგი, პატიოსანი ადამიანები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ცხოვრების წარმმართველი და მით გულმაგრობს.

და ჩვენც გვინდა, ვიდრე აჭარისწყლის ხეობას თქვენთან ერთად დავტოვებთ, მკითხველო, ორიოდე კეთილი სიტყვა ვთქვათ აჭარის მთის რაიონების ახალგაზრდა ხელმძღვანელებზე. პირადად ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო თითქმის ნაცნობ სახეებთან შეხვედრა: საიდან?! ისინი ძირითადად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილები არიან, სტუდენტობის დროსაც ქალაქის კულტურული ცხოვრების ცენტრში ტრიალებდნენ.

დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს ეს ახალგაზრდა ადამიანები ერთბაშად დაუბრძენებია, თუმცა ხასიათი ბოლომდე საკუთარი შერჩენიათ: არჩილ თავდგირიძე დინჯი და დაჯერებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს; ნოდარ ცეცხლაძე მოუსვენარი, მუდამ საქმით ანთებულია; ნოდარ თამაზაშვილი გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩევა; რევაზ ქონიაძესა და გურამ შანიძეს მუდამ კეთილი ღიმილი დასთამაშებთ სახეზე. ეს ახალგაზრდა მუშაკები მსგავსი ბიოგრაფიის, ერთნაირი მისწრაფების, თანამოაზრე ადამიანები —, რომელთაც კარგად ესმით აქტივისა, ხალხისა... ესმით თავიანთი პარტიული მოვალეობის მნიშვნელობა, აზროვნებენ გაბედულად, ახლებურად, ამიტომ ბევრ რამესაც ამჩნევენ.

* * *

დაღამდა. ბინდში ჩაძირული მთების ფერდობებზე მიმოფანტული სოფლები ელექტრონის გირლანდებით ჩახჩახებენ. მანქანის შუქფარი სიბნელიდან კინოკადრებივით აჩენს მჩქეფარე ცხოვრების სურათებს: შეგვიანებული მენახირე ბიჭი მოდენის ცხვარ-ძროხას; საკარანტინო შლაგბაუმთან ანუ ხერგილთან, როგორც მას ეძახის რაიკომის შოფერი, ბერიძეების მრავალრიცხოვანი გვარის შვილი, ფუსფუსებენ თეთრხალათიანი ადამიანები; ერთი ამბით, ხმაურითა და ყიჟინით მიდიან სადღაც ახალგაზრდები; გზისპირა ჭიშკრებთან დინჯად მასლაათობენ მოხუცები. ჩვენი მანქანა ხშირად კლდეს ეკვრის, რათა გამოატაროს მანქანების მთელი ქარავანი, რომელიც ზურგიდან სირენების ბლავილით უტევს შუა გზაზე გახიდულ ტრეილერს.

ძველი ხეობა გუგუნებს ცხოვრების მარადიული გუგუნით.

ამ ხმებს ვერცხლისფერი ტალღების ტყლაშუნს უერთებს აჭარისწყალი. ყოველი მისი მაცოცხლებელი ძარღვი მშობელი მიწის წიაღიდან არის გამოჟონილი, მის ანკარა ზვირთებში მხოლოდ მშობლიური ცის სუფთა ცვარი და ნამია ჩაღვრილი...

გუგუნებს, სიცოცხლის განახლებული ხმებით გუგუნებს ძველი ხეობა აჭარისწყლისა.

ხულო-შუახევი-ქედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ბრეგაძე

# ვ. ი. ლენინი და ნაციონალიზმთან ბრძოლის საკითხები

მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლები — კ. მარქსი და ფ. ენგელსი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში პირველები იყვნენ, რომლებმაც სწორად განსაზღვრეს ნაციონალიზმის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ფესვები, კლასობრივი ხასიათი და მეცნიერულად დაასაბუთეს მისი დიამეტრალურად საპირისპირო პრინციპი — პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საქმის გენიალურმა განმგრძობმა ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა, ახალი დებულებებითა და დასკვნებით გაამდიდრა მარქსიზმი, კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობების, იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციების ეპოქის შესაბამისად ცხადყო ნაციონალიზმის რაობა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სიდიადე.

„ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი 1914 წელს, — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“ (თხზ., ტ. 20, გვ. 13).

აი, ეს ორი იდეოლოგია და პოლიტიკა — ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ყველაზე მწვავედ, მთელი სიმძაფრით დაუპირისპირდა ერთმანეთს თანამედროვე ეპოქაში და ეს შემთხვევითი როდია. სწორედ თანამედროვე ეპოქაში მიმდინარეობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, კომუნიზმში გადასვლის შეუნებელი კანონზომიერი პროცესი და ნაციონალიზმზე, მის მრავალგვარ გამოვლინებაზე ამყარებს უაღრესად გამწვავებულ, საერთო კრიზისში ჩავარდნილი ბურჟუაზია თავისი ხსნის ყველაზე ხელმისაწვდომ იმედს. აი რატომ არის, რომ იმპერიალიზმის რეაქციულმა ძალებმა, ჩვენი დროის ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა, მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონისტებმა, განსაკუთრებით მაოისტებმა ყველაზე აგრესიული ნაციონალიზმის პოზიციებიდან გააჩაღეს შემოტევები, თავიანთი თავდასხმების მთავარ სამიზნედ ამოირჩიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლითაც გამსჭვალულია მეცნიერული კომუნიზმის მთელი თეორია და პრაქტიკა.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, რომ „მარქსიზმი შეურიგებელია ნაციონალიზმისადმი, რაგინდ „სამართლიანი“, „ფაქიზი“, დახვეწილი და ცივილიზებულიც არ უნდა იყოს იგი“. მარქსისტი ანგარიშს უწევს ბურჟუაზიულ საზოგადოებას და „ხავსებით აღიარებს ეროვნულ მოძრაობათა ისტორიულ კანონიერებას. მაგრამ, რათა ეს აღიარება ნაციონალიზმის აპოლოგიად არ გადაიქცეს, საჭიროა, რომ იგი ზედმიწევნით შემოისაზღვროს მხოლოდ იმით, რაც პროგრესულია ამ მოძრაობებში, — რომ ეს აღიარება არ იწვევდეს პროლეტარული შეგნების დაბნელებას ბურჟუაზიული იდეოლოგიით“ (თხ., ტ. 20, გვ. 23-24).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ რა შინაარსით უნდა გვესმოდეს ეს პროგრესულობა, ლენინი მიგვითითებს: „პროგრესულია მასების გაღვიძება ფეოდალური მძინარობისაგან, მათი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის სუვერენობისათვის, ერის სუვერენობისათვის. აქედან გამომდინარეობს მარქსისტის უ ე ჭ ვ ე ლ ი მოვალეობა — დაიცვას უაღრესად მტკიცე და უაღრესად თანამიმდევრული დემოკრატიზმი ნაციონალური საკითხის ყოველ ნაწილში. ეს ამოცანა, უმთავრესად, უარყოფითი ხასიათისაა. ხოლო ამაზე შორს წასვლა ნაციონალიზმის მხარის დაჭერაში პროლეტარიატს არ შეუძლია, ვინაიდან ამის იქით იწყება „პოზიტიური“ (დადებითი) მოქმედება ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ა, რომელიც ნაციონალიზმის გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა ს ესწრაფის“ (იქვე. გვ. 24).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი ახლებურ მიდგომას. სსრ კავშირის შექმნის მეორე დღეს, 1922 წლის 31 დეკემბერს ლენინი მიგვითითებდა, რომ „არაფრად არ ვარგა საერთოდ ნაციონალიზმის საკითხის აბსტრაქტული დაყენება. აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი და ჩაგრული ერის ნაციონალიზმი, დიდი ერის ნაციონალიზმი და პატარა ერის ნაციონალიზმი... ინტერნაციონალიზმი მჩაგვრელი ანუ ეგრეთწოდებული „დიდი“ ერისა... უნდა მდგომარეობდეს არა მარტო ერების ფორმალური თანასწორობის დაცვაში, არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა იმ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტიურად იქმნება. ვისაც ეს ვერ გაუგია, იმას ვერ გაუგია ნამდვილად პროლეტარული დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, ის, არსებითად, დარჩენილა წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე და ამიტომაც არ შეიძლება ყოველ წუთს არ ეშვებოდეს ბურჟუაზიული თვალსაზრისისაკენ“. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი, ყოფილი მპყრობელი ერის მზრუნველ დამოკიდებულებას პატარა ერისადმი, წინათ ჩაგრული ხალხებისადმი და გადაჭრით გმობდა მათ ყოველგვარ შეურაცხყოფას. „საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ჩემი მოგონებანი ვოლგიდან იმაზე, — მიგვითითებდა ლენინი, — თუ ჩვენში როგორ აბუჩად იგდებენ სხვა ტომელებს, თუ როგორ უწოდებენ პოლონელს უხათუოდ „პოლიაჩიშკას“, თუ როგორ ამასხარავებენ თათარს უხათუოდ „კნიაზის“ შერქმევით, უკრაინელს — როგორც „ხოხოლს“, ქართველსა და დანარჩენ კავკასიელ სხვა ტომელებს — როგორც „კაპკაზსკი ჩელოვეკს“... არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა, და არაფერს ისე მწვავედ არ განიცდიან „შეურაცხყოფილი“ ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძნობას და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის სახით, ამ თანასწორობის დარღვევას მათი ამხანაგი პროლეტარების მიერ“ (თხზ., ტ. 691, 693).

ასეთ ეროვნულ პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების უზრუნველყოფისათვის, არამედ მთელი ინტერნაციონალისათვის, მსოფლიოს იმ ხალხებისათვის, რომლებიც ემზადებოდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. „ხვალინდელი დღე კი მსოფლიო ისტორიაში სწორედ ისეთი დღე იქნება, — წინასწარმეტყველებდა ვ. ი. ლენინი, — როდესაც საბოლოოდ გაიღვიძებენ გამოფხიზლებული, იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და როდესაც დაიწყება გადამწყვეტი, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის“.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დიდ, მჩაგვრელ ერებში და პატარა, ჩაგრულ ერებში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისადმი მიდგომის ლენინურ გაგებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

„გზა ერთი მიზნისაკენ: ყ ვ ე ლ ა ერის სრული თანასწორუფლებიანობისაკენ, მათი უაღრესი მჭიდრო დაახლოებისა და შემდგომი შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა კ ე ნ, აშკარაა, აქ სხვადასხვა კონკრეტული გზით მიდის... მჩაგვრელ ქვეყნებში მუშების ინტერნაციონალური აღზრდის სიმძიმის ცენტრი აუცილებლად უნდა მდგომარეობდეს დაჩაგრული ქვეყნების გამოყოფის თავისუფლების ქადაგებასა და დაცვაში. უამისოდ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს ინტერნაციონალიზმი. ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალენიც ვართ გავკიცხოთ მჩაგვრელი ერის ყოველი სოციალ-დემოკრატი, როგორც იმპერიალისტი და არამზადა, თუ ის არ ეწევა ასეთ პროპაგანდას. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა“. და „პირიქით, — განაგრძობს ვ. ი. ლენინი, — პატარა ერის სოციალ-დემოკრატმა თავისი აგიტაციის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს ჩვენი საერთო ფორმულის მ ე ო რ ე სიტყვაზე: ერების „ნებაყოფლობითი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა“. მას შეუძლია თავისი, როგორც ინტერნაციონალისტის, მოვალეობის დაურღვევლად იყოს თავისი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მ ო მ ხ რ ე ც და მისი მეზობელ სახელმწიფოსთან... შეერთების მ ო მ ხ რ ე ც, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის უნდა იბრძოდეს ვიწრო-ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის *წინააღმდეგ*... სხვა გზა ინტერნაციონალიზმისაკენ და ერების შეერთებისაკენ, სხვა გზა ამ მიზნისაკენ *არსებული* მდგომარეობიდან არ არის და არც შეიძლება იყოს" (თხ., ტ. 22, გვ. 440 — 442).

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლაში თავის როლს შეასრულებს ყველა ჩაგრული ხალხი. ფრიად საყურადღებოა, რომ მოხსენებაში აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე (1919 წ.) ლენინი კომუნისტებს მიუთითებდა:

„თავისთავად ცხადია, რომ საბოლოო გამარჯვებას მიაღწევს მხოლოდ მხოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატი, და ჩვენ, რუსები, ვიწყებთ იმ საქმეს, რომელსაც განამტკიცებს ინგლისის, საფრანგეთის, ან გერმანიის პროლეტარიატი; მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ვერ გაიმარჯვებენ ყველა დაჩაგრულ კოლონიურ ხალხთა, და პირველ რიგში აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელი მასების დაუხმარებლად... ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვაღვიძოთ რევოლუციური აქტივობა მშრომელი მასების თვითმოქმედებისა და ორგანიზაციისაღმი, მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე დგანან ისინი... თქვენ მოგიხდებათ დაყრდნობა იმ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე, რომელიც იღვიძებს ამ ხალხებში, და არ შეიძლება არ იღვიძებდეს, და რომელსაც ისტორიული გამართლება აქვს" (თხზ, ტ. 30, გვ. 179—180).

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა თავიდანვე სწორად გაიგეს და მეცნიერულად დაასაბუთეს პირველმა ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1903 წელს აკრიტიკებდა რა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის კონცეფციას, ალ. წულუკიძე წერდა: „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების [illegible] კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლათ აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტვირთი აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასავლეთელი თანამოაზრეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმათავისუფლებელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი ერის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე და მან უნდა გააკეთოს დიდი „საერთო" საქმე!".

ხოლო 1904 წელს, ჩვენი პარტიის პირველი ლენინური პროგრამის ინტერნაციონალურ პრინციპებს რომ იცავდა და ებრძოდა თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ი. ბ. სტალინი მისთვის ჩვეული სიმტკიცითა და დამაჯერებლობით მიუთითებდა: „ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და, უფრო კი, მედგარმა კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები, — თავზარი დასცა ჩვენს ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი... ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ახალი კლასი, ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘ, — და მასთან ერთად დაიბადა ახალი „ნაციონალური საკითხი", ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ". რამდენადაც პროლეტარიატი გაირჩევა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისაგან, იმდენადვე გაირჩევა პროლეტარიატის მიერ წამოყენებული „ნაციონალური საკითხი" თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის „ნაციონალური საკითხისაგან" (თხზ., ტ. 1, გვ. 34,35).

ჭეშმარიტად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ნაციონალიზმის რაობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სიდიადის ლენინურ გაგებას თანამედროვე პირობებში. ჩაგრულ ერთა ნაციონალიზმი იმპერიალიზმისაგან პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებში, მართალია, შეზღუდული სახით, მაგრამ მაინც პროგრესულია და ხშირად წარმოადგენს ბრძოლის დროშას იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ჩაგრული მასების იმ ნაწილთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულან პროლეტარულკლასობრივ შეგნებამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალიზმს ყოფილ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში მთლიანად არ დაუკარგავს თავისი პროგრესული მხარე, ანტიიმპერიალისტური შინაარსი. თანამედროვე პირობებში ფაქტიურად ჩაგრული და ექსპლოატირებული ხალხების ნაციონალიზმი მიმართულია იმპერიალიზმის ნეოკოლონიური პოლიტიკის, ფეოდალური და სხვა სახის კაპიტალიზმამდელი რეაქციული ურთიერთობების წინააღმდეგ და იგი გამოყენებულ უნდა იქმნას საერთო ინტერნაციონალურ ბრძოლაში, ხანამ მას მთლიანად არ ამოუწურავს თავისი პროგრესული როლი.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმულია: „გამოღვიძებული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრ ქვეყანაში ნაციონალიზმის ალმით მიმდინარეობს. მარქსისტ-ლენინელები განასხვავებენ ჩაგრული ერების ნაციონალიზმსა და მჩაგვრელი ერების ნაციონალიზმს. ჩაგრული ერის ნაციონალიზმში არის ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, რომელიც მიმართულია ჩაგვრის წინააღმდეგ, და კომუნისტები მხარს უჭერენ მას, მიაჩნიათ ისტორიულად გამართლებულად გარკვეულ ეტაპზე. იგი გამოიხატება ჩაგრული ხალხების მისწრაფებით განთავისუფლდნენ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან, მოიპოვონ ეროვნული დამოუკიდებლობა და მიაღწიონ ეროვნულ აღორძინებას... თანამედროვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობებში კოლონიური, ყოფილი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც დაკავშირებული არ არის იმპერიალისტურ წრეებთან, ობიექტურად დაინტერესებულია ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუციის ძირითადი ამოცანების განხორციელებით. მაშასადამე, ჯერ კიდევ ამოწურული არ არის მისი პროგრესული როლი, მისი უნარი — მონაწილეობდეს საარსებო საერთო-ეროვნული ამოცანების გადაჭრაში“ (გვ. 68-69).

ბევრ სახელმწიფოში (მაგალითად, ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში) ნაციონალიზმი თავისი მახვილით მიმართულია იმპერიალიზმის დაპყრობითი მიზნების, ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, იცავს ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ასეთი ნაციონალიზმი პროგრესულია, იგი ინარჩუნებს თავის დემოკრატიულ შინაარსს, გმობს ეგვიპტის ახლანდელი მესვეურების, სადათისა და მისი დამქაშების რეაქციულ ნაციონალიზმს, რომლებიც ჩამოცილდნენ ნასერის ანტიიმპერიალისტურ კურსს და ახორციელებენ არაბული აღმოსავლეთის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო, აშკარა გამცემლურ, შოვინისტურ, იმპერიალიზმის სასარგებლო პოლიტიკას.

განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნაციონალიზმი ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც არის ინდოეთი, ინდონეზია, პაკისტანი, ირანი და სხვები, რომლებიც მოიცავენ თავისი შემადგენლობით მრავალეროვან და სხვადასხვა რელიგიის მქონე მოსახლეობას. ამ ქვეყნებში ნაციონალიზმი ვლინდება სხვადასხვა ფორმითა და ტენდენციით, მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა და თავისებურებათა სიუხვით. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაში წარმოიშვა აგრეთვე „მრავალეროვნული ნაციონალიზმი“ (მაგალითად, საერთო-ინდური, საერთო-ინდონეზიური, საერთო-აფრიკული, საერთო-არაბული და სხვ.), რომელშიც მქონებელი კლასებიც კი მონაწილეობდნენ, რაც ანგარიშგასაწევია. „მრავალეროვნული ნაციონალიზმი“, როგორც კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა, ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკისა და კულტურის მხრივ სუსტად განვითარებულ ხალხებს და ქმნის ერთიან ფრონტს იმპერიალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმის ლიკვიდაციისათვის და შესაძლებელია გამოიყენონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლმა ძალებმა.

მაგრამ რაც უფრო იზრდება წინააღმდეგობანი მშრომელებსა და მქონებელ კლასებს შორის და მწვავდება კლასობრივი ბრძოლა ქვეყნის შიგნით, მით უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენს ეროვნული ბურჟუაზია იმპერიალიზმთან და შინაურ რეაქციასთან შეთანხმებლობისაკენ, რასაც გულმოდგინედ ითვალისწინებენ მარქსისტულ-ლენინური პარტიები.

პრინციპულად სხვაგვარ ხასიათს ატარებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებში. იმპერიალისტური ბურჟუაზია ყოველი ღონისძიებით ცდილობს მისცეს ნაციონალიზმს უპირველეს ყოვლისა ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოური მიმართულება, ყოველმხრივ გამოაცოცხლოს, გააღვივოს ნაციონალისტური ტენდენციები და გადმონაშთები სოციალისტურ ქვეყნებში, დაასუსტოს მუშათა კლასის, ჩაგრული და ექსპლოატირებული ხალხების ინტერნაციონალური შეკავშირება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, დაამუხრუჭოს მსოფლიო რევოლუციური ძალების განვითარება, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერი პროცესი.

პროლეტარული, კომუნისტური მსოფლმხედველობა შეუთავსებელია ბურჟუაზიულ ნაციონალიზმისადმი, რომელიც არის რეაქციული კლასების, მონოპოლისტური კაპიტალიზმის, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია, პოლიტიკა და ფსიქოლოგია ეროვნულ საკითხში. „საერთო-ეროვნულ“ ნიღაბს ამოფარებული ბურჟუაზია ნაციონალიზმის ალმით იცავს გაბატონებული, მჩაგვრელი ერის ინტერესებს, აბნელებს მშრომელთა კლასობრივ შეგნებას პროლეტარული რევოლუციისაგან მათი ჩამოცილების მიზნით, ამართლებს ჩაგრული ხალხების მონობასა და ულმობელ ექსპლოატაციას. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეების, მისი სხვადასხვა ფორმების გავრცელებით იმპერიალიზმი აღვივებს შუღლს, მტრობას ხალხთა შორის და აჩაღებს უსამართლო, მტაცებლურ ომებს, აწყობს კონტრრევოლუციურ გადატრიალებებს საგარეო ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების დაპყრობის, სხვის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნისა და მსოფლიო ბატონობის მიღწევის მიზნით.

თანამედროვე პირობებში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმი ვლინდება სხვადასხვა ფორმით, დაწყებული აშკარა შოვინიზმით, რასიზმით, სიონიზმით, იმპერიალისტური კოსმოპოლიტიზმით და დამთავრებული მაოისტური ჰეგემონიზმით.

მაოიზმი თანამედროვეობის ყველაზე აგრესიული ნაციონალიზმის, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და კაცთმოძულეობის იდეოლოგიაა. ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ყოველმხრივ მტრული, წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, აგრესიული ჰეგემონიზმის აშკარა ანტისაბჭოური მიმდინარეობა, რომელიც წარმოადგენს სუბიექტივისტურ-ვოლუნტარისტული, ვულგარული მატერიალიზმისა და რა-

ხიზმის იდეების ყველაზე უცუდეს კონგლომერატს.

მაოიზმი დამოუკიდებელი პლატფორმის სახით ჩამოყალიბდა XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, მისი წარმოშობა და გავრცელება უშუალოდ დაკავშირებულია მათ ძედუნის, მისი თანამებრძოლების — ჯოუ ენლაის, დენ სიაოპინის, ხუა გოფენისა და სხვათა მოღვაწეობასთან. მაოისტებმა დაიწყეს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე თავდასხმებით და თავიანთი რევიზიონისტული, მარქსიზმ-ლენინიზმის საწინააღმდეგო, „ულტრარევოლუციური" ფრაზებით შენიღბული პლატფორმა ჩამოაყალიბეს კომუნისტური და მუშათა პარტიების 1960 წლის მოსკოვის თათბირის მიერ შემუშავებული გენერალური ხაზის საპირისპიროდ. ამის შემდეგ ისინი სულ უფრო და უფრო დაცილდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის (ჩკპ) IX ყრილობაზე (1969 წ.) მაოისტებმა ჩკპ-ის მოქმედების სახელმძღვანელოდ გამოაცხადეს მაოიზმი, რომელიც მათი ყბადაღებული ნააზრევის მიხედვით თითქოსდა „თანამედროვე ეპოქის მარქსიზმ-ლენინიზმია".

მაოისტების მიერ ე. წ. „ჩინური კომუნიზმის", „მარქსიზმ-ლენინიზმის გაჩინურების" სოციალ-ნაციონალისტური, ჰეგემონისტურ-შოვინისტური კურსი საბოლოოდ დაამტკიცეს ჩკპ-ის X და XI ყრილობებმა (1973, 1977 წწ.) და გრძელდება მაოისტთა გააფთრებული ბრძოლა მსოფლიო სოციალიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი სსრ კავშირის წინააღმდეგ.

მაოიზმის იდეოლოგიამ შეითვისა ჩინური პოლიტიკისა და სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებების ბევრი ძველი რეაქციული ტრადიცია, გლეხური მოძრაობის გათანაბრებითი პრიმიტივიზმი, გომინდანური ნაციონალიზმი, ანარქიზმი და განსაკუთრებით ტროცკიზმი. ანარქისტებისაგან მაო ძედუნმა ისესხა აბსოლუტური ძალმომრეობის ისეთი პრინციპები, როგორიც არის: „შაშხანა ბადებს ძალაუფლებას", „ბუნტი სამართლიანი საქმეა", „რევოლუციის ორგანიზება" რევოლუციური სიტუაციის გარეშე, ავანტიურიზმის გზით, არაპროლეტარულ, დეკლასირებულ ელემენტებსა და პოლიტიკურად მოუმწიფებელი ახალგაზრდობის ფენებზე დაყრდნობით. მაოიზმი ეყრდნობა ტროცკის „პერმანენტული რევოლუციის თეორიას", უარყოფს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ცალკე აღებულ ქვეყნებში. მაოისტები ქადაგებენ განუწყვეტელ რეპრესიებს, ე. წ. „კულტურულ რევოლუციებს" რეალურ და პოტენციურ მოწინააღმდეგეთაგან ქვეყნის პერიოდული გაწმენდის მიზნით. მაოისტები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის საწინააღმდეგოდ აყენებენ მესამე მსოფლიო ომის გარდაუვალობას და ამ გზით ისინი თითქოს უზრუნველყოფენ „კაცობრიობის გაჯანსაღებას" და მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებასაც კი.

თავიანთი ჰეგემონისტური, დიდმპყრობელურ-შოვინისტური ზრახვების განსამტკიცებლად მაოისტები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა თითქოს გადაინაცვლა ჩინეთში. ამ მიზნით ისინი ცდილობენ მსოფლიო სოციალიზმიდან ცალკეული სოციალისტური ქვეყნების ჩამოცილებას, საბჭოთა კავშირს აცხადებენ „რევიზიონისტულ ქვეყნად", „სოციალ-იმპერიალისტურ ზესახელმწიფოდ" და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის უარყოფიდან დაადგნენ ყველაზე აგრესიულ რეაქციულ წრეებთან სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმების გზას, გახდნენ ნამდვილი იმპერიალიზმის აშკარა რეზერვი. მაოისტების ასეთი კონტრრევოლუციური გადაგვარების იდეოლოგიური საფუძველი გახდა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უცხო და ყოველმხრივ მიუღებელი, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში დაუშვებელი ჰეგემონიზმი და გაცოფებული შოვინიზმი.

პოლიტიკურად მოუმწიფებელ პირთა მოსატყუებლად მაოისტები გამოდიან ი. ბ. სტალინის დამცველთა როლშიც, მაგრამ ნამდვილად ისინი მხოლოდ პიროვნების კულტის ყველაზე მახინჯი მხარეების ერთგულნი არიან და გადაჭრით უარყოფენ სტალინის დადებითი მოღვაწეობის ყველა მხარეს. სწორედ ასეთი გამცემლების, მტრის ბანაკში გადაბარგებული მოღალატეების მისამართით აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი ასე ხაზგასმით და მკაფიოდ:

„არის ერთი საკითხი, რომელიც ზღვარს დებს ყველა შესაძლო ჯგუფსა, მიმდინარეობასა და პარტიას შორის და ამოწმებს მათ რევოლუციურობას ან ანტირევოლუციურობას. ახლა ეს საკითხია სსრ კავშირის თავდაცვის საკითხი, იმპერიალიზმის თავდასხმებისაგან სსრ კავშირის უყოყმანო, უცილობელი დაცვის საკითხი.

რევოლუციონერი ის არის, ვინც უსიტყვოდ, უყოყმანოდ, აშკარად და პატიოსნად, ფარული სამხედრო თათბირების გაუმართავად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი, ვინაიდან სსრ კავშირი არის მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციური სახელმწიფო, რომელიც აშენებს სოციალიზმს. ინტერნაციონალისტი ის არის, ვინც უსიტყვოდ, უყოყმანოდ, პირობების წამოუყენებლად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი იმიტომ, რომ სსრ კავშირი არის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა... ვინც ფიქრობს დაიცვას მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა სსრ კავშირის გვერდის ავლით და მის წინააღმდეგ, ის რევოლუციის წინააღმდეგ

მიდის, ის აუცილებლად ექანება რევოლუციის მტრების ბანაკისაკენ“ (თხზ., ტ. 10, გვ. 54-55).

მაოისტები დიდი ხანია დაქანდნენ სოციალიზმის მტრების, ყველაზე აგრესიული და შოვინისტური იმპერიალისტების ბანაკისაკენ და მხარში ამოუდგნენ აშკარა რეაქციას და ჩადგნენ მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებელი ძალების ავანგარდში; მათი პოლიტიკა მიმართულია არა მარტო სსრ კავშირის, არამედ ყოველი სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ.

მაო ძედუნის სიკვდილის მომდევნო ამბები: ე. წ. „ოთხეულის“ დაპატიმრება, ხუა გოფენის ხელისუფლების სათავეში მოქცევა, დენ სიაოპინის განმეორებითი რეაბილიტაცია, ჩკპ III პლენუმისა და XI ყრილობის ჰეგემონისტური გადაწყვეტილებანი ერთი და იგივე ანტიკომუნისტური, ანტიინტერნაციონალისტური ჯაჭვის შემადგენელი რგოლებია, რომლებიც ცხადყოფენ იმას, რომ ჩინეთის ახალი ხელმძღვანელობა არა მარტო აგრძელებს მაო ძედუნის ხაზს, არამედ მიდის კიდევ უფრო მარჯვნივ, აშკარა კონტრრევოლუციური, აგრესიული გზით.

ჩინეთის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალება: გაზეთები, რადიო, ტელეხედვა ეწევიან ანტიკომუნისტურ, უმთავრესად ანტისაბჭოურ აგიტაციას. მაო ძედუნის სიკვდილის შემდეგ მარტო სამ ცენტრალურ ორგანოში (გაზეთები „ჟენმინ ჟიბაო“ და „ხუანმინ ჟიბაო“, ჟურნალი „ხუნცი“) ყოველ თვიურად იბეჭდება დაახლოებით 300 ანტისაბჭოური წერილი და კომენტარი. მათმა საერთო რიცხვმა 1976 წელს მიაღწია 3900, ე. ი. უფრო მეტს, ვიდრე 1974-1975 წლებში. კიდევ უფრო ფართოდ და მწვავედ გრძელდებოდა ყოველივე ეს მთელი 1977-1978 წლების განმავლობაში.

ე. წ. „ოთხეულისადმი“ წაყენებული ისეთივე ბრალდებები, როგორიც სხვადასხვა დროს მიაკერეს ვან მინს, გაო განს, პენ დეხუაის, ლიუ შაოცის, ლინ ბიაოს და სხვებს, ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ არამც თუ არ ცხრება, არამედ სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს მაოისტური პროვოკაციები და ყოვლად დაუჯერებელი ცილისწამებები სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

„ოთხეულს“ უყენებენ ისეთ ბრალდებასაც კი, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის აგენტებს და „ცდილობდნენ გადაექციათ ჩინეთი სსრ კავშირის კოლონიად“.

მაოისტები სოციალისტურ ქვეყნებს უწოდებენ „გადაგვარებულს“, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს „გაბურჟუებულს“, სსრ კავშირს არ თვლიან აზიის სახელმწიფოდ და უყენებენ მთელ რიგ პრეტენზიებს, მათ შორის ტერიტორიულს ათასობით კვ. კილომეტრი ფართობით, რომელზეც კვლავ შეჩერდა ამასწინათ ჩსრ-ის პრემიერის მოადგილ[illegible] ნიანი იაპონელ დელეგაციასთან საუბარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე გასაოცარია ცილისწამება, თითქოს სსრ კავშირი, რომელიც პირველხარისხოვანი მშვიდობის მოყვარე სოციალისტური სახელმწიფო და უშიშროების ყველაზე მტკიცე დასაყრდენია მთელ მსოფლიოში, ჩინეთს ომით ემუქრებოდეს „ჩრდილოეთიდან“. მაგრამ იმის კითხვა: თუ პეკინში ვინმე იმდენად შეიშალა ჭკუაზე, რომ მართლაც შეშფოთებულია სსრ კავშირის მხრიდან ჩინეთის წინააღმდეგ ომის საშიშროებით, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რატომ უპასუხა ჩსრ-ის მთავრობამ ცივი უარით სსრ კავშირის 1971 წლის პროექტს ძალის გამოუყენებლობის სპეციალური ხელშეკრულების ან 1973 წლის წინადადებას თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ? უფრო მეტიც, სსრ კავშირში რომ ვინმე დაინტერესებული იყოს ჩინეთის მიწებით, რატომ ჩავაბარებდით მათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ულლისაგან საბჭოთა ადამიანების აუნაზღაურებელი მსხვერპლით განთავისუფლებულ მანჯურიას და პორტ-არტურს?

ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის მაოიზმისადმი ავადმყოფურ ერთგულებას და კიდევ უფრო უარეს გზაზე დადგომას მოწმობს 1977-1978 წლების ანტისაბჭოური გამოხდომები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იძენს მაო ძედუნის „რჩეულ ნაწარმოებთა“ V ტომის გამოცემა, რომლის ტირაჟი გათვალისწინებულია აიყვანონ 200 მლნ. ეგზემპლარამდე და მასთან დაკავშირებული ხუა გოფენის გამოსვლა მაოისტური „მოძღვრების“ დასაცავად წერილით — „ბოლომდე მივიყვანოთ რევოლუციის გაგრძელების საქმე პროლეტარიატის დიქტატურის დროს“. ჩკპ-ის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილება ავალდებულებს „მთელ პარტიას, მთელ არმიას და ქვეყნის ყველა ხალხს“ გაშალონ „მასობრივი მოძრაობა“ ტომის მასალების შესასწავლად „კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკასთან კავშირში“, „პარტიული რიგებისა და სტილის მოწესრიგებასთან“ (ე. ი. წმენდის გაგრძელებასთან) ერთად. ამ ტომში, რომელიც ხუა გოფენის ინიციატივითა და რედაქციით გამოვიდა, წინანდელი მეგობრული გამონათქვამების გვერდის ავლით, შეტანილია სსრ კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამოხდომები და არის იმის ცდები — დასაბუთდეს სოციალისტური სახელმწიფოებს შორის თითქოსდა ანტაგონისტური წინააღმდეგობის არსებობა და მათ შორის ომის გარდაუვალობა.

ხუა გოფენი თეორეტიკოსობის პრეტენზიით დაწერილ სტატიაში „რევოლუციის გაგრძელება პროლეტარიატის დიქტატურის დროს“ (1977 წ. 1 მაისი) მაო ძედუნის კვალდაკვალ ამტკიცებს, რომ მარქსსა და ენგელსს „არ ჰქო-

ნდათ პროლეტარული რევოლუციის გამოცდილება, ლენინი „ძალიან ადრე გარდაიცვალა და არ შეეძლო კონკრეტულად გადაეწყვიტა“ კლასობრივი ბრძოლის საკითხი სოციალისტურ საზოგადოებაში; მაო ძედუნმა კი პირველმა კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში“ აღმოაჩინა, რომ „სოციალისტური საზოგადოება აღსავსეა წინააღმდეგობებით“ და აუცილებელია ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, ვინც მაოიზმს არ ეთანხმება.

მართალია, ხუა გოფენმა თავის მოხსენებაში ჩკპ XI ყრილობაზე თქვა, რომ პრინციპულ საკითხებში უთანხმოების მიუხედავად, ჩინეთი და საბჭოთა კავშირი უნდა დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობის ნორმალიზაციის გზას სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში, მაგრამ მას არც კი გაუხსენებია სსრ კავშირის მრავალრიცხოვანი მიმართვები და არ წამოუყენებია არც ერთი კონსტრუქციული წინადადება, რომელთა საფუძველზე შეიძლებოდეს სახელმწიფო ურთიერთობის ნორმალიზაცია.

მაოისტები კვლავ ეწევიან სპეკულაციას მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალიზმის იდეალების მაღალი ავტორიტეტით ჩინეთის მშრომელების თვალის ასახვევად. მაგრამ მათი გაძლიერებული აქცენტები ჩინელთა „განსაკუთრებულ“ როლზე და განვითარების „განსაკუთრებული“ ჩინური გზის შესახებ ყოველმხრივ აშკარავებს მაოისტებს როგორც რეაქციონერ-ნაციონალისტებს და აგრესორ-შოვინისტებს, რომლებიც ძველიდან და ახლიდან იღებენ ყოველგვარ ცრულს, რისი გამოყენებაც კი შეიძლება დიდმპყრობელური ჰეგემონიზმის ინტერესებისათვის.

ხუა გოფენი და მისი თანამოაზრენი მათ ძედუნის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად თვლიან იმას, რომ მან შეაბრუნა ჩსრ და ჩკპ მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან და სსრ კავშირთან მეგობრობიდან კონფრონტაციისა და გათიშვის პოლიტიკისაკენ. ამას უწოდებს ხუა გოფენი მაო ძედუნის უდიდეს წვლილს „თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. მაოისტები ხელს უწყობენ იმპერიალისტებს მთელი თავიანთი თეორიითა და პრაქტიკით. ისინი ერთიან ფრონტში არიან ყველა ქვეყნის ანტიკომუნისტებთან, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი აგრესიული ჰეგემონიზმის განხორციელების, მთელ მსოფლიოში გაბატონების მიზნით. ისინი ხშირად იმეორებენ მაო ძედუნის სიტყვებს: „ჩვენ უნდა დავიპყროთ მთელი დედამიწა“.

მაოისტები თავიანთი ჰეგემონისტური, დიდმპყრობელური პოლიტიკის დასაბუთებისათვის პროპაგანდას უწევენ ყოველგვარ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, ქადაგებენ აზიის ხალხთა და ყველა ყვითელკანიანთა რასობრივი ერთიანობის თეორიას, განსაკუთრებულობას ჩინეთისას, რომელიც თითქოს ისტორიულად არის მოწოდებული იყოს მთელი კაცობრიობის ჰეგემონი.

ასეთი ანტიმარქსისტული, ჰეგემონისტურ-ნაციონალისტური თეორიითა და პრაქტიკით მაოისტები დიდ საფრთხეს უქმნიან სოციალისტურ მონაპოვრებს ჩინეთში, ძირს უთხრიან და სახელს უტეხენ მეცნიერული სოციალიზმის დიად იდეალებს. ამიტომ აღნიშნა ასე ხაზგასმითა და კატეგორიულად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა:

„განსაკუთრებულად და ცალკე დგას, რა თქმა უნდა, საკითხი ჩინეთთან ურთიერთობის შესახებ. მისი ახლანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკა აშკარად მიმართულია სოციალისტური სახელმწიფოების უმრავლესობის წინააღმდეგ, უფრო მეტიც, იგი პირდაპირ უკავშირდება მთელი მსოფლიოს ყველაზე უკიდურესი რეაქციის პოზიციას — დასავლეთის ქვეყნების მილიტარისტებისა და დაძაბულობის შენელების მტრების თუ სამხრეთ აფრიკის რასისტებისა და ჩილეს ფაშისტური მმართველების პოზიციას... ახლა უკვე ცოტაა იმის თქმა, რომ მაოისტური იდეოლოგია და პოლიტიკა შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან. ისინი აშკარად მტრულია მისდამი... ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ მაოიზმის წინააღმდეგ, ვიბრძოლებთ პრინციპულად, ვიბრძოლებთ შეურიგებლად“. ამასთან, ლ. ი. ბრეჟნევმა მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით კვლავ დაადასტურა, რომ „თუ პეკინში დაუბრუნდებიან ნამდვილად მარქსიზმ-ლენინიზმზე დაფუძნებულ პოლიტიკას, ხელს აიღებენ სოციალისტური ქვეყნებისადმი მტრულ კურსზე, დაადგებიან სოციალიზმის სამყაროსთან თანამშრომლობისა და სოლიდარობის გზას, ამას ჩვენი მხრივ შესაბამისად გამოვეხმაურებით და შეიქმნება შესაძლებლობა, რათა სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვითარდებოდეს კეთილი ურთიერთობა, რომელიც შეესაბამება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს“ (სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 13-14).

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ყველა ჭეშმარიტად ერთგული ადამიანის სულისკვეთებას გამოხატავენ სირიელი კომუნისტები, როცა ასე აყენებენ კითხვას: „როგორ შეუძლია ისეთ პარტიას, როგორიც ჩინეთის კომპარტიაა, უგულებელყოს საკუთარი წარსული, განუდგეს პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ კურსს, გადავიდეს მის საწინააღმდეგო პოზიციაზე? როგორ შეუძლია ასეთ პარტიას იმპერიალისტური წრეები მიაჩნდეს ჩინეთის მოკავშირეებად, ხოლო მსოფლიოს პირველი სოციალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური სახელმწიფო თავის მტრად? ვინ დაუჯერებს იმ მონაჩმახს, თითქოს საბჭოთა კავშირი მტრულად იყოს განწყობილი მშვიდობის, სოციალიზმისა და ხალხთა განთავისუფლების საქმისადმი? ჩვენ გვწამს, რომ ვერც ერთი სირიელი ჭეშმარიტი პატრიოტი და პროგრესის მომხრე ვერ გაიზიარებს კურსს, რომელსაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ადგას... ყველა სირიელი კომუნისტის, სირიის პროგრესული და პატრიოტული ძალების სახელით სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულწრფელად მოუწოდებს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გამოეხმაუროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეგობრულ ინიციატივას, რომელიც შეესაბამება ჩინელი ერისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს“ („კომუნისტი“, 1978 წ. 16 ივნისი).

მაგრამ მაოისტები არამც თუ ყურად იღებენ მსოფლიოს კომუნისტების კეთილშობილურ მოწოდებებს და არ ცდილობენ ინტერნაციონალურ შეკავშირებას თანასწორუფლებიანობის საფუძვლებზე, არამედ ჯიუტად ახორციელებენ აგრესიული იმპერიალიზმის ხელშემწყობ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, განვითარებადი ქვეყნების, მთელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის ძალთა წინააღმდეგ.

მაოისტთა აგრესიული კურსი მით უფრო საშიში ხდება, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები აჩქარებენ ომისათვის მატერიალურ მზადებას, ეძებენ გზებს ახალი სახის იარაღების, თანამედროვე სამხედრო ტექნიკის შესაძენად. ისინი ყველაზე აშკარად უჭერენ მხარს ნატოს ბლოკის ყოველმხრივ გაძლიერებას, მისი სამხედრო პოტენციალის ამაღლებას, აგრესიული ძალების ნეიტრონული ბომბებითა და მასობრივი მოსპობის ყოველნაირი სახის იარაღით აღჭურვას. მაგრამ მაო ძედუნის სიკვდილის წინ და მის შემდეგ მიმდინარე მოვლენებმა, ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ კრახმა, ცალკეულ ჯგუფებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის უკიდურესობამდე გამწვავებამ ძლიერ შეარყია ჩინეთის ხელმძღვანელობის საერთაშორისო ავტორიტეტი. დიდმნიშვნელოვანი როლი ჩინეთის ხელმძღვანელობის პრესტიჟის დაცემაში განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით ანტიიმპერიალისტური სახელმწიფოების, წინაშე შეასრულა ჩინეთის აშკარა გადასვლამ იმპერიალისტური სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებულ შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და იაპონიის რეაქციული, რევანშისტული ძალების მხარეზე.

ჩინელი ხელმძღვანელები განვითარებად ქვეყნებში კონფლიქტების დროს ყოველთვის გამოდიან რეაქციული, რასისტული, იმპერიალისტური ძალების პირდაპირ მოკავშირეებად და ცდილობენ სსრ კავშირის, სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობას ჩამოაცილონ პროგრესული ძალები და თავიანთი ავანტიურისტული ჰეგემონიზმის, დიდხანური შოვინიზმის მზაკვრულ მიზნებს დაუმორჩილონ ისინი. ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი განვითარებადი ქვეყნები ჯერ კიდევ განიცდიან იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიური და ნეოკოლონიური პოლიტიკის საშინელ შედეგებს და სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული სოციალისტური ქვეყნების მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერითა და უანგარო მატერიალურ-ტექნიკური დახმარებით, მაგრამ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა წარმოუდგენელ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს უქმნის, ჩინურ სოციალ-იმპერიალიზმის უღელს უმზადებს აღორძინების გზაზე დამდგარ ახლად განთავისუფლებულ ხალხებს. ჩინეთის ხელმძღვანელები მაოიზმის ალმით ცდილობენ პირველ რიგში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში შეჭრას და მათი ნედლეულის წყაროების, გასაღების ბაზრების, შრომითი რესურსების ხელში ჩაგდებას. ისინი ხშირად იმეორებენ მაო ძედუნის სიტყვებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ძალიან მდიდარია, იქ ძალიან დიდი ბუნებრივი სიმდიდრეებია, ის წარმატებით აანაზღაურებს იმ ხარჯებს, რომლებიც მის ხელში ჩასაგდებად დაგვჭირდებათ.

ჰეგემონისტური პოლიტიკით გატაცებული მაოისტები ცდილობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებსა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებში მონახონ ჩინელი ემიგრანტები, უწინარეს ყოვლისა, ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც იქ კონტროლს უწევენ ეკონომიკისა და ფინანსების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სექტორებს, როგორც ამას აკეთებენ ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში, და მათი მეშვეობით გააძლიერონ ჩინური ექსპანსია.

ამრიგად, არ შევცდებით თუ დავასკვნით: საბჭოთა რევიზიონიზმზე, სოციალ-იმპერიალიზმზე, სოციალისტური ქვეყნების გადაგვარებაზე, კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტებისა და მუშების გაბურჟუებაზე უხამსი, ცილისმწამებლური ლაყბობა მაოისტებს იმისათვის სჭირდებათ, რომ „სოციალისტური“ ფრაზებით გაამართლონ თავიანთი ნამდვილი სოციალ-იმპერიალიზმი, სოციალ-შოვინიზმი, ყვითელი რასიზმი. ამიტომ მაოიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი და პრინცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პული ბრძოლა ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიების, მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალების სისხლხორცეული საქმეა. საბჭოთა კომუნისტები, სოციალისტური ერები და ეროვნებები მაოიზმის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით იცავენ არა მარტო მეცნიერული კომუნიზმის პრინციპებს, მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდეს, არამედ დიდ ჩინელ ხალხთან ინტერნაციონალურ სოლიდარობას, სოციალისტური რევოლუციების მონაპოვრებსა და მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ბუნებრივად იბმის ჩინეთის ხელმძღვანელობის გადაგვარების მიზეზების საკითხიც. რამ განაპირობა მათ ძიდუნისა და მისი თანმებრძოლების სოციალიზმისადმი ღალატი? ამ კითხვაზე მართებული პასუხის გაცემისათვის მივმართოთ ვ. ი. ლენინს, რომელიც 1915 წელს სტატიაში „სხვისი დროშით" გენიალურად შენიშნავდა: „სოციალ-ნაციონალიზმი გაიზარდა ოპორტუნიზმიდან„ და სწორედ ამ უკანასკნელმა მისცა მას ძალა. როგორ შეიძლებოდა „ერთბაშად" შობილიყო სოციალ-ნაციონალიზმი? სავსებით ისევე როგორც „ერთბაშად" იბადება ბავშვი, თუ ჩასახვის შემდეგ ცხრა თვემ განვლო" (თხზ., ტ. 21, 176).

მაოიზმიც არ წარმოშობილა უცებ, მასაც აქვს [illegible]ავისი ისტორია და იდეოლოგიური ფესვები. [illegible] ძედუნისა და მის თანამოაზრეთა სოციალშოვინისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ნიადაგი მოუმზადა იმ სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმა, რომლებიც ჩინეთის ისტორიული განვითარების შედეგია.

1949 წლისათვის ჩინეთში აბსოლუტური სიჭარბით იყო წარმოდგენილი ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობა, ძლიერი ფეოდალურ-პატრიარქალური ტრადიციების მქონე მოსახლეობა, წვრილი ხელოსნები, ვაჭრები და სხვა არაპროლეტარული ფენები, რომლებიც გამოირჩეოდნენ კონსერვატიული, ნაციონალისტური შეხედულებებითა და ცრურწმენებით. სწორედ მაშინდელი ჩინეთისადმი ზედგამოჭრილია ვ. ი. ლენინის დასკვნა: „რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, მით უფრო ძლიერია იქ წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება. პატრიარქალურობა და კუთხური ჩამორჩენილობა, რაც აუცილებლად იწვევს ყველაზე ღრმა წვრილბურჟუაზიული ცრურწმენების, სახელდობრ: ნაციონალური ეგოიზმის, ნაციონალური შეზღუდულობის ცრურწმენების განსაკუთრებულ ძალასა და სიმყარეს" (თხზ., ტ. 31, გვ. 171).

წვრილბურჟუაზიული ჩინეთის მიდრეკილება ნაციონალიზმისა და რასიზმისადმი ღრმავდებოდა ჩინეთცენტრისტული შეხედულებების საფუძველზე, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ინერგებოდა ჩინეთში — ამ მდგომარეობის გამო, რაც მას თავისი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეკავა აღმოსავლეთ აზიაში.

ძველ დროს, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჩინეთში შეჭრამდე (XIX საუკუნის შუალედი) იგი წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოს შედარებით მაღალ დონეზე განვითარებული კულტურით; ფეოდალურ-მონარქისტული ჩინეთის გაბატონებული კლასები ყველგან ავრცელებდნენ შოვინისტურ ნააზრევს ჩინელთა უპირატესობაზე სხვა ხალხების მიმართ. ჩინეთცენტრისტული იდეები თეორიულ გამართლებას პოულობდნენ კონფუციანობაში, რომელიც ერთ დროს იყო ოფიციალური ეთიკურ-პოლიტიკური მოძღვრება ჩინეთში. კონფუციანობა ქადაგებდა ჩინეთის სახელმწიფოს, ჩინელი ხალხისა და ჩინური კულტურის უპირატესობასა და განსაკუთრებულობას. ამასთან დამონებული იმპერიალისტური ქვეყნების შეჭრას ჩინეთში მოჰყვა არა დიდჩინური (დიდხანური) კონცეფციის აღმოფხვრა, არამედ ჩინური ნაციონალიზმის უკიდურესად გამწვავება. უცხოელი დამპყრობლებისაგან ჩინელებმა განიცადეს უსასტიკესი მორალური დამცირება, რაც დიდხანური შოვინიზმის გასაძლიერებლად გამოიყენეს ჩინეთის ფეოდალურ-მილიტარისტულმა წრეებმა და კომპრადორული ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. ეს მემკვიდრეობა, მაგალითად, ახე გამოხატა ჩინურმა გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაო" (1961 წ. 8 აგვისტო): „როცა ბევრი ახლანდელი კულტურული დასავლეთელი ხალხი ჯერ კიდევ ველურ მხეცებს დასდევდნენ ტყეებში, მაშინ ჩვენს ხალხს უკვე ჰქონდა ბრწყინვალე უძველესი კულტურა". ხოლო მეორე ჩინური გაზეთი „გუანმინ ჟიბაო" (1961 წ. 4 თებერვალი) წერდა: დიე, ალდგეს წინანდელი როლი ყვითელი რასისა, რომელსაც „XV საუკუნემდე ხელმძღვანელი მდგომარეობა ეკავა მსოფლიო ისტორიაში".

ამრიგად, ჩინური ნაციონალიზმის პროგრესულ მხარეს, რომელიც გამოიხატებოდა კოლონიზატორების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ჩინელი ხალხის ბრძოლით (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლიდერის სუნ იატსენის მეთაურობით), — ჩინეთში ყოველთვის უპირისპირდებოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ძლიერი მხარე დიდხანური შოვინიზმის სახით, რომელიც ცდილობდა ჩინეთის განდიდებას სხვა ქვეყნების ხარჯზე, მის გადაქცევას „მთელი მსოფლიოს მეგემონად".

ყველაფერ ამას არ შეიძლება არ მოეხდინა შორს მიმავალი ზეგავლენა ჩინეთის კომუნისტურ პარტიაზე, რომელსაც წარმოშობიდანვე თან დაჰყვა მწვავე შინაგანი წინააღმდეგობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნაციონალისტ მარქსისტ-ლენინელებსა და მაო ძედუნის მეთაურობით მებრძოლ წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტებს შორის.

ჩკპ-ის სოციალური შემადგენლობა, მისი შექმნისა და ზრდის პირობები შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ მასში ნაციონალისტური ელემენტების არსებობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკონომიკის სუსტი განვითარების შესაბამისად ჩინეთის მუშათა კლასის რიცხოვნობა მთელ მოსახლეობაში 1949 წელს არ აღემატებოდა 3 პროცენტს, ამასთან, მუშათა კლასის მცირე ნაწილი როდი იყვნენ გუშინდელი გლეხები, რომლებსაც არ ჰქონდათ გავლილი სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სკოლა.

ჩინელი კომუნისტ-ინტერნაციონალისტები გადაჭრით გამოდიოდნენ ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ ისევ ადრე, კომინტერნსა და ჩკპ-ის შორის კონტაქტების შეწყვეტის პირობებში, მრავალრიცხოვანი წმენდისა და რეპრესიების შედეგად გაძლიერდა ნაციონალისტური ფრთა მაო ძედუნის მეთაურობით ჩკპ-ის VII ყრილობაზე (1945წ.) მიღებულ პარტიის წესდებაში შეტანილ იქნა დებულება — ჩკპ მთელ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მაო ძედუნის იდეებით; ასე მიაღწიეს მაო ძედუნმა და მისმა მომხრეებმა გაბატონებას ჯერ პარტიულ ხელმძღვანელობაში, ხოლო ჩინეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ — სახელმწიფო აპარატში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) ჩამოყალიბების შემდეგაც ჩკპ-ის რიგების ზრდა გრძელდებოდა უმთავრესად არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე და ძალაში რჩებოდა წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის განვითარების პირობები. მაგალითად, 1958 წელს ჩკპ-ის 6100 ათასი წევრიდან მუშათა კლასიდან მიღებულთა რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 6,5 პროცენტს. ამასთან, კაპიტალისტური ვაჭრობისა და მრეწველობის გარდაქმნებს 50-იანი წლების შუა ხანებში არ მოჰყოლია ბურჟუაზიის ლიკვიდაცია. პირიქით, ეროვნული ბურჟუაზია მშრომელებთან შედარებით აღმოჩნდა პრივილეგიურ მდგომარეობაში (ფიქსირებულ პროცენტებთან ერთად ბურჟუებს ჩსრ-ში ეძლევათ, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად, საშუალოდ 3,5-ჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე მუშა-მოსამსახურეებს ანალოგიური სამუშაოსთვის, აგრეთვე სხვა შეღავათები). ბურჟუაზიულ ელემენტებს ჩსრ-ში აქვთ აგრეთვე საკუთარი პოლიტიკური ინსტიტუტები ვაჭარ-მრეწველთა ასოციაციების სახით და ჰყავთ რამდენიმე პარტია. ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზია წარმოდგენილია მთავრობასა და მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებებში. 60-იანი წლების დასაწყისიდან, ე. წ. მაოისტური ხელმძღვანელობის მსოფლიო სოციალიზმიდან აშკარა გამიჯვნისა და [illegible] ტურ-შოვინისტური პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ, შესამჩნევი გახდა მაოისტების ბურჟუაზიულ ელემენტებთან კიდევ უფრო მეტი შემჭიდროვება, გამოცოცხლდნენ ბურჟუაზიული ორგანიზაციები და გაძლიერდა მათში გომინდანური ჩინეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ლი ძუნჟენის ტიპის მსხვილი რეაქციონერების მონაწილეობა, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩინელი ხალხის უბოროტეს მტრებს.

ნაციონალიზმის ზრდის სტიმულირების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი გახდა აგრეთვე მაო ძედუნის პიროვნების კულტი, რომელიც წლების განმავლობაში ინერგებოდა და ყველაზე მახინჯი სახით გავრცელდა ჩინეთის მოსახლეობაში. ძალაუფლებას სრულად რომ დაეპატრონენ, მაოისტებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გააჩაღეს პროპაგანდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების ნაცვლად მაო ძედუნის ნაწარმოებთა შესასწავლად, მარქსიზმ-ლენინიზმის მაოიზმით შესაცვლელად, მაო ძედუნის ყველა ქვეყნის ხალხთა „ბელადად“ და „მაოიზმის“ თანამედროვე ეპოქის „თეორიული აზრის მწვერვალად“ აღიარებისათვის. ასე თვალსაჩინოდ განასახიერა მაო ძედუნის პიროვნების კულტმა მაოისტთა სოციალ-შოვინისტური ზრახვები და ბოროტი მისწრაფებანი.

მაოისტები ხშირად იმეორებენ მაო ძედუნის სიტყვებს: „ომის არ უნდა გვეშინოდეს. იქნება ომი — იქნება მსხვერპლიც... ატომური ბომბი არაა დიდ ხმალზე საშიში. თუ ომის დროს დაიღუპება კაცობრიობის ნახევარი — ამას არა აქვს მნიშვნელობა. არც ის არის ცუდი, თუ დარჩება მოსახლეობის მესამედი“. სამაგიეროდ გადაწყდება გადაუჭრელი პრობლემები და ვინც დარჩება, კარგად იცხოვრებსო. პეკინში ამჟამად პირდაპირ ამბობენ, 1980 წლისათვის შეიძლება იფეთქოს ახალმა მსოფლიო ომმაო. უდავოა, რომ ასეთი ომის გაჩაღებისათვის მზადებით ჩინელი მილიტარისტები ამერიკელი და სხვა იმპერიალისტების დახმარებით საფრთხეს უქმნიან არა მარტო სსრ კავშირს, არამედ მთელ მსოფლიოს. ამას არც მაოისტები უარყოფენ და აცხადებენ: „ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია ვიეტნამის ჩათვლით, ტაილანდი, ბირმა, მალაიზია, სინგაპური“, „ახლანდელი წყნარი ოკეანე ნამდვილად არც ისე წყნარია, შემდეგში, როცა ის ჩვენს კონტროლს დაექვემდებარება, გახდება წყნარი“, „რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ აუცილებლად ავაგებთ დიდ გემებს და მზად ვიქნებით გადავსხათ დესანტები იაპონიაში, ფილიპინებზე და სანფრანცისკოში“, „ამჟამად დაე ამერიკის შეერთებული შტატები გვიცავდნენ ჩვენ საბჭოთა რევიზიონიზმის გავლენისაგან... როცა დადგება დრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვეტყვით ბიძია სემს: „კეთილი ინებეთ, აიკარით თქვენი ბარგი-ბარხანა“.

ასეთი მოთხოვნების პირობებში აზიის ხალხები მკვეთრად აყენებენ საკითხს. თუ ახლა, როცა ჩინეთი ჯერ კიდევ არ ფლობს „მოდერნიზებულ“ სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს, არ ცნობს საზღვრებს და მოითხოვს მათს გადასინჯვას ძალით, რას უნდა მოველოდეთ მისგან შემდეგში?

აშკარა ავანტიურისტულ პოლიტიკას გამოდევნებული ჩინეთი თუმცა გახდა ატომური იარაღის მქონე სახელმწიფო, მაგრამ მთლიანად ჯერ კიდევ რჩება საგრძნობლად ჩამორჩენილ ქვეყნად. სსრ კავშირთან შედარებით ჩინეთი აწარმოებს ფოლადს 7-ჯერ, ელექტროენერგიას 10-ჯერ, ნავთობს 9-ჯერ, ავტომანქანებს 19-ჯერ ნაკლებს. ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი ჩინეთში ნაკლებია 30-ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, 10-ჯერ იაპონიასთან და 2,5-ჯერ თურქეთთან შედარებით.

ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას რომ ახასიათებდა, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყველასათვის გასაგებად თქვა:

„მეზობელ პატარა ქვეყანაზე — სოციალისტურ ვიეტნამზე უპრეცედენტო, თავხედური, ყაჩაღური თავდასხმით პეკინის ახლანდელმა მმართველებმა მთელი მსოფლიოს წინაშე საბოლოოდ გააშიშვლეს თავიანთი დიდმპყრობელური, ჰეგემონისტური პოლიტიკის ვერაგული, აგრესიული არსი. ახლა ყველა ხედავს, რომ სწორედ ეს პოლიტიკა ამჟამად ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ახლა განსაკუთრებით ნათელია ამ პოლიტიკისათვის ხელშეწყობის ყოველი ფორმის მთელი საფრთხე.

საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად, მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ჩინეთის აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, ინტერვენტებმა უკანასკნელ ჯარისკაცამდე გაიყვანონ მთელი ჯარები ვიეტნამის მიწა-წყლიდან. მოძმე ვიეტნამთან ჩვენი მეგობრობა მრავალი წლის განმავლობაში საქმით არის გამოცდილი. და დღეს, ვიეტნამელი ხალხისათვის ამ ძნელ ჟამს, მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს მას. და არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი: საბჭოთა კავშირი ერთგულია მეგობრობისა და თანამშრომლობისა, ხელშეკრულებისა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა სამართლიან, კეთილშობილურ ბრძოლას აწარმოებს. მის მხარეზე არიან მთელი მსოფლიოს პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ადამიანები. ამიტომ ვიეტნამის საქმე უძლეველია, აგრესორის ზრახვები კი განწირულია.

ასეთ ვითარებაში... ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რომ განავითარონ თანამშრომლობა მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის ძალებთან, ჩაფუშონ აგრესიული წრეების ზრახვები, დაიცვან და გააღრმაონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეუქმნან საბჭოთა ხალხს, ჩვენს მოკავშირეებსა და მეგობრებს მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის საიმედო გარანტია“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

# გვჭირდება თუ არა კვლევა-ძიება?

გამოკვლევაში „ქართული კლასიციზმი. ქართული სენტიმენტალიზმი“[1] შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესისათვის XVIII ს. 60-იანი წლებიდან XIX ს. 60-იან წლებამდე, ჩავყვებოდით ლიტერატურულ მიმართულებათა გამოვლინების თავისებურებებს, მიუხედავად იმისა, აღმოჩნდებოდა ეს ბაროკოს, კლასიციზმის, სენტიმენტალიზმის, რომანტიზმის, თუ რეალიზმის ნიშანთვისებები, დაგვეძებნა ახალი მასალა, ყურადღება გაგვემახვილებინა რომანტიზმისა და რეალიზმის დამკვიდრების სპეციფიკაზე. „მეცნიერული კვლევა-ძიება წინასწარ დაკვირვებებსა და დასკვნებს ვერ დაემორჩილება“, — მივუთითებთ დასაწყისშივე და დასახული მიზნის შესაბამისად, განუყრელ კავშირში განვიხილავთ მთელი საუკუნის (1760-1860) ლიტერატურულ ცხოვრებას. გამოკვლევაში ერთმანეთს ენაცვლება (ხშირად ერთ გვერდზედაც) მსჯელობანი კლასიციზმზე, სენტიმენტალიზმზე, რომანტიზმზე, რეალიზმზე. ასე რომ, კლასიციზმზე ჩვენი თვალსაზრისის გასაგებად, აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას გამოკვლევის ბოლო გვერდებიც. პატივცემულ პროფ. დ. გამეზარდაშვილს, ცოტა არ იყოს, უცნაური გზა აურჩევია აღნიშნულ გამოკვლევაზე მსჯელობისათვის.[2] მთელი პოლემიკური წერილი მხოლოდ იმის მტკიცებას ეძღვნება, რომ ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმი არ არსებობდა. კლასიციზმის არარსებობაზე საუბრებს ოპონენტი ამთავრებს XIX ს. 30-იანი წლებით, ისიც, ათეული გვერდებისა და საკითხების გამოტოვებით, არაფერს ამბობს ჩვენი ნაშრომის ძირითად ნაწილზე, ძირითად დებულებებზე.

ჩვენ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მკვლევარი ვართ, „XIX ს. 60-იანი წლების პოლემიკის... ახსნის მიზანმა მიგვიყვანა ახალი ქართული ლიტერატურის სათავეებთან“,[3] ამიტომაც ვამთავრებთ გამოკვლევას დებულებით: „60-იანი წლების პოლემიკამ მკაფიოდ გამოავლინა VXIII-XIX საუკუნეების ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმოშობა-განვითარების, ბრძოლისა და მონაცვლეობის კანონზომიერება და თავისებურებანი.“[4]

60-იანი წლების პოლემიკა ჩვენი ნაშრომის ღერძია, — ვინც ამ ნაშრომზე მსჯელობს, ყველაფერს რომ თავი აარიდოს, ამ საკითხის წაყრუების უფლება არა აქვს.

XIX ს. 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ანალიზი გვეხმარება გავერკვეთ XVIII საუკუნის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ვითარებაში და პირიქით; ჩვენ XVIII ს. 60-იანი წლებიდან ვიწყებთ იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც ასი წლის შემდეგ, XIX ს. 60-იან წლებში იქცა „მამათა“ და „შვილთა“ პოლემიკის საგნად.

60-იანი წლების პოლემიკის შესწავლისას მკვლევართა წინაშე ბევრი საძიებელი საკითხი იჩენს თავს: რატომ ადარებდნენ თერგდალეულები „მამებს“ კლასიცისტებთან? რატომ ესხმოდნენ თავს ჩახრუხაძეს? რატომ უპირისპირებდნენ მას რუსთაველს? სწორედ ამ საკითხების გასარკვევად შეიქნა საჭირო ასი წლით უკან დახევა, იმ იმედით, იქნებ, იმ პერიოდს ნათელი მოეფინა ამ პრობლემებისათვის და პირიქით.

დ. გამეზარდაშვილი აღნიშნავს, მხოლოდ კლასიციზმს შევეხებით, და ერთ-ერთ გვერდზე მექანიკურად წყვეტს საუბარს. ვერას გზით ვერ მიხვდებით, რატომ სწორედ აქ, ამ გვერდზე შეჩერებულა? რა თავდება ან რა იწყება აქ! კლასიციზმის პრობლემა ჩვენ სწორედ მის მიერ მთლიანად გამოტოვებულ სენტიმენტალიზმთან, რომანტიზმთან და რეალიზმთან მიმართებაში გვაქვს გაშუქებული. არსად განცალკევე-

11. „მნათობი“, № 11.

ბით არ განვიხილავთ, რადგან ცოცხალი პროცესის მთლიანი ანალიზი ასე მოითხოვდა.

ვფიქრობთ, უფლება არ გვაქვს, ამოგლეჯილი ნაწილის მიხედვით ვიმსჯელოთ წიგნზე, რომელშიც მთლიანი პროცესის განუყოფელი ანალიზია მოცემული.

ეს გარემოებანი უთუოდ გვანთავისუფლებს პასუხის გაცემის საჭიროებისაგან, მაგრამ გადავწყვიტეთ, უხეში შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ორიოდ მომენტზე კიდევ მივაპყროთ მკითხველის ყურადღება.

ლიტერატურულ მიმართულებათა ასპექტში ქართული მწერლობის შესწავლა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სხვადასხვა დროს ამ მხრივ თვალსაჩინო კვლევა-ძიებაც ტარდებოდა, საყურადღებო მოსაზრებებიცაა გამოთქმული, მერმე კი, საქმე მიყუჩდა და ისეთი ვითარება შეიქნა, თითქოს, სადისკუსიო აღარა დარჩა რა.

პატივცემული ოპონენტი გვერდს უვლის ს. დოდაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. სარაჯიშვილის, ალ. ხახანაშვილისა და სხვათა შეხედულებებს, რათა შთაბეჭდილება შექმნას, რომ ეს პრობლემა ჩვენი გამოგონილია.

სხვა არა იყოს რა, 1897 წ. ი. ჭავჭავაძის საიუბილეოდ გამოსულ წიგნში სრულიად გარკვეულადაა ნათქვამი: „ილია ჭავჭავაძემ ყელი გამოსჭრა ცრუკლასიკურს პიიტიკოსობას“.5

პროფ. დ. გამეზარდაშვილს თავისი ნაწერისათვის წარუმძღვარებია საცნობო-საგანმანათლებლო თავები: „ლიტერატურა ლიტერატურულ მიმართულებებამდე“ და „კლასიციზმი და მისი ესთეტიკური კრედო“, — რომელთა დანიშნულების გამო აღნიშნავს: გვინდოდა, შეგვექმნა საფუძველი ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმის არსებობა — არარსებობაზე მსჯელობისათვის.“ 6

როგორც მოგეხსენებათ, მხატვრული ლიტერატურის ანალიზი მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობაა, სადაც სამგვერდიანი კონსპექტებით შორს ვერ წავალთ. არა თუ კონსპექტი, ისეთი სახელმძღვანელოც კი წარმოუდგენელია, რომლითაც შესაძლებელი იქნება განისაზღვროს ყველა ქვეყნის, ყველა დროის, ყველა მწერლის მიმართულება და სტილი. სქოლიოში არ ჩანს, სად იპოვა პატივცემულმა ოპონენტმა კლასიციზმის გაგების ეს სავალდებულო ნორმები, სად აღმოაჩინა ის ყალიბები, რომელთა მორგებით ქართული ლიტერატურის ყველა ნაწარმოებისა და მწერლის გაზომვა შეიძლება! აქედან მომდინარეობს კატეგორიული გადაწყვეტილებანი, ანალიზის, ორიგინალური ძიების საჭიროების უარყოფა.

ავტორი ერთ სიტყვასაც არ ეუბნება მკითხველს, რომ ეს საკამათო საკითხებია, არსებობს ზღვა ლიტერატურა, გრძელდება ძიებანი, კამათი.

ლ. ტაპიეს აზრით, კლასიციზმი რენესანსის „წიაღსვლის“ გარეშე არ წარმოშობილა, [illegible] რდა ფართო ბაროკულ საძირკვლებზე“.

ა. ა. მოროზოვის სიტყვით: „კლასიციზმის, როგორც დამოუკიდებელი სტილის, მერყევ ხასიათზე და ილუზორულობაზე დაწვრილებით წერს ა. ჰოიზერი. ერთსა და იგივე მწერალს ზოგი მეცნიერი კლასიციზმს მიაკუთვნებს, ზოგი — ბაროკოს, ზოგი რეალიზმს. ერთსა და იგივე სტილურ ნიშანს ზოგი ბაროკოს დამახასიათებლად თვლის, ზოგი რომანტიზმისა. მაშ, საიდან გაჩნდა ჯადოსნური კონსპექტი, რომელიც ბოლოს უღებს აზრთა სხვადასხვაობას, კვლევა-ძიებას, ანალიზს?

დ. ჩიჟევსკი ამტკიცებს, რომ: „მშვიდი ჰარმონიული მშვენიერების მაღალი შეფასება, კომპოზიციის უბრალოება, ნათელი აღნაგობა, სტილისტური საშუალებების თვალსაჩინოება, მიპწრაფება ნაწარმოების მტკიცედ შეზღუდულ ჩარჩოებში ჩასმისა და სტატიკური სიტუაციების აღწერისკენ მიდრეკილება — დამახასიათებელია როგორც რენესანსისათვის, ისე კლასიციზმისათვის“.

„სწრაფვა ყველგან ანტითეზათა წინწამოწევისათვის, ძალთა ჭიდილი, დაძაბულობა, ...რთული აღნაგობა, განზრახ სიბნელე, ცალკეულ ნაწილთა შავბნელი კოლორიტი და მთლიანად სტილისტური სამკაულებით გადატვირთვა“ — დამახასიათებელია ბაროკოსათვისაც და რომანტიზმისთვისაც.

ა. ა. მოროზოვისა და დ. ს. ლიხაჩოვის პოლემიკაში XVIII ს. რუსული მწერლობის მთელი რიგი მოვლენები სრულიად განსხვავებულადაა გაგებული.

დ. ს. ლიხაჩოვი ერთმანეთისაგან ანსხვავებს „პირველად“ და „მეორედ“ სტილს. პირველს მიაკუთვნებს რომანულს, რენესანსს, კლასიციზმსა და რეალიზმს. მეორეს — გოთიკურს, ბაროკოს, რომანტიზმს. „ყოველი სტილი თანდათან იცვლება მარტივიდან რთულისაკენ“. „იძენენ საოცარ უნარს „გადაილვარონ“ ერთი სოციალური გარემოდან მეორეში, ეს შეეხება როგორც გოთიკასა და ბაროკოს, ისე რომანტიზმს“. პატივცემული ოპონენტი კი ყველა სტილს ყველგან ერთნაირი, „სუფთა სახით“ დაეძებს. უცვლელი კრიტერიუმით იხილავს XVIII ს. 60-იანი წლებისა და XIX ს. 20-იანი წლების კლასიციზმს, ანგარიშს არ უწევს ეკლექტიზმს. ამტკიცებს, „კლასიციზმი პირველი ლიტერატურული მიმართულება იყოო“. დ. ლიხაჩოვი, ა. მოროზოვი, ლ. ტაპიე და სხვანი კი გარკვევით წერენ „რომანულზე“, რენესანსზე, ბაროკოზე, როგორც წინმსწრობ სტილზე. გვჯერა თუ არ გვჯერა, ინფორმაცია ხომ მაინც უნდა მივაწოდოთ მკითხველს.

XIX ს. დასაწყისის დაკონსერვებული ნიშანთვისებების ტრანსფორმირებაზე და დოგმებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევაზე რომ არაფერი ითქვას, ამ ნიშანთვისებებში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო: „ეკლექტიზმი“ და „გარდამავლობა“ უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ, როგორც უაღრესად ტიპიური თვისება კლასიციზმისა. როცა ვკამათობთ, „პირობითობა“ კლასიციზმისათვის არ იყო ნიშანდობლივით, სრულიად საწინააღმდეგო აზრიც უნდა აღვნიშნოთ, თუნდაც, ა. მოროზოვისა: „როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კლასიციზმი ნორმატიულობისაკენ თავისი სწრაფვით ნაკლებ პირობითია, ვიდრე ბაროკო, რომელშიც შეიჭრა გამონაგონი და ლიტერატურული ნატურალიზმი?“ მოპაექრე კი ერთი ხელის აქნევით გვასწავლის: „კლასიცისტური პოეტიკის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს... ჟანრობრივი სიწმინდის დაცვა და არა პირობითობა“.

სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში პროფესიულ ჩაღრმავებებს, რა თქმა, უნდა, ვერ ვიპოვით, რადგან კლასიციზმის ესთეტიკურ-გნოსეოლოგიურ არსზე უამრავი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაშრომი არსებობს და ყოველწლიურად ბევრი რამ ახალი იბეჭდება.

პროფ. პ. ბერკოვი მიუთითებს, რომ არ მოიპოვება „კლასიციზმის“ საყოველთაოდ აღიარებული და მეცნიერულად მიღებული განსაზღვრა. ყველაფერი დამოკიდებულია ცალკეულ ნაწარმოებთა სტილის კონკრეტულ ანალიზზე. დ. გამეზარდაშვილის „თეორიულ შესავალში“ მთლიანად გამორიცხულია გემოვნების კატეგორია, ერთ-ერთი ნიშანდობლივი კლასიციზმისათვის, რომლის თანახმადაც „კარგი გემოვნება“ დამოკიდებულია საეკლესიო წიგნების ცოდნაზე, არქაიზებულ ენაზე, განათლებაზე, „კეთილზნეობით“ აღზრდაზე“. ერთ-ერთი ამათგანის უქონლობა უგემოვნების ნიშნად ითვლებოდა და ნორმისგან არავითარი გადახვევა არ შეიძლებოდა. არაფერია ნათქვამი რეგლამენტაციის სპეციფიკაზე, მოხმარების წრეზე, გრძნობისა და გონების მიმართების ხასიათზე, და ა. შ. იგნორირებულია მხატვრული შემოქმედების ინდივიდუალური ხასიათის მიმართ კლასიციზმის ნეგატიური დამოკიდებულება. საყრდენს კლასიციზმი ხედავს არა ავტორის პიროვნებაში, არამედ თვით ასახვისა და განსჯის საგანში, ჟანრსა და სტილში, რომლითაც დაწერილია ნაწარმოები.

ოპონენტი, რომელიც საერთოდ არ ცნობს კლასიციზმამდე არავითარ ლიტერატურულ მიმართულებას და აცხადებს, ქართულ მწერლობაში ლიტერატურული მიმართულებანი რომანტიზმით იწყებაო, ხოლო ჩვენგან ყოველ წვრილმანზე ათობით საბუთს ითხოვს, უცებ, ყოველგვარი საბუთის გარეშე, უყოყმანოდ აღიარებს, რომ ქართულ მწერლობაში არსებობდა ბაროკო. „თეიმურაზისეულმა(?) ამ მეტად თავისებურმა ქართულმა ბაროკომ (?) მალე მოითხოვა კორექტივები (გვ. 75). ქართულ ბაროკოს უმაღლესი წერტილისათვის მიუღწევია! „უფრო მეტი საფუძველი არსებობს ვილაპარაკოთ ქართულ ბაროკოზე, ვიდრე ქართულ კლასიციზმზე“; „ანტონ კათალიკოსი უფრო მეტად ბაროკოელია“ (გვ. 48-49) და ა. შ.

საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, ჩვენმა ოპონენტმა ძველ ქართულ მწერლობაში ბაროკოს არსებობა ამტკიცოს, მაგრამ დღემდე ამ პრობლემაზე მის არც ერთ სტრიქონს რომ არ ვიცნობთ, ამიტომ გვიკვირს, საიდან მოდის ეს მზამზარეული დასკვნები. თუ კლასიციზმის არსებობის დასამტკიცებლად ასობით საბუთი, ათობით მეცნიერის მოსაზრება, აურაცხელი ნაწარმოების ანალიზიც არაფერს ნიშნავს, ბაროკოს ლიტონი განცხადება ეყოფა? სქოლიოში მაინც ყოფილიყო თუნდ ერთი წყაროს მითითება. ბაროკოს, როგორც დამოუკიდებელ სტილს, კლასიციზმზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს და უმრავლესობა მას სამუშაო პრობლემად თვლის.

ჩვენი ოპონენტის აზრით, საქართველოში კლასიციზმის პირობები არ არსებობდა, ამიტომ ბაროკოს პირობებზეც ხომ უნდა თქმულიყო ორიოდე სიტყვა. ბაროკო წარმოიქმნა კაპიტალის პირველი დაგროვების ეპოქაში, კოლონიური ექსპანსიის, ოცდაათწლიანი ომისა და სოციალური ძვრების ხანაში. მეცნიერთა შორის თანხმობა არც ამ საკითხზე არსებობს და აუცილებელი იყო საკუთარი პოზიციის გამოკვეთა. დ. ლიხაჩოვი ამტკიცებს, რომ „ბაროკო კონტრრეფორმაციის ნაშიერია“; „დაკავშირებულია იეზუიტურ-კათოლიკურ რეაქციასთან“.

ვინაც იმის დაჯერებაც არ სურს, რომ ერეკლე მეორის საქართველო აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიას ემყარებოდა, რატომ არ უსვამს თავის თავს კითხვას, საიდან გაჩნდა თეიმურაზ პირველის კახეთში ეს „კონტრრეფორმაცია“ და „იეზუიტურ-კათოლიკური რეაქცია“, „კაპიტალის დაგროვება“, „კოლონიური ექსპანსია“ და „სოციალური ძვრები“?

დ. გამეზარდაშვილს თავისი პოზიციის ქვაკუთხედად გაუხდია მოძველებული, მეცნიერთა მიერ გადაჭრით უკუგდებული თვალსაზრისი ანტონ ბაგრატიონის მსოფლმხედველობაზე. ჩვენი ოპონენტი წერს: „ანტონ კათალიკოსი სათავეში მოექცა ფეოდალურ-კლერიკალურ რეაქციას“; „ანტონი არქაისტია“; „ქრისტიანული რელიგიის ორთოდოქსი წარმომადგენელია“; ანტონს შეუძლებელია დავწამოთ (დ. გამეზარდაშვილის საყვარელი გამოთქმა!) რაციონალიზმის პოზიციებზე დგომა ფილოსოფიაში“; „ანტონ კათალიკოსის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დამკვიდრებულია ქრისტიანულ

თეოლოგიაზე და წარმოადგენს. მისი პრინციპების პრაქტიკულ ხორცშესხმას“ და ა. შ.

ასეთი შეხედულებების საფუძვლად დ. გამეზარდაშვილს მითითებული აქვს ამ საკითხზე ერთ-ერთი მოძველებული სახელმძღვანელო და მკითხველს ერთ სიტყვასაც არეუბნება, რომ არსებობს ახალთახალი სპეციალური გამოკვლევები, რომლებშიც მტკიცედაა დასაბუთებული ანტონის მსოფლმხედველობის პროგრესულობა, მისი როლი მეცნიერული ცოდნის განვითარებასა და გავრცელებაში.

ს. დოდაშვილზე, დ. ჩუბინაშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე, ალ. ხახანაშვილზე, გ. ქიქოძეზე და სხვებზე რომ არა ვთქვათ რა, ნუთუ პატივცემულ ოპონენტს მართლა არაფერი გაუგია აკად. შ. ნუცუბიძის, აკად. ა. ფრანგიშვილის, აკად. რ. დვალის, პროფ. ვ. პარკაძის, პროფ. ს. ავალიანის, პროფ. კ. გრიგოლიას, პროფ. ა. როგავას, პროფ. მ. დუმბაძის, პროფ. რ. ბარამიძისა და სხვა ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, ფიზიკოსების, მათემატიკოსების, ისტორიკოსების კვლევა-ძიების შედეგებზე? თუ გაუგონია, რატომ ავს ან კარგს ერთ სიტყვას მაინც არ გვეუბნება? თუ მართლა არ სჯერა, რომ ანტონი მეცნიერი, რაციონალისტი, პროგრესული მოღვაწე იყო და არა ბნელეთის მოციქული, რატომ ჩვენ გვეკამათება და არა აღნიშნული დარგების სპეციალისტებს, რომელთა მონაპოვრით ჩვენ ვსარგებლობთ? რა უნდა დაერქვას სამამულო მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვართადმი ასეთ დამოკიდებულებას? ჭეშმარიტების მაძიებლისათვის უთუოდ ძვირფასია მომიჯნავე დარგების გამოჩენილ სპეციალისტთა, აგრეთვე, ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლების შეხედულებები. პირადად მე მათი უფრო მჯერა. მათ კი დაასაბუთეს, რომ ანტონმა დასძლია რელიგიური დოგმატიზმი, წინ აღუდგა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას, გზა გაუკაფა მეცნიერებას, სწავლა-განათლებას.

აკად. ა. ფრანგიშვილი ვრცელ გამოკვლევაში დაასკვნის „ანტონმა, ისე, რომ დეკარტეს ნააზრევს არ იცნობდა, სრულიად დამოუკიდებლად დაადგინა ცნობიერება, როგორც ფსიქიკური სინამდვილის არსებითი ფაქტი და მან ამ საფუძველზე სცადა ფსიქოლოგიის სპეციფიკური საგანი მოეხაზა... ევროპულმა აზროვნებამ ცნობიერების ცნება დეკარტედან მიიღო, ქართული ფსიქოლოგიური აზროვნების განვითარებაში კი ეს ფუძემდებელი ცნება მისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა... ფსიქიკურის ანტონისეული გაგება არსებითად განსხვავდება ფსიქიკურის იმ გაგებისაგან, რომელიც დეკარტეს ზეგავლენით იყო გაბატონებული ახალ ფსიქოლოგიაში და რომელიც... საბედისწერო შეიქნა ფსიქოლოგიის განვითარებისათვის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში... ანტონის აღნიშნულ მოძღვრებაში ფსიქიკურის შესახებ ის ფაქტია დადგენილი, რომელიც შემდეგში მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე გააზრებული, საფუძვლად დაედო ფსიქიკურის ისეთი ცნების შემუშავებას, რაზედაც შესაძლებელი შეიქნა ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგიის სისტემის აგება... „სპეკალის“ ისტორიული მნიშვნელობაა, რომ აქ წარმოდგენილი იყო „კლასიკური ხანის“ ქართული ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვრის შემდგომი განვითარება და გაღრმავება, რის საფუძველზედაც ახლებური გაშუქება ჰპოვა ფსიქოლოგიისათვის ისეთი ძირითადი მნიშვნელობის პრობლემებმა, როგორიცაა: ცნობიერების, ფსიქიკური მთლიანობითი ბუნებისა და ფსიქიკურ ფენომენთა კლასიფიკაციის პრობლემები და სხვა... იდეოლოგიის დარგში ახალი მოძრაობის — განმანათლებლობის დასაწყისი ნათლადაა წარმოდგენილი ანტონ ბაგრატიონის შრომებში... ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიაში „ადრეული“ განმანათლებლობის საფეხური ანტონისა და მისი სკოლის რაციონალისტური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებით იწყება... ანტონი ებრძვის ჩამორჩენილობას, უმეცრებას... ანტონი განმანათლებლობის მიზნებს უკავშირდება სქოლასტიკური ფილოსოფიის გადალახვას, სქოლასტიკის, დოგმატიზმის დაძლევას... ბუნებისმეტყველური ცოდნის დანერგვის ამოცანას... ანტონს აღებული ჰქონდა ის ძირითადი გეზი, რომ ფილოსოფია და მეცნიერება ასე თუ ისე უნდა განთავისუფლდეს სქოლასტიკის, სალვთისმეტყველო მეცნიერების ტრადიციებისაგან და აიგოს ფილოსოფიური და მეცნიერული შემეცნების ახალი მეთოდების საფუძველზე... ანტონს ეს გეზი შემუშავებული ჰქონდა XVIII ს. მეორე ნახევრის... მოწინავე საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის ზეგავლენით“ და ა. შ.[7]

რა განზრახვით გადაუწყვეტია ჩვენს ოპონენტს ერეკლესდროინდელი საქართველოს უკიდურესი და უსაბუთო დისკრედიტირება? ნუთუ, „განათლების საუკუნეში“ საქართველო მართლა ისეთი ველური და ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, რომ ფილოსოფია, სწავლა-აღზრდა, განათლება შავბნელი თეოლოგების ხელში იმყოფებოდა?

ერთი „საბუთი“ ისაა, რომ ჩვენში ყველაფერი ზუსტად ისე არ გვქონდა, როგორც საფრანგეთში იყო. მეორეც ის, რომ ანტონს საეკლესიო თანამდებობა ეკავა. მაგრამ, ნაკლები თანამდებობა ეკავათ სიმეონ პოლოცკის, თეოფანე პროკოპოვიჩს, რომლებსაც რუსეთის განმანათლებლობის წარმომადგენლებად თვლიან, ან, ენციკლოპედისტთა და 1789 წლის რევოლუციის მონაწილეთა შორის ცოტა იყო საეკლესიო პირი?

სამწუხაროა, რომ ხოციოლოგისტური არგუმენტებით ჩვენი ერის ბევრ მონაოვარს ქარს ვატანთ და „განათლების საუკუნეს“ ჩვენი ხა-

ლხის ისტორიაში „ხასულიერო მწერლობის გაფურჩქვნის“, უკუნეთის, კლერიკალიზმის ხანად ვაცხადებთ, რათა ამ დაცემულობას და „კლერიკალიზმს“ გადავაბრალოთ ყველაფერი, რაც მოხდა. ნუთუ, ახეთი ჩამორჩენილი იყო ქვეყანა, რომელიც ერეკლეს დროს სათავეში ედგა ამიერკავკასიის ხალხთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას?

დ. გამეზარდაშვილი განგვიმარტავს: ანტონი რაციონალისტი კი არაა, იდეალისტი იყოო. როგორ მოგწონთ? მალბრანში, ლაიბნიცი, კანტი, ბეგელი რაციონალისტები არ იყვნენ თუ იდეალისტები არ იყვნენ? იგივე ბაუმაისტერი, რომლის თარგმანსაც ჩვენი ოპონენტი დიდ დანაშაულად უთვლის ანტონს, რაციონალისტი არ იყო, თუ იდეალისტი არ იყო? მცოდნე კაცები კი, ამ თარგმანს ანტონს დიდ დამსახურებად უთვლიან.

პატივცემული ოპონენტი ყველაფერს ბიოგრაფიით ხსნის; ანტონი ბესიკის მსოფლმხედველობაზე გავლენას ვერ მოახდენდა, რადგან მამამისის მტერი იყოო. არ აინტერესებს, რა მქონდათ ერთმანეთთან სამტრო, ვინ იყო მტყუანი, ვინ მართალი. არც პროფ. ს. ცაიშვილის დასკვნა აგონდება, რომელსაც სხვაგან სულ უადგილოდ იმოწმებს.

ანტონის თეოლოგობა, კათალიკოსობა წარმავალი იყო. დღეს ჩვენთვის ძვირფასია ის, რაც მის მოღვაწეობაში პოზიტიური, ისტორიულად ღირებულია. რამდენი კათოლიკოსი და ეპისკოპოსი ყოფილა საქართველოში, რომლებიც აღარავის ახსოვს. ქართული მწერლობისა და აზროვნებისათვის, ჩვენი ისტორიისათვის ანტონი თეოლოგი და კათალიკოსი კი არაა, არამედ პოეტი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი, ფიზიკოსი, ფსიქოლოგი, მეცნიერ-პედაგოგი, განათლების ორგანიზატორი, დიპლომატი. მარტო ეს ფაქტი, რომ ანტონმა ქართულ ენაზე პირველად გადმოსცა და დაახასიათა კოპერნიკის მოღვაწეობა[8], პირველი იხსენიებს ენციკლოპედისტებს, ათასჯერ უფრო საყურადღებოა დღევანდელობისათვის, ვიდრე მისი ყველა საეკლესიო ხელნაწერი ერთად. ანტონი „თეოლოგიის წინააღმდეგ ვამოდის, — წერს ფიზიკოსი პროფ. ვ. პარკაძე,

ემხრობა ნიუტონის... თეორიას... ანტონი გამოდის წინააღმდეგ საღმრთო წერილებისა, რომელთა მიხედვით, დედამიწა ბრტყელია, სჯერა, რომ მრგვალია..., ელექტრულ ნივთიერებაში ელექტრულ ძალას ხედავს. ელექტრული ნივთიერებისათვის ასეთი რეალური შინაარსი ანტონამდე არავის მიუნიჭებია. 1760-ან წლებში ელექტრული ძალის მანძილზე მოქმედებას მსოფლიო ფიზიკოსთაგან ერთეულები იზიარებენ. ამ ერთეულთა შორის ანტონიც აღმოჩნდა.“[9]

ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ანტონი 1783 წლის ტრაქტატის ავტორი და სულისჩამდგმელი გახლდათ.

ჩვენი ოპონენტი დასაცინად ხდის „სპეკალს“. ანტონს დანაშაულად უთვლის ვოლფისა და ბაუმაისტერის თარგმანს, უთუოდ, ავიწყდება, ვოლფის რუსულად თარგმნა მ. ლომონოსოვის მეცნიერულ დამსახურებადაა მიჩნეული და ანტონი იცნობდა მ. ლომონოსოვის ამ მოღვაწეობას[10]

პროფ. ს. ავალიანი ბაუმაისტერის თარგმანებთან დაკავშირებით წერს: „ანტონ ბაგრატიონმა ქართული ფილოსოფიური აზროვნება მისი თანამედროვე მსოფლიოს ფილოსოფიური აზროვნების დონეზე აიყვანა“. 11

ყველაფრის მხოლოდ „თვითმყოფობით“ ახსნა შეუძლებელია. განა, ვინც ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმზე, სენტიმენტალიზმზე, კულტურულ მონაპოვართა გაცვლა-გამოცვლაზე სიტყვას დასძრავს, ეროვნული „თვითმყოფობის“ წინააღმდეგია? „ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, — წერს ოპონენტი, — ა რ ს ე ბ ი თ ა დ განსხვავდებოდა შესაბამის ეპოქების რუსული და ევროპული ლიტერატურის ევოლუციის (?) ხასიათისაგან“.

მაგრამ „თვითმყოფობა“ მარტო ქართული ლიტერატურის დამახასიათებელი თვისებაა, რომ უნივერსალურ დოგმად გამოვაცხადოთ და კვლევა-ძიებაზე ხელი ავიღოთ! იგი („თვითმყოფობა“) სრულებითაც არ გამორიცხავს კულტურულ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლას, ზოგადკაცობრიულს, გავლენებს. ჩვენს ოპონენტს „თვითმყოფობა“ არსებითად დაჰყავს კარჩაკეტილობამდე, თვითიზოლაციამდე, პროვინციალიზმამდე. მას ადგილიც აღარ რჩება იმის აღსანიშნავად, რომ კულტურის „თვითმყოფობა“ საკაცობრიო სულიერი მონაპოვარია, ერის წვლილია საერთაშორისო სულიერი ცხოვრების განვითარებაში... ნუთუ, რუსული ლიტერატურის თვითმყოფობას უარყოფენ ისინი, ვინც პუშკინსა და ლერმონტოვს ბაირონთან, შილერთან, გოეთესთან ადარებენ?

ნარკვევში ნაირსტილოვან ენაზე შევეცადეთ გაგვეშუქებინა „სამი შტილის“ თეორია, გვეჩვენებინა მისი, როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური ფენომენის როლი, რომელიც ჟანრების არათანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს.

ოპონენტი გვედავება, ნაირსტილოვანი ენის თეორია ანტონს მხითარ სებასტიელისაგან უნდა გადმოეღო, რადგან ფრანგი და რუსი კლასიცისტები მისთვის მიუწვდომელი იყვნენო. ჩვენს გამოკვლევაში საკმაო მასალაა მოყვანილი როგორც ეროვნული (პეტრიწი, ჩახრუხაძე), ისე

ევროპულ-რუსული წყაროების გამოყენება'ზე. ოპონენტი თავს არ იწუხებს მათი ანალიზისა და შეფასებისათვის. პეტრიწზე ისე ლაპარკობს, თითქოს, ჩვენს წიგნში ამის შესახებ არა გვქონდეს რა ნათქვამი. ნუთუ მან არ იცის, რომ „სამი სტილი" ობიექტური ენობრივი სინამდვილეა; ენის ტრიხოტომიას დიდი ხანია ჩასწვდა ადამიანის გონება და მწერლობაშიც გამოიყენა. ის გაშუქებულია ანტიკურ რიტორიკასა და პოეტიკაში, საიდანაც „სამი სტილის" მოძღვრება გადმოვიდა საეკლესიო ჰომილეტიკაში და ცნობილი იყო ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებული საეკლესიო პირისათვის. ანტონმა 1782 წლიდან ბრწყინვალე სასულიერო განათლება მიიღო. 1738 წლიდან ქუთაისის მიტროპოლიტის კათედრა ეკავა. 1744 წლიდან საქართველოს კათალიკოსია და სახელი გაითქვა ქადაგებებით („რიტორებით"). გამოდის, რომ ჩვენში კათალიკოსმაც არ იცოდა ის, რაც სხვაგან რიგითმა ღვთისმსახურმა იცოდა.

შორს რისთვის მივდივართ. განა, ყოველი განათლებული ქართველისათვის ნათელი არ იყო, რომ პეტრიწის, რუსთაველის, მოსე ხონელის და ჩახრუხაძის ნაწერები ერთი და იგივე სტილით არაა დაწერილი? რისთვის ვაწუხებთ ამ საქმეზე ენათმეცნიერებს, რისთვის ვიწერთ გრძელ-გრძელ ციტატებს, ლიტერატურისათვის „სამი შტილის თეორია" ხომ ესთეტიკური კატეგორიაა და არა გრამატიკული. ანტონის ესთეტიკურ-ლიტერატურული მრწამსის მიხედვით, შეუძლებელი იყო მეფის ქება და მწყემსის თავგადასავალი ერთი და იგივე ენით დაწერილიყო. ჟანრების ამ არათანასწორუფლებიანობიდან გამომდინარე, ანტონი ხელოვნური, გამოგონილი „მაღალი შტილის" შექმნამდე მიდის და, როგორც თავისი ესთეტიკურ-პოლიტიკური თვალთახედვის სათავეს, ენობრივ ნიმუშსაც პეტრიწისა და მეხოტბეების მემკვიდრეობაში ხედავს.

პატივცემული მოკამათე რას არ წერს, ვისა ამონაწერები არ მოჰყავს, ამ მთავარს კი, რასაც ნაირსტილოვან ენაზე მთელი ჩვენი თვალსაზრისი ემყარება, დუმილით უვლის გვერდს, ისე, თითქოს, ჩვენ პეტრიწსაც არ ვიცნობდეთ. ესეც ერთი დადასტურებაა, რა ხასიათის პოლემიკასთან გვაქვს საქმე.

ერთგული იმ რწმენისა, რომ ყველგან ყველაფერი ერთნაირი უნდა იყოს, მაშასადამე, ანტონი ზუსტად უნდა მიჰყვებოდეს ბუალოსა და ლომონოსოვს, დიდაქტიკურ საუბარს გვიმართავს იმის თაობაზე, რომ კლასიციზმისათვის დამახასიათებელია არა ბუნდოვანი, მძიმე და ხელოვნური, არამედ ნათელი და სადა ენა. როგორც ვხედავთ, „თვითმყოფადობაზე" ლაპარაკი მისთვის ცარიელი ლაპარაკია და, როცა საქმე ითხოვს, „თვითმყოფობა" აღარც კი აგონდება.

გამოკვლევაში სპეციალური ნარკვევი მივუძღვენით მ. ლომონოსოვის ნაირსტილოვანი ენის თეორიას და დავასკვენით, რომ, რუსული ენობრივი სინამდვილის შესაბამისად, მ. ლომონოსოვი საკუთარი გზით წავიდა. ქართული ენობრივი სინამდვილე ანტონს განსხვავებული არჩევანის წინაშე აყენებდა. როგორც კლასიცისტი, ის ერთგული დარჩა იდეურ-ესთეტიკურად უფრო არსებითი „ჟანრების მიმაგრების" პრინციპისა, რომელიც ჟანრობრივი რეგლამენტაციიდან გამომდინარეობს, ხოლო „ენის სიმძიმე" პირობითად ჩათვალა და ნიმუშად პეტრიწი აიღო.

ეს მოსაზრება ჩვენ გვეკუთვნის. ნაცვლად იმისა, რომ ოპონენტი ამ მოსაზრებას შეეხოს, მოჰყავს ამონაწერები ბუალოს „პოეტური ხელოვნებიდან" და ადრე გამოქვეყნებული ენათმეცნიერული ნაშრომებიდან. მაგრამ, საკითხავია, ბუალოს საიდან უნდა სცოდნოდა რუსული და ქართული ენობრივი სინამდვილე, ხოლო ქართველი ენათმეცნიერები როგორ გაითვალისწინებდნენ ჩვენს მიერ მოგვიანებით გამოთქმულ აზრს. თვით ოპენენტს კი სიტყვის დაძვრაც არ სურს ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე.

ესეც ერთი დადასტურებაა, რა დანიშნულების პოლემიკასთან გვაქვს საქმე.

კლასიცისტებთან იგულისხმება არა იმდენად მეტყველების უბრალოება, რამდენადაც ჩანაფიქრის, გამომსახველობით საშუალებათა სიცხადე, ბაროკული „ჩახვეულობის", აზრის გაბუნდოვნების საპირისპიროდ.

„სამი სტილის" საკითხში ჩვენ პრინციპული როლი მივანიჭეთ პოეტი ქალის მანანას შემოქმედებასა და დავით ბატონიშვილის ესთეტიკურ შეხედულებებს. ოპონენტს ყოველივე ამისთვისაც წინდახედულად აუვლია გვერდი.

გამოკვლევაში მდიდარი მასალა მივაწოდეთ მკითხველს იმის დასამტკიცებლად, რომ XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისის ქართული მწერლობა მხურვალედ დასწაფებია რუსულ-ევროპულ კლასიციზმს და თითქმის მთლიანად ამოუწურავს მისი საგანძური. ზოგიერთი ნაწარმოები რუსულ ენაზე გამოსვლისთანავე ითარგმნებოდა (სუმაროკოვის „სინავ და ტრუვორი" 1751 წ. გადმოითარგმნა). კლასიცისტური ლიტერატურისადმი ასეთი ინტერესი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა და მემკვიდრეობად გადაეცა XIX საუკუნეს, დროის სულიერი მოთხოვნითა და გემოვნებით შეიძლება აიხსნას: თარგმანები შეესატყვისებოდა და გამოხატავდა მთარგმნელთა ლიტერატურულ მრწამსს. მთარგმნელები (გ. ავალიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი, ი. ორბელიანი, ი. გარსევანიშვილი და სხვ) ნათარგმნ ნაწარმოებებს საქართველოს პირობებს უფარდებდნენ, თვითონაც წერდნენ ორიგინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ კლასიცისტურ თხზულებებს. შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ მხატვრული თარგმანი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილებოდა, მხატვრული სტილის განვითარების ტენდენციებს, ეპოქის სულს, გემოვნებას შეესაბამებოდა. კლასიცისტური სტილის ბატონობის დროს კლასიცისტური თარგმანი სჭარბობდა, სენტიმენტალიზმის დროს — სენტიმენტალური, მერმე — რომანტიკული და რეალისტური.

ოცდაათიოდე წლის წინათ დ. გამეზარდაშვილი არ უარყოფდა, რომ „ქართული თეატრის სცენაზე რუსი და ფრანგი კლასიცისტი მწერლების შემოქმედება იკიდებს ფეხს“. ის გარემოება, რომ „იგი („კლასიციზმი“. ა. კ.) თავისებურადაა შელამაზებული და შევსებული ქართული სინამდვილით“,[12] სწორედ ამ სტილთან მიმართებაში ჩვენი მწერლობის თვითმყოფობაზე მეტყველებს.

რა არგუმენტები მოუპოვებია პატივცემულ ოპონენტს ამ მასალებისა და საბუთების უარსაყოფად? არავითარი. ის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებს, რომ: „არ შეიძლება რაიმე სერიოზული მნიშვნელობა მიეცეს იმას, ვის თარგმნის მწერალი“; „თარგმანს“ „სრულიად შემთხვევითი, ზოგჯერ მხოლოდ საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს“. „დაიწყეს იმ მწერალთა და ნაწარმოებთა გაცნობა და თარგმნა, რომლებსაც ავტორიტეტი და პოპულარობა ჰქონდათ მოპოვებული“.

ეს ნამდვილი „გაღატრიალებაა“ თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში. თურმე ქართველ მწერლებს არ სცოდნიათ, რა უნდა ეთარგმნათ და რას თარგმნიდნენ. დავუშვათ, დ. გამეზარდაშვილი არ იზიარებს საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ თარგმანი მწერლის ლიტერატურული პოზიციაა, და აქაც გამონაკლისებით მსჯელობს. ჭეშმარიტების მაძიებელის წინაშე ამ შემთხვევაშიც ხომ უნდა წამოჭრილიყო კითხვა: თუ თარგმანის არჩევანი, მართლაც, იმის მიხედვით წყდებოდა, რა იყო იმ ეპოქაში „ავტორიტეტული და პოპულარული“, მაშინ რატომ თარგმნიდნენ სუმაროკოვს, დერჟავინს, რასინს, კორნელის და არა შექსპირს, ჰიუგოს, ბალზაკს, შილერს, გოგოლს და ა. შ. რატომ ითარგმნა კარამზინის „უბედური ლიზა“ სამჯერ? რატომ ეკავა კარამზინს ქართულ თარგმანში პირველი ადგილი იმ დროს, როცა კარამზინი რუსეთში მივიწყებული იყო? რატომ ითარგმნებოდა ეჟენი სუ, კოცებუ, მარმონტელი და არა ბაირონი, სტენდალი, ბერანჟე, ჰაინე? რატომ წყდება შემდეგ მათი თარგმნა და ითარგმნება სერვანტესი, პუშკინი, ლერმონტოვი, ჰაინე, შილერი, გოგოლი, შჩედრინი, ნეკრასოვი და ა. შ.?

ოპონენტის წინაშე ასეთი საკითხები არ დგას, არც კონკრეტული ფაქტები ჩანს, ჩვენი მასალითებიც განზე რჩება და ესეც გვიჩვენებს, რა სახის პოლემიკა აურჩევია.

რეცენზენტებმაც აღნიშნეს, არც პროფ. დ. გამეზარდაშვილი უარყოფს, რომ ჩვენს გამოკვლევაში მოხმობილი ახალი მასალები განხილულია დასახული ამოცანის შესაბამისად. პატივცემულ ოპენენტს მასალის ძიება, შერჩევა, გარკვეული მიზნის შესაბამისად განლაგება არ დასჭირვებია; არც არქივები, არც ძველი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, არც კომპოზიციასა და მასალის გააზრებაზე ზრუნვა. ყველაფერი მზამზარეულადაა გასაკრიტიკებელ ნაშრომში. კვალში ჩაუდგება ავტორს, ამოსწერს გრძელ-გრძელ ციტატებს, დაურთავს რეპლიკებს, დატუქსავს და „კრიტიკა“ მზადაა.

ჩვენ ვწერთ: „პოემის პოეტურ ჰიპერბოლებს, რა თქმა უნდა, აღმოსავლური ლიტერატურის ზღაპრულობასა და უნიადაგო ფანტასტიკურობასთან საერთო არაფერი აქვს, — ისინი კონკრეტული ფაქტისა და ისტორიული პიროვნების ჰიმნს წარმოადგენს, რომლის ტიტანური ვნება და ტანჯვა, განსაცდელი და გმირობა სრულიად ნათელი იდეის სამსახურით არის გამართლებული“.

ოპონენტის კომენტარი: „ასპინძისათვის“ შესახებ გამოთქმული ავტორის შეხედულებებს შორის აშკარად გამოსჭვივის წინააღმდეგობა“.

ჩვენი ციტატა: „ბესიკს არ აინტერესებს ისტორიული ფაქტის დეტალები, გმირთა სულიერი განწყობილება, შინაგანი სამყაროს სიმთარხევა, გარეგნული მხარეების აღწერითა და განყენებული იდეის ფიქსირებით კმაყოფილდება“.

ოპონენტის კომენტარი: „ასპინძისათვის“ ასეთი დახასიათება სინამდვილეს არ შეეფერება.“

ასეა თავიდან ბოლომდე: ამოსწერს მოპაექრის მტკიცებას და არ დაეთანხმება. ასე იწერება პოლემიკური წერილები, მთელი ტომები.

ამონაწერი: ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

მეცნიერული ანალიზი: პოეტს „აშინებს დიდ ზღვაში შესვლა“. „(პოეტის ღაღადისი არ შეიწყნარა მდინარემ“ (?)[13]

ამონაწერი: იყავ მშვიდობით შენს მყუდრო
ძილში!

შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა:;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან —
ჩრდილში!

ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

მეცნიერულ-ესთეტიკური ანალიზი? „პატრიოტი პოეტი იმაზე ოცნებობს, რომ მის საფლავთან მყოფ საყვარელ ქართველს საფუძველი ჰქონდეს გულწრფელობითა და სიმართლით ჩასძახოს ეს“.

ამონაწერი: მას დედის ძუძუ ტკბილი,
უხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

მეცნიერულ-ესთეტიკური ანალიზი: „პატრიოტი დედა შვილს შთააგონებს, რომ: „უკვდავი არის შვილი — მამულისათვის მკვდარი“, „რომ ვაჟკაცი გმირულად უნდა შეეწიროს სამშობლოსათვის ბრძოლას და „თავისი სიკვდილით მისი სიკვდილი დათრგუნოს“.

ამონაწერი: მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

მეცნიერულ-მხატვრული ანალიზი: „ქართველ სტუდენტების სიმღერაში“ თვით ი. ჭავჭავაძის გრძნობა და მისწრაფებაა ჩაქსოვილი. პოეტი უკვე გამზადებულად გრძნობს თავს იმისათვის, რომ სამშობლოს გამოადგეს, ულონოსა და დავრდომილს დაეხმაროს“.

ამონაწერი: განაღა ვაი! მე ღვთისა ქმნილი
ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული!
ვკვირობ, რად მომცა გონება, ნება,
თუ რომ სიკვდილით სრულ
დასრულდება!

მეცნიერულ-მხატვრული კომენტარი: „პოეტი ...გაკვირვებულია მხოლოდ იმით, თუ რატომღა იბადება ადამიანი, როცა მისი სიკვდილი აუცილებელია“?[14]

ამონაწერი: „სარწმუნო ბრძანდებოდეთ, სოლომონ ისაკიჩ... მე ვალს არ ვიღებ, თუ ავიღებ, როგორმე ოცდაათ თუმანს ხუთას თუმნამდის არ ვაქცევ“.

მეცნიერულ-ლიტერატურული განხილვა: „მწერალი მაღალ წოდებას მოაგონებს, რომ ვალების უანგარიშოდ აღება და მისი დაგვიანებით გადახდა იწვევს მათ დაღუპვას.[15]

და ასე, ასობით გვერდზე, ყველა ტომში, თავიდან ბოლომდე! მოიყვანს ამონაწერს თხზულებიდან, იქვე იმ ამონაწერის შინაარსს თავისი სიტყვებით (ცხადია, უფრო უხეიროდ) გადმოგვცემს და ტომი მზადაა!

ბუალოს სტრიქონები:
სტილი მეტად ტლანქი და მუდამ
ერთფეროვანი,
უქმად ბრწყინავს ჩვენს თვალში.
იგი მხოლოდ გვაგონებს...

ანალიზი: „ბუალო მკაცრად ილაშქრებს ტლანქი და ერთფეროვანი პოეტური სტილის წინააღმდეგ..“

ბუალოს სტრიქონები:
რიტმისათვის კი გქონდეთ ყური მუდამ
მახვილი“.

ანალიზი: „ბუალო მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რიტმს“.

ბუალო: „ჩემი ჭკუა-გონება არ იკარებს ბარბარიზმს“.

ანალიზი: „ბუალოს შეხედულებით, სამწერლო ენა უნდა იყოს თავისუფალი ბარბარიზმისაგან“.

კარგი იყო, პატივცემულ ოპონენტს თვითონაც ერთი რამ გამოევლინებინა და განეხილა. ჩვენ ჩვენს მიერ შერჩეული მასალის ანალიზით ნათელვყავით, რომ ანტონი, ბესიკი კლასიცისტები არიან, ვისაც არ სჯერა, მან თავისი მაგალითები უნდა მოიყვანოს და გაარჩიოს. ნაცვლად ამისა, პროფ. დ. გამეზარდაშვილი აცხადებს, რომ შეუძლებელია ისინი კლასიცისტები ყოფილიყვნენ, რადგან ბესიკი ქართლიდან გააძევეს, ანტონი კათალიკოსი იყო და ა. შ.

ოპონენტი გამოთიშულად ლაპარაკობს ჩვენს მასალებსა და დასკვნებზე, რომელთა შორის განუყოფელი კავშირია. თუ რომელიმე გვერდზე თვალი მოჰკრა „რიტორიულობაზე“ მსჯელობას, სხვა გვერდების გაუთვალისწინებლად ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ „რიტორიულობით“ ვამტკიცებთ წამოყენებულ დებულებებს. ნუთუ, აუცილებელი არაა ფაქტებს შორის კავშირ-ურთიერთობის გარკვევა, საგნის ისტორია?! საწინააღმდეგო ფაქტების დაძებნა, შეპირისპირება და დამოუკიდებელი ანალიზი? სამწუხაროდ, ეს ხარვეზები ანაზღაურებულია მოპაექრისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებით, აზრის გაუკუღმართებით; რამდენჯერმეა განმეორებული, თითქოს მე „კლასიციზმს ვაკუთვნებდე თვით ნ. ბარათაშვილს“.

ოპონენტი არ იზიარებს ალ. ჭავჭავაძის ლექსის „შენის გონების სხივნის“ ჩვენეულ შეფასებას და დამოუკიდებელი განხილვის ნაცვლად, ემოციური მსჯელობით კმაყოფილდება: „ძნელა დამეთანხმება (?), რომ პოეტურად (?) ლექსი საკმაოდ (?) ლაღია (?) და მსოფლგაგების თვალსაზრისით (?) რომანტიკული აზრის (?) მღაღადებელი (?)“.

ორი სიტყვით მაინც განვმარტოთ, რას ნიშნავს ეს „რომანტიკული აზრის მღაღადებლობა!“ ნუთუ, ასეთი პარაფრაზები იგულისხმება „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე დონეში“, რომელსაც ხშირად შეგვახსენებს ხოლმე ჩვენი ოპონენტი! რა არგუმენტის ძალა შეიძლება მიენიჭოს პატივცემული პროფესორის ასეთ რეპლიკებს: „ეს ლიტერატურათმცოდნის მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევს!“

ოპონენტი დარწმუნებულია, რომ სტილის ანალიზით მეცნიერები რაღაც დანაშაულს სჩადიან და საჭიროა სიფხიზლე; „ევოლუციური თეორიის“ ადეპტობასაც გვწამებს. ეჭვსაც გამოთქვამს: „ალ. კალანდაძეს არ სურს ჭეშმარიტი მეთოდოლოგიური პრინციპების მომარჯვება“; „ამ ჭეშმარიტებას ალ. კალანდაძე შემთხვევით არ ივიწყებს“. ა. კალანდაძე „უაღრესად ორიგინალური თეორიების ავტორად გაზდომას ფიქრობს“ (აღარ აგონდება, რომ თვითონ „ქართული ბაროკოს“ ადეპტია).

ჩვენი მსჯელობა: „არსებითია არა ის, თუ რას ამტკიცებს პოეტი, არამედ — როგორ და რა საშუალებებით გამოხატავს თავის აზრს“, რომელშიც სტილის, მხატვრულობის ანალიზზე ყურა-

დლების გამახვილებას ვგულისხმობთ, ოპონენტს საბაბს აძლევს მომაკვდინებელი ცოდვა დაგვწამოს, თითქოს, უარვყოფდეთ ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ კავშირს. არაერთგან გვაბრალებს, თითქოს, უარვყოფდეთ ბესიკის ან სხვა რომელიმე მწერლის ეროვნულ ტრადიციებს; თითქოს, ალ. ჭავჭავაძეს ტიპიურ კლასიცისტად ვთვლიდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გამოკვლევაში სრულიად ცხადად წერია: „კლასიცისტურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება სრულებითაც არ ნიშნავს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების საყოველთაოდ ცნობილი სიახლეების, მძლავრი რომანტიკული ნაკადის უარყოფას, რომელსაც, როგორც ყოველ სიახლეს, ცხადია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება“ და ა. შ.

თითქოს, „პეროლტი“ „დიდ კლასიცისტად“ გვყავდეს გამოცხადებული (გვიხსნის ენციკლოპედიიდან ამონაწერით, ვინ იყო „შარლ პერრო“, მაშინ, როცა „პეროლტი“ ჩვენთან მხოლოდ ციტატაში მოიხსენიება და საჭირო რომ ყოფილიყო, ჩვენც ვიშოვიდით ენციკლოპედიას!); ამახინჯებს ჩვენს ტექსტს: „ბუნების სურათები და მოვლენები ბესიკის შემოქმედებაში უშუალო პოეტურ შემოქმედებას კი არ ემყარება“ და ა. შ. მოგვაწერს მის მიერვე შეთხზულ აზრს: ვითომ, ვამტკიცებდეთ, რომ კლასიციზმი 30-40-იან წლებშიც ჩვენი მწერლობის ძირითადი მიმართულება იყო. რაკიღა ვაანალიზებთ და ვაფასებთ თითოეული მწერლის, როგორც ღირსებებს, ისე ნაკლს, ჩვენი ოპონენტის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ „უკან დასახევ ხიდებს ვამზადებთ“.

ასეთი „პოლემიკური“ სტილითა და ხერხებით ლამობს ჩვენი ოპონენტი აანაზღაუროს საკუთარი მასალისა და დამოუკიდებელი ანალიზის სრული უქონლობა. ამ ხერხებს მიჰყავს მოპაექრისადმი უპატივცემულობამდე; ჩვენი შეხედულებები, მისი სიტყვით, „სუბიექტური და უსუსურია“. „მოწაფურია“.

განა მარტო ჩვენ, ეს ტონი, საერთოდ ადამიანისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც, შეუწყნარებელ ხასიათს იღებს, როცა ოპონენტი წარსულის ჩუმ, უხმაურო, ამაგდარ მოღვაწეებს ეხება. მათი აბუჩად აგდება აქ მეცნიერული არგუმენტაციის რანგშია აყვანილი: „ბესიკისათვის.... უალრესად დამამცირებელია.. დავით რექტორის, ამბროსი ნეკრესელისა და ძმათა მისთა თანამოკალმეთ გამოცხადება“; „არ შეიძლება არ შეგვებრალოთ ის ლამაზი მანდილოსნები და ვაჟკაცი ქართველები, რომელთაც თავიანთი ჭკუით, ეს პოეტები ხოტბას ასხამდნენ“; „მწერლობას შემთხვევით მიტმასნილი მწიგნობრები“; სურდათ „დაენაგვიანებინათ“ ჩვენი მწერლობა და ა. შ. ჩვენი ოპონენტის ემოციებს რომ ავყვეთ, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს ბესიკიდან ალ. ჭავჭავაძემდე ბევრი არაფერი დარჩება. ჩვენ ხელი მოვკიდეთ ლიტერატურული პროცესის მთლიან ანალიზს და დავინახეთ, რომ პროცესს მხოლოდ გენიოსები არ ქმნიან.

კიდევ რა გზით განუზრახავს პატივცემულ პროფესორს გზა აუაროს საკუთარ კვლევა-ძიებას? რაც ორი სიტყვით შეიძლება ითქვას, ათ გვერდზეა გადაჭიმული; ყველა უცხო სიტყვას ფრჩხილებში ლათინურ-ფრანგული განმარტება მოსდევს (ვითომ, ხომ უყურებთ!); ყველა მოხსენიებულ უცხოელს ენციკლოპედიიდან ამოწერილი ბიოგრაფიული ცნობა ახლავს (როდის დაიბადა რიშელიე, დეკარტე, პერრო, შაპლენი და ა. შ. რა მოიმოქმედა „ლუი მეცამეტის პირველმა მინისტრმა რიშელიემ“ და ა .შ.). ციტატებს ენაცვლება ენაწყლიანი მჭევრმეტყველება: „თეიმურაზის პოეზია გახდა ის აუზი (?), რომლიდანაც უხვად (?) გამოდიოდა (?) ის არხები (?), რომლებიც რწყავდნენ (?) მომდევნო საუკუნეთა ლიტერატურულ ველ-მინდვრებს“ (როგორ მოგწონთ მკითხველის მოთმინებისათვის ეს სრული ანგარიშგაუწევლობა?).

პროფ. დ. გამეზარდაშვილი დარწმუნებულია, რომ მხატვრული ნაწარმოები ყველა მკითხველს ერთნაირად უნდა ესმოდეს, არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა არსებობდეს. თუ ვინმე საკუთარ აზრს გამოთქვამს, მოკვეთილი უნდა იქნეს. არ მოსწონებია, მაგალითად, ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება „კალმასობაზე“. დამოუკიდებელი ანალიზისთვის დრო დანანებია და „მეცნიერულ შეხედულებებს “ასეთი არგუმენტებით „ამტკიცებს“: „ეს არის დიდი მოღვაწის ნააზრევისა და მკითხველისადმი უპატივცემულობა“; „სუბიექტური შეხედულებების მოღვაწისადმი თავმოხვევის ამაღელვებელი მაგალითი“ და ა. შ.

რას აუღელვებია პროფ. დ. გამეზარდაშვილი? რატომ მოუკიდნია ხელი იმ საქმისათვის, რომელსაც მუდამ გულმოდგინედ და წინდახედულად უვლიდა გვერდს? იგი სამაგალითო გულწრფელობით გვიზიარებს ამის მიზეზებს: „სრულიად ნაძალადევია, — გვიმტკიცებს ერთგან, — ვ. ორბელიანის მონათვლა კლასიცისტად. თავის დროზე (?) აღნიშნულ ნაწარმოებს ჩ ვ ე ნ შ ე ვ ე ხ ე თ, როგორც რომანტიზმის მატარებელ (?) თხზულებას“. იქვე, სქოლიოში, მიუთითებს საკუთარ ნაშრომს: „ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“, 1 9 4 8 წ“. ცოტა ქვემოთ: ალ. ჭავჭავაძის კლასიციზმთან მიმართების საკითხი არც თუ ზერელედ (ხედავთ?) უკვე შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში“. და, სქოლიოში ისევ იმ თავის ნაშრომს მიუთითებს (თითქოს, მანამდე და შემდეგაც, სხვებს ამ საკითხებზე არაფერი დაეწეროს!)

„ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ (?) ოცდაათი წლის წინათ ჩ ვ ე ნ ვ წ ე რ დ ი თ“. საკუთარი ციტატა და ისევ საკუთარი ნაშრომის მითითება; „ჩვენ დიდი ხნის წინათაც მო-

ვუთითეთ, რომ მართლის თქმის პ რ ი ნ ც ი პ ი“... (ვითომ, მანამდე არავის მიუთითებია!) კიდევ არაერთგან გვესმის სიამაყისა და კმაყოფილების გამომხატველი: „ჩვენ დავადგინეთ“, „ჩვენ მივუთითეთ“.

„ჩვენ დავადგინეთ“, და მორჩა! გადაწყდა! კვლევა-ძიებას აწ და მარადის წერტილი დაესვა!

პროფ. დ. გამეზარდაშვილს ჩვენს გამოკვლევაში დასმულ პრობლემებზე მართლაც მოეპოვება იმ ხერხებით და სტილით დაწერილი წიგნები, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ; მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის პრეტენზიას, რომ ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეობამ იმის იქით ფეხი არ გადადგას. პირიქით, ვინც აღნიშნულ წიგნებს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ წინსვლა აუცილებელია.

კვლევისა და მსჯელობის იმ მეთოდით, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ, დ. გამეზარდაშვილმა სცადა დაემტკიცებინა, რომ ქართულ მწერლობაში ორმოცდაათიან წლებშივე გაიმარჯვა კრიტიკულმა რეალიზმმა! ამ საკითხებს სხვა დროს განვიხილავთ, აქ საკმარისად ჩავთვლით იმის აღნიშვნას, რომ ავტორს გ. ერისთავის „ცისკრის“ სერიოზული შეფასებაც კი არ მოუცია, პუბლიცისტიკაზე, კრიტიკაზე, პროზაზე, პოეზიაზე სიტყვა არ დაუძრავს. რაც კიდევ უფრო საინტერესოა, მან პირდაპირ უარყო 60-იანი წლების პოლემიკის ლიტერატურული ხასიათი და სამოციანელთა მოპირისპირე ძალად „დეკადენტური რომანტიზმი“ გამოაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ დ. გამეზარდაშვილმა რეალიზმის ახსნაც სცადა და რომანტიზმისაც, ბესიკიც მოიხსენია, ანტონ კათალიკოსიც, ჩახრუხაძეც კლასიციზმიც, სენტიმენტალიზმიც, მას ფიქრად არ მოსვლია, ცალი თვალით მაინც გადაეხედა იმ ეპოქის ლიტერატურაშიც, გაერკვია პოლემიკის მიზეზები, სათავეები, აეხსნა, ვინ იყო ანტონი, ბესიკი, რა იწვევდა დავას. ამის სახელდახელო სურვილი მხოლოდ ახლა, 80 წლის შემდეგ, აღუძრა ჩვენმა გამოკვლევამ, ისიც იმისთვის რომ აპრიორულად უარყოს ყველაფერი, რაც მის ძველ დასკვნებს ეწინააღმდეგება. კითხვაც არ დაუსვამს, რატომ ფრთნაირი არგუმენტაციით უარყვეს სამოციანელებმა ანტონი, ბესიკი, ჩახრუხაძე. უთუოდ, იცოდნენ რაღაც ჩვენზე მეტი. იქნებ, მაშინ ძნელ, შრომატევად სამუშაოდ ეჩვენა ჩვენს ოპონენტს ეს საქმე, ახლა კი, ჩვენი გამოკვლევის გამოსვლამ იმედი ჩაუსახა, რომ პირადად მას არავითარი კვლევა და არქივის ქექვა არ დასჭირდებოდა.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ დ. გამეზარდაშვილმა ეს სამუშაო თავის დროზე არ შეასრულა, მაშინ როგორ გაამუქა ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების პროცესი? მით უფრო, თუ „დეკადენტური რომანტიზმის“ შინაარსიც არ განუსაზღვრავთ რით ნათელყო, რომ რომანტიკოსები („დეკადენტური რომანტიზმი“) „სამი შტილის“ თეორიას“ იცავდნენ? ასეთი რომანტიზმი ხომ ქვეყნად არ არსებობს? („ამ მოძრაობას სათავეში ედგა ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც მტკიცედ იცავდა სამი სტილის თეორიას“). 16 სხვა რომ არაფერი, „ცისკარი“ ხომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისის ლიტერატურული ცხოვრების სარკეცაა. რომანტიზმისა და რეალიზმის მხატვრული სტილი მაინც შეგვეპირისპირებია და ამით გვეჩვენებინა, რ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ საკითხებზე კამათობდნენ „შვილები“ და „მამები“, რისთვის ახსენებდნენ მოკამათენი წამდაუწუმ „კლასიციზმს“, „სენტიმენტალიზმს“, „ხერასკოვს, ტრედიაკოვსკის, ხოლო რომანტიზმის უარყოფითად ხსენების ნიშანწყალიც არსადაა? ასეთ წინაზრახულ აზრებს მიჰყავს ოპონენტი იმის მტკიცებამდე, რომ საქართველოში ბაროკოს პირობები არსებობდა, კლასიციზმის პირობები არ არსებობდა; სენტიმენტალიზმის პირობები არ არსებობდა, რომანტიზმის პირობები არსებობდა და ა. შ.

ჩვენს ნაშრომში ეპიგონების ხსენებასაც ცოდვად გვითვლის, თვითონ „რომანტიზმის ეპიგონებს“ თერგდალეულებთან ბრძოლის რთული როლი დააკისრა, თან, არც უფიქრია განემარტა, რა იყო ეს „დეკადენტური რომანტიზმი“. ამ სამუშაოთა შეუსრულებლობის ნაყოფი ის გახლავთ, რომ გაღატაკდა და გამარტივდა 60-იანი წლების თაობათა ბრძოლის პრობლემა, გამოეცალა მას ლიტერატურულ-ესთეტიკური შინაარსი. დაყვანილი იქნა კინკლაობამდე, რითაც დაკნინდა ილიას, აკაკის, სხვა სამოციანელთა მაღალ ლიტერატურული, პროფესიული ნაწერების როლი.

იმის მტკიცება, რომ გ. ერისთავი, გოგოლის მსგავსად, დიდი რეალისტი იყო, რომ რეალიზმმა 50-იან წლებში გაიმარჯვა, გ. ერისთავმა „საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას“ (ნარკვევები“, I, გვ. 285), რომ 60-იანი წლების პოლემიკა ლიტერატურულ ხასიათს არ ატარებდა („ცისკრის“ თანამშრომლები მეტ დაინტერესებას იჩენდნენ ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და „სამი სტილის თეორიის“ საკითხებისადმი, ვინემ, წმინდა ლიტერატურული მოვლენებისადმი“ („ნარკვევები“, II, გვ. 192), მიზნად ისახავს ი. ჭავჭავაძის, თერგდალეულთა ისტორიული დამსახურების დისკრედიტაციას, ამასვე ისახავს მიზნად მტკიცება, თითქოს ილია და მისი თანამოაზრენი ქარის წისქვილებს ებრძოდნენ (კლასიციზმს, სენტიმენტალიზმს) და ვერ ხედავდნენ მთავარ მოწინააღმდეგეს („დეკადენტურ რომანტიზმს“). (იქვე, გვ 150-151).

ანკი, რა უნდა ვთქვათ, როცა, როგორც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაწერიდან ჩანს, დ. გამეზარდაშვილს „სამი სტილის თეორია“ ლიტერატურულ საკითხად არ მიაჩნია!

ამით სრულიად ნათელი ხდება, რატომ აარიდა ჩვენმა ოპონენტმა თავი ჩვენი გამოკვლევის ძირითად ნაწილებზე მსჯელობას, სადაც ილიასა და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა განზიდული და, არსებითად, მხარი დაუჭირა „მამებს“, რომლებიც თერგდალეულებს ბრალს სდებდნენ, უცხოეთს ბაძავთ, ჩვენში ესენი არასოდეს ყოფილაო. გამოვიდა, რომ „შვილებმა“ ძალად მოახვიეს თავს ეს პოლემიკა.

ჩვენს გამოკვლევაში ვამტკიცებთ, რომ 60-იანი წლების მწვავე პოლემიკა, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა შემზადებულია ხანგრძლივი წინააღმდეგობებით, ლიტერატურულ მიმდინარეობათა შორის ბრძოლით, მაგრამ, რაკ 50-იან წლებამდე ქართული პრესა არსებით გავლენას ვერ ახდენდა ლიტერატურულ ცხოვრებაზე, მოძველებულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს თანაარსებობის საშუალება ეძლეოდათ, ხოლო როცა შეიქმნა ისეთი პერიოდული ორგანო, რომელსაც ლიტერატურაზე გავლენის მოხდენა შეეძლო, მის ფურცლებზე არა მარტო სენტიმენტალიზმმა და რომანტიზმმა ჰპოვა ასპარეზი, არამედ კლასიციზმმაც შემოაღწია (ახალი ნაწარმოებების გვერდით, ძველიც იბეჭდებოდა).

მხატვრული და კრიტიკული ნაწარმოებების ანალიზით ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ახალთაობის („შვილების“) ბრძოლის შინაარსს შეადგენდა მოძველებულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა (კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი) დაძლევა, კრიტიკული რეალიზმის დასამკვიდრებლად. 60-იანი წლების პოლემიკამ მკაფიოდ გამოავლინა XVIII-XIX საუკუნეების ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმოშობა-განვითარების, ბრძოლისა და მონაცვლეობის კანონზომიერება და თავისებურებანი. დაწვრილებით განვიხილავთ და ვაფასებთ ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ა. ფურცელაძის, კირ. ლორთქიფანიძის, ს. აბაშიძის, პ. უმიკაშვილის, მეორე მხრივ — ბ. ჯორჯაძის, ალ. ორბელიანის, გ. ბარათაშვილის, ექვ. წერეთლის, ს. მესხიშვილის, რევაზ ერისთავის და სხვათა კრიტიკულ-პოლემიკურ წერილებს.

ი. ჭავჭავაძის სტატიით დაიწყო „ცისკარში“ კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ თეორიულ-ლიტერატურული ბრძოლა, რომელშიც მას მხარში ამოუდგნენ რეალისტი მწერლები და კრიტიკოსები.

რა პასუხს იძლევა დ. გამეზარდაშვილი ჩვენი წიგნის ამ ძირითად დებულებებზე, იმ მთავარ მიზანზე, რომლისთვისაც ეს წიგნი დაიწერა პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე?

არაფერს!

ერთი სიტყვითაც არ ეხება მას.

ჩვენი კვლევის მეორე საყრდენი დებულება ის არის, რომ ოციანი წლების შეთქმულება წარმოიშვა და მომწიფდა ერეკლეს პოლიტიკის მიმდევართა წრეებში, რამაც გამოიწვია მწერალთა ახალი პლეადის გამოსვლა, ხოლო შეთქმულების დამარცხებამ (1832 წ.), იდეოლოგიური საფუძვლის კრახმა — ნიადაგი გამოაცალა კლასიციზმს და ხელი შეუწყო რომანტიზმის გაბატონებას. რომანტიკოსებმა ანდერძი აუგეს კლასიციზმის გაქვავებულ კანონებს, დოგმატიკურ ნორმატივებს, ესთეტიკასა და პოეტიკას. ამ ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რა პრინციპული როლი ითამაშა ანტიკლასიცისტურმა სულისკვეთებამ ქართული რომანტიზმის განვითარებაში.

რა პასუხს იძლევა ოპონენტი ამ საყრდენ დებულებაზე?

არაფერს!

ყველაზე არსებითი საკითხი, რომელსაც დ. გამეზარდაშვილის ნაწერი აღძრავს, ეს არის კითხვა: ბოლოს და ბოლოს, საჭიროა თუ არა ქართული ლიტერატურის ისტორიაში კვლევა-ძიება, თუ ყველაფერი დადგენილია და მომავალ თაობებს ისღა დარჩენიათ, გაიმეორონ და მორიდებული ახსნა-განმარტებები დაურთონ „მასწავლებელთა“ დოგმებს? პატივცემული ოპონენტი ისე ხშირად და ისეთი ტონით შეგვახსენებს თავის „მონაპოვრებს“, რომ უდავოა, ამ დარგში მეცნიერულ მოღვაწეობას დასრულებულად თვლის.

აქედან მომდინარეობს, დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა-ძიების ნაცვლად, რომელიც ხელს შეუწყობდა საკითხების გაშუქებას, მოვლენათა ყოველმხრივ გააზრებას, მხოლოდ და მხოლოდ იმის ცდა, თუ რა შეიძლება ითქვას მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებულ დებულებათა, ფაქტთა და ანალიზთა საწინააღმდეგოდ. არსად იმის გათვალისწინება, უბრალო დაშვებაც კი, რა შეიძლება ითქვას რომელიმე დებულების სასარგებლოდ. ამ მეთოდით არასოდეს არაფერი დამტკიცებულა და არავითარი ჭეშმარიტება არ გამორკვეულა, რადგან ისეთი არაფერი არსებობს, რის საწინააღმდეგოდაც ვინმეს რისამე მოგონება არ შეეძლოს.

დ. გამეზარდაშვილის ნაწერს წითელ ზოლივით გასდევს წინაზრახვა, რომ კლასიციზმი უბედურებაა და, თუ ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმის კვალი აღმოჩნდება, ეს საშინლად შელახავს მის ღირსებასა და „თვითმყოფობას“. კლასიციზმი იყო ქართული მწერლობისათვის „უცხო და შეუფერებელი გზა“; თუ მწერლობა კლასიციზმს შეითვისებდა, ეს იქნებოდა ტრადიციის, „თვითმყოფობის“, ხალხის „ინტერესებისა და საოცნებო იდეალების“ ღალატი (გვ. გვ. 121, 122, 123, და ა. შ.). ეს წინაზრახვა ისეთი ხარისხისაა, რომ არგუმენტებს პათეტიკა

სცვლის: „რა საერთო ჰქონდა კოლონიური ქვეყნის ხალხს და მის მწერლობას აბსოლუტური მონარქიზმის სტილთან და მის კულტურასთან?“ „კ. აბაშიძემ უფლება არ მისცა თავის თავს, ქართულ კლასიციზმზე და ქართულ სენტიმენტალიზმზე ემსჯელა“ (ესეც საბუთია!).

ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმზე მსჯელობა ჩვენი გამოგონებული არაა. ამ პრობლემას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

დ. გამეზარდაშვილი დიდ მნიშვნელობას არც ინგლისურ, არც გერმანულ, არც რუსულ კლასიციზმს ანიჭებს, მაგრამ მათზე ზღვა ლიტერატურა არსებობს, კვლევა-ძიება ინტენსიურად გრძელდება და გაგრძელდება. კვლევა-ძიების გაძლიერებას ის მეცნიერებიც აუცილებლად თვლიან, რომლებიც დაეჭვებული არიან, მაგალითად, არსებობდა თუ არა რუსული კლასიციზმი?

პროფ. პ. ბერკოვი 1964 წ. წერდა: „გონივრული ხომ არ იქნება, უარი ვთქვათ ცნებაზე XVIII ს. რუსული კლასიციზმი?“... ამით ხომ არ დაკარგავს რამეს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა? მით უფრო ახლა, როცა არ არსებობს „კლასიციზმის“ საყოველთაოდ აღიარებული და მეცნიერულად მიღებული ცნება?... ეს ცნება სადავოც რომ იყოს, ამ ხაზით კვლევაძიება გულს მოუკლავს მხოლოდ იმ ლიტერატურათმცოდნეთა პატარა ჯგუფს, რომელთაც ჰგონიათ, რომ რომელიმე ლიტერატურული მოვლენისათვის შესაფერი „იზმის“ მინიჭება აქცევს მას შესწავლის ღირსად. ასეთი მოვლენების კვლევით, ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც მოვივებთ, რომ განხილული იქნება, გარკვეული კონცეფციის შუქზე დალაგდება ლიტერატურული ფაქტები და მოვლენები, ეროვნული მწერლობის მხატვრული განვითარების პროცესი თავისი სირთულეებით, საიდუმლოებებით, ტრადიციისა და ნოვატორობის მიმართებით, სოციალური განპირობებულობით“ და ა. შ.

რუსულ, გერმანულ, ინგლისურ კლასიციზმსაც ბევრი მკვლევარი სადავოდ ხდის, მაგრამ მისი, როგორც „ისტორიულ-ლიტერატურული და ესთეტიკური პრობლემის შესწავლაზე“, არავინ უარს არ ამბობს. თვით მოწინააღმდეგეებსაც სასარგებლოდ მიაჩნიათ ასეთი ძიება, რადგან ის ხელს უწყობს ხაკითხების გარკვეული კუთხით ექსპერიმენტულ კვლევას, ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ მორიგ ასპექტში გააზრებას. ყოველგვარი კვლევა-ძიების სასტიკი მოწინააღმდეგე მხოლოდ ჩვენი ოპონენტია.

განა ბ. ბელინსკი რუსული ლიტერატურის „თვითმყოფობას“ ეწინააღმდეგებოდა, როცა რუსულ ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის არსებობის უარმყოფელებს მიმართავდა: „რუსეთს თავის ეროვნულ ცხოვრებაში არ გაუვლია სენტიმენტალიზმის ეპოქა (ხედავთ? — ა. კ.). მიუხედავად ამისა, სენტიმენტალური მიმართულება აუცილებელი იყო რუსული ლიტერატურის განვითარებისათვის“.

ლიტერატურული სტილის პრობლემა, იქნება კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი თუ სხვა, კამპანიური, საგანაჩენო საქმე კი არაა, არამედ გულმოდგინე კვლევა-ძიების საგანია ჭეშმარიტების ძიების გზაზე.

## შენიშვნები

[1] ა. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, 1972 წ.

[2] დ. გამეზარდაშვილი, ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, IV. 1973.

[3] ალ. კალანდაძე, დასახ. წიგნი, გვ. 15.

[4] ალ. კალანდაძე, დასახ. წიგნი, გვ. 307.

[5] მე გახლავარ. თ. ი. ჭავჭავაძე. 1897. გვ.22.

[6] დ. გამეზარდაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

[7] ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, 1959, გვ. 101-357.

[8] კომუნისტი, 1973 წ. 17 აპრილი (პროფ. ვ. პარკაძის წერილი). „კოპერნიკს ყველგან გამოუჩნდნენ მომხრენი... ინგლისში ნიუტონი, რუსეთში მიხ. ლომონოსოვი, საქართველოში ანტონ ბაგრატიონი“.

[9] „მეცნიერება და ტექნიკა“, 1968, № 3, გვ. 19.

[10] ა. ფრანგიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 300

[11] მეცნიერება და ტექნიკა, 1978, № 1. პროფ. ს. ავალიანი, „ანტონ ბაგრატიონი და ქრისტიან ვოლფი“ გვ. 12.

[12] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, 1953, 1, გვ. 38.

[13] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, გვ. 217-235.

[14] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. I, 1953, გვ. 132.

[15] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები..., I, გვ. 364.

[16] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები.., I, გვ. 49.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯაფარიძე

# კეთილად მოსაგონარი

ცხოვრებაში მრავალნაირი ადამიანი საქმიანობს ასე თუ ისე, ამა თუ იმ გზაზე შემდგარი. მაგრამ ყველას როდი მიუგნია თავისი გზისათვის, ყველას როდი გაურკვევია თავისი მოწოდება. ეს მეტად რთული საქმე ყოფილა!

მაგრამ არიან ბედნიერები, რომელთაც ბუნება იმთავითვე უკარნახებს თავის გზას.

და ასეთად მიმაჩნია მე იოსებ გრიშაშვილიც, რომლისთვისაც ბუნებას თავიდანვე მოუწოდებია საერო მოღვაწეობისათვის და პროფესიად მისთვის პოეტობა მიუჩნევია, სიტყვის ოსტატობა.

ვის არ ახსოვს მისი ბრწყინვალე ლექსები, ვის არ იტაცებდა მათი პოეტური მგზნებარება!

პოეტ გრიშაშვილის სახელი პირველად მე **1907** წელში გავიგონე. იმ დროს მე უკვე უნივერსიტეტში ვსწავლობდი და, როგორც სტუდენტი, მაშინდელი ტრადიციის მიხედვით, დიდი ინტერესით ვიყავი განწყობილი საზოგადოებრივი საკითხებისადმი.

ამიტომ დიდად სასიამოვნოდ მრჩებოდა, როცა შინ თუ გარეთ, ამა თუ იმ წრეში, სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, ჩვენი მხატვრული ლიტერატურის აწმყოსა თუ მომავალზე ლაპარაკს დავესწრებოდი. იქ ხშირად ახალგაზრდა პოეტების გამოჩენაზე, მათს ნიჭსა და უნარზეც ლაპარაკობდნენ.

მაშინ პოეტები ჩვენს ლიტერატურულ ცაზე ცოტანი ჩანდნენ, თითებზე ჩამოსათვლელად და მკითხველი საზოგადოება ამიტომ მათ ყველას კარგად იცნობდა. ახალგაზრდა პოეტების გამოჩენა არავის არ გამოეპარებოდა და ყველა იმედით ეგებებოდა მათ. და აი ამ ახალგაზრდა პოეტებს შორის გავიგონე პირველად გრიშაშვილის სახელი. საზოგადოების თვალში ის გარკვეული, მკაფიოდ გამოკვეთილი პოეტური **ხმის პატრონად იყო მიჩნეული.**

გრიშაშვილს რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ სახეს პოეტისას მისი განუმეორებელი ფსევდონიმით, თორემ, როგორც იოსებ მამულაიშვილს, ე. ი. მანამდე, ვიდრე თავისთავს გრიშაშვილად გააცნობდა საზოგადოებასა, მას მაინც უცდია ბედი პოეზიის ასპარეზზე. მე ეს ამბავი არ მახსოვს, შემდეგში გავიგე მხოლოდ და ის იმდენად საინტერესოა პოეტის ბიოგრაფიისათვის, რომ ამ ფაქტს აქ ვერ ავუვლი გვერდს.

ეს ყოფილა 1906 წელს. იოსებს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა 17 წლის ჭაბუკს, გამოუცია ლექსების პატარა კრებული თავისი ნამდვილი გვარით. ეს ლექსები თავისი შინაარსით, და რაც მთავარია, ფორმის პრიმიტიულობით „უფრო თბილისური ფოლკლორის მიბაძვის ნიმუში ყოფილა, ვიდრე დამოუკიდებელი პოეტური გააზრების ნაყოფი“, — როგორც ამას ამბობს აკ. ხინთიბიძე თავის საჯარო ლექციის სტენოგრამაში გრიშაშვილზე (1956 წ.) ის კრებული შემდეგი საკმაოდ ორიგინალური და ძველებური გამოცემებისათვის დამახასიათებელი სახელწოდებით ყოფილა დაბეჭდილი: „ვარდის კონა და თელავის მუხამბაზი და სხვადასხვა ლექსები და სიმღერები, შედგენილი იოსებ გ. მამულაიშვილის მიერ.“

აქ ყველაფერი ისე იყო, როგორც იცოდნენ მანამდე ხალხიდან გამოსულმა პოეტებმა, მთქმელებმა და „მოლის მოტრფიალე“ ახალგაზრდებმა.

ეს ამბავი, თუ გნებავთ, „წინაისტორიად“ უნდა ჩაითვალოს ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა.

როგორც ვხედავთ, ი. გრიშაშვილის პირველი ნაბიჯები პოეზიაში ვერ დამთავრდა სასურველი გამარჯვებით, მაგრამ ამ ამბავმა მას იარაღი არ დააყრევინა. მან კვლავინდელი ენერგიით განაგრძო ბრძოლა, შექმნილ ვითარე-

ბას სულ სხვანაირად აულო ალლო და თავის პოეზიაში ისევ ის თბილისის ფოლკლორი მოიშველია, რომელიც იმ დროს მეტად პოპულარული იყო ახალგაზრდობაში.

გაგვეგონა გრიშაშვილი, მაგრამ ვინ იყო ის და სადაური, ეს მხოლოდ შემდეგში გავიგეთ. გავიგეთ, რომ ის იყო თბილისელი ხელოსნის ოჯახიდან და ბავშვობა ხარფუხში გაატარა, სადაც მას პატარა სახლიც ჰქონდა, მამის დანატოვარი: სწავლა უსახსრობის გამო 11-12 წლის ასაკში მიუტოვებია.

და თუ რამდენად ნიჭიერი ყოფილა ბუნებით ეს თავმდაბალი ახალგაზრდა, ჩანს თუნდ იქიდანაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი სკოლა არ დაუმთავრებია, ეს ფაქტი სულაც ვერ შეიქნა დამაბრკოლებლად იმისა, რომ ის საბოლოოდ მეცნიერების მწვერვალზე ასულიყო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ღირსეული, ნამდვილი წევრი გამხდარიყო. მისმა ბუნებრივმა ნიჭმა სავსებით გადალახა ყოველივე დაბრკოლება.

და, რაც დრო გადიოდა, ი. გრიშაშვილის სატრფიალო მოტივები სულ უფრო და უფრო ხიბლავდა ჩვენს საზოგადოებას, ხიბლავდა მისი პოეტური გამოთქმის სიახლე, ორიგინალური ლექსთა წყობა, მისი უაღრესად მეტყველი რიტმი, მისი სრულიად განსხვავებული პოეტური ხელწერა.

ი. გრიშაშვილმა თავიდანვე შეიყვარა ქართული წიგნი და ხარბად ეცნობოდა ყოველ მათგანს, სადაც არ უნდა ენახა. მცირე დროის განმავლობაში მან დეტალურად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის წარსული, ჩვენი ძველი და ახალი ლიტერატურა და ენერგიულად მოჰკიდა ხელი თვითგანვითარებასაც, რის შედეგადაც, როგორც ცნობილია, ის გახდა ქართული ლექსის შთაგონებული ოსტატი და მეტად საინტერესო მკვლევარიც, აკადემიკოსი და ლაურეატი, საქართველოს სახალხო პოეტი. ჩემს მეგობრებში, რომელთა გახსენება ყოველთვის სასიამოვნოა ჩემთვის და საამაყოც, ერთი პირველთაგანი ადგილი პოეტს იოსებ გრიშაშვილს უჭირავს.

გავეცანი პირადად იოსებ გრიშაშვილს ჯერ კიდევ ადრე, როდესაც ის მხოლოდ იწყებდა თავის მოღვაწეობას, პირველ ნაბიჯებს დგამდა პოეზიაში; ეს იყო დაახლოებით 1909-1911 წლებში, მე და გრიშა, ჩემი ძმა, მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდით და თბილისში მხოლოდ გავლით ვიყავით ხოლმე თითო-ოროლა დღით, როდესაც რუსეთიდან შინისაკენ ვბრუნდებოდით არდადეგებზე საზაფხულოდ დასასვენებლად. პირველად გრიშაშვილს მე და ჩემი ძმა, გრიგოლ დიასამიძესთან შევხვდით, გაზეთ „თემის“ რედაქციაში.

გრიგოლ დიასამიძე გაზეთ „თემის“ რედაქტორიც იყო და გამომცემელიც, ის ყველაფერი იყო ამ გაზეთისათვის და რედაქციაც თავის ბინაში ჰქონდა, დღევანდელ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 50 სახლის უკან. მაგრამ უკან-მეთქი რომ ვამბობ, ამ მდგომარეობაში ის ახლა არის, თორემ იმ დროს ის უშუალოდ გამოდიოდა დღევანდელ რუსთაველის პროსპექტზე თავისი დიდი ეზოთი, რომელსაც განიერი ხის ჭიშკარი იწყებდა. ეს სახლი, ორსართულიანი ქვის კაპიტალური შენობა დღესაც დგას; გრიგოლი ამ სახლის ბელეტაჟში ცხოვრობდა. ის მეტად კეთილშობილი და საყვარელი ადამიანი იყო, დიდად განათლებული ინტელიგენტი, იურისტი, ლიტერატორი, ყველას მეგობარი, ყველას დამხმარე და ყველასთან გულისხმიერი. იშვიათი გარეგნობის ლამაზი ვაჟკაცი, ახოვანი, მოხდენილი. იმ დროს ის 50 წლის თუ იქნებოდა. თუ სადმე რაიმე კეთილი ქართული საქმე კეთდებოდა, მისი გულისყურიც იქით იყო და მზად იყო მიშველებოდა მას და დახმარებოდა ყოველმხრივ.

ი. გრიშაშვილმა`რომ პოეზიაში პირველი ნაბიჯები გადადგა, გრიგოლმა დიდი ყურადღება გამოიჩინა მისდამი და ცდილობდა მისთვის დახმარება გაეწია. ფართოდ გაუღო კარი „თემის“ რედაქციისა და სამუშაოდაც ხშირად იწვევდა.

და სწორედ აქ შევხვდით პირველად მე და გრიშა იოსებ გრიშაშვილს იმ ზაფხულს მოსკოვიდან თბილისში გამოვლის დროს. მაშინ ხომ შავი ზღვის ნაპირის რკინიგზა არ იყო და მოსკოვიდან ქუთაისამდე გზა თბილისზე მოდიოდა, ბაქოს გამოვლით.

გრიგოლ დიასამიძე დიდი მეგობარი იყო აკაკისა და მგონანი რომ რაჭა-ლეჩხუმში სამოგზაუროდ წავიდა, გრიგოლი პირველთაგანი იყო მის ამალაში.

„თემის“ რედაქციაში გრიგოლ დიასამიძის სანახავად იმ დღესვე წავედით, როგორც კი თბილისის მიწაზე ფეხი დავადგით. გრიგოლი, როგორც ყოველთვის, ხელგაშლილი შემოგვეგება. თუმცა იმან სხვანაირი მიღება არც იცოდა, ისეთი კეთილი და ყველას მოყვარული ადამიანი იყო. გარდა ამისა, ახე გულიანად იმიტომაც მიგვიღო, რომ ჩვენი გადათარგმნილი „გლახის ნაამბობი“ (რუსული ეგზემპლარები) უკვე იყო თბილისში და ყველას, რომ იტყვიან, პირზე ეკერა, არ იყო ქართველი ინტელიგენტი, თუ მოსწავლე, რომელსაც ხელში არ სჭეროდეს, ან ჯიბეში არ სდებოდეს ის პატარა, ყვითელყდიანი რუსული წიგნი, იმდენად დიდი გამოხმაურება მოიპოვა დიდი ილიას „გლახის ნაამბობის“ რუსულ ენაზე გამოსვლამ. ოღონდ ყველას აკვირვებდა ის გარემოება, რომ მთარგმნელი ერთი კი არა, ორი იყო, და ისიც ვიღაც „ჯაფარი“. ბევრს ვერც გაეგო ვინ იყო ეს ჯაფარი, გრ. და ვლ. და კითხულობდნენ ქართველები არიან თუ სხვა ვინმეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლმა რომ ასე თბილად მიგვიღო, ეს არ დარჩა უყურადღებოდ იქვე მჯდომ ახალგაზრდას, რომელიც ჩვენდა სასიხარულოდ უკვე ცნობილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი გამოდგა. ბლუზა ეცვა მოწაფესავით, თხელი იყო, პირტიტველა, ჰაბუკობაში ჯერ კიდევ მხოლოდ შემავალი, ნაზი, ქალიშვილივით მორიდებული.

ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, ძალიან ესიამოვნა. თქვენი თარგმნილი „გლახის ნაამბობის" რამდენიმე ცალი ვიყიდე და შევინახე. გაკვირვებით მოგვჩერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს და განსხვავების ნიშნებს ეძებდა, ასეთი მსგავსება ჯერ არსად მინახავსო.

— მაშ თქვენა ხართ „გრ. და ვლ. ჯაფარი"? — გვეკითხებოდა ახლად შეძენილი მეგობარი, — მე კი უფრო ხნიერები მეგონეთ, რომ ასეთი საქმე გიკისრიათო.

ასეთი ვითარება სუფევდა იმ დროს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში: პატარა რაღაცაც კი, თუ კი მას საერთო, ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, დიდად ეჩვენებოდათ, საქვეყნო და სახალხო საქმედ. ახალგაზრდა პოეტიც ამ თვალსაზრისისა იყო, როგორც ჩანდა, და ამიტომ იყო, რომ ისე გულთბილად მიგვიღო.

განსაკუთრებით ხშირად მიხდებოდა ხოლმე სოსოს საზოგადოებაში ყოფნა 1914 წლიდან, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფოთში დავიწყე მუშაობა და როცა სამსახურის გამო ხშირად მიხდებოდა თბილისში ჩამოსვლა. მე უთუოდ შევივლიდი ხოლმე გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში, რომელიც მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტის № 1), აწ უკვე აღარ არსებულ სამსართულიან სარაჯიშვილისეულ სახლში და სიყვარულით მივაკითხავდი იქ მომუშავე მეგობრებს: თედო ღლონტს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, მიხეილ საყვარელიძეს და მათთან ერთად სოსო გრიშაშვილსაც.

ერთხელ სურათიც კი გადავიღეთ ერთად თედომ, სოსომ და მე. არ ვიცი შერჩათ თუ არა მათ ის, მე კი დღემდე ვინახავ ოჯახში ჩემი სიყმაწვილის ამ ერთ-ერთ სასიამოვნო გასახსენებელს.

ერთხელ სოსომ სახლშიც წამიყვანა ხარფუხში და თავისი საცხოვრებელი მაჩვენა — ეს იყო ორსართულიანი პატარა ხის სახლი, ქვემოთ ამ სახლში სოსოს დედა ცხოვრობდა, ზემოთ — თვითონ. ორი პატარა ოთახი ჰქონდა, ერთი მათგანი წიგნებით სავსე.

სოფლური იერი სჭარბობდა მაშინ იქაურობას და სულ ვერ იფიქრებდი, თუ ქალაქში იყავი, აღმართ-დაღმართი და ოღრო-ჩოღრო შუკები, ირგვლივ ყველაფერი უპრეტენზიო, ღარიბული და შეუხედავი; ჩანდა იქ უფრო მუშა-ხალხი ცხოვრობდა, ხელმოკლე ხელოსნები და ყველას ერთნაირი, გაჭირვებით აშენებული თითქმის ახეთივე ხახის ულაზათო სახლები წამოედგა; სამაგიეროდ, ჰაერი უფრო სუფთა იყო ქალაქთან შედარებით, ხმაურიც ნაკლები, ერთი სიტყვით, როგორც პატარა სოფელში, ისე ცხოვრობდა ხალხი. არ დამავიწყდება ერთი პატარა ამბავი, რომელიც მე იქ შემემთხვა.

1916 წელი იყო, თბილისში ჩამოვედი. კვირა დღე იყო და რედაქციაში არავინ მუშაობდა. სოსოს ნახვა მხოლოდ ხარფუხში შეიძლებოდა. ვიფიქრე, მოდი, იქ წავალ-მეთქი, ზაფხული იყო, მზიანი, თბილი კვირადღე. ავიარე აღმართი, რომელსაც ამჟამად გრიშაშვილის ქუჩა ეწოდება და გავემართე იმ მიმართულებით, სადაც მეგულებოდა პოეტის სახლი; მივიხედ-მოვიხედე, მივათვალიერ-მოვათვალიერე, მაგრამ სრულიად ვერ მოვისაზრე, თუ რომელი უნდა ყოფილიყო ის ამდენ პატარა-პატარა შენობებში. დამაბნია უფრო იმ გარემოებამ, რომ გრიშაშვილის სახლის ახლოს აღმართზე ერთი უშნო, გორაკი მახსოვდა შუა ქუჩაზე, უფრო შუა გზაზე (ქუჩა სად იყო მაშინ), რომელიც იმდენად ამოჩრილი იყო მიწის დონიდან, რომ ზედ გავლა შეუძლებელი იყო და გვერდი უნდა აგევლო; ეს მახსოვდა კარგად, მაგრამ ის გორაკიც ვერსად შევამჩნიე, გაასწორეს ალბათ დროის მოთხოვნილებისამებრ და მეც ის ბუნებრივი ორიენტირი დამეკარგა.

— აქ სადღაც გრიშაშვილის სახლია, იქ მივდივარ, მაგრამ ვერ მიმიგნია. ხომ ვერ მეტყვით, რომელია-მეთქი — შევეკითხე ერთს გამვლელს, რომელიც ყველაფრით ჩანდა ადგილობრივი იყო.

— გრიშაშვილის? — დაფიქრდა ის, — არ გამიგონია!

შევეკითხე მეორეს.

— ვისი? გრიშაშვილის? — ისიც დაფიქრდა, — არა, არ გამიგონია.

ვკითხე სხვა გამვლელსაც. ყველა გაკვირვებულია. არა. ასეთი არავინ იცის. არც გაუგონია.

— კი მაგრამ ხარფუხში მეზობლის სახლი არ იცით რომელია?

— მეზობლის?! მეზობლის როგორ არ ვიცით... მაგრამ ასეთი გვარის მეზობელი არა გვყავს აქ. აბა ვინაა გრიშაშვილი? ვინაა აქ გრიშაშვილი? — ეკითხებიან ერთი-მეორეს, ვიფიქრე, ეს შემთხვევითი ხალხია-მეთქი, ხარფუხში-თქო, და შევეცადე იქაური მკვიდრი შემენახა ვინმე.

იქვე, ქუჩის მეორე მხარეს, სიღრმეში ხის პატარა ფარდული შევნიშნე, სახელდახელოდ აკოწიწებული, შიგ ვიღაც მოხუცი იჯდა წინსაფრიანი და დაზგაზე დადებულ ძველი წუღის ნაკერებზე რაღაც სიმძიმეს უბაგუნებდა. გადავედი მისკენ და მივუახლოვდი.

— უკაცრავად, ვეკითხები, — თქვენ აქაუ-

ეროვნული

რი ხართ? ხარფუხელი? — მან გაკვირვებით შემომხედა ძველი სათვალეს ქვემოდან.

— მა სადაური ვიქნები, შე დალოცვილო? აქაური ვარ.

— აბა პოეტ გრიშაშვილის სახლს ვეძებ აქ და თქვენ გეცოდინებათ რომელია. ხარაზი შეფიქრიანდა.

— გრიშაშვილისა? სახელი რა ჰქვია? იოსები? არა, გეთაყვა, ასეთი აქ არავინ გამიგონია.

დაწვრილებით გამომკითხა, რა კაცია ის გრიშაშვილი, რა ხელობისაა, რამდენი ხანია, რაც ხარფუხშია და სხვ. მერე ვილაც მეზობელს გადასძახა ქიშკარს იქით, აქ გრიშაშვილს კითხულობენ და ხომ არ გაგიგონია, ვინააო. სხვასაც ჰკითხა, ეტყობოდა გულით სწადდა გაეწია ჩემთვის დახმარება, მაგრამ ვერ ახერხებდა და სცხვენოდა კიდეც, რომ ამ უბრალო საქმეს ვერ უკეთებდა უცხო ადამიანს.

ის იყო გამობრუნებას ვაპირებდი, რომ მოხუც მეწულესთან ვილაც ახალგაზრდა მოვიდა ძველი, დასაკერი წულებით ხელში. მოხუცი მასაც შეეკითხა გრიშაშვილზე. ასეთი გვარი არც მას გაუგონია ხარფუხში.

— ვა, ე როგორაა? — კითხულობს მოხუცი, — თუ ვინმე ხარფუხელია, რატომ არ ვიცი ვინაა? მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, უცბად მეკითხება:

— ხომ არ გეშლებათ მისი გვარი? ეგება არაა ეგრე?

— არა,— ვეუბნები დარწმუნებით, — ნამდვილად ასეთი გვარი აქვს მეთქი, მას მთელი საქართველო იცნობს-მეთქი, განვუმარტე, რაც შემეძლო, მწერალია, პოეტი, საკუთარი წიგნებიცა აქვს-მეთქი დაბეჭდილი, რომ მისი ნამდვილი გვარი მამულაიშვილია-მეთქი, გრიშაშვილი კი ფსევდონიმიათქო, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგო, ფსევდონიმმა კი ხომ სულ დააბნია ის კეთილი მოხუცი.

ბოლიში მოვიხადე შეწუხებისათვის და უკან გამოვბრუნდი, რომ მოხუცის და ახალგაზრდის ლაპარაკი შემომესმა.

— რა ვქნა, ვერ გამიგია ვინაა ე გრიშაშვილი, — ამბობდა მოხუცი მეჩუსტე.

— აბა რა მეთქვა, როცა არ ვიცი?

— ე მანდ ფირუზაზე ხომ არ იძახის ნეტა ეს ადამიანი? — უცბად წამოისროლა ახალგაზრდა მუშტარმა, თითქო რაღაც საინტერესო რამეს მიაგნოო, — რაღაც ისე მენიშნება. აი, წიგნები აქვსო, წერსო, რაღაც ჰგავს იმასა აი! — და მომაძახა.

— ფირუზას ხომ არ ეძებ, ძიაჯან? აი, თიათრშიც გამოდის, წიგნის კაცია, წარმოდგენებსა დგამს...

— ფირუზა? ხო, აი ეგაა სწორედ, ეგ! — შევძახე მეც გახარებულმა და უკანვე მივტრიალდი, გამახსენდა რა უცბად, რომ სოსოს ბავშვობისას ფირუზას ეძახდნენ თურმე, — ეგ არის სწორედ! თეატრში მომუშავე[illegible] ხომ ვიცოდი, რომ ერთ დროს თეატრში მუშაობდა.

— მაშ ფირუზაზე იძახის? ჩვენს ფირუზაზე? — წამოიძახა მეწულემ და მუხლზე ხელი დაირტყა, გახარებულმა, რომ ბოლოსდაბოლოს, უცხო ადამიანი დაუკმაყოფილებელი არ გამიშვა და არ შერცხვა მოხუცი თავის უცოდინარობით.

მერე მე მომიბრუნდა.

— შე დალოცვილო, ეგრე გეთქვა რაღა თავიდანვე! განა მე აქ ისეთი გაუგებარი ვარ მოხუცი კაცი, რომ ფირუზას ამბავს ვერ გეტყოდი? ფირუზას ვინ არ იცნობს აქა? ჩვენი ხარფუხის თვალია. ვაა, მისი სახლი როგორ არ ვიცი, ვისაც გინდა, ჰკითხე — გეტყვის, განა ეგრე ყრუ ვარ. შე დალოცვილო!.. — მერე თავის ახალგაზრდა მუშტარს მიუბრუნდა.

— აბა, შვილო, მაიტა ეგ წულები აქა, და შენ ამ პატიოსან ადამიანს გაუძეხი ფირუზას სახლისაკენ. ვაა, ფირუზას ეძებს თურმე ეს დალოცვილი და ვილაც გრიშაშვილს კი მეკითხება. განა მე ფირუზას სახლს ვერ ვეტყოდი... — იმართლებდა თავს ასეთი ბუზღუნით მოხუცი მეწულე. — მე ამ ხარფუხში ვინ უნდა იყოს, რომ არ ვიცოდე, აქაური კაცი ვარ, განა მოსული!... ვა, კინაღამ სირცხვილი არ ვჭამე ამ უცხო ადამიანთან! მე და ჩემმა ღმერთმა, ჯავრით ძილი დამეკარგებოდა, რომ არ გამეგო და კიდევ კარგი, რომ ღმერთმა მიშველა და გავიგე.

ახალგაზრდამ კი მიმიყვანა გრიშაშვილის სახლში, მაგრამ სოსო იქ არ დამიხვდა და შინ დაბრუნებულს ეს ამბავიც მიმავიწყდა.

ან რა იყო აქ დასამახსოვრებელი იმ პირობებში? არაფერი! სულ უბრალო ამბავი! ის, რომ უკვე საქვეყნოდ ცნობილი პოეტის სახელი არ იცოდნენ ხარფუხელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ის მათი ახლობელი ადამიანი იყო, მათში გაზრდილი ფირუზა. ეს იყო მათი იმ დროინდელი გაუნათლებლობის მიზეზი, უკულტურობის, რომელიც საზოგადოდ ახასიათებდა რევოლუციამდელ ხანას.

— რა ვუყოთ, — ვამბობდი მე ჩემს გუნებაში, უსწავლელი ხალხია, და გრიშაშვილის პოეტობაზე აბა რა უნდა გაეგონოთ? ან ვისგან? გაზეთებს ისინი ვერ კითხულობდნენ და წიგნებს, სანახაობებსაც ვერავითარს ხედავდნენ, არ იყო მაშინ ასეთები. მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო ჩვენი ქვეყნის არაერთი კუთხის დამახასიათებელი და მათ შორის ხარფუხისაც. ამიტომაც ის ამბავი ჩემს გონების თვალს არ ეცა როგორც რაღაც არაჩვეულებრივი და მეც ავუარე გვერდი. ავუარე და დავივიწყე კიდეც. და იმდენად რომ, სოსო გრიშაშვილთან შეხვედრების დროსაც არ გამხსენებია არასოდეს.

გავიდა ხანი და მოხდა დიდი რევოლუცია,

რომელმაც ძირფესვიანად გამოსცვალა და გადაახალისა ჩვენი ცხოვრება. მეც ფოთიდან თბილისში გადმოვსახლდი და სოსო გრიშაშვილსაც უფრო ხშირად ვხედავდი, და აი ხარფუხში ჩემი პატარა შემთხვევის ამბავმა როგორ და სად იჩინა თავი.

**1951** წლის გაზაფხული იყო. ფიზკულტურის ინსტიტუტი, სადაც მე ვმუშაობდი მასწავლებლად იმ ხანად, დროებით მოთავსებული იყო საშუალო სკოლის შენობაში გრიშაშვილის ქუჩაზე, ხარფუხში. ერთხელ, დღის დასასრულს, როცა ინსტიტუტში ლექციები მოთავდა და შინ მიმავალი ზემოსართულიდან ქვევით ჩავდიოდი, ვესტიბიულში ხალხის უჩვეულო სიმრავლემ გამაკვირვა: ხარფუხი თითქოს მთლიანად დაძრულიყო, ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ყველას აქ მოეყარა თავი და იქვე პირველ სართულზე მოთავსებული კლუბის დიდი დარბაზისაკენ მიიწევდნენ. ყველას უნდოდა შესვლა და დანახვა, თუ რა ხდებოდა იქ, ეზოშიც აუარებელი ხალხი იდგა დარბაზში შესვლის მოლოდინში.

გაკვირვებით შევეკითხე იქ მდგომთ, რა ამბავია-მეთქი ასეთი, და გავიგე, რომ პოეტ იოსებ გრიშაშვილის შეხვედრა მიმდინარეობდა. იოსებ გრიშაშვილის სახელის გაგონებამ მეც გამიტაცა დარბაზისაკენ, მაგრამ ის იმდენად სავსე იყო ხალხით, რომ შესვლაზე ფიქრი ზედმეტი იყო; მაინც როგორც იქნა, მოვახერხე დიდის გაჭირვებით და კარებში შევეჭედე.

ტრიბუნიდან ორატორის აღფრთოვანებული ლაპარაკი მოისმოდა, პოეტი პრეზიდიუმში იჯდა სცენაზე და თითქოს გარინდებული იყო ყველაფრით, რასაც ხედავდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ხალხის, უბრალო ხარფუხელი ხალხის, ასეთ დიდ ყურადღებას მისდამი ღრმად განიცდიდა, ვინ იცის, ეგებ ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრების ღალმართი უკვე დაწყებულია, და ნაღვლობდა, გული სტკიოდა...

მაგრამ მის მაშინდელ ლექსებში ეს რაღაც არ ჩანდა. პირიქით, ის მხნედაც იყო და სიბერის სიახლოვეს არაფრად აგდებდა:

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო!..

ჭაბუკად იდგა თავის ლექსებში და ბრძოლის ფარხმალს არა ჰყრიდა — „მე ჩემს ილბალთან კიდევ მსურს შეხლაო" ამბობდა.

მივჩერებოდი მას და ვცდილობ მის სახეზე წავიკითხო მისი ნამდვილი სულისკვეთება...

სოსომ შემამჩნია მაინც კარებთან მდგარი, ხალხში ჩაჭედილი და ხელით მანიშნა, მოიწიე აქეთ, სცენაზე ამოდიო. ეს რომ დაინახეს, გზა მომცეს და მეც სცენისაკენ დავიძარი დიდის გაჭირვებით და ავედი კიდეც, იქ სკამიც გამოჩინეს და სოსომ გვერდით დამისვა. ვკითხე რაშია-მეთქი საქმე და რასთანაა ყველაფერი ეს დაკავშირებული თქო. სოსომ მაგიდაზე დაწყობილი ქაღალდებიდან ერთი მოსაწვევი ბარათი აიღო და მომაწოდა. ამ ბარათს მე დღესაც სიყვარულით ვინახავ ჩემს ქაღალდებში. იქ ასე სწერია: „1951 წლის 12 მაისს, საღამოს 6 საათზე ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში (გრიშაშვილის ქ. № 15) გორკის სახელობის № 22 მასობრივი ბიბლიოთეკა აწყობს პოეტ გრიშაშვილთან შეხვედრას. გთხოვთ დაესწროთ. დირექცია".

მაშ ასე! ხარფუხელები შეხვედრას უწყობენ თავიანთ კარის მეზობელს პოეტ იოსებ გრიშაშვილს, თავიანთ საყვარელ ფირუზას!

სულგანაბული ვუსმენდი ორატორებს, რომლებიც ერთი მეორეზე უფრო მჭევრმეტყველურად და აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ გრიშაშვილის პოეზიაზე და მის პოპულარობაზე ხალხში.

და თვალწინ უნებლიედ დამიდგა **1916** წლის ხარფუხი, სადაც გრიშაშვილის გვარი არც გაეგონათ, და ეს იმ დროს, როცა მას მთელი საქართველო იცნობდა, როგორც პოპულარულ პოეტს.

ამას ისიც მოჰყვა თან, რომ ორატორების სია ამოიწურა და სოსომ მთხოვა მეც მეთქვა ორიოდე სიტყვა.

ხალხით გაჭედილი აუდიტორიის წინაშე ჩემი გულწრფელი აღფრთოვანება გამოვთქვი იმ დიდი უჩვეულო ზეიმის გამო, რასაც ვხედავდი აქ, ხარფუხში, პოეტ გრიშაშვილის შეხვედრასთან დაკავშირებით, როცა გრიშაშვილი და მისი პოეზია ცამდე აჰყავდათ ქებითა და დიდებით; მე მოვყევი თავიდან ბოლომდე ის ამბავი, რაც შემემთხვა აქ, ხარფუხში 1916 წელს. უნდა გენახათ, რა ამბავი იყო ამ ჩემი ლაპარაკის დროს. დარბაზში ყველანი ისე მომჩერებოდნენ, თითქოს სხვა ქვეყნიდან ჩამოვსულიყავი; ჯერ სულგანაბული მიგდებდნენ ყურს, მაგრამ მერე რომ ასტეხეს სიცილი, ველარ შეიკავეს თავი, კითხულობდნენ, ვინ იყო ის მეჩუსტე. მაგრამ აბა 35 წლის წარსულს ასე უცბათ ვინ აღადგენდა იქ და ვინ მოიგონებდა თუ რომელი მეჩუსტე იქნებოდა ის, ან თუნდაც ის ახალგაზრდა, რომელმაც საბოლოოდ გამარკვია.

ყველაზე მეტად თვითონ სოსო იცინოდა. იცინოდა ჩემს მაშინდელ გაჭირვებაზე, რომ ვერ მეპოვნა ის, რაც თურმე იქვე იყო, გვერდით და უხაროდა, რომ, თუ გრიშაშვილს არ იცნობდნენ, ფირუზა ხომ მაინც ისეთი პოპულარული იყო მის უბანში.

— დიახ-მეთქი, — დავასრულე ჩემი სიტყვა, — ჩამორჩენილი იყო რევოლუციამდელი ხარფუხი, უწიგნური და კარჩაკეტილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ხედავთ, ჩვენს დღევანდელ განათლებულ ხარფუხს, როცა გრიშაშვილს არა მარტო იცნობენ, ასეთ ბრწყინვალე შეხვედრასაც უწყობენ, აი რამდენად წინ წასულა ჩვენი ცხოვრება, რარიგ გაზრდილა ხალხის კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტურის დონე სულ რაღაც 85 წლის მანძილზე.

— ვაშა ჩვენს საყვარელ პოეტს, ვაშა მის დიდ ადამიანობას!

— ვაშა, ვაშააა — შესძახა ხალხმა და მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. პოეტის მისამართით მომსკდარ ტაშის გრიალს თითქო კედლებიც ეხმაურებოდნენ და ბანს აძლევდნენ.

იოსები უსაზღვროდ გახარებული იყო ამ ჩემი უბრალო მოგონებით, ხელს მართმევდა, მეხვეოდა და ბოლოს სიტყვა ჩამომართვა, რომ სულ მალე დავუწერდი ამ ამბავს.

— დამიწერე, ლადო, გეთაყვა, ყველაფერი, რაც თქვი, მაგისთანა ამბებს მე ყველაფერს ვინახავ ჩემს ქაღალდებში, უთუოდ დამიწერე.

და მეც დავპირდი, რა თქმა უნდა. დავპირდი გულით, მაგრამ ერთხელ რომ მიმავიწყდა, ველარ მოვაბი თავი. მხოლოდ 1972 წლის გაზაფხულზე გამახსენდა ეს ამბავი და გადავწყვიტე დამეწერა პოეტის მორიგი წლისთავისათვის, რომ მისი დაბადების დღეზე, 23 აპრილს წამეკითხა შეკრებაზე პოეტის სახელობის ბიბლიოთეკაში ხარფუხში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით იქ დასწრება ვერ მოვახერხე, წერილი კი გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა „ხარფუხელი ფიროუზას“ სათაურით.

იოსებ გრიშაშვილი, როგორც ცნობილია, წიგნის ნამდვილი ტრფიალი იყო. თუ კი სადმე დაინახავდა, მაღაზიაში იქნებოდა ის თუ კერძო ოჯახში, არ შეიძლებოდა არ აელო ხელში და თავიდან ბოლომდე არ გადაეთვალიერებია დიდი ინტერესით, და, თუ გასაყიდი იყო, და წიგნი მისთვის სიახლეს წარმოადგენდა, ე. ი. მას არ ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში, უკანასკნელ კაპიკს არ დაიშურებდა მისთვის.

როცა 1929-31 წლებში მე სახელგამში ვმუშაობდი საგამომცემლო განყოფილებაში, რომელსაც ნიკოლო მიწიშვილი ხელმძღვანელობდა, სოსო ხშირად შემოდიოდა ჩემთან, მით უფრო, რომ იქ მას ჩემს გარდა, კიდევ ეგულებოდა კეთილი მეგობრები: პავლე საყვარელიძე (დიდი პავლე) და ალექსანდრე აბაშელი; აქ ხშირად ხვდებოდა ხოლმე მეგობარ მწერლებსაც — გიორგი ლეონიძეს, გიორგი ქუჩიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, დავით კასრაძეს, შიო მღვიმელს და სხვებს და ძალიან უყვარდა ჩვენს ოთახში მდგარ წიგნების კარადაში ახალ-ახალ გამოცემათა თვალიერება.

იმ კარადაში ჩვენ ვინახავდით სტამბებიდან მიღებულ ჩვენი გამოცემების ნიმუშებს, ორსამ ეგზემპლარს, ხშირად უფრო მეტსაც. სოსო შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან იღლიაში გაჩრილი წიგნებით, რომლებიც, ის იყო, შეეძინა სადღაც და დიდი მოწიწებით მიჰქონდა სახლში თავისი უნიკალური ბიბლიოთეკის შესავსებად. ის ისე სუფთად იყო ხოლმე ჩაცმული, ახლად აწვერგაპარსული და დაშვენებული, თითქო საქორწინოდ ყოფილიყოს გამზადებული და ორიოდე მისებური თბილი სიტყვის შემდეგ მიადგებოდა კარადას.

— ლადო, ახალი თუ რამე მიიღეთ, მომეცით ჩემი ბიბლიოთეკისათვის. სულ ერთია, სხვა წაიღებს, თქვენ მაინც არ დაგრჩებათ — მოგვმართავდა სოსო მეგობრებს, მაგრამ ჩვენ თხოვნა არ გვჭირდებოდა, უმისოდაც სიამოვნებით ვამარაგებდით ძვირფას მეგობარს ჩვენი გამოცემებით. ხოლო, როცა შეაგვიანდებოდა შემოსვლა და კარადაში კი ახალ-ახალი წიგნები დაგროვდებოდა, ხშირად გადავდებდით ხოლმე ცალკე, რომ შეგვენახა სოსოსთვის.

განსაკუთრებით უყვარდა სოსოს ძველი, ბუკინისტური წიგნები; — კარგია ეს წიგნები, მაგრამ მადლი მაინც ძველში უფროა, ანტიკვარულში, გვეტყოდა სოსო, — იმ ძველშია პოეზია, მისი გადასული შრიფტის ოხშივარში; მაგრამ რომ ალარსადაა... რაც დრო მიდის, მით უფრო იშვიათი ხდება ისეთი წიგნები. ჰაი, გიდი!.. რა ჩაწკაპული იყვნენ ბუკინისტები ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ, რა გინდოდა, რომ არ გენახა იმ დამტვერილ გროვაში, ახლაც დავდივარ, მაგრამ ალარაფერია.

და უყვარდა ბუკინისტები, მათ ნესტიან დარაბებში დგომა და წიგნების ქექვა.

1958 წლის გაზაფხულზე მოსკოვში წავედი მივლინებით, ფიზკულტურის ინსტიტუტების რუსული ენის მასწავლებელთა ყრილობაზე. როცა რამდენიმე დღის შემდეგ ყრილობა დამთავრდა და თავი უფრო თავისუფლად ვიგრძენი, გავწიე ერთ ჩემს ძველ მეგობართან, რომელიც კურსკის ვაგზალთან ცხოვრობდა, ჩკალოვის ქუჩაზე.

ის ჩემი მეგობარი მეტად საინტერესო პიროვნება იყო. ჩვენ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვიცნობდით ერთმანეთს მოსკოვში და ხელახლა შევხვდით მეგობრები 1941 წელს (30 წლის შემდეგ), როდესაც ის მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მივლინებით ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის საგამოშვებო სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარედ, და აღვადგინეთ ჩვენი ძველი მეგობრობა, უფრო მტკიცე და უფრო ძმური; ის, როგორც თვითონ ამბობდა, იტალიელი უნდა ყოფილიყო შთამომავლობით, გვარად იყო სარკიზოვ-სერაზინი, ივანე მიხეილის ძე, დიდი კულტურის ადამიანი იყო, პროფესორი, მედიცინის დოქტორი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვში და მთლად საბჭოთა კავშირში, იყო რა ავტორი სხვადასხვა სამედიცინო ხასიათის და სხვა შინაარსის წიგნებისა.

პროფესორმა სარკიზოვ-სერაზინიმ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უსასყიდლოდ დაარიგა საჩუქრად სხვადასხვა მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში მის მიერ წლების განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძენილი და დაგროვილი უნიკალური ბუკინისტური წიგნები და სახვითი ხელოვნების მდიდარი კოლექცია, რუს და ევროპელ ცნობილ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები, ერთი სიტყვით უამრავი ქონება, განსაკუთრებით — კი უნიკალური ძველი წიგნები, რომელსაც მეც ისე ბედზე მივუსწარი და ჩვენი სახარო რესპუბლიკური ბიბლიოთეკისათვისაც გადავარჩინე ყველა, რომელიც კი თავის შინაარსით აღმოსავლეთის ქვეყნებს შეეხებოდა, რა ენაზეც არ უნდა ყოფილიყო ის.

ივან მიხაილოვიჩს თითქო ცა გაეხსნა სიხარულისაგან, ძველი მეგობარი რომ დაინახა თბილისიდან ჩამოსული. გადამეხვია ძმურად, საყვედური მითხრა, რომ სასტუმროში წაველი და პირდაპირ მასთან არ მიველი ბინაზე. გამაცნო თავისიანები და რამდენიმე ხნის შემდეგ დამათვალიერებინა თავისი ბიბლიოთეკა და ძველი წიგნების დიდი კოლექცია, რომელიც მას შვილივით უყვარდა და რომლითაც ძალზე ამაყობდა.

გამაოცა ყველაფერმა ამან. ძველისძველი წიგნები და მერე როგორი! სულ სათითაოდ ამორჩეული და დიდი სიყვარულით შეძენილი მრავალი ათეული წლების მანძილზე, დაწყებული ცხრაასიანი წლებიდან, როდესაც ძველი ანტიკვარული წიგნები ჯერ კიდევ იშოვებოდა აქა-იქ, განსაკუთრებით სუხარევკაზე და სმოლენსკის მოედანზე მოსკოვში.

საკაზოვ-სერაზინის ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაეწყო ასეთი წიგნების ძებნა და შეძენა. რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური, რა ვიცი, სადაური წიგნი არ იყო და რა ენაზე ან რა დარგის!... თვალები ამიჭრელდა კავკასიოლოგიის და განსაკუთრებით ქართველოლოგიის დარგის ძველ გამოცემებს რომ შევხედე და ავტორთა ნაცნობი გვარები დავინახე.

გამახსენდა ი. გრიშაშვილი და მისი უნიკალური ბიბლიოთეკა თბილისში. აი, ვინ უნდა მოხსულიყო აქ, — ვიფიქრე გუნებაში. — ვინ უნდა დამტკბარიყო ამდენი ძველი წიგნის ხილვით — ჩვენი დიდი ბიბლიომანი იოსებ გრიშაშვილი. კი მოიჭერებდა გულს ამდენი ანტიკვარული წიგნის ნახვით.

მასპინძელს ძალზე ესიამოვნა, რომ ძველი მეგობარი ასე გაახარა.

— აი, თქვენ თვითონ ხედავთ, თუ რა დიდი განძია აქ თავმოყრილი, რა სიმდიდრეა დაგროვილი, — მითხრა მან შეწუხებით, — დიდი შრომა მაქვს გაწეული მასზედ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და დიდი ფულიც დახარჯული ჩემი ღარიბი სტუდენტური ბიუჯეტიდან, უკანასკნელ კაპიკსაც რომ არ ვიშურებდი მისთვის. მიყვარს ყველაფერი ეს და თავს ვევლები, მაგრამ რა? როდემდის უნდა ვუცქირო ასე და ველოდო — პუშკინის ძუნწი რაინდივით? მით უფრო, რომ მე უკვე მოვხუცდი და ჩემს შემდეგ ვინ იცის, ის როგორ უაზროდ დაიბნევა უპატრონოდ დარჩენილი. ამიტომ გადავწყვიტე ყველაფერი ესენი დარგების მიხედვით გადავუგზავნო უსასყიდლოდ, საჩუქრად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ბიბლიოთეკას. დაე, ისარგებლოს ხალხმა, იკითხოს ახალგაზრდობამ, ვიდრე უსარგებლოდ ეწყოს აქ თაროებზე. — დასძინა მან, — კავკასიოლოგიური ლიტერატურა მინდა გადავუგზავნო კავკასიის სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებს და მოვიფიქრებ ახლა თუ სად სახელდობრ, ან რამდენი. თქვენი თბილისის სახარო ბიბლიოთეკას უკვე გადავუგზავნე ამას წინათ რამდენიმე კარგი წიგნი და, ვფიქრობ, იმას უკვე ეყოფა ის, ახლა, რაც დარჩა, იმასაც გავანაწილებ და მოვისვენებ კიდეც.

ძალზე დამენანა ასეთი ძვირფასი წიგნების დაქსაქსვა, დაწვრილმანება სხვადასხვა ბიბლიოთეკაში და ჩემი აზრი გავუზიარე მეგობარს, ისიც ვუთხარი, რომ უმჯობესი იქნებოდა ერთად მოეყაროს თავი სადმე რომელიმე ერთი დარგის ლიტერატურისათვის, მაგალითად, კავკასიოლოგიური დარგის ლიტერატურა, რამდენიც არ უნდა იქნეს ის, ყველა გადაიგზავნოს მხოლოდ თბილისში, როგორც კავკასიის ცენტრში, სადაც მკითხველი კავკასიის ყოველი კუთხიდანაა-მეთქი. ის კი, რაც უკვე გადაუგზავნიათ თბილისში და თქვენ საკმარისად თვლით, წვეთია-მეთქი ზღვაში იმასთან შედარებით, რაც გქონდათ და გაქვთ ჯერ კიდევ.

შემატყო დიდი სურვილი და აღარ მაწყენინა; კარგით, — თქვა, — ეგრე იყოსო, ჩემთვის სულ ერთიაო, მითხრა, მოვუყაროთ თავი კავკასიოლოგიურ ლიტერატურას საქართველოს დედაქალაქშიო, — მითხრა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. და ამას არც ვმალავდი. მთელი დღე დავრჩი ძვირფას მეგობართან, ვიდრე თბილისში წამოვიდოდი მატარებლით და სულ იმ ძვირფას წიგნებში ვტრიალებდით, გადავარჩიეთ და ცალკე დავაწყვეთ თბილისში გადასაგზავნი წიგნები, ხოლო წამოსვლის წინ ამ მარაგიდან თხუთმეტიოდე წიგნი მაგრად შევკარით და ჩემს ბარგს მივუმატე.

მძიმე შემექნა ტვირთი, მაგრამ არ დავერიდე, ვშიშობდი ისეთი არაფერი მომხდარიყო, რომ ეს იშვიათი წიგნები სხვაგან გაგზავნილიყო.

მასპინძელმა გულმოდგინედ აღნიშნა თავის დავთარში ყველა წიგნები, რომელიც მე გამომატანა თბილისის სახარო ბიბლიოთეკისათვის.

მოვდიოდი შინისაკენ მეტად კმაყოფილი და მხიარულ გუნებაზე. ირგვლივ, რომ იტყვიან, ყველაფერი ვარდისფრად მეჩვენებოდა, ვგრძნობდი, რომ რაღაც კარგი საქმე გავაკეთე იმ კეთილშობილი მეგობრის წყალობით, სა-

შვილიშვილო, ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რომელიც ფულით არ განიზომება.

სადღა იშოვი ახლა ასეთ უნიკალურ წიგნებს?!

ჩემი ბარგიც ისე მხუბუქად მეჩვენებოდა, თითქოს წიგნები კი არა აიაზმა ყოფილიყოს და ჩამოვედი თუ არა თბილისში, მეორე დღესვე წაველი სოსო გრიშაშვილთან რამდენიმე წიგნით ხელში.

სოსოს კონალამ თვალები გადმოუცვივდა, წიგნებს რომ შეხედა. აიღო ხელში ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე კიდე სხვა და სულ ფურცელ-ფურცელ გადახსნა, მერე ყნოსვა დაუწყო, თითქო მაისის ვარდიაო, ხედავ, საუკუნის არომატიო, — ამბობდა კმაყოფილებით და წიგნებს ხელში ათამაშებდა.

— აი, ასეთ წიგნებს დავეძებ, ქეთო, ჩემი ბიბლიოთეკისათვის ჩემი დღე და წუთისოფელი... როგორ დაამშვენებდა ჩემს ბიბლიოთეკას, ქეთო, ჰა? — მიმართა სოსომ მეუღლეს.

— ლადო არ გვეტყვის უარს, ვთხოვოთ და დაგვითმობს, — უთხრა ქეთომ, მაგისთვის ხომ სულ ერთია რომელ ბიბლიოთეკაში იქნება წიგნი, საჯაროში თუ ჩვენსაში. ორივე თბილისშია!

მაგრამ მე არ ვგრძნობდი თავს უფლებამოსილად მეთქვა ან „ჰო“ ან „არა“. წიგნები სარკიზოვ-სერაზინისა იყო. ამიტომ შევპირდი მეგობრებს მივწერდი მოსკოვში „ვისაც ჯერ არს“ და შედეგს ვაცნობებდი დაუყოვნებლივ.

— ეს წიგნები მართლა წიგნები ხომ არაა? — განაგრძობდა ლაპარაკს სოსო და წიგნებიდან ხან ერთს, ხან მეორეს ხელში ატრიალებდა, — ეს უნიკალური ნივთებია, ქეთო, გესმის? ფასდაუდებელი ნივთები. სადღაა ასეთები? წლითი-წლობით ილევა მათი მარაგი, რადგან თავს იყრიან სახელმწიფო დაწესებულებებში, საჯარო ბიბლიოთეკებში და იქ უკვე სამუდამოდ რჩებიან: ასე რომ, ბუკინისტები ერთხელ თუ გაუშვებენ ხელიდან, მეორედ იმას ველარ იხილავენ. ეს მხოლოდ ძველ დროში შეიძლებოდა, კერძო ბიბლიოთეკების პირობებში.

რამდენი დრო და ენერგია უნდა დაკარგო, სად უნდა წახვიდე იმის გულისთვის, რომ ასეთები იპოვო შესაძენად!

— შენ გაიხარე, ჩემო ლადო, რომ ასეთი წიგნების ნახვით გამახარე. — მეუბნებოდა სოსო და წიგნების თვალიერებით ვერა ძღებოდა. მერე მთხოვა რამდენიმე დღით დამეტოვებინა მასთან ყველა ისინი, სანამ მოსკოვიდან ჩემს წერილზე პასუხი მომივიდოდა.

ძალზე გახარებული იყვნენ სოსო და ქეთო, როცა მოსკოვიდან მათთვის სასიამოვნო პასუხი მივიღეთ.

ჩატაცებულმა ბიბლიომანმა იმ იშვიათი წიგნებიდან მხოლოდ სამი გადაარჩია თავის ბიბლიოთეკისათვის:

¹ Руководство к познанию Кавказа, Мих. Селезнева, в двух частях (в одной книге). 1847, СПб.

² История георгианская о юноше князе Амилахварове с коротким прибавлением истории тамошней земли», 1779.

³ Прекрасная грузинка или нашествие Аги Магомет Хана на Тифлис. Исторический роман. Сочинение Платона Зубова», 1814 г.

წამოსვლა რომ დავაპირე, სოსო მეორე ოთახში გავიდა ქეთოსთან ერთად და სამი რაღაც ქაღალდის ფურცლით ხელში გამოვიდა.

— მე ისეთი გახარებული ვარ, ლადო, ამ იშვიათი წიგნებით, რომელსაც დიდი ხანია ვეძებ და როგორც იქნა ვიპოვნე შენი წყალობით, რომ არ ვიცი, რითი გადაგიხადო მადლობა. გთხოვ სამაგიეროდ მიიღო ჩემგან ეს სამასი მანეთი და ჩემს სამახსოვროდ შეიძინო რამე, რაც გესიამოვნება.

მხოლოდ ეხლა გავერკვიე, რომ სოსოს სამი ცალი ას-ას მანეთიანები ეკავა ხელში და მაძლევდა. ქეთოც თავის მხრივ მთხოვდა, აიღე, ნუ აწყენინებ სოსოსო. მე, რომ იტყვიან, „თავში დამცეცხლა“ მოულოდნელობისაგან და ცივი უარით ვუპასუხე მეგობრებს, მიუხედავად დიდი პატივისცემისა, რომელსაც მუდამ ვგრძნობდი მათდამი ჩემი საკუთარიც რომ ყოფილიყოს ის წიგნები, მაინც არ ვკადრებდი ჩემს თავს, ისეთი ახლობელი ადამიანებიდან ფულის აღებას და სხვისაში ხომ რა უფლება მქონდა ამელო?

სოსო და ქეთო მაინც მთხოვდნენ დაჟინებით, არ მეშვებოდნენ: ჩვენ ამაზე მეტსაც დავხარჯავდითო, მეუბნებოდნენ, და შოვნით მაინც ვერ ვიშოვნიდით: დაგვდევი პატივი და აიღე ეს ფულიო.

მე, რა თქმა უნდა ჩემი მტკიცე უარი ბოლომდე დავიცავი. „ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე“, როგორც იტყვიან ასეთ შემთხვევაში. და გულთბილად გამოვეთხოვე მასპინძლებს. ის რომ სოსო არ ყოფილიყო, მისი ბავშვური სიწმინდით და დიდი კეთილშობილებით, მე უთუოდ ნაწყენიც დავრჩებოდი ამ ამბით.

მეორე დღეს საჯაროში ვიყავი და თამარ მაჭავარიანთანაც შევიარე ჩვეულებისამებრ და ვუთხარი და გავახარე, მოსკოვიდან რომ თანხმობა მივიღე გრიშაშვილისათვის რამდენიმე წიგნის დათმობის შესახებ და ისიც მოვუყევი როგორი გახარებული დარჩა სოსო იმ წიგნებით და როგორ მთავაზობდა მე ამის გამო ფულად ჯილდოს. თამარმა იცოდა ჩემი წერილის ამბავი და აინტერესებდა, თუ რა პასუხს მივიღებდი.

სადაც არ უნდა ყოფილიყო სოსო, წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც პირველ რიგში ახსოვდა და ფიქრობდა მის შეძენას.

ერთხელ, ეს იყო დაახლოებით 1959 წლის დასაწყისში, საღამო ჟამს ჩვეულებისამებრ სოსოსთან შევიარე.

ჩვენი იმ დღის საუბარი ჩვეულებრივი იყო — ლიტერატურა, პოეზია, წიგნები და სხვა. გამოირკვა, რომ სოსო რაღაც საქმეების გამო — პირადისა თუ საზოგადოებრივისა, მოსკოვში მიდიოდა იმ დღეებში.

უცბად სოსომ თითქო რაღაც საინტერესო რამე იპოვაო, გახარებული სახით წამოიძახა:

— მართლა, ლადო, კინაღამ დამავიწყდა! შენ რომ მოსკოვში კარგი მეგობარი გყავს, ძველ წიგნებს რომ უგზავნის ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკას, მოდი რა, თათარიახნად, იმ შენს მეგობართან ერთი კარგი წერილი დამიწერე, რომ მივიდე მასთან და გავიცნო პირადად. ძალიან მაინტერესებს მისი ნახვა, შეიძლება ბიბლიოთეკაც მაჩვენოს თავისი...

სოსომ მაგიდის უჯრიდან ფოსტის ქაღალდი ამოიღო და წინ დამიდო. კალამიც მომირბენია. მეც მივწერე მეგობარს დაახლოებით ასეთი წერილი.

„თბილისი. 1959 წლის 6 თებერვალი, პოეტ გრიშაშვილის ბინა.

ძვირფასო ივან მიხაილოვიჩ! ამ წერილს გწერთ სრულიად შემთხვევით. შემოვიარე ჩვეულებისამებრ ჩემს მეგობარ პოეტ იოსებ გრიშაშვილთან, აქაური რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელთან ერთად და გაგიხსენეთ თქვენც, ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკისათვის თქვენ მიერ იმ იშვიათი წიგნების გამოგზავნასთან დაკავშირებით და უცბად იოსებ გრიშაშვილმა მომიტანა ქაღალდი და კალამი და მთხოვა მოგწეროთ თქვენ წერილი, რომელსაც ის პირადად გადმოგცემთ თქვენ მოსკოვში ჩამოსვლისას სულ მოკლე ხანში.

მას დიდი სურვილი აქვს გაიცნოს თქვენი „წიგნების მუზეუმი“. ისიც ხომ დიდი ბიბლიომანია თქვენსავით, როგორც უკვე გწერდით ამასწინათ და უყვარს რა ეს საქმე, უყვარს მასთან ერთად ასეთი „სულიერი ნათესავებიც“ და კერძოდ თქვენც უყვარხართ, როგორც წიგნის დიდი მოყვარული, ის გიცნობთ თქვენ ჩემი სიტყვებიდან და ახლა უნდა პირადადაც გინახულოთ და გაგიცნოთ, რომ თვითონ დაგიდასტუროს ულრმესი პატივისცემა თქვენდამი.

მეგობრული სალამით ლადო ჯაფარიძე“.

სოსო მეტად კმაყოფილი დარჩა მინაწერით და სათუთად ჩადო რა მისთვის ჩვეული სიფაქიზით გამზადებულ კონვერტში, დადო მაგიდაზე მოსკოვში წასაღებად განკუთვნილ ქაღალდებთან.

ი. მ. სარკიზოვ-სერაზინი დიდი დიაპაზონის მოღვაწე იყო. მეცნიერი და მწერალი. ის ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ და [illegible] რიც იცოდა როგორც ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე უცხოეთის ცხოვრებისა. იშვიათი მოსაუბრე იყო და ამიტომ მოუთმენლად ველოდი იოსებ გრიშაშვილის შეხვედრას მასთან, რაც, როგორც დარწმუნებული ვიყავი. ორივე მათგანის სასიამოვნოდ უნდა დამთავრებულიყო.

მაგრამ მოხდა სამწუხაროდ ისე, რომ სოსომ თუმცა კი მოიარა მოსკოვი, იმ სასურველ ადამიანს მაინც ვერ შეხვდა მისი იქ შემთხვევით არ ყოფნის გამო.

სოსო დაღონებული შემხვდა, თბილისში დაბრუნებული, და შემომჩივლა, ვერ ვნახეო, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ივან მიხაილოვიჩისაგან შემდეგი წერილი მივიღე:

Милый Владимир Малакиевич!

Я только что вернулся с сердечного санатория, в котором пролежал два месяца.

Дома мне сказали, что ко мне неоднократно звонил какой-то гражданин из Тбилиси с письмом. От кого письмо, он не говорил.

Из Вашей открытки я узнал, что этот гражданин был поэт Гришашвили.

Какая досада, что я не познакомился с этим выдающимся поэтом Грузии, которого я очень уважаю и ценю, как достойного представителя старой когорты великих грузинских поэтов. Если бы мне сказали (жена и дочь), что звонил Гришашвили, я бы его пригласил к себе в санаторий. Место здесь красивое, старые дворянские уголки тургеневского времени, чудесные пруды, мощный лес, красивейшие виды Подмосковья. Его бы, как поэта, захватило бы.

Прошу Вас извиниться перед ним и объяснить ему, что больным лежал в санатории.

Пожелайте т. Гришашвили дальнейших творческих успехов.

Москва, 8 мая 1959 г.

Жму Вашу руку и дружески обнимаю

Ваш Ив. Саркизов-Серазини.

შევწუხდი, მაგრამ რაღას ვიზამდი!

მანუგეშა ოლონდ იმ ამბავმა, რომ დიდი რუსი ინტელიგენტი ასე თბილად მწერდა ჩემი ქვეყნის საყვარელ პოეტზე. ასე კარგად ახსენებდა მას და გულწრფელად სწუხდა, რომ ვერ შეხვდა მას და ვერ გაიცნო.

ეს დიდად სასიამოვნო იყო ჩემთვის, თანაც საამაყო. ვიცოდი, რომ სოსოსაც გავახარებდი ამ ამბით და ამიტომ სპეციალურად წავედი მეგობართან ამის სათქმელად.

სოსოს სახე გაუბრწყინდა სიამოვნებისაგან ასეთი კარგი სიტყვების გამო მის შესახებ და კიდევ უფრო მეტი სინანული გამოთქვა იმ „უიღბლობის“ გამო, რომ ვერ შეხვდა ასეთ ადამიანს. რაც შეეხება ქებას მისი მისამართით, ბევრი ლაპარაკი აღარ განაგრძო, ერთი კი თქვა

— ეჰ, რა საქები ვარო, მაგრამ ეს უფრო იმისთვის, რომ თავისი თავაზიანობის გრძნობა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ქება კი მიეღო და დაედასტურებინა.

მართლაც და, ძალიან მორიდებული იყო, თავმდაბალი, თავაზიანი; რომ აქებდი, ერიდებოდა. თვითონ თუ ვისმეს აქებდა, მთელი გულით და ხშირად გადაჭარბებითაც.

ჩემს ქაღალდებში აღმოჩნდა შემდეგი ლექსი, სათაურით „მეგობარი“.

მომივლია შოთას მხარე,
მშობლიური მთა და ბარი,
მიძებნია, მიპოვნია
გულითადი მეგობარი.
ვისაც არ სწამს მეგობრობა,
ქურდია და მეკობარი.
ამტანია, გამტანია,
მხოლოდ ერთი — მეგობარი.
ამიტომაც გამიგონეთ,
გესმათ ჩემი ნაუბარი:
შეიძინეთ, შეიძინეთ,
შეიძინეთ მეგობარი.

ი. გრიშაშვილი.

ი. გრიშაშვილის ლექსები გაზეთ „ცნობის ფურცელში“ („სახალხო ფურცელში“) იბეჭდებოდა და ყოველი მათი დანახვა გაზეთის ფურცლებზე დღესასწაული იყო ჩვენთვის — ახალგაზრდებისათვის. მაგრამ სამწუხაროდ, არც ისე ხშირი იყო ასეთი დღესასწაული. იშვიათად თუ გამოერეოდა, სამაგიეროდ ნამდვილი სიხარული და სიამოვნება იყო. ტყუილად არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: დაილოცოს ყველაფერი, რაც იშვიათიაო. ჩანს ზომიერება უყვარდათ და აფასებდნენ მხოლოდ იმას, რაც თავსაყარად არ ჰქონდათ.

— გრიშაშვილის ლექსია დღეს გაზეთში!.. — ვახარებდით ერთი მეორეს და თან იმ ლექსის ორიოდე ბწკარს ზეპირად ვკითხულობდით.

მოგვწონდა ეს რითმათა სიმდიდრე, მეტაფორული წყობის სილამაზე და ორიგინალობა. ძველი თბილისის, ძველი გმირების და პოეტების ხსენება და ეს სიტყვები დიდხანს გვადგა ენაზე:

მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ
მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე
სწვავდეს ჩემს კუბოს:
ან მსურს მტკვრის ტალღამ ორთაჭალის
ხრამს დამაგუბოს
(მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ
მშფოთარი).
და მე არ მინდა სხვა ანდერძი არავითარი:
ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები...
აელერეთ თარი...
რომ საიქიოს სიათნოვა არ წამეჩხუბოს!

მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ
მშფოთარი.
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე
სწვავდეს ჩემს კუბოს.

— შემოალაჯე, ლადო!... — მეტყოდა ხოლმე რომ შევხვდებოდი. უყვარდა, როცა საღამო ჟამს მიაკითხავდნენ ხოლმე მის შესანიშნავ ბინაზე, ლენინის ქუჩაზე მეგობრები და იჯერებდა გულს მათთან თავისებური გემოიანი მასლაათით.

და არც აკლდა სტუმრები მის შემდეგ, რაც ისეთი ლამაზი ოჯახი ააწყო და დიასახლისიც ისეთი შეხვდა. თვითონაც სტუმართმოყვარე, გულუხვი და გულკეთილი, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ქეთო ჯაფარიძე.

მე არ მახსოვს, რომ მივსულიყავი ამ შესანიშნავ ოჯახში და იქ სტუმრები არ ყოფილიყვნენ — ან ხოსოს ახლობლები და მეგობრები, ან ქეთოსი, ან ორივესი ერთად.

ქეთო ჯაფარიძემ, მართალია, უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა თბილისში და შემდეგ გერმანიაშიც სწავლობდა, ლაურეატობაც დაიმსახურა და კარგი სახელიც, მაგრამ ყველაფერზე უფრო მას ის ამშვენებდა ცხოვრებაში, რაც ყოველ კეთილშობილ მანდილოსანს უნდა ახასიათებდეს ჩვენს დროში. ესაა ქალური მოკრძალება და სიფაქიზე. და ეს თვისებები ქეთოს თავის დიდ ადამიანობასთან ერთად უხვად ჰქონდა. ასევე უხვად ჰქონდა მას მიმადლებული ბუნებიდან გარეგნული სილამაზე და ელეგანტობა.

სამამულო ომის დროს მე მომიხდა სვერდლოვსკში მოგზაურობა და, როცა იქ სადმე დაწესებულებაში, თუ კერძო ოჯახში ჩემს გვარს გაიგონებდნენ, ყველას რაღაც სასიამოვნო სხივი გადაურბენდა სახეზე და იმ წამსვე შემეკითხებოდნენ — ქეთო ჯაფარიძეს თუ იცნობთო, და მოჰყვებოდნენ მის ქებას და დიდებას, როგორც კარგი მომღერლისა და დიდებული ადამიანისა.

ქეთომ იშვიათი მეგობრობა გაუწია თავის ხოსოს, ის მას უვლიდა პატარა ბავშვივით და თავს ევლებოდა.

ი. გრიშაშვილი მეტად საინტერესო პიროვნება იყო თავისთავად, თავის პოეტობის გარეშეც. ყველაფერი სასიამოვნო იყო მასში, ყველაფერი მიმზიდველი. ხასიათითაც, მანერებითაც, წყნარი იყო, აუღელვებელი, მშვიდი: როგორ კოხტად აკეთებდა ძველ წიგნებს, აწებებდა, უკეთებდა წარწერებს, განმარტებებს, თუ სად ვისგან ან როდის შეიძინა, ან რა პირობებში. ან კიდევ სხვა საჭირო შენიშვნებს.

ლექსს სწერდა თუ ნარკვევს, ყველაფერს უზუსტესი დაკვირვებით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ყველაფერი დიდ ინტერესს იწვევდა მასში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით კი ძველი, გარდასული, ცხოვრებიდან გამოსული; ყველაფერი ეს თითქო რაღაც სინანულის გრძნობას იწვევდა მასში და თავს აყვარებდა: ძველი წიგნი, ძველი აფიშა, ძველი არღანი, ეს „აშპაშხანა", ეს „არმაღანი" და ასეთები. მაგრამ განსაკუთრებით აღელვებდა მას ძველი წიგნები, მისი ფურცლების ნესტი და ჟანგი".

მე შემიყვარდა ძველ წიგნების ნესტი და
ჟანგი.
ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთომს,
ძველ ნატამალსა,
ახ, ნეტავ იმ დროს, როცა სწერდა
„დასტურლამალსა"
მეფე ვახტანგი!

ი. გრიშაშვილი, როგორც ცნობილია, საერთო სიყვარულით სარგებლობდა ჩვენში და საერთო აღიარებით. ეს მან წლების მანძილზე დაიმსახურა, დაუღგრომელი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად.

როგორც ცნობილია, ვ. გუნია პირველი იყო მათგან, ვინც ობლად დარჩენილ იოსებ გრიშაშვილის უმწეო ბედში მიიღო მონაწილეობა, პატრონობა გაუწია მას და გზის წინამძღოლობა იკისრა. პოეტი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გრძნობდა ვ. გუნიასადმი ულრმეს მადლობას და მეორე მამას უწოდებდა მას. ეს მე ხშირად გამიგონია სოსოსგან.

მახსოვს, გაზაფხული იყო.

და არა მარტო ბუნებაში. პოლიტიკურ ცხოვრებაშიც — დიდი რევოლუციის პირველი წლები.

ცნობილ მსახიობს და საზოგადო მოღვაწეს ვალერიან გუნიას იუბილეს უმართავდა ქართული საზოგადოებრიობა.

ასეთი ამბავი იმ დროს ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა, რადგან რევოლუციამდე იშვიათად თუ რომელიმე ქართველ მოღვაწეს იუბილეზე დართავდა მეფის მთავრობა უფლებას. ამიტომ ამ იუბილეში ფართო საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა. მე იმ დროს ფოთში ვმუშაობდი და ადგილობრივმა დრამატულმა საზოგადოებამ პატივი დამდო და თავის წარმომადგენლად მიმავლინა იუბილეზე თბილისში იუბილარისთვის მისალმების წარსადგენად ფოთის საზოგადოებრიობის სახელით.

ოპერის თეატრში ტევა არ იყო ხალხის, მისალმება მისალმებას მისდევდა, ბოლოს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილი და ისეთი კორიანტელიააყენა ვალერიანისათვის მიძღვნილი თავისი იშვიათი ლექსით და უფრო კი მისთვის ჩვეული უბადლო დეკლამაციით, რომ კედლები ზანზარებდნენ მქუხარე ოვაციისაგან.

დასასრულ პოეტმა მიმართა დამსწრეთ:

და თქვენ, ხალხო, თუ ოდესმე
მოგიძღვნიათ ჩემთვის ქება,
და ყოფილა თქვენს თვალებში
ჩემი ლექსის აშუქება,
თუ ოდესმე მეც ვყოფილვარ
სიყვარულის უსტაბაში
და სცენაზე გამოსვლისას
თუ დაგიკრავთ ჩემთვის ტაში,
იგი ტაში, იგი ქება, აჰ,
მეკუთვნის მე კი არა.
ის ეკუთვნის ჩემს ვალიკოს,
ვინც მე ლექსებს მაზიარა,
ვინც მე მზრდიდა ბალღობიდან,
ვის ვეძახი მშობელ მამას,
მე არა ვარ ტაშის ღირსი,
ის ეკუთვნის ამას... ამას...

იქუხა ტაშმა, გეგონებოდათ კედლები ინგრევაო. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ლექსის უკანასკნელმა სტრიქონებმა და ოსტატურად ჩაქსოვილმა აზრმა: „მე არა ვარ ტაშის ღირსი, ის ეკუთვნის ამას... ამას..." და უფრო კი დეკლამატორის საოცარი გემოვნებით ამართული ჟესტი და მისებური მაღალი ტონით შეძახილი „ამას... ამას!".

იუბილარი კი — დიდი მსახიობი და ერთგული მოღვაწე ვალერიან გუნია — უძრავად იდგა ადგილზე და ოლიმპზე მდგარ ზევსს მოგაგონებდათ.

და ძნელი გასარჩევი იყო თუ რომელს უფრო ეკუთვნოდა ის დაუსრულებელი ოვაცია და ვისი მისამართით უფრო ჰქუხდა ხალხის ერთსულოვანი ტაში. საყვარელი პოეტის თუ ისეთივე საყვარელი იუბილარის მისამართით.

ყოველ შემთხვევაში ძალზე კი ჰქუხდა და, უნდა ითქვას, ჰქუხდა გულწრფელად.

მე ხშირად ვყოფილვარ მოწმე იოსებ გრიშაშვილის გამოსვლისა სცენაზე და აღფრთოვანებული ოვაციებისა მისი მისამართით, მაგრამ ასეთი ერთსულოვანი აღტაცება მე არ მახსოვს. ეს რაღაც განსაკუთრებული იყო, რაღაც იშვიათი.

მიყვარდა მასთან ბაასი, მისი ტკბილი საუბარი.

ერთხელ დამათვალიერებინა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა, ყველაზე დიდი ოთახი მიეჩინა მისთვის თავის ბინაში, ლენინის ქუჩაზე. აუარებელი წიგნები! ყველა ისინი მწყობრად ჰქონდა დალაგებული თაროებზე. გამიკვირდა, რამ გამოატანინა ამდენი წიგნები და როგორ აუვიდა მის ასე კარგად დალაგებას ამდენ თაროზე. ან მათ მოვლას როგორ აუდიოდა!

ყველაფერს ისე დეტალურად მიხსნიდა, სად რა შინაარსის წიგნი დევს, რა დარგის, თანაც გზადაგზა ფურცლავდა კიდეც ზოგიერთს მათგანს და ისეთი მძაფრი ინტერესით, გეგონებოდათ პირველად ეცნობა ამ წიგნსო.

ძველი არღანიც მაჩვენა, „გადაატრიალა" კიდეც და სამოთხის ხმებად ჩაგვესმა ორივეს მისი ძველისძველი ჰანგები.

გადიოდა ხანი და მეც ათასში ერთხელ თუ შევიდოდი სოსოსთან, ვიცოდი, რომ სასიამოვნოდ რჩებოდა ჩემი მისვლა, მაგრამ ყოველ ცალკეულ მისვლაზე უფრო და უფრო ვატყობდი, რომ ჩვენი სასიქადულო მგოსანი — ქართული ლექსის ეს ნამდვილად შთაგონებული დიდი ოსტატი რაღაც ცუდად გრძნობდა თავს და ხალხსაც ერიდებოდა. მეც ვიფიქრე, ვაი, თუ მეც ვაწუხებ-მეთქი და შევიკავე თავი მასთან მისვლისაგან.

1965 წლის აპრილის შუა რიცხვებში გაზეთ „კომუნისტში" აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის შესანიშნავი წერილი წავიკითხე, სადაც ავტორი დიდი გულისწუხილით მოუთხრობდა ქართველ საზოგადოებრიობას თუ როგორ ინახულა მისი და მთელი ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსანი და როგორ უნუგეშო მდგომარეობაში იხილა ის.

თავის საგულისხმო წერილს პატივცემული გიორგი შემდეგი სიტყვებით· ამთავრებდა:

„მიმდინარე (1965) წლის 28 აპრილს იგი (ი. გრიშაშვილი) უნდა დაესწროს თავისი ცხოვრების სამოცდამეთექვსმეტე გაზაფხულს. ეს არ იქნება მისთვის ჩვეული პოეტური გაზაფხული, რომელსაც წინათ ახალი სიმღერებით ეგებებოდა. მაგრამ, ვინც მთელი ცხოვრება ქართული ლექსის უანგარო სამსახურს შეალია, ვინც სახელოვნად დაიფერფლა პოეზიის გრძნეულ პარნასზე და თავისი ერის სულიერი კულტურა გაამდიდრა, მისთვის სავალდებულო აღარ არის დიდების ახალ გვირგვინებს წნავდეს; მას შეუძლია დამშვიდებული იყოს, რომ ხალხის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ძველი გვირგვინებიც ყოველთვის ახალ პოეტურ გაზაფხულს მიულოცავენ".

წერილთან ერთად მოთავსებულია პოეტის ფოტოსურათიც, ს. კილაძის მიერ გადაღებული, საიდანაც აშკარად ჩანს პოეტის ავადმყოფობა.

გული მატკინა ყველაფერმა ამან და განსაკუთრებით პოეტის ლოგომ; ბევრი ვიფიქრე წავსულიყავ თუ არა, რადგან ვშიშობდი, არ შემეწუხებინა ჩემი მისვლით და ბოლოს მაინც გადავწყვიტე წასვლა, რომ ერთხელ მაინც მენახა კიდევ ძვირფასი მეგობარი.

ვნახე კიდეც (ეს იყო 1965 წლის 16 მაისს) და ჩემი მძიმე შთაბეჭდილება, როგორც კი მოვედი შინ, იმ წამსვე ჩავწერე საუცბათოდ და ჩემს ქაღალდებში შევინახე.

მინდა ეს ჩემი მოგონებები პოეტზე იმ საუცბათოდ დაწერილი ჩემი შთაბეჭდილებით დავამთავრო.

აი ისიც:

16. V. 65.

დღეს სოსო გრიშაშვილთან ვიყავი.

კარგა ხანია აღარ მინახავს ძველი მეგობარი. ვერაა კარგად. სამწუხაროდ, სულ სახლში ზის და გარეთ ველარ გამოდის. დავუკავშირდი მის ბინას. ტელეფონთან ქეთო მოვიდა.

— ცუდათაა, გენაცვალე, — მითხრა მან ჩემს შეკითხვაზე თუ როგორაა სოსო და შეიძლებოდა თუ არა მისი ნახვა, — მაგრამ, თუ მოხვალ, არ იქნება ურიგო, ეგება ესიამოვნოს შენი ნახვა.

წავედი. კარი მოსამსახურე ქალმა გამიღო, მაგრამ ზარზე ქეთომაც გამოიხედა, მომეგება გულთბილად და მისაღები ოთახისაკენ გამიძღვა. იქ განიერ დივანზე იჯდა სოსო. მარტო. ჩაცმული სუფთად, როგორც ყოველთვის. ლამაზ პიჟამოს ქვეშ თეთრად გაქათქათებული პერანგი ელავდა. ახალი გაპარსული იყო და თავზე მისი საყვარელი კახურის მსგავსი აკადემიკოსის ქუდი ეხურა. ფიქრებს მისცემოდა თუ რა იყო, იატაკის ერთ წერტილს მისჩერებოდა გარინდული, გაყინული თვალებით.

— სოსო, გენაცვალე, აი რა გახარო! — მიმართა მას ქეთომ, შეხედე ვინ მოსულა! შენი ლადო -ხომ იცანი? მიესალმე გენაცვალე შენს ლადოს...

სოსომ თავი ასწია და დადუმებული სახე ჩემკენ მოაბრუნა. ნელა, გაჭირვებით... კარგად დამაკვირდა, წარბები შეჭმუხნა, თითქო მეხსიერებას იშველიებსო და... უცბად ძირს დაშვებული მკლავები ჩემკენ გამოაშვირა, მომკიდა ხელი, მიმიზიდა და გულში ჩამიკრა...

ტიროდა... გულამომჯდარი ტიროდა, ჩუმად, უნუგეშოდ.

— როგორა ხარ, სოსო, გენაცვალე? — ძლივს ვახერხებ ხმის ამოღებას და გულში ვნანობ, რომ ჩემი მოსვლით უსიამოვნება მეტი მივაყენე, ვიდრე სიამოვნება.

მე ვზივარ გარინდული სოსოს გვერდით და ხმას ვერ ვიღებ.

— კარგი გენაცვალოს ქეთო, კარგი, თორემ შეწუხდა შენი ლადო, — ეუბნება ქეთო მტირალ სოსოს, — ხომ გსიამოვნებს როცა მოდის ხოლმე? ჰოდა აბა როგორ მოვიდეს თუ შენ ასე შესწუხდები ყოველ მის მოსვლაზე?!.

გაბრუებული ავდექი მძიმე შთაბეჭდილებით და, მოვედი თუ არა შინ, სახელდახელოდ ჩამოვწერე რაც იქ ვნახე იმ დღეს და გავიგონე.

იოსებ გრიშაშვილმა დიდად გაამდიდრა ჩვენი ქვეყნის სულიერი კულტურა და ხალხის სამარადისო სიყვარული დაიმსახურა.

მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ისე გათავდა, როგორც თავდება ადრე თუ გვიან, ყველასი, ვინც ჩვენს წუთისოფელს სწვევია ოდესმე და დაგვრჩა მხოლოდ მოგონება, რომ ძვირფასი მგოსანი ამ ქვეყნად ამაღლებულს თესავდა და სიყვარულის ჰიმნებს მღეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

# მკვლევარის ღვაწლი

„ჩემო თბილისო, ჩემო ცაო, ჩემო კრიალა, ჩამონათალო საქართველოს სილამაზისა“, წერდა ერთ ლექსში იოსებ გრიშაშვილი; თავის თავს იგი სილამაზის ტრფიალს უწოდებდა. სილამაზეზე, მშვენიერებაზე მას უაღრესად ფართო წარმოდგენა ჰქონდა — მისი აზრით, იგი განფენილია მთელ სამყაროში; მშვენიერება — ეს არის ჭეშმარიტება და სიმართლე, ყოველივე ის, რაც ამაღლებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას. პოეტი სავსებით ეთანხმებოდა იმ მწერლებს, რომლებიც ამტკიცებდნენ: მშვენიერების ადგილი და სამყოფელია არა მარტო მუზეუმები, სურათები და ქანდაკებები, არამედ მთელი ცხოვრება, სოფლისა თუ ქალაქის ლანდშაფტები, კეთილი საქმეები ადამიანისა; იგი უნდა ჩანდეს თვით წვრილმან საყოფაცხოვრებო ნივთებშიც კი, მთელ ყოფაში.

ვ. ხტასოვი თავის ერთ წერილში აღნიშნავდა: ნამდვილი ხალხური ხელოვნება აღმოცენდა იქ, სადაც კოხტა და ლამაზია ჩემი კიბე, ოთახი, კოვზიც ჭიქაც, ფინჯანიც, მაგიდაც, კარადაც, ღუმელიც, შანდალიც და ასე შემდეგ, უკანასკნელ საგნამდე. ნამდვილი, ჯანსაღი ხელოვნების პირველი ფუძემდებლები სხვადასხვა პროფესიის ოსტატები იყვნენ, უაღრესად გაწაფულნი თავიანთ ხელოვნებაში, რომელთაც დახვეწილი და გაფაქიზებული ჰქონდათ მშვენიერების გრძნობა.

ლექსსაც ხალხური საწყისები აქვს, ლექსი ხალხის სულის გაგრძელებაა, მასში ხალხის აზრები და ფიქრებია ჩაქსოვილი; ლექსი თვალმიუწვდომელია, უსაზღვროა, მას შეუძლია მთელი მსოფლიო უცებ შემოგატაროს; აქ გრიშაშვილს მხედველობაში ჰქონდა დიდი მასშტაბის ქმნილებები, უპირველეს ყოვლისა, კი „ვეფხისტყაოსანი“ რომელსაც მან რამდენიმე უმშვენიერესი ლექსი უძღვნა.,. გრიშაშვილი მოხიბლული იყო რუსთაველის გმირების სიმამაცით, ვაჟკაცობით, სილამაზით, სიბრძნით, ტაქტით, ამაღლებული სიყვარულით და მეგობრობით. ისინი, — წერდა გრიშაშვილი, — არა თუ ემორჩილებიან ბედისწერას, არამედ ბატონობენ მასზე.

ი. გრიშაშვილი, იმავე დროს, ქართული კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი იყო. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართული კულტურის მსოფლიო ლიტერატურასთან კავშირურთიერთობათა საკვანძო საკითხების გარკვევას. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მისი ნარკვევი „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი“, რომელიც წარმოადგენს ქართულ ენაზე შექსპირის ტრაგედიების თარგმანების სრულ მიმოხილვას. ყველა ქართული თარგმანის გარჩევის შემდეგ ი. გრიშაშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაჩაბელმა თავის თარგმანებს სავსებით შეუნარჩუნა ის დიდი მხატვრულ-ლიტერატურული და სცენური ღირსებანი, რომლითაც აღბეჭდილია შექსპირის ტრაგედიები. სწორედ მაჩაბლის თარგმანების დადგმის დღიდან იწყება ახალი ეტაპი ქართული თეატრის ისტორიაში.

მოკვეთილი და შნოიანი ფრაზით, ღრმააზროვანი სიტყვებით დაამთავრა გრიშაშვილმა თავისი ზემოხსენებული ნარკვევი: „საქართველოში შექსპირმა უდავოდ სახელოვანი თანამოსაგრე ჰპოვა ივანე მაჩაბლის სახით. შექსპირის ვარსკვლავებმა ღრმად ჩაიხედეს ივანე მაჩაბლის შემოქმედების ტბაში და ორეულის სხივთა ანარეკლი ჩვენს მშობლიურ ჰორიზონტზე ბრწყინვალედ ათინათინდა“.

ძალზე საინტერესო წერილი უძღვნა იოსებ გრიშაშვილმა ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელს — კოტე მარჯანიშვილს. ამ წერილიდან ჩანს, რომ გრიშაშვილი ღრმად იყო ჩახედული მარჯანიშვილის რეჟისორულ საიდ-

უმღლოებაში, კარგად იყო გარკვეული მის შემოქმედების პრინციპებში. მარჯანიშვილს სწამდა მხოლოდ ის ხელოვნება, რომელიც ხალხს ემსახურება, ადამიანს სიხარულს ანიჭებს და მხნეობას უნერგავს; მარჯანიშვილი დაუპირისპირდა ხელოვნებაში აპოლიტიკურ, უიდეო ხელოვნებას. რუსთაველის თეატრში მან დადგა „ცხვრის წყარო", რომელმაც რაღაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, სწორედ ამ სპექტაკლით იწყება ახალი ხანა ქართულ თეატრში, და როგორც ი. გრიშაშვილი ამბობს კ. მარჯანიშვილმა განავითარა ქართული თეატრის რეალისტური გზა და არა მარტო გააგრძელა ილიას მიერ დანერგილი მოქალაქეობრივი პრინციპები, არამედ ეს პრინციპები უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა.

თავის თავად ცხადია, მარტო ამ საყოველთაოდ ცნობილი თარიღებითა თუ ამბებით არ იქცევს ყურადღებას ეს გამოკვლევა; აქ არის გახაოცრად ცოცხალი ეპიზოდები, დაკავშირებული თეატრის ყოფასთან, რომლებიც თითქმის ხელშესახებად და სახილველად წარმოგვიდგენენ მუდამ დაუცხრომელი მარჯანიშვილის, როგორც შინაგან დიდბუნოვნებას, ისე ადამიანურ უშუალობას და მშფოთვარე ტემპერამენტს.

აი ერთი ეპიზოდი:

„მარჯანიშვილს თავისი სტუდია ჰქონდა, — წერს გრიშაშვილი, — ერთხელ ჩემი ლექსების მკითხველმა ნაცნობმა ქალიშვილმა [illegible]თხოვა: „ძალიან მინდა მარჯანიშვილის სტუდიაში ვიმუშაო და კოტესთან მიშუამდგომლეო". გავაცანი. კოტეს ეს გოგონა გარეგნულად მოეწონა (მას უყვარდა, რომ მსახიობ ქალს სასცენო მიმზიდველობაც ჰქონდა) და უთხრა: დაიხწავლე რომელიმე ლექსი, გამოცდები რომ იქნება, მოდი და ხმას გაგისინჯავო! გამოცდებს მეც დავესწარი... ბევრი მოწაფე ჩაირა მაშინ. ბოლოს ჯერი ჩემ ნაცნობ ქალიშვილზე მიდგა. იგი კითხულობდა ჩემს ერთ ლექსს. მე ვღელავდი. როგორც იყო, დაამთავრა ჩემმა პროტეჟემ ლექსი და კუთხეში მიდგა. მე გულში ვფიქრობ: რა აზრისაა კოტე? მოეწონა თუ არა? კარგად წაიკითხა თუ არა? მიიღებს სტუდიაში თუ არა?.. ამ ფიქრში რომ ვარ, ერთიც ვნახოთ, უცბად თავს დამდგომია ისევ ის ნაცნობი ქალიშვილი, ხელში წყლით სავსე ჭიქა უჭირავს და მთავაზობს: „ეს, ბატონო, კოტე მარჯანიშვილმა გამოგიგზავნათ". ამ ცივი წყლის მიწოდებით ჩემთვის უკვე აშკარა იყო, რომ ის გოგონა სტუდიაში ჩაირიცხებოდა... კოტემ ამით ორი საქმე გააკეთა: იმ ქალის ტანის რხევასაც გაეცნო (მსახიობი ქალის სიარული ვარგისი იყო სცენისთვის თუ არა!), ჭიქა წყალი კი იმას ნიშნავდა, დამშვიდდი, გული გაიგრილე და ნუ ღელავო...

გონებამახვილი და უცნაური იყო ჩვენი უფროსი ძმა, დაუვიწყარი კოტე, [illegible] ცხოვრებაშიც".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს უბრალო ამბავია, მაგრამ როგორ ჩანს აქ დიდი ადამიანური სიფაქიზე, დიდი მომთხოვნელობა, და იმავე დროს, გულთბილობა. მარჯანიშვილი აკვირდება არა მარტო გოგონას, რომელსაც სცდის, არამედ თვითონ მეგობარ პოეტს, რომელიც ღელავს. როგორ კარგად უგებენ ერთიმეორეს პოეტი და რეჟისორი ამ უსიტყვო დიალოგში, რამდენი აზრია ჩაქსოვილი სულ უბრალო ნიუანსებშიც! ერთი სიტყვით, ეს არის შესანიშნავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მიზანსცენა", დეტალი, ეპიზოდი. ასეთ ეპიზოდებისაგან შესდგება გრიშაშვილის ნარკვევები და ამიტომ არის, რომ მკითხველი მუდამ დაძაბული ინტერესით ეწაფება მათ.

ახლა გაიხსენეთ ის ამბავი მარჯანიშვილმა, მძიმე ავადმყოფობის დროს გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ნახვა რომ მოინდომა! მეტი რა გზა იყო, წაიყვანეს ავადმყოფი ხარფუხში, ეს არის დაუვიწყარი სურათი, აღწერილი თვით პოეტის მიერ.

აი, ამ თვალსაზრისით არის პრინციპულად საინტერესო ი. გრიშაშვილის ნაშრომები ქართული კულტურის ისტორიიდან. ის თვითონ ცოცხალი ისტორია იყო და დეტალები, ეპიზოდები, რომლებიც მოჰყავდა თავის ნაშრომებში, ისე იყვნენ შერჩეული, რომ უაღრესად ტიპიურნი და დამახასიათებელნი, მთელ ეპოქას ხატავდნენ, წარმოგვიდგენდნენ ეპოქის სტილს, აცოცხლებდნენ იმ დროის ადამიანებს, მათი სულის სილამაზესა და სითბოს გვაგრძნობინებდნენ.

ფრიად საინტერესოა გრიშაშვილის წერილებში გაფანტული ცნობები ლიტერატურულ უოფაზე. პოეტი-მკვლევარი, აქ აწზოგადებს, როგორც თავის შემოქმედებითს გამოცდილებას, ისე ითვალისწინებს წინამორბედთა დაკვირვებებსა და ესთეტიკურ შეხედულებებსაც.

იოსებ გრიშაშვილი ამბობდა: „ლექსის დაწერასა და გამოქვეყნებას შუა ერთგვარი ინტერვალია საჭირო მისი საბოლოო ჩამოძერწვისა და დამუშავებისათვის, მიუხედავად იმისა, ლექსი ერთბაშად ამოითქვა, თუ დიდხანს იწერებოდაო". პოეტის აზრით, მხოლოდ ის ლექსი სწვდება ხალხის გულს და ის ლექსი იკითხება ლაღად და თავისუფლად, რომელსაც რამდენიმე დღელამე მაინც დაუყვია პოეტის საწერ მაგიდაზე; გრიშაშვილს არ მოსწონდა ის სულმოსწრებული პოეტები, მელანს გაშრობას რომ არ აცლიან და ხელნაწერს უმალ რედაქციაში მიარბენინებენ. პოეტი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ზოგჯერ კითხულობ ლექსს და ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს, შნო და ლაზათი დაკარგული აქვს. თუ სათქმელი გაქვს, ბარემ ისე თქვი, რომ კაცმა გაიგოსო". სისადა-

ვე, სიმართლე და ბუნებრიობა — აი მშვენიერების სამი დიდი პრინციპი, რომლებსაც გრიშაშვილი მტკიცედ იცავდა.

ი. გრიშაშვილი, წინააღმდეგ ცალკეული ლიტერატორების მოსაზრებისა, რომლებიც მას მხოლოდ „სიყვარულის მგოსნად" მიიჩნევდნენ, გულმოდგინედ იცავდა მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობის პოეზიას. ეს ნათლად ჩანს მის ლექსებშიც და ნარკვევებშიც. მკვლევარი დიდად აფასებდა იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც უპირატესად ნაჩვენებია ადამიანთა სოციალური ურთიერთობა და ყოფა. მიუხედავად იმისა, რომ მას მაღალი წარმოდგენა ჰქონდა აქვსენტი ცაგარელზე, როგორც იმ დროის უაღრესად პოპულარულ მწერალზე, მან მაინც გამოთქვა ერთგვარი საყვედური იმის გამო, რომ მის ნაწარმოებებში საკმაოდ არ არის მოცემული სოციალური მოტივები. ი. გრიშაშვილს სოციალური რომანების უკვდავ ნიმუშებად მიაჩნდა გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი", ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" და ა. შ. აღსანიშნავია, რომ სწორედ მახვილი სოციალური ჟღერადობით პოეტი თავიდანვე გაიტაცა დიდი რუსი მწერლის — მაქსიმ გორკის შემოქმედებამ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გორკისადმი ინტერესი თავიდანვე დიდი იყო. ჯერ ისევ რევოლუციამდე მრავალი ნაწარმოები თარგმნილი იყო ქართულ ენაზე, თარგმნილი იყო აგრეთვე მისი საკმაოდ გახმაურებული პიესა „ნაძირალნი" („ფსკერზე"), რომელიც ქართულ სცენაზე დაიდგა 1908 წელს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქართული თეატრის კორიფეები ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, და სხვები. აი როგორ აფასებს გრიშაშვილი ამ სპექტაკლს: „ეს იყო არა მარტო გორკის პირველი ქართული დადგმა, არამედ ერთ-ერთი უაღრესად სოციალური და საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული წარმოდგენა". აქედანაც ნათლად ჩანს, რომ გრიშაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ თემას, მოქალაქეობრივ მოტივებს.

ი. გრიშაშვილმა მრავალი მივიწყებული, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი გააცოცხლა, მან ბევრ, მანამდე ბნელით მოცულ კუთხეს ნათელი მოჰფინა. კერძოდ აღსანიშნავია ალექსანდრე ყაზბეგზე დაწერილი ნარკვევი, რომელშიც უხვადაა ცნობები, ალ. ყაზბეგის ბიოგრაფებს რომ გამორჩათ. ავტორს მოჰყავს გრიგოლ ორბელიანის საკმაოდ ცნობილი ფრაზა: „ქართველების ჰომეროსი არის, შაბაშ!" მაგრამ ამავე დროს გვახსენებს მწერლის ტრაგიკულ ხვედრს, მოგვითხრობს იმ დევნაზე, რომელსაც განიცდიდა ალ. ყაზბეგი. მას თავს ესხმოდნენ იმდროინდელი პრესის ცალკეული უპრინციპო თანამშრომლები.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის მუდამ ფასდაუდებელ დოკუმენტებად დარჩებიან ი. გრიშაშვილის წერილები მოძმე [illegible] მწერლებზე — ალექსანდრე პუშკინზე, [illegible] მონტოვზე, ნ. გოგოლზე, ა. ოსტროვსკიზე, ტ. შევჩენკოზე, გაბრიელ სუნდუკიანზე, მ. ახუნდოვზე და ა. შ. აქ გრიშაშვილი იმასაც არკვევს, თუ როდის ითარგმნა პირველად პუშკინის თუ ლერმონტოვის ლექსები ქართულ ენაზე, ან რა პირობებში დაიდგა ქართულ სცენაზე „რევიზორი" და იმასაც, თუ რუსულმა ლიტერატურამ რა გავლენა მოახდინა ქართულ კულტურაზე. საერთოდ, გრიშაშვილის აზრით, ეს გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, ამბობს იგი, ამ „გავლენას" ყოველთვის ქართული ნიადაგი ჰქონდა". რამდენადაც ეროვნულია მწერალი, იმდენად ინტერნაციონალურია მისი შემოქმედება. ამას მოწმობს თვით გრიშაშვილის პოეზია, ესოდენ გამსჭვალული ხალხთა მეგობრობის იდეით.

ყოველივე ამასთან ერთად, ი. გრიშაშვილი თბილისის ისტორიკოსი და ეთნოგრაფი იყო, მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ძველი თბილისის ყოფა, ადათ-წესები, ჩვევები, დედაქალაქის ფოლკლორი, ქალაქის პოეტების შემოქმედება; ამას მოწმობს მონოგრაფია „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", სადაც მან ხალხური მგოსნების შესანიშნავი გალერეა წარმოგვიდგინა: იეთიმ გურჯი, სკანდარნოვა, გივიშვილი, ბეჩარა, ჰაზირა, ანტონ განჯისკარელი და ა. შ. ისინი შესანიშნავი აშუღ-პოეტები იყვნენ, და მათ ლექსებში გვხვდება მოულოდნელი სახეები, ორიგინალური რითმები და შედარებები, მეტაფორები...

გრიშაშვილის წერილები და მოგონებანი ქართული სცენის დიდ ოსტატებზე, მწერლებზე, მხატვრებზე, საზოგადო მოღვაწეებზე მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს; ის ნაშრომები ამდიდრებენ ხალხის სულიერ საგანძურს.

თუ ჩემი ლექსის ჯავარი
ერთს მაინც ემახსოვრება,
ვიტყვი, რომ უქმად არ განვლე
ჩემი პატარა ცხოვრება.

გრიშაშვილი საოცრად მოკრძალებული კაცი იყო. ეს ზემოთმოყვანილი სტრიქონებიდანაც ნათლად ჩანს; აქ გვინდა გავიხსენოთ გამოჩენილი პოეტის კოლაუ ნადირაძის სიტყვები ამასწინათ გამოქვეყნებული მოგონებიდან: „ძვირფასო სოსო! შენ ხომ ისეთი კაცი იყავი, რომელიც შეუძლებელია არ უყვარდეს მას, ვისაც ესმის თუ რა არის მთელი არსებით სპეტაკი ადამიანი, სუფთა და ნათელი ადამიანი, ვისაც ესმის, თუ რა არის პოეტი მთელი მისი არსებით, რომელსაც ნამდვილად უყვარს და ნამდვილად სტკივა პოეტი, რომლისთვის წმინდათა წმინდაა მშობელი მიწა, მშობელი ხალხი, და თავშესაწირავ ღვთაებად მიაჩნია ენა მშობლიური!"

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევონ მელიქსეთ-ბეგი

# ი. გრიშაშვილი, როგორც მთარგმნელი

ქართველი საბჭოთა პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი დაუღალავად ეწეოდა მოძმე რესპუბლიკების, განსაკუთრებით სომხეთის პოეტების შემოქმედების პოპულარიზაციას. პოეტი იკვლევდა ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებს. როგორც სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავდა, „სომეხი საზოგადოებისათვის ი. გრიშაშვილი განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც გულმხურვალე დამცველი ქართველ-სომეხთა მეგობრობისა“.

იოსებ გრიშაშვილის კალამს ეკუთვნის ოვ. თუმანიანის, გ. სუნდუკიანის, ა. აკოფიანის, შირვანზადეს, ნარ-დოსის, ნაგაშ-ოვანთანის და სხვათა ნაწარმოებების და სომხური ხალხური ეპოსის ქართული თარგმანები.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის პირად არქივში დაცულია გამოუქვეყნებელი წერილი „გრიშაშვილი, როგორც მთარგმნელი“. ჩვენი სურვილია გავაცნოთ იგი ქართველ საზოგადოებას.

ლეონიდ ლეონის-ძე მელიქსეთ-ბეგი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

1908 წელს ჟურნალ „ნიშადურში“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი აწ განსვენებული ვალერიან გუნია იყო, 19 თებერვლის № 26-ში (გვ. 13) დაიბეჭდა ორ-ტაეპოვანი ლექსი სათაურით „იქროლე, ქარო!“, ხელისმოწერით „გრი-გრი“.

ეს ლექსი მე ძალიან მომეწონა და მაშინვე ვთარგმნე სომხურად, ოღონდ ტხეპების გადანაცვლებით და დავბეჭდე სომხურ ჟურნალ „ხათაბალაში“ (1910 წ. № 50), რომლის თანამშრომელი ვიყავი 1907 წლიდან.

არც იმ დროს ე. ი. ნახევარი საუკუნის წინ, და არც კარგა ხანს მას შემდეგ, არ დავფიქრებულვარ საკითხზე — თუ ვინ იყო იმ ლექსის ავტორი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როდესაც ი. გრიშაშვილის ე. წ. „ერთტომეული“ მომზადდა და რამდენჯერმე გამოიცა, გამოაშკარავდა, რომ გრი-გრი თურმე ი. გრიშაშვილის ფსევდონიმი ყოფილა.

ეს ლექსი ახლა „დაჰბერე, ქარო“-ს სათაურს ატარებს და შინაარსითაც საგრძნობლად განსხვავდება 1908 წელს გამოქვეყნებულისაგან: ავტორის თქმით, ლექსი პირვანდელი სახით წარმოდგენილია ერთტომეულში, წინანდელი კი ბევრად შეცვლილი იყო საცენზურო პირობების გამო.

ასეა თუ ისე, ეს ლექსი ახლა ჩვენ ხელახლად ვთარგმნეთ ერთტომეულის მიხედვით, პირველი თარგმანი კი, რა თქმა უნდა, ისტორიას ჩაჰბარდა.

ეს პატარა მოგონება ჩვენ დაგვჭირდა იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, მივიკუთვნოთ პრიორიტეტი ი. გრიშაშვილის ლექსთა თარგმანისა საერთოდ, და სომხურ ენაზე, კერძოდ, ვითარცა პირველმა მთარგმნელმა-პიონერმა, და და მეორე — გამართლებულად ჩავთვალოთ ჩვენი დღევანდელი გამოსვლა თემაზე — „ი. გრიშაშვილი, როგორც მთარგმნელი“, რომელიც ჩვენ შემოგვთავაზა რუსთაველის სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციამ და რომელზედაც ჩვენ ვერ გავბედეთ უარის თქმა.

* * *

ახლა მოგაწვდით პატარა ცნობას ჩვენი და ი. გრიშაშვილის ურთიერთთანამშრომლობას შესახებ.

**1933** წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 5, გვ. **181-185**) ჩვენი წინასიტყვაობით დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის თარგმანი ნაყაშ-იონათანის ლექსისა „ხოტბა გურჯისტანის გოზალებს“ (ქება საქართველოს ქალწულებს).

**1938** წელს საბლიტგამმა გამოაქვეყნა ჩვენი რედაქციით ოვ. თუმანიანის ერთტომეული, შემცველი ი. გრიშაშვილის თარგმანებისა, მე-2 გამოცემის მიხედვით.

**1948** წელს სახელგამმა გამოაქვეყნა ჩვენი რედაქციით ი. გრიშაშვილის მიერ თარგმნილი შირვანზადეს რომანი „ნამუსი“ (მე-2 გამოცემა).

მეორე მხრით, **1939** წელს სახელგამმა ი. გრიშაშვილის რედაქციით გამოსცა ცალკე ბროშურად ჩვენი თარგმანი ლექსად ოვ. თუმანიანის პოემისა — „თმოგვის ციხის აღება“.

აშკარაა, რომ ი. გრიშაშვილის თარგმნითი მოღვაწეობა საერთოდ ეხმაურება მის ბრწყინვალე საქმიანობას ლიტერატურათმცოდნეობა-ფილოლოგიის დარგში, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი „ზედნაშენია“, აღმართული ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის — ხარფუხის ანუ სეიდაბადის ფოლკლორის საფუძველზე.

აქ იყვნენ თავმოყრილნი დაბალები (მეტყავენი), ბაზაზები, ქვისმთლელნი, მექისეები, მეწვრილმანენი და სხვანი, რომელთა ლექსიკური ფონდი უხვად იჰრებოდა ქართულ ენაში და ჰქმნიდა ე. წ. ქალაქურ კილოს, იმ კილოს, რომლის მარგალიტებით სარგებლობაზე ჩვენი საუკუნის დასაწყისში მიუთითებდა განსვენებული ორიენტალისტი-პედაგოგი პეტრე მირიანაშვილი. ფაქტიურად კი ამ კილოს ათვისებამ, თუ შეთვისებამ წარმოქმნა იოსებ გრიშაშვილი, როგორც ორიგინალური ქართველი პოეტი, რომელიც, იმავე დროს, შესანიშნავად თარგმნიდა სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ნიმუშებს.

* * *

რომ თარგმნითი ხელობა ანუ, უკეთ. ხელოვნება ადვილი საქმე არ არის, ყველამ კარგად იცის. მაგრამ თარგმანიც არის და თარგმანიც ერთია თარგმანი პწკარედების მიხედვით, რომელიც საერთოდ დასაგმობია და დაუშვებელი, მეორე კი — უშუალოდ დედნიდან, და სწორედ ამ გზით აღწევს მთარგმნელი სასურველ შედეგს.

ი. გრიშაშვილი არის შესანიშნავი პოეტი-მთარგმნელი, ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელიც მიზნად ისახავს მიაწოდოს ქართველ მკითხველს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების, კერძოდ, სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებების სრულყოფილი თარგმანები.

სახელოვანი ქართველი პოეტი. უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს შეაყვაროს ქართველთ მოძმე ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედება შინაარსის ცოცხალი გადმოცემით. მან მართლაც შესძლო შეექმნა თარგმანები, რომლებიც თავიანთი ჟღერადობით არ ჩამოუვარდებიან ორიგინალებს. ამ თარგმანებმა დიდად გაამდიდრეს ქართული თარგმნითი ლიტერატურის საუნჯე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

# ზოგიერთი თავისებურება პოეტისა

მერწმუნეთ, ძნელია, ძნელი კი არა ხატანჯველიცაა პოეტის განსხვავებული თავისებურების მიგნება...

მის ერთ ლექსს, დაწერილს 1975 წელს, ეწოდება „მიქელა“. უბრალოდ, საოცრად უბრალოდ და თანაც რაღაცნაირი ეპიკური კილოთი იწყება ეს ლექსი: „მე მყავდა ერთი მეზობელი, ერქვა მიქელა“. სანამ მეორე სტრიქონზე გადავიდოდეთ, წამიერად თითქოს საკმაოდ მძაფრი მოლოდინი გვებადება... მერე ლექსი უბობოქროდ მიედინება, ამბავს ამოძრავებს ზნეობრივი მოტივი:

> ჩვენი ოჯახის კარგის მდომი და
> ახლობელი.
> არ იყო მარტო... მხოლოდ თვისკენ არ
> მიითლიდა....
> პაპა მიქელას ადიდებდა მთელი სოფელი,
> სიტყვით და საქმით სანიმუშო
> მშრომელად თვლიდა.

შემდეგ პოეტი გვატყობინებს, რომ ღონემიხდილ მოხუცს შვილიშვილები პატივს სცემდნენ, შერჩეული ხილით უმასპინძლდებოდნენ. ეს არის და ეს. სილამაზე და პოეზია ალბათ ადამიანურ სითბოში უნდა მივაკვლიოთ.

მეორე ლექსი, რომელიც თავისი განსხვავებული და რაღაცნაირი შუქი განწყობილებით ენათესავება „მიქელას“, დაწერილია 1948 წელს, მას ჰქვია „მეაბრეშუმე ცირა“.

ლექსი, საკმაოდ ცინცხალი და შთამბეჭდავი პეიზაჟური ჩანახატით იწყება: ელვა, ვერხვის ცახცახი, ჰექა-ქუხილი, ციკნის კანკალი, კრუხს აცდენილი წიწილის წივილი, შხაპუნას ხმაური... თუთის ტოტებით დატვირთული მეაბრეშუმე ცირა შინისაკენ გარბის... მაგრამ თვითონაც გალუმპულია და თუთის ფოთოლიც; ველარ გამოკვებავს ცაზე ამავალ აბრეშუმის ჭიას; გაოგნებული, გაბუტული, ჩაფიქრებული გაპყურებს ატირებულ ბუნებას; მთელ გაზაფხულზე ნაოცნებარს ფრთა ეკვეცება, თავისი მონაგარით ველარ შეიძენს „ნაირ-ნაირ ნითის კაბებს“. სწუხს ქალიშვილი, წინასწარ გრძნობს, რომ ყვითელი პარკის გადასატანად მამა ურემს ალარ შეუბამს ხარებს. ცირა ატირდა, მაგრამ შერცხვა ცრემლის და ინატრა დედა, ვინც ეტყვის: „შვილო გადაივლის წვიმა“.

თითქოს უნებლიეთ ვეზიარებით მეაბრეშუმე ქალიშვილის ლამაზ წუხილს. ეს გვაახლოვებს მის ადამიანურ შინაარსთან. ადამიანთა სიახლოვე და კავშირი კი ბადებს წმინდა აზრს, უზადო სილამაზეს... და თუ პოეტის მთელ შემოქმედებით გზას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ რაღაც განსაკუთრებულ ლტოლვას ადამიანთა ცხოველმყოფელი კავშირისაკენ. თითქოს სწორედ ამ ადამიანურ კავშირს ელტვის პოეტი წუთიდან წუთამდე (შემთხვევით როდი ეწოდება მის ერთ ბოლოდროინდელ კრებულს „წუთიდან წუთამდე“).

მაგრამ რაღაც თალხი ჩრდილი თან სდევს პოეტის ნათელ ფიქრებს, პოეტის ნათელ სიხარულს.

სად არის ფესვი ამ დიდი საფიქრალისა?

იქნებ იქ არის, სადაც ჯერ კიდევ დიდხანს, ძალაში დარჩება ბრძენი პოეტის ნათქვამი: შორია კაცით კაცამდის, (პოეტიდან პოეტამდისაც?)

რასაკვირველია, დიდად სატანჯველია სიშორე სულთა და გულთა. სადღაც, პოეტის მსოფლშეგრძნებაში ჩანს ფარული წუხილი ადამიანთა მწარე ფიქრთმომგვრელი შორიშორობის გამო.

იქნებ საშველი ადამიანთა ურთიერთობის ანკარა სათავესა ანუ წყაროს თვალში უნდა ვეძიოთ. ალბათ ამიტომაც ელტვის პოეტი ცხოვრების რაღაცნაირ შუქსა და აუმღვრეველ ნაკადებს.

მეტწილად ქართული სოფლის ყოფა-ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება და სურათები აღელვებს შემოქმედს. სოფლის უბირი მშრომელის უზადო განწყობილებისა და გულალალი ფიქრების გზაკვალს მიჰყვება პოეტის წარმოსახვები.

პოეტი ყოველთვის ცდილობს უშუალო, სულიერი თრთოლვის სილამაზეს მისწვდეს. აი, ამურის ისარნაკრავი კაცის სულის თრთოლვა:

მყავდა ერთი მეზობელი,
ზრდილი მოუბარი კაცი...

. . . . . . . . . . . . .

შევხმატკბილდით, შეხვედრები
გვქონდა წრფელი, ძმურზე ძმური,
საბაასოდ ორთა სუფრა
იყო მართლა საამური.

. . . . . . . . . . . . .

დღესაც თან მსდევს მისი ერთი
თვალთმილულვით ნაუბარი;
— პირველმა არ მაღირსათ
არცა ჰო და არც უარი.

პოეტური სილამაზე ჩუმ თრთოლვაში უნდა ვეძიოთ.

გულწრფელობით, გულითადობით და ერთგვარი უნაძალადევო უშუალობით კარგ გრძნობას აღვიძებს ლექსი — „გუთნისდედაო, ქართველო კაცო!“

ეს ლექსი ყურადღებას იქცევს პირდაპირი აზრით და გულითადი უბრალოებით:

გუთნისდედაო, ქართველო კაცო,
შენით ვართ, სული შენით გვიდგია,
წინ გვქონდა მუდამ გზა სამამაცო
და დღესაც შენი წვლილი დიდია.

. . . . . . . . . . . .

მე მიყვარს, როცა შრომით დაღლილი
შედგები ხნულში მტკიცე, მთებური,
ყელთან პერანგის პატარა ღილი
გამშვენებს ოფლით შეყვითლებული.

დაკვირვებული თვალი, ისე როგორც პოეტის ბევრ სხვა ლექსში, ამ ლექსშიც მიაკვლევს საკმაოდ მეტყველ დეტალებს, მეტყველია თუნდაც ოფლით შეყვითლებული ღილი.

მშრომელი კაცის, ერთგული მებორნის ზნეობრივი სიუხვისა და სილამაზის გამოსახვას ლამობს პოეტი თავის საკმაოდ ვრცელ სიუჟეტიან ლექსში — „მართალი ადამიანი“. ამ ლექსის მხატვრული ფაქტურა კარგად ერწყმის მის თემატიკურ მოტივს. მართალი, კეთილი, უბრალო კაცი არც თუ ადვილად იკვლევს გზას ცხოვრებაში. ამიტომ ბუნებრივია საკმაოდ ძლიერი დრამატული ნაკადი ლექსის შინაარსობრივ მოძრაობაში. პოეტის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებით საგრძნობია ლტოლვა ადამიანთა პირველქმნილი თუ პირველნაყური სიწმინდისაკენ. ამდენადვე საგრძნობია მის მრავალ ლექსში მძაფრი უარყოფა, გულფიცხი გმობა ავკაცობისა, მეთავისობისა, კაცთმოძულეობისა.

პატიოსანი მშრომელი ადამიანის ყოველდღიურობის პოეტურ განათებას ლამობს ნიადაგ პოეტი. ამ მხრივ მას ყოველთვის მომარჯვებული აქვს ლექსის მრავალგზის ნაცადი ფორმა. არა განსაკუთრებულ მეტაფორულ ნაგებობაში, არა განსხვავებულ ფორმალურ ნაკეთობაში, არამედ გრძნობისა და აზრის ახლებურ მოძრაობაში ცდილობს იგი თავისი სულიერი მღელვარების გამოსახვას.

ბონდო კეშელავას საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მონაგარი თუ ჭირნახული საგრძნობი მოცულობისაა. ქართული პოეზიის მატიანეში ამ პოეტის ნაღვაწი თავის ადგილს დაიჭერს.

ხადლაც და როგორღაც პოეტის სულიერ ავლადიდებაში მისი მეგობრული კავშირებიც აზრიანად და ლამაზად ინახვებიან. გულწრფელი მღელვარებითა და წრფელი გრძნობით არის განმსჭვალული ლექსი „მეგობარ პოეტს“, რომელიც მიძღვნილია შესანიშნავი პოეტის დავით გაჩეჩილაძისადმი, როდესაც იგი მძიმე სენით შეპყრობილი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ეს ლექსი უეჭველად დარჩება შთაგონებულ გახსენებად ლამაზი სულის პოეტისა და ადამიანისა. ლექსში თითქოს უთქმელი სევდა ბორგავს, ამაღელვებელი ლანდები და სახეები ბორიალობენ. აქ ყველაფერი ახლობელი და ნათელია. მეგობრის ალალი გულისძგერა ხელოვნურ ზიზილპიპილებს არ საჭიროებს. გულში ჩამწვდომია სრულიად უბრალო თქმა:

მაგრამ მეგობრის და იმგვარი კარგი
მეგობრის,
როგორიც შენ ხარ, ავად ყოფნა —
მეტად ძნელია...

არ შეიძლება არ ენდოთ ამ თითქოს სრულიად გულუბრყვილო ნათქვამს. პოეტი ცდილობს უაღრესად გულწრფელი, თავგამეტებულად მართალი და უმზაკვრო იყოს. უბრალო ადამიანურმა გულითადობამ უნდა შეგამზადოს ხალასი გრძნობის გასაგებად:

აქ ახლა ტოტებს სიო არხევს თუ ცვარი
დნება,
სულ არ მაღარდებს, ვხედავ, ღამეს
სინათლემ სძლია,
მე ფხიზელი ვარ, არაფერი არ მელანდება,
არ ვუპასუხო შვილთა ძახილს
არ შემიძლია.
ვჭოჭმანობ, დავით! ვერ ველევი, ვერა
ღმერთმანი,
დღეები ჩვენი დავაშორო რომელს —
რომელი,
მაინც მას ვარჩევ, რომ აქ ბაღში
შევხვდეთ ერთმანეთს
ჭიათურის და რიონჰესის მაღაროელნი...

აქ შორიშორიეულ ფიქრებსა და განცდებშია რაღაც ლამაზი წუხილი, გადამდები მღელვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. ამ განცდებს აქვთ თავისი გამოუთქმელი ბიოგრაფია.

შუქ-ჩრდილების მოძრაობით ლექსი „მეგობარ პოეტს" დაგვაფიქრებს და ყოველთვის გაგვახსენებს განდიდების ყოველგვარ ჟინს მოკლებულ ალალ შემოქმედს.

ამ ალალ შემოქმედს — დავით გაჩეჩილაძეს თვალსაჩინო ადგილს დაუთმობს ქართული პოეზიის მატიანე, მიუხედავად იმისა, რომ თავისავე ანდერძით იგი დაიკრძალა არა ქართველ მწერალთა პანთეონში, არამედ საყოველთაო სასაფლაოზე.

ბონდო კეშელავას ლექსი „მეგობარ პოეტს" კი ყოველთვის კრძალვით მოგვაგონებს დაუვიწყარი და გულში ჩამწვდომი ლექსების ავტორს. მეგობარი მეგობარს ამდიდრებს, [illegible]ვებს.

ბონდო კეშელავა თავგამოდებით ესწრაფვის ზნეობისა და პოეზიის, შრომისა და პოეზიის შერწყმას, შენივთებას.

პოეტს მრავალნაირად აფიქრებს ქვიშხელი მოხუცი კოლმეურნის ცხოვრების მწვავედ მიხვეულ-მოხვეული გზა. წინათ იგი საალალბედოდ ელოდა წვიმას გვალვით გადახრუკული ველებისათვის, ახლა კი ხარობს ხარწყავი არხების ქსელით და საიმედო მოსავლის მოლოდინით...

თვითონ პოეტიც თავისი სულიერი განწყობილებით ენათესავება უხვმოსავლიანი მომავლის მომლოდინესა და მოიმედეს.

კარგია 70 წელს გადაცილებული პოეტის იმედიანი ცქერა მომავლისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ